

И (Чехосл.)
891.86 — 31
з 377

ინტერაციული რეზი მხატვრის
ილუსტრაციები



თ ა ვ ი 1

უწგრეთის მიწა-წყალზე

ბოლოს დადგა ყამი, როცა ყველანი შეყარეს ვაგონებში იმ ანგარიშით, რომ თვითეულში ორმოცდარი კაცი ან რვა ცხენი ყოფილიყო. ცხენები, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებულად მგზავრობდნენ, რადგან შეეძლოთ ფეხზე ძილი. თუმცა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამხედრო მატარებელს ჰალიციაში მიჰყავდა ადამიანთა ახალი პარტია სასაქლაოზე.

და მაინც, როცა მატარებელი დაიძრა, ამ საცოდავმა ქმნილებებმა რამდენადმე შეება იგრძნეს. ახლა რაღაც მაინც გაირკვა, აქამდე კი არც ერთმა არ იცოდა, რა იქნებოდა; თვითეულს ბურუსით მოცული მომავალი სტანჯავდა, პანიკით იყო შეპყრობილი, გაუთავებლად ნერვიულობდა: როდის გაგვგზავნიანო, დღეს, ხვალ თუ ზეგ? ბევრი მათგანი სიკვდილმისჯილის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ჯალათის მოსვლას რომ ელოდება. მაგრამ აი მოვიდა ჯალათი და ადამიანიც მშვიდდება — დგება. აღსასრულის დღე!

— ალბათ, იმიტომაც ღრიალებდა ერთი ჯარისკაცი შეშლილი-
ვით: „მივდივართ! მივდივართ!“

უფროსი გადამწერი ვანეკი უთუოდ მართალი იყო, როცა
ეუბნებოდა შვეიკს, საჩქარო არაფერიაო. რამდენიმე დღე გავიდა,
ვიდრე ჯარისკაცები განაწილდებოდნენ ვაგონებში. მთელი ამ ხნის
განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა ლაპარაკი კონსერ-
ვებზე. ვანეკმა გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ეს მხოლოდ
ფანტაზია იყო, და ასედაც განაცხადა. რა კონსერვები, რის კონ-
სერვები! საველე წირვა-ლოცვა — კიდევ ჰო. განა იგივე არ იყო
სამარშო ასეულის გალაშქრების დროს. როცა არის კონსერვები,
საველე წირვა-ლოცვა საჭირო აღარაა. თუ კონსერვები არ არის,
მაშინ ინებეთ საველე წირვა-ლოცვა.

და მართლაც, ხორცის კონსერვების ნაცვლად გამოჩნდა ობერ-
ფელდკურატი იბლი, რომელმაც ერთი ხელის მოსმით ყველაფერი
სწრაფად მოაკვარახჭინა. ერთბაშად სამ სამარშო ბატალიონს გა-
მოუყვანა წირვა. ორს გზა დაულოცა სერბიისკენ, მესამე კი რუსე-
თისკენ გაისტუმრა.

ამასთან წარმოთქვა აგზნებული სიტყვა, რომლის მასალა, ჯო-
გორც ადვილად შეამჩნევდით, ამოკრეფილი ჰქონდა სამხედრო
კალენდრებიდან. მისმა სიტყვამ ისე ააღელვა ყველა, რომ მოშო-
ნისაქენ მგზავრობისას შვეიკმა, რომელიც ვანეკთან ერთად იყო
იმპროვიზირებულ ვაგონ-კანცელარიაში, როცა ეს სიტყვა გაიხ-
სენა, უფროს გადამწერს უთხრა:

— რაც გინდა ისა თქვი, და ეს მართლაც მშვენიერი რამ იქნე-
ბა! ნახე, რა სურათი დაჯგობხატა იმ ხუცესმა! საღამოვდება, საცაა
მზე თავისი ოქროსფერი სხივებით ჩაესვენება მთებს გადაღმა,
ბრძოლის ველზე კი გაისმის მომაკვდავთა უკანასკნელი ოხვრა,
დაკოდირ ცხენთა ჰიხინი, დაჭრილ გმირთა გოდება, ცეცხლით
გადაბუგულ, აწიოკებულ მშვიდობიან მცხოვრებთა მოთქმა და
ლაღადისი. მომწონს, როცა ადამიანები „კვადრატში ახარისხებულ
იდიოტებად“ გვევლინებიან.

ვანეკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „ნამდვილად ამა-
ღელვებელი სიტყვა იყო!“

— ლამაზადაც იყო ნათქვამი და ჰკუისასწავლებლადაც, —
დინჯად წარმოთქვა შვეიკმა. — მე ყველაფერი კარგად დავიქახ-
სოვრე და ომიდან რომ დავბრუნდები, ყველას ვუამბობ ამის შე-
სახებ „უ კალიხაში“. ბატონი ფელდკურატი, როცა ამას წარმო-
თქვამდა, ისე გაჩაჩხული იდგა, რომ შიშმა ამიტანა, ფეხი არ და-
უსხლტეს და საველე საკურთხეველს არ დაეხეთქოს-მეთქი, თავს

გაიტეხდა სანაწილეზე. მან შესანიშნავი მაგალითი მოიყვანა ჩვენი ჯარების ისტორიიდან, როცა იქ ჯერ კიდევ რადეცკი მსახურობდა. მაშინ ბრძოლის ველზე დაისის სხივებს უერთდებოდა ცეცხლწაკიდებული ბელღებიდან ავარდნილი ალი. თითქოს საკუთარი თვალით ენახოს ყოველივე ეს!

იმავე დღეს ობერ-ფელდკურატმა იბლმა ვენაში ამოჰყო თავი და სხვა სამარშო ბატალიონს უამბო იგივე ქუჩისასწავლებელი ისტორია, რომლის შესახებ ლაპარაკობდა შვეიცი და რომელიც ისე მოეწონა მას, რომ „კვადრატში ახარისხებულ იდიოტიზმად“ მონათლა.

— ძვირფასო სალდათებო, — ქადაგებდა ფელდკურატი იბლი, — წარმოიდგინეთ, რომ ახლა ორმოცდარვა წელია და ეს-ესაა გამარჯვებით დამთავრდა ბრძოლა კუსტოცესთან*. ათი საათის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ იტალიის მეფე ალბერტი იძულებული შეიქნა სისხლით მორწყული ბრძოლის ველი დაეთმო ფელდმარშალ რადეცკისათვის — ჩვენი „ჯარისკაცების მამისთვის“, რომელმაც ღრმა მოხუცებულობაში — თავისი სიცოცხლის ოთხმოცდაოთხი წლისთავზე ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. და აი, ჩემო ძვირფასო სალდათებო, ხელში ჩაგდებული კუსტოცეს მთაზე მსცოვანი სარდალი აჩერებს ცხენს. მას გარს არტყიან ერთგული გენერლები. ამ მომენტის სერიოზულობა ყველას აპყრობს, ვინაიდან, ჯარისკაცებო, ფელდმარშლის მახლობლად სულთმობრძავი დაკრილი ჯარისკაცია. დიდების ველზე მიიმედ დაკრილი მედროშე ჰერტი გრძნობს, რომ ფელდმარშალი რადეცკი მას მისჩერებია. ხელფეხ დამსხვრეულ, სასიკვდილოდ დაკრილ მედროშეს ჩაუბღუჯავს სისხლისაგან დაწრეტილ ხელში თავისი ოქროს მედალი. როცა კეთილშობილი ფელდმარშალი დაინახა, ისევე აუშგერდა დადუმებული გული და დასახიჩრებულ სხეულსაც სიცოცხლის ნიშანწყალი დაუბრუნდა. მომაკვდავი დიდის გაკირვებით წამოიწია და უკანასკნელი ძალღონის დაძაბვით შეეცადა მიფორთხებულებიყო ფელდმარშალთან.

— ნუ წუხდები, ჩემო სახელოვანო ჯარისკაცო, — წამოიძახა ფელდმარშალმა, ჩამოხტა ცხენიდან და ხელი გაუწოდა.

— ვაი, რომ ორივე ხელი გადამტვრეული მაქვს, პანე ფელდმარშალ, — ამოიოხრა მომაკვდავმა მეომარმა. — მხოლოდ ერთსა გთხოვთ. მართალი მითხარით: გავიმარჯვეთ თუ არა?

— გავიმარჯვეთ, ჩემო ძმობილო, — ტკბილად უთხრა ფელდმარშალმა. — ვწუხვარ, რომ სიხარულს შენი მძიმე ჭრილობა ანულებს.

— დიახ, მაღალკეთილშობილო სარდალო, ჩემი საქმე გათაე-
ბულია, — მისუსტებული ხმით წარმოთქვა მომაკვდავმა და ნე-
ტარებით გაიღიმა.

— გწყურია? — ჰკითხა რადეციმ.

— ცხელი დღე იყო, პანე ფელდმარშალ. ოცდაათ გრადუსზე
მეტე.

მაშინ რადეციმ გამოართვა ერთ-ერთ თავის ადიუტანტს სა-
ლაშქრო მათარა და მომაკვდავს მიაწოდა. მან ერთი მოსმით მოიკ-
ლა წყურვილი.

— ღმერთმა ასწილ გადაგიხადოს სამაგიერო! — წამოიძახა ჯა-
რისკაცმა და შეეცადა ხელზე ეკოცნა სარდლისათვის.

— დიდი ხანია, რაც მსახურობ? — ჰკითხა რადეციმ.

— ორმოც წელზე მეტია, პანე ფელდმარშალ. ასპერნასთან *
ბრძოლაში ოქროს მედალი დავიმსახურე. ვიბრძოდი ლაიპციგთა-
ნაც, მივიღე ზარბაზნის ჯვარი*. ხუთჯერ დავიჭერ სასიკვდილოდ,
ახლა კი საბოლოოდ დადგა ჟამი აღსასრულისა. მაგრამ რა ბედნი-
ერი ვარ, რა ნეტარებას განვიცდი, დღევანდელ დღეს რომ შევეს-
წარ და ისე არ მოვკვდი! ჩემი სიკვდილი რას წარმოადგენს რაკი
ბრძოლა მოგებულია და იმპერატორს დავუბრუნეთ მისი მიწა-
წყალი!

ამ დროს, ძვირფასო სალდათებო, ბანაკის მხრიდან მოიხმა ჩვენი
ჰიმნის დიადი ხმები „ფარვიდე, უფალო, მეფესა ჩვენსა“. მძლავრად
და ზეიმურად გადაუარა ჰიმნმა ბრძოლის ველს, და მომაკვდავი
ჯარისკაცი კიდევ ერთხელ შეეცადა წამოწევას. „გაუმარჯოს
ავსტრიას! — ალტაცებით წამოიძახა მან. — გაუმარჯოს ავსტრიას! დაე,
შწრაღებამს ქდერდეს ჩვენი კეთილშობილი ჰიმნი! გაუმარჯოს ჩვენს
სარდალს! გაუმარჯოს ჩვენს ჯარს!“ მომაკვდავი კიდევ ერთხელ
წამოიწია, დაიხარა ფელდმარშლის მარჯვენა ხელისკენ, ეამბორა და
მოკვეთილივით დაეცა მიწაზე; უკანასკნელი წყნარი ოხვრა აღმოხ-
და მას კეთილშობილ მეერდიდან. სარდალი ქუდმოხდილი იდგა თა-
ვისი ერთ-ერთი საუკეთესო მეომრის ცხედრის წინაშე. „ასეთ
მშვენიერ სიკვდილს ყოველი ჩვენგანი ინატრებდა,“ — გრძნობიე-
რად წამოიძახა ფელდმარშალმა და ხელეები აიფარა სახეზე.

ძვირფასო მეომრებო, გისურვებდით, თქვენც შესწრებოდით
ასეთ ლამაზ სიკვდილს!

როცა შვეიკმა ობერ-ფელდკურატ იბლის ეს სიტყვა გაიხსენა,
მას სრული უფლება ჰქონდა ეწოდებინა მისთვის „კვადრატში ახა-
რისხებული იდიოტი“.

მერე შეეიკმა გაუზიარა თავისი მოსაზრებები ვანეკს იმ ბრძანებების შესახებ, რომლებიც ჯარისკაცებს წაუკითხეს ვანებში ჩასხდომის წინ. ჯერ გააცნეს ჯარებისადმი ბრძანება, რომელსაც ხელს აწერდა ფრანციოსები, მერე წაუკითხეს აღმოსავლეთის არმიის სარდლის ერცპერცოგ იოსებ ფერდინანდის მიერ ხელმოწერილი ბრძანება. ორივე ბრძანება ეხებოდა იმ ამბავს, რომელიც მოხდა 1915 წლის 3 აპრილს დუკელის უღელტეხილზე, აქ ოცდამერვე პოლკის ორი ბატალიონი თავისი ოფიცრებით პოლკის ორკესტრის გუგუნში რუსების მხარეზე გადავიდა.

ორივე ბრძანება წაკითხულ იქნა ხმის კანკალით და იუწყებოდა შემდეგს:

„1915 წლის 17 აპრილის ბრძანება ჯარებისადმი“

მწუხარებით აღსავსე, ვბრძანებ ამოშლილ იქნეს საიმპერატორო სამეფო ქვეითი პოლკი ჩემი ჯარების სიიდან ლაჩრობისა და დალატისათვის. ვბრძანებ, ჩამოერთვას თავლაფდასხმულ პოლკს დროშა და გადაეცეს ის სამხედრო მუზეუმს. პოლკი, რომელიც ჯერ კიდევ სამშობლოში იყო მორალურად გახრწნილი და რომელიც წავიდა ფრონტზე იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა თავისი გამცემლური ზრახვები, ამიერიდან აღარ არსებობს.

ფრანციოსებ I“.

„ბრძანება მრცჰერცოგ იოსებ ფერდინანდისა“

ჩეხების სამხედრო ნაწილებმა ვერ გაამართლეს ჩვენი ნდობა, განსაკუთრებით უკანასკნელ ბრძოლებში. მეტწილად ისინი ვერ ამართლებდნენ ჩვენს ნდობას პოზიციების დაცვის დროს. დიდი ხნით რჩებოდნენ სანგრებში, რასაც ყოველთვის იყენებდა მტერი და კავშირს აბამდა ამ სამხედრო ნაწილების ნაძირალა ელემენტებთან.

ამ მოლაღატეების დახმარებით მტერი თავის იერიშებს მიმართავდა, ჩვეულებრივ, ფრონტის იმ უბანზე, სადაც ბლომად იყვნენ მოლაღატენი.

მტერი ხშირად ახერხებდა მოულოდნელად ჩვენზე თავდასხმას, ასე ვთქვათ, იოლად შემოჭრას ჩვენს მოწინავე პოზიციებზე და ამ პოზიციების დიდძალი დამცველების ტყვედ ხელში ჩაგდებას.

სირცხვილი, ათასჯერ სირცხვილი საძულველ გამცემლებსა და გაიძვერებს, რომლებმაც გაბედეს იმპერატორის და იმპერიის და-

ლატი და თავისი ბოროტი ქმედებით ჩირქი მოსცხეს არა მარტო ჩვენი დიადი და მამაცი ჯარების სახელოვან დროშებს, არამედ იმ ერსაც, რომელსაც ისინი თავის თავს აკუთვნებენ.

ადრე თუ გვიან ისინი ჯალათის ხელში მოხვდებიან და ტყვიას ან სახრჩობელას ვერ ასცდებიან.

თვითელი ჩეხი ჯარისკაცი, რომელსაც კიდევ გააჩნია ღირსება და პატიოსნება, ვალდებულია მიაწოდოს ცნობები თავის მეთაურს, წამქეზებელ და მოღალატე ჯარისკაცზე. ვინც ასე არ მოიქცევა — თვითონ იქნება გამცემი და გაიძვერა.

ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ჩეხურ პოლკში.

საიმპერატორო სამეფო ოცდამერვე პოლკი ჩვენი მონარქის ბრძანებით უკვე ამოშლილია ჯარების სიიდან, და ამ პოლკის ყველა გაქცეული ჯარისკაცი, როგორც კი ტყვედ ჩაგვივარდება, სისხლით ზღავს თავის მძიმე დანაშაულს.

ე რ ც ჰ ე რ ც ო გ ი ი ო ს ე ბ ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ რ :

— დიხ, ცოტა არ იყოს, გვიან წაგვიკითხეს ეს ბრძანება! — უთხრა შვეეკმა ვანეკს. — ძალიან მაკვირვებს ის გარემოება, რომ მხოლოდ ახლა წაგვიკითხეს, ხოლო ხელმწიფე იმპერატორმა ეს ბრძანება ჩვიდმეტ აპრილს გასცა. ისე გამოდის, თითქოს რაღაც მოსახრების გამო არ მოისურვეს დაუყოვნებლივ წაეკითხათ ბრძანება ჩვენთვის. მე რომ ხელმწიფე იმპერატორი ვყოფილიყავი, არავის ნებას არ მივცემდი ჩემი ბრძანებები ასე დაეგვიანებინათ. თუ ბრძანებას ვცემ ჩვიდმეტ აპრილს, გინდა კიჭინაზე გასკდი, ოღონდ ბრძანება ყველა პოლკში აუცილებლად ჩვიდმეტ აპრილს წაიკითხე.

ვანეკის პირდაპირ ვაგონის მეორე ბოლოში იჯდა ოფიცერთა სასადილოს მზარეული — ოკულტისტი და რაღაცას წერდა. მის უკან ისხდნენ პორუჩიკ ლუკაშის დენშჩიკი წვერიანი გოლიათი ბალოუნი და ტელეფონისტი ხოდოუნსკი, მოვლინებული მეთერთმეტე სამარშო ასეულში. ბალოუნი ღეჭავდა სალდათური პურის ნატეხს და შიშატანილი უხსნიდა ტელეფონისტ ხოდოუნსკის, ხატირჯული ჩემი ბრალი არაა, ვაგონებში ჩასხდომის დროს ასეთ ჯგლეფაში შტაბის ვაგონამდე ვერ გავალწიე ჩემი პორუჩიკი რომ მენახაო.

ხოდოუნსკი ცეცხლზე ნავთს ასხამდა და უფრო უარესად აშინებდა ბალოუნს: ახლა ხუმრობას კი არ დაგიწყებენ, ამისათვის ტყვიით გაგიმასპინძლებიანო.

— ბოლო მაინც მოელებოდეს ამდენ ტანჯვა-წამებას, — წუწუნებდა ბალოუნი. — ერთხელ, ვოტიცასთან მანევრების დროს,

ასეთი. რამე კინაღამ შემემთხვა. შიმშილითა და წყურვილით ვიხოცებოდით, და როცა ჩვენთან ბატალიონის ადიუტანტი მოვიდა, მე დავიღრიალე: „წყალი და პური!“ და აი, ამ ადიუტანტმა ცხენი შემოაბრუნა ჩემკენ და მეუბნება, ომიანობის დრო რომ იყოს, მწყობრის წინაშე დაგხვეტდიო. მაგრამ ახლა მშვიდობიანი დროა, ამიტომ საგარნიზონო ნაობახტს გაეპარებო. მაშინ რაღაც ღმერთი შემეწია: შტაბისკენ რომ გაემართა ადიუტანტი პატაკით, მისმა ცხენმა თავი აიწყვიტა და გაქანდა, ადიუტანტი გადმოვარდა და, ღვთის წყალობით, კისერიც მოიტეხა.

ბალოუნმა მძიმედ ამოიხენეშა, პურის ნატეხი სასულეში გადასცდა, ხველება აუტყდა და როცა ძლივ-ძლივობით, როგორც იქნა სული მოიბრუნა, ხარბად დაამტერდა პორუჩიკ ლუკაშის ჩემოდნებს, რომლებიც მას ჰქონდა ჩაბარებული.

— ბატონმა ოფიცრებმა, — წარმოთქვა მან მელანქოლიურად, — ღვიძლის კონსერვები და უნგრული ძეხვი მიიღეს. აი ამოდენა ნაჭრები.

ამავე დროს ბალოუნის თვალს არ აშორებდა თავისი პორუჩიკის ჩემოდნებს, ყველასაგან მიტოვებული ძაღლივით, თითქო მშვიერი მგელიაო საძეხვეს კართან ჩაუტყეული და ხარბად ისუნთქავს ახლად მოხარულ ღორის ბარკლის ოხშივარსო.

— ურიგო არ იქნებოდა, — შენიშნა ხოლოუნსკიმ, — სადმე ერთი კარგი სადილით დაგვხვედროდნენ. ომის დაწყებისას სერბიაში რომ მივიღოდი, პირდაპირ ჰამად ვიყავით გადაქცეული, ისე უხვად გვიმასპინძლებოდნენ ყოველ სადგურზე. ბატის ფეხებს ნორცის მხოლოდ საუკეთესო ნაწილს ავაცლიდით, მერე იმათგან კოჭებს ვაკეთებდით და „მგელ-ცხვარობანას“ ვთამაშობდით შოკოლადზე. ხორვატიაში, ოსიევაში ვეტერანების კავშირის ორმა წევრმა ვაგონში უზარმაზარი ქვაბით ჩახოხბილი კურდღლის ხორცი შემოგვიტანეს. ეს უკვე ვეღარ ავიტანეთ და მთელი ქვაბი იქვე თავზე გადავასხით გულუხვ მასპინძლებს. მთელი გზა გვარწყვიენებდა. კაპრალი მატეიკა ისე ამოიყორა, რომ მუცელზე გარდიგარდმო ფიცარი დავდეთ, ზედ ფეხით შევდექით და კომბოსტოსავით მოვთელეთ. მხოლოდ ამის შემდეგ დაადგა იმ საცოდავს საშველი: წინიდანაც და უკანიდანაც ასაქმა. უნგრეთში ყოველ სადგურზე, ვაგონებში შემწვარ ქათმებს გვიყრიდნენ. ჩვენ მარტო ქათმის ტვინს შევექცეოდით, დანარჩენს ვყრიდით. კაპოშვარში * მადიარები ვაგონებში გვიყრიდნენ შემწვარ ღორებს და ერთ ჩვენგანს ისე მაგრად მოხვდა თავში უზარმაზარი ღორის დრუნჩი, რომ გამწარებული ჯარისკაცი ქამრით ხელში გამოუდგა



ამ კეთილმოსურნეს და რკინიგზის სადგურის სათადარიგო ლიან-დაგებზე სირბილით არაქათი გამოაცალა. სამაგიეროდ, ბოსნიაში კი ერთი წვეთი წყალიც არ გვადირსეს, მაგრამ ბოსნიამდე არაყი გვქონდა, სულ სხვადასხვა ხარისხისა, და რამდენიც გვინდოდა; ღვინოში კი პირდაპირ ვცურავდით, მიუხედავად იმისა, რომ მაგარი სასმელები აკრძალული იყო. მახსოვს, ერთ სადგურზე ვილაც გათხოვილი და გაუთხოვარი ქალები ლუდით გვიმასპინძლებოდნენ, ჩვენ კი კათხაში ჩავუფსით. უნდა დაგენახათ, დამღულრულებივით როგორ მოშორდნენ ვაგონს.

მთელი გზა გიყებევით ვიყავით, ჯვრის კიკოსაც ველარ ვცნობდი. ანაზღად, რომ არავინ ელოდა ისე, გაისმა ბრძანება — გადმოდიოთ ვაგონებიდან. ერთი ხელის დამთავრებაც ვერ მოვასწარიო, გადმოვედით. რომელიღაც კაპრალი, გვარი არ მახსოვს, უყვიროდა თავის ხალხს, რომ ემღერათ „Und die Serben müssen sehen daß wir Oesterreicher Sieger, Sieger sind!“. მაგრამ უკანიდან ვილაცამ ისეთი პანდური ამოჰკრა, რომ რელსებზე გადაემხო. მერე ისევ ბრძანება: „შაშხანები ჯოჯგინაში“. მატარებელმა მყის იბ-

¹ ჩვენ ვაჩვენებთ სერბიელებს, რომ ავსტრიელები გაიმარჯვებენ (გ ე რ მ).

რუნა პირი და ცარიელი გაბრუნდა უკან. და, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის პანიკის დროს ხდება ხოლმე, ჩვენი ორი დღის საგზალიც თან გაიყოლეს. ამ დროს, მახლობლად, აი როგორც აქედან იმ ხეებამდე, შრაპნელი შრაპნელზე გასკდა. მეორე მხრიდან ბატალიონის მეთაურმა ცხენი მოაქვნა, ოფიცრები შეჰყარა სათათბიროდ, მერე მოვიდა ობერ-ლეიტენანტი მაციკი — წმიდა წყლის ჩეხი, ლაპარაკობდა მხოლოდ და მხოლოდ გერმანულად, და გვიამბო, — აღამიანის ფერი არ ედო, — წინ წასვლა აღარ შეიძლება, რკინიგზის ლიანდაგი აფეთქებულია, სერბიელები დამით მდინარეზე გადმოვიდნენ და ახლა მარცხენა ფრთაზე იმყოფებიან, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენგან შორს არიან. ჩვენ მალე მაშველ ძალებს გამოგვიგზავნიან და მტერს კუდიტ ქვას ვასროლინებთო. ვინიცობაა რამე მოხდეს, არც ერთი თქვენგანი ტყვედ არ უნდა დანებდეს. სერბიელები, იცით, ტყვეებს ყურებსა და ცხვირს სჭრიან, თვალებს თხრიან. შორიანხლო რომ შრაპნელები სკდება, ნუ შეგაშფოთებთ: ჩვენი არტილერია გამიზნვას აწარმოებს და მეტი არაფერი. უეცრად, სადღაც მთის გადაღმიდან გაისმა ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა ეს თითქოსდა ჩვენი ტყვიამფრქვევები აწარმოებენ გამიზვნასო. მერე მარცხნიდან აგრიალდნენ ზარბაზნები, ჩვენ ეს გრიალი პირველად გავიგონეთ და გავწიქით. თბეზე რამდენიმე ყუმბარამ გადაგვიქროლა და სადგურს ცეცხლი წაუქიდა. მარჯვნიდან ტყვიები აზუზუნდნენ, მოისმა ჩახმახების ტაკუნის, აგრიალდნენ თოფები. ობერ-ლეიტენანტმა ბრძანა ჯოჯგინიდან აიღეთ თოფები და დამუხტეთო. მორიგე მივიდა მასთან და მოახსენა, ბრძანების შესრულება ყოვლად შეუძლებელია, რადგან სრულებით არ მოგვეპოვება საბრძოლო მასალაო. ობერ-ლეიტენანტმა ძალიან კარგად იცის, რომ საბრძოლო მასალა შემდეგ ეტაპზე უნდა მივიღოთ, პოზიციების მისადგომებთან. მატარებელი საბრძოლო მასალით ჩვენს წინ მიდიოდა და, ადვილი შესაძლებელია, უკვე სერბიელებმა იგდეს ხელთ, ობერ-ლეიტენანტი მაციკი ერთი წუთით გაშეშდა, მერე გასცა ბრძანება: „Bajonett auf!“ რად და რისთვის, თვითონაც არ იცოდა, ოღონდ რაღაცა უნდა მოემოქმედნა. ასე ვიდექით საკმაოდ დიდხანს საბრძოლო მზადყოფნაში. მერე ისევ განძელებზე დავიწყეთ ფორთხვა, რადგან მალე ცაში შევამჩნიეთ ვილაცის თვითმფრინავი და უნტერ-ოფიცრებმა მორთეს ღრიალი: „Alles decken, decken!“² მალე გამოირკვა, თურმე თვითმფრინავი ჩვენი

¹ ჩამოაცვით ხიშტი! (გ ე რ მ.).

² ყველამ თავი შეაფარეთ! (გ ე რ მ.).



ყოფილა, და შეცდომით ჩამოაგდო ჩვენმა არტილერიამ. ისევ წამოვდექით, არავითარი ბრძანება არ ისმის, ვდგევართ „თავისუფლად!“ უცბად ვხედავთ, ჩვენსკენ ცხენს მოაქვნიან კავალერისტი. ჯერ კიდევ შორიდან გვიყვირის: Wo ist Batalionskommando? ¹ ბატალიონის მეთაური მიეგება მხედარს. კავალერისტმა გადასცა მას რაღაც ფურცელი და გაქუსლა. ბატალიონის მეთაურმა გზაშივე წაიკითხა მიღებული ქაღალდი და ანაზღად, თითქოს გაგიჟდაო, იძრო ხმალი და ჩვენკენ გამოქანდა. „Alles zurück! Alles zurück!“ ² — დაუღრიალა მან ოფიცრებს. — „Direktion Mulde, einzeln abfallen!“ ³ და დაიწყო! თითქოს ეს იყო, ამას ელოდნენო, ყოველი მხრიდან გააჩაღეს ცეცხლი. ლიანდაგიდან მარცხნივ სიმიანდის ყანა იყო. აი სად დატრიალდა ჯოჯოხეთი! ფორთხვა-ფორთხვით გავემართეთ ხეობისკენ, ზურგჩანთები იმ წყეულ განძელებზე დავყარეთ. ობერ-ლეიტენანტ მაციეს ტყვია თავში მოხვდა და იქვე განუტევა სული, ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო. სანამ ხეობაში ჩავფორთხდებოდით, ბევრი ჯარისკაცი მოგვიკლეს და დაგვიჭრეს, მივატოვეთ ისინი და მოვკურცხლეთ უკანმოუხედავად, ვირბინეთ, ვიღრე არ დაღამდა. მთელი მხარე ჩვენ მისვლამდე უკვე გატიალებული იყო ჩვენივე ჯარისკაცების მიერ. ერთადერთი, რაც დავინახეთ, ეს იყო გაძარცული ალალი. ბოლოს მივლასლასდით სადგურამდე, სადაც ახალი ბრძანება გველოდებოდა: ჩასხედით ვაგონებში და უკან შტაბში დაბრუნდითო; ამის შესრულება ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან წინადლით მთელი შტაბი მტერმა ჩაიგდო ხელში. ეს ამბავი ჩვენ დილასვე ვიცოდით. ამრიგად, ობლის მდგომარეობაში აღმოვჩნდით, არავინ გვცნობდა, ყველა ზურგს გვაქცევდა. მიგვაშაგრეს სამოცდამეცამეტე პოლკს, რომ უკან დახევა გაგვადვილებოდა; ამან ძალიან გაგვახარა, მაგრამ სამოცდამეცამეტე პოლკს რომ დაეწეოდით, მთელი დღე შეუხსვენებლად ჩქარი მარშით სირბილი მოგვიხდა.

ხოდოუნსკის ყურს აღარავინ უგდებდა. შვეიკი და ვანეკი „გრძელი მარიაციის“ თამაშით იყვნენ გართულნი. ოფიცერთა სამზარეულოს მზარეულ-ოკულტისტი განაგრძობდა გრძელი წერილის წერას თავისი მუღულისადმი, რომელიც ქმრის ჯარში წასვლის შემდეგ შედგომია ახალი თეოსოფიური ჟურნალის გამოცემას. ბალოუნი მერხზე თვლემდა, და ტელეფონისტ ხოდოუნსკის მეტი

¹ სადაა ბატალიონის მეთაური? (გ ე რ მ.).

² ყველანი უკან ყველანი უკან (გ ე რ მ.).

³ გეზი ღარტაფისკენ, თითო-თითოდ! (გ ე რ მ.).

აღარაფერი დარჩენოდა, რამდენჯერმე ჩაელაპარაკა: „ღიახ, მე ეს არასოდეს არ დამავიწყდება! ღიახ, არ დამავიწყდება!“

მერე წამოდგა, მივიდა მოთამაშეებთან და კარტში ჩახედა.

— უკეთესი იქნებოდა ჩიბუხი დაგემზადებინა ჩემთვის, — მეგობრული კილოთი უთხრა შვეიკმა ხოლოუნსკის, — ღიახ, ჩიბუხი, რაკი ადექი იმისათვის, რომ კარტში ჰკრეტა დაიწყო. „გრძელი მარიაჟი“ — სერიოზული ამბავია, გაცილებით უფრო სერიოზული ვიდრე მთელი ეს ომი და თქვენი წყეული ავანტიურა სერბიის საზღვარზე. მე ამ წუთში უდიდესი სისულელე ჩავიდინე! რომ შემძლოს საკუთარ თავს მივაფურთხებდი ამ სისულელისათვის. ბელიდან გავუშვი მეფე სწორედ იმ დროს, როცა ვალეტი, მომივიდა. გამოტვინებული და შტერი ვარ, აბა რა ვარ ამის შემდეგ!

ამასობაში მზარეულ-ოკულტიტმა დაასრულა წერილი და შეუდგა მის გადაკითხვას, აშკარად კმაყოფილი იმით, რომ ასე მოხერხებულად გამოიყვანა ყველაფერი და სამხედრო ცენზურა ყინულზე გააცურა:

„ძვირფასო მეუღლე!

როცა ამ წერილს მიიღებ, მე უკვე მატარებელში ვიქნები, ვინაიდან ფრონტზე მივდივართ, ეს მაინცდამაინც ძალიან არ მახარებს, რადგან მატარებელში უსაქმურად ვიქნები და არავის არაფერში გამოვადგები, რამდენადაც ჩვენს ოფიცერთა სამზარეულოში აღარაფერი მზადდება, საკმელ-სასმელს სადგურებზე გვახვედრებენ. რა დიდი სიამოვნებით მოვუმზადებდი ბატონ ოფიცრებს სეგედინის გულიაშს *, როცა უნგრეთში მოგვიხდებოდა გავლა! მაგრამ მთელი ჩემი იმედები გამიცრუვდა. იქნებ, როცა ჰალიციაში მივალთ, მომეცეს შესაძლებლობა მოვამზადო ნამდვილი ჰალიციური „შოულა“ — მოშუშული ბატის ხორცი უჩენჩო ქერის ფაფით ან ბრინჯით. მერწმუნე, ძვირფასო ჰელენკა, მე მთელი ჩემი გულით ვცდილობ, რაც კი შემიძლია, შევუმსუბუქო ბატონ ოფიცრებს ცხოვრება, რომელიც აღსავსეა ათასი ზრუნვითა და დაძაბული შრომით. მე პოლკიდან სამარშო ბატალიონში მიმავლინეს, რაზედაც დიდი ხანია ვოცნებობდი, რადგან მინდოდა ჩემი უმნიშვნელო სახსრებით ამეყვანა ოფიცერთა საველე სამზარეულად სათანადო სიმაღლეზე. გაიხსენე, ძვირფასო ჰელენკა, როცა ჯარში გამიწვიეს, შენ სულითა და გულით გსურდა მოვხვედრილიყავი კარგ უფროსებთან. შენი სურვილი აღსრულდა: მე არამცთუ სასაყვედურო არაფერი მაქვს, პირიქით, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბატონი ოფიცრები — ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან, მე

კი ღვიძლ მამასავით მეპყრობიან. პირველშეძლებისთანავე ჩუქ-საველე ფოსტის ნომერს გაცნობებ:

ეს წერილი იმის შედეგი იყო, რომ მზარეულ-ოკულტისტა ბოლოს და ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანა პოლკოვნიკი შრედერი, რომელიც აქამდე მას მფარველობდა. ამას წინათ სამარწო ბატალიონის ოფიცერთა ვახშამზე, რაღაც ეშმაკად, პოლკოვნიკს კვლავ დააკლდა ხბოს თირკმელების რულეტის, კუთვნილი ულუფა, „მშობელი მამა“ გაწყრა და თავისი „ღვიძლი შვილი“ სამარწო ბატალიონით ფრონტზე გაგზავნა, პოლკის ოფიცერთა სამზარეულო კი კლაროვას ბრძების სკოლის რომელიღაც საცოდავ მასწავლებელს ჩააბარა.

მზარეულ-ოკულტისტმა კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი დაწერილს. წერილი ფრიად დიპლომატურად მიიჩნია იმისათვის, რომ ცოტა ხნით მაინც დაიზღვია თავი ბრძოლის კელისგან მოშორებით დარჩენილიყო, ვინაიდან, რაც გინდათ ისა თქვით და თვით ფრონტზეც მზარეულის თანამდებობა თავისებური დეზერტირობა გახლავთ. თუმცა, სამხედრო სამსახურში გაწვევამდე, მან ოკულტური სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორმა და გამომცემელმა, ერთი დიდი სტატია დაწერა იმის შესახებ, რომ არავის სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს, და ერთიც — სულთა გადასახლების შესახებ.

ახლა იგი მივიდა შვეიცარიის და ვანეკთან და დაიწყო კარტუმი ცქერა. ამ დროს ორივე მოთამაშეს სულ გადაავიწყდათ უმცროს-უფროსობა. ისინი ახლა ორნი კი არა, უკვე სამი თამაშობდნენ მარიაჟს — მათ ხოდოუნსკი შეუერთდა.

ორდინარეცი შვეიცი უხეში გინებით მიმართავდა უფროს გადამწერ ვანეკს.

— პირდაპირ გაცეხას ვარ, როგორ ახერხებთ ასე სულელურად თამაშს, ხომ ხედავთ, რომ იგი რენონსებით თამაშობს, რომ მე არა მყავს აგურის კარტი, და მაინც, როგორც უტვინო პირუტყვი, რვიანის ნაცვლად ჯვრის ვალეტს ჩამოდიხართ, ეს დოყლაპია კი იგებს.

— რა მოხდა, რა ყვირილი ატეხე ერთი წაგებისათვის. — გაისმა უფროსი გადამწერის თავაზიანი პასუხი. — თქვენ თვითონ თამაშობთ ილიოტივით. თითებიდან ხომ ვერ გამოვიწოვ აგურის რვიანს, როცა აგურის კარტი სრულებით არ გამაჩნია, — მყავს მხოლოდ ყვავისა და ჯვრის დიდი კარტი. ეხ, შე საროსკიპოს ზედამხედველო!

— მაშინ, შე კუთისკოლოფო, შენა, უთუღფოდ უნდა გეთამაშა! — ღიმილით ურჩია შვეიკმა. — ზუსტად ასეთივე ამბავი მოხდა ერთხელ ღვინის სარდაფში ვალშოვას მახლობლად. იქაც ერთ გა-

მოთაყვანებულს თითქმის სულ თულფები ჰყავდა, მაგრამ მათ არ იყენებდა. სულ ახალსა და ახალს ყიდულობდა და, ამრიგად, თამაშში უკან იხევდა. და მერე რა კარტი ჰქონდა! სულ სხვადასხვა ფერის, ყველაზე დიდი კარტი: ისევე როგორც ახლა, თქვენ რომ უთულფოდ ითამაშოთ, მე არაფერ სიკეთეს მომიტანდა, იმ საღამოსაც არც ჩემთვის და არც სხვა რომელიმე მოთამაშისათვის ეს სრულებით არ იყო სასარგებლო. ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა და ჩვენ სულ ვიყიდდით და ვიყიდდით კარტს. ველარ მოვითმინე ამგვარი სისულელე და ვეუბნები: „ბატონო ჰეროლდ, კეთილ იხებეთ, თავს ნუ იგდებთ, უთულფოდ ითამაშეთ“. მან შემომიბოძა: სრული უფლება მაქვს ვითამაშო ისე, როგორც მსურს, თქვენ კი ენას კბილი დააჭირეთ, მე უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებულიო. მაგრამ ეს იმ ვაჟბატონს ძვირად დაუჯდა. მიკიტანი ჩვენი ნაცნობი იყო, ოფიციალტი ქალიც ჩვენდამი კეთილად განწყობილი, პატრულს კი სათანადო ახსნა-განმარტება ჩავაბარეთ, და ყველაფერი შესანიშნავად მოგვარდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ხულიგნობაა. როცა ღამის სიმშვიდეს არღვევ და ეძახი პატრულს მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხი დაგისხლტა სამიკიტნოს კარებთან, წაიჭეცი, ცხვირი დაჰკარი ყინულზე და სისხლი წაგსკდა. გარდა ამისა, ჩვენ ხელიც არ გვიხლია იმ კაცისათვის, „მარიაჟის“ დროს რომ მამაძაღლობდა. როცა ვამხილეთ ამ მამაძაღლობაში, ისე სწრაფად მოჰკურცხლა, რომ მთელი ძალ-ღონით დაეჯახა კარებს. მიკიტანმა და ოფიციალტმა დაადასტურეს, რომ ჩვენ მართლაც ძალზე ჯენტლმენურად გვეჭირა თავი, იმ კაცის თავზე კი ახია, რაც მოუვიდა, — მეთიც ეკუთვნოდა. საღამოს შვიდი საათიდან შუალამემდე ეჯდა ერთ ტოლჩა ლუდს, ერთ ჭიქა სოდიან წყალს და თავი დიდ კაცად მოჰქონდა მხოლოდ იმიტომ, რომ უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ამ პროფესორს, ამ განსწავლულ ადამიანს კი ინჩი-ბინჩი არ ჯაეგებოდა მარიაჟში... მაშ ასე, ვინ ჩამოდის ახლა, ვისი ხელია?

— ახლა ვითამაშოთ „დამატებით ყიდვაზე“, — შესთავაზა მზარელ-ოკულტისტმა, — ათ-ათი ჰელერით * და ორ-ორით.


— უკეთესი იქნება გვიამბოთ, — წინადადება შემოიტანა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა, — სულთა გადასახლებაზე, როგორც ეს უამბეთ ერთ ქალს კანტორაში, როცა ცხვირი გაიტეხეთ.

— სულთა გადასახლების ამბები მე მსმენია, — გამოეხმაურა შვეიცი. — ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთხელ როგორღაც გადავწყვიტე, სხვებს რომ არ ჩამოვრჩენოდი, ხელი მომეკიდა, — მაპატიეთ ასეთი გამოთქმა, — თვითგანათლებისათვის და წავედი პრალის სამრეწველო საზოგადოების სამკითხველო დარბაზში. მაგრამ

რადგანაც, წარმოსადეგი გარეგნობისა არ ვიყავი და უკანალზეც შარვალის გაცვეთილი მქონდა, სამკითხველო დარბაზში არ შემომხვევს, უკან გამაბრუნეს, ექვი შეეპარათ, ალბათ, ქურქების მოსაპარავად არის მოსულიო. მაშინ ჩავიციე სადღესასწაულო კოსტიუმი და მუზეუმის ბიბლიოთეკაში* წაველი. იქ მე და ამხანაგს მოგვეცეს წიგნი სულთა გადასახლების შესახებ. იმ წიგნში ამოვიკითხე, რომ ერთი ინდოეთის მეფე გარდაცვალების შემდეგ ღორად იქცა, მაგრამ როცა ეს ღორი დაკლეს, იგი მაიმუნად გადაიქცა. მაიმუნისგან — მაჩვად, მაჩვისგან მინისტრად. სამხედრო სამსახურში დაერწმუნდი, რომ ეს ამბავი ნაწილობრივ შეიცავს სიმართლეს. ყველა სამხედრო, რომელსაც თუნდაც ერთი ვარსკვლავი აკერია სამხრეთულზე, ჯარისკაცს ან ზღვის გოქს უწოდებს, ან რომელიმე სხვა მსუცის სახელს. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ათასი წლის წინათ ეს უბრალო ჯარისკაცები სახელოვანი სარდლები იყვნენ. ომიანობის დროს კი სულთა ასეთი გადასახლება — უდიდესი სისულელეა. ეშმაკმა იცის, რა მეტამორფოზას არ განიცდის ადამიანი, ვიდრე იქცეოდეს, ვთქვათ, ტელეფონისტად, მზარეულად ან ქვეით ჯარისკაცად! და უეცრად ასეთს ყუმბარა მოხვდა და თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ მისი სული რომელიღაც საარტილერიო ცხენის სხეულში ჩასახლდა. მერე ბატარეას, რომელიც სიმაღლეს იკავებდა, ყუმბარა მოხვდა და ცხენი, რომელშიც გადასახლებულ იყო მიცვალებულის სული, ნაკუწ-ნაკუწად იქცა. სული თვალის დახამხამებაზე გადასახლდა სააღალო ძროხაში, რომლის ხორცისაგან გულიაშს ამზადებენ მთელი სამხედრო ნაწილისათვის, ძროხისგან — ვთქვათ, ტელეფონისტში გადასახლდა, ტელეფონისტისგან...

— მიკვირს. — შეაწყვეტინა შვეიცს აშკარად ნაწყენმა ტელეფონისტმა ხოდოუნისკიმ, — რატომ სწორედ მე უნდა გავხდე თქვენი იდიოტური ენამახვილობის საგანი?

— თქვენი ნათესავი ხომ არაა ის ხოდოუნისკი, რომელსაც კერძო სამძებრო ბიურო ჰქონდა საფირმო მარკით „OKO“, როგორც წმიდა სამებას*, — გულუბრყვილოდ ჰკითხა შვეიკმა. — მე ძალიან მიყვარს კერძო საპოლიციო აგენტები. რამდენიმე წლის წინათ სამხედრო ბეგარას ვიხდიდი ერთ კერძო აგენტთან ერთად, მისი გვარი შტენდლერი იყო. თავი ნაძვის გირჩას მიუგავდა, ჩვენს ფელდფებელს უყვარდა თქმა, ჩემი ოცი წლის სამსახურის მანძილზე ბევრი მინახავს გირჩისებრი სამხედრო თავი, მაგრამ ასეთი ნაძვის გირჩის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. „გამიგონეთ, შტენდლერი. — ეტყოდა ხოლმე ფელდფებელი შტენდლერს, — წელს რომ მანევრები არ გექნონოდა, თქვენი ნაძვის გირჩისებრი თავი სამ-



ზედრო სამსახურისათვისაც კი არ გამოდგებოდა. მაგრამ ახლა თქვენ გირჩისებრ თავზე ჩვენი არტილერია გამიზენას მაინც აწარმოებს ხოლმე, როცა ისეთ ადგილებში აღმოჩნდებით, სადაც უკეთეს ორიენტირს ვერ ვიპოვით“. და ის ბედშავი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ მეტრსაც არ ვუსურვებ! ზოგჯერ ლაშქრობის დროს გაუშვებდა მას ფელდფებელი ხუთასი მეტრით წინ, მერე გასცემდა ბრძანებას: „მიმართულება — გირჩა-თავი!“ ეს შტენდლერი ნამდვილად უიღბლო ვარსკვლავზე იყო დაბადებული, — კერძო აგენტობაშიც არ წყალობდა ბედი. იგი გვიამბობდა ხოლმე, როცა კანტინაში შევიყრიდით თავს, რა არ გადაუტანია მას ამ სამსახურში! მაგალითად, მიიღებდა დავალებას: უთვალთვალეთ ერთერთი კლიენტის მეუღლესო. ასეთი კლიენტი გაცხარებული მოიბრუნებდა მათ კანტორაში და მოითხოვდა: აბა ერთი ვამიგეთ, აეკიდა თუ არა ჩემი ცოლი სხვა ვინმეს, თუ აეკიდა, ვის აეკიდა და როგორ და სად აეკიდა. ანდა, პირიქით. რომელიმე იჭვენული დედაკაცი შოისურვებს გაიგოს, ვისთან დაეხეტება მისი ქმარი, რომ მიზეზი იშოვოს რაც შეიძლება ხშირად ასტეხოს აურზაური. შტენდლერი განათლებული ადამიანი იყო, ლაპარაკობდა ცოლ-ქმრული ერთგუ-

ღების დარღვევაზე დიდად მორიდებულად და კინალამ ატირდა, როცა გვიამბო, როგორ მოითხოვდნენ მისგან, რომ წაასწროს ქალს ან მამაკაცს *in flagranti*¹. სხვას მის ადგილზე გაეხარებოდა კიდევ, რომ წაესწრო ასეთი წყვილისათვის *in flagranti*, და თვალებიც გაუფართოვებოდა სიამოვნებისაგან, შტენდლერი კი როგორც თვითონ ამბობდა, ასეთ დროს თვითონ იბნეოდა. იგი ყოველთვის დახვეწილად მეტყველებდა ხოლმე და ამბობდა, რომ ძალა აღარ შესწევს უტყიროს ასეთ უხამსობას. ჩვენ ნერწყვს ვცლპავდით ძალღებვიით, რომელთაც ცხვირწინ მოხარშული შაშხი გაუტარეს, როცა გვიამბობდა იმ პოზების შესახებ, რომელზეც წასწრებია სხვადასხვა წყვილებს. უშვებულეზოდ როცა გეტოვებდნენ ყაზარმაში, ყველაფერ ამას დაწერილებით აგვიწერდა ხოლმე: ასეთ და ასეთ პოზაში მინახავს მე ესა და ეს პანი ამ და ამ პანთან, — და მათ მისამართებსაც გვეუბნებოდა. ამას რომ გვიამბობდა, ძალზე მოწყენილი იყო ხოლმე. — ჩამდენი სილა უკმევიათ ჩემთავას ერთსაც და მეორესაც! მაგრამ ყველაზე დიდ ლოდან მეწვა გულზე ის, რომ ქრთამებს ვიღებდი. ერთი ქრთამი მაინც ისეთი იყო, სიკვდილამდე არ დამაფიწყებდა. ქალიც დეღიშობილად იყო და მამაკაციც. ოტელში იყვნენ — კარი კი არ ჩაეკეტათ! აი სულელები! დივანზე ვერ დატეულან, რადგან ორივე მსხვილები იყვნენ. ნოხზე გადადიოდნენ ყირას კატის კნუტებივით. ნოხი ქუჩყიანი. დამტკერილი იყო, ნამწვავებით მოფენილი. შევედი თუ არა, ორივე წამოხტა, მამაკაცი წინ ამეტუზა, ხელი ვაზის ფოთოლივით აიფარა. ქალი ზურგით შეტრიალდა, კანზე მკაფიოდ ჰქონდა აღბეკდილი ნოხის მოხატულობა. ხერხემალზე ნამწვი მიწებებოდა. „მაპატიეთ, — ვეუბნები, — პანე ზემეკ, მე კერძო დეტექტივი ვარ, შტენდლერი, ხოდოუნსკის ბიუროდან, და სამსახურებრივი ვალია წაგასწროთ თქვენ *in flagranti*, თანახმად თქვენი პატივცემული მეუღლის განაცხადისა, ქალბატონი, რომელთანაც თქვენ არანებადართულ კავშირში იმყოფებით, გახლავთ პანი გროტი“. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამ მოქალაქეზე უფრო მშვიდი ვინმე. „ნება მომეცით ტანთ ჩავიცვა, — მეუბნება ისე, თითქოს სრულებით არაფერი მომხდარიყოს. ყველაფერში მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მეუღლეა დამნაშავე, რომელიც თავისი უსაფუძვლო ეჭვიანობით მიიძულებს ნებადაურთველი კავშირი დავიჭირო სხვა ქალთან, ამავე უსაფუძვლო ეჭვიანობით შეურაცხყოფას მაყენებს, როგორც ჰმარს, საყვედურებითა და საძაგელი უნდობლობით. მაგრამ თუ

¹ დანაშაულზე (ლ ა თ.)

ყველაფერი საამქარაოზეა გამოტანილი და სირცხვილს ველარ დავემალეები... სად არის ჩემი ნიფხავი? — იკითხა მან ღანჯად. — საწოლზე. — იცვამდა ნიფხავს და განაგრძობდა, თუ სირცხვილს უკვე ველარ დავემალეები, დამრჩენია ერთი: გაყრა. მაგრამ ამით სამარცხვინო ლაქას ვერ მოვიშორებ. საერთოდ გაყრა სერიოზული საქმეა, — მსჯელობდა იგი და თან იცვამდა. — უკეთესი იქნება, თუ ჩემი ცოლი მოთმინებით აღიჭურვება და არ გაახმაურებს ამ ამბავს, თუმცა სულ ერთია, ისე მოიქეცით, როგორც გსურთ. გტოვებთ აქ, ამ ქალბატონთან და მივდივარ. ამასობაში პანი გროტი ლოგინში შემძვრალიყო. პან ზემეკმა ჩამომართვა ხელი და გავიდა. მე კარგად აღარ მახსოვს, შემდეგ რა გვიამბო პან შტენდლერმა, რაზე ელაპარაკა იგი იმ ქალს. ის კი მახსოვს, რომ შტენდლერი, თურმე ფრიად ინტელიგენტურად ემუსაიფა ქალს, რომელიც ლოგინში იწვა, მეტად კულტურულად მსჯელობდა, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ქორწინება სრულებითაც არაა იმისთვის დაწესებული, თვითეული ჩვენთაგანი ბედნიერების გზაზე დააყენოს, და რომ ყოველი მეუღლის ვალია დაძლიოს ავხორცობას, აგრეთვე განიწმიდოს და სულიერად ამალდეს. ამ საუბარში რომ ვიყავი, — გვიამბობდა შტენდლერი, — მე დავიწყე ტანზე გახდა და, როცა უკვე მთლად გავშიშვლდი, გონება დავკარგე და გავველურდი, როგორც ირემი მყვირალობისას, გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა ჩემი კარგი ნაცნობი შტახი, ჩვენი კონკურენტის შტერნის ბიუროს კერძო დეტექტივი. ამ ბიუროსათვის მიუმართავს პან გროტს, თავისი ცოლის წინააღმდეგ ზომების მისაღებად, რომელიც თითქოს ვილაცასთან კავშირში იყო. ამ შტახმა მხოლოდ ესა სთქვა: აჰა. პან შტენდლერი in flagranti პანი გროტთან! მომილოცავსო: ნელა გაიხურა კარი და წავიდა. „ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთია, — თქვა პანი გროტმა, — ნულარ ჩქარობთ ჩაცმას. ჩემს გვერდით საკმაოდ არის ადგილი“. — „ჩემთვის, მოწყალეო ქალბატონო, სწორედ ადგილის შესახებ დგას საკითხი“, — ვუპასუხე, რაც ენაზე მომადგა, ნათქვამის აზრი კი არ მესმოდა. მახსოვს მხოლოდ ის, რომ მე ასე ვმსჯელობდი „თუ ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა და სულ მუდამ კინკლაობენ, ეს ცუდად მოქმედობს, სხვათა შორის, ბავშვების აღზრდაზეც“. მერე შტენდლერმა გვიამბო, თუ როგორ სასწრაფოდ ჩაიკვა ტანთ, როგორ გაქანდა თავისი კანტორისაკენ, რომ დაუყოვნებლივ ყველაფერი ეცნობებინა პან ხოდოუნსკისთვის. გზად შეირბინა სასმელის გადასაკრავად, რომ ცოტა მომაგრებულიყო, მაგრამ, როცა კანტორაში მივიდა, ამ ბედკრულს უკვე ჯვარი ჰქონდა დასმული. იქ მისულიყო შტახი თავი-

სი პატრონის ბრძანებით, რითაც უნდოდა ხოლოუნსკის ობტში მოსულიყო და ეჩვენებინა, რას წარმოადგენს მისი კერძო ბიუროს თანამშრომელი. ხულოუნსკიმ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა გარდა იმისა, რომ დაუყოვნებლივ აფრინა კაცი და პან შტენდლერის ცოლი მოაყვანინა, რომ თვითონ დედაკაცი გასწორებოდა, როგორც წესი და რიგია, ადამიანს, რომელსაც აგზავნიან სამსახურებრივი დავალებით, და მას კი in flagranti წაასწრებს იმ დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც კონკურენციას უწევს. „მას შემდეგ, — გვეტყოდა ხოლმე პან შტენდლერი, როცა ამაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, — ჩემი გოგრა უფრო მეტად დემსგავსა ნაძვის გირჩას“.

— მაშ ვითამაშებთ თუ არა „ხუთი-ათს?“ ვთამაშობთ.

მატარებელი სადგურ მოშონში გაჩერდა. უკვე საღამო იყო, — ვაგონებიდან არავინ გამოუშვიათ.

როცა მატარებელი დაიძრა, ერთ-ერთ ვაგონში გაისმა ხმამაღალი სიმღერა. მომღერალს თითქოს ბორბლების ხმაურის ჩახშობა სურდა. ვიღაც ჯარისკაცი, კაშპერის მთებიდან, რელიგიური ექსტაზით შეპყრობილი საშინელი ბლავილით ასხამდა¹ ხოტბას უნგრეთის ველებზე დაშვებულ წყნარ ღამეს:

Gute Nacht! Gute Nacht!
Allen Milden sei's gebracht.
Neigt der Tag stille zur Ende,
ruhen alle fleiss'gen Hände
bis der Morgen ist erwacht.
Gute Nacht! Gute Nacht!²

— Halt Maul, du Elender² — შეაწყვეტინა სიმღერა ვიღაცამ სენტიმენტალურ მომღერალს, რომელიც უმაღ დადუმდა. იგი ნოაშორეს ფანჯარას.

მაგრამ დაღლილი ხალხი დილამდე არ ისვენებდა. სანთლების შუქზე მთელ მატარებელში, და აქაც, კედელზე ჩამოკიდებული პატარა ნავთის ლამპის შუქზე განაგრძობდნენ „ჩაპაროს“ თამაშს. შვეიკი ყოველთვის, როცა ვინმე წააგებდა თულფების დარიგების

¹ ძილი ნებისა, ძილი ნებისა,
ყველა დაღლილი ეძლევა ძილსა.
დღე მიიწურა, ღამეა მშვიდი.
სურს მოსვენება მკლავს გამრჯეს, მტკიცეს
სანამ ცისკარი არ გაიღვიძებს,
ძილი ნებისა, ძილი ნებისა.

² ხმა ჩაიწყვიტე, შე ყვეუჩო! (გ ვ რ მ.).

დროს, აცხადებდა, რომ ეს ყველაზე სამართლიანი თამაშია, ვინაიდან თვითეულს შეუძლია გამოცვალოს იმდენი კარტი, რამდენსაც მოისურვებს.

— როცა „დამატებით ყიდვაზე“ თამაშობ, — ამტკიცებდა შვეიკი, — შეგიძლია აილო მხოლოდ კიკო ან შვიდიანი, მაგრამ შემდეგ ხელის გაშვება დაგჭირდება. სხვა კარტის ამატება აღარ შეიძლება. თუ აიმატებ — შენი რისკით.

— ვითამაშოთ „ზღოროვიცე“, — შესთავაზათ ვანეკმა და ყველა დიდი აღფრთოვანებით შეეკება ამ წინადადებას.

— ნაზუქის შვილიანი! — გამოაცხადა შვეიკმა, როცა კარტი მოხსნა. — თვითეულისაგან ათი პელერი, ჩამორიგდება ოთხ-ოთხი კარტი. ჩამოდით, შევეცდებით მოვიგოთ.

ისეთი კმაყოფილი სახეები ჰქონდა ყველას, თითქოს არავითარი ომი არ იყო, არც მატარებელი, რომელსაც ჯარისკაცები მოწინავე პოზიციებზე, სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, სასაქლოზე მიჰყავდა; არამედ თითქოს პრალის ერთ-ერთ კაფეში ბანქოს სათამაშო მაგიდას უსხდნენ ირგვლივ.

— როცა თამაში დავიწყე და ხელში სახეირო არაფერი მქონდა, ოთხივე კარტი გამოვცვალე. არ მეგონა, თუ კიკო მომივიდოდა, — თქვა შვეიკმა ერთი პარტიის შემდეგ. — საით მიძვრებით თქვენი მეფით! ვკლავ მეფეს კიკოთი!

იმ დროს, როცა აქ მეფეს კიკოთი კლავდნენ, შორს ფრონტზე მეფეები ერთმანეთს ხოცავდნენ თავისი ქვეშევრდომებით.

საშტაბო ვაგონში, სადაც სამარშო ბატალიონის ოფიცრები განლაგებულიყვნენ, მგზავრობის დაწყებიდანვე უცნაური სიწყნარე სუფევდა. ოფიცრების უმრავლესობა დიდი ყურადღებით კითხულობდა მაგარ ყდაში ჩასმულ პატარა წიგნს „Die Sünden der Väter“. Novelle von Ludwig Ganghofer¹. ყველანი ერთდროულად ჩაჰკირკიტებდნენ ას სამოცდამეერთე გვერდს. ბატალიონის მეთაური კაპიტანი საგნერი ფანჯარასთან იდგა და ხელში ეჭირა ისეთივე წიგნი, იმავე ას სამოცდამეერთე გვერდზე გადაფურცლული. იგი უყურებდა მის წინ გადაშლილ პეიზაჟს და ფიქრობდა იმაზე, როგორ დამაჯერებლად აეხსნა მსმენელთათვის, თუ რა უნდა ეყოს ამ წიგნისათვის. ყველაფერი ეს მეტად კონფიდენციალური იყო. ოფიცრები თანდათან იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პოლკოვ-

¹ „მამების ცოდვანი“, ლუდვიგ ჰანგჰოფერის * რომანი. (გ. ე. მ.).

ნიკმა შრედერმა მთლად დაჰკარგა ჭკუა-გონება. კარგა ხანია იგი შერეკილივით იყო, მაგრამ არავინ მოელოდა, რომ ასე ერთბაშად შეირყეოდა ჭკუაზე. მატარებლის გასვლამდე ყველა ოფიცერს უბრძანა შეკრებილიყვნენ მასთან საბოლოოდ მოსათათბირებლად. თათბირზე მან აცნობა ოფიცრებს, რომ თვითეულმა მათგანმა უნდა მიიღოს ლუდვიგ ჰანგჰოფერის წიგნის „Die Sünden der Väter“ თითო ეგზემპლარი. ეს წიგნები მისი ბრძანებით ბატალიონის კანცელარიაში იყო მოტანილი.

— ბატონებო, — წარმოთქვა მან ფრიალ საიდუმლოდ, — არასოდეს არ დაივიწყოთ ას სამოცდამეერთე გვერდი!

ეს გვერდი დიდის ყურადღებით წაიკითხეს ოფიცრებმა, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ას სამოცდამეერთე გვერდზე ვილაც მარტა ზივიდა საწერ მაგიდასთან, რაღაც როლი შეარჩია და ხმამაღლა გამოთქვა ის აზრი, რომ მაყურებელს გული უნდა შესტიოდეს და იზიარებდეს პიესის გმირის ტანჯვას; მერე იგივე გვერდზე გამოჩნდა ვილაც ალბერტი, რომელიც განუწყვეტილად ოხუნჯობდა, მაგრამ ვინაიდან მისი ოხუნჯობანი ეხებოდა ადრე მომხდარ ამბებს, ისეთი აბლაუბდა გამოდიოდა, რომ პოლტუჩიკმა ლუკაშმა სიბრაზისაგან კბილებით მუნდშტუკი დაფშვნა.

— მთლად გამოთაყუანდა ეს ვადალძეებული ბებერი, — დაასკვნა ყველამ. — ახლა გათავდა; მას სამხედრო სამინისტროში გადაიყვანენ.

კაპიტანმა საგნერმა კარგად მოიფიქრა ყველაფერი და მოსცილდა ფანჯარას. რადგან ღმერთს იგი დიდი პედაგოგიური ნაქით არ დაეჯილდოვებინა, ამიტომ საკმაო დრო მოანდომა, რომ გონებაში ლექციის სრული გეგმა ჩამოეყალიბებინა, რომლითაც უნდა განემარტა ას სამოცდამეერთე გვერდის მნიშვნელობა.

სანამ სიტყვას წარმოთქვამდა, მან მიმართა ოფიცრებს შემდეგნაირად: „Meine Herren!“¹, სწორედ ისე, როგორც მოხუცმა პოლკოვნიკმა იცოდა ხოლმე, თუმცა, ფრონტზე გამგზავრებამდე, მისთვის ყველანი „Kamaraden“² იყვნენ.

— Also, meine Herren!³ — და კაპიტანი საგნერი შეუდგა ლექციის კითხვას იმის შესახებ, რომ გუშინ საღამოთი მას პოლკოვნიკისაგან მიიღო ინსტრუქცია ლუდვიგ ჰანგჰოფერის წიგნის „Die Sünden der Väter“ ას სამოცდამეერთე გვერდის შესახებ.

— Also, meine Herren! — განაგრძობდა იგი ზეიმურად, —

¹ ბატონებო! (გერმ.)

² ამხანაგებო! (გერმ.)

³ მაშ ასე, ბატონებო! (გერმ.)

ჩვენს წინაშეა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ეხება საველე დეპეშების გაშიფვრის ახალ სისტემას.

კადეტმა ბიგლერმა უბის წიგნაკი და ფანქარი ამოიღო და წარმოთქვა: „მზად ვარ, პანე კაპიტან“. მის ხმაში არაჩვეულებრივი მუყაითობა და დანტერესება ჩანდა. ყველამ შეხედა ამ ბრიყვს, რომლის მუყაითობა ნებით განწესებულთა სკოლაში პირდაპირ ედიოტიზმამდე მიდიოდა. იგი მოხალისედ წავიდა ჯარში და პირველშემთხვევისთანავე, როცა ნებით განწესებულთა სკოლის უფროსი ეცნობოდა თავისი მოწაფეების ოჯახურ მდგომარეობას, განაცხადა, რომ მისი წინაპრები წარსულში იწერებოდნენ „ბიუგლერ ფონ ლეიტპოლდად“ და რომ მათ გერბზე გამოსახული იყო ყარყატის ფრთა და თევზის კუდი.

ამ დროიდან კადეტ ბიგლერს „თევზის კუდიანი ყარყატის ფრთა“ შეარქვეს. ბიგლერი ერთბაშად აითვალწუნეს და მწარედაც დასცინოდნენ, მით უმეტეს, რომ გერბი სრულებით არ შეეფერებოდა მისი მამის ფირმას, რომელიც კურდღლისა და ბოცვერის ტყავით ვაჭრობდა. არც ის შეელოდა, რომ ეს რომანტიკული ენთუზიასტი პატიოსნად და გულმოდგინედ ცდილობდა ჩაეყლაპა მთელი სამხედრო მეცნიერება, გამოირჩეოდა მუყაითობით და განა მარტო ის იცოდა, რასაც ასწავლიდნენ. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მეტად იტენიდა თავს სამხედრო ხელოვნებასა და ომების ისტორიაზე არსებული შრომებით. იგი ყოველთვის ჩამოაგდებდა ხოლმე საუბარს ამ თემაზე, სანამ არ შეაწყვეტიდნენ და არ მოაგონებდნენ, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა იგი. ოფიცერთა წრეში ბიგლერი თავს მაღალი ჩინის ოფიცრად თვლიდა.

— Sie, Kadett! ¹ — უთხრა კაპიტანმა საგნერმა. — სანამ ნებას არ დაგრთავთ, კეთილ ინებეთ, იყუჩეთ. თქვენ არაფერს გეკითხებიან. ძალიან ჰკვიანი ჯარისკაცი კი ბრძანდებით, მეტი აღარ შეიძლება! მე საიდუმლო ინფორმაციას გაწოდებთ, თქვენ კი უბის წიგნაკში იწერთ. ეგ წიგნაკი რომ დაჰკარგოთ, სამხედრო-საველე სასამართლოს ვერ ასცდებით!

კადეტ ბიგლერს კიდევ ერთი ცუდი ზნე სჭირდა: როგორც კი რაიმეზე შეუტევდნენ, მაშინვე თავის მართლებას მოყვებოდა; ცდილობდა ყველა დაერწმუნებინა იმაში, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ზრახვები ამოძრავებდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე კაპიტან, — უპასუხა მან, — კიდევაც რომ დამეკარგოს უბის წიგნაკი, ვერავინ გაშიფრავს, თუ

¹ გამიგონეთ, თქვენ, კადეტო! (გერმ.)

რა წერია შიგ. რადგან მე სტენოგრაფიულად ვწერ და ჩემს შე-
პოკლებებს ვერაინ გაარკვევს. მე ვიყენებ იხვლისური სისტემის
სტენოგრაფიას.

ყველამ ზიზლით შეხედა მას. კაპიტანმა საგნერმა ხელი ჩაიქნია
და განაგრძო თავისი- ლექცია:

— მე უკვე შევეხე საველე გადაცემების გაშიფრის ახალ სა-
შუალებას, თქვენ, ალბათ, ვერ მიხვდით, პოლკოვნიკმა რატომ მი-
გვითითა ლუდვიგ ჰანგპოფერის „მამების ცოდვანის“ ას სამოცდა-
შეერთე გვერდზე. ეს, ბატონებო, ახალი საშიფრო სისტემის გასა-
ლებია, რომელიც შემოღებულია ჯარის კორპუსის შტაბის ახალი
განკარგულების თანახმად, — ამ კორპუსზე ვართ ჩვენ მიმაგრებუ-
ლი. როგორც თქვენთვის ცნობილია, მნიშვნელოვან ცნობათა გასა-
შიფრავად საველე პირობებში მრავალი ხერხი არსებობს. უახლესი
მეთოდი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ეს დამატებითი ციფ-
რობრივი მეთოდია. ამით ძალას ჰკარგავს ის შიფრი და მისი გა-
სალები, რომლებიც ამ ერთი კვირის წინათ პოლკის შტაბმა ჩაგა-
ბარათ.

— ერცპერცოვ ალბრეხტის სისტემა, აღებული გრონფელდი-
საგან — 8922 — R, — ცხვირში ჩაიდუღუნა კირკიტა ბიგლერმა.

— ახალი სისტემა გასაოცრად მარტივია, — გაისმოდა ვაგონში
კაპიტანის ხმა. — მე პირადად მივიღე ბატონ პოლკოვნიკისაგან
მეორე ტომი და გასალები. თუ, ვთქვათ, უნდა გადმოგვეცენ ბრძანე-
ბა: Auf der Kote 228, Maschinengewehrfeuer linksrichten', ჩვენ,
ბატონებო, მივიღებთ შემდეგ დებუშას: Sache — mit — uns — das —
— wir — aufsehen — in — die — versprochen — die — Martha —
— dich — das — ängstlich — dann — wir — Martha — wir — den —
— wir — Dank — wohl — Regiekollegium — Ende — wir — ver-
sprachen — wir — gebessert — versprochen — wirklich — denke —
— Idee — ganz — herrscht — Stimme — letzten ².

ეს მეტად მარტივია, ყოველგვარი ზედმეტი კომბინაციების გა-
რეშე. შტაბიდან ტელეფონით ბატალიონში, ბატალიონიდან ტე-
ლეფონით ასეულში. მეთაური, მიიღებს თუ არა ამ დაშიფრულ
დებუშას, გაშიფრავს მას შემდეგნაირად: ავიღებთ „Die Sünden

¹ სიმაღლე 228-ზე მიმართეთ ტუვიამფრკვევის ცეცხლი მარცხნივ. (გ ე რ მ.)

² საგანი — ჩვენ — თან — ეს — ჩვენ — შევხედოთ — ამაში — დაგვიპირდნენ —
ეს — მარტა — შენ — ეს — შიშით — მაშინ — ჩვენ — მარტა — ჩვენ — ამას —
ჩვენ — მადლობა — ნეტარებით — კოლეგია — დასასრული — ჩვენ — დაე-
პირდით — ჩვენ — გავაუმჯობესეთ — დავპირდით — ნამდვილად — ვფიქრობ-
იღვა — სრულიად — ბატონებო — ხმა — უკანასკნელნი. (გ ე რ მ.) .

der Väter“, გადავფურცლავთ ას სამოცდამეერთე გვერდზე და ვეძებთ ზემოდან მოპირდაპირე ას მესამოცე გვერდზე სიტყვა „Sache“-ს¹. ინებეთ ბატონებო! პირველად „Sache“ გვხვდება² ასმესამოცე გვერდზე ფრაზების მიყოლებით ორმოცდამეოთხორმეტე სრტყვად. ახლა მოპირდაპირე ას სამოცდამეერთე გვერდზე ვეძებთ ორმოცდამეოთხორმეტე ასოს ზემოდან. ეს გახლავთ „ა“. შემდეგი სიტყვა დეპეშაში არის mit². ასმესამოცე გვერდზე ეს მეშვიდე სიტყვაა, რომელიც შეეფერება მეშვიდე ასოს ასსამოცდამეერთე გვერდზე „u“, მერე გახლავთ „uns“³, ესე იგი, — გთხოვთ ყურადღებით მისმინოთ, — ოთხმოცდამერვე სიტყვა, რომელიც შეეფარდება ოთხმოცდამერვე ასოს მოპირდაპირე ასსამოცდამეერთე გვერდზე, ეს გახლავთ ასო „f“, ჩვენ გავშიფრეთ „auf“⁴, და ასე განვაგრძობთ, სანამ არ გავშიფრავთ ბრძანებას: „სიმაღლეზე 228. მიმართეთ ტყვიამფრქვევის ცეცხლი მარცხნივ“ ძალზე ჭკუამახვილურადაა, ბატონებო, უბრალოდ, და ყოვლად შეუძლებელია გაშიფვრა, თუ ლუდვიგ ჰანგჰოფერის წიგნის „Die Sünden der Väter“ ას სამოცდამეერთე გვერდს არ გამოვიყენებთ გასაღებად.

ყველა მდუმარედ დააქქერდა ავბედით გვერდებს და ჩაფიქრდნენ. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, და უეცრად შეფიქრიანებულმა კადეტმა ბიგლერმა წამოიძახა:

— Herr Hauptmann, ich melde gehorsam... Jesus Maria! Es stimmt nicht!⁵

და მართლაც, ყველაფერი ბნელით იყო მოცული, რამდენი არ ეცადნენ, რა ხერხს არ მიმართეს, ვერც ერთმა, გარდა კაპიტან საგნერისა, ვერ იპოვა ას მესამოცე გვერდზე დასახელებული სიტყვები, მოპირდაპირე ას სამოცდამეერთე გვერდზე კი, რითაც იწყებოდა გასაღები, ამ გასაღების შესაბამი ასოები.

— Meine Herren! — უხერხულობისაგან დაიბნა კაპიტანი საგნერი, რაკი დარწმუნდა, რომ კადეტი ბიგლერი მართალი იყო. — რაშია საქმე? ჰანგჰოფერის წიგნის „Die Sünden der Väter“ ჩემს ეგზემპლარში ყველაფერი ეს არის, თქვენსაში არა?

— თქვენი ნებართვით, კაპიტან, — გამოეხმაურა ისევ კადეტი ბიგლერი, — გავკადნიერდები და თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ ლუდვიგ ჰანგჰოფერის რომანი ორ ტომადაა.

¹ საგანი. (გ ე რ მ.).

² თან (გ ე რ მ.).

³ ჩვენ (გ ე რ მ.).

⁴ ზე (გ ე რ მ.).

⁵ ბატონო კაპიტანო, მაქვს პატივი მოგახსენოთ... ღმერთო ჩემო არ გამოდის. (გ ე რ მ.)

ინებეთ ამაში დარწმუნება: პირველ გვერდზე წერია „რომანი ორ ტომად“. ჩვენ პირველი ტომი გვაქვს ხელში, თქვენ — მეორე, — განავითარა თავისი მოსაზრება ყოვლისმცოდნე კადეტმა ბიგლერმა, — ამიტომ დღესავით ნათელია, რომ ჩვენი გვერდები ას მესამოცე და ას სამოცდამეერთე არ ემთხვევა თქვენსას. ჩვენ სულ სხვა ტექსტი გვაქვს. დეპეშის პირველი სიტყვა თქვენ უნდა გქონოდეთ „აჟ“, ჩვენთან კი არის „იეს“!

ახლა ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ბიგლერი არც ისეთი ბრიყვი იყო, როგორც აქამდე ეგონათ.

— ბრიგადის შტაბში მე მივიღე მეორე ტომი, — თქვა კაპიტანმა საგნერმა. — ჩანს, რაღაც შეცდომა მოხდა. პოლკოვნიკმა თქვენთვის პირველი ტომი შეუკვეთა. როგორც ჩანს, — განაგრძო მან ისეთი კილოთი, თითქოს მისთვის ყველაფერი ნათელი, უბრალო და გარკვეული იყო ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ შეუდგებოდა გაშიფვრის მეტად მოხერხებული საშუალების შესახებ ლექციის კითხვას, — ბრიგადის შტაბში აურიეს. პოლკს არ აცნობეს, რომ საქმე ეხება მეორე ტომს, და, აი, ხედავთ, რა მივიღეთ.

კადეტმა ბიგლერმა ამაყად მოავლო თვალი ყველა იქ მყოფთ. პოდპორუჩიკმა დუბმა წასჩურჩულა პორუჩიკ ლუკაშს, რომ „თევზის კუდიანმა ყარყატის ფრთამ“ კაპიტანი საგნერი სულ ერთთავად გააბიაბრუაო.

— უცნაური შემთხვევაა, ბატონებო, — კვლავ წამოიწყო კაპიტანმა საგნერმა, რომელსაც სურდა საუბარში ჩაება დამსწრენი და განეფანტა უსიამოვნო დუმლიო. — ბრიგადის კანცელარიაში გონება შეზღუდული ადამიანები არიან მოკალათებულნი.

— თავს ნებას მიცემ, — შეაწყვეტინა დაუღალავმა კადეტმა ბიგლერმა, რომელსაც კვლავ შოესურვა თავისი ჭკუით თავი მოეწონებინა, — ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთი საიდუმლო, ფრიად საიდუმლო ხასიათის საქმეები დივიზიიდან ბრიგადის კანცელარიის გზით არ უნდა იგზავნებოდეს, ჯარის კორპუსის საქმეები, საიდუმლო, ფრიად საიდუმლო საქმეები უნდა ეგზავნებოდეს ფრიად საიდუმლო ცირკულარით მხოლოდ და მხოლოდ დივიზიისა და ბრიგადების ნაწილების მეტაურებს. ჩემთვის ცნობილია შიფრების სიტყვები, რომლებითაც სარგებლობდნენ სარდნილისა და სავოიისთვის ომის დროს, ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ სევასტოპოლის ალყის შემორტყმის დროს, ჩინეთში * ბოქსიორთა აჯანყების დროს და უკანასკნელად რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ეს სისტემები გადაიცემოდა...

— მიგვიფურთხებია ყოველივე მაგაზე, კადეტ ბიგლერ, — ზიზ-



ლითა და უკმაყოფილებით შეაწყვეტინა მას კაპიტანმა საგნერმა. — ცხადია ერთი! სისტემა, რომელზეც ლაპარაკი გექონდა და რომელიც მე თქვენ აგისხენით, არამტუ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, არამედ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მიუწვდომელი. მტრის შტაბების კონტრდაზვერვის ყველა განყოფილებას ახლანა ჩაუფარდებათ, რადგან ვერასგზით ჩვენს შიფრს ვერ ამოხსნიან. ეს რაღაც სრულიად ახალია. ამგვარი შიფრი ჯერ არ არსებულა.

კირკიტა კადეტმა ბიგლერმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა.

— ნებას მივცემ ჩემს თავს მივაქციო თქვენი ყურადღება, პანე კაპიტან, — თქვა მან, — რომ არსებობს კერიკპოფის წიგნი სამხედრო შიფრის შესახებ. ამ წიგნის შოვნა შეიძლება სამხედრო სამეცნიერო ლექსიკონის გამომცემლობაში. იქ დაწერილებით არის აღწერილი, პანე კაპიტან, ის მეთოდი, რომელიც ეს-ესაა აქვენ აგისხენით. ამ მეთოდის გამომგონებელია პოლკოვნიკი კირხნერი. რომელიც ნაპოლეონ პირველის დროს საქსონიის ლაშქარში მსახურობდა. ეს, პანე კაპიტან, გახლავთ კირხნერის მეთოდი, სიტყვებით გაშიფრის მეთოდი. დეპეშის თვითეული სიტყვა იშიფრება გასაღების მოპირდაპირე გვერდზე: ეს მეთოდი გააუმჯობესა პო-

რუჩიკმა ფლეისნერმა თავის წიგნში „Handbuch der militärischen Kryptographie“¹, რომელიც ყოველ მსურველს შეუძლია შეიძინოს სამხედრო აკადემიის გამომცემლობაში ვინერ-ნეიშტადტში აი ინებეთ, პანე კაპიტან.

კადეტმა ბიგლერმა ჩაპყო ხელი პატარა ჩემოდანში და ამოაქვრინა იქიდან წიგნი. რომელზეც ახლახან ლაპარაკობდა!

-- ინებეთ. თქვენა თვალით დარწმუნდით. ფლეისნერს იგივე მაგალითი მოჰყავს. იგივე მაგალითი, რომელიც ჩვენ ახლა მოვისმინეთ.

დებეშა: „Auf der Kote 228, Maschinengewehr feuer linksrichten“.

გასაღები: Ludwig Ganghofer „Die Sünden der väter“. Zweiter Band. გთხოვთ ადევნოთ თვალი შემდგომ, შიფრი „Sache — mit — uns — das — wir — aufsehen — in die — versprochen — die — Martha.“ ზუსტად, სიტყვასიტყვით, სწორედ ისე, როგორც ამ ერთი წუთის წინათ მოვისმინეთ.

შეპასუხებას არავინ ფიქრობდა. ცხვირმოუხოცელი „თევზისკულა ყარყატის ფრთა“ ცამდე მართალი იყო. არმიის შტაბში რომელიღაც გენერალს შეუმსუბუქებია თავისი მუშაობა: უპოვნია ფლეისნერის წიგნი სამხედრო შიფრების შესახებ, და იოლად გასულა.

სანამ ეს ირკვეოდა, პორუჩიკი ლუკაში ცდილობდა დაეძლია გაურკვეველი სულიერი მღელვარება. იგი ტუჩებს იკვნეტდა, უნდა შეპასუხებოდა და ბოლოს თქვა, მაგრამ ის კი არა, რის თქმასაც აპირებდა თავდაპირველად.

— საჭირო არაა ყველაფერი ეს ტრაგედიად ვაქციოთ, — წარმოთქვა მან რაღაც დაბნეულად. — ვიდრე ჩვენ ლეიტას ბრუკში ბანაკად ვიდექით, დებეშის გაშიფვრის რამდენიმე სისტემა შეიცვალა. სანამ ფრონტზე მივალთ, ახალი სისტემები გამოჩნდება, მაგრამ, ჩემი აზრით, იქ, ფრონტზე დრო არ გვექნება ამგვარი საიღუმლო ნაწერების გასაშიფრავად. ვიდრე რომელიმე ჩვენგანი საჭირო დებეშის გაშიფვრას მოასწრებდეს, არც ბატალიონის, არც ასეულის და არც ბრიგადის ხსენება აღარ იქნება. ასე რომ, ამ შიფრებს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ!

კაპიტანი საგნერი უნდომლად დაეთანხმა.

— პრაქტიკულად, — კვერი დაუკრა მან, — ყოველშეკთხვევაში რამდენადაც ვიცი სერბიის ფრონტზე მიღებული ჩემი პრაქტი-

¹ სამხედრო საიდუმლო წერის სახელმძღვანელო. (გვ. 2.)

კიდან, იქ გაშიფვრის დრო არავის რჩება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ შიფრის მნიშვნელობა არა აქვს სანგრებში ხანგრძლივი ყოფნის დროს, როცა იქ ვსხედვართ და ბრძოლას ველოდებით. რაც შეეხება შიფრების ცვლას, ეს მართალია.

კაპიტანი საგნერი ზედიზედ თმობდა თავის პოზიციებს.

— მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამჟამად შტაბიდან პოზიციებზე ბრძანებების გადაცემისას სულ ნაკლებად და ნაკლებად სარგებლობენ შიფრით, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი საველე ტელეფონები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ და გაურკვეველად გადასცემენ, მეტადრე ზარბაზნების გრიალის დროს, ცალკეულ მარცვლებს. აბსოლუტურად არაფერი ისმის, და ამას კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა შეაქვს.

— დაბნეულობა — ყველაზე ცუდი რამაა, რაც შეიძლება ფრონტზე მოხდეს, ბატონებო, — წინასწარმეტყველურად წარმოსთქვა მან და ისევ გაჩუმდა. — ერთი წუთის შეძღვევ, — ალაპარაკდა იგი კვლავ, თან ფანჯარაში იყურებოდა, — ჩვენ რაბეში ვიქნებით. *Meine Herren!* თვითული ჯარისკაცი აქ მიიღებს ასორმოდაათ გრამ უნგრულ ძეხვს. ნახევარ საათს შევისვენებთ. — მან დახედა მარშრუტს. — ოთხის თორმეტზე დავიძვრებით. სამ საათსა და ორმოდათვრამეტ წუთზე — ყველანი ვაგონებში. ვაგონებიდან გამოხვალთ ასეულობით: მეთერთმეტე და ა. შ... *Zugsweise, Direktion Verpflesmagazin № 6*¹. ძეხვის გაცემაზე კონტროლის გაწევა ევალებოდა კადეტ ბიგლერს.

ყველამ შეხედა კადეტ ბიგლერს, თითქოს აფრთხილებდნენ: „შეცინგლიანო, დიდი ბრძოლის გადატანა მოგისღება“.

მაგრამ ბეჯითმა კადეტმა პატარა ჩემოდნიდან ამოიღო ერთი თაბახი ქალაღდი, სახაზავი, ხაზები გაავლო ქალაღდზე, თვითეულ ასეულს გამოუყო ადგილი და გამოკითხა ოფიცრებს მათი ასეულების რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ, მაგრამ არც ერთმა მეთაურმა ხეირიანად არ იცოდა რამდენი ჯარისკაცი ირიცხებოდა ასეულში, მათ შეეძლოთ მხოლოდ დაახლოვებითი ცნობები მიეწოდებინათ, რისთვისაც სარგებლობდნენ უბის წიგნაკებში უცნაური ჩანაწერებით.

ჯავრიან გუნებაზე კაპიტანი საგნერი ლუდვიგ ჰანგჰოფერის ავბედითი წიგნის კითხვას შეუდგა. როცა მატარებელი სადგურ რაბზე გაჩერდა, მან დახურა წიგნი და ჩაილაპარაკა.

— დიახ, ეს ლუდვიგ ჰანგჰოფერი ურიგოდ არ წერს.

¹ ლაშქრულ კოლონებად, მიმართულება — საწყობი № 6 (გ ე რ მ.).

პორუჩიკი ლუკაში პირველი გაღმობტა საშტაბო ვაგონიდან და შევიკისკენ გაეშურა.

შვეიკსა და მის ამხანაგებს უკვე დიდი ხანია ბანქოს თამაში დაემთავრებინათ, პორუჩიკ ლუკაშის დენშჩიკმა ბალოუნმა კი ისეთი შიშხილი იგრძნო, რომ აჯანყდა სამხედრო უფროსების წინააღმდეგ და აქაქანდა, ძ.ლიან კარგად ვიცო, ბატონ ოფიცრებს საკმელი თავზე საყრელი აქვთ და ჭამით სკდებიანო. ახლა ადაპიანი უარეს დღეშია, ვიდრე ბატონყმობის დროს იყო. ძველად სამხედრო სამსახურში ასე არ იყო. ჯერ კიდევ სამოცდაექვსი წლის ომში* ოფიცრები, როგორც ბაბუამ მიამბო, სალდათებს ქათამს: და პურსაც უწილადებდნენ ხოლმე. ბალოუნის წუწუნს ბოლო არ უჩანდა, და შევიკმა საჭიროდ ჩათვალა შეექო სამხედრო წესები და ახლანდელი ომი.

— ძალიან ახალგაზრდა ბაბუა გყოლია, — გულკეთილი ღიმილით შენიშნა მან ბალოუნს, როცა რაბში ჩავიდნენ.

— ბაბუაშენს მარტო სამოცდაექვსი წლის ომი ახსოვს, ჩემი ნაცნობის რანოვსკის ბაბუა კი იტალიაში მსახურობდა ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს. თორმეტი წელიწადი იმსახურა და შინ კაპრალის ხარისხით დაბრუნდა. სამუშაო ვერაფერი იშოვა. და აი, ეს ბაბუა მისივე მამამ დაიჭირა. ერთხელ ისინი საბატონო ბეგარაზე კუნძების ამოსაძირკვევად წავიდნენ. ერთი კუნძი, როგორც იმ ბაბუამ გვიამბო, თავის მამას რომ ჰყავდა დაჭირავებული, ისეთი ზორბა რამ იყო, ადგილიდან ვერ დასძრეს. მაშინ ბაბუამ თქვა: „თავი გავენებოთ ამ ვერანას, რა ეშმაკად ვეწვალეებითო“. ტყისმცველმა გაიგონა მისი ნათქვამი, დაუწყო ყვირილი და ჯოხიც შეძართა დასარტყმელად: „ამოძირკვე, მე შენ გეუბნები, თორემ“... კაპრალმა მხოლოდ ასე უთხრა საპასუხოდ: „შე ლაწირაკო, მე ძველი, სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცი ვარო“. ერთი კვირის შემდეგ კი ამ ძველმა ჯარისკაცმა უწყება მიიღო. ისევ წაბრძანდით სამხედრო ბეგარის მოსახდელად იტალიაშიო. მან იქ კიდევ ათი წელიწადი დაჰყო და შინ მოიწერა, — როცა დაებრუნდები, ნაჯახით თავს გავუბობ მაგ ტყისმცველსო. საბედნიეროდ, სანამ ბაბუა დაბრუნდებოდა ტყისმცველმა სული ღმერთს მიიბარა.

ამ დროს ვაგონის კარებში პორუჩიკი ლუკაში გამოჩნდა.

— შევიკ, ერთი აქვთ მოდიოთ! — იხმო მან შევიკი. — თავი გაანებეთ თქვენს სულელურ ლაქლაქს და ზოგიერთი რამ ამიხანენით.

— მესმის, მოვდივარ, პანე ობერ-ლეიტენანტ.

პორუჩიკმა ლუკაშმა წაიყვანა შევიკი, თან ისეთი თვალებით შეხედა, რომ მათ მომავალ საუბარს კარგი პირი არ უჩანდა.

საქმე ის იყო, რომ პორუჩიკმა ლუკაშმა კაპიტან საგნერის ლეკციის დროს, რომელიც ასეთი დიდი მარცხით დამთავრდა, შეაჯამა რა ფაქტები, იპოვა გამოცანის ერთადერთი შესაძლებელი ამოხსნა. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, პორუჩიკ ლუკაშს ამისთვის მანცლამანც დიდად თავის მტკრევა არ დასჭირვებია, ვინაიდან ფრონტზე გამგზავრების წინა დღეს შვეიკმა ასე უპატაკა ლუკაშს: „პანე ობერ-ლეიტენანტ, ბატალიონში ბატონ ოფიცოებისათვის რაღაც წიგნები აწყვია. მე ისინი პოლკის კანცელარიიდან მოვიტანე“.

როცა ლუკაშმა და შვეიკმა მეორე ლიანდაგი გადასჭრეს და ჩამქრალ ორთქლმავალთან გაჩერდნენ, რომელიც აგერ უკვე მთელი კვირა ელოდებოდა საბრძოლო მასალებით დატვირთულ მატარებლის მოსვლას, ლუკაშმა პირდაპირ ჰკითხა:

— შვეიკ, რა მოუვიდა ამ წიგნებს?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ეს ძალზე ვრძელი ამბავი გახლავთ, თქვენ კი ყოველთვის გული მოგდით ხოლმე, როცა რაიმეს დაწვრილებით გიამბობთ. გახსოვთ, თქვენ როგორ დახიეთ ოფიციალური მომართვა სამხედრო სესხის შესახებ და გინდოდათ ერთი კინკრიხოში გეთაქათ კიდევ ჩემთვის, მე კი ამაზე გიამბოთ, რომ ერთ წიგნში ეწერა, წინათ, ომის დროს რამდენს იხდიდნენ ხოლმე ფანჯარიდან; თვითეულ ფანჯარაში იხდიდნენ ოც ჰელერს და ერთ ბატშიც ამდენივეს...

— ასე, ჩვენ, შვეიკ, ვერასოდეს ვერ დავამთავრებთ ჩვენს საუბარს, — შეაწყვეტინა პორუჩიკმა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაკითხვა ისე წარემართა, რომ მთავარი და მნიშვნელოვანი ამ არამზადა შვეიკს არ გაეგო.

— იცნობთ ჰანგჰოფერს?

— ვის ბრძანდება? — თავაზიანად შეეკითხა შვეიკი.

— გერმანელი მწერალია, შე უტერო, შენა! — გაბრაზდა პორუჩიკი ლუკაში.

— ვფიცავ ყველაფერს, პანე ობერ-ლეიტენანტ, — თქვა შვეიკმა, თან მას სახეზე გულწრფელი ტანჯვა გამოეხატა, — პირადად არცერთ გერმანელ მწერალს არ ვიცნობ. ვიცნობდი მხოლოდ ერთ ჩემ მწერალს დომაჟლიცელ ლადისლავ ჰაეკს. იგი უწონდა „ცხოველთა სამყაროს“ რედაქტორობდა. წმინდასისხლიანი შპიცის ნაცვლად მას ეზოს ძალი შევაჩეჩე. ძალიან მზიარული და წესიერი ადამიანი იყო. ყოველთვის ერთსა და იმავე სამიკიტნოში დადიოდა და თავის მოთხრობებს კითხულობდა. მოთხრობები ისეთი მოსაწყენი და ნაღვლიანი ჰქონდა, რომ შველა სიცილით იგუდებოდა,



თვითონ იგი კი ტიროდა და ყველას მაგივრად იხდიდა დანახარჯს. ჩვენ, სამაგიეროდ მისთვის უნდა გვემღერა:

დომაელიცის კოშკი
ვილაცას მოუხატავს.
ქალებს კონიდა ათასს
ვისაც ის მოუხატავს.
დღეს აქ არ არის, არა:
მკვდარი გაიპარა.

— თეატრში ხომ არ გგონიათ თავი! რა გაბღაღებთ ოპერის მომღერალივით, — წაისისინა შეშინებულმა პორუჩიკმა ლუკაშმა. როცა შვეიკმა უკანასკნელი ფრაზა ჩააღიღინა: „მკვდარი გაიპარა“... ამას კი არ გეკითხებით, მე მინდა მხოლოდ ის ვიცოდე, მიაქციეთ თუ არა ყურადღება, რომ წიგნები, რომელთა შესახებ ჩვენ ვლაპარაკობდით პანგპოფერის თხზულება იყო? მაშ ასე, მიპასუხეთ, რა მოუვიდა იმ წიგნებს? — გაჯავრებით მიახალა პორუჩიკმა.

— აი იმათ, რომელნიც პოლკის კანცელარიიდან მოვიტანე? — თავის მხრივ შეეკითხა ჩაფიქრებული შვეიკი. — ისინი მართლაც დაწერილი იყო, პანე ობერ-ლეიტენანტ, იმ მწერლას მიერ, რომლის შესახებ თქვენ მეკითხებოდით, ვიცნობ თუ არა მე ასეთს. მე

პირდაპირ პოლკის კანცელარიიდან მივიღე ტელეფონოგრამა. იცით, იმათ უნდოდათ ეს წიგნები ბატალიონის კანცელარიაში გაეგზავნათ, მაგრამ კანცელარიაში ადამიანის ბაიბური არ ისმოდა; ყველანი წაუღალაყვენენ კანტინაში, ეს აუცილებელი იყო, რადგან, როცა კაცი ფრონტზე მიდის, არავინ იცის, კიდეც მოესწრება თუ არა იგი ოდესმე კანტინაში ჯდომას. პოლა, ისინი იქ იყვნენ, ისხდნენ და სვამდნენ. ტელეფონით სხვა სამარშო ასეულებშიც ვერავის დაუკავშირდნენ. მე კარგად მახსოვდა თქვენი ბრძანება — როგორც ორდინარეცი ვალდებული ხარ იმორიგეო ტელეფონთან, ვიდრე ჩვენთან ტელეფონისტ ხოდოუენსკის არ მოავლინებენო. მე ვიჯექი და ველოდებოდი, სანამ მოვიდოდა ჩემი შეცვლის ჯერი. პოლკის კანცელარიაში იგინებოდნენ, ვერავის დავუკავშირდით ტელეფონით, მიღებულია. ტელეფონოგრამა პოლკის კანცელარიიდან წაიღონ წიგნები მთელი სამარშო ბატალიონის ბატონ ოფიცრებისათვის. ვინაიდან კარგად მესმის, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ სამხედრო სამსახურში უნდა იმოქმედო სწრაფად, მე მათ ვუპასუხე, თვითონ წავიღებ ამ წიგნებს და ბატალიონის კანცელარიაში ჩავაბარებ-მეთქი. ისეთი მძიმე ზურგჩანთა მომცეს, რომ ძლივს მივათრიე. გადავათვალე რე ეს წიგნები და ჩემებურად განვსაზღვრე: უფროსმა გადამწერმა პოლკის კანცელარიაში მითხრა, რომ თანახმად ტელეფონოგრამისა, რომელიც გადაცემული იყო პოლკში, ბატალიონში უკვე იციან, ამ წიგნებიდან რომელი უნდა აარჩიონ, მათგან რომელი ტომია საჭირო. ეს წიგნები ორ ტომად იყო — პირველი ტომი — ცალკე, მეორე — ცალკე. ჩემს სიტოცხლეში ამდენი არ მიცინია, ვინაიდან ბევრი წრგნი წაშიკითხავს, ოღონდ არასოდეს მეორე ტომით არ დამიწყია კითხვა. უფროსი გადამწერი კვლავ მეუბნება: „აი თქვენ პირველი და მეორე ტომი. რომელი ტომი უნდა წაიკითხონ ბატონმა ოფიცრებმა, უკვე თვითონ იციან!“ მე გავიფაქრე, ალბათ, ყველა გადაკრულშია-მეთქი, რადგან წიგნს ყოველთვის თავიდან კითხულობდნენ ხოლმე. ეთქვათ, რომანი მამების ცოდვათა შესახებ, რომელიც მე მოვიტანე (შეიძლება ითქვას, გერმანული ენა ასე თუ ისე ვიცი), უნდა დავიწყოთ პირველი ტომიდან, ჩვენ ხომ ებრაელები არა ვართ, და ბოლოდან ხომ არ ვკითხულობთ. მე რე ტელეფონით შეგეკითხეთ თქვენ, პანე ობერ-ლეიტენანტ, როცა ოფიცრთა საკრებულოდან ბრუნდებოდით, გიპატაკეთ ამ წიგნების შესახებ, შეგეკითხეთ, ომში ყველაფერი თავდაყირა ხომ არ მიდის-მეთქი, და წესად ხომ არ შემოგვიღია უკუღმა კითხვა — ჯერ მეორე ტომი ხომ არ უნდა წავიკითხოთ, და შემდეგ . პირველი-თქო. ამის საპასუხოდ თქვენ

„გალეშილი პირუტყვი“ მიწოდეთ, როგორ არ იცითო, რომ „მამაო ჩვენოში“ ჯერ „მამაო ჩვენო“ იკითხება და მერე ბოლოს „ამინო“... ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს, პანე ობერ-ლეიტენანტ? — გულ-შემატკივრად შეეკითხა შვეიკი, როცა დაინახა, ფერდაკარგულმა პორუჩიკმა ლუკაშმა ხელი როგორ ჩასჭიდა ჩამჭრალი ორთქლმავლის საფეხურს.

ლუკაშის ფერდაკარგული სახე უკვე აღარ გამოხატავდა გაბრაზებას. სახეზე უნუგეშო სასოწარკვეთილებას ამოიკითხავდით.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, შვეიკ... უკვე გამიარა. მორჩა. აწყველაფერი სულერთია...

— და მეც, როგორც მოგახსენეთ, — გაისმა შვეიკის მშვიდი ხმა მიყრუებულ ლიანდაგზე, — სწორედ მაგრე ვფიქრობდი. ერთხელ ვაყიდე სისხლიანი რომანი ბაკონის ტყის ყაჩაღ როჟ შავანეზე. მას პირველი ნაწილი აკლდა. დამჭირდა ბევრი ფიქრი და თავის ტეხა, რა უნდა ყოფილიყო დასაწყისში. ყაჩაღების ცხოვრების ისტორიის გასარკვევადაც ხომ საჭიროა პირველი ნაწილი. ჩემთვის საესეებით ნათელი იყო, რომ ბატონ ოფიცრებისათვის სრული უაზრობა იქნებოდა ჯერ მეორე ნაწილი წაეკითხათ, და მერე პირველი, ჩემის მხრივ ღიდ სისულელეს ჩაეიდენდი, თუ ბატალიონს გადაეცემდი იმას, რაც პოლკის კანცელარიაში მითხრეს: ბატონმა ოფიცრებმა თვითონ იციან რომელი ტომი წაიკითხონ. საერთოდ ამ წაგნების მთელი ეს ამბავი, პანე ობერ-ლეიტენანტ, მეტად უცნაურად და დიდი საიდუმლოებით მოცულ ამბავად მეჩვენებოდა. ვიცოდი, რომ ბატონი ოფიცრები საერთოდ ცოტას კითხულობენ, ომის ქარცეცხლში კი...

— თავი გაანებეთ. სისულელეებს, შვეიკ, — დაიკვნესა პორუჩიკმა ლუკაშმა.

— მე ხომ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მაშინვე გკითხეთ, გასურთ თუ არა ორივე ტომი ერთად. მაშინ თქვენ ზუსტად ასეთნაირადვე მიპასუხეთ, თავი გაანებეთ სისულელეებსო — მოგიცლიათ რაღაც წიგნებისათვისო. ამიტომ გადავწყვიტე: რაკი თქვენ ასე ფიქრობთ, დანარჩენი ბატონი ოფიცრებიც ასევე იფიქრებენ-მეთქი. ამის შესახებ მოვეთათბირე ჩვენს ვანეკს. იგი ხომ ფრონტზე ნამყოფია და ასეთ საქმეებში გამოცდილიც. მან მითხრა, ბატონ ოფიცრებს პირველ ხანებში ეგონათ, თითქოს ომი — სისულელეა, და ფრონტზე მოჰქონდათ მთელი ბიბლიოთეკები, თითქოს სააგარაკოდ იყვნენ ჩამოსულნი. ოფიცრები ერცჰერცოგებისაგან სხვადასხვა პოეტების სრულ თხზულებათა კრებულებს ღებულობდნენ საჩუქრად, ასე რომ დენშჩიკებს წელი ჰქონდათ მოწყვეტილი მათი თრევით და გაჩენის დღეს იწყებდნენ.

ვანეკმა მიამბო, რომ ეს წიგნები თამბაქოს დასახვევად და მოსაწევად სრულებით არ გამოიყენებოდა, ვინაიდან ძალზე სქელ ქაღალდზე იყო დაბეჭდილი, ფეხისადგილში კი — ასეთი ლექსებით ადამიანი, ბოდის ვხნდი, პანე ობერ-ლეიტენანტ, მთელ უკანალს გამოიტყავებდა. წიგნის საკითხავად ვის ეცალა, რადგან ყოველწუთს მტერს გავუბრბოლით და იძულებული ვიყავით, თანდათან ყველაფერი გადაგვეყარაო. მერე წესად გადაგვექცა: როგორც ზარბაზნების გრიალს გავიგონებდით, ღენშიკს უმაღლვე უნდა გადაეყარა საკითხავად წამოღებული წიგნები. ყველაფერი ეს მე უკვე ვიცოდი, მაგრამ მინდოდა, პანე ობერ-ლეიტენანტ. კიდევ ერთხელ მომესმინა თქვენი აზრი და, როცა ტელეფონით შეგეკითხეთ, რა უყუო ამ წიგნებს-მეთქი, თქვენ მითხარით, თუ რამე ჩაგიჯდათ მაგ გამოტვინებულ თავში, არ მოეშვებით, სანამ ყურის ძირში ერთი მაგარი სილა არ მოგხვდებაო. ამრიგად, პანე ობერ-ლეიტენანტ. ბატალიონის კანცელარიაში მე წავიღე ამ რომანის მხოლოდ პირველი ტომი, მეორე ტომი ჯერჯერობით ჩვენი ასეულის კანცელარიაში დავტოვე. ეს კეთილი განზრახვით გავაკეთე, რათა ამის შემდეგ, როცა ბატონი ოფიცრები წაიკითხავენ პირველ ტომს, მიმეწოდებინა მეორე ტომი, როგორც ბიბლიოთეკაში ხდება ხოლმე. მაგრამ უეცრად მოვიდა ცნობა ფრონტზე გამგზავრების შესახებ, და მთელს ბატალიონში გადაცემულ იქნა ტელეფონოგრაფა — ყველაფერი რაც ზედმეტია პოლკის საწყობში ჩააბარეთო. მე ისევ ბატონ ვანეკს მივმართე, ხომ თვლით თქვენ რომანის მეორე ტომს ზედმეტად-მეთქი. მან მიპასუხა, სერბიაში, პალიციასა და უნგრეთში მიღებული სავალალო გამოცდილების შემდეგ არავითარი საკითხავი წიგნი ფრონტზე არ მიაქვთო. ერთადერთი, რაც სასარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს, ეს გახლავთ ყუთები ქალაქებში, რომელშიც ჯარისკაცები წაიკითხულ გაზეთებს აწყობენ, ვინაიდან გაზეთში კარგად შეიძლება შევახვიოთ თამბაქო ან თოვა, რომელსაც ჯარისკაცები თამბაქოს ნაცვლად სწევენ სანგრებში. ბატალიონში უკვე დაარიგეს ამ რომანის პირველი ტომები, მეორე ტომები კი ჩვენ საწყობში წავიღეთ. — შვეიცი გაჩუმდა, მერე ერთი წუთის შემდეგ დასძინა: — იქ, იმ საწყობში, ვინ იცის, რა არ არის, მაგალითად, იქ არის ბუდეიოვიცის რეგენტის ცილინდრი, რომლითაც პოლკში მოვიდა მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ.

— მხოლოდ ერთს გეტყვით, შვეიც, — მიმედ ამოიხრა და ისე, წარმოთქვა პორუჩიკმა ლუკაშმა. — თქვენ არც კი გესმით, რა დიდ დანაშაულს ჩადინართ ხოლმე ზშირად. მე უკვე მომბეზრდა დაუს-



რულებლად გიმეორით, რომ თქვენ იდიოტი ხართ. სიტყვები აღარ მჯოფნის, რომ განვსაზღვრო თქვენი სისულელე. როცა მე თქვენ იდიოტს გიწოდებთ, ეს ძალზე ლმობიერი გამოთქმაა: აქვენი სიბრძნის გამოსახატავად. თქვენ ისეთი საშინელება ჩაიდინეთ, რომ ყველა თქვენი დანაშაული, რომელიც ჩემს ხელში ჩაგიდენიათ, შეიძლება ღვთიურ მუსიკად ჩაითვალოს ახლანდელ თქვენს ნამოქმედართან შედარებით. რომ იცოდეთ, რა სისაძაგლე ჩაიდინეთ, შევიკ... მაგრამ თქვენ ამას ვერასოდეს ვერ გაიგებთ! თუ ოდესმე გაახსენდებათ ეს წიგნები, ლაქლაქს არ მოჰყვეთ, რაც შე ვითხარით მეორე ტომის შესახებ ტელეფონით... ლაპარაკი რომ ჩამოვარდება პირველი და მეორე ტომის შესახებ, თქვენ, ვითომ, მათ შესახებ არაფერი იცით! გასაგებია? — არაფერი იცით, არაფერი გსმენიათ, არც არაფერი გახსოვთ! აბა ერთი გაბედეთ გამხვიოთ რაიმე ხათაბალაში! ღმერთი არ გაგიწყრეთ...

პორუჩიკი ლუკაში ციებცხელებიანივით ლაპარაკობდა, ერთი წუთით ლუკაში გაჩუმდა. შევიკმა იხელთა დრო და გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— გთხოვთ დიდსულოვნება გამოიჩინოთ და მამატიოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მაგრამ ერთი ეს მითხარით, რატომ ვერასო-

დეს გავიგებ ჩემს დანაშაულს; რა ჩავიდინე ასეთი? მე, პანე ობერ-ლეიტენანტი, მხოლოდ იმიტომ გაწუხებთ ამ შეკითხვით, რომ მომავალში თავიდან ავიცილო ამგვარი შეცდომები. ჩვენ ხომ, როგორც იტყვიან ხოლმე, შეცდომებზე ვსწავლობთ. აი, მაგალითად, მსხმელი დანკოველი ადამეცი. მან შეცდომით მარხლის მკაფა შესვა...

შვეიკმა ვერ დაასრულა, რადგან პორუჩიკმა ლუკაშმა შეაწყვეტინა თხრობა:

— გამოთაყვანებულო! არაფერსაც არ გიპასუხებთ შეკითხვაზე. აძვირით თქვენა ვაგონში და უთხარით ბალოუნს, როცა ბუდაპეშტში მივალთ, შტაბის ვაგონში მომიტანოს ბუცი და ლეიძლის პაშტეტი, რომელიც შეხვეულია კალაფირში და დევს ჩემს პატარა ჩემოდანში, ძირზე. ვანეკს კი უთხარით, რომ იგი ჯორია. სამჯერ ვუბრძანე, მოეწოდებინა ასეულის რიცხვობრივი შემადგენლობის ზუსტი ცნობები. დღეს ეს ცნობები დამჭირდა და აღმოჩნდა, რომ მე ძველი ცნობების ამარა ვარ, ჯერ კიდევ გასული კვირიდან

— Zum Befehl, Herr Oberleutnant, — თითქოს შეჰყეფაო შვეიკმა და აუჩქარებელი ნაბიჯით გაემართა თავისი ვაგონისკენ.

პორუჩიკი ლუკაში დახეტილობდა რკინიგზის ლიანდაგზე და თავის თავს ლანძღავდა: „ერთი მაგრად უნდა გამესილაქებინა, მე კი ისე ვემუსაიფები, თითქო ჩემი დიდი მეგობარი იყო!“

შვეიკი დინჯად აძვრა თავის ვაგონში. იგი საკუთარი თავისადმი ღრმა პატივისცემით განიშსკვალა: ყოველდღე ხომ ვერ მოიმოქმედებ ადამიანი რალაც საშინელს, რომლის გაგების უფლებაც კი არა გაქვს.

— პანე ფელდფებელ, — მოახსენა შვეიკმა, როცა თავის ადგილზე დაჯდა, — ბატონი ობერ-ლეიტენანტი ლუკაში, ჩემის აზრით, დღეს შესანიშნავ გუნებაზეა. მან მიბრძანა გადმომეცა თქვენთვის, რომ თქვენ ჯორი ხართ, ვინაიდან სამჯერ მოგთხოვათ ასეულის რიცხვობრივი შემადგენლობის ზუსტი ცნობები, თქვენ კი ყურსაც არ იბერტყავთ.

— ღმერთო ჩემო! — აღელდა ვანეკი. — მე ვაჩვენებ იმათ სერს. იმ ოცეულის მეთაურებს! განა დამნაშავე ვარ, რომ თვითელი მაწანწალა — ოცეულის მეთაური ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება, და არ მიგზავნის ცნობებს ოცეულის შემადგენლობის შესახებ? თითიდან გამოვიწოვო ეს ცნობები, თუ საიდან ავიღო? აი, რა წესები გვაქვს ასეულში! ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ მეთერთმეტე სამარშო ასეულში. მე ამას თავიდანვე ვგრძნობდი, ვი-

ცოდი, ასე იქნებოდა, ერთი წუთითაც ეკვი არ შემპარვია, რომ ჩვენთან უწესრიგობა იყო. დღეს სამზარეულოში ოთხი ულუფა დააკლდათ, ხვალ, პირიქით, სამი ულუფა ზედმეტი აღმოჩნდება. ის ყაჩაღები მაცნობებდნენ მაინც ვინ უწევთ ჰოსპიტალში! ჯერ კიდევ გასულ თვეში ჩემს უწყისში ირიცხებოდა ნიკოდემი და მხოლოდ ჯამაგირის გაცემის დროს გავიგე, რომ ეს ნიკოდემი სწრაფმდინარი კლექისგან ბუდეიოვიცეს ტუბერკულოზის საავადმყოფოში მომკვდარიყო, მის სახელზე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში სურსათ-სანოვანე და ტანისამოსი იცემოდა. ჩვენ გავეცით მის სახელზე მუნდირი, მაგრამ რამ ჩაყლაპა ეს მუნდირი, ღმერთმა იცის. და ყოველივე ამის შემდეგ ბატონი ობერ-ლეიტენანტი მე ჯორს მიწოდებს. მას თვითონ ვერ გაურთმევია თავი ასეულისათვის და ვერ დაუმყარებია იქ სათანადო წესრიგი.

უფროსი პოლკის გადამწერი ვანეკი აღელვებული ბოლთას სცემდა ვაგონში.

— მეთაური რომ ვიყო, ისე ავაწყობდი საქმეს, თქვენი მოწონებული! თვითველ ჯარისკაცზე მექნებოდა ცნობა. უნტერებს ვაიძლებდდი დღეში ორჯერ ეცნობებინათ რიცხობრივ შემადგენლობაზე. მაგრამ რა ექნათ, თუ ჩვენი უნტერები ყოვლად უვარგისები არიან! და ყველაზე უვარგისი კი მათ შორის ოცეულის მეთაური ზიკა ბრძანდება. ლაზღანდარობასა და ანეგდოტებში ატარებს დროს. შენ მას უცხადებ, რომ კოლარეიკი მისი ოცეულიდან განწესებულია ალაღში, იგი კი მეორე დღეს მოგახსენებს, რომ მისი ოცეულის რიცხობრივი შემადგენლობა უცვლელია, თითქოს კოლარეიკი ისევ ჩვენს ასეულში და კვლავ მის ოცეულში ირიცხება. და ასე ყოველდღე. ამის მერე მე ვარ ჯორი! არა, ბატონო ობერ-ლეიტენანტ, ასე თქვენ მეგობრებს ვერ შეიძენთ! უფროსი ასეულის გადამწერი ფელდფებელის ხარისხით — ეს ვინმე ეფრეიტორი არ გეგონოთ, რომელიც ყველას შეუძლია ამოისვას...

ბალოუნმა, რომელიც პირდაპირი იყო უსმენდა, დაამთავრა ვანეკის ნაცვლად იმ უწმაწური სიტყვით, რითაც, როგორც ჩანდა, სურდა საუბარში ჩარეულიყო.

— ჩემად, შენ მანდ, — გაბრაზდა უფროსი გადამწერი.

— ჰო, მართლა, ბალოუნ, — ანაზღად მოაგონდა შვეიკს, — ბატონმა უფროსმა ლეიტენანტმა გიბრძანა, როგორც კი ბუდაპეშტში მივალთ, შიართვა მას ბულკი და კალაფირში გახვეული ღვინის პაშტეტი, რომელიც ბატონ ობერ-ლეიტენანტს ჩადებული აქვს თავის პატარა ჩემოდანში, ძირზე.

გოლიათი ბალოუნი ერთბაშად მოეშვა, იმედდაკარგულად დაე-

კიდა თავისი გრძელი, მაიმუნისებური ხელები, და დიდხანს იყო ასეთ მღვომარეობაში.

— არა მაქვს პაშტეტი, — ძლივს გასაგონად სასოწარკვეთილებით ჩაიბუტბუტა მან, თან ვაგონის ჭუჭყიან იატაკს დაშტერებოდა.

— არა მაქვს, — გაიმეორა მოწყვეტით. — მე მეგონა... ვფიქრობდი... გამომგზავრების წინ მე ის გავხსენი... ვუყნოსე... ხომ არ გაფუჭდა-მეთქი...

— მე ის გავხსინჯე! — წამოიყვირა მან ისეთი გულწრფელი მონანიებით, რომ ყველასათვის ყველაფერი ჩათელი გახდა.

— თქვენ ის კალაფირთან ერთად შესანსლეთ, — შეჩერდა ბალოუნის წინ უფროსი გადამწერი ვანეკი. რგი გამხარულდა. ახლა მას აღარ სჭირდება ამტყაცოს, რომ მარტო იგი არ არის ჯორი, როგორც პორუჩიკმა ლუკაშმა უწოდა. ახლა აშკარაა, რომ „X“ რიცხობრივი შემადგენლობის მერყეობას თავისი ღრმა ფესვები გადგმული აქვს სხვა „ჯორებში“. გარდა ამისა, იგი კმაყოფილი იყო, რომ საუბრის თემა შეიცვალა და დაცინვის ობიექტად იქცა გაუმძღარი ბალოუნი და ახალი ტრაგიკული შემთხვევა. ვანეკი ველარ ისვენებდა და ძალიან უნდოდა ბალოუნისათვის ეთქვა რაიმე უსიამოვნო-ჭკუისდამრიგებლური, მაგრამ ვანეკს მზარეულ-ოკულტისტმა იურაიდამ დაასწრო. მან გვერდზე გადადო თავისი საყვარელი წიგნი — ძველინდური სუტრების „პრაგნა — პარამიტას“ თარგმანი და მიმართა დაღვრემილ ბალოუნს, რომელიც უდრტვინველად იღებდა თავზე დატეხილ ყოველ ახალ უბედურებას.

— თქვენ, ბალოუნ, გამუდმებით უნდა ადევნოთ თვალყური საკუთარ თავს, რომ არ დაჰკარგოთ თქვენი თავისა და ბედისადმი რწმენა. თქვენ უფლება არა გაქვთ მიისაკუთროთ ის, რაც სხვის დამსახურებას შეადგენს. ყოველთვის, როცა თქვენს წინაშე წამოიჭრება პრობლემა, რომლის მსგავსიც თქვენ შეთქვლიდეთ, შეეკითხეთ საკუთარ თავს: „რა დამოკიდებულებაშია ჩემთან ღვიძლის პაშტეტი?“.

შვეიკმა საჭიროდ მიიჩნია ჩათელ ეყო ეს თეორიული დებულება მაგალითით:

— შენ, ბალოუნ, ამბობდი, რომ თქვენთან სულ მალე დაჰკლავენ ლორს, შებოლავენ, და როგორც კი ჩვენი საველე ფოსტის ნომერს გაიგებ, აცნობებ შინ და ლორას ლორს გამოგიგზავნიან, და აი წარმოიღვინე, საველე ფოსტამ ჩვენს ასეულში, გადმოგიგზავნა შენი ლორი, ამ ლორს მე და ასეულის უფროსმა გადამწერმა თითო ნაპერი ჩამოგვეკრით. ლორი ისე მოგვეწონა, რომ კიდევ თი-


თო ნაჭერი მოვთალეთ, ვიდრე ამ ლორს იგივე არ მოუვიდა, რაც ერთ ჩემს ნაცნობ ფოსტალიონს გვარად კოზელს. შაჰ შჰაძელა სჭირდა. ჯერ კოჭებამდე მოსჭრეს ფეხი, მერე მუხლამდე, შემდეგ ბარძაყიც მიაყოლეს და, დროზე რომ არ მომკვდარაყო, განაგრძობდნენ მის თლას, როგორც თლიან ხოლმე ღამტვრეულ გრაფიტის ფანქარს. მაშ ასე, ჩვენ შევსანსლეთ შენი ლორი სწორედ ისე, როგორც შენ ჩახეთქე ბატონ ობერ-ლეიტენანტის ღვიძლის პაშტეტი. გოლიათმა ბალოუნმა იქ მყოფთ ნაღვლიანი თვალებით გადახედა.

— უნდა მიმადლოდეთ, რომ დენშიჩკად დარჩით ბატონ ობერ-ლეიტენანტთან, — მოაგონა ბალოუნს უფროსმა გადამწერმა ვანეკმა. სანიტრად უნდოდათ თქვენი გადაყვანა და მაშინ კი მოგიხდებოდათ დაჭრილების ბრძოლის ველიდან გამოყვანა. ღუკლასთან ჩვენებმა ზედიზედ სამჯერ გაგზავნეს სანიტრები ერთი პრაპორშჩიკის გამოსაყვანად, რომელიც მავთულხლართებთან მუცელში იყო დაჭრილი, და ვერც ერთი სანიტარი იქიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდა — თვითველ მათგანს ტყვია თავში მოხვდა. სანიტრების მხოლოდ მეოთხე წყვილმა შეძლო მისი გამოყვანა ცეცხლის ხაზიდან, მაგრამ სანამ შესახვევ პუნქტში მოიყვანდნენ, პრაპორშჩიკმა სული განუტევა.

ბალოუნმა თავი ველარ შეიკავა და ასლუკუნდა.

— გრცხვენოდეს, — ზიზლით უთხრა შევიკმა. — სალუათი მაინც არ იყო!

— მე რა ვქნა, თუკი ომისთვის გამოუსადეგარი ვარ! აწუწუნდა ბალოუნი. — მართალია ღორმუცელა ვარ, გაუმადლარი, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმის გამოა, რომ მომწყვდიტეს ჩვეულ ცხოვრებას. ეს გვარში გვაქვს. აწგანსვენებულმა მამაჩემმა პროტივინის სამიკიტროში ნაძლევი დადო, რომ სულმოუთქმელად შეჭამდა ორმოცდაათ სარდელსა და ორ მთელ პურს, მან სანაძლეო მოიგო. პირადად მე ერთხელ დავდე სანაძლეო, რომ შევჭამდი ოთხ ბატსა და ორ ჯამ კნელლიკს კომბოსტოთი, და რა გგონიათ, მართლა შევჭამე. ზოგჯერ ნასაღილეეს წასაუზმება მომინდებოდა. შევიდოდი საკუჭნაოში, მოვიჭირდი ერთ ნაჭერ ხორცს, მოვატანიებდი ერთ ტოლჩა ლუდსა და ზედ დავაყოლებდი ორ კილოგრამ შაშხსაც. ერთი მოჯამაგირე გვყავდა ვომელა, მოხუცი კაცი, ჰოდა, იგი ყოველთვის ჭკუას მარიგებდა, რომ ამით თავი არ მომეწონებინა და ავმუცლობას არ დავჩვეულიყავი. მე მასსოვს, — მეტყოდა ხოლმე, — ბაბუა მიაბობდა ერთ ღორმუცელა კაცზეო, რომელიღაც ომის დროს ღვა წელიწადი ზედიზედ პურის მოსაგალი არ იყო, მა-




შინ თურმე რაღაცას ჩაღისა და სეღის კობტონისაგან აცხობდნენ და როცა ცოტაოდენ ხაქოს იშოვნიდნენ რძეში ჩასაყრელად — პური ხომ არ იყო — ეს დიდ დღესასწაულად ითვლებოდა. იმ აგმუცელა გლახმა ერთ კვირაში ფეხები ფშვიკა, რადგან მისმა კუჭმა შიმშილობა ვერ აიტანა.

ბალოუნმა მწუხარებით აღსავეს თვალები ზეცას აღაპყრო.

— მწამს, რომ უფალი ჩვენი, თუმცა სჯის ადამიანს ცოდვებისათვის, მაგრამ თავის წყალობის გარეშე მაინც არ ტოვებს.

— უფალმა შექმნა ღორმუცელები, და თვითონვე იზრუნებს მათზე, — შენიშნა შეეიკმა. — ერთხელ შენ ამისთვის შეგაკოჭეს და ბოძზე მიგაკრეს, ახლა კი სავსებით დაიმსახურე მოწინავე პოზიციებზე წასვლა. როცა მე ბატონ ობერ-ლეიტენანტის დენშჩიკი ვიყავი, იგი ყველაფერში მენდობოდა. მას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ რამეს შევეუქამდი. ზედმეტ ულუფას რომ მოგვცემდნენ, იგი ჩვეულებრივ მეტყოდა ხოლმე: „აიღეთ თქვენთვის ეს, შეეიკ“, ანდა „რად მინდოდა ამდენი რამ, მე ცოტაც მეყოფა. ჩემთვის ერთი ნაწილი დატოვეთ, დანარჩენი თქვენ აიღეთ და როგორც გინდათ, ისე მოიხმარეთ“. როცა პრალაში ვცხოვრობდით იგი რესტორანში მაგზავნიდა ხოლმე სადილის მოსატანად. კერძი ძალზე მცირე იყო იმ რესტორანში, ამიტომ ჩემზე ცუდი რომ არ ვფიქრა ბატონ ობერ-ლეიტენანტს, ჩემი უკანასკნელი ფულით კიდევ ერთ კერძს ვყიდულობდი, ოღონდ კი იგი ხეირიანად გამძღარიყო! მაგრამ როგორღაც ეს ამბავი გაშქლავდა. რესტორანიდან მენიუ მომქონდა ხოლმე, იგი კი საკმელებს არჩევდა. ერთხელ ჩახოხბილი მტრედი ამოირჩია. მომცეს ნახევარი მტრედი. ვიფიქრე, ბატონ ობერ-ლეიტენანტს ეგონება, რომ მეორე ნახევარი მე შეეკვამე-მეთქი. ავიღე და, მეორე ნახევარიც ვიყიდე და შინ ისეთი ულუფა მივიტანე, მეფეს რომ ეკადრება. იმ დღეს სადილობის დროს ჩემს ობერ-ლეიტენანტთან სტუმრად მოსულიყო ბატონი ობერ-ლეიტენანტი შება, რომელიც სწორედ შემთხვევას ეძებდა სადმე ესადილნა, და ორთავემ გული იჯერა ჩახოხბილით. როცა ლაზათიანად გამოძღნენ, ობერ-ლეიტენანტმა შებამ განაცხადა: „არ თქვა, რომ ეს ერთი კერძი იყო. დღეამიწის ზურგზე მენიუთი შენ ვერ მიიღებ მთელ ჩახოხბილ მტრედს. თუ დღეს სადმე ვიშოვე ფული, ჩემს დენშჩიკს გავგზავნი იმ შენს რესტორანში. გამოტყდი, ეს მართლა ორმაგი კერძი იყო?“ ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა ლუკაშმა მიხმო და მოითხოვა დამედასტურებინა, რომ მიაგან სადილის ფული მივიღე ერთი კერძის საყიდლად: რომ არ ვიცოდი, თუ დღეს სტუმარი მეყოლებოდაო. შე დავუღასტურე. „აი ხომ ხედავ!“ —



უთხრა სტუმარს ჩემმა ობერ-ლეიტენანტმა. — მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამას წინათ შევიკმა მომიტანა სადილად ბატის ორი ფეხი. წარმოგიდგინია: ვერმიშელი, ძროხის ხორცი ანჩოუსისა საწებლით, ბატის ორი ფეხი, კნელიკები და კომბოსტო, პირდაპირ მთელი მთა საკმელებისა, და ბოლოს ბლინები.

— უჰ, ეჰ, უჰ! თქვენი ქირიმე! — ტუჩებს ილოკავდა ბალოუნი. შევიკი განაგრძობდა:

— ეს გახდა, როგორც იტყვიან ხოლმე, კლდე საცთურისა. ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა შებამ მეორე დღესვე გაგზავნა აწოწილი დენშიჩიკი ჩვენს რესტორანში. მან საუზმედ ერთი მუჭა ქათმის ფლავი მოუტანა, აი სწორედ იმდენი, ექვსი კვირის ბავშვი რომ მოისაქმებს ჩვრებში — ასე, ერთი-ორი კოვზი თუ იქნებოდა. ბატონი ობერ-ლეიტენანტი შება გაცეცხლებული მივარდა თავის დენშიჩკს: შენ ასეთ-ისეთოო, ნახევარი შეგიჭამიაო, ის საცოდავი კი გაიძახოდა, ხატი-რჯული დამნაშავე არა ვარო. ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა შებამ სილა გააწნა და ჩემი მაგალითი დაუსახელა: იცი რანაირი ულუფები მოაქვს ბატონ ობერ-ლეიტენანტ ლუკაშისათვისო. მეორე დღეს ეს უდანაშაულოდ გალახული დენშიჩიკი

ისევ წავიდა სადილის მოსატანად, გამოიკითხა ჩემი ამბავი რესტორანში და ყველაფერი უამბო თავის ბატონს, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, ჩემს ობერ-ლეიტენანტს აცნობა — ასე და ასე ყოფილაო. საღამოთი გაზეთით ხელში ვზივარ და ბრძოლის ველიდან მიღებულ მტრის შტაბების ცნობებს ვკითხულობ. უეცრად შემოდის ჩემი ობერ-ლეიტენანტი, მთლად გაფითრებული, ერთბაშად მომეარდა — ახლავე მითხარი, ორმაგი უღლფა რამდენჯერ გაქვს რესტორნიდან წამოღებული საკუთარი ხარჯითო; მე ყველაფერი ვიცი და არავითარი უარზე დადგომა არ გიშველისო. დიდი ხანია ჩემთვის ცნობილია, რომ შენ იდიოტი ხარ, — მეუბნება, — მაგრამ თუ გიყი და გადარეულიც იყავი, — ეს უკვე აღარ ვიცოდითო. შენ ისე გამათახსირე, რომ მეტა აღარაფერი დამრჩენია ჯერ შენ დაგახლო ტყვია, მერე მეც მოვიკლა თიავიო. „ბატონო ობერ-ლეიტენანტ, — შევეუდექი ახსნა-განმარტებას. — პირველ დღესვე, როცა თქვენ დენშიჩიად მიღებდით, მითხარით, რომ ყველა დენშიჩი გაიძვერა და არამზადაა. და რადგან ამ რესტორანში მართლაც პატარა ულუფებს იძლეოდნენ, შეგეძლოთ გეფიქრათ, რომ მეც სხვაზე ნაკლები გაიძვერა არ ვიყავი და სადილს გაპარავდით...

— ღმერთო. შემიწყყალე! — აბუტბუტდა ბალოუნი, დაიხარა და აიღო პორუჩიკ ლუკაშის პატარა ჩემოდანი და ვაგონის სიღრმეში მიიმალა.

— მერე პორუჩიკმა ლუკაშმა, — განაგრძო შევიკმა, — ჯიბეები მოიქექა. მაგრამ რაკი იქ არაფერი აღმოჩნდა, ყილვტიდან ვერცხლის საათი ამოიღო და მომცა. ისე აუჩუყდა გული! „შევიკ, — მითხრა მან, — როცა ხელფასს ავიღებ, შემიდგინეთ ანგარიში, რამდენი მმართველს თქვენი. ეს საათი კი — ჩემგან მიიღეთ საჩუქრად. და სხვა დროს ნულარ იქნებით იდიოტი!“ ერთხელ ძალიან გაგვიჭირდა მე და ჩემს ობერ-ლეიტენანტს, და მე საათი ლომბარდში დავაგირავე...

— რას ჩადიხართ მანდ, ბალოუნ? — ანაზღად წამოიძახა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა.

საწყალ ბალოუნს ამ მოულოდნელი შეძახილისაგან სასულეში გადასცდა რალაც. მას უკვე მოესწრო პორუჩიკ ლუკაშის ჩემოდნის გახსნა და პირში იტენიდა მის უკანასკნელ ბულკს.

სადღურს შეუჩერებელი ჩაუქროლა მეორე სამხედრო მატარებელმა, რომელიც სავსე იყო „ლეიჩმაისტერებით“, რომლებსაც სერბიის ფრონტზე აგზავნიდნენ. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გონს



მოსული ვენაში მათ გასაცილებლად გამართული აღფრთოვანებულ-
 ლი შეხვედრისაგან და შეუსვენებლად ღრიალებდნენ:

Prinz Eugenius, der edle Ritter,
 Wollt'dem Kaiser wiedrum kriegen
 Stadt und Festung Belegrad.
 Er liess schlagen einen Brucken,
 dass man kunnth'hinübrucken.
 Mit der Armee wohl für die Stadt¹.

აწკებილულვაშებიანი კაპრალი იდაყვებით დაყრდნობოდა სალ-
 დათებს, რომლებიც კარებში ჩამომსხდარი ფეხებს იქნევდნენ,
 ვაგონიდან გადმოზნექილიყო, სიმღერას ღირიყრობდა და თვითონ-
 ნაც თავდავიწყებით გაჰყვიროდა:

¹ უფლისწული ევგენი, მამაცი რაინდი
 შეჰპირდა ვენის მონარქს დიდს,
 რომ დაუბრუნებს ბელგრადს უკან
 და გადაადგებს პონტონის ხიდს.
 და რომ ამ ხიდზე ფეხით თუ რაშით
 გაივლის ჯარები საომარ მარშით.

Als der Brucken war geschlagen,
dass man kunnt, mit stuck und Wagen,
frei passier'n den Donaufluss.
Bei Semlin schlug man das Lager,
Alle Sorben zu vorjagen...¹

უეცრად მან წონასწორობა დაჰკარგა, ვაგონიდან გადავარდა,
მთელი სიძლიერით რკინიგზის ისრის ბერკეტზე დაეცა მუცლით
და ხიშტზე წამოგებულვიით დაეკიდა. მატარებელი კი განაგრძობდა
სვლას და უკანა ვაგონებში კვლავ გაისმოდა სიმღერა:

Graf Radetzky edler Degen,
Schwur's des Kaisers Feind zu fegen
aus der falschen Lombardei,
In Verona lauges Hoffen,
als mehr Truppen eingetroffen,
fühlt und rührt der Hold sich frei?...²

სულელურ ისარზე წამოგებული მამაცი კაპრალი მკედარი იყო.
ყარაულად მასთან უკვე იდგა ვაგზლის კომენდატურის შემადგენ-
ლობიდან გამოყოფილი ახალგაზრდა ჯარისკაცი, რომელიც განსა-
კუთრებული სერიოზულობით ასრულებდა თავის მოვალეობას.
ის ისე გაჯგვიმული იდგა საგულშაგოზე, თითქოს ეს მან წამოაგო
ისარზე კაპრალი.

ახალგაზრდა სალდათი მადიარი იყო და როცა ოთხმოცდამე-
თერთმეტე პოლკის ბატალიონიდან ჯარისკაცები კაპრალის სანა-
ხავად მიდიოდნენ, ყარაული ისე ღრიალებდა, რომ მისი ხმა მთელ
სადგურზე გაისმოდა:

— Nem szabad! Nem szabad! Komision militär nem szabad!³

— უკვე მოისვენა, — ამოიხვნეშა ყოჩაღმა ჯარისკაცმა შეეიყ-

¹ და ხიდი უკვე გახსნილი არი,
მიდის ფორნები, იძვრის ლაშქარი
და იმ ლაშქართან ღუნაის იქით,
ზემლინის ახლოს დგას ჩვენი ჯარი
რომ სერბებს ცხვირში აღინოს ძმარი...

² გრაფი რადეცი, მამაცი მებრძოლი,
მკვიდრი ცულლუტი ლომბარდიისა
ელოდა ვერონას მეშველ ჯარებს,
ისე უნდოდა განდევნა მტრისა,
და თუმცა ელოდა კარგა ხანს კიდევ,
შეება შეიგრძნო, როცა მოვიდნენ.

³ აკრძალულია აკრძალულია სამხედრო კომისია აკრძალულია (უ ნ გ რ. და
გ ე რ მ.).

მა, რომელიც ცნობისმოყვარეებში გარეუღიყო. — ამას თავის უპირატესობაც აქვს. თუმცა ადამიანმა რკინის ნატეხი იწვინა მუცელში, სამაგიეროდ ყველას ეცოდინება სად იქნება დაკრძალული. მისი საფლავის ძებნა არ დასჭირდებათ უსასრულო ბრძოლის ველებზე. ძალიან სუფთად კი წამოგებულა, — საქმის ცოდნით დასძინა შვეიკმა, როცა კაპრალს ირგვლივ შემოუარა, — ნაწლავები შარვალში დარჩენილა...

— Nem szabad! Nem szabad! — გაჰკიოდა ახალგაზრდა მაღიარი ჯარისკაცი. — Komision militär Bahnhof nem szabad!

შვეიკის ზურგს უკან გაისმა მკაცრი შეძახილი:

— რას აკეთებთ აქ?

მის წინ იდგა კადეტი ბიგლერი. შვეიკმა სამხედრო სალაშქო მისცა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, მიცვალებულს ვათვალეირებთ, პანე კადეტ!

— რა აგიტაციას ეწევით? თქვენ რა გესაქმებათ აქ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე კადეტ, ღირსებითა და დინჯად უპასუხა შვეიკმა, — მე არასოდეს არავითარ „რაგიტაციას“ არ ვეწევი.

კადეტის ზურგს უკან გაისმა სალდათების სიცილი. წინ წაშოდგა უფროსი გადამწერი ვანეკი.

— პანე კადეტ, — განუმარტა მან, — ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა გამოგზავნა აქ ორდინარეცი შვეიკი, რომ გაეგო, რა მოხდა და მოეხსენებინა მისთვის. ამ ცოტა ხნის წინათ მე საშტაბო ვაგონში ვიყავი. ბატალიონის მეთაურის განკარგულებით თქვენ იქ დაგეძებთ მატუშიჩი. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეთ ბატონ კაპიტან საგნერთან.

როცა ერთი წუთის შემდეგ გაისმა ბრძანება „ვაგონებში ჩასხედით!“ ყველამ თავთავის ვაგონს მიაშურა.

ვანეკი შვეიკის გვერდით მიდიოდა და გზაში ასე უთხრა:

— ბევრ ხალხში ნაკლები უნდა ილაპარაკოთ, თორემ უსიამოვნებას გადაეყრებით. რაკი ის კაპრალი „დეიზმაისტერებიდან“ იყო, იტყვიან, რომ თქვენ მისი სიკვდილი გაგეხარდათ. ბიგლერი ხომ ჩეხების დაუძინებელი მტერია.

— კი, მაგრამ, ცუდი ხომ არაფერი მითქვამს, — შეესიტყვა შვეიკი ისეთი კილოთი, ყოველგვარ ეჭვს რომ გაგიქარწყლებდათ. — მხოლოდ ისა ვთქვი, რომ კაპრალი სუფთად წამოგებულა-მეთქი ისარზე და მთელი ნაწლავები შარვალში დარჩენია-თქო... მას შეეძლო...

— გავათავოთ ამაზე ლაპარაკი, შვეიკ, უკეთესი იქნება, — და უფროსმა გადამწერმა ვანეკმა გადააფურთხა.

— ხომ სულ ერთია, — არ ცხრებოდა შვეიკი, — სად გამოგვყარევენ ბენ ნაწლავებს ხელმწიფე-იმპერატორის გულისთვის, აქ თუ იქ. მან თავისი ვალი შეასრულა... მას შეეძლო...

— შეხედეთ, შვეიკ, — შეაწყვეტინა მას ვანეკმა, — ბატალიონის ორდინარეცი მატუშიჩი ისევ გარბის საშტაბო ვაგონისკენ. მაკვირვებს, აქამდე როგორ არ გაიშხლართა რელსებზე.

ცოტა ხნით ამაზე აღრე კაპიტან საგნერსა და ბეჯით ბიგლერს შორის ძალზე მწვავე ლაპარაკი გაიმართა.

— პირდაპირ გაცეხული ვარ, კადეტო ბიგლერ, — დაიწყო კაპიტანმა საგნერმა. — ოად არ მომახსენეთ დაუყოვნებლივ, რომ სალდათებს არ დაურიგეს ას ორმოცდაათი გრაში უნგრული ძეხვი. ახლა მე თვითონ მიხდება სირბილი და იმის გამოკვლევა, რად ბრუნდებიან სალდათები საწყობიდან ცარიელ-ტარიელი. ბატონი ოფიცრები კი ისე იქცევიან, თითქოს ბრძანება-ბრძანება არ არის. მე, მგონი, გარკვევით ვთქვი: „საწყობში სალაშქრო კოლონით წახვალთ ასეულებით“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საწყობში ვერაფერი მიიღეთ, უკან უნდა გამობრუნდნენ სალაშქრო კოლონით ასეულებად. მე გიბრძანეთ, კადეტო ბიგლერ, წესრიგის დაცვა. თქვენ კი ყველაფერი თვითდინებას მიანდეთ. გაგეხარდათ, რაკი საწყობმა არაფერი გასცა, საანგარიშოც აღარაფერი მექნებო, და დამშვიდებული წაბრძანდით, როგორც ფანჯრიდან დაგინახეთ, ისარზე წამოგებული დეიჩმაისტერების კაპრალის სანახავად. როცა მე ვბრძანე, ჩემთან გამოცხადებულიყავით, თქვენ ააფრინეთ ქაღალტური ფანტაზია და რაღაც მიკიბ-მოკიბეთ. იმის გასაგებად წავედი, ისარზე წამოგებულ კაპრალთან, თავშეყრილ სალდათებში რაიმე ავიტაცია ხომ არ წარმოებს-თქო...

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე კაპიტან, მეთერთმეტე ასეულის ორდინარეცი შვეიკი...

— თავი გამანებეთ მაგ თქვენი შვეიკით! — დაუყვირა კაპიტანმა საგნერმა. — არ იფიქროთ, კადეტო ბიგლერ, რომ თქვენ აქ შეძლებთ ინტრიგის გაჩაღებას პორუჩიკ ლუკაშის წინააღმდეგ. შვეიკი ჩვენ გავგზავნეთ იქ... ისე მომჩივებინართ, თითქოს უმიზეზოდ შარს გდებდეთ რამეში. დიახ... შარს გდებთ, კადეტო ბიგლერ... თუ თქვენ პატივს არა სცემთ უფროსს, ცდილობთ როგორმე შეარცხვინოთ და თავი მოსჭრათ საქვეყნოდ, მაშინ, იცოდეთ, კადეტო ბიგლერ, საქმეს ისე მოგიწყობთ, რომ დიდხანს გემახსოვრებათ სადგური რაბი. ამას არ უყურებთ, თავი მოაქვს თავისი თეორიული ცოდნით... დამაცა-

დეთ, აი მივალთ ფრონტზე... მაშინ პირველ რიგში თქვენ გაგზავ-
ნით ოფიცერთა დაზვერვაში მავთულხლართების გადაღმა... ან რა-
სა ჰგავს თქვენი პატაკი? მე არც მომისმენია თქვენი პატაკი, როცა
შემობრძანდით... თეორიულადაც კი არ მომისმენია, კადეტო
ბიგლერ...

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე კაპიტან¹, რომ ნაცვლად
ას ორმოცდაათი გრამი უნგრული ძეხვისა სალდათებმა ორ-ორი
ღია ბარათი მიიღეს. აი, ინებეთ, პანე კაპიტან...

ბიგლერმა მიაწოდა ბატალიონის მეთაურს ვენის სამხედრო არ-
ქივის დირექციის მიერ გამოცემული ორი ღია ბარათი. ამ არქივის
უფროსი იყო ინფანტერიის გენერალი ვოინოვიჩი. ბარათის ერთ
მწარეზე ეხატა რუსი ჯარისკაცი, დიდწვერა გლეხი, რომელსაც
შემოხვეოდა ადამიანის ჩონჩხი. კარიკატურის ქვეშ ეწერა: „Der
Tag, an dem das perfide Russland krepieren wird, wird ein
Tag der Erlösung für ganz unsere Monarchie sein“² მეორე
ბარათი დამზადებული იყო გერმანიის იმპერიაში. ეს იყო გერმა-
ნელების საჩუქარი ავსტრია-უნგრეთის მეომრებისათვის. ბარათის
ზემოთ დაბეჭდილი იყო: „Viribus unitis“³, ქვემოთ მოთავსებული
იყო სურათი — სერ გრეი* სახრჩობელაზე; ამის ქვემოთ კი ავს-
ტრიელი და გერმანელი სალდათები მხიარულად აძლევენ ერთმა-
ნეთს სამხედრო სალამს. სურათის ქვემოთ პატარა ლექსი დაბეჭ-
დათ, ამოღებული გრეინცის წიგნიდან — „რკინის მუშტი“ — მხიარ-
ული კუპლეტები ჩვენს მტერზე. გერმანული გაზეთები აღნიშნა-
დნენ, რომ გრეინცის ლექსი — გესლიანია, აღსავსეა წრფელი
ჰუმორითა და არაჩვეულებრივი სიმახვილით.

სახრჩობელას ქვეშ მოთავსებული ტექსტი თარგმანში ასეთი
იყო:

გ რ ე ი

სახრჩობელაზე ქანაობს გრეი,
მელაკუდების შთამომავალი.
რომ ჩამოეხრჩოთ ის სჯობდა ადრე,
მაგრამ მიზეზი იცით რა არი?
ალარ ხარობენ მუხები ჩვენი,
რომ ჩამოეხრჩოთ ეს ქრისტეს მტერი,

¹ მთელი საუბარი ოფიცრებს შორის, რა თქმა უნდა გერმანულ ენაზე მიმ-
დინარეობს. (ავტ. შენიშვნა.)

² ის დღე, როცა მზაკერული რუსეთი სულს დალევს, ჩვენი მონარქიის
ხსნის დღედ იქცევა. (გერმ.)

³ გაერთიანებული ძალებით (ლათ.).

კაპიტანმა საგნერმა ვერ მოასწრო „წრფელი ჰუმორითა და არაჩვეულებრივი სიმახვილით აღსავსე“ ამ ლექსის ჩაკითხვა, რომ საშტაბო ვაგონში ბატალიონის ორდინარეცი მატუშიჩი შემოვარდა.

იგი გაგზავნა კაპიტანმა საგნერმა სადგურის სამხედრო კომენდატურის ტელეგრაფში იმის გასაგებად, რაიმე ბრძანება ხომ არ არისო. მატუშიჩმა მოარბენინა ბრიგადის ტელეგრამა, რომელსაც გაშიფერა არ დასჭირვებია, რადგან უშიფრო იყო: ტელეგრამა იტყობინებოდა: „Rasch abkochen, dann Vormarsch nach Sokal“¹

შეფიქრებულმა კაპიტანმა საგნერმა თავი გადააქნია.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — თქვა მატუშიჩმა, — სადგურის კომენდანტმა გთხოვათ პირადად თქვენ შეიაროთ მასთან მოსალაპარაკებლად. მიღებულია კიდევ ერთი ტელეგრამა.

ცოტა მოგვიანებით ვაგზლის კომენდანტსა და კაპიტან საგნერს შორის გაიმართა მეტად კონფიდენციალური საუბარი.

პირველი ტელეგრამის შინაარსმა: „სწრაფად მოამზადეთ სადილი, მერე მარშით გასწით სოკალზე“ — განცვიფრება გამოიწვია: ამჟამად ბატალიონი ხომ სადგურ რაბზე* იყო. მიუხედავად ამისა ტელეგრამა მაინც გადაცემულ უნდა ყოფილიყო დანიშნულებიანებზე. მისამართი — ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის სამარშო ბატალიონი, ასლი — სამოცდამეთხუთმეტე სამარშო ბატალიონს, რომელიც უკან იმყოფებოდა, ხელმოწერა სწორი იყო: ბრიგადის სარდალი რიტე ფონ ჰერბერტი“.

— ფრიალ საიდუმლოდ, პანე კაპიტან, — გააფრთხილა ვაგზლის კომენდანტმა. — თქვენი დივიზიიდან მიღებულია საიდუმლო ტელეგრამა. ერთ-ერთი ბრიგადის მეთაური ჰკუხზე შეირყა. იგი ვენაში გაგზავნეს იმის შემდეგ, როცა ამგვარი ტელეგრამები დაგზავნა ბრიგადიდან ყოველი მიმართულებით. ბუდაპეშტში თქვენ მიიღებთ კიდევ ერთ ასეთ ტელეგრამას. ყველა მისი ტელეგრამა, ცხადია, უნდა გაუქმდეს. მაგრამ ჯერჯერობით არავითარი განკარგულება არ მიგვილია. მე ხელთა მაქვს, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ დივიზიის ბრძანება — უშიფრო ტელეგრამები მხედველობაში არ მიიღოთო. მაგრამ ჩაბარებით ისინი მაინც უნდა ჩავაბარო, რადგან ამის შესახებ ინსტანციებიდან არავითარი მითითება არა მაქვს. ჩემი ინსტანციების საშუალებით გამოვკითხე არმიის კორპუსის სარდლობას საქმის ვითარება.

¹ სწრაფად მოამზადეთ სადილი, მერე მარშით გასწით სოკალზე. (გ ე რ მ.).

— მე ძველ მესანგრეთა სამსახურის კადრის ოფიცერი ვარ, ... დასძინა მან. — მონაწილეობა მაქვს მიღებული პალიციაში ჩვენი სტრატეგიული რკინიგზის მშენებლობაში.

— პანე კაპიტან, — ერთი წუთის დუმილის შემდეგ წარმოს-
თქვა მან, — ჩვენ ძველებს, რომლებმაც სამსახური უბრალო ჯა-
რისკაცებად დავიწყეთ, მხოლოდ და მხოლოდ ფრონტზე გვერე-
ებიან, ამჟამად სამხედრო სამინისტროში სამოქალაქო გზათა
ინჟინრები, რომლებმაც ნებით განწესებულის გამოცდა ჩააბარეს,
პანტასავით ჰყრია... თუმცა, თქვენ ხომ თხუთმეტი წუთის შემდეგ
განაგრძობთ გზას. მახსოვს, ერთხელ, პრალია კადეტთა სკოლაში,
როგორც თქვენი უფროსი ამხანაგი, ტრაპეციაზე ვარჯიშში გშვე-
ლოდით. მაშინ ჩვენ ორთავე უშვებულებოდ დაგეტოვეს. თქვენც
ხომ უმართავდით მუშტიკირებს გერმანელებს თქვენს კლასში!...
თქვენთან ერთად სწავლობდა ლუკაში და მგონი, დიდი მეგობრე-
ბიც იყავით. ყველაფერი ეს მომაგონდა, როცა ტელეგრაფით მივი-
ღე სამარშო ბატალიონის ოფიცერების სია, რომლებიც სამარშო ბა-
ტალიონით ჩემს სადგურზე გაივლიდნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალ-
მა ჩაიარა. მე მაშინ დიდი სიმპათიით ვიყავი გამსჭვალული კადეტ
ლუკაშისადმი..

კაპიტანი საგნერი ამ საუბარმა დააღონა. მან იცნო ის, ვისაც
ელაპარაკებოდა. კომენდანტი, როცა იგი კადეტთა სასწავლებლის
მოსწავლე იყო, ანტიავსტრიულ ოპოზიციას ხელმძღვანელობდა.
მაგრამ შემდეგ სამსახურში დაწინაურების სურვილმა გაუქარწყლა
ოპოზიციური მისწრაფებანი. განსაკუთრებით გულს მოხვდა კაპი-
ტან საგნერს პორუჩიკ ლუკაშის ხსენება, რომელსაც რაღაც მიზე-
ზების გამო სამსახურში მაინცღამაინც არ წყალობდნენ და დაწი-
ნაურების დროს, გვერდს უვლიდნენ.

— პორუჩიკი ლუკაში — შესანიშნავი ოფიცერია, — ხაზგასმით
აღნიშნა კაპიტანმა საგნერმა. — როდის მიდის ჩვენი მატარებელი?
სადგურის კომენდანტმა საათს დახედა:

— ექვს წუთში.

— მივდივარ, — აჩქარდა საგნერი.

— ვფაქრობდი, გამოთხოვებისას რამეს მეტყოდით, საგნერ...

— Also, nazdar², — უპასუხა საგნერმა და გავიდა ვაგზლის
კომენდანტურის შენობიდან.

¹ ორივე ოფიცერი გერმანულ ენაზე საუბრობდნენ. ეს ფრაზა ასე უღერდა: Sie haben sich damals auch mit den deutschen Mitschülern gerauft (ავტ. შენიშვნა).

² მაშ ასე, მშვილობით — ავტორი ხაზს უსვამს, რომ საგნერი იწყებს გერ-
მანული „Also“-თი და ამთავრებს ჩეხური „nazdar“-ით.



როცა კაპიტანი საგნერი საშტაბო ვაგონში დაბრუნდა, ოფიცრები ყველანი ადგილზე ნახა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და „ჩაპაროს“ (frische viere) თამაშობდნენ. მხოლოდ კადეტი ბიგლერი არ თამაშობდა. იგი ფურცლავდა თავის ჩანაწერებს სამხედრო მოქმედებათა ფრონტის ამბებზე და ოცნებობდა თავი გამოეჩინა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ლიტერატურულ ასპარეზზეც, როგორც სამხედრო ამბების მემატიანეს. გასაოცარი ფრთებისა და „თევზის კუდის“ მქონე ბიგლერი აპირებდა გამხდარიყო სახელმძღვანელო სამხედრო მწერალი. მისი ლიტერატურული ცდები იწყებოდა მრავლისაღმქმელი სათაურებით და მათში, ვით სარკეში, ასახული იყო იმ ეპოქის მილიტარიზმი. მაგრამ თემები ჯერ დამუშავებული არ ჰქონდა, თაბახის მეოთხედებზე მომავალი შრომების მხოლოდ სათაურები იყო აღნიშნული.

„ღიადი ომის მეზობლთა სახეები“, „ვინ წამოიწყო ომი?“ „ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა და მსოფლიო ომის წარმოშობა“, „ჩანაწერები სამხედრო მოქმედებათა ფრონტიდან“, „ავსტრია-უნგრეთი და მსოფლიო ომი“, „ომის გაკვეთილები“, „პოპულარული ლექცია ომის წარმოშობის შესახებ“, „მოსაზრებანი სამხედრო-

პოლიტიკურ თემებზე“, „ავსტრია-უნგრეთის დიდების დღე“, „სლავების იმპერიალიზმი და მსოფლიო ომი“, „სამხედრო დოკუმენტები“, „მასალები მსოფლიო ომის ისტორიაზე“, „მსოფლიო ომის დღიური“, „ყოველდღიური მიმოხილვა მსოფლიო ომისა“, „პირველი მსოფლიო ომი“, „ჩვენი დინასტია მსოფლიო ომში“, „ავსტრია-უნგრეთის ხალხები თოფის ქვეშ“, „ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის“, „ჩემი გამოცდილება მსოფლიო ომში“, „ქრონიკა ჩემი სამხედრო ლაშქრობისა“, „როგორ მომბენ ავსტრია-უნგრეთის პტრები“, „ვინ გაიმარჯვებს?“, „ჩვენი ოფიცრები და ჩვენი სალდათები“, „ღირსსახსოვარი ქმედებანი ჩემი სალდათებისა“, „დაისი ომის ეპოქიდან“, „გაცხარებულ ბრძოლაში“, „წიგნი ავსტრია-უნგრეთის გმირებზე“, „რკინის ბრიგადა“, „კრებული ჩემი წერილებისა ფრონტიდან“, „ჩვენი სამარშო ბატალიონის გმირები“, „სახელმძღვანელო სალდათებისათვის ფრონტზე“, „ბრძოლის დღეები და გამარჯვებათა დღეები“, „რა ვნახე და რა განვიცადე ბრძოლის ველზე“, „სანგრებში“, „ოფიცერი მოგვითხრობს...“, „ავსტრია-უნგრეთის შვილებთან ერთად, წინ!“, „მტრის აეროპლანები და ჩვენი ქვეითი ჯარი“, „ბრძოლის შემდეგ“, „ჩვენი არტილერიისტები — სამშობლოს ერთგული შვილები არიან“, „ჯოჯოხეთის მთელი ძალებიც კი რომ აღსდგნენ ჩვენს წინააღმდეგ...“, „თავდაცვითი ომი და შეტევითი ომი“, „რკინა და სისხლი“, „გამარჯვება ან სიკვდილი“, „ჩვენი გმირები ტყვეობაში“.

კაპიტანი საგნერი მივიდა კადეტ ბიგლერთან, გადაათვალიერა ყველა ხელნაწერი და შეეკითხა, რად დაგიწერია ყოველივე ეს და რას წარმოადგენენ ისინიო.

კადეტმა ბიგლერმა აღტაცებით უპასუხა, თვითელი წარწერა წიგნის სათაურს წარმოადგენს, რომელსაც იგი დასწერს. რამდენი სათაურიცაა, იმდენი წიგნი იქნებაო.

— მე მინდა, პანე კაპიტან, რომ, როცა ბრძოლის ველზე დავეცემი, ჩემი ხსოვნა დარჩეს. ჩემი იდეალია გერმანული პროფესორი უდო კრაფტი. იგი დაიბადა ათას რვაას სამოცდაათ წელს, მიმდინარე მსოფლიო ომში მოხალისედ შევიდა ჯარში და დაიღუპა ათას ცხრაას თოთხმეტი წლის ოცდაორ აგვისტოს ანლოში. სიკვდილის წინ გამოაქვეყნა წიგნი „თვითაღზრდა იმპერატორისთვის თავგანსაწირავად“¹.

კაპიტანმა საგნერმა გაიყვანა ბიგლერი ფანჯარისკენ.

¹ Udo Kraft „Selbsterziehung zum Tod für Kaiser“. C. F. Amelang's Verlag, Leipzig. (გვ. 8).

— მაჩვენეთ, კადეტ ბიგლერ, კიდეც რა გაქვთ. ძალიან მაინტერესებს ამგვარი საქმიანობა, — ირონიის დაუფარავად მიმართა კაპიტანმა საგნერმა. — ის რა რვეული იყო, უბეში რომ ჩაიდევით?

— ისე, უბრალო რამაა, პანე კაპიტან, — შეცბუნდა ბიგლერი და ბავშვივით სახე აეტკიცა. — ინებეთ.

რვეული დასათაურებულ იყო:

ავსტრია-უნგრეთის არმიის ჯარების ლირსშესანიშნავ
და სახელოვან ბრძოლათა სქემები.

შედგენილია ისტორიულ გამოკვლევათა საფუძველზე
საიმპერატორო-სამეფო ოფიცრის
ადოლფ ბიგლერის მიერ.

შენიშვნები და კომენტარები დაურთო
საიმპერატორო-სამეფო
ოფიცერმა ადოლფ ბიგლერმა.

სქემები ძალზე პრიმიტიული იყო.

რვეული იწყებოდა ნერდლინგენთან* 1934 წლის 6 სექტემბერს მომხდარი ბრძოლის სქემით. შემდეგ მიდიოდა ბრძოლები ზენტასთან* — 1697 წლის 11 სექტემბერს, კალდიეროსთან* — 1805 წლის 31 ოქტომბერს, ასპერნთან — 1809 წლის 22 მაისს, ხალბთა ბრძოლა ლაიპციგთან — 1813 წელს, ბრძოლა სანტა-ლუჩიასთან* — 1848 წლის მაისში და ბრძოლები ტრუტნოვასთან* — 1866 წლის 27 ივნისს. უკანასკნელი სქემა ამ რვეულში იყო 1878 წლის 19 აგვისტოს სარაევოსთან* მომხდარი ბრძოლის სქემა. ბრძოლის სქემები და გეგმები არაფრით არ განიჩიეოდა ერთიმეორისაგან. კადეტმა ბიგლერმა ერთი მეომარი მხარის პოზიციები ცარიელი უჯრედებით აღნიშნა, მეორესი — დამტრიახული უჯრედებით. ერთ მხარეზეც და მეორეზეც იყო მარცხენა ფრთა, ცენტრი და მარჯვენა ფრთა. უკან — სათადარიგო ჯარი. იქაც და აქაც აღნიშნული იყო ისრები. ნერდლინგენთან ბრძოლის სქემა ისევე, როგორც სარაევოს ბრძოლის სქემა ფეხბურთის მინდორს მოგვაგონებდა, სადაც თამაშის დაწყებამდე განლაგებული იყვნენ მოთამაშეები. ისრები კი უჩვენებდნენ, საითკენ უნდა გაესროლათ ბურთი მხარეებს.

ეს იმწამსვე მოუვიდა თავში კაპიტან საგნერს, და იკითხა:

— კადეტო ბიგლერ, თქვენ ფეხბურთს თამაშობთ?

ბიგლერი კიდეც უფრო აიტკიცა და ნერვიულად აახამხამა თვლები; გეგონებოდათ, ეს-ესაა ტირილს შორთავსო. კაპიტანი საგნერი დაცინვით ფურცლავდა რვეულს და შეჩერდა შენიშვნაზე, რო-

მელიც დართული ჰქონდა ავსტრია-პრუსიის ომში ტრუტნოვასთან მომხდარ ბრძოლის სქემას.

კადეტი ბიგლერი წერდა: „ტრუტნოვასთან შეუძლებელი იყო ბრძოლის გამართვა იმის გამო, რომ მთიანი ადგილმდებარეობა ხელს უშლიდა გენერალ მატუხელს გაეშალა დივიზია, რომელსაც ემუქრებოდნენ ჩვენი მარცხენა ფლანგის გარშემო მაღლობებზე განლაგებული ძლიერი პრუსიული კოლონები“.

— თქვენის აზრით, ტრუტნოვასთან ბრძოლა, — ჩაიცინა კაპიტანმა საგნერმა და რვეული დაუბრუნა კადეტ ბიგლერს, — შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტრუტნოვას სწორი ადგილმდებარეობა ექნებოდა. ეჰ, თქვენ მართლაც ბუდეიოვიცეს ბენედეკო*!..

— კადეტო ბიგლერ, დიდად სასიამოვნოა თქვენის მხრივ, რომ საიმპერატორო ჯარების რიგებში ყოფნის მოკლე მანძილზე ცდილობდით ჩაწვდომოდით სტრატეგიას. სამწუხაროდ, თქვენ ყველაფერი ისე გამოგდით, თითქოს ცხვირმოუხოცელი ბიჭუნები სალდათობანას თამაშობენ და თვითონვე ნიშნავენ თავიანთ თავს გენერლებად. თქვენ ისე სწრაფად იცვლით სამხედრო ჩინს, რომ გულს სიაამე ეფინება! საიმპერატორო-სამეფო ოფიცერო ადოლფ ბიგლერ! ასე ჩვენ ბუდაპეშტამდე მისვლასაც ვერ მოვასწრებთ, თქვენ კი უკვე ფელდ-მარშალი გახდებით. ჯერ კიდევ ამ ორი დღის უკან მამათქვენთან საქონლის ტყავს წონილით, საიმპერატორო-სამეფო პანე ლეიტენანტ ადოლფ ბიგლერ! გამიგონეთ, თქვენ ჯერ ოფიცერიც არა ხართ. კადეტი ხართ. რაღაც საშუალო — ეფრეიტორსა და უნტერ-ოფიცერს შორის. თქვენ ისეთივე უფლებით შეგიძლიათ ოფიცერი უწოდოთ საკუთარ თავს, როგორც ეფრეიტორი, რომელიც სამი-კიტნოში ყველას აფრთხილებს „ბატონი უფროსი გადამწერი“ მიწოდეთო.

— მისმინეთ, ლუკაშ, — მიუბრუნდა იგი პორუჩიკს, — კადეტი ბიგლერი შენთან ირიცხება ასეულში. ეს ყმაწვილი ერთი-კარგად მართოკე. მას ოფიცრად მოაქვს თავი. დაე, ჯერ ბრძოლაში დაიმსახუროს ეს ხარისხი. როცა მიძინებარე საარტილერიო ცეცხლი გაჩაღდება და ჩვენ შეტევაზე გადავალთ, მაშინ, დაე, კადეტმა ბიგლერმა თავისი ოცეულით გადაჭრას მავთულ-ხლართები, *der gute Jungel!*¹ *A propos*², შენ მოგიკითხა ციკანმა, იგი სადგურ რაბზს კომენდანტია.

¹ კარგო ყმაწვილო! (გ ე რ მ.).

² ჰო, მართლა (ფ რ ა ნ გ.).

კადეტი ბიგლერი მიხვდა, რომ მასთან ლაპარაკს მორჩნენ, სა-
ლამი მისცა და კიბოსავეით გაწითლებული სირბილით გაუყვა ვა-
გონის დერეფანს, ვიდრე მის ბოლოში არ აღმოჩნდა.

მთვარეულივით გაალო მან საპირფარეოს კარი და დაამტერდა
გერმანულ-უნგრულ წარწერას „კლოზეტით სარგებლობა ნებადარ-
თულია მხოლოდ მოძრაობის დროს“, აქსუტუნდა, ასლუკუნდა და
მწარედ აქვითინდა. მერე ჩაიხადა შარვალი და ჰინთვა დაიწყო,
თან ცრემლებს იწმენდა. მერე გამოიყენა რვეული, რომელიც
დასათაურებული იყო, „ავსტრია-უნგრეთის არმიის ღირსშესანიშნავ
და სახელოვან ბრძოლათა სქემები, შედგენილი საიმპერატორო-
სამეფო ოფიცრის ადოლფ ბიგლერის მიერ“. წაბილწული რვეული
გაპქრა ხვრელში, დაეცა რკინიგზის ლიანდაგზე, და აქეთ-იქით
მიაწყდა რელსებს გაქანებული მატარებლის ქვეშ.

კადეტმა მოიბანა გაწითლებული თვალები წყლით და დერეფან-
ში გამოვიდა; გადაწყვიტა, რომ ძლიერი ყოფილიყო, უზომოდ
ძლიერი. დილიდანვე თავი და მუცელი სტკიოდა.

მან ჩაუარა უკანა კუბეს, სადაც ბატალიონის ორდინარეცი
მატუშიჩი ბატალიონის მეთაურის დენშჩიკს ბატერს ვენურ თა-
მაშს — „შნაპსს“ (სამოცდაექვსს) ეთამაშებოდა.

კადეტმა ბიგლერმა კუბეს ღია კარებში შეიხედა და ჩაახველა.
მათ მოიხედეს და განაგრძეს თამაში.

— განა არ იცი, რა გმართებთ? — შეუტია კადეტმა ბიგლერმა.

— მე არ შემეძლო, *miis'd' Trump ausgang*“¹, — უპასუხა
კაპიტან საგნერის დენშჩიკმა კაშპერის მთების საშინელ გერმანულ
დიალექტზე. პანე კადეტ, მე აჯურის კარტს უნდა ჩამოვსულიყა-
ვი, — განაგრძო მან, — დიდ აჯურის კარტს, და ამის შემდეგ ერთ-
ბაშად ყვავის მეფე... აი რა უნდა მექნა...

კადეტ ბიგლერს ხმა აღარ ამოუღია, თავის კუთხეში მიიყუტა.
როცა მასთან პოდპორუჩიკი პლეშნერი მივიდა, კონიაკით რომ გა-
მასპინძლებოდა, რომელიც კარტში მოეგო, გაუკვირდა, რა გულ-
შოღდინედ კითხულობდა იგი პროფესორ უდო კრაფტის წიგნს
„თვითაღზრდა იმპერატორისათვის თავგანსაწირად“.

ბუღაპეშტამდე კადეტი ბიგლერი გაღეშილი მთვრალი იყო.
ფანჯარაში გაეყო თავი და განუწყვეტლივ გასძახობდა მღუმარე
სივრცეს:

— *Frisch drauf! Im Gottes Namen frisch drauf!*²

¹ მე ყველა თულფი გამომელია. (გ ე რ მ).

² გაბედულად წინი ღვთის შეწევნით, გაბედულად წინი (გ ე რ მ).

კაპიტან საგნერის ბრძანებით, ბატალიონის ორდინარეცმა მატუშიჩმა შეათრია ბიგლერი კუბეში და დენშჩიკ ბატერის დახმარებით სკამლოგინზე დააწვინა.

კადეტმა ბიგლერმა სიზმარი ნახა.

კადეტ ბიგლერის სიზმარი ბუდაპეშტში ჩასვლამდე

მაიორია. მკერდს უმშენებს *signum laudis* და რკინის ჯვარი. იგი მიდის მისდამი რწმუნებული ბრიგადის უბანზე საინსპექციოდ. მაგრამ ვერ გაუგია, ეს როგორაა, რომ იგი, რომელსაც ემორჩილება მთელი ბრიგადა, ჯერ ისევ მაიორია. იგი ფიქრობს, რომ მას გენერალ-მაიორის ხარისხი აქვს მიკუთვნებული, მაგრამ „გენერალი“ სადღაც ქაღალდებში გაიბნა საველე ფოსტაში.

თავის გულში იგი დასცინის კაპიტან საგნერს, რომელიც ამას წინათ ემუქრებოდა, მავთულხლართების საჭრელად გაგაგზავნიო. სხვათა შორის, კაპიტანი საგნერი და პორუჩიკი ლუკაში მისი — ბიგლერის — წინადადებით უკვე დიდი ხანია გადაყვანილი არიან სხვა პოლკში, სხვა დივიზიაში, არმიის სხვა კორპუსში.

ვილაცამ უამბო კიდევ, რომ ისინი მტერს გამოქცევიან და სამარცხვინოდ რომელიღაც ჭაობში ჩამხრჩვალან. როცა იგი ავტომანქანით მიემგზავრებოდა პოზიციებზე თავისი ბრიგადის უბნის საინსპექციოდ, მისთვის ყველაფერი ნათელი იყო. კაცმა რომ თქვას, იგი ხომ არმიის გენერალური შტაბის მიერაა წარგზავნილი. აი მის წინ ჩაიარეს სალდათებმა. ისინი მღერიან სიმღერას, რომელიც ბიგლერს ამოკითხული ჰქონდა ავსტრიელ ჯარისკაცთა სიმღერების კრებულში „*Es gilt!*“¹.

Halt euch brav, ihr tapf'ren Brüder,
werft den Feind nur herzlich nieder
lasst des Kaisers Fahne weh'n².

პეიზაჟი „*Wiener Illustrierte Zeitung*“³-დან ამოღებული ილუსტრაციები გეგონებათ.

ბელლის მარჯვენა მხარეს არტილერიაა განლაგებული, ის ყუმბარებს უშენს მტრის სანგრებს, რომლებიც გათხრილია გზატკე-

¹ „საქმე ეხება იმას“. (გ ე რ მ.)

² მღერად იღქით, მამაცო ძმებო!
განადგურეთ მტერი ვერაგი,
იმპერატორის გაშალეთ დროშა!

³ ივენის ილუსტრირებული გაზეთი“.

ცილთან. ამ გზატკეცილზე ავტომანქანით მიდის ბიგლერი: მარცხნივ სახლია, საიდანაც ისვრიან, იმ დროს როცა მტერი მოსდგომია და თოფის კონდახით ცდილობს შეამტერიოს ამ სახლის კარები. გზატკეცილის მახლობლად იწვის მტრის აეროპლანი. შორს მოჩანს ცხენოსანი ჯარი და ხანძარში გახვეული სოფლები. კიდეც უფრო შორს, პატარა მალლობზე განლაგებულა სამარშო ბატალიონის სანგრები, საიდანაც ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაუჩაღებიათ. გზატკეცილის გასწვრივ გაჰიმულია მტრის სანგრები. შოფერს ავტომობილი მიჰყავს გზატკეცილზე, მტრის პოზიციებისკენ გენერალი მილში ჩასძახის შოფერს:

— ვერა ხედავ, სად მიდიხარ? იქ ხომ მტერია.

— მაგრამ შოფერი მშვიდად პასუხობს:

— პანე გენერალ, ეს ერთადერთი ხეირიანი გზაა, შეზობელ გზებზე მანქანის საბურავები ვერ გაუძლებენ.

რაც უფრო უახლოვდებიან მტრის ხაზს, მით უფრო ძლიერია ცეცხლი. ყუმბარები სკდება წყლით სავსე თხრილებზე ქლიავის ხეივანის ორივე მხარეს.

მაგრამ შოფერი მშვიდად უპასუხებს მილში:

— ეს შესანიშნავი გზატკეცილია, პანე გენერალ! თითქოს ყინულზე მივცურავთო. გვერდზე როგორც გადავუხვევთ, მინდორში, საბურავები გაგვისკდება.

— შეხედეთ, პანე გენერალ! — კვლავ ჩასძახის მილში შოფერი. ეს გზატკეცილი ისეთი კარგია, რომ ოცდაათნახევრიან სანტიმეტრიანი მორტირებიც ვერაფერს დაგვაკლებენ. გზატკეცილი კალოსავითაა. იმ ქვა-ლორღიან სასოფლო გზებზე კი საბურავები მთლად დაგვისკდებოდა. უკან დაბრუნებაც არ შეგვიძლია, პანე გენერალ!

— d-d-d-ძუმ! — ესმის ბიგლერს, და ავტომობილი უზარმაზარ ნახტომს აკეთებს.

— აკი გეუბნებოდით, პანე გენერალ, — ჩაჰყვირის შოფერი მილში, — რომ გზატკეცილი ძალზე კარგია. აი ამ წუთში ჩვენს გვერდით გასკდა ოცდათვრამეტსანტიმეტრიანი ქვემების ყუმბარა, და კვალიც ვერ დაამჩნია, — ეს გზატკეცილი — კალოსავითაა. მაგრამ საკმარისაა მინდორში გადავუხვიოთ — საბურავები უმალ დასკდება. ახლა ჩვენ ოთხი-კილომეტრის ზიშორიდან გვესვრიან.

— სად მივდივართ?

— ამას დავინახავთ, — პასუხობს შოფერი, — სანამ გზატკეცილი ასეთია, ყველაფერზე პასუხს ვაგებ.

ანაზღად რყევა! ავტომანქანა საშინელ სიმაღლეზე ავარდა და გაჩერდა.



— პანე გენერალ, — ყვირის შოფერი, — თქვენ გაქვთ გენერალური შტაბის რუკა?

გენერალი ბიგლერი ანათებს ელექტრონის ფარანს და თავის მუხლებზე ხედავს გენერალური შტაბის რუკას. მაგრამ ამავე დროს ის 1864 წლის გელგოლანდის სანაპიროს საზღვაო რუკაცაა, დანიის წინააღმდეგ პრუსიისა და ავსტრიის შლეზვიგისთვის ბრძოლის დროინდელი.

— აქ გზა ორად იყოფა, — ამბობს შოფერი, — ორთავე მტრის პოზიციებისკენ მიემართება. მაგრამ საბურთავეები რომ არ დაზიანდეს, პანე გენერალ, ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას როგორია გზატკეცილი... მე პასუხს ვაგებ შტაბის ავტომობილზე...

ანაზღად გაისმა დარტყმა, გამაყრუებელი დარტყმა, და ვარსკვლავები გადიდნენ ისე, რომ ბორბლებს დაემსგავსნენ. ცის იკანკლავდი ნაღებივით სქელი გახდა.

იგი — ბიგლერი ახლა შოფერის გვერდით ზის და ვარსკვლავთა სამყაროსკენ მიიწევს. სხვა ყველაფერი მოკრილია, თითქოს შაკრატილით მოაცალესო. ავტომობილისაგან დარჩა მხოლოდ წინა ნაწილი, მისი საბრძოლო შემტევი ნაწილი.

— თქვენი იღბალი, — ეუბნება შოფერი, — რომ ჩემსკენ გად-

მოსრილი მაჩვენებლით რუკას. ამიტომ აქეთ გადმოვარდით, და-
ნარჩენი ყველაფერა აფეთქდა. ეს ორმოცდაორსანტიმეტრიანი
იყო. მე ამას წინასწარ ვგაძნობდი. რაკი გზა ორად გაიყო. — გზა-
ტკეცილიც გაფუჭდა. ოცდათვრამეტსანტიმეტრიანი ყუმბარის შემ-
დეგ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ორმოცდაორსანტიმეტრი-
ანი. ჯერჯერობით უფრო დიდს არ ამზადებენ,* პანე გენერალ.

— საითკენ მართავთ?

— ცაში მივფრინავთ, პანე გენერალ, უნდა ვერიდოთ კომე-
ტებს. ისინი ცოტა არ იყოს. უფრო საშიშია, ვიდრე ორმოცდაორ-
სანტიმეტრიანი ყუმბარები.

— ახლა ჩვენს ქვეშ მარსია, — აცნობებს შოფერი დიდი ხნის
პაუზის შემდეგ.

ბიგლერი ისევ დამშვიდდა.

— თქვენ იცით ხალხთა ბრძოლის ისტორია ლაიპციგთან?
ეკითხება იგი, — ფელდმარშალი თავადი შვარცენბერგი ათას რვაას
ცამეტი წლის თოთხმეტ ოქტომბერს ლიბერტკაჟიციდან მოდიოდა,
თექვსმეტ ოქტომბერს ბრძოლა მოხდა ლინდენაუსათვის, გენერალ
მერველდტის ბრძოლა. — ავსტრიის ჯარებმა დაიკავეს ვახავი, და
როცა ცხრამეტ ოქტომბერს დაეცა ლაიპციგი...

— პანე გენერალ, — უცბად შეაწყვეტნა მას შოფერმა, — ჩვენ
სამოთხის კართან ვართ, გადმოვით, პანე გენერალ, ჩვენ ვერ გა-
ვალწევთ სამოთხის კარში, აქ ზედახოცვაა, საითაც არ უნდა გაიხე-
ლო — ყველგან ჯარია.

— გაიტანეთ ვინმე, — უყვირის იგი შოფერს, და უმაღლეს
დაგიმთობენ.

გენერალი ბიგლერი გადმოყოფს თავს ავტომობილიდან და
ღრიალებს:

— Achtung sie Schweinbande! ¹ აი პირუტყვები, ხედავენ გე-
ნერალს და აზრად არ მოსდით გააკეთონ სწორება მარჯვნივ!

შოფერი ამშვიდებს მას:

— ეს მათთვის იოლი საქმე როდი გახლავთ, პანე გენერალ:
უმრავლესობას თავები წაწყვეტილი აქვთ.

გენერალი ბიგლერი მხოლოდ ახლა ამჩნევს, რომ ბრბო შესღ-
გება ინვალიდებისგან, რომლებსაც ომში დაუქარგავთ სხეულის
ცალკეული ნაწილები: თავი, ხელი, ფეხი. მაგრამ სხეულის ამ ნა-
წილებს ისინი თან ატარებენ ზურგჩანთაში. რომელიღაც გულმარ-
თალ არტილერიისტს, რომელიც დაფლეთილი მაზარით სამოთხის

¹ გზა, თქვე ლორებო! (გერმ.).



კარებთან ატუზულიყო, ტომარაში ჩალაგებული ჰქონდა თავისი მოგლეჯილი მუცელი ქვედა კიდურებთან ერთად. რომელიღაც მეორე გულმართალი სათადარიგო ჯარისკაცის ტომრიდან პირდაპირ გენერალ ბიგლერს მიშტერებოდა უკანალის ნახევარი, რომელიც ამ ჯარისკაცმა ლვოვთან ბრძოლაში დაჰკარგა.

— ეს წესისამებრ, — ისევ აუხსნა შოფერმა, და გზა გაიკვლია მოჯარულ ხალხში, — სწორედ ამიტომ უნდა გაიარონ უმაღლეს ზეცათა კომისია.

სამოთხის კარში ატარებდნენ მხოლოდ პაროლით, რომელიც იქვე მოაგონდა გენერალ ბიგლერს: „ღვთისა და იმპერატორისათვის“.

ავტომობილი შევიდა სამოთხეში.

— პანე გენერალ, — მიმართა ბიგლერს ოფიცერმა — ფრთებიანმა ანგელოზმა, როცა მანქანამ ახალწვეულ-ანგელოზთა ყაზარმებს ჩაუარა, — თქვენ უნდა გამოცხადდეთ მთავარსარდლის კარავში.

უკან მოიტოვეს სამეცადინო მოდანი, რომელიც სავსე იყო ახალწვეულ-ანგელოზებით, — მათ „ალილუიას“ დაძახებდას ასწავლიდნენ.

ჩაუარეს ჯარისკაცების ჯგუფს, სადაც მწითური კაპრალი-ანგელოზი წვრთნიდა სრულ ფორმაში გამოწყობილ დოცლადია ახალწვეულ ანგელოზს, მუცელში სცემდა მუშტებს და უყვიროდა: „მაგრად დააბჩინე წყეული პირი, შე ბინძურო, ბეთლემის ღორი. განა ასე გაიძახიან „ალილუიას“? თითქოს კნელლიკით გაქვს ამოვსებული პირი. ერთი გამაგებინა, რომელმა ოხერტიალმა შემოუშვა შენისთანა პირუტყვი აქ სამოთხეში? აბა, სცადე ერთხელ...“ „ჰლაპლიჰლუია!“ შენ რა, შე არამზადა, ჩვენთან სამოთხეშიც განაგრძობ ცხვირში დუღუნს? კიდევ ერთხელ სცადე, შე ლიბანის კედარო, შენა...

გზა განაგრძეს, მაგრამ კიდევ დიდხანს ისმოდა შეშინებული ცხვირში მოდუღუნე ახალწვეულ ანგელოზის ბლავილი „ჰლა-ჰლი-ჰლუია“ და კაპრალ-ანგელოზის ყვირილი: „ა-ლი-ლუია, ა-ლი-ლუია, შე იორდანის ძროხავ, შენა!“.

მერე დაინახეს დიდებული ნათება დიდ შენობაზე, აი-იმის მსგავსი, ჩესკე ბუდეიოვიცეში, რომ მარიანის ყაზარმებია, შენობის თავზე კი — ორი აეროპლანი მოჩანდა, ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ, მათ შორის, შუაში, გაჭიმული იყო უზარმაზარი ტილო ვეება წარწერით:

K. U. K. Gottes Hauptqartier.¹

საველე უანდარმერიის ფორმაში გამოწყობილმა ორმა ანგელოზმა გადმოსვეს ავტომობილიდან გენერალი ბიგლერი, ქეჩოში ჩაავლეს ხელი და აიყვანეს ზემოთ, მეორე საართულზე.

— წესიერად მოიქეცი უფალ ღმერთის წინაშე, — ეუბნებიან მას კარებთან, მერე ჰკრავენ ხელს და შეაგდებენ შიგ.

შუა ოთახში, რომლის კედლებზე ჩამოკიდებული იყო ფრანციოსების და ვილჰელმის, ტახტის მემკვიდრის კარლ ფრანციოსების *, გენერალ ვიქტორ დანკელის *, ერცჰერცოგ ფრიდრიხის * და გენერალური შტაბის უფროსის კონრად ფონ ჰეტცენლორფის * პორტრეტები, დგას უფალი ღმერთი.

— კადეტო ბიგლერ, — მკაცრად ეკითხება ღმერთი, — მცნობთ? მე ყოფილი კაპიტანი საგნერი გახლავართ მეთერთმეტე სამარშო ასეულიდან.

ბიგლერი გაშეშდა.

— კადეტო ბიგლერ, — ისევ გაისმის უფალი ღმერთის ხმა, — რა უფლებით მიისაკუთრეთ გენერალ-მაიორის ტიტული? რა უფლე-

¹ ღმერთის საიმპერატორო სამეფო შტაბის სადგომი (გერმ.).

ბით დადიოდით, კადეტო ბიგლერ, შტაბის ავტომობილით გზატკეცილზე მტრის პოზიციებს შორის?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ...

— ენა ჩაიგდეთ, კადეტო ბიგლერ, როცა უფალი ღმერთი გელაპარაკებათ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — კიდევ ერთხელ ენის ბორძიკით წამოიწყო ბიგლერმა.

— მაშ არ ინებებთ გაჩუმებას? — უყვირის მას ღმერთი, ალებს კარებს და ყარაულს ეძახის:— „ორი ანგელოზი გამოცხადდეს ჩემთან!“
ოთახში შემოდის ორი ანგელოზი, თოფები მარცხენა ფრთაზე აქვთ ჩამოკიდებული. ბიგლერი იცნობს მათ — ესენი არიან მატუშიჩი და ბატცერი.

უფალმა ღმერთმა აუწყა:

— ჩააგდეთ ეს ყმაწვილი ფეხისადგილში!

კადეტი ბიგლერი ჩავარდება სადღაც, საიდანაც საშინელი სიმყრალის სუნი მოდის.

*
* *

მძინარე კადეტის პირდაპირ ისხდნენ მატუშიჩი და კაპიტან საგნერის დენშიჩი ბატცერი და განუწყვეტლივ თამაშობდნენ „სამოცდაექვსს“.

— Stink awer d'Kerl wie a'Stockfisch ¹, — თქვა ბატცერმა, რომელიც ინტერესით ადევნებდა თვალყურს, მძინარე კადეტი ბიგლერი როგორ საეჭვოდ იკლაკნებოდა სკამლოგინზე, — muss d'Hosen voll ha'n ².

— ასეთი რამ ყველას შეიძლება მოუვიდეს, — ფილოსოფიურად შენიშნა მატუშიჩმა. — ყურადღებას ნუ აქცევ. შენ ხომ არ მოგიწევს მაგისი შარვლის გამოცვლა. უკეთესია კარტი დაარიგო.

უკვე აკიაფდენ ბუდაპეშტის სინათლეები. დუნაიზე პროჟექტორი სერავდა ცას ყოველი მიმართულებით.

კადეტი ბიგლერი, ეტყობოდა, ახლა სხვა სიზმარს ხედავდა. იგი ბუტბუტებდა: — „Sagen Sie meiner tapferen Armee, dass sie sich in meinem Herzen ein unvergängliches Denkmal der Liebe und Dankbarkeit errichtet hat.“³

¹ ეს ყმაწვილი გამოხმარ ვირთევასავით ყარს (შუშავას გერმანულ დიალექტზე).

² ალბათ მთლად ჩასვრილია (გ. გ. მ.).

³ ვადაეციოთ ჩემს სახელოვან არმიას, რომ მან აღმართა ჩემი, ვულში სამარადისო ძეგლი სიყვარულისა და მადლობის (გ. გ. მ.).

ამ სიტყვებზე იგი შეინძრა და სიმყარაღ ისევ ეცა ცხვირში ბატერს, მან გადააფურთხა და ჩაიბუზღუნა: „Stinkt wie a'Haizlputza, wie a'bescheissena Haizlputza!“¹ კადეტი ბიგლერი კი სულ უფრო და უფრო მოუსვენრად ტრიალებდა. მისი ახალი სიზმარი არაჩვეულებრივად ფანტასტიკური იყო. იგი იცავს ლინცს აესტრიის სამემკვიდრეო სამფლობელოსთვის წარმოებულ ომში. მას ესიზმრება სანგრები და სიმაგრეები ქალაქის ირგვლივ. მისი მთავარი კარავი ჰოსპიტლადაა გადაქცეული. ყველგან დაჭრილები წვანან და მუცელზე აქვთ ხელი მოჭერილი. ქალაქ ლინცის მესრის გასწვრივ მიაგელვებენ ცხენებს ნაპოლონ I-ის დრაგუნები.

კადეტი ბიგლერი კი, ქალაქის კომენდანტი, ყველაზე მაღლა დგას, მასაც ხელი მუცელზე მოუჭერია და ფრანგ პარლამენტორს გასძახის:

— გადაეცით თქვენს იმპერატორს, რომ მე არ დავნებდები!

მერე მუცლის ტყვიელები თითქოს უცხრება, და ბიგლერი თავისი ბატალიონით ლახავს მესერს და ქალაქიდან გარბის, წინ, დიდებისა და გამარჯვების მოსახვეჭად. ამ დროს ხედავს, პორუჩიკი ლუკაში როგორ შეაგებებს თავის მკერდს ფრანგი დრაგუნის მახვილს, რომ ააცდინოს ის ბიგლერს, განთავისუფლებული ლინცის დამცველს.

პორუჩიკი ლუკაში კვდება მის ფეხებთან წამოძახილით:

— Ein Mann wie Sie, Herr Oberst, ist nötiger als ein nichtsnutziger Oberleutnant!²

გულაჩუყებული ბიგლერი — დამცველი და მხსნელი ქალაქ ლინცისა — პირს მოარიღებს მომაკვდავს, მაგრამ ამ დროს ფინთიხი მოხვდება დუნდულში. ბიგლერი ანგარიშშიუცემლად მოისინჯავს შარვალს და ხელზე რაღაც წებოვანი მოეცხება. იგი ჰყვირის:

— სანიტრები! სანიტრები! — და ჩამოვარდება ცხენიდან...

ბატერმა და მატუშიჩმა აიყვანეს სკამლოგინიდან გადავარდნილი კადეტი ბიგლერი. მერე მატუშიჩმა გასწია კაბიტან საგნებისაკენ და მოახსენა, კადეტ ბიგლერს რაღაც უბედურება სჭირსო.

— ეს კონიაკისგან არაა, — მოახსენა მან. — უფრო ხოლერა უნდა იყოს. კადეტი ბიგლერი ყოველ სადგურზე წყალსა სვამდა. მოშონში მე დავინახე, როგორ...

¹ ეს ტრაწიან ისე ყარს, როგორც განავლით სავსე კასრების დამტარებელი.

² ისეთი აღამიანი, როგორიც თქვენა ხართ, ბატონო პოლკოვნიკო, უფრო საჭიროა, ვიდრე რომელიღაც ობერ-ლეიტენანტი (გვ რ მ.).



— ხოლერა ერთბაშად არ შეეყრება ადამიანს, მატუშიჩ. უთხარით ექიმს — იგი ჩვენს გვერდითაა კუბეში, გასინჯოს ბიგლერი.

ბატალიონზე მიმაგრებული იყო „ომის დროის ექიმი“ მუდმივი სტუდენტი — მედიკი და კორპორანტი* ველფერი. მას უყვარდა გადაკვრა და ჩხუბის თავი იყო, მაგრამ ზედციანა თავისი ხუთი თითივით იცოდა. მოსმენილჲ ჰქონდა სამედიცინო ფაკულტეტის კურსი ავსტრია-უნგრეთის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, პრაქტიკა გაიარა მრავალნაირ კლინიკაში, მაგრამ დოქტორის სახელი არ ჰქონდა უბრალო მიზეზის გამო, განსვენებული ბიძის ანდერძით სტუდენტ-მედიკს ფრიდრიხ ველფერს ყოველწლიურად ეძლეოდა სტიპენდია, სანამ ექიმის დიპლომს არ მიიღებდა, ეს სტიპენდია დაახლოებით ერთი-ოთხად მეტი იყო საავადმყოფო-ასისტენტის ხელფასზე. და აი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ფრიდრიხ ველფერი კეთილსინდისიერად ცდილობდა გაეხანგრძლივებინა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის წოდების მიღება.

მემკვიდრეები ჰკუთხს ჰკარგავდნენ ამის გამო, გამოაცხადეს იგი იდიოტად, ცდილობდნენ მდიდარი ქალი შეერთო ცოლად, ოღონდ მისგან განთავისუფლებულიყვნენ როგორმე. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა დაახლოებით თორმეტი საკორპორაციო წრის წევრმა, ფრიდრიხ ველფერმა, მემკვიდრეები რომ გაებრაზებინა, ვენაში, ლაიპციგში, ბერლინში, საკმაოდ კარგი ლექსების კრებული გამოსცა, იბეჭდებოდა „Simplicissimus“*-ში და არხეინად განაგრძობდა სწავლას: ხომ არ მაწვიმს, რა მეჩქარებაო!

მაგრამ აი იფეთქა ომმა და მზაკვრულად ჩასცა მას ზურგში მახვილი. პოეტი, წიგნების: „Lachende Lieder“,¹ „Krug und Wissenschaft“², „Märchen und Parabeln“³, ავტორი უბოდიშოდ გაისტუმრეს ჯარში, ერთ-ერთმა მემკვიდრემ კი ყოველი ღონე იხმარა, რომ უდარდელ ფრიდრიხ ველფერს მიეღო „ომის დროის ექიმის“ ხარისხი. მან ჩააბარა დოქტორის გამოცდა. წერილობით მას რამდენიმე შეკითხვა მისცეს, რომელზეც პასუხი უნდა გაეცა. ყველა კითხვაზე სტერეოტიპულ პასუხს იძლეოდა: „Lecken Sie mir Arsch!“⁴ სამი დღის შემდეგ პოლკოვნიკმა ზეიმურად გამოაცხადა, რომ ფრიდრიხ ველფერმა მიიღო მედიცინის მეცნიერება-

¹ შტინარა სიმღერები (გერმ.).

² ტოლჩა და მეცნიერება (გერმ.).

³ ზღაპრები და იგავ-არაკები (გერმ.).

⁴ მაკოცეთ უკანალზე (გერმ.).

თა დოქტორის დიპლომი. იგი დიდხანია ღირსი იყო დოქტორის წოდების და შტაბის-უფროს ექიმად იქნა დანიშნული შევსების ჰოსპიტალში. ახლა მასზე იქნება დამოკიდებული, თუ რა სისწრაფით დაწინაურდება სამსახურში. მართალია, ცნობილი იყო, რომ სხვადასხვა ქალაქში ფრიდრიხ ველფერს დუელი ჰქონდა ოფიცრებთან, მაგრამ ახლა სამხედრო დროჲ და ყველაფერი ეს დავიწყებას მიეცა.

ლექსების წიგნის „ტოლჩა და მეცნიერება“ ავტორმა ტუჩი მოიკვნიტა და წავიდა სამხედრო სამსახურში. მეტა რა ჩარა ჰქონდა! როცა გამოირკვა, რომ იგი ჯარისკაცების მიმართ ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა, საავადმყოფოში აჩერებდა მათ რაც შეიძლება დიდხანს, იმ დროს როცა ლოზუნგი იყო: „საავადმყოფოში გდება და იქ ფეხის გაფშეკა თუ სანგრებში გდება და იქ ფეხის გაფშეკა, სულ ერთია, ფეხის გაფშეკა“, — დოქტორი ველფერი მეცამეტე სამარშო ბატალიონთან ერთად ფრონტზე მიაბრძანეს.

ბატალიონის კადრის ოფიცრები მას არასრულფასოვნად თვლიდნენ, თადარიგის ოფიცრებიც უფსკრული რომ არ გაედრმავებინათ თავისა და კადრის ოფიცრებს შორის, ასევე ზურგს აქცევდნენ მას და არ მეგობრობდნენ მასთან.

კაპიტანი საგნერი, ბუნებრივია, თავისთავს ყოფილ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატზე მალა აყენებდა, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სწავლის პერიოდში დაჩეხილი ჰყავდა უპარავი ოფიცერი*. როცა „ომის დროის ექიმმა“ ველფერმა გვერდზე გაუარა კაპიტან საგნერს, მან არც კი გაიხედა მისკენ და განაგრძო საუბარი ლუკაშთან რაღაც წვრილმანებზე. მაგალითად, რომ ბუდაპეშტის მახლობლად მოჰყავთ გოგრა. მასთან დაკავშირებით პორუჩიკ ლუკაშს მოაგონდა, რომ კადეტთა კორპუსში სწავლის მესამე წელს იგი „სამოქალაქო“ ამხანაგებთან ერთად სლოვაკიაში იყო, ერთხელ ისინი ევანგელისტების ხუცესთან — სლოვაკთან მივიდნენ. იგი მათ შემწვარი ღორის ხორცითა და გოგრის გარნირით გაუმასპინძლდა. მერე ღვინო დაუსხა და უთხრა: „გოგრა, ღორს ღვინო უნდა“, — ლუკაშმა ეს ნათქვამი საშინლად იწყინა¹.

— ბუდაპეშტს თითქმის ვერ ვნახავთ, — გულდაწყვეტით შენიშნა კაპიტანმა საგნერმა. — მარშრუტის თანახმად ჩვენ აქ მხოლოდ ორი საათი უნდა დავყოთ.

— ვფიქრობ, შემადგენლობას გადაახალისებენ, — უპასუხა პო-

¹ კაპიტან საგნერისა და პორუჩიკ ლუკაშის საუბარი ჩეხურ ენაზე მიმდინარეობს. (ავტ. შენიშვნა).

რუჩიკმა ლუკაშმა. — ჩვენ მიყალთ დამხარისხებელ სადგურზე
Transport — Militärbahnhof¹.

მათთან მივიღა „ომის დროის ექიმი“ ველფერი.

— უბრალო რამეა, — თქვა მან ღიმილით. — ის ვაებატონები, რომლებიც მომავალში ოფიცრობაზე. ოცნებობენ და ოფიცერთა საკრებულოში თავისი სტრატეგიულ-ისტორიული ცოდნით მოაქვთ თავი, კარგი იქნება გავაფრთხილოთ, რომ მავნებელია ერთბაშად შევამო შინიდან გამოგზავნილი ტყვიულობა. ბრუკიდან გამომგზავრების წუთიდან კადეტმა ბიგლერმა, როგორც თვითონ გამოუტყდა, ოცდაათი კრემიანი ნამცხვარი შეყლაპა, სადგურზეც მხოლოდ გადადღებულ წყალს სვამდა. ეს, პანე კაპიტან, მომავონებს შილერის ლექსებს „Wer sagt von“².

— მისპინეთ, ექიმო, — შეაწყვეტინა მას კაპიტანმა საგნერმა, — აქ ლაპარაკი შილერზე არაა. ეს მითხარით, რა მოუვიდა კადეტ ბიგლერს?

„ომის დროის ექიმმა“ ველფერმა ჩაიციანა:

— ოფიცრობის კანდიდატმა, თქვენი კადეტმა, უბრალოდ, რომ ვთქვათ ჩაისვარა. ეს არც ხოლერაა და არც დიზენტერია, არამედ სრულიად უბრალო და ჩვეულებრივი შემთხვევაა. განსაკუთრებული არაფერია, ადამიანმა ჩაისვარა. თქვენი ბატონმა ოფიცრობის კანდიდატმა შესვა კონიაკი იმაზე მეტი. ვიდრე შეეძლო, და ჩაისვარა. თუმცა, ყოველგვარი კონიაკის გარეშეც სულ ერთია ჩაისვრიდა, მარტო იმის გამო, რომ ამდენი კრემი შესანსლა. იგი ჯერ ბავშვია, რამდენადაც ვიცი, ოფიცერთა საკრებულოში ღვინოს ერთ ჩაის კიქაზე მეტს არ სვამდა. იგი აბსტინენცია...

ექიმმა ველფერმა გადააფურთხა.

— იგი ყოველთვის ლინცის ნამცხვრებს ყიდულობდა ხოლმე!

— მაშასადამე, სერიოზული არაფერია, ხომ? — კვლავ შეეკითხა კაპიტანი საგნერი: — ეს ამბავი რომ გახმაურდეს, ასეთი საქმე ქვეყანას რომ მოედოს...

პორუჩიკი ლუკაში წამოდგა და განუცხადა კაპიტან საგნერს:

— დიდი მალლობა მომიხსენებია ოცეულის ასეთი მეთაური-სათვის.

— მე დავაყენე ის ფეხზე, — თქვა ველფერმა, თან ისევ იღიშებოდა: — დანარჩენზე კეთილ ინებეთ და ბრძანება გაეციეთ, ბატონო-

¹ სადგური სამხედრო ეშელონებისათვის (გერმ.).

² „ვინც ლაპარაკობს...“ (გერმ.).

ბატალიონის მეთაურო, კადეტ ბიგლერს აქაურ ჰოსპიტალში ჩავა-
ბარებ და გავცემ ცნობას, რომ მას დიზენტერია სჭირს. დიზენ-
ტერიის მძიმე შემთხვევაა... აუცილებელია იზოლაცია. კადეტი
ბიგლერი გადამდებსენიანთა ბარაკში მოხვდება...

— ეს ცხადია, საუკეთესო გამოსავალია მდგომარეობიდან, —
განაგრძო ველფერიმა იმავე უხამსი ღიმილით. — ერთი საქმეა ჩას-
ვრილი კადეტი, სულ სხვაა — დიზენტერიით დაავადებული კადეტი.
კაპიტანმა საგნერმა მეტად ოფიციალურად მიმართა თავის მე-
გობარ ლუკას.

— პანე პორუჩიკ, თქვენი ასეულის კადეტ ბიგლერს დიზენ-
ტერია შეეყარა და ბუდაპეშტში სამკურნალოდ დარჩება.

კაპიტან საგნერს მოეჩვენა, რომ ველფერი გამომწვევად იცი-
ნოდა, მაგრამ როცა შეხედა „ომის დროის ექიმს“ მისი სახე სრულ
გულგრილობას გამოხატავდა.

— მაშ, ყველაფერი რიგზეა, პანე კაპიტან, — მშვიდად წარმოს-
თქვა ველფერმა, — ოფიცრობის კანდიდატი... — და მან ხელი ჩაიქ-
ნია: — დიზენტერიის დროს სულ ადვილი შესაძლებელია ადამიან-
მა შარვალში ჩაისვაროს.

ამრიგად, სახელოვანი კადეტი ბიგლერი გაგზავნილ იქნა უი-
ბუდას სამხედრო იზოლატორში.

მისი ჩასვრილი შარვალი მსოფლიო ომის ორომტრიალში გაუ-
ჩინარდა.

კადეტ ბიგლერის ოცნებანი დიად გამარჯვებებზე საიზოლაციო
ბარაკის ერთ-ერთ პალატაში მოემწყვდა.

კადეტმა ბიგლერმა როცა გაიგო, რომ მას დიზენტერია აქვს,
მეტისმეტად გაიხარა.

კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა — დაიჭრები თუ ავად გაზ-
დები ხელმწიფე-იმპერატორის გულისთვის შენი ვალის მოხდის
დროს.

ჰოსპიტალში ცოტა უსიამოვნება შეხვდა: ვინაიდან სადიზენტე-
რიო ბარაკში ყველა ადგილი დაკავებული იყო, კადეტი ხოლე-
რინანთა ბარაკში მოათავსეს.

როცა კადეტი ბიგლერი აბანავეს და ილიაში თერმომეტრი
ჩასჩარეს, შეფიქრიანებულმა შტაბის ექიმმა თავი გადააქნია. „37°
ხოჯერის დროს ეს ყველაზე ცუდი სიმპტომია — ტემპერატურის
ქლიერი დაცემა. ავადმყოფი აპათიური ხდება...“

მართლაც, კადეტი ბიგლერი აღელვებას სულაც არ იმჩნევდა.
მას გასაოცრად მშვიდად ექირა თავი, მხოლოდ გულში იმეორებ-
და, ასეა თუ ისე ჩემი ხელმწიფე იმპერატორისთვის ვიტანჯები.

შტაბის ექიმმა ბრძანა, თერმომეტრი უკანალში გაუკეთეთო.

— ხოლერის უკანასკნელი სტადიაა, — გადაწყვიტა შტაბის ექიმმა. — აღსასრულის დასაწყისია. მეტისმეტი სისუსტე, ავადმყოფი კარგავს ყოველგვარ ინტერესს გარემოს მიმართ. ცნობიერება დაქვეითებულია. მომავლადვი იღიმება სიკვდილის ყამს.

მართლაც კადეტი ბიგლერი იღიმებოდა წამებულის ღიმილით და არც კი განძრეულა, როცა უკანალში თერმომეტრი გაუკეთეს მას თავი გმირად ყაედა წარმოდგენილი.

— სიკვდილის სიმპტომებია, — დაასკვნა შტაბის ექიმმა. — პასიურობა...

დასარწმუნებლად იგი უნგრელ სანიტარს, უნტეროფიცერს შეეკითხა, კადეტს პირის ღებინება და ფალარათი თუ ჰქონდაო.

უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, ექიმმა ბიგლერს შეხედა. თუ ხოლერის დროს ფალარათი და პირისღებინება შეუწყდება, მაშინ ზემოხსენებულ სიმპტომებთან ერთად ეს სიკვდილის წინა საათების ტიპური სურათია.

კადეტ ბიგლერს, რომელიც თბილი აბაზანიდან ამოიყვანეს და მთლად შიშველი საწოლზე დააწვინეს, საშინლად შესცივდა. კბილზე კბილს აცემინებდა, მთელ სხეულზე ხორკლები დააყარა.

— ზომ ხედავთ, — უნგრულად თქვა შტაბის ექიმმა. — კანკალმა აიტანა, კიდურებიც გაუცივდა. ეს უკვე აღსასრულია.

შემდეგ დაიხარა კადეტ ბიგლერისაკენ და გერმანულად შეეკითხა:

— Also wie geht's?,¹

— S-s-s-e-hr-hr gu-gu-tt,² — ააკაწკაწა კბილები კადეტმა ბიგლერმა. — ... Eine De-deck-ke!³

— ცნობიერება ხან ეკარგება, ხან უბრუნდება, — ისევ უნგრულად თქვა შტაბის ექიმმა, — გამხდარია. ტუჩები და ფრჩხილები უნდა გაშავებოდა. ეს მესამე შემთხვევაა, როცა ჩემს ხელში ხოლერიანი კვდება ისე, რომ ფრჩხილები და ტუჩები არ გაშავებია.

იგი კვლავ დაიხარა კადეტ ბიგლერისაკენ და უნგრულად განაგრძო:

— გულის ფეთქვა არ იმის.

— Ei-ei-ne-ne De-de-de-deck-ke-ke, — კბილების კაწკაწით ისევ მოითხოვა კადეტმა ბიგლერმა.

¹ როგორ გრძნობთ თავს? (გ ე რ მ.).

² ძალიან კარვად! (გ ე რ მ.).

³ საბანო! (გ ე რ.).

-- ეს მისი უკანასკნელი სიტყვებია, — მიმართა სანიტარ უნტერ-ოფიცერს უნგრულ ენაზე წინასწარმეტყველურად შტაბის ექიმმა. — ხვალ მას მაიორ კოხთან ერთად დავასაფლავებთ. ახლა ეს კადეტი ცნობიერებას დაკარგავს. მაგის ქალაღები კანცელარიაშია?

— იქ იქნება, — გულმშვიდად უპასუხა სანიტარმა უნტერ-ოფიცერმა.

— Ei-ei-ne-ne De-de-de-deck-ke-ke, — მუდარით წარმოთქვა კადეტმა ბიგლერმა და თვალი გააყოლა მიმავალ ექიმსა და სანიტარს.

პალატაში, სადაც თექვსმეტი საწოლი იდგა, სულ ხუთი კაცი იწვა. ერთი მათგანი — მკვლარი იყო. იგი ორი საათის წინ მომკვდარიყო და ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. მიცვალებული ხოლერის ბაცილების აღმომჩენი მეცნიერის გვარის იყო. ეს იყო კაპიტანი კოხი, რომელთან ერთად, შტაბის უფროსის აზრით, ხვალ უნდა დაესაფლავებინათ კადეტი ბიგლერი.

კადეტი ბიგლერი წამოიწია საწოლზე და ახლა პირველად დაინახა, როგორ კვდებიან ხელმწიფე იმპერატორისათვის ხოლერისაგან. ოთხი ჯერ კიდევ ცოცხალი ავადმყოფისაგან ორი უკვე კვდებოდა, სული ეხუთებოდათ, გალურჯებულიყვნენ და რაღაც სიტყვებს გაუგებრად ლულლუღებდნენ. ყოვლად შეუძლებელი იყო გარკვევა რა ენაზე და რას ლაპარაკობდნენ. მათი ლაპარაკი უფრო ხროტინსა ჰგავდა.

დანარჩენმა ორმა შფოთვა დაიწყო, რაც გამოჯანმრთელების მაჩვენებელი იყო. ორივე გავდა ტიფის ხურვებით შეპყრობილ ავადმყოფებს: ისინი ბორგავდნენ, გაჰყვიროდნენ რაღაც გაუგებარს და წამდაუწუმ საბნის გარეთ ჩრიღნენ თავის გაძვალტყავებულ ფეხებს. მათზე დახრილიყო დიდწვერა სანიტარი, რომელიც შტირიულ კილოკავზე ლაპარაკობდა (კადეტმა ბიგლერმა ასე გაარკვია) და ამშვიდებდა:

— მეც ვიყავი ხოლერით ავად, ძვირფასო ბატონებო, მაგრამ წიხლებს არ ვისროდი. აი უკვე უკეთესად ხართ. მიიღებთ შვებულებას და...

— ტლინკებს ნუ ისვრი! — შეუყვირა მან ერთ-ერთ ავადმყოფს. რომელმაც ისე აიქნია ფეხი, რომ საბანი თავზე გადაეგლო სანიტარს. — ასეთი რამ ჩვენთან დაუშვებელია. მაღლობა შესწირვ ღმერთს, რომ ხურვება გაქვს. აღარ მოგვიხდება თქვენი აქედან გათრევა და მიწას მიბარება. თქვენ ორივე გადარჩენილი ხართ.

სანიტარმა მიიხედა.

— აი, ის ორი უკვე მიიცვალა. ასეც ვიცოდით, — თქვა მან კეთილი ღიმილით. მაღლობელი იყავით, რომ გადაჩნით. წავალ ზეწრების მოსატანად.

ერთ წუთში დაბრუნდა და ზეწრები გადააფარა მიცვალეზულთ. ტუჩები და ფრჩხილები მთლად გაშვეებოდათ. სანიტარმა მკერდზე დაუკრიფა სიკვდილის სიმწრით გაჩაჩხული და მოკრუნჩხული ხელები, შეეცადა, გადმოგდებულ ენა უკან ჩაეტანა, მერე მუხლთ მოიყარა და დაიწყო:

— Heilige Marie, Mutter Cottes.¹

ამავე ღროს შტირიელი სანიტარი თვალს არ აშორებდა უკეთესობისაკენ შემობრუნებულ პაციენტებს, რომელთა ბოდვა მოწმობდა იმას, რომ ისინი სიცოცხლეს უბრუნებოდნენ.

— Heilige Marie, Mutter Cottes! — ღვთისმოსაობით იმეორებდა სანიტარი, როცა ანაზღად ვიღაც შიშველი ადამიანი თავზე წამოადგა და ხელი მოუტყაპუნა მხარზე.

ეს კადეტი ბიგლერი იყო.

— გამიგონეთ... — თქვა მან, — მე ვიბანავე... უფრო სწორად რომ ვთქვათ, მამანავეს... საბანი მინდა... მცივა...

— განსაკუთრებული შემთხვევაა, — ნახევარი საათის შემდეგ ეუბნებოდა შტაბის ექიმი კადეტ ბიგლერს, რომელიც საბანში გახვეულიყო და ისვენებდა. — თქვენ, პანე კადეტ, განკურნების გზაზე ხართ. ხვალ ტარნოვში გაგზავნით, სათადარიგო პოსპიტალში. თქვენ ჯერჯერობით ხოლერის ბაცილამტარებელი ხართ... ჩვენი მეცნიერება ისე წინ წავიდა, რომ ეს შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ. თქვენ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკიდან ხართ?

— მეცამეტე სამარშო ბატალიონის მეთერთმეტე ასეულიდან, — უპასუხა კადეტ ბიგლერის ნაცვლად სანიტარმა უნტეროფიცერმა.

— დასწერეთ, — უბრძანა შტაბის ექიმმა: „ოთხმოცდამეთერთმეტე ქვეითა პოლკის მეცამეტე სამარშო ბატალიონის მეთერთმეტე სამარშო ასეულის კადეტი ბიგლერი იგზავნება საექიმო დაკვირვებისათვის ტარნოვის ხოლერიანთა ბანაკში. იგი ხოლერის ბაცილამტარებელია.“

ასე შეიქმნა ენთუზიაზმით აღსავსე მეომარი, კადეტი ბიგლერი, ხოლერის ბაცილამტარებელი.

¹ წმიდაო მარიამ, ღვთისმშობელი (გ ე რ მ.).



თ ა ზ ი II

ბუღაპეშტი

ბუღაპეშტის სამხედრო სადგურზე მატუშიჩმა მოუტანა კაპიტან საგნერს ტელეგრამა, გამოგზავნილი ბრიგადის ბელშავი მეთაურის მიერ, რომელიც სანატორიუმში გადაეგზავნათ. ტელეგრამა დაშიფრული არ იყო და შინაარსით კი იგივე იყო, რაც წინანდელი ტელეგრამა: „სასწრაფოდ გაამზადეთ სადილი და მარშით გასწით სოკალზე“. ამას დართული ჰქონდა შემდეგი: „აღალი ჩაირიცხოს აღმოსავლეთ ჯგუფში. დაზვერვითი სამსახური გაუქმებულია. მეცამეტე სამარშო ბატალიონმა ააგოს ხიდი მდინარე ბუგზე. დაწვრილებით გაზეთებში“.

კაპიტანი საგნერი დაუყოვნებლივ წავიდა სადგურის კომენდანტთან. მას ალერსიანად შეეგება ტანდაბალი ჩასუქებული ოფიცერი.

— მთლად აურია თქვენმა ბრიგადის გენერალმა, — გულიანი სიცილით წარმოთქვა ტანდაბალმა ოფიცერმა. — მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვიყავით ეს აბდაუბდა თქვენთვის ჩაგვებარებინა. 78

რადგან დივიზიიდან ჯერ არ მიგვიღია განკარგულება ადრესატებს არ ჩავაბაროთ ტელეგრამები. გუშინ აქ გაიარა სამოცდა მეთხუთმეტე პოლკის მეთოთხმეტე სამარშო ბატალიონმა, და ბატალიონის მეთაურმა მიიღო ტელეგრამა — მთელ შემადგენლობას დაურიგდეს ექვს-ექვსი კრონა, როგორც ჯილდო პერემიშლისათვის. ამასთანავე გაცემული იყო განკარგულება: ორ-ორი კრონა ამ ექვსი კრონადან თვითეულმა სალდათმა უნდა გადასცეს სამხედრო სესხის ფონდებში... სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ თქვენი ბრიგადის გენერალს დამბლა დაეცა.

— პანე მაიორ, — შეეკითხა კაპიტანი საგნერი სამხედრო სადგურის კომენდანტს, — თანახმად პოლკისადმი ბრძანებისა, ჩვენ მივდივართ მარშრუტით გიოდოლიოში*. ბატალიონის შემადგენლობამ აქ უნდა მიიღოს ას ორმოცდაათი გრამი შვეიცარული ყველი თვითეულ სალდათზე. წინა სადგურზე სალდათებისათვის უნდა დაერიგებინათ თვითეულ სულზე ას ორმოცდაათი გრამი უნგრული ძხვვი, მაგრამ მათ არაფერი მიუღიათ.

— აქაც, ვფიქრობ, ვერაფერს მიიღებთ, — წინანდებური ღიმილით უპასუხა მაიორმა. — მე არ ვიცი ანუ ბრძანებას ჩეხეთიდან მომავალი პოლკების მიმართ. თუმცა, ეს მე არ მეხება, მიმართეთ მომარაგების სამმართველოს.

— როდის გავემგზავრებით, პანე მაიორ?

— თქვენს წინ დგას მატარებელი, დატვირთული მძიმე არტილერიით, რომელიც პალიციაში მიდის. ჩვენ მას, პანე კაპიტან, ერთი საათის შემდეგ გავუშვებთ. მესამე ლიანდაგზე დგას სანიტარული მატარებელი, იგი დაიძვრება ოცდახუთი წუთის შემდეგ არტილერიის მიყოლებით. მეთორმეტე ლიანდაგზე დგას საბრძოლო მასალით დატვირთული მატარებელი. ათი წუთის მერე ის მიჰყვება სანიტარულს, და მისი გასვლიდან ოცი წუთის შემდეგ გავემგზავრება თქვენი მატარებელი.

— რა თქმა უნდა, თუ რაიმე ცვლილება არ მოხდა, — დასძინა მან და ისევ გაიღიმა, რითაც მთლად შეაზიზლა თავი კაპიტანს საგნერს.

— მაპატიეთ, პანე მაიორ, — ჩააცვიდა საგნერი, რომელსაც უნდოდა ყველაფერი გაეგო ბოლომდე, — შეგიძლიათ თუ არა მომცეთ ცნობა, რომ თქვენთვის ცნობილი არაა არაფერი ას ორმოცდაათი გრამი შვეიცარული ყველის შესახებ ჩეხეთიდან მომავალი პოლკებისათვის.

— ეს საიდუმლო ბრძანებაა, — უპასუხა ალერსიანი ღიმილით ბუღალტრის სამხედრო სადგურის კომენდანტმა.

„ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში ჩავევარდი, — გაიფიქრა კაპიტანმა საგნერმა, როცა საკომენდანტოდან გამოდიოდა. — რა ეშმაკად ვუბრძანე პორუჩიკ ლუკაშს, რომ თავი მოეყარა მეთაურებისა და სალდათებისათვის და მათთან ერთად წასულიყო სასურსათო საწყობში“.

მეთერთმეტე ასეულის მეთაურმა პორუჩიკმა ლუკაშმა თანახმად კაპიტან საგნერის განკარგულებისა, ის-იყო უკვე დააპირა გადაეცა ბრძანება — წასულიყვნენ საწყობში სულზე ას ორმოცდაათი გრამი შვეიცარული ყველის მისაღებად, მაგრამ სწორედ ამ დროს წარსდგა მის წინ შვეიცი უბედურ ბალოუნთან ერთად.

ბალოუნი მთლად კანკალებდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — უთხრა შვეიკმა მისთვის ჩვეული სიუოჩალით, — ძალზე სერიოზული საქმე გახლავთ. მაქვს პატივი გთხოვოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ნება დამართოთ მოგელაპარაკოთ განმარტოებით. ასე თქვა ერთხელ ჩემმა ამხანაგმა ზგორაქელმა შპატიანამ, როცა მაყრად იყო ერთ ქორწილში და უცებ ეკლესიაში მოუნდა...

— რაშია საქმე, შვეიკ? — ველარ მოითმინა პორუჩიკმა ლუკაშმა, რომელსაც მონატრებოდა შვეიკი, ისევე როგორც შვეიკს პორუჩიკი ლუკაში. — გავიდეთ იქით.

ბალოუნი ლასლასით გაჰყვა მათ უკან, ამ გოლიათმა მთლად დაკარგა სულიერი სიმტკიცე და სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილი უმწეოდ იქნევდა ხელებს.

— აბა, რაშია საქმე? — ჰკითხა პორუჩიკმა ლუკაშმა, როცა განზე გადგნენ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — სულ მოუთქმელად უპასუხა შვეიკმა, — უმჯობესია თვითონ გამოტყდეთ ყველაფერში, ვიდრე საქმე გაიხსნებოდეს. თქვენ სავსებით გარკვეულად ბრძანეთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ თქვენთვის მოერთმია ბალოუნს ღვიძლის პაშტეტი და ბუღკი, როცა ბუღაპეშტში მივიდოდით.

— მიიღე თუ არა შენ ეს ბრძანება? — მიუბრუნდა შვეიკი ბალოუნს.

ბალოუნმა კიდეც უფრო მეტი სასოწარკვეთილებით გაასავესაგა ხელები, თითქოს თავს იფარავდა მტრისაგან, რომელმაც მძვინვარედ შემოუტია.

— ეს ბრძანება, პანე ობერ-ლეიტენანტ, — თქვა შვეიკმა, — სამწუხაროდ, არ შეიძლებოდა შესრულებულიყო. თქვენი ღვიძლის პაშტეტი და ბუღკი მე შეგესანსლე...

— მე შევსანსლე, დიახ, — გაიმეორა შევიკმა, და ფერღში ხელი ჰკრა ბოლოუნს, რომელიც გამოთაყვანებული იდგა. — ვიფიქრე, ღვიძლის პაშტეტი გაფუქდება-თქო. არაერთხელ წამიკითხავს გაზეთში, რომ ღვიძლის პაშტეტისაგან მთელი ოჯახები მოწამლულა. ერთხელ ასეთი რამ ზღერაზეში მოხდა, ერთხელ ბეროუნში, ერთხელ ტაბორში, ერთხელ მლადა ბოლესლავში, ერთხელ პრშიბ-რაშიში. ყველა მოწამლული გარდაიცვალა. ღვიძლის პაშტეტი — დიდი საძაგელი რამაა.

ბალოუნი კანკალმა აიტანა, განზე გადაგა და პირში ჩაიყო თითო. რაც რამე ეჭამა, ყველაფერი ასაქმა.

— რა მოგივიდათ, ბალოუნ?

— მარწ-ყე-ვინებს, ბა-ბა-ტონო ობ-ობერ-ლეიტენანტ... — ლულულულებდა ბედმაღვი ბალოუნი, შეტევის შუალედებში, — ე-ე-ეს მე შევ-შევ-ყლა-პე. — წამებულმა ბალოუნმა პაშტეტთან ერთად კალაფირის შესახვევიც გადმოანთხია.

— როგორც ხედავთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — თქვა შევიკმა, რომელიც სრულებითაც არ დაბნეულა, — ყოველი შეყლაპული პაშტეტი გარეთ მოძვრება, როგორც მახათი ტომრიდან. მინდოდა დანაშაული მე შეკისრა, ამ დოყლაპიამ კი ყველაფერი წაყოყრანტალა და თავისი თავი გასცა. ბალოუნი საკმაოდ წესიერი ადამიანია, მაგრამ თუ საჭმელი ჩაუვარდა ხელში, უთუოდ შესანსლავს. მე ვიცნობდი კიდევ ერთ ასეთ სუბიექტს, იგი ბანკის შიკრიკი იყო. ისეთი სანდო პიროვნება — რომ შეგეძლოთ ათასები ჩაგებარებინათ და ერთ გროშს არ მოაკლებდა. ერთხელ მას მეორე ბანკიდან ფული გამოატანეს და ათასი კრონა გადმოყვათ. მან იმწაქსვე უკან დააბრუნა ეს ათასი კრონა. მაგრამ აბა ერთი გეცადათ და დაგვეკალებინათ თხუთმეტი კრეიციერის დაშაშხული კისრიბანდის მოტანა: გზაში აუცილებლად გაანახევრებდა. იგი ისეთი მსუნაგი ვინმე იყო, რომ, როცა ჯიგრის ძეხვზე გაგზავნიდნენ, გზაში ფატრავდა მათ ჯიბის დანით, ზერელებს კი ინგლისური სალბუნით ავსებდა. ხუთი მომცრო ჯიგრის ძეხვისთვის სალბუნის მას უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე ერთი ცალი ჯიგრის ძეხვი.

პორუჩიკმა ლუკაშმა ამოიხვნეშა და გასცილდა მათ.

— ხომ არაფერს მიბრძანებთ, პანე ობერ-ლეიტენანტ? — მიძახა მას შევიკმა, საცოდავი ბალოუნი კი ამ დროს განუწყვეტლივ იყოფდა ხახაში თითს.

პორუჩიკმა ლუკაშმა ხელი ჩაიქნია და სასურსათო საწყობისკენ გაემართა. მას თავში მოუვიდა პარადოქსალური აზრი: რაკი ჯა-
6. ი. ჰაშეკი

რისკაცები თავიანთ ოფიცრებს ღვიძლის პაშტეტებს უჭამენ —
ავსტრია ომს ვერ მოიგებს.

შვეიკმა ბალოუნი რკინიგზის ლიანდაგის მეორე მხარეზე გადა-
იყვანა; გზაში ამშვიდებდა, დარღი ნურაფრისა გაქვს, ერთად და-
ვათვალიერებთ ქალაქს და პორუჩიკს დებრეცის ძეხვებს ვუყიდი-
თო. შვეიკს, ბუნებრივია, უნგრეთის სამეფოს დედაქალაქი წარ-
მოდგენილი ჰქონდა, რომ იქ უხვად მოიპოვებოდა სხვადასხვაგვარი
შაშხები.

— არ გაგვასწროს მატარებელმა, — აწუწუნდა ბალოუნი, რო-
მელიც მარტო გასაოცარი ღორმუცელა როდი იყო, ამავე დროს
წარმოუდგენელი კრიჟანგიც გახლდათ.

— როცა ფრონტზე მიღიხარ, — დამაჯერებლად განაცხადა
შვეიკმა, — არასოდეს არ დაგაგვიანდება მატარებელზე, ვინაიდან
ცნობილია, რომ, თუ ფრონტზე მიმავალი მატარებელი მინცდა-
მინც აჩქარდება, საბოლოო სადგურზე მიიყვანს ეშელონის მხო-
ლოდ ნახევარს. თუმცა, ძალიან კარგად მესმის, ბალოუნ, რა მუც-
ლის გვრემაცა გაქვს! ჯიბეს უფრთხილდები.

მაგრამ წასვლა აღარსად დასცალდათ, რადგან გაისმა ბრძანება
„ვაგონებში“. სხვადასხვა ასეულების ჯარისკაცები პირში ჩალა-
გამოვლებულნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ვაგონებში. ნაცვლად ას
ორმოცდაათი გრამი შვეიცარული ყველისა, რაც იმათთვის აქ უნ-
და მიეცათ, მიიღეს თითო კოლოფი ასანთი და თითო ღია ბარათი,
გამოცემული ავსტრიაში სამხედროთა საფლავების დაცვის კომი-
ტეტის მიერ (ვენა XIX/4, კანიზიუსის ქუჩა). ნაცვლად ას ორ-
მოცდაათი გრამი შვეიცარული ყველისა მათ უთავაზეს სედლიცის
ძმათა სასაფლაო დასავლეთ პალიციაში ბედკრულ მოლაშქრეთა
ძეგლის გამოსახულებით. ეს მონუმენტი მოქანდაკემ შექმნა, —
უფროსმა გადამწერმა ნებივანწესებულმა შილცმა, რომელმაც
თავი დაიძვრინა ფრონტისგან.

შტაბის ვაგონთან არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ეტყობო-
დათ ოფიცრებს. სამარშო ბატალიონის ოფიცრები შექუჩულიყვნენ
კაპიტან საგნერის ირგვლივ, რომელიც მღელვარებით რაღაცას
უამბობდა. იგი ეს-ესაა სადგურის კომენდატურიდან დაბრუნდა და
ხელში ეჭირა ბრიგადის შტაბის ფრიად საიდუმლო ტელეგრამა,
ძალზე გრძელი, თანდართული ინსტრუქციებითა და მითითებებით,
როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ახალ სიტუაციაში, რომელშიც მო-
ექცა ავსტრია 1915 წლის 23 მაისს.

ბრიგადის შტაბის ტელეგრამით იტყობინებოდნენ, რომ იტალიამ
ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს.



ჯერ კიდევ ლეიტას ბრუკში ოფიცერთა შეკრებულობაში მსუყე სადილებისა და ვახშმების დროს პირგამოტენილი ოფიცრები ლაპარაკობდნენ, რომ მართალია იტალია უცნაურად იქცეოდა, მაგრამ არავინ მოელოდა, რომ აღსრულდებოდა იდიოტ ბიგლერის წინასწარმეტყველება, რომელმაც ერთხელ ვახშამზე მაკარონით სავსე ჯამს ხელი ჰკრა და განაცხადა: „ამას სჯამოდ გეახლებით ვერონის კარიბჭესთან“.

კაპიტანი საგნერი დაწვრილებით გაეცნო ბრიგადიდან მიღებულ ინსტრუქციას და განგაში გამოაცხადა:

როცა სამარშო ბატალიონის ყველა ჯარისკაცი შეიკრიბა, ისინი კარეში ჩაამწყრივეს და კაპიტანმა საგნერმა დიდის ამბით წაუკითხა სალდათებს ტელეგრაფით გადმოცემული ბრძანება:

„იტალიის მეფემ, ხარბმა და გაუმადლარმა, გაუგონარი ღალატი ჩაიდინა, როგორც ჩვენი ქვეყნის ძმადნაფიცმა მოკავშირემ დაივიწყა თავისი მოვალეობანი. ომის დაწყებისთანავე, იგი, როგორც ჩვენი კეთილი მოკავშირე, გვერდში უნდა ამოდგომოდა ჩვენს მომავალ ჯარებს, მაგრამ ნაცვლად დახმარებისა, მოღალატე იტალიის მეფე შენიღბული გამცემის როლს თამაშობდა, თვალთმაქცობდა

და საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩვენს მტრებთან. ეს გამცემლობა დაგვირგვინდა ღამით 22 მაისს, როცა მან ომი გამოუცხადა ჩვენს მონარქიას. ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი დარწმუნებულია, რომ ჩვენი მამაცი და სახელოვანი ჯარი მტრის ამ სამარცხვინო და ვერაგულ ღალატს ისეთი დარტყმით უპასუხებს, რომ იგი, ფიცის გამტეხი და განდგომილი, მიხვდება, რა საძრახისაა და მზაკვრულად დაიწყოს ომი და ამით საკუთარი თავი დაიღუპა. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ღვთის შემწეობით მალე დადგება დღე, როცა იტალიის ველ-მინდერებზე კვლავ შედგამს ფეხს ავსტრიის ძღვევამოსილი ჯარი, სანტა-ლუჩიას, ვიჩენცეს*, ნოვარასა* და კუსტოცესთვის ბრძოლებში გამარჯვებული ჯარი. ჩვენ გვინდა გავიმარჯვოთ, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ!

• შემდეგ ამას მოჰყვა ჩვეულებრივი „dreimal hoch“¹ და დანაღვლიანებული ჯარისკაცები ჩასხდნენ მატარებელში. ნაცვლად ას ორმოცდაათი გრამი შვეიცარული ყველისა ახალი ომი დაატყდათ მათ თავზე, — ომი იტალიასთან.

ვაგონში, სადაც ისხდნენ შვეიკი, უფროსი გადამწერი ვანეკი, ტელეგრაფისტი ხოდოუნსკი, ბალოუნი და მზარეული იურაიდა იტალიის ომში ჩაბმის შესახებ საინტერესო საუბარი გაიმართა.

— მსგავსი შემთხვევა მოხდა პრალაში ტაბორის ქუჩაზე, — წამოიწყო შვეიკმა. — იქ ცხოვრობდა ერთი ვაჭარი პორეიში. მის მახლობლად მოპირდაპირე მხარეზე თავის დუქანში ვაჭრობდა პოშმიურნი. მათ შორის საწვრილმანო დუქანი ჰქონდა ჰავლასს. და აი, ერთ დღეს, ვაჭარ პორეიშს თავში მოუვიდა შეკავშირებოდა მეწვრილმანე ჰავლასს ვაჭარ პოშმოურნის წინააღმდეგ. ამ მიზნით გამართა მოლაპარაკება ჰავლასთან, რანაირად გავაერთიანოთ ჩვენი დუქნები ერთი ფირმის სახელით: „პორეიში და ჰავლასი“. მაგრამ მედუქნე ჰავლასი ადგა და წავიდა ვაჭარ პოშმოურნისთან და უთხრა, რომ პორეიშიმ ჩემს დუქანში ათას ორასი კრონა შემომადღია და შემომთავაზა, ჩემი კომპანიონი გახდო. მაგრამ თუ შენ მომცემ ათას რვაას კრონას, მაშინ ვარჩევდი შენთან გაერთიანებას პორეიშის წინააღმდეგო. შეთანხმდნენ. მაგრამ ჰავლასი, უღალატა რა პორეიშს, სულ მის კარებთან იყო აყუდებული და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მისი დიდი მეგობარია, ხო-

¹ სამჯერი ვაშა (გ. რ. მ.).

ლო ლაპარაკი რომ ჩამოვარდებოდა ერთობლივად საქმის გაძღო-
ლაზე, ასე პასუხობდა: „პატარა მადროვე, სულ მალე, სულ მალე
იქნება. ოღონდ აი დღე-დღეზე ველოდები აგარაკებიდან მდგმუ-
რების ჩამოსვლას“. და როცა დაბრუნდნენ მდგმურები, მართლაც
უკვე ყველაფერი მზად იყო ერთად მუშაობისთვის, როგორც და-
პირებული იყო ჰავლასი. ერთხელ დილით წავიდა ჰორეიში თავი-
სი ღუქნის გასაღებად და ხედავს კონკურენტის ღუქანზე ვეება
აბრას, რომელზეც უზარმაზარი ასობით იყო წარწერილი ფირმის
სახელწოდება: „პოშმოურნი და ჰავლასი“.

— ჩვენთანაც იყო ასეთი შემთხვევა, — ჩაერია საუბარში მო-
ჩურჩურტო ბალოუნი. — მეზობელ სოფელში დეკეულის ყიდვა და-
ვაპირე, უკვე მოვილაპარაკეთ კრდეც, და ამ დროს ვოტიცელმა ყა-
საბმა ცხვირწინ ამართვა ეს დეკეული.

— რაკი ისევ ახალი ომია, — განაგრძო შევიკმა, — რაკი ერთი
მტერი კიდეც მოგვემატა, რაკი ახალი ფრონტი გაიხსნა, საჭიროა
საბრძოლო მასალები გამოვიზოგოთ. რაც უფრო ბევრია ოჯახში
ბავშვი, მით უფრო მეტია წკეპლა საჭირო, — ასე იტყოდა ხოლმე
მოტოლელი ბერიკაცი ხოვანეცი, რომელიც მცირედი გასამრჯე-
ლოთი მეზობლებს გაწკეპლევაში შველოდა.

— მე მხოლოდ ერთი რამ მაშინებს, — გამოთქვა თავისი შიში
ბალოუნმა და მთელი სხეული აუცახცახდა, — ამ იტალიის გამო
ულუფა არ შეგვიმცირონ.

უფროსი ვადამწერი ვანეკი ჩაფიქრდა და სერიოზულად უპა-
სუხა:

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან ახლა, უეჭველია,
ჩვენი გამარჯვების დღე არც ისე მალე დადგება.

— ეჰ, ერთი ახლა ახალი რადეცკი მოგვცა, — თქვა შევიკმა. —
აი, ვინ იცნობდა იმ მხარეს! იმან იცოდა, სად მოისუსტებდნენ
იტალიელები, რაზე უნდა მიეტანა იერიში და რომელი მხრიდან.
აღვილი საქმე ხომ არაა — სადმე შეძრომა. შეძრომას ყველა მოა-
ხერხებს, მაგრამ ბიჭობა გამოძრომია — და აი, ამაში მდგომარეობს
ნამდვილი სამხედრო ხელოვნება. როცა აღამიანი სადმე მიძვრება,
უნდა იცოდეს, ირგვლივ რა ხდება, რომ უხერხულ მდგომარეობაში
არ ჩავარდეს, რომელსაც კატასტროფა ეწოდება. ერთხელ ჩვენს
სახლში, სადაც ძველად ვცხოვრობდი, სხვენზე ქურდი შეისწრეს.
როცა ის არამზადა სხვენზე მიძვრებოდა, შენიშნა, რომ კალატოხე-
ბი კიბეზე დიდ ფარანს არემონტებდნენ. ასე დაუსხლტა მათ ხელი-
დან ქურდი, დანა ჩასცა შეკარეს და ხარაჩოების საშუალებით ფა-
რანში ჩაძვრა, იქიდან კი ველარ გამოძვრა. და აი, ჩვენ ღვიძლმა მა-

მამ რადეცკმაც იცოდა იტალიაში თვითეული ბილიკი, მისი ხელ-
ში ჩაგდება არავის შეეძლო. ერთ წიგნში მოთხრობილია, როგორ
გაიქცა იგი სანტა-ლუჩიადან, გაიქცნენ იტალიელებიც. რადეცკიმ
მხოლოდ მეორე დღეს აღმოაჩინა, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა
მან, რადგან იტალიელები ისე შორს გაქცეულიყვნენ, რომ მათი
დანახვა სალაშქრო ბინოკლითაც კი შეუძლებელი შეიქნა. მაშინ
რადეცკი უკან დაბრუნდა და დაიკავა იტალიელების მიერ მიტო-
ვებული სანტა-ლუჩია. ამისთვის მას ფელდმარშლის ხარისხი მი-
ანიჭეს.

— კაი მოგივიდათ, კაი ქვეყანა ის იყოს, — ჩაერია ლაპარაკში
მზარეული იურაიდა: — ერთხელ ვენეციაში ვიყავი და ვიცი, რომ
იტალიელი ყველას ღორს უწოდებს. როცა გაჯავრდება, მისთვის
ყველაფერი არის „porco maladetto“¹. რომის პაპიც „porco“ არის
და „madonna mia porca“,² „papa è porco“³.

უფროსი გადამწერი ვანეკი, პირიქით, დიდი სიმპათიით ახსენებ-
და იტალიას. იგი კრალუბში საკუთარ სააფთიაქო დუქანში ლიმონის
სიროფს ამზადებდა: სიროფი დამპალი ლიმონისგან კეთდებოდა,
ყველაზე დამპალ ლიმონს კი იგი ყოველთვის იტალიაში ყიდულობ-
და. აწი ლიმონს აღარავინ. შემოიტანს კრალუბში იტალიიდან. ექვს
გარეშეა, რომ იტალიასთან ომი მრავალ სიურპრიზს მოგვიტანს,
რადგან ავსტრიამ შეეცდება სამაგიერო გადაუხადოს იტალიას.

ადვილი სათქმელია — სამაგიეროს გადაუხადისო! — ღიმილით
მიუგო შეეიკმა. — ზოგიერთი ფიქრობს, სამაგიეროს გადაუხადი
მოწინააღმდეგესო, საბოლოოდ კი ზარალდება ის, ვისაც ამ სამაგიე-
როს გადასახდელად გამოიყენებს იარაღად. როცა მე ამ რამდენიმე
წლის წინათ ვინოპრადეში ვცხოვრობდი, იქ პირველ სართულზე
ცხოვრობდა მეკარე, მისგან ოთახი ნაჭირავები ჰქონდა. რომელი-
ღაც ბანკის წვრილ მოხელეს. ეს მოხელე ყოველთვის კრამერიე-
ვის ქუჩაზე მდებარე სალუდეში დადიოდა; და ერთხელ, როგორღაც
ერთ მოქალაქესთან მოუვიდა ჩხუბი. იმ მოქალაქეს ვინოპრადეში
შარდის ანალიზის ლაბორატორია ჰქონდა. იგი ლაპარაკობდა და
ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ შარდზე, მუდამ თან დაჰქონდა
შარდიანი ბოთლები; ყველას ხელში ჩრიდა საშარდე ბოთლს, რომ
თვითეულს შიგ მოეშარდა და საანალიზოდ მიეცა. ანალიზზეა და-
მოკიდებული ადამიანისა და მისი ოჯახის ბედნიერებაო. ამასთანა-

¹ წყეული ღორი (იტ.).

— ² მადონა ჩემი ღორია (იტ.).

³ პაპა ღორია (იტ.).

ვე ეს იაფიცა: სულ ექვსი კრონა ღირსო. ყველამ, ვინც სალუდში დადიოდა, აგრეთვე მელუდემ და მისმა ცოლმაც საანალიზოდ მისცეს თავისი შარდი. მარტო ის ერთი წვრილი მოხელე ჯიუტობდა. ლაბორატორიის პატრონი არ ეშვებოდა: როცა მოხელე პისუარში მიდიოდა, იქაც მისდევდა და დიდი მზრუნველობით ეუბნებოდა: „რალაც არ მომწონს თქვენი შარდი, პან სკორკოვსკი, რაშია საქმე არ ვიცი. მოშარდეთ ამ ბოთლში, სანამ გვიან არ არის!“ ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა. მოხელემ გადაიხანდა დაწესებული ექვსი კრონა. მაგრამ არ იკითხავთ, რარიგ გააბოროტა მან ეს მოხელე თავისი ანალიზით! არც სხვებისთვის დაუკლია ხელი. მელუდესაც მისწვდა და მისი ვაჭრობის საქმეს თითქმის ძირი გამოუთხარა. ყოველ ანალიზს იგი ფავის დასკვნას ურთავდა ხოლმე, რომ მის პრაქტიკაში ეს ძალზე სერიოზული შემთხვევაა, რომ წყლის გარდა არაფრის სმა არ შეიძლება, არც პაპიროსის მოწვევა და არც ცოლის შერთვა; ჭამით, მხოლოდ ბოსტნეული უნდა სჭამოთო. და აი ეს მოხელე, როგორც სხვა ყველა, მასზე საშინლად გაბრაზდა და სამაგიეროს გადასახდელად მეკარე ამოირჩიეს, რადგან ყველამ იცოდა, რომ იგი შეუბრალებელი ადამიანი იყო. ერთხელ მოხელემ შარდის ანალიზების ლაბორატორიის მეპატრონეს უთხრა: ეს ერთი ხანია მეკარე რალაც უქეიფოდ გრძნობს თავს და გთხოვთ, ხვალ დილას შვიდი საათისათვის მიხვიდეთ მასთან საანალიზოდ შარდის წამოსაღებადო. იგი მართლაც წავიდა. მეკარეს ეძინა. ლაბორატორიის მეპატრონემ იგი გააღვიძა და თავაზიანად უთხრა: „დილა მშვიდობისა, პანე მალეკ, აი თქვენ ბოთლი, მოშარდეთ შიგ. თქვენგან ამისათვის მერგება ექვსი კრონა“. და აი აქ მოხდა რალაც საშინელება...! ატყდა ერთი ალიაქოთი! მეკარე ნიფხავ-პერანგის ამარა გადმოხტა საწოლიდან, ყელში სწვდა ამ კაცს და კარადაში შეაგდო! კაცი კარადაში გაეჩხირა. მეკარემ გამოათრია იგი, ხელი დაავლო შოლტს და ნიფხავ-პერანგის ამარა გამოუდგა მას, ჩელაკოვსკის ქუჩის თავქვე, კაცი აწკმუტუნდა, თითქო ძაღლიაო, რომელსაც კუდზე ფეხი დაადგეს. პავლიჩკას ქუჩაზე პან მალეკი ტრამვაის შეახტა. მეკარეს ხელი წაავლო პოლიციაში, იგი გაუძალიანდა. ვინაიდან მეკარე ნიფხავ-პერანგის ამარა იყო და ყველაფერი გამოუჩინდა, საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფისათვის იგი კალათში ჩააგდეს და პოლიციაში მიაბრძანეს, მეკარე კალათიდან ხარივით ბლოდა: „ქოფაქებო, მე თქვენ გაჩვენებთ როგორ უნდა ჩემი შარდის გამოკვლევაო“. იგი ექვსი თვე იჯდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციის შეურაცხყოფისათვის, განაჩენი რომ მოისმინა, მეფის სახლობას ერთი მაგრად შეუკურთხა. ადვილი შე-



საძლებელია, ის ბედშავი ახლაც საპყრობილეში ზის, ამიტომ ვამბობ: „როცა ვინმეს სამაგიეროს უხდი, ამით სრულიად უდანაშაულო ადამიანს აყენებ ზიანს“.

ბალოუნი ამ ხნის განმავლობაში იჯდა და დაძაბულად დიდხანს რაღაცაზე ფიქრობდა, ბოლოს ათრთოლებული ხმით შეეკითხა ვანეკს:

— მაპატიეთ, ბატონო უფროსო ვადაშწერო, როგორ ფიქრობთ, იტალიასთან ომის გამო ულუფას ჩამოგვაკლებენ?

— რა თქმა უნდა, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა,—უპასუხა ვანეკმა.

— დედაო ღვთისა, — წამოიძახა ბალოუნმა, თავი ჩაქინდრა და კუთხეში მიჯდა ენაჩავარდნილი.

ასე დამთავრდა ამ ვაგონში კამათი იტალიაზე.

საუბარი შტაბის ვაგონში ახალ სიტუაციაზე, რაც შექმნილი იყო იტალიის ომში ჩაბმასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა მომაბეზრებლად წარმართულიყო, ვინაიდან საუბარს არ ესწრებოდა სახელგანთქმული სამხედრო თეორეტიკოსი კადეტი ბიგლერი, მაგ-

რამ იგი ნაწილობრივ შეცვალა მესამე ასეულის პოდპორუჩიკმა ღუბმა.

პოდპორუჩიკი ღუბი მშვიდობიანობის დროს ჩეხური ენის მასწავლებელი იყო და უკვე მაშინ, სადაც კი საშუალება მიეცემოდა, ცდილობდა გამოეჩინა ლოიალობა. იგი თავის მოწაფეებს აძლევდა წერით სამუშაოებს თემაზე: ჰაბსბურგების დინასტიის ისტორიიდან. დაბალ კლასებში მოსწავლეებს აშინებდათ იმპერატორი მაქსიმილიანე, რომელიც კლდეზე აძვრა და ძირს ველარ ჩამოვიდა, მიწის მხვნელი იოსებ II და კეთილი ფერდინანდი *. უფროს კლასებში თემები უფრო რთული იყო. მაგალითად, მეშვიდე კლასში ეძლეოდათ წერითი სამუშაო თემაზე: „იმპერატორი ფრანც იოსები — მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი“. ამ წერითმა სამუშაომ ერთი მეშვიდე კლასელი შეიწირა — იგი გარიცხულ იქნა სკოლიდან და ავსტრია-უნგრეთის მონარქიის საშუალო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად შესვლის უფლება აჰყარეს, რადგან მას დაუწერია, ამ მონარქიის უშესანიშნავესი მოღვაწეობა ის იყო, რომ მან იმპერატორ ფრანც იოსებ I-ის ხიდი ააგო პრაღაში *.

ფხიზლად ადევნებდა ღუბი თვალყურს იმას, რომ ყველა მის მოწაფეს იმპერატორის დაბადების დღეს და სხვა საზეიმო დღეებში, რომლებიც დაკავშირებული იყო იმპერატორის სახელთან, ენთუზიაზმით ემღერა ავსტრიული ჰიმნი. საზოგადოებაში იგი არ უყვარდათ, ვინაიდან გარკვეულად იცოდნენ, რომ მამბუღარა იყო და თავის კოლეგებზე ენას ატარტარებდა/ ქალაქში, სადაც ღუბი მასწავლებლობდა, იგი მთლად წყალწალბებული იდიოტებისა და ყურმოჭრილი ვირების „სამეულის“ წევრი იყო. სამეულში მის გარდა შედიოდნენ ოლქის უფროსი და გიმნაზიის დირექტორი. ამ ვიწრო წრეში მან ისწავლა და შეითვისა მსჯელობა პოლიტიკაზე იმ ფარგლებში, რომელიც ნებადართული იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში. ახლა იგი გამოთქვამდა თავის აზრებს გიმნაზიის დამყაყებული მასწავლებლის კილოთი.

საერთოდ მე სრულებით არ გამკვირვებია იტალიის გამოსვლა. ამას ჯერ კიდევ სამი თვის წინათ მოველოდი. თურქეთთან ტრიპოლის გამო თავისი ძლევამოსილი ომის შემდეგ იტალიას ძალზე თავს გაუვიდა. გარდა ამისა, მას მეტისმეტად დიდი იმედი აქვს თავისი ფლოტის, ასევე ჩვენი ზღვისპირა ოლქებისა და სამხრეთ ტიროლის მოსახლეობის განწყობის. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე საუბარი მქონდა ოლქის უფროსთან იმის შესახებ, რომ ჩვენი მთავრობა სათანადოდ ვერ აფასებს ირრედენტისტულ მოძრაობას ქვეყ-



ნის სამხრეთ ნაწილში *. იგი სავსებით მეთანხმებოდა, ვინაიდან ყოველმა შორსმკვრეტმა ადამიანმა, რომლისთვისაც ძვირფასია ჩვენი იმპერიის მთლიანობა, უნდა გაითვალისწინოს, სადამდე შეიძლება მივიდეთ, თუ მსგავს ელემენტებს მეტისმეტად დავუთმობთ. ძალიან კარგად მახსოვს, რომ ამ ორი წლის წინათ ბატონ ოლქის უფროსთან საუბარში განვაცხადე, რომ იტალია — ეს გახლდათ, მაშასადამე, ბალკანეთის ომის დროს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — ჩვენი კონსულის პროხაზკას ყალთაბანდობის დროს, — დიახ, იტალია-მეთქი, მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდება, რომ ვერაგულად თავს დაგვესხას.

— და აი ასეც მოხდა! — წამოიძახა მან, თითქოს ყველანა მას ეკამათებოდნენ და არ ეთანხმებოდნენ, ნამდვილად კი კადრის ოფიცრები, რომლებიც მის რომშეას ისმენდნენ, დუმდნენ და იმაზე ოცნებობდნენ, ეს სამოქალაქო მოლაყებე ჯანდაბას გადაიკარგოსო. — მართალია, — განაგრძო მან შედარებით დამშვიდებულმა, — რომ მეტწილად, სასწავლო წერით სამუშაოებშიც კი, გვაიწყდებოდა ჩვენი წინანდელი ურთიერთობანი იტალიასთან, გვაიწყდებოდა ჩვენი სახელოვანი ჯარის დიადი გამარჯვების დღეები, მაგალითად, ათას რვაას ორმოცდარვა წელს, ასევე — ათას რვაას სამოცდა ექვს წელს... ისინი მოხსენებულაია დღევანდელ ბრძანებაში ბრიგადის მიმართ. პირადად მე ყოველთვის პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, როგორც მასწავლებელი, და ჯერ კიდევ სასწავლო წლის დამთავრებამდე. თითქმის, ასე ვთქვათ, ომის დასაწყისშივე სკოლაში ჩემს მოწაფეებს მივეცი ასეთი თემა: „Unsere Helden in Italien von Vicenza bis zur Custozza, oder“...¹

და ჩერჩეტმა პოდპორუჩიკმა დუბმა დიდის ამბით დაურთო... „Blut und Leben für Habsburg! Für ein Oesterreich, ganz, einig, gross!“

იგი გაჩუმდა, როგორც ჩანს, იმის მოლოდინში, რომ შტაბის ვაგონში წამოიწყებდნენ საუბარს შექმნილ სიტუაციაზე და კიდევ ერთხელ მივიკიმოდა საშუალება დაემტკიცებინა, რომ მან უკვე ამ ხუთი წლის წინათ იცოდა, იტალია-როგორ უმუხთლებდა თავის მოკავშირეს. მაგრამ დუბს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვინაიდან კაპიტანმა საგნერმა, რომელსაც ბატალიონის ორდინარეცმა მატლში იჩმა სადგურიდან „Pester Lloyd“-ის სალამოს გამოშვება მოუტა-

¹ ჩვენი გმირები იტალიაში ვიჩენციდან კუსტოცემდე, ან... (გ ე რ მ.)

² ჩვენი სისხლი და სიცოცხლე პაბსბურგებს! ვიბრძოლოთ — ერთიანი, განუყოფელი, დიდი ავსტრიისათვის! (გ ე რ მ.)

ნა, გადაათვალიერა თუ არა გაზეთი, წამოიძახა: „გესმით, ბატონებო, სწორედ ის ვეინეროვა, რომლის გასტროლებზე ჩვენ ბრუკში ვიყავით, გუშინ აქ გამოსულა მცირე თეატრის სცენაზე“.

ამაზე შეწყდა კამათი იტალიაზე შტაბის ვაგონში.

ბატალიონის ორდინარეცი მატუშიჩი და საგნერის დენშიჩი ბატცერი, რომლებიც აგრეთვე შტაბის ვაგონით მიემგზავრებოდნენ ფრონტზე, იტალიასთან ომს წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით უყურებდნენ: დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, როცა სამხედრო სამსახურში ირიცხებოდნენ, მონაწილეობა მიუღიათ სამხრეთ ტიროლში მანევრებზე.

— გაგვიჭირდება მთებზე ლოლიალი, — ამოიხვნეშა ბატცერმა, — კაპიტან საგნერს ერთი ურემი ჩემოდნები აქვს. მე თვითონ მთიელი ვარ, მაგრამ ის სულ სხვა იყო, როცა აიღებდი სანადირო თოფს, ქურთუკის კალთას მოათარებდი და კურდღელს ჩაუსაფრდებოდი თავად შვარცენბერგის * მამულში.

— ჩვენ თუ მართლა სამხრეთით, იტალიაში გადაგვისროლეს... მეც არ მომწონს მთებსა და მყინვარებზე ხეტიალი ბრძანებებით. რაც შეეხება სათქვლელს, იქ, სამხრეთით, მარტო პოლენტა * და მცენარეული ზეთია, — ნალვლიანად თქვა მატუშიჩმა.

— ვითომ რად არ უნდა შეგეჩხირონ ამ მთებში? — აღელდა ბატცერი — ჩვენი პოლკი იყო სერბიაში, იყო კარპატებშიც. მე უკვე საკმაოდ ვათრიე ბატონ კაპიტანის ჩემოდნები მთებში. ორჯერ დავკარგე. ერთხელ სერბიაში, მეორედ — კარპატებში. ასეთი ომის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეიძლება იგივე მელოდება მესამედაც, იტალიის საზღვარზე; რაც შეეხება იქაურ სათქვლელს... — გადააფურთხა, ახლო მიუჯდა მატუშიჩს და გაანდბო გულის ნადები: — იცი, ჩვენთან კაშპერის მთებში აკეთებენ აი ასეთ პატარა კნედლიკებს უმი კარტოფილისაგან, მათ მოხარშავენ, კვერცხში ამოავლებენ, მოაყრიან ბლომად დანაყილ ორცხობილას, და, მერე ნელ ცეცხლზე შეწვავენ ღორის ქონზე!

უკანასკნელი სიტყვები მან სიამოვნებისაგან აკანკალებული ხმით წარმოთქვა:

— მაგრამ ყველაზე უკეთესია კნედლიკი მკავე კომბოსტოთი, — დაურთო მან მელანქოლიურად, — მაკარონი კი, აბა, რა საჭმელია, ფეხისადგილშია გადასაყრელი.

ამით იქაც დასრულდა საუბარი იტალიაზე.



დანარჩენ ვაგონებში ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ მატარებელს, უთუოდ, მოაბრუნებენ და იტალიაში გაუშვებენ, რადგან ორ საათზე მეტია სადგურზე დგასო.

ეს მოსაზრება ნაწილობრივ დასტურდებოდა იმ უცნაური ამბებითაც, რაც ეშელონებში ხდებოდა... სალდათები ისევ გამორეკეს ვაგონებიდან, მოვიდა სანიტარული ინსპექცია სადგინოთუქციო რაზმის თანხლებით და ყველაფერს მოასხურა ლიზოლი, რასაც დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ, მეტადრე იმ ვაგონებში, რომლებიც დატვირთული იყო საულუფო პურის მარაგით.

მაგრამ ბრძანება — ბრძანებაა, სანიტარულმა კომისიამ გასცა ბრძანება ჩაეტარებინა დეზინფექცია № 728 ეშელონის ყველა ვაგონში, ამიტომ გულარხეინად მოასხურეს ლიზოლი მთებად დამდგარ პურსა და ბრინჯით სავსე ტომრებს. ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ რაღაც ხდებოდა.

მერე ისევ შერეკეს ყველანი ვაგონებში, ნახევარი საათის შემდეგ კი უკანვე გამორეკეს, რადგან ეშელონის საინსპექციოდ ერთი ვადადძუებული გენერალი მისულიყო. შევიკმა იქვე შეაჩქვა ბებერ გენერალს შესაფერისი სახელი. უკანა მწკრივში მდგარმა უფროს ვადამწერს წასჩურჩულა:

— ნამდვილი მძორია.

ბებერმა გენერალმა კაპიტან საგნერის თანხლებით ჩაუარა მწკრივს, კარისკაცების გასამხნეველად ერთი ახალგაზრდა სალდათის წინ შეჩერდა და ჰკითხა: სადაური ხარ, რამდენი წლისა ხარ და საათი თუ გაქვსო. თუმცა ჯარისკაცს საათი ჰქონდა, ეგონა გენერალი, ალბათ, საათის ჩუქებას აპირებს, და ორი მექნებაო. ამიტომ უპასუხა, საათი არა მაქვსო. გადაღძუებულ გენერალ-მძორს გაეღიმა სულელივით, როგორც ილიმებოდა ხოლმე იმპერატორი ფრანც-იოსები, როცა ბურგომისტრს მიმართავდა, და ასე უპასუხა: „ეს კარგია, ძალიან კარგი!“ შემდეგ მიუბრუნდა გვერდით მდგომ კაპრალს და ცოლის ჯანმრთელობის ამბავი გამოკითხა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — მიახალა კაპრალმა, — უცოლო ვარ.

ამაზე გენერალმა მწყალობელი ღიმილით ასე ჩაიჩიფჩიფა:

— ეს კარგია, ძალიან კარგი!

მერე სიბერისგან გამოჩურჩუტებულმა გენერალმა მოსთხოვა კაპიტან საგნერს — მაჩვენეთ, სალდათები როგორ ასრულებენ ბრძანებას: „პირველი, მეორე — გაითვალე!“ და ერთი წუთის შემდეგ გაისმა:

— პირველი-მეორე, პირველი-მეორე.

გენერალ-მძორს ეს ძალიან უყვარდა.

შინ მას ორი დენშჩიკი ჰყავდა. დააყენებდა მათ და აყვირებდა.

— პირველი-მეორე, პირველი-მეორე.

ასეთი გენერლები ავსტრიას უამრავი ჰყავდა.

როცა დათვალეირებამ მშვიდობიანად ჩაიარა, გენერალმა აქო და აქო კაპიტანი საგნერი, ჯარისკაცებს კი ნება დართო სადგურის ტერიტორიაზე გაესეირნათ, რადგან ცნობა მოვიდა, რომ ეშელონი დაიძვრება მხოლოდ სამი საათის შემდეგო. ჯარისკაცები დასეირნობდნენ ბაქანზე და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ იქნებ რამე ავწაპნოთო. სადგურზე ყოველთვის ბევრი ხალხი ირევა და ჯარისკაცთაგან ხან ერთი ხან მეორე ახერხებდა, რომ ვისმესთვის ერთი სიგარეტი დაეცინცლა. ეს კი აშკარად მეტყველებდა იმაზე, თუ რაოდენ შენეულა აღფრთოვანება, რომლითაც პირველხანებში ხალხი ეგებებოდა სადგურებზე ეშელონებს: მაშინ ჯარისკაცებს ზეიმებს უმართავდნენ, ახლა კი მათ, ამ საცოდავებს მათხოვრობა უხდებოდათ.

კაპიტან საგნერთან გამოცხადდა „გმირების შემხვედრი წრის“ დელეგაცია, რომელიც შედგებოდა ორი მეტისმეტად დაძაბუნებული ქალისაგან. მათ გადასცეს ეშელონისათვის განკუთვნილი საჩუ-

ქარი, სახელდობრ, პირის ღრუს გასაგრილებელი ოცი კოლოფი სურნელოვანი ტაბლეტისა — ბუდაპეშტის კამფეტის ერთი ფაბრიკის რეკლამა. ეს ტაბლეტები ჩაწყობილი იყო ძალზე კოხტა თუნუქის კოლოფებში. თვითეული კოლოფის სახურავზე დახატული იყო უნგრული ჰონვედი, რომელიც ხელს ართმევს ავსტრიელ მოლაშქრეს, მათ თავზე კი კიაფობდა წმიდა სტეფანეს სხივმოსილი გვირგვინი. ირგვლივ რკალურაზე გამოყვანილი იყო წარწერა უნგრულ და გერმანულ ენებზე: „Für Kaiser, Gott und Vaterland“¹.

კამფეტის ფაბრიკა იმდენად ლოიალური იყო, რომ უპირატესობა იმპერატორს მიანიჭა, და უფალ ღმერთზე წინ დააყენა.

თვითეულ კოლოფში ოთხმოცი ტაბლეტი იყო, ასე რომ სამ კაცზე დაახლოებით ხუთ-ხუთი ტაბლეტი მოდიოდა. გარდა ამისა, ხანში შესულმა ილაჯგაწყვეტილმა დედაკაცებმა მოიტანეს მთელი შეკვრა ფურცლებისა, რომლებზეც დაბეჭდილი იყო ორი ლოცვა, შედგენილი ბუდაპეშტის არქიეპისკოპოსის სატმარ-ბუდაფალელ პეზის მიერ. ლოცვები შედგენილი იყო უნგრულ და გერმანულ ენებზე და შეიცავდნენ უსაშინლეს წყევლა-კრულვას, მიმართულს მტრების წინააღმდეგ. ლოცვები ბრაზით იყო აღსავსე. მხოლოდ ერთი მაგარი უნგრული გინებალა აკლდა „Baszom a Kristusmarját!“

ფრიალ პატივცემული არქიეპისკოპოსის აზრით, ყოვლად მოწყალე ღმერთმა უნდა ასჩეხოს რუსები, ინგლისელები, სერბიელები, ფრანგები და იაპონელები, გადააქციონ ისინი ატრიალ და პილპილით შეზავებულ გულიაშად. ყოვლად მოწყალე უფალი მტრის სისხლში უნდა ცურავდეს, მუსრს ავლებდეს და ხოცავდეს ყველა მოწინააღმდეგეს, როგორც ამოხოცა თოთო ბავშვები ულმოებელმა იროდმა.

უსამღვდელოესი არქიეპისკოპოსი ბუდაპეშტისა თავის ლოცვებში, მაგალითად, ასეთ მშვენიერ გამოთქმებს ხმარობდა: „ღმერთმა აკურთხოს თქვენი ხიშტები, რათა ისინი ღრმად შეიქრან მტრის მუცელში. დაე, ყოვლად სამართლიანმა უფალმა მიმართოს არტილერიის ცეცხლი მტრის შტაბებს. მოწყალეო ღმერთო, მოიმოქმედე ისე, რომ ყველა ჩვენი მტერი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩოს იმ ჭრილობებისაგან, რომელთაც მიაყენებენ მათ ჩვენი სალდათები“. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ლოცვებს აკლდა მხოლოდ „Baszon a Kristusmarját!“

როცა ყოველივე ეს გადასცეს დედაბრებმა, კაპიტან საგნერს

¹ იმპერატორის, ღვთისა და სამშობლოსათვის. (გერმ.)



მიმართეს თხოვნით — დააკმაყოფილეთ ჩვენი უსაზღვრო სურვილი და ნება დაგვართეთ დავესწროთ საჩუქრების დარიგებასო. ერთი მათგანი იქამდეც კი მივიდა, რომ კაპიტანს სთხოვა — ნება მომეცით სიტყვით მივმართო სალდათებსო, რომელთაც იგი ყოველთვის უწოდებდა მხოლოდ ასე: „unsere braven Feldgrauen“¹. კაპიტანმა საგნებმა უარპყო თხოვნა და დედაბრები ძალიან განაწყენდნენ. საჩუქრები გადაგზავნილ იქნა იმ ვაგონში, რომელიც საწყობად იყო გამოყოფილი. ფრიად პატივცემულმა დედაბრებმა ჩაუარეს ჯარისკაცთა მწკრივებს, ერთმა მათგანმა ისარგებლა მდგომარეობით და ხელი მოუთათუნა ლოყაზე დიდწვერება ბუდეიოვიცელ შიმეკს. შიმეკი, რომელმაც არაფერი იცოდა ამ დედაბრების მაღალი მისიის შესახებ, მათი წასვლის შემდეგ თავისებურად შეაფასა ქალის ასეთი საქციელი და თავის ამხანაგებს უთხრა:

— ამათ-არ უყუარებთ, რა თავხედები ყოფილან ეს ქუჩის კახპები. ღმერთს გარეგნობა მაინც მიეცა, თორემ რასა ჰგვანდნენ —

¹ ჩვენი ყოჩალი რუხი მაზარები (გ ე რ მ).

მთლად ყანჩასავით არ იყო მკვლე ფეხების მეტი აღარაფერი შერჩენოდა იმ ცოდვისშვილს; ასეთი ბებრუცუნა კიდევ კეკლუცობს და სალდათთან გაარშიყებას ლამობს.

სადგურზე ერთი ალიაქოთი ატყდა. იტალიის ომში ჩაბმამ პანიკა გამოიწვია: ორი ეშელონი არტილერიით დააკავეს და შტირიაში გაგზავნეს. ბოსნიელთა ეშელონი გაურკვეველი მიზეზების გამო მესამე დღეა გაგზავნას ელოდებოდა. მისი არსებობა მთლად ვადავიწყლათ, მათზე არავინ ფიქრობდა და არც არავინ ზრუნავდა. ბოსნიელებს მთელი ორი დღე სადილი არ მიეღოთ და ნოვი პეშტში დადიოდნენ სამათხოვროდ. მაგრამ მათხოვრობით რომელი ერთი გამოიძღებდა კუქს, და ახლა სადგურზე ბედის ანაბარა მიტოვებულ აღშფოთებულ ბოსნიელთა გაშმაგებული დედის გინების მეტი არაფერი ისმოდა. მალე ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის სამარშო ბატალიონი ისევ მორეკეს და სალდათები ვაგონებში განლაგდნენ. მაგრამ ერთ წუთსაც არ გაუვლია ბატალიონის ორდინარეცი მატუშინი სადგურის კომენდატურიდან დაბრუნდა და ცნობა მოიტანა, რომ მატარებელი მხოლოდ სამი საათის შემდეგ დაიძრებოდა. ამიტომ ვაგონებში შერეკილი ჯარისკაცები ისევ გამოუშვეს.

ზუსტად მატარებლის გასვლის წინ შტაბის ვაგონში ძალზე აღელვებული პოდპორუჩიკი დუბა შემოვარდა და მიმართა კაპიტან საგნერს თხოვნით, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინა შვეიკი. პოდპორუჩიკი დუბი ჯერ კიდევ მასწავლებლობის დროს მამუზლარად იყო ცნობილი; მას უყვარდა ჯარისკაცებთან გასაუბრება, მათი რწმენისა და შეხედულებათა გაგება, თუ შემთხვევა მიეცემოდა, კეკლას დაარიგებდა და აუხსნიდა, რისთვის და რატომ ომობს იგი.

შემოვლის დროს, სადგურის შორიახლო, მან დაინახა ფარანთან მდგარი შვეიკი, რომელიც ინტერესით ათვალიერებდა რომელიღაც საქველმოქმედო სამხედრო ლატარიის პლაკატს. პლაკატზე გამოსახული იყო ავსტრიელი ჯარისკაცი, რომელსაც ხიშტით მიელურსმა კედელზე შიშატანილი წვერიანი ყაზახი.

პოდპორუჩიკმა დუბმა ხელი მოუტყაპუნა ბეჭებზე შვეიკს და ჰკითხა, პლაკატი თუ მოგწონსო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — უპასუხა შვეიკმა, — ეს პლაკატი სულელურია. ბევრი მინახავს სულელური პლაკატი, მაგრამ ასეთი აბდაუბდა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

— მაინც რა არ მოგწონთ ამ პლაკატში? — ჰკითხა პოდპორუჩიკმა დუბმა.

— არ მომწონს, პანე ლეიტენანტ, ის, რომ ჯარისკაცი ისე ვერ ექცევა მასზე მინდობილ იარაღს, როგორც საჭიროა. ქვის კედელ-

ზე ხომ შეიძლება ხიშტი გადაამტვრიოს. საჭირო მაინც იყოს ხიშტის ასე ტაყება. ამისთვის იგი შეიძლება დასაჯონ კიდევ, რადგან რუსს ხელები აწეული აქვს და, მაშასადამე, ტყვედ ნებდება. ტყვეებს კი ადამიანურად უნდა მოვეპყრათ; ისინიც ხომ ადამიანები არიან.

პოდპორუჩიკ დუბს უნდოდა უფრო ღრმად მოესინჯა შვეიციის შეხედულებანი, ამიტომ კიდევ ერთი კითხვა მისცა: „თქვენ ეგ რუსი გეცოდებათ, ხომ მართალია?“

— მე, პანე ლეიტენანტ, ორივე მეცოდება: რუსიც, რადგან იგი ხიშტზეა წამოგებული, და ჩვენი ჯარისკაციც — რადგან მას ამისათვის დააპატიმრებენ. იგი, პანე ლეიტენანტ, უეჭველად დაამტვრევს ხიშტს, — კედელი ხომ ქვისაა, ფოლადი კი ადვილად იმტვრევა. ჯერ კიდევ ომის წინ, პანე ლეიტენანტ, ჩვენს ასეულში ერთი ლეიტენანტი იყო. ჩვენი უფროსი ფელდფებელიც კი ვერ ახერხებს ისეთ გამოთქმებს, როგორსაც ის ლეიტენანტი კადრულობდა. სასწავლო მოედანზე იგი ასე გვეუბნებოდა: „როცა გაიცემა ბრძანება „habacht“, უმალ უნდა გადმოკარკლო თვალის გუგები კატასავით, რომელიც ქატოში არეულ დაჭრილ ჩალაზე დაცუტქულა და სკორავს“. საერთოდ—ეს იყო შესანიშნავი ადამიანი. ერთხელ საშობაოდ იგი ჭკუაზე შეიარყა: ერთი ურემი ქოქოსის კაკალი იყიდა, და ამის შემდეგ ჩემთვის ცნობილი გახდა, ხიშტი რა ადვილად ტყდება. თითქმის ასეულის ნახევარმა გადაამტვრია ამ კაკალს თავისი ხიშტები, და ჩვენმა პოდპოლკოვნიკმა ბრძანა ყველანი ნაობახტში ჩაესვათ. სამი თვე ყაზარმიდან გასვლა აკრძალული გვქონდა... ბატონი ლეიტენანტი კი შინა პატიმრობაში იყო.

პოდპოლკოვნიკმა მძულეარებით შეხედა ყოჩალი ჯარისკაცი. შვეიციის უდარდელ სახეს და ბოროტად შეეკითხა:

— მე თქვენ მიცნობთ?

— გიცნობთ, პანე ლეიტენანტ.

პოდპოლკოვნიკმა დუბმა გადმოქაჩა თვალები და ფეხები დაუბაკუნა:

— შე კი გეუბნებით, თქვენ ჯერ კიდევ არ მიცნობთ!

შვეიკმა აღუშფოთებლად, დინჯად, თითქოს პატაკს აძლევდა, კიდევ ერთხელ გაიმეორა:

— გიცნობთ, პანე ლეიტენანტ. მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენ ჩვენი სამარშო ბატალიონიდან ბრძანდებით.

— თქვენ მე არ მიცნობთ, — ისევ დაიყვირა პოდპორუჩიკმა დუბმა. — იქნებ მიცნობდით კარგის მხრივ, მაგრამ ახლა გამიცნობთ ცუდის მხრივაც. მე ისეთი კეთილი არ გახლავართ, როგორც

თქვენ გგონიათ. ყოველი კაცი შემძლია ცხარე ცრემლით ვატირო. მაშ, იცით თუ არა ახლა, ვისთანაც გაქვთ საქმე?

— ვიცი, პანე ლეიტენანტ.

— უკანასკნელად გიმეორებთ, თქვენ მე არ მიცნობთ! ვირო გყავთ ძმები?

— დიახ, პანე ლეიტენანტ, ერთი მყავს.

პოდპორუჩიკმა დუბმა შეხედა შვეიკის მშვიდ, გაშლილ სახეს, ცოფი მოერია, თავი ველარ შეიკავა და დაუღრიალა:

— მაშასადამე, თქვენი ძმაც თქვენსავით პირუტყვია! ვინ იყო იგი?

— გიმნაზიის მასწავლებელი, პანე ლეიტენანტ გაიარა სამხედრო სამსახური და გამოცდა ჩააბარა ოფიცრის ხარისხზე.

პოდპორუჩიკმა დუბმა ისე შეხედა შვეიკს, თითქოს უნდოდა თვალებით გაეგმირა იგი; შვეიკმა გაუსწორა თვალი სულელ პოდპორუჩიკს და ღირსეულად აიტანა მისი ბრახმოჩეული მხერა, მალე მათ შორის დილოგი დასრულდა სიტყვით: „Abtreten!“

მერე თავთავისი გზით წავიდნენ, და თვითული თავისას ფიქრობდა.

პოდპორუჩიკი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უამბობდა ყოველივეს კაპიტანს და ისიც ვასცემდა ბრძანებას შვეიკის დაპატიმრების შესახებ; შვეიკი კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბევრი უნახავს თავის სიცოცხლეში სულელი ოფიცერი, მაგრამ ისეთი, როგორიც დუბია, მთელს პოლკში სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი.

პოდპორუჩიკმა დუბმა, რომელსაც სწორედ დღეს განეზრახა მტკიცედ მოეკიდა ხელი ჯარისკაცების აღზრდის საქმისათვის, სადგურის უკან თვალი მოჰკრა ორ ახალ მსხვერპლს. ესენი იყვნენ იმავე ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის, მაგრამ სხვა ასეულის ჯარისკაცები. ისინი დამტკვერულ გერმანულ ენაზე ღამის სიბნელეში ორ ქუჩის ქალს ურიგდებოდნენ; სადგურზე და მის ახლომახლო აურაცხელი იყო ასეთი ქალები.

შორიდანაც კი მკაფიოდ ესმოდა შვეიკს, როგორ ყურთასმენის წამლებად გაჰყვიროდა პოდპორუჩიკი დუბი:

— მიცნობთ თუ არა?

— გეუბნებით, რომ თქვენ არ მიცნობთ!

— მაგრამ მე თქვენ გამიცნობთ!..

— შეიძლება, მხოლოდ კარგის მხრივ მიცნობდეთ!..

— მე კი გეუბნებით, ცუდის მხრივაც გამიცნობთ!

— ცხარე ცრემლით ვატირებთ! ვირებო! ძმები გყავთ? უთუოდ თქვენსავით პირუტყვები არიან. ვინ იყვნენ ისინი? ალაღში... მაშ,



კარგი... არ დაგავიწყდეთ, რომ სალდათები ხართ... ჩეხები ხართ? იცით, პალაცკიმ რა თქვა: ავსტრია რომ არ არსებობდეს, ჩვენ იგი უნდა შეგვექმნათ!.. Abtreten!

მაგრამ საერთოდ პოდპორუჩიკი ღუბის შემოვლამ არავითარი დადებითი შედეგი არ გამოიღო. მან სალდათების კიდეც სამი ჯგუფი გააჩერა, მაგრამ მისმა პედაგოგიურმა ცდამ და მუქარამ „ცხარე ცრემლით გატირებთ“ მიზანს ვერ მიაღწია. ჯარისკაცები ფრონტზე გასაგზავნ მასალას წარმოადგენდნენ. პოდპორუჩიკი ღუბი ყოველი მათგანის თვალეზში კითხულობდა, რომ ისინი მასზე ცუდი შეხედულებისა იყვნენ. ღუბის თავმოყვარეობა შელახული იყო, ამიტომ მატარებლის გასვლის წინ მან სთხოვა კაპიტან საგნერს განკარგულება გაეცა შვეიკის დასაპატიმრებლად. იგი უსაბუთებდა კაპიტან საგნერს ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის იზოლაციის აუცილებლობას, მიუთითებდა შვეიკის საექვო თავხედურ საქციელზე და მის უეშმაკო პასუხს თავის უკანასკნელ შეკითხვაზე გესლით აღსავსე შენიშვნად თვლიდა. შემდეგშიც თუ ასე წავიდა საქმე, ოფიცერთა შემადგენლობა ყოველგვარ ავტორიტეტს დაჰკარგავს, რაშიც ოდნავადაც ეჭვი არ ეპარება არც ერთ ბატონ ოფიცერს. თვით მე, — თქვა პოდპორუჩიკმა ღუბმა, — ჯერ კიდეც ომის და-

წყებამდე ლაპარაკი მქონდა ბატონ ოლქის უფროსთან იმის შესახებ, რომ უფროსმა უნდა შეინარჩუნოს ავტორიტეტი.

ბატონი ოლქის უფროსიც ამავე აზრისა იყო.

მეტადრე ახლა, ომის დროს, აუცილებელია ეს. რაც უფრო უახლოვდებით მტერს, მით უფრო აუცილებელია სალდათები შიშა და მორიდებაში გვეყავდეს. ყოველივე ამის გამო მე გთხოვთ, — დასკვნა პოდპორუჩიკმა დღემა, — შევიკს დისციპლინარული სასჯელი დაადოთ.

კაპიტან საგნერს, როგორც ყოველ კადრის ოფიცერს, ჰირივით ეკავებოდა თადარიგის ოფიცრები სამოქალაქო ნაყარ-ნუყარი ხალხიდან. მან მიაქცია პოდპორუჩიკი დღების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ამგვარი განცხადებები მხოლოდ პატაკის სახით უნდა იქნას მოხსენებული, და არა ბაზრულად, თითქოს კარტოფილის ფასზე ურიგდებოდეთ ვიღაც ვაჭარს. რაც შეეხება შევიკს, უნდა იცოდეთ, რომ პირველი ინსტანცია, რომელსაც იგი ემორჩილება გახლავთ ბატონი პორუჩიკი ლუკაში. ასეთი საქმეები მხოლოდ ინსტანციებით მიდის, — ასეულიდან საქმე, როგორც ეს პოდპორუჩიკ დღებს, უთუოდ, მოეხსენება, — ბატალიონში გადადის. თუ შევიკმა ნამდვილად დანაშაული ჩაიდინა, იგი პატაკით უნდა გაიგზავნოს ასეულის მეთაურთან. მაგრამ თუ ბატონ პორუჩიკ ლუკაშს საწინააღმდეგო არაფერი ექნება და თანახმაა ბატონ პოდპორუჩიკ დღების ნაამბობი ოფიციალურ განცხადებად მიიღოს, მაშინ იგიც — ბატალიონის მეთაური თანახმაა, შევიკი გამოძახებულ და დაკითხულ იქნას.

პორუჩიკ ლუკაშს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ აქვე აღნიშნა, — შევიკთან საუბრების შედეგად მე კარგად ვიცი, რომ შევიკის ძმა ნამდვილად გიმნაზიის მასწავლებელი იყო და თადარიგის ოფიცირი.

პოდპორუჩიკი დღები დაიბნა და თქვა, რომ იგი შევიკის დასჯას მოითხოვდა ამ სიტყვის ფართო გაგებით და ხსენებულ შევიკს, შეიძლება, არ ეხერხებოდეს სათანადოდ თავისი აზრის გამოთქმა, ამიტომ მისი პასუხი თავხედობის, გესლიანობისა და უფროსისადმი უპატივცემულობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

— თუმცა, ხსენებული შევიკის გარეგნობით რომ ვიმსჯელოთ, იგი სუსტი გონების ადამიანია.

ამრიგად, რისხვამ, შევიკს რომ უნდა დასტეხოდა თავზე, გვერდით ჩაუარა, და იგი უვნებელი გადარჩა.

ვაგონში, სადაც მოთავსებული იყო ბატალიონის კანცელარია და საწყობი, სამარშო ბატალიონის უფროსმა გადამწერმა ბაუტან-



ცელმა სამოწყალოდ მისცა ბატალიონის ორ გადამწერს თითო მუჭა სურნელოვანი ტაბლეტებისა იმ კოლოფიდან, რომლებიც უნდა ჩამოერიგებინათ ბატალიონის ყველა ჯარისკაცისათვის. ასე იყო შემოდებული: ყველაფერი, რაც ჯარისკაცებისათვის იყო განკუთვნილი, ბატალიონის ყანცელარიაში იმავე მანიპულაციებს განიცდიდა, რაც ამ ბედკრულმა ტაბლეტებმა განიცადეს.

ომის დროს ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა, და იმ შემთხვევაშიც, როცა რევიზია ქურდობას ვერ ადასტურებდა, სხვადასხვა კანცელარიების უფროს გადამწერთ გაიძვერებად თვლიდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი ხარჯთაღრიცხვას ადიდებდნენ და თაღლითობდნენ, რათა როგორმე თავი გაეტანათ.

ამასთან დაკავშირებით, ვიდრე გადამწერები პირში იყრიდნენ ჯარისკაცების ტაბლეტებს, — რადგან სხვა არაფერი მოიპოვებოდა მოსაპარავი, ეს სისაძაგლე მაინც არ უნდოდათ გაეშვათ ხელიდან, — ბაუტანცელმა წარმოთქვა სიტყვა იმ მძიმე გაჭირვებებზე, რომელთაც განიცდიდნენ გზაში.

— მე უკვე ორჯერ ვიყავი სამარშო ბატალიონთან ერთად სალაშქროდ, მაგრამ ასეთი გაჭირვება, როგორც ესლა, არასდროს არ დაიჯგომია.

— ეჰ, ბიჭებო! სანამ პრეზოვი* ჩამოვიდოდით, რაც გინდა სულ და გულო, ყველაფერი გვექონდა. ათი ათასი ცალი „მემფისკა“, ორი თავი შვეიცარული ყველი და სამასი ცალი კონსერვი გადავმალე. როდესაც ბარდელიოვში სანგრებისაკენ გავემართეთ, რუსებმა კი მუშინას მახლობლად, პრეზოვისაკენ მიმავალი გზა გადაგვიჭრეს... აი მაშინ გაჩაღდა ვაჭრობა და მერე როგორი! თვალის ასახვევად სამარშო ასეულს ჩემი მარაგის მეათელი მივეცი, თან ვუთხარი: ეს ასე ვთქვათ გამოვზოგე-თქო, დანარჩენი კი ალაღში გავყიდე. ერთი მაიორი გვყავდა — სოიკა, ნამდვილი ღორი! გმირობით არ გამოირჩეოდა. სულ ჩვენთან იყო დარქობილი, რადგან ზემოთ ტყვიები ზუზუნებდნენ და ნალმები სკდებოდა. მოვიდოდა ხოლმე და განაცხადებდა, აუცილებელია პირადად დავრწმუნდე იმაში, თუ რამდენად კარგ სადილებს ამზადებენ ბატალიონის ჯარისკაცებისათვისო. ჩვეულებრივ, ქვევით მაშინ ჩამოდიოდა, როცა გვატყობინებდნენ, რომ რუსები რალაცისთვის ემზადებიანო. აქანკალებული ჯერ რომს დალევდა, მერე კი შეუდგებოდა სავლე სამზარეულოების რევიზიას. სამზარეულოები ალაღის გვერდით იყო მოთავსებული, რადგან მთაზე სანგრების ახლოს, მათი დადგმა არ შეიძლებოდა. სადილი ღამით აქქონდათ ზემოთ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ოფიცერთა სადილზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ერთადერთი თავისუფალი გზა, ზურგთან რომ გვაკავშირებდა, გერმანელებმა დაიკავეს. ყველაფერი, რაც ზურგიდან იგზავნებოდა. გერმანელებს უვარდებოდათ ხელში; ისინი ყლაპავდნენ, ჩვენ კი აღარაფერი ვერჩებოდა და ყველანი, ვინც ალაღში ვიმყოფებოდით, ოფიცერთა სამზარეულოს გარეშე დავრჩით. იმ ხანებში ჩვენი კანცელარიისათვის გარდა ერთი გოჭისა ვერაფერი გამოკზოვე, რომელიც დასაშაშხად მივეცი. მაიორ სოიკას რომ არ გაეგო, გოჭი ჩვენგან ერთი საათის სავალზე მყოფ არტილერისტებთან გადავმალეთ; იქ ნაცნობი ფეიერვერკერი გვყავდა. ჩვეულებრივ მაიორი მოსვლისთანავე სამზარეულოში შეჭამანდს გასინჯავდა. მართალი რომ გითხრათ, ხორცის მოხარშვას იშვიათად ვახერხებდით. ხანდახან გაგვიღიმებდა ბედი და საღმე ახლო-მახლო გარეუბანში ღორებს ან გამხდარ ძროხებს ვშოულობდით ხოლმე, მაგრამ იმაშიც მუდამ პრუსიელები გვედავებოდნენ. ისინი ხომ ჩამორთმეულ საქონელზე ჩვენთან შედარებით ორჯერ მეტს იხდიდნენ. სანამ ბარდელიოვში ვიყავით, საქონლის შესყიდვაზე ათასორას კრონამდე მოვაგროვე და ისიც იმიტომ, რომ უფრო ხშირად ფულის მაგივრად ბონებს ვიძლეოდით, რომელზედაც ბატალიონის ბეჭედი ერთკა. განსაკუთრებით ვუხშირეთ ამას ბოლო ხანებში, როცა გავი-

გეთ, რომ რუსები აღმოსავლეთით — რადვანში, დასავლეთით კი — პოდოლინოში იმყოფებოდნენ. იქაურ ხალხთან მუშაობაზე უარესი არაფერია: მათ არც წერა იციან, არც კითხვა და ხელისმოწერის მაგივრად სამ ჯვარს სვამენ. ჩვენმა საინტენდანტომ ამის შესახებ ყვილაფერი კარგად იცოდა; ამიტომ, როცა ფულისათვის კაცს ვგზავნიდით, არ შემეძლო გასამართლებელ საბუთად ყალბი ქვითრები წარმედგინა. ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ უფრო განათლებულ ხალხთან, რომლებმაც ხელის მოწერა იციან; გარდა ამისა, როგორც უკვე მოგახსენეთ პრუსაკები მეტს იხდიდნენ და თანაც ნაღდ ანგარიშზე, სადაც არ მივიდოდით, ყველგან ისე გვიყურებდნენ, როგორც ყაჩაღებს. ამიტომ ჩვენმა საინტენდანტომ გასცა ბრძანება, რომ ჯვრით ხელმოწერილი ქვითრები გადაეცათ საველე რევიზორებისათვის. ასეთები კი ამ დროისათვის ბლომად იყვნენ! მოვიდოდა ხოლმე რომელიმე ვაჟბატონი, გამოსკდებოდა, გამოთვრებოდა, ხოლო მეორე დღეს დაგვასმენდა. მაიორი სოიკა კი ყველა სამზარეულოებს დაივლიდა; ერთხელ, ღმერთი გამიწყრეს თუ ვტყუოდე, მთელ მეოთხე ასეულზე გაცემული ხორცი ამოათრია ქვაბიდან. დაიწყო ღორის თავიდან და განაცხადა, ცუდათაა მოხარულიო; რამდენიმე ხნის შემდეგ გასცა ბრძანება მისთვის ცოტა კიდევ მოეხარშათ. მართალი მოგახსენოთ, მაშინ ხორცს ბევრს არ ხარშავდნენ. მთელ ასეულზე სულ თორმეტი ძველი, ნამდვილი ხორცის ულუფა მოდიოდა; მან ეს ყველაფერი მიირთვა, შერე შეჭამანდი გასინჯა და ერთი ამბავი დაგვაწია: წყალ-წყალააო, ვის გაუგია ხორცის შეჭამანდი უხორცოდო... მერე ბრძანა კარაქი ექნათ და ჩემი საკუთარი მაკარონები ჩაეყარათ. მაკარონები, რომლის მოგროვებასაც იმდენ ხანს მოვუხდით! მაგრამ ამას ისე არ აღვუშფოთებდითარ როგორც იმ ამბავს, რომ შეჭამანდის შეზავებას ორი კილო კარაქი მონადომა, რომელიც ჯერ კიდევ ოფიცერთა სამზარეულოს არსებობის დროიდან შემოვინახე. კარაქს ვმალავდი საწოლის ქვეშ, თაროზე. მაიორმა იღრიალა: „ვისიაო“, მე ვუპასუხე, დივიზიისა-თქო. განაწილების უკანასკნელი ბრძანების მიხედვით, დივიზიის კვების გასაძლიერებლად ყოველ ჯარისკაცს ეკუთვნის თხუთმეტი გრამი კარაქი ან ოცდაერთი გრამი ქონი. ვინაიდან ქონი საკმარისი არაა, კარაქის მარაგს ვინახავთ მანამდე, სანამ იმდენი არ შეგროვდება, რომ სავსებით შეიძლებოდეს რაზმის კარაქით კვების გაძლიერება. მაიორი სოიკა გაბრაზდა და ყვირილი დაიწყო: ალბათ იმას ელი, რომ რუსები მოვიდნენ და ეს ორი კილო კარაქი წაგართვანო. „ეხლავე ჩადეთ ეს კარაქი შეჭამანდში, რადგან უხორცოა იგი!“ ასე დავკარგე მთელი ჩემი მარაგი. გჯერათ თუ არა,

როცა არ უნდა გამოჩენილიყო სოიკა, ყოველთვის უბედურება მოჰქონდა ჩემთვის. ბოლოს ისე გაიწათა, რომ მაშინვე ხვდებოდა სად რა მქონდა შენახული. ერთხელ, მთელი რაზმის მარაგიდან გადავინახე საქონლის ღვიძლი და მინდოდა მომეხრაკა. უცებ სოიკა საწოლის ქვეშ შეძვრა და იქიდან გამოათრია ღვიძლი. მერე ყვირილი მორთო. მე ვეუბნებოდი: ერთმა არტილერიის მკედელმა. რომელსაც სავეტერინარო კურსები აქვს დამთავრებული, გვიჩნია, რომ საჭიროა ღვიძლის მიწაში ჩაფლა-თქო. მაიორმა თან გაიყოლა ერთი მეზობელი და კლდის ქვეშ ქვაბში ღვიძლის ხარშვას შეუდგა. სწორედ მაშინ დაუდგა აღსასრულის დღე. რუსებმა ცეცხლი დაინახეს და მაიორსა და მის ქვებს თვრამიტსანტიმეტრიანი დაუშინეს. მერე იმის სანახავად წავედით, რა დარჩა მათგან. მაგრამ იმის გაგება, სად იყო საქონლის ღვიძლი და სად მაიორისა, შეუძლებელი აღმოჩნდა.

მოვიდა ცნობა, რომ ეშელონი მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ განაგრძობდა გზას. ხატვანისაკენ* გზა დაკავებული ჰქონდა დაჭრილთა მატარებლებს. ხმები დადიოდა, რომ ეგერთან სანიტარული მატარებელი არტილერიისას შეეჯახა და ბუდაპეშტიდან მატარებლები გაგზავნეს დასახმარებლად.

მალე მთელი ბატალიონის ფანტაზია ამუშავდა. ლაპარაკობდნენ, რომ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ორასამდე აღწევს და, რომ კატასტროფა მოწყობილია; საჭირო იყო დაჭრილების მომარაგების დროს ჩადენილი თაღლითობის კვალის წაშლა. ეს საქმე გახდა საბაბი ბატალიონის მომარაგებისა და საწყობსა და კანცელარიაში ჩადენილი ქურდობის კრიტიკისათვის.

უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ბატალიონის უფროსი გადამწერი ბაუტანცელი ყველაფერს ოფიცერს უყოფდა.

კაპიტანმა საგნერმა საშტაბო ვაგონში განაცხადა, რომ მარშრუტის თანახმად ისინი უკვე პალიციის საზღვარზე უნდა იყვნენ. ეგერში ვალდებული არიან მთელ რაზმს სამი დღის პური და კონსერვები მისცენ, ეგერამდე კი ათი საათის სავალი გზა დარჩა. გარდა ამისა, ლგოვთან შეტყვის დროს იქ იმდენი მატარებლები დაგროვდა დაჭრილებით, რომ, თუ ტელეგრაფის ცნობებს დაუჯერებთ. ერთი ბუხანკა პურისა და ერთი ყუთი კონსერვის შოვნაც კი შეუძლებელია. კაპიტანმა საგნერმა მიიღო ბრძანება: პურისა და კონსერვის ნაცვლად თითოეულ ჯარისკაცს ექვსი კრონა და სამოცდაათი ჰელერი გადაუხადოს. ამ ფულს ცხრა დღის ხელფასის განაწი-

ლების დროს დაარიგებენ, თუ ამ დროისათვის კაპიტანი საგნერი მიიღებს ბრიგადიდან ამ თანხას. ეხლა სალაროში მხოლოდ თორმეტი ათასი კრონაა.

— პოლკის მხრიდან ღორობაა ჩვენი უკაპიკოდ გაშვება, — ველარ მოითმინა ლუკაშმა.

პრაპორშიკმა ვოლფმა და პორუჩიკმა კოლარქმა დაიწყეს ჩურჩული, რომ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში პოლკოვნიკმა შრედერმა თავის პირად ანგარიშზე, ვენის ბანკში თექვსმეტი ათასი კრონა შეიტანა.

შემდგომ პორუჩიკმა კოლარქმა ახსნა, როგორ ხდება კაპიტალის დაგროვება. აიღებენ და მოპარავენ პოლკს ექვსი ათასს და ჩაიჯობებენ, ამ დროს ლოგიკურია, რომ ყველა სამზარეულოში გასცემენ ბრძანებას, თითოეულ კაცზე მუხუდოს ულუფა დღეში სამი გრამით იქნეს შემცირებულიო. თვეში ეს შეადგენს ოთხმოცდაათ გრამს კაცზე. ყოველი ასეულის სამზარეულოში კი გროვდება არა ნაკლებ თექვსმეტი კილო მუხუდოსი. მზარეული თავის ანგარიშში აჩვენებს, რომ მთელი მუხუდო დახარჯულია.

პორუჩიკმა კოლარქმა ზოგადად გააცნო ვოლფს სხვა დანარჩენი ფაქტებიც, რომელთა უშუალო მოწმე თვითონ იყო. ასეთი ფაქტებით სავსე იყო სამხედრო ადმინისტრაციის მთელი მოღვაწეობა, დაწყებული რომელიმე საცოდავი ასეულის უფროსი გადამწერიდან, დამთავრებული გენერლის ეპოლეტებიანი ზაზუნათი, რომელიც ომის შემდეგ დროინდელ ზამთრისათვის იშვადებდა მარაგს.

ომი მამაცობას მოითხოვდა ქურდობაშიც.

ინტენდანტები სიყვარულით აღსავსე თვალებით უყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს უნდოდათ ეთქვათ: ჩვენ ერთნი ვართ სულითა და ხორციით. ვქურდობთ და ვთაღლითობთ. რას იზამ, ძმებო და მეგობრებო, დინების წინააღმდეგ ვერავინ წავა! შენ თუ არ წაიღებ, სხვა წაიღებს და თან შენზე იტყვის, იმიტომ არ იპარავს, რომ საკმარისად დააგროვა ნაქურდალიო!

ვაგონში შემოვიდა ვიღაც კაცი წითელი და ოქროსფერი ლამპასებით. ეს იყო ყველა რკინიგზებზე მოსეირნე ერთ-ერთი გენერალ-ინსპექტორთაგანი.

— დაბრძანდით, ბატონებო, ზრდილობიანად მიგვიპატიეთა მან, თან უხაროდა, რომ თავს წაადგა ეშელონს, რომლის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

კაპიტან საგნერს პატაკის მიცემა უნდოდა, მაგრამ გენერალმა არ დაანება.

— თქვენს ეშელონში უწესრიგობაა. ჯერ ხალხს არა სძინავს.

წესით კი უკვე უნდა ეძინოთ. სადგურში მდგომ ეშელონებში უნდა იძინებდნენ ცხრა საათზე, როგორც ყაზარმებში, — დაიღრიალა მან. დაახლოებით ცხრა საათზე გაგზავნეთ ჯარისკაცები ფეხისადგილში სადგურის უკან, მერე კი დასაძინებლად გაუშვით. წინააღმდეგ შემთხვევაში რაზმი ღამით რკინიგზის ლიანდაგს დასვრის. გესმით, პანე კაპიტან! გაიმეორეთ! ანდა, არაა საჭირო, ნუ გაიმეორებთ, ოღონდ გააკეთეთ ისე, როგორც მე ვბრძანებ. ჯერ ნიშანი მიეცით, რათა რაზმი ფეხისადგილში წავიდეს, მერე ბუქსა ჰკარით და დასაძინებლად გააგზავნეთ. შეამოწმეთ, ვისაც არ ეძინოს — დასაჯეთ! დიალ! გასაგებია! ვახშამი ექვს საათზე დაარიგეთ.

შემდეგ ამას მოაყოლა ამბები შორეული წარსულიდან, რაც არასოდეს არ არსებულა და რაც, როგორც იტყვიან ხოლმე, ცხრა მთას იქით მყოფ არსებულ სახელმწიფოში მოხდა. გენერალი მეოთხე განზომილების სამეფოდან მოსულ მოჩვენებასავეით იღვა.

— ვახშამი გაეცით ექვს საათზე, — განავრძობდა იგი, თან საათს უყურებდა. შუალამე ახლოვდებოდა. თორმეტის ათი წუთი იყო. — Um halb neune Alarm, Latrinenscheissen, dann schlafen gehen! ვახშამად, ექვს საათზე ასორმოცდაათი გრამი შვეიცარული ყველის მაგივრად, გაეცით გულიაში კარტოფილით.

შემდეგ მოვიდა ბრძანება, შეემოწმებინათ სამხედრო მომზადება. კაპიტანმა საგნერმა ისევ ბრძანა გამოეცხადებინათ საგანგაშო, ხოლო გენერალ-ინსპექტორი თვალს ადევნებდა როგორ დგებოდა ბატალიონი მწყობრში, თან ოფიცრებთან ერთად ბოლთას სცემდა და განუწყვეტლივ ერთი და იგივეს იმეორებდა, თითქოს ყველანი იდენტები იყვნენ და სწრაფად ვერ ხვდებოდნენ რისი თქმა სურდა მას; თან წამ და უწუმ საათს დაჩერებოდა: Also, sehen Sie, Um halb neune scheissen, und nach einer halben stunde schlafen. Das genügt vollkommen.²

ამ ინტერვალში ჯარისკაცები ისედაც იშვიათად გადიან გარეთ. მთავარია — ისევ ხაზს ვუსვამ — ძილი: იგი ძალას მატებს ადამიანს შემდგომი ლაშქრობისათვის. სანამ ჯარისკაცები მატარებელში იმყოფებიან, უნდა დაისვენონ. თუ ვაგონებში არაა საკმარისი ადგილი, მაშინ მათ რიგრიგობით უნდა დაიძინონ. ჯარისკაცების ერთი მესამედი მოხერხებულად განლაგდება ვაგონში და დაიძინებს ცხრიდან შუალამემდე, დანარჩენები კი ღვანან და მათ უყურებენ-

¹ ცხრისნახევარზე განგაში, მერე გარეთ გასვლა და დაძინება (გ ე რ მ.)

² ესე იგი, ინებეთ და ნახეთ: ცხრისნახევარზე ფეხისადგილში გასვლა, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ დაძინება. ეს საესებით საკმარისია (გ ე რ მ.).



შემდეგ, როცა პირველები გამოიღვიძებენ, ისინი ადგილს უთმობენ მეორე მესამედს, რომელსაც შუალამიდან დილის სამ საათამდე სძინავს. მესამე პარტიას სძინავს სამიდან ექვსამდე; შემდეგ ღვიძარაა და რაზმი პირის დასაბანად მიემართება. მატარებლის სვლის დროს ვაგონიდან არ ჩა-მოხ-ტეთ! დააყენეთ გუშაგები, რომ ჯარისკაცები მატარებლის სვლის დროს არ ჩამოხტნენ ვაგონიდან! თუ ჯარისკაცებს მოწინააღმდეგე მოსტეხს ფეხს... გენერალმა ფეხზე დაირტყა ხელი... ეს საქებარია, მაგრამ გაქანებული ვაგონიდან ჩამოხტომით თავის დასახიჩრება — დასჯის ღირსია! მაშასადამე, ეს თქვენი ბატალიონია, არა? — მიმართა მან კაპიტან სანგერს, თან სალდათების ნამძინარეც სახეებს ათვალიერებდა. ბევრმა თავი ველარ შეიკავა და უეცრად გაღვიძებულებმა ღამის სუფთა ჰაერზე მთქნარება დაიწყეს.

— ეს ბატალიონი, დოყლაპიების ბატალიონია, პანე კაპიტან. ჯარისკაცებს ცხრა საათზე უკვე უნდა ეძინოთ.

გენერალი შეჩერდა მეთერთმეტე ასეულის წინ, რომლის მარცხენა ფრთაზე შვეიკი იდგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამთქნარებდა. ზრდილობის გულისათვის იგი პირზე ხელს იფარებდა,

მაგრამ ხელის ქვეშ ისეთი ღმუილი ისმოდა, რომ პორუჩიკ ლუკასს შიშისაგან კანკალი აუტყდა, გენერალმა უცებ შევიკს არ მიაქციოს ყურადღებაო. მას მოეჩვენა, რომ შევიკი განგებ ამთქნარებდა ასე. გენერალი, თითქოს ლუკასის აზრები წაიკითხაო, მობრუნდა შევიკისაკენ.

— Böhm oder Deutscher?¹

— Böhm, melde gehorsam, Herr Generalmajor².

— კეთილი, — სთქვა გენერალმა ჩეხურად. იგი პოლონელი იყო და ცოტა ჩეხურიც იცოდა. — რას ბლავი ძროხასავით?³ გაჩუმდი! ენა ჩაიგდე! ნუ ღმუი! ფეხისადგილში იყავი?

— არა, პანე გენერალ-მაიორო, არ გახლდით.

— სხვა ჯარისკაცებთან ერთად რატომ შენც არ წახვედი?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე გენერალ-მაიორო, პისეკში მანევრების დროს, შესვენებისას მთელი პოლკი რომ ქვევის ყანაში შეძვრა, პან პოლკოვნიკმა ვახტლმა ასე გამოაცხადა: ჯარისკაცი მხოლოდ სორტირზე კი არ უნდა ფიქრობდეს. არამედ ბრძოლაზე-დაცო. მერე კი, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რაში გვჭირდება ფეხისადგილი, როცა არაფერი გვაქვს მოსასაქმებელი. ჩვენ უკვე რამდენიმე სადგურში უნდა მიგველო ვახშამი, მაგრამ არსად არაფერი არ მიგვიღია. ცარიელი მუცლით კი ფეხისადგილში რა მინდა?!⁴

შევიკმა მარტივი სიტყვებით აუხსნა გენერალს მთელი სიტუაცია და ისეთი მეტყველი თვლებით შესცქეროდა მას, რომ გენერალს გაუჩნდა სურვილი როგორმე დახმარებოდა ჯარისკაცებს. მართლაც, თუ იძლევიან ბრძანებას, რომ ჯარისკაცები მწყობრში მდგარი წავიდნენ ფეხისადგილში, მაშინ ეს ბრძანება როგორღაც შინაგანად, ფიზიოლოგიურად გამართლებული უხდა იყოს.

— გაგზავნეთ ჯარისკაცები ვაგონებში დასაძინებლად, — უბრძანა გენერალმა კაპიტან საგნერს. — როგორ მოხდა ვახშამი რომ არ მიიღეს? ყველა ეშელონმა, რომელიც ამ სადგურზე გაივლის, უნდა მიიღოს ვახშამი: აქ საკვები პუნქტია. სხვანაირად არც შეიძლება. არსებობს ზუსტად დადგენილი გეგმა.

გენერალმა ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოსთქვა, თითქოს სხვა აზრი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

აქედან კი გამომდინარეობდა შემდეგი: ვინაიდან უკვე დაახ-

¹ ჩეხი ხარ თუ გერმანელი? (გ ე რ მ.)

² მაქვს პატივი, მოგახსენოთ, პანე გენერალ-მაიორო, ჩეხი ვახლავართ.

³ გენერალი პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა ჩეხურად.

ლოებით დამის თერთმეტი საათი იქნებოდა, ხოლო, როგორც თვითონ მიუთითა, ვახშამი ექვს საათზე უნდა დაერიგებინათ, ამიტომ სხვა გზა აღარ რჩებოდა, მატარებელი უნდა შეეჩერებინათ მთელი ღამით მეორე დღის საღამოს ექვს საათამდე, რათა ჯარისკაცებს მიეღოთ გულიაში კარტოფილით.

— იმაზე საშინელი არაფერია, როგორც ომის დროს ჯარების გადასროლისას მათი მომარაგების დავიწყება — არჩევულებრივად სერიოზული სახით სთქვა გენერალმა. — ჩემი ვალია გამოვარკვიო საქმის ნამდვილი ვითარება და სადგურის კომენდატურაში გავიგო რა მდგომარეობაა სინამდვილეში. ძალიან ხშირად, ჩემო ბატონებო, თვითონ ეშელონის უფროსები არიან დამნაშავენი. სადგურ სუბოტიშჩას რევიზიის დროს სამხრეთ ბოსნიის გზაზე, მე დავადგინე ფაქტი, რომ ექვს ეშელონს არ მიუღია ვახშამი მხოლოდ იმიტომ, რომ ეშელონის უფროსებს დაავიწყდათ მისი მოთხოვნა. სადგურზე ექვსჯერ მოხარშეს გულიაში კარტოფილით, მაგრამ სადილი არავის მოუთხოვია. ამიტომ მთელი გულიაში გადაღვარეს, რის შედეგადაც კარტოფილიანი გულიაშის მთელი მთა აღიმართა. ეშელონის ჯარისკაცები კი მათ გასწვრივ მიემგზავრებოდნენ და ერთი ნაქერი პურის გულისათვის მათხოვრობდნენ. ამ შემთხვევაში, როგორც ხედავთ, სამხედრო აღმინისტრაცია არაფერ შუაშია. გენერალმა ხელები გაასავსავა: — ეშელონის უფროსებმა არ შეასრულეს თავისი მოვალეობა! აბა წავიდეთ კანცელარიაში!

ოფიცრები უკან გაყვნენ მას, თან ფიქრობდნენ, ნეტა რამ შესალა ჰქუიდან ყველა გენერალი ასე ერთბაშადო.

კომენდატურაში გამოიკცვა, რომ გულიაშის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მართალია, გულიაში უნდა მოეხარშათ ყველა ეშელონისათვის, რომელიც ამ სადგურზე ჩაივლიდა, მაგრამ მერე მოვიდა ბრძანება, რომ გულიაშის მაგივრად ჯარის ყველა ნაწილისათვის ჯარისკაცზე სამოცდათორმეტი ჰელერი გაცეთ. ამრიგად, ყველა სამხედრო ნაწილს, რომელიც აქ ჩამოვივლის, მისთვის განკუთვნილი სახსრებიდან კაცზე სამოცდათორმეტი ჰელერი აქვს. ამ თანხას თვითთელი მათგანი დამატებით მიიღებს თავთავის საინტენდანტოდან, ხელფასის დარიგების დროს. რაც შეეხება პურს, სადგურ ვატიაში* ჯარისკაცები მიიღებენ თითოეულ კაცზე ნახევარ ბუხანკას.

საკვები პუნქტის კომენდანტი არ შეუშინდა გენერალს და პირში უთხრა, რომ ბრძანებები ყოველ საათში იცვლება. აი როგორ ხდება ეს: ეშელონისათვის მოამზადებენ სადილს: უცებ მოვა სანიტარული მატარებელი, წარმოადგენს უმადლესი ინსტანციის ბრძა-

ნებას და მორჩა! — ეშელონი ცარიელი ქვაბების პრობლემის წინაშე დგას.

გენერალი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა, თან დასძენდა რომ ეხლა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა იმასთან შედარებით, რაც ომის დაწყებისას იყო. არაფერი არ ხდება ერთბაშად. აუცილებელია გამოცდილება და პრაქტიკა. თეორია არსებითად აფერხებს პრაქტიკას, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, მით უფრო მეტი წესრიგი იქნება.

— შემძლია კონკრეტული მაგალითი მოგიყვანოთ, — კმაყოფილებით წარმოსთქვა გენერალმა იმის გამო. რომ ასეთი სიბრძნე თქვა — ორი დღის წინ, სადგურ ხატვინთან ჩამავალ ეშელონებს არ მიუღიათ პური. თქვენ ხვალ მიიღებთ. ახლა კი წავიდეთ სადგურის რესტორანში.

რესტორანში გენერალმა ისევ ფეხისადგილებზე ილაპარაკა; დაიწყო იმის შესახებ. რა საძაგლობაა, როცა რკინიგზის გასწვრივ, ყველგან, კაქტუსებივითაა რაღაც დარკობილი, — თან ბიფშტეკსს შეექცეოდა და ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იმ კაქტუსს ლეკვავდა.

გენერალი ისეთ ყურადღებას აქცევდა ფეხისადგილებს, თითქოს მათზე იყო დამოკიდებული ავსტრო-უნგრეთის მონარქიის გამარჯვება.

ახლადშექმნილი სიტუაციის გამო, რომელიც იტალიის მიერ ომის გამოცხადებამ გამოიწვია, გენერალმა განაცხადა, რომ ჩვენა უღაო უპირატესობა იტალიის კამპანიაში, სწორედ ფეხისადგილებთანაა დაკავშირებული.

ავსტრიის გამარჯვება აშკარად ფეხისადგილებიდან გამომდინარეობდა.

გენერალს ეს სრულიად მარტივად წარმოედგინა. გზა დიდებასაკენ, მისი აზრით მიემართება შემდეგი რეცეპტით: საღამოს ექვს საათზე ჯარისკაცები მიიღებენ გულიაშს კარტოფილით: ცხრის ნახევარზე ჯარი ფეხისადგილში მოისაქმებს, ხოლო ცხრა საათზე ყველანი წაელენ დასაძინებლად. ასეთი არმიის წინაშე მოწინააღმდეგე თავზარდაცემული გარბის.

გენერალ-მაიორი ჩაფიქრდა, „ოპერასი“ * მოსწია და დიდხანს შესტყეოდა ჰერს. იგი გამწარებული იგონებდა რა ეთქვა კიდევ ისეთი, რა საკითხზე ექადაგა ეშელონის ჯარისკაცებთან.

— თქვენი ბატალონის ბირთვი სავსებით ჯანსაღია, — დაარღვია სიჩუმე მან, მაშინ როცა ყველა დარწმუნებული იყო, რომ გენერალი ჰერში ყურებასა და ღუმელს გააგრძელებდა. — თქვენი

თაზმის პირადი შემადგენლობა სრულ წესრიგშია. ჯარისკაცი, რომელსაც მე ველაპარაკებოდი, თავისი პირდაპირობითა და მხედრული წარმოსადგეობით იმედს იძლევა, რომ მთელი ბატალიონი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს.

გენერალი დადუძდა, სავარძელში გადაწვა და ისევ ჰერს მიაშტერდა. ცოტა ხნის შემდეგ მან ისევ განაგრძო თავისი სიტყვა. სულმდაბალმა პოდპორუჩიკმა დუბმაც მასავით ჰერს მიაშტერა თვალები.

— მე ვფიქრობ, თქვენს ბატალიონს დახმარება სჭირდება, რათა მისი საგმირო საქმეები დავიწყებას არ მიეცეს. თქვენი ბრიგადის ბატალიონებს უკვე თავისი ისტორია აქვთ, რომელიც უნდა გაამდიდროს თქვენმა ბატალიონმაც. თქვენ აო გყავთ ადამიანი, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ყველა მოვლენას და ბატალიონის ისტორიას აღწერდეს. მას ხელთ უნდა ეპყრას ყველა მოვლენათა ძაფი, მან უნდა იცოდეს, რა ჩაიდინა ბატალიონის თვითიუღმა ასეულმა. იგი რეგენი და ვირი კი არ უნდა იყოს, არამედ განათლებული კაცი. პანე კაპიტან, თქვენ უნდა გამოყოთ ბატალიონის ისტორიოგრაფი. შემდეგ მან შეხედა კედლის საათს, რომლის ისარმა შეახსენა მთვლემარე საზოგადოებას, რომ უკვე დაშლის დრო მოსულა.

რკინიგზაზე იდგა სპეციალური საინსპექტორო მატარებელი. გენერალმა სთხოვა ოფიცრებს საწოლ ვაგონამდე გაეცილებინათ იგი.

სადგურის კომენდანტმა მძიმედ ამოიხარა: გენერალს დაავიწყდა ბიფშტეკსა და ერთ ზოთლ ღვინოში ფულის გადახდა. ისევ მან უნდა გადაიხადოს გენერლის მაგივრად. იგი ასეთი ვიზიტების ხშირი მოწმე იყო; ამის გამო უკვე ორი ვაგონი თივა გაანიავა. ეს ის თივა იყო, რომელიც მან ჩიხში მოათავსა და შემდეგ თივის სამხედრო მომმარაგებელ-ლოვენშტაინის ფირმას მიყიდა, ისე რომ არც კი უჩვენებია. ხაზინამ ისევ იყიდა ეს ორი ვაგონი იმავე ფირმისაგან, მაგრამ კომენდანტმა იგი ყოველი შემთხვევისათვის ჩიხში დასტოვა. ვინ იცის, ეგების კიდევ დასჭირდეს თივის მიყიდვა ლოვენშტაინის ფირმისათვის.

სამაგიეროდ, ყველა სამხედრო ინსპექტორი, რომელიც ბუდაპეშტის ცენტრალურ სადგურს ჩაივლიდა, შემდეგ ყვებოდა, რომ სადგურის კომენდანტი დიდებულად გაუმასპინძლდა მას.

მეორე დღეს, დილაზე ეშელონი ისევ სადგურში იდგა დაკრეს სადვიძარა. ჯარისკაცები პირს იბანდნენ კარდაღებისაგან გაკეთებული პირსაბნებიდან. გენერალი ჯერ არ გამგზავრებულა და

პირადად წავიდა ფეხისადგილების სარევიზიოდ. ამ დღეს კაპიტანმა საგნერმა გასცა ბრძანება, რომ ჯარისკაცები გენერალ-მაიორის პატივსაცემად აქ მოსულიყვნენ: „Schwarmweise unter Kommando der Schwarinkommandanten“¹.

პოდპორუჩიკი დუბისათვის რომ ესიაშოვნებინა, კაპიტანმა საგნერმა იგი ამ დღისათვის მორიგედ დანიშნა.

ამრიგად, პოდპორუჩიკი დუბი ფეხისადგილებს ზედამხედველობდა. საჭირო ოთახი წარმოადგენდა სიგარძეზე ორ რიგად გადაჭიმულ ორმოს, რომელიც ასეულის ორ ათეულს იტევდა მხოლოდ. როგორც ტელეგრაფის მავთულებზე მჯდომი აფრიკაში გაღასაფრენად გამზადებული მერცხლები, ისე კობტად ჩაცუცქულიყვნენ ჯარისკაცები თხრილის პირას.

ჩახდილი შარვლებიდან მუხლები უჩანდათ. ხოლო ქამრები ისე ჰქონდათ კისერზე ჩამოკიდებული, თითქოს მარტო ბრძანებას-ღა უცდიდნენ, რომ თავი ჩამოეხრჩოთ.

ყველაფერში იგრძნობოდა რკინისებური სამხედრო დისციპლინა და ორგანიზაცია.

მარცხენა ფლანგზე იჯდა შვეიკი. იგი ძლივს ჩაკეცხებულიყო ჯარისკაცებს შორის და ინტერესით კითხულობდა რუჟენა ესენსკაიას, * ღმერთმა უწყის, რომელი რომანის გვერდის ნაგლეჯს:

... იქაურ პანსიონში, საუბედუროდ, ქალბატონები
ემ გაურკვეველად, სინამდვილეში შეიძლება უფრო
/ იგი უმრავლესად თავის თავში შეიცავს პოტე
თავის ოთახებში ან წადი —
ნაციონალურ ზეიმში: ხოლო თუ დაუვარდათ ტ
მოდრიდა მხოლოდ ადამიანი და მოენატრა თავისი ე
უკეთესი ხლებოდა ან არ უნდოდა ასეთი წარმატებით.
ფახდომა, თითქოს თვითონ სურდათ ეს
ახალგაზრდა კრშიჩკეს აღარაფერი დარჩენოდა...

შვეიკმა თავი ასწია, ანაზღად ფეხისადგილის გასასვლელისაკენ გაიხედა და გაოცებისაგან ადგილზე გაშეშდა. იქ იდგა საზეიმოდ გამოწყობილი გენერალ-მაიორი ალიუტანტით, მათ გვერდზე კი პოდპორუჩიკი დუბი, რომელიც მონდომებით მოახსენებდა მათ რაღაცას.

შვეიკმა უკან მოიხედა. ყველა მშვიდად განაგრძობდა თხრილის

¹ ათეულების მეთაურთა ბრძანების მიხედვით გამოცხადდით ათეულებით! (გვ. 8.).



პირას თავის საქმეს, მხოლოდ უნტერები ისხდნენ გაუნძრევლად. შვეიკმა იგრძნო მომენტის მთელი სერიოზულობა. იგი ისე წამოხტა ზეზე, როგორც იყო, ჩახდილი შარვლითა და ქამრით კისერზე; უკანასკნელ წუთს ნაგლეჯი ქაღალდი მოიხმარა და იღრიალა: Einstellen! Auf! Habtacht! Rechtsschaut! ¹ ორი ოცეული ჩახდილი შარვლებითა და კისერზე ქამრებით წამოდგენ თხრილის პირას. გენერალ-მაიორმა ალერსიანად გაიღიმა და სთქვა:

— Ruht, weiter machen! ²

განზე მდგარმა მალეკმა პირველმა მისცა მაგალითი თავის ოცეულს და პირვანდელი პოზა მიიღო. მარტო შვეიკი იდგა ისევე ხელაწეული, რადგან ერთი მხრიდან მას მრისხანედ უახლოვდებოდა პოდპორუჩიკი დუბი, მეორეს მხრიდან კი მომღიმარე გენერალ-მაიორი.

— თქვენ მე ღამით გნახეთ,—მიმართა გენერალ-მაიორმა მის წინაშე უცნაურ პოზაში მდგომ შვეიკს. გაცოფებული პოდპორუჩიკი დუბი ეცა გენერალ-მაიორს:

¹ აღეჭი სმენა მარჯვნივ! სწორდით! (გ ე რ მ.).

² თავისუფლად, განაგრძეთ! (გ ე რ მ.).

— Ich melde gehorsam, Herr Generalmajor, der Mann ist blödsinnig und als Idiot bekannt, säghaffer Dummkopf¹.

— was sagen Sie, Herr Leutnant?² — უღრიალა უცებ ღუბს გენერალ-მაიორმა, თან საწინააღმდეგოს უმტკიცებდა, — უბრალო ჯარისკაცმა იცის როგორ მოიქცეს უფროსის დანახვაზე, უნტერ-ოფიცერი კი არად აგდებს მას. ეს ზუსტად ისე ხდება, როგორც ბრძოლის ველზე. საწინააღმდეგობის ეამს უბრალო ჯარისკაცი თავის თავზე იღებს ბრძანების გაცემის უფლებას. ბრძანება, რომელიც ამ ჯარისკაცმა გასცა წესით ხომ პოდპორუჩიკ ღუბს უნდა მიეცა: „Einstellen! — Auf! — Habtacht: Rechtsschaut!“

— უკვე გამოიწმინდე საჯდომი? — ჰკითხა შვეიკს გენერალ-მაიორმა.

— დიახ, პანე გენერალ-მაიორო, ყველაფერი რიგზეა.

— *Wiecej srac nie bedziesz?*³

— დიახ! გენერალ-მაიორო, დავამთავრე.

— მაშ გაისწორე შარვალი და სწორდი! სიტყვა „სწორდი“ გენერალ-მაიორმა შედარებით ხმამაღლა წარმოსთქვა. ამიტომ გენერალის ახლოს მსხდომი ჯარისკაცები წამოიწიენ თხრილიდან. გენერალ-მაიორმა მათ მეგობრულად დაუქნია ხელი და ნაზი. მამობრივი, ხმით უთხრა:

— *Aber nein, ruht, ruht, nur weiter machen!*⁴

შვეიკი უკვე საზეიმოდ გამოწყობილი იდგა გენერალ-მაიორის წინ, როცა მან მოკლე სიტყვა წარმოსთქვა გერმანულად.

— უფროსების პატივისცემა, წესდების ცოდნა და მხნეობა... ყველაფერია სამხედრო სამსახურში. ხოლო ამ თვისებებს თუ კიდევ დავუმატებთ გულადობას, მაშინ ვერცერთი მოწინააღმდეგე ვერ გვაჯობებს. გენერალმა შვეიკს მუცელში ატაკა თითი და პოდპორუჩიკ ღუბს მიმართა: დაიხსომეთ ეს ჯარისკაცი; როგორც კი დაბრუნდებით ფრონტზე, დაუყოვნებლივ დააწინაურეთ და პირველშემთხვევისთანავე წარადგინეთ ბრინჯაოს მედალზე თავისი მოვალეობის სამაგალითო შესრულებისა და იმისი ცოდნისათვის...

*Wissen Sie doch, was ich schon meine... Abtreten!*⁵

გენერალ-მაიორი წავიდა, პოდპორუჩიკმა ღუბმა კი ხმამაღ-

¹ მაქვს პატივი მოვახსენოთ, პანე გენერალ-მაიორო, ეს ჯარისკაცი კეკუა-ნაკლოვანია, ცნობილია როგორც ილიოტი და საოცრად სულელი (გ ე რ მ.).

² რას ამბობთ, პანე ლეიტენანტ? (გ ე რ მ.).

³ შეტს აღარ გააკეთებ? (ეს ფრაზა გენერალმა პოლონურად წარმოსთქვა).

⁴ თქვენ არა, თავისუფლად, თავისუფლად, განაგრძეთ (გ ე რ მ.).

⁵ ხომ გესმით რისი თქმა მსურს... თავისუფალი ხართ! (გ ე რ მ.).



ლა გასცა ბრძანება, გენერალს რომ გაეგო: — Erster Schwarm auf! Doppelreihen... Zweiter Schwarm...¹

ამასობაში შვეიკი თავისი ვაგონისკენ გაემართა. როცა პოდპორუჩიკ ღუბს ჩაუარა, მიესალმა როგორც წესი მოითხოვდა, მაგრამ ღუბმა მაინც უღრიალა — *Herstell!*² შვეიკმა ხელახლა მისცა სალაში და ისევ მოესმა:

— მცნობ თუ არა? ვერ მიცნობ ხომ? შენ კარგის მხრივ მიცნობ, მაგრამ ცუდის მხრივაც გაგაცნობ. თავს, დამაცა, კიდეც აგატირებ!

ბოლოს, როგორც იქნა შვეიკმა თავის ვაგონამდე მიადწია. გზაში გაახსენდა, რომ კარლინის ყაზარმაშიც იყო ასეთი ლეიტენანტი. გვარად ხუდავი. მაგრამ ის გაბრაზებისას სხვანაირად იგინებოდა: „ბიჭებო! ჩემთან შეხვედრისას ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენთვის მე ღორი ვარ და ღორად დავრჩები მანამდის, სანამ ჩემს ასეულშა იმყოფებით“.

როცა შვეიკმა საშტაბო ვაგონს გვერდით ჩაუარა, პორუჩიკმა

¹ პირველო ათეულო, დადექ! ორმწკრივად მოეწყვეთ! მეორე ათეულო... (გ ე რ მ.)

² არ ვარგა! (გ ე რ მ.)

ლუკაშმა დაუძახა და უბრძანა: გადაეცა ბალოუნისთვის დაეჩქარებინა მისთვის ყავის მომზადება, რძის კონსერვების ქილა კი მაგრად დაეხურა, რომ არ გაფუჭებულიყო. ბალოუნი ამ დროს უფროსი გადამწერი ვანეკის ვაგონში იყო და პატარა სპირტის ქურაზე ხარშავდა ყავას პორუჩიკი ლუკაშისათვის. როცა შვეიკი დავალების შესასრულებლად მოვიდა, გაიგო, რომ მის არ ყოფნაში მთელი ვაგონი ყავას შეექცეოდა.

პორუჩიკი ლუკაშის ყავისა და რძის კონსერვების ქილები ნახევრად ცარიელი იყო. ბალოუნი პირდაპირ ქვაბიდან სვამდა, თან რძის ქილას კოვზით ფხეკდა, ყავა რომ შეეზავებინა.

მზარეთლმა—ოკულტისტმა იურაილამ და უფროსმა გადამეწრმა ვანეკმა დაიფიცეს, როგორც კი მიიღებდნენ ყავისა და რძის კონსერვებს, მაშინვე დაუბრუნებდნენ ლუკაშს თავის ვალს.

ყავა შვეიკსაც მიაწოდეს, მაგრამ მან უარი სთქვა და ბალოუნს მიმართა: არმიის შტაბიდან მოსულია ბრძანება: დენშჩიკი, რომელიც თავის ოფიცერს რძის ან ყავის კონსერვს მოპარავს დაუყოვნებლივ, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ჩამოხრჩობილ იქნება. ასეთია ობერ-ლეიტენანტის ბრძანება. ეხლავე უნდა ეახლო მას, თან ყავა მიუტანო.

დამფრთხალმა ბალოუნმა ტელეგრაფისტ ხოდოუნსკის, რომელსაც ეს წუთი იყო თვითონ დაუსხა ყავა, ხელიდან გამოსტაცა, გასაცხლებლად დადგა, დაკონსერვებული რძე ჩაუმატა და ყავით ხელში საშტაბო ვაგონისკენ გაქანდა დაფეთებულმა ბალოუნმა ლუკაშს ყავა მიაწოდა თუ არა, მაშინვე თავში გაუელვა, რომ პორუჩიკმა მის თვალებში ყველაფერი ამოიკითხა.

— ოტა დამაგვიანდა, უცებ ვერ გავხსენი კონსერვი, — ენისბორძიკით დაიწყო ბალოუნმა.

— შეიძლება დაკონსერვებული რძე დაგედვარა, — სცდიდა მას პორუჩიკი ლუკაში და თან ყავას გემოს უსინჯავდა, — ან შეიძლება იმ წვენივით შეთქვლიფე? იცი რა გელის?

ბალოუნმა ამოიხენეშა და მორთო ღრიალი.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, სამი ბავშვი მყავს!

— იცოდე, ბალოუნ, კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, რომ შენი მსუნაგობა დაგლუპავს. შვეიკს არაფერი უთქვამს შენთვის?

— ჩემი ჩამოხრჩობა შეუძლიათ ოცდაოთხ საათში, — უპასუხა აკანკალებულმა ბალოუნმა.

— შე სულელო, ასე ნუ კანკალებ, გამოსწორდი და ის იქნება, — ღიმილით სთქვა პორუჩიკმა ლუკაშმა. — ნუ ხარ ასეთი გაუ-

მადლარი. შვეიკს უთხარი მოძებნოს სადგურში ან სადმე ახლომახლოს რაიმე გემრიელი. ეს თუმნიანი მიეცი. შენ არ გაგზავნი. შენ მხოლოდ მაშინ წახვალ, როცა კარგად გამოსკდები. ჩემი სარდინები ხომ არ შეგისანსლავს ჯერ? მაშ არა? აბა მოიტანე და მანახე.

ბალოუნმა შვეიკს გადასცა ფული, ობერ-ლეიტენანტმა თუმნიანი გამოგიგზავნა რამე გემრიელი მიყიდოსო. მერე ხენეშით ამოიღო პორუჩიკის ჩემოდნიდან სარდინის კოლოფი და დამწუხრებულმა წაიღო მასთან. უბედურს იმედი ჰქონდა ლუკაშს დაავიწყდება სარდინებიო. ეხლა ყველაფერი გათავდა. პორუჩიკი თავის ვაგონში დაიტოვებს სარდინებს, ბალოუნი კი ხელცარიელი დარჩება. მან გაქურდულად იგრძნო თავი.

— მაქვს პატრვი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, აქ თქვენი სარდინებია, — მწარედ ჩაღაპარაკა ბალოუნმა და კოლოფი პატრონს მიაწოდა. — ხომ არ მიბრძანებთ გავხსნა?

— კარგი. ბალოუნ, გახსნა არაა საჭირო, უკან წაიღე. შემოწმება მინდოდა მხოლოდ, კოლოფში ჩაიხედე თუ არა. როცა ყავა მომიტანე, მომეჩვენა რომ ტუჩები გაქონილი გქონდა. თითქოს პროვანსის ზეთი გავგესინჯოს. შვეიკი უკვე წავიდა?

— დიახ, პანე ობერ-ლეიტენანტ, უკვე წავიდა, — უპასუხა გაბრწყინებულმა ბალოუნმა, — შვეიკმა თქვა, რომ პანე ობერ-ლეიტენანტი კმაყოფილი დარჩება და რომ მისი, პანე ობერ-ლეიტენანტის ყველას შეშურდება. იგი სადგურიდან სადღაც გაემართა და სთქვა, რომ იცის ერთი ადგილი, რაკოშპალოტას * გაღმა. თუ ვინცაა მატარებელს ვეღარ მოუსწრო, მაშინ ავტოკოლონას შეუერთდება და ისე დაგვეწევა. ჩემზე ნუ იწუხებენ, ჩემი მოვალეობა კარგად ვიციო. დიდი არაფერი მოხდება საკუთარი ფულით ეტლის დაჭირავებაც რომ დამჭირდეს და ეშელონს თვით პალიციამდე ვსდიოო. შემდეგ შეუძლიათ ხელფასიდან გამომიქვითონ, პანე ობერ-ლეიტენანტი ნურავითარ შემთხვევაში ნუ იწუხებს ჩემზეო.

— აბა, ახლა მოშორდი აქაურობას, — ნაღვლიანად სთქვა პორუჩიკმა ლუკაშმა.

კომენდატურიდან ცნობა მოვიდა, რომ მატარებელი გაემგზავრება მხოლოდ შუადღისას, ორ საათზე, გიოდოლოლიო — ასოდის მიმართულებით, და რომ სადგურში ოფიცრებს ურიგებენ ორ ლიტრა წითელ ღვინოსა და ერთ ბოთლ კონიაკს. ყვებოდნენ, თითქოს წითელი ჯვრისთვის რაღაც ამანათი იპოვეს. ასე იყო თუ ისე, საშტაბო ვაგონში ეს ამანათი ღვთის წყალობად ჩათვალეს და კარგადაც მოილხინეს. კონიაკი „სამვარსკვლავეანი“ იყო, ღვინო კი „გუმ-

პოლდსკირხენის * მარკისა. მხოლოდ პორუჩიკი ლუკაში ვერ იყო გუნებაზე. უკვე ერთი საათი გავიდა, შვეიცი კი ჯერ არ ჩანდა. გავიდა კიდევ ნახევარი საათი. სადგურის კომენდატურიდან გამოვიდა უცნაური პროცესია, რომელიც პირდაპირ საშტაბო ვაგონისკენ მიემართებოდა. წინ გამარჯვებულის იერით მოაბიჯებდა შვეიცი; სახეზე ისეთი თავდავიწყება ჰქონდა აღბეჭდილი, რომ მოედანზე წასაყვანად გამზადებულ პირველ ქრისტიან წამებულებს მოგაგონებდათ.

მას ხიშტებჩამოცმული თოფებით ხელში ორი უნგრელი ჰონველი მოსდევდა. მარცხენა მხარეს სადგურის კომენდატურის ოცეულის მეთაური იყო, მის უკან კი ვიღაც წითელ ნაოჭებიან ქვედატანში გამოწყობილი ქალი და მოკლეჩქმებიანი მამაკაცი მოაბიჯებდა, რომელსაც თავზე მრგვალი ქუდი ეხურა და თვალი ჩალურჯებული ჰქონდა. მას ხელში ცოცხალი, დამფრთხალი მოკრიახე ქათამი ეჭირა.

ყველამ მონდომა საშტაბო ვაგონში შესვლა, მაგრამ ოცეულის მეთაურმა უნგრულად დაუღრიალა ქათამიან კაცსა და მის ცოლს, რომ ძირს დარჩენილიყვნენ.

შვეიკმა პორუჩიკი ლუკაში დაინახა და მრავალმხრენლოვნად ჩაუკრა თვალი.

ოცეულის მეთაურს მეთერთმეტე სამარშო ასეულის უფროსთან სურდა ლაპარაკი. პორუჩიკმა ლუკაშმა გამოართვა მას სადგურის კომენდატურის შტამპიანი ქალაღი და გაფითრებულმა დაიწყოკითხვა № - სამარშო ბატალიონის მეთერთმეტე სამარშო ასეულის ოთხმოცდამეთერთმეტე ქვეითი პოლკის მეთაურს შემდგომი აღსრულებისათვის: ამით გიგზავნით ქვეით იოზეფ შვეიკს, მისივე ჩვენების თანახმად № — სამარშო ბატალიონის იმავე სამარშო ასეულის ოთხმოცდამეთერთმეტე ქვეითი პოლკის ორდინარეცს — ცოლ-ქმარი იშტვანების, მცხოვრები იშარტაჩში, სადგურის კომენდატურის რაიონში, გაქურდვის ბრალდებით. საფუძველი: ქვეითმა იოზეფ შვეიკმა მოიპარა ცოლ-ქმარ იშტვანების ქათამი, რომელიც იშარტაჩში იმყოფებოდა და იშტვანების სახლის უკან დარბოდა (სიტყვა „Istvangatten“¹ ორიგინალში ბრწყინვალედაა წარმოებული). შვეიკი ადგილზე იქნა დაჭერილი ქათმის პატრონის მიერ. პატრონს უნდოდა გამოერთმია მისთვის ქათამი, მაგრამ ზემოთ მოხსენებულმა შვეიკმა მას წინააღმდეგობა გაუწია და ქათმის პატრონ იშტვანს მარჯვენა თვალში გაართყა, რისთვისაც იგი პატ-

¹ ცოლ-ქმარი იშტვანები.



რულმა დაიჭირა და თავის ასეულში გაგზავნა. ქათამი პატრონს დაუბრუნდა. მორიგე ოფიცრის ხელმოწერა.

პორუჩიკი ლუკაში შვეიკის ჩაბარების ხელწერილს აძლევდა და თან მუხლები უკანკალებდა. შვეიკი მასთან ახლოს იდგა და დაინახა, რომ პორუჩიკს თარიღის დაწერა დააეწყდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — სთქვა შვეიკმა, — დღეს 24 რიცხვია. გუშინ 23 მაისი იყო. გუშინ იტალიამ ომი გამოგვიცხადა. ქალაქის გარეუბანში მხოლოდ ამაზეა ლაპარაკი.

ჰონვედები ოცეულის მეთაურთან ერთად წავიდნენ. ქვემოთ დარჩნენ მხოლოდ ცოლ-ქმარი იშტვანები, რომლებიც, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ვაგონში შემძვრალიყვნენ.

— პანე ობერ-ლეიტენანტ, თუ გაქვთ ხუთი ოქრო ვიციდოთ ეს ქათამი. ამ ავაზაკს ხუთმეტეტი ოქრო უნდა, თან თვალის დაშავებვისათვის ზედმეტად თუმანს ითხოვს, მაგრამ მე მგონია, პანე ობერ-ლეიტენანტ, თუმანი ძალიან ბევრია მისი იდიოტური, ჩალურჯებული თვალისთვის. სამიკიტნო „მოხუც ქალბატონში“ ხარატ მათეს ოცი ოქროსთვის აგურით მოუქციეს ქვედა ყბა და ექვსი კბილი ჩაუმტვრიეს. მაშინ კი ფული უფრო ფასობდა, ვიდრე ეხლათვითონ ვოლშლეგერი ოთხ ოქროს იღებს კაცის ჩამოხრჩობაში.

— შოდი აქ, — თავი დაუქნია შვეიკმა თვალდალურჯებულ მამაკაცს, რომელსაც ქათამი ეჭირა ხელში. — შენ კი, ბებრუცუნა, მანდ დაიცადე..

კაცი ვაგონში შევიდა.

— ცოტაოდენი გერმანული იცის, ყველა გინება ესმის და თვითონაც საკმაოდ კარგად შეუძლია გერმანულად შემოკურთხება, — მოახსენა შვეიკმა პორუჩიკს.

— Also, zehn Gulden, — მიმართა მან მამაკაცს, — Fünf Gulden Henne, fünf Auge. Öt forint, — ხედავ, ყიულიყო: öt forint kukuk igen! აქ საშტაბო ვაგონია, გესმის, შე ჯიბეცრო? მოიტა აქ ქათამი!

შვეიკმა დარეტიანებულ კაცს ხელში თუმნიანი შეაჩეჩა, ქათამი გამოართვა, კისერი მოუგრინა და თვალისდახამხამებაში კინწისკვრით ჩამოაგდო გლეხი ვაგონიდან. მერე მეგობრულად ჩამოართვა მას ხელი და უთხრა: Jő napot, barátom, adieu,² ეხლა კი მოუსვი შენ დედაკაცთან, თორემ ძირს დაგიშვებ.

— აი, ხომ ხედავთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყველაფერის მოგვარება შეიძლება, — დაამშვიდა შვეიკმა პორუჩიკი ლუკაში. ყველაფერს ის სჯობია, როცა საქმე სკანდალისა და ცერემონიის გარეშე მოგვარდება ხოლმე. ეხლა მე და ბალოუნი ისეთ ქათმის ბულიონს მოგიხარშავთ, რომ მისი სუნი ტრანსილვანიამდე აღწევდეს.

პორუჩიკმა ლუკაშმა ველარ მოითმინა, საბედისწერო ქათამი შვეიკს ხელიდან გამოგლიჯა, იატაკზე დაანარცხა და დაიღრიალა:

— იცით, შვეიკ; რას იმსახურებს ჯარისკაცი, რომელიც ომის დროს მშვიდობიან მოსახლეობას ძარცვავს?

— ღირსეულ სიკვდილს, დენტისა და ტყვეისაგან, — ზეიმურად უპასუხა შვეიკმა.

— თქვენ კი, შვეიკ, იმსახურებთ სახრჩობელას, რადგან პირველმა დაიწყეთ ძარცვა: თქვენ არამზადა ხართ! არც კი ვიცი, რა გიწოდოთ. თქვენ დაივიწყეთ ფიცი; აღარ ვიცი რა ვქნა, თავბრუ მესხმის!

შვეიკმა გაკვირვებით შეხედა პორუჩიკ ლუკაშს და სწრაფად გამოეხმაურა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მე არ დამვიწყებია ფიცი, რომელიც ჩვენ, სამხედროებმა უნდა შევასრულოთ - მაქვს პატივი

¹ ამრიგად, ათი გულდენი. ხუთი გულდენი ქათმისთვის. ხუთი — თვალისათვის. ხუთი ფორინტი ყიულიყოსათვის, ხუთი ფორინტი თვალეზდაქეტილი ცქერისათვის, კარგი? (უ ნ გ. და ფ რ ა ნ გ.)

² გაგიმარჯოს ამხანაგო. მშვიდობით! (უ ნ გ. და ფ რ ა ნ გ.)



მოგახსენოთ. პანე ობერ-ლეიტენანტ, მე საზვიამოდ მივეცი ფიცი უგანათლებულეს თავადსა და ხელმწიფეს ფრანც იოსებ პირველს, რომ ვემსახურები მას რწმენითა და სიმართლით. ასევე პატიუსა ვცემ, დაუჯერებ და დავიცავ მის უდიდებულესობას გენერლებსა და ჩემს უფროსებს. ყოველთვის ზუსტად ავასრულებ მათ ბრძანებებსა და განკარგულებებს; მამაცურად და უშურად შევებრძოლები ყველა მოწინააღმდეგეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, როდესაც ამას მისი საიმპერატორო უდიდებულესობა მოითხოვს: წყალზე თუ წყალქვეშ, ხმელეთზე თუ ჰაერში, დღისა თუ ღამის ყოველ მონაკვეთში: ომის, შემოსევის. ბრძოლებისა თუ სხვა შესაძლებელი ვარიანტების დროს ყველგან და ყოველთვის...

შვეიცმა იატაკიდან ქათამი აიღო, გასწორდა, პირდაპირ შეხედა პორუჩიკ ლუკასს თვალებში და განაგრძო: — ყველგან და ყოველთვის; არასდროს არ მივატოვო ჯარი, ჩემი პოლკი, დროშები და ქვემეხები. არავითარი მოლაპარაკება არ ვაწარმოო მოწინააღმდეგესთან. ყოველთვის მოვიქცე ისე, როგორც ამას სამხედრო კანონები მოითხოვს და როგორც ეს მამაც ჯარისკაცს მართებს, პატიოსნად ვიცხოვრებ და პატიოსნად მოვკვდები. დაე ღმერთმა მომიმართოს ხელი, ამინ. ხოლო ეს ქათამი მე არ მომიპარავს. ფიცი მახსოვდა და სავსებით წესიერად მეჭრა თავი.

— გადაავლებ თუ არა ამ ქათამს, შე ნადირო? — აღრიალდა პორუჩიკი ლუკაში და შვეიკს ოქმი ჩაარტყა იმ ხელში, რომელშიც მკვლარი ქათამი ეჭირა. — შეხედე ამ ოქმს. ხელავ, აქ გარკვევით სწერია: „ამით მოგავლენთ ქვეით ეოზეფ შვეიკს მისივე ჩვენების თანახმად იმავე სამარშო ასეულის ორდინარეცს... ბრალდებით გაძარცვაში...“ ამის შემდეგ კიდევ დამიწყებ ლაპარაკს, შე საძაგელო, შე ყაჩაღო... არა, როცა იქნება აუცილებლად მოგკლავ! გესმის? ეხლა მიპასუხე, შე ილიოტო, შე ავაზაკო, როგორ ჩაიღინე ეს?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — თავზიანად უპასუხა შვეიკმა, — აქ რაღაც გაუგებრობაა. როცა თქვენი სურვილი გადმომცეს. მეყიდა რაიმე გემრიელი, დავიწყე ფიჭვი რა შეიძლებოდა მეშოვნა. სადგურის უკან არაფერი არ იყო, გარდა ცხენის ძეხვისა და ვირის გამხმარი ხორცისა. მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე. ფრონტზე საჭიროა გვქონდეს რაიმე ნოყიერი, მაშინ უფრო ადვილად იტან ყოველგვარ ფატირაკს. მსურდა თქვენთვის პორიზონტალური სიხარული * მომენიჭებია. განვიზრახე, პანე ობერ-ლეიტენანტ, თქვენთვის ქათმის სუბი მომეხარშა.

— ქათმის სუბიო! — გაიმეორა პორუჩიკმა და თავზე ხელა იტაცა.

— დიახ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ქათმის სუბი. ვიყიდე ხახვი და ორმოცდაათი გრამი ვერმიშელი. ყველაფერი აქაა. ამ ჯიბეში ხახვია, ამაში კი ვერმიშელი. მარილი და წიწაკა კანცელარიაში გვაქვს. ქათამილა გვაკლდა. წავედი ე. ი. სადგურის უკან, იშატარჩში. კაცმა რომ სთქვას, იშატარჩი ნამდვილი სოფელია, ქალაქს არც კი ჰგავს, თუმცა პირველ ქუჩაზე, ფირფიტაზე სწერია: „ქალაქი იშატარჩა“. გავიარე ერთი ბაღებიანი ქუჩა, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, სანამ მეცამეტე ქუჩის ბოლომდე არ მივალწიე, სადაც უკანასკნელი სახლის უკან იწყებოდა მდელი. აქ ქათმები დასეირნობდნენ. მივედი და ამოვარჩიე ყველაზე დიდი და მძიმე ქათამი. რნებთ და ნახეთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ცარიელი ქონია. გასინჯვაც კი არ სჭირდება, ერთი შეხედვითვე ჩანს, რომ მარცვალს ხშირად უყრიდნენ. ყველას დასანახად ქათამი ხელში ავიყვანე. ისინი უნგრულად რაღაცას მიყვირიან. მე კი ქათამს ფეხში ხელი წავავლე და ხან ჩეხურად, ხან გერმანულად ვეკითხები, ვისია ქათამი, ყიდვა მინდა-მეთქი. უცებ განაპირა სახლიდან გამორბის ვიღაც გლეხი დედაკაცთან ერთად. გლეხკაცმა გინება დამიწყო ჯერ



უნგრულად, მერე გერმანულად — აქაო და, მზისით-დღისით ქათამი მომპარეო. მე ვუთხარი, ნუ მიყვირი, ქათმის საყიდლად გამოგზავნენს-თქო. ერთი სიტყვით, ავეუსენი, რაშია ც იყო საქმე. ქათამმა კი, ფეხით რომ მეკავა, უცებ ფრთხიალი დაიწყო და რადგან მაგრად არ მეჭირა, კინალამ ხელიდან გამისხლტა და პატრონს ცხვირზე შეასკუპდა. გლებმა ყვირილი მორთო, ქათმის ჩარტყმა მომინდომა სახეშიო. ქალი კი მოჰყვა რალაცის ბუტბუტს, თან იძახოდა „ჯუ-ჯუ-ჯუ“-ო...

ამ დროს გამოჩნდნენ ვიღაც იდიოტები, რომლებმაც ვერ გაიგეს რაში იყო საქმე, მოიყვანეს ჰონვედთა პატრული და მე თვითონ მივეცი წინადადება სადგურის საკომენდატო სამმართველოში წავსულიყავით, რათა იქ ჩემი უდანაშაულობა გამოაშკარავებულიყო. მაგრამ მე და იქაური მორიგე პატრული ვერაფრით ვერ შევთანხმდით; მაშინაც კი, როცა ვთხოვე გაეგო თქვენგან, მართლა გამგზავნეთ თუ არა რაიმე გემრიელის საშოვნელად. ის კი არა, უფრო მეტად გამომლანძღა და მიბრძანა ენა ჩამეკმინდა. ასე მითხრა, ლაპარაკის გარეშეც გეტყობა თვალებზე, რომ მაგარი წკნელი და კარგი ბაწარი გელისო. როგორც ჩანს, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, რადგან იქამდის მივიდა, რომ ცხელ გულზე ესეც კი წამოაყრანტალა: ამისთანა ცხვირპირი მხოლოდ ისეთ სალდათს შეიძლება ჰქონდეს, რომელიც ქურდობას ეწევო. სადგურში ბევრი საჩივარი მოდისო. აი, ჯერ კიდევ გუშინ, სადლაც, შორიახლოს ინდაური დაიკარგა. ხოლო როცა გავახსენე, გუშინწინ ჩვენ რაბეში ვიყავით-თქო, მიპასუხა, რომ ასეთი მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი მასზე არ მოქმედებს. თქვენთან გამომგზავნეს; იქ კიდევ ვიღაც ეფრეიტორმა, რომელიც უცებ ვერ შევამჩნიე, ყვირილი დამიწყო: არ იცი შენ წინაშე ვინ დგასო? მე ვუპასუხე, რომ იგი ეფრეიტორია და ეგერთა რაზმში რომ გადაეყვანათ პატრულის უფროსი იქნებოდა, ხოლო არტილერიაში — ობერ-კანონირი.

— შეეიკ, — თქვა პორუჩიკმა ცოტა ხნის შემდეგ, — თქვენ იმდენი რამ გადაგზადენიათ თავზე, იმდენი ფათერაკი შეგმთხვევიათ, იმდენი, როგორც თქვენ ამბობთ, დიდი და პატარა შეცდომები გქონიათ, რომ ყველა ამ უსიამოვნებისაგან თქვენი ხსნა შეუძლია მხოლოდ სახრჩობელას, გარშემორტყმულს ჭარეში საზეიმოდ ჩამწკრივებული ჯარისკაცებით. გესმით?

— დიახ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ეგრეთწოდებული შეკრული ბატალიონის კარე შედგება ოთხი, ხოლო გამონაკლისის სახით სამი ან ხუთი ასეულისაგან. როგორ მიბრძანებთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ბევრი ვერმიშელი ჩავყარო ქათმის სუპში, სქელი რომ იყოს?

შვეიცი, გიბრძანებთ ამ წუთში მოუსვით აქედან თქვენი ქათ-
მიანად, წინააღმდეგ შემთხვევაში გოგრაში გხეტქავთ. მაგ ქათამს,
საბრალო იდიოტო!

— როგორც შიბრძანებთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მაგრამ მაქვს
პატივი მოგახსენოთ, რომ ნიახური ვერ ვიშოვე. სტაფილოც არსად
არაა, კარტოფ...

შვეიკმა ვერ დაამთავრა სიტყვა „ილს“ და ქათმიანად გავარდა
საშტაბო ვაგონიდან. პორუჩიკმა ლუკაშმა სულმოუთქმელად გადაე-
რა ერთი თლაში კონიაკი. შვეიკმა საშტაბო ვაგონის ფანჯრის წინ
გაიარა, სალამი მისცა და თავისთან წავიდა.

სულიერ ბრძოლაში გამარჯვებული ბალოუნი ის იყო შეუღდა
პორუჩიკის სარდინებზე გახსნას, რომ უცებ გამოჩნდა შვეიკი ქათ-
მით ხელში. ბუნებრივია, მისმა გამოჩენამ დიდი მღელვარება გამო-
იწვია ვაგონში მყოფთა შორის; ყველა ისე უყურებდა, თათქოს
ეკითხებოდნენ: სად მოიპარე ეს ქათამიო?

— პან ობერ-ლეიტენანტისათვის ვიყიდე, — განაცხადა შვეიკმა.
თან ჯიბიდან ხახვი და ვერმიშელი ამოათრია. — მინდოდა მისთვის
სუპი მომეხარშა, მაგრამ უარი სთქვა და ქათამი მე მაჩუქა.

— მკვდარია? — უნდობლად იკითხა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა.

— მე თვითონ მოვუვარიხე კისერი, — უპასუხა შვეიკმა და ჯი-
ბიდან დანა ამოიღო.

ბალოუნმა მადლობისა და პატივისცემის გრძნობით შეხედა
შვეიკს და ჩუმად შეუღდა პორუჩიკის სპირტქურის გამზადებას.
მერე ქვაბები აიღო და წყლის მოსატანად გაიქცა.

შვეიკმა ქათმის გაპუტვა დაიწყო. მასთან ტელეგრაფისტი ხოლო-
უნსკი მივიდა და დახმარება შესთავაზა, თან ინტიმური ხმით
წასჩურჩულა: „შორსაა აქედან? ეზოში უნდა გადაძვრე, თუ პირ-
დაპირ ქუჩაზეა?“

— ფიყიდე.

— ხმა გაიკმინე, ამხანაგი გქვია კიდეც! ხომ. დავინახეთ, რო-
გორც მოგაბრძანეს.

მიუხედავად ამისა ტელეგრაფისტმა ხოლოუნსკიმ მაინც მხურვა-
ლე მონაწილეობა მიიღო ქათმის გაპუტვაში. ამ დიდ, საზეიმო ამ-
ბების სამზადისის დროს თავი გამოიჩინა მზარეულმა — ოკულტის-
ტმა იურაიდამაც. მან სუპში ჩააქრა კარტოფილი და ხახვი.

ვაგონიდან გადაყრილმა ბუმბულმა შემოვლაზე მყოფი პოდპო-
რუჩიკი დუბის ყურადღება მიიპყრო. მან იყვირა, ვინც ქათამს, პუ-
126



ტავს ამ წუთში მეჩვენოსო და კარებში თვალის დახამხამებაში გამოჩნდა შვეიკის კმაყოფილებით აღსავსე ფიზიონომია.

— ეს რა არის? — იყვირა პორუჩიკმა ღუბმა, თან მიწიდან ქათმის მოჭრილი თავი აიღო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — უბასუბა შვეიკმა, — შავი, იტალიური ჯიშის ქათმის თავი გახლავთ: შესანიშნავი კვერცხის მდებელი ქათამი. წელიწადში ორას სამოც კვერცხსა დებს. ინებეთ და ნახეთ, რა შესანიშნავი საკვერცხე აქვს. — შვეიკმა შიგ ცხვირთან მიაჩეჩა პოდპორუჩიკ ღუბს ქათმის ნაწლავები და შიგნულად ღუბმა გადააფურთხა და წავიდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ მობრუნდა.

— ვისთვისაა განკუთვნილი ეს ქათამი?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ. — ჩვენთვისაა ნახეთ რა ქონიანია!

პოდპორუჩიკი ღუბი წავიდა, თან წაიბუზღუნა:

— ფილიპთან შევხვდებით! *

— რა გითხრა? — ჰკითხა იურაიდამ შვეიკს.

• • სადღაც ფილიპთან დაენიშნეთ პაემანი. ეს დიდგვაროვანი მებატონეები უმრავლეს შემთხვევაში პედერასტები არიან ხოლმე.

მზარეულმა — ოკულტიტმა იურაილამ განაცხადა, რომ მხოლოდ ესთეტიკები არიან — ჰომოსექსუალისტები, ეს თვით ესთეტიზმის არსიდან გამომდინარეობსო.

უფროსი გადამწერი ვანეკი მოყვა, როგორ აუპატიურებდნენ ესპანურ მონასტერში პედაგოგები უპატრონო ბავშვებს. წყალმა უკვე დუღილი დაიწყო ქვაბში, როცა შვეიკი იმის მოყოლას შეუდგა, თუ როგორ მიანდეს ერთ აღმზრდელს ვენის უპატრონო ბავშვთა მთელი კოლონია და მან კი ყველანი გახარწნა.

— რას იზამ, ვნების ამბავია! მაგრამ ყველაზე ცუდია, როცა ვნება ქალს ეუფლება. რამდენიმე წლის წინათ პრალაში ცხოვრობდა კახაბობის გამო მიტოვებული ორი ქმარგაშვებული ქალი. ერთის გვარი იყო — მოურკოვა, მეორესი კი — შოუსკოვა. ერთხელ, როცა როზტოკის ხეივნებში ყვაოდა ბალი, მათ დაიპირეს ერთი ბებერი იმპოტენტი, ასი წლის მეარლნე, როზტოკის ბაღში შეათრიეს და გააუპატიურეს. რას არ უშვებოდნენ საწყალს! ყიჟკოვის მახლობლად ცხოვრობს პროფესორი აქსამიტი. იგი იქ გათხრებს აწარმოებდა, ეძებდა საფლავებს მოკრუნჩხული მიცვალებულებითა და რამდენიმე ასეთი ჩონჩხი თან წაიღო კიდევ. კახებმა მეარლნე ერთ-ერთ ასეთ ამოთხრილ საფლავში გადაათრიეს; იქ კი დაგლიჯეს და გააუპატიურეს. მეორე დღეს მოვიდა პროფესორი აქსამიტი და ხედავს: საფლავში რაღაც დევს. გაეხარდა; ეს ქმარგაშვებული ქალბატონების მიერ ნაწამები და დაგლეჯილი მეარლნე გახლდათ, რომლის გვერდით მარტო ნარჩენებილა ეყარა. მეხუთე დღეს მეარლნე გარდაიცვალა. ეს უნამუსოები ისე გათავხედდნენ, რომ დასაფლავებაზეც კი მოვიდნენ. — ეს უკვე გარყვნილებაა! მარილი მოაყარე? — მიუბრუნდა შვეიკი ბალოუნს, რომელმაც ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ყველა დიდი ინტერესით უსმენდა შვეიკს და რაღაცას მალავდა ზურგჩანთაში. — რას აკეთებ მანდ, ბალოუნ? — უცებ სერიოზულად უსაყვედურა შვეიკმა მეგობარს, — რას უპირებ მაგ ქათმის ფეხს? ერთი უყურეთ! მოგვპარა ქათმის ფეხი, რომ მერე უჩვენოდ შეჭამანდი მოხარშოს. ჯესმის, ბალოუნ, რას სჩადი? იცი როგორ სჯიან არმიაში მათ, ვინც ფრონტზე ამხანავს ქურდავს? ასეთ კაცს ზარბაზნის ლულაზე მიაკრავენ და ფინთიხივით გაფანტავენ ჰაერში. გვიანდაა ოხვრა! როგორც კი შეეხვდებით ფრონტზე არტილერიას, უახლოეს ობერფეიერვერკერთან გამოცხადდები, ეხლა კი დასჯის მიზნით გავარჯიშებ. აბა გამოძვერი ვაგონიდან.

საბრალო ბალოუნი გაძვრა, შვეიკი კი ვაგონის კარებში ჩამოჯდა, ფეხები ძირს ჩამოუშვა და ბრძანება გასცა:

— Habtacht! Ruht! Habtacht! Rechts schaut! Habtacht!¹ წინ იყურე! Ruht!² ახლა შეუდგეთ ადგილზე ვარჯიშს... Rechts um.³ ოპო, ძმავო, ნამდვილი ძროხა ხარ! შენი რქები იქ უნდა იყოს, სადაც წელან მარჯვენა მხარი გკონდა! Herstellt! Rechts um! Links um! Halbrechts!⁴ ასე არა, შე ვირო შენა! Herstellt! Halbrechts!⁵ აი, ხომ ხედავ, ჯორო, უკვე გამოგდის. Halblinks! Links um! Links! Front! Front!,⁶ შე შტერო, ვითომ არ იცი, რა არის მწკრივი! Gradaus! Kehrt euch! Kniet! Nieder! Setzen! Auf! Setzen! Auf! Nieder! Auf! Nieder! Auf! Setzen Ruht! auf! Ruht!⁷ აი, ხომ ხედავ, ბალოუნ; რა სასარგებლოა ეს ვარჯიში. საჭმელს მაინც მოინელებ კარგად.

მათ გარშემო ჯარისკაცები შეგროვდნენ. ყოველი მხრიდან გა-
ისმოდა მხიარული სიცილი.

— თუ შეიძლება გვერდზე გადაქით! — იყვირა შვეიკმა, — ეხ-
ლა მარშით სიარულს შევეუდგებით. იცოდე, ბალოუნ, ყურადღებით
მისმინე, ოცჯერ არ მათქმევინო არ ვარგა-მეთქი. აქ მიყ-
ვარს ტყუილუბრალოდ ბრძანების მიცემა. ამრიგად: Direktion
Bahnhof!⁸ უტკირე საით გიჩვენებენ! Marschieren marsch! Glied-
halt!⁹ ეშმაკმა დალახეროს, სდექ, სანამ კარცერში არ ჩამიჯენიხარ!
Glied—halt!¹⁰ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა გაგაჩერე, შე გა-
მომტერებულო. Kurzer Schritt!¹¹ არ იცი რაა „Kurzer Schritt?“
შე შენ, ძმავო, ისეთ „Kurzer Schritt“-ს მოგცემ, რომ თავი დაგა-
ვიწყდეს: Voller Schritt, Wechselt Schritt! Ohne schritt!¹² შე
კამეჩო შენა! როცა გიბრძანებ: „Ohne schritt“¹³, მაშინ ადგილზე
უნდა შეინაცვლო ფეხი.

¹ სენა თავისუფლად სენა მარჯვნივ სწორად სენა (გ ე რ მ.).

² თავისუფლად (გ ე რ მ.).

³ მარჯვნივსაქენ! (გ ე რ მ.).

⁴ არ ვარგა მარჯვნივსაქენ, მარცხნივსაქენ ნახევარბრუნე მარჯვნივ! (გ ე რ მ.).

⁵ არ ვარგა ნახევარბრუნე მარჯვნივ! (გ ე რ მ.).

⁶ ნახევარბრუნე მარცხნივ! მარცხნივ იარ მწკრივად! მწკრივად! (გ ე რ მ.).

⁷ პირდაპირი ზურგისაქენ! ერთ მუხლზე დაიჩოქე! დაწევი ჩაიმუხლე! ერთი!
ადექი ჩაიმუხლე! ერთი დაწევი ადექი დაწევი ადექი ჩაიმუხლე! ერთი! თა-
ვისუფლად! ადექი! თავისუფლად! (გ ე რ მ.).

⁸ სადგურისკენ იარ! (გ ე რ მ.).

⁹ ნაბიჯით იარ! ათეულო სდექ! (გ ე რ მ.).

¹⁰ ათეულო სდექ! (გ ე რ მ.).

¹¹ მოკლე ნაბიჯით! (გ ე რ მ.).

¹² სრული ნაბიჯით იარ! ფეხი შეიცვალეთ ადგილზე იარ (გ ე რ მ.).

¹³ ადგილზე იარ! (გ ე რ მ.).

გარშემო შეიკრიბა თითქმის ორი ასეული. ბალონი ოფლად იღვრებოდა და ფეხზე ძლივს იდგა. შევიკი კვლავ იძლეოდა¹ ბრძანებებს: *Gleicher schritt! Glied rückwärts marsch! Glied halt! Laufschrift! Glied marsch! Schritt! Glied halt! Ruht! Habtacht! Direktion Bahnhof! Laufschrift marsch! Halt! Kehrt euch! Direction Wagon! Laufschrift marsch! Kurzer Schritt! Glied halt! Ruht!² ეხლა შეისვენე, მერე ისევ თავიდან დავიწყით. თუ სურვილი გაქვს, ყველაფერს მიაღწევ.*

— ეს რა ამბავია? — გაისმა უცებ პოდპორუჩიკი დუბის ხმა. მან ჯარისკაცების ჯგუფთან მიიღბინა.

— მაქვს პარტივი მოგახსენოთ, პანე პოდპორუჩიკ, ცოტა წავიმეცადინეთ მარშით სიარულში, რათა სამწყობრო ვარჯიში არ დავავიწყდეს და ძვირფასი დრო ტყუილად არ გავაცდინოთ.

— ჩამოდით ვაგონიდან! — ბრძანა პოდპორუჩიკმა, — გეყოფათ! წამოდით ახლავე ბატალიონის მეთაურთან.

სწორედ იმ მომენტში, როცა შევიკი საშტაბო ვაგონში შედიოდა, პორუჩიკი ლუკაში მეორე ბაქნიდან პერონზე გავიდა. პოდპორუჩიკმა დუბმა მოახსენა კაპიტან საგნერს ყოჩალი ჯარისკაცი შევიკის უცნაური, როგორც მან განმარტა, საქციელის შესახებ. კაპიტანი საგნერი მშვენიერ გუნებაზე იყო, რადგან „გუმპოლდ-სკირხენი“ ნამდვილად ჩინებული აღმოჩნდა.

— მაშასადამე, თქვენ არ გსურთ უქმად ძვირფასი დროის გაცდენა. არა? — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა კაპიტანმა. — მატუშიჩ, მოდით ერთი აქ!

მან უბრძანა ბატალიონის ორდინარეცს მეთორმეტე ასეულიდან ფელდფებელი ნასაკლო მოეყვანა, ხოლო შევიკისათვის ეშოვნა შაშხანა. ნასაკლო ცნობილი იყო თავისი სიმხეცით.

— ამ ჯარისკაცს, — უთხრა კაპიტანმა ფელდფებელ ნასაკლოს, — არ სურს დროის ტყუილუბრალოდ დაქარგვა. წაიყვანეთ თქვენს ვაგონში და ერთი საათი ამეცადინეთ შაშხანის ილეუებში. ოღონდ, არც ვადა დაუნიშნოთ და არც დასვენების საშუალება მისცეთ! უმთავრესად ორ ილეუში იმეცადინეთ, თანაც ზედიზედ! *Setzt,* ab, an, setzt ab!*²

— შევიკ, აი ნახავთ, მოსაწყენად არ გეცლებათ, — დაპირდა

¹ ფეხშეწყობით იარი ათეულო, ზურგისაკენ იარი ათეულო, სდექი სირბილით იარი ათეულო, იარი ათეულო, სდექი თავისუფლად! სმენა! სადგურისკენ. იარი! მოკლე ნაბიჯით იარი ათეულო, სდექი თავისუფლად! (გ ე რ მ.).

² ნიშანში თოფი მოიპარჯეეთ! ნიშანში (გ ე რ მ.).

კაპიტანი შვეიკს გამოშვილობებისას და ერთი წუთის შემდეგ ვაგონის უკან გაისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძანების ხმა, რომელიც საზეიმოდ ეფინებოდა მთელი რკინიგზის არეშარეს.

ფელდფებელი ნასაკლო, რომელიც სწორედ მაშინ მოსწყვიტეს „ოცდაერთის“ თამაშს, როცა ბანკი აიღო, ისე გააკიოდა რომ ქვეყანას წვდებოდა მისი ხმა. „Beim Fuss! Schultert! Beim Fuss! Schultert!“¹

ერთის წამით ბრძანება მიწყდა და მოისმა შვეიკის კმაყოფილი, მშვიდი ხმა!

— ყოველივე ეს, მე ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს გავიარე. „Beim Fuss“-ის ბრძანებაზე შაშხანა ისე უნდა იდგეს მარჯვენა ფეხის გვერდით, რომ კონდახის ბოლო ფეხისწვერს უსწორდებოდეს. მარჯვენა ხელი თავისუფლადაა მოხრილი და შაშხანა ისე უკავია, რომ დიდი თითი, ლულაზე დევს, ხოლო დანარჩენი თითებით კონდახი უქირავს. ბრძანება „Schultert“-ის დროს კი თოფი თავისუფლადაა დაკიდებული მარჯვენა მხარზე მყოფ ღვედზე ლულით ზევით, ლულა კი ცოტა უკანაა გადაწეული.

— გეყოფათ ლაქლაქი — ისევ გაისმა ფელდფებელ ნასაკლოს ხმა. — Habtacht! Rechts schaut!² ეშმაკმა დალახვროს, როგორ აკეთებთ ამას...

— „Schultert“-ისა და rechts schaut“-ის დროს ჩემი მარჯვენა ხელი ძირს მიცურავს ღვედის გასწვრივ და კონდახის ყელს ეხვევა, ხოლო თავს მარჯვნივ ვაბრუნებ. ბრძანება „Habtacht“-ის³ დროს კი ისევ მარჯვენა ხელს ვკიდებ ღვედს, ხოლო თავი თქვენსკენ მაქვს მობრუნებული.

კვლავ გაისმა ფელდფებელის ხმა:


— In die Balanz! Beim Fuss! in die Balanz! Schultert! Bajonett auf! Bajonett ab! Fällt das Bajonett. Zum Gebet! Vom Gebet! Kniet nieder zum Gebet! Laden! Schiessen! Schiessen halbrechts! Ziel Stabswagon, Distanz 200 Schritt... Fertig! An! Feuer! Setzt ab! An! Feuer! An! Feuer! Setzt ab! Aufsatz normal! Patronen versorgen! Ruht!⁴

¹ ფეხთან მხარზე ფეხთან მხარზე (გ ე რ მ.).

² სმენა მარჯვნივ სწორდით (გ ე რ მ.).

³ სმენა (გ ე რ მ.).

⁴ თოფი მოიმარჯვე! ფეხთან თოფი მოიმარჯვე! ფეხთან მხარზე შაშხანას ზიშტი ჩამოაკეცი მოხსენით ზიშტი ქარქაშში! სალოცავად იარი სალოცავიდან იარი ჩამოხვლე სალოცავად! დატენე! თაფ! ნახვეარბრუნით მარჯვენისაკენ ისრო-



ფელდფებელმა თუთუნის გახვევა დაიწყო. შვეიკი თოფის ნომერს ათვლიერებდა; უცებ წამოიძახა:

— ოთხიათას ორას სამოცდარვა! პეჩკაში ერთ ორთქლმავალს სწორედ ასეთი ნომერი ჰქონდა. ის მეთექვსმეტე ლიანდაგზე იდგა; ლაბეს ლისის დეპოში უნდა წაეყვანათ სარემონტოდ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, პანე ფელდფებელო. უფროს მემანქანეს, რომელსაც ეს ორთქლმავალი უიდა ჭაეყვანა, რიცხვები ცუდად ამახსოვრდებოდა. იგი დისტანციის უფროსმა გამოიძახა თავის კანცელარიაში და უთხრა: „მეთექვსმეტე ლიანდაგზე დგას. მატარებელი, ნომერი ოთხიათას ორას სამოცდარვა. ვიცი, რომ რიცხვებს ცუდად იმახსოვრებთ; ქალაღზე რომ დაგიწეროთ ნომერი, მაინც დაკარგავთ. ამიტომ მომისმინეთ ყურადღებით. მე დაგიმტკიცებთ, რომ ჯოველგვარი ნომრის დამახსოვრება ძალიან იოლია. მაშ ასე, მომისმინეთ: იმ მატარებლის ნომერი, რომელიც თქვენ ლაბეს

ლე! საშტაბო ვაგონს დაუმიზნე! დისტანცია ორასი ნაბიჯი მოამზადე! თოფი მოიმარჯვე! თაფი ფეხთან! თოფი მოიმარჯვე! თაფი! თოფი მოიმარჯვე! თაფი! თოფი ნორმალურად მოიმარჯვე! ვახუნები მოამზადე! თაფისუფლად! (გ ე რ მ.).

ლისის დეპოში უნდა წაიყვანოთ, ოთხიათას ორას სამოცდარვაა. ყურადღებით მისმინეთ. პირველი ციფრია — ოთხი, მეორე — ორი. თქვენ უკვე დაიმახსოვრეთ ორმოცდარვი ანუ ორჯერ ორი — ოთხი. ეს პირველი რიცხვია, რომელიც ორზე რომ გავყოთ, უდრის ორს და ერთმანეთის გვერდით მივიღეთ ოთხი და ორი. ეხლა არ შეგეშინდეთ! რამდენი იქნება ორჯერ ოთხი? რვა, ასეა არა? მაშ დამახსოვრეთ, რომ რვიანი ნომერში ოთხიათას ორას სამოცდარვა — რიგის მიხედვით უკანასკნელია. მას შემდეგ რაც დაიმახსოვრეთ, რომ პირველი ციფრი — ოთხია, მეორე — ორი, მეოთხე კი რვაა, უნდა მოახერხოთ და დაიმახსოვროთ ის ექვსიანი, რომელიც რვიანის წინ დგას; ეს კი ძალიან ადვილია. პირველი ციფრია ოთხი, მეორე ორი, ხოლო ოთხი პლუს ორი — ექვსია. ეხლა ზუსტად იცით, რომ მეორე ციფრი ბოლოდან — ექვსია და ციფრების ეს რიგი არასდროს არ გამოგივარდებათ თავიდან. თქვენ მახსოვრობაში ჩაგიჯდათ ნომერი ოთხიათას ორას სამოცდარვა. მაგრამ ასეთ შედეგს შეგიძლიათ უფრო ადვილად მიაღწიოთ...

ფელდფებელმა პაპიროსის წევას თავი ანება, თვალები დაპრაწა და ეს-ლა წაილულულა: — „Kappe ab“¹.

შვეიკმა სავსებით სერიოზულად განაგრძო:

— აქ ის შეუდგა ნომრის დამახსოვრების უფრო იოლი საშუალების განმარტებას „რვას რომ ორი გამოვაკლოთ იქნება ექვსი. ეხლა თქვენ უკვე იცით სამოცდარვა, ხოლო ექვსს რომ ორი გამოვაკლოთ იქნება ოთხი. თქვენ უკვე იცით ოთხი და სამოცდარვა. თუ ამ ორიანს ჩავუმატებთ, ყველაფერი ეს შეადგენს ოთხი-ორი-ექვსი-რვა. ამის გაკეთება სხვანაირად შეიძლება — გაყოფისა და გამრავლების საშუალებით. ეს არც ისე ძნელია. ჩვენ იმავე შედეგს მივიღებთ. დაიმახსოვრეთ, — სთქვა დისტანციის უფროსმა, რომ ორჯერ ორმოცდარვი არის ოთხმოცდარვი. წელიწადში თორმეტი თვეა. ეხლა, გამოაკელით ოთხმოცდარვს თორმეტი, დარჩება სამოცდარვი. ამ რიცხვს კიდევ გამოაკელით თორმეტი, დარჩება სამოცი. ამრიგად, ჩვენ გარკვეული ექვსიანი გვაქვს, ნულს კი წავშლით. ეხლა უკვე გვაქვს ორმოცდარვი, სამოცდარვა, ოთხი. წავშალოთ ნული, წავშალოთ აგრეთვე ბოლოდან ოთხიანი და ჩვენ სრულიად დამშვიდებით მივიღებთ ოთხიათას ორას სამოცდარვას, ანუ იმ ორთქლმავლის ნომერს, რომელიც უნდა გაემგზავროს ლაბეს ლისის დეპოში.

როგორც ვამბობდი ამის გაკეთება გაყოფის საშუალებითაც და-

¹ ქული მოიხადეთ. (ჯე რ მ.)

ლიან ადვილია. საბაჟო ტარიფის მიხედვით გამოვრიცხავთ კოეფიციენტს... ცუდად ხომ არა ხართ, პანე ფელდფებელი? თუ გნებავთ, მე დაეიწყებ, მაგალითად, „General de charge! Fertig! Hoch an! Feuer!“¹ ეშმაკმა დალახვროს! პანე კაპიტანს არ უნდა გამოვეგზავნეთ მზეზე. გავიქცევი საკაცეს მოვიტან.

მოვიდა ექიმი და დაადასტურა, რომ საქმე გვაქვს მზის დაკვრის ანდა ტვინის გარსის ანთების შემთხვევასთანა.

როდესაც ფელდფებელი გონს მოვიდა, მის გვერდით იდგა შვეიცი და ლაპარაკობდა:

ჰოდა, რომ დავასრულოთ.. თქვენ გგონიათ, პანე ფელდფებელი, იმ შემანქანებ დაიმახსოვრა ნომერი? სულ აურია და ყველაფერი სამზე გადაამრავლა, რადგან სამება გაახსენდა.

ორთქლმავალი ვერ იბოვია. ასე, ღღემღე დგას ორთქლმავალი მეთექვსმეტე ლიანდაგზე.

ფელდფებელმა ისევ დახუჭა თვალები. როცა შვეიცი ვაგონში დაბრუნდა და ჰკითხეს სად დაიკარგე აქამდისო, უპასუხა: „ვინც სხვას ასწავლის „ნაბიჯით იარ!“ მას თვითონ ასჯერ უხდება „თოფი — მხარზე“—ს გაკეთება.

ვაგონის უკანა კუთხეში იდგა აკანკალებული ბალოუნი. როცა ქათმის ნაწილი მოიხარშა, მან შვეიკის პორციის ნახევარი შესანსლა.

რამდენიმე ხნით ადრე, ვიდრე ეშელონი სადგურიდან გავიდოდა მას შერეული სამხედრო მატარებელი დაეწია, რომელიც სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგებოდა. ესენი ან ის ჯარისკაცები იყვნენ, რომელთაც დროზე მოსვლა დაავიანდათ. ანდა ისინი, ჰოსპიტალიდან რომ გამოვიდნენ და ეხლა უნდოდათ თავის ნაწილებს დასწეოდნენ. მათ შორის იყვნენ ყველა ჯურის საექვო პიროვნებები, რომლებიც მივლინებიდან ან სატუსალოდან ბრუნდებოდნენ.

ამ მატარებლიდან ჩამოვიდა ნებიოგანწესებული მარეკიც, რომელიც გაასამართლეს ისე, როგორც მეამბოხე, მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხისადგილების გაწმენდა არ მოისურვა. მიუხედავად ამისა, საღივიზიო სასამართლომ ის მაინც გაათავისუფლა. მისი საქმის ძიება შეაჩერეს და ნებიოგანწესებული მარეკი გამოცხადდა საშტაბო ვაგონში, ბატალიონის მეთაურთან წარსადგენად. იგი ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდათ და ამიტომ ჯერ არსად არ ირიცხებოდა.

როცა კაპიტანმა საგნერმა მარეკი დაინახა და მისგან აიღო ქალაქი საიღუმლო აღნიშვნით „Politisch verdächtig; vorsicht“²,

¹ დაუშინეთ! მოემზადეთ! თოფი მოიმარჯვეთ! (გ ე რ მ.).

² პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო! ვერიდეთ! (გ ე რ მ.).

იგოხო, რომ ძსგავსი სიამოვნება არასოდეს არ გახუცდია. მისღა საბედნიეროდ, გაახსენდა „ფეხისადგილების გენერალი“, რომელიც ასე დაჟინებით ურჩევდა მას ბატალიონის პირადი შემადგენლობა ისტორიოგრაფით შეევესო.

— ნებითგანწესებულო! თქვენ ყოვლად დაუღვევარი ადამიანი ხართ, — სთქვა კაპიტანმა. — ნებითგანწესებულთა სასწავლო ჯგუფში თქვენი ატანა ნამდვილი წამება იყო; იმის მაგივრად, რომ თავი გამოგეჩინათ და თქვენი განათლების შესაფერისი წოდება მიგეღოთ, ციხიდან ციხეში მოგზაურობდით. ნებითგანწესებულო თქვენ არცხვენთ პოლკს, მაგრამ შეგიძლიათ გამოასწოროთ თქვენი ცოდვები, თუ მომავალში კეთილსინდისიერად შეასრულებთ თქვენს მოვალეობას და სამაგალითო ჯარისკაცი გახდებით! თქვენი თავი მთლიანად შესწირეთ ბატალიონის საქმეს! კიდევ გამოგცდით! ინტელიგენტი ახალგაზრდა ბრძანდებით, ნამდვილად კარგად გიჭრით ჯალამი, ენაც კარგი გაქეთ. აი, რა უნდა გითხრათ. ფრონტზე ყველა ბატალიონს სჭირდება ადამიანი, რომელიც აღწერს იმ სამხედრო ამბების ქრონიკას, რაც უშუალოდ ბატალიონს ან მის საომარ მოქმედებას ეხება. აუცილებელია ყველა ძღვევამოსილი ლაშქრობის აღწერა, რომელშიც მიიღო ბატალიონმა მონაწილეობა, რომლის დროსაც მან წამყვანი და შესამჩნევი როლი შეასრულა და ამით აუცილებელი მასალა შეამზადა არმიის ისტორიისათვის. გესმით ჩემი?

— დიახ, პანე კაპიტან. როგორც გავიგე, თქვენ მხედველობაში გაქეთ სამხედრო ეპიზოდები ყველა ნაწილების ცხოვრებიდან ბატალიონს თავისი ისტორია აქვს. პოლკი, თავისი ბატალიონების ისტორიის საფუძველზე ქმნის პოლკის ისტორიას. პოლკების ისტორიის საფუძველზე კი დგება დივიზიების ისტორია და ა. შ. მე, პანე კაპიტან, მთელ ჩემს უნარს მოვანმარ ამ საქმეს.

ნებითგანწესებულმა მარეკმა გულზე ხელი დაიდო.

— მე გულწრფელი სიყვარულით აღვნიშნავ ხოლმე ჩვენი ბატალიონის დიად თარიღებს. განსაკუთრებით ახლა, როცა გაცხარებული შეტევების ხანაა და როცა დღე-დღეზეა მოსალოდნელი შეუპოვარი ბრძოლები, რომელშიც ჩვენი ბატალიონი მიიღებს მონაწილეობას და დაფარავს ბრძოლის ველს თავის მამაც შვილთა გვამებით. საქმის მნიშვნელობის მთელი შეგნებით ავლნიშნავ ხოლმე მომავალში მომხდარი ამბების მსვლელობას, რათა ჩვენი ბატალიონის ისტორიის ფურცლები აივსოს გამარჯვებებით.

— თქვენ, ნებითგანწესებულო, მივლენილ იქნებით ბატალიონის შტაბში. გავალებთ, აღნიშნოთ ხოლმე ჯილდოზე წარდგენილი

პირები, რა თქმა უნდა, ჩვენი მითითებათა შესაბამისად და ის ლაშქრობანი, რომელშიც გამოვლინდება ბატალიონის განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობა და რკინისებური დისციპლინა. ეს არც ისე იოლი საქმეა, ნებითგანწყობულო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენ საკმაოდ დაკვირვებული ადამიანი ხართ და ჩემგან გარკვეული ღირებულებების მიღების შემდეგ გამოარჩევთ ჩვენს ბატალიონს სხვა ნაწილებს შორის. მე პოლკში ვგზავნი ტელეგრაფს თქვენი დანიშვნის შესახებ ბატალიონის ისტორიოგრაფად. გამოცხადდით მეორე ასეულის უფროს გადამწერ ვანექთან და უთხარით, რომ თავის ვაგონში მოგათავსოთ. იქ საკმაოდ ბევრი ადგილია. გადაეცით ვანექს, რომ ველოდები. ეს გატარებული იქნება ბრძანებით.

მზარეულ-ოკულტიტს ეძინა, ბალოუნს კი უკვე გაეხსნა პორუჩიკის სარდინები და განუწყვეტლივ კანკალებდა, უფროსი გადამწერი ვანეკი კაპიტან საგნერთან წავიდა, ტელეგრაფისტმა ხოლო უნსკიმ კი, სადღაც სადგურში ერთი-ბოთლი ღვინის ნაყენი დაითრია, დალია, და გულაჩუყებულმა სიმღერაც წამოიწყო.

მიწიერ ეშხთა მიხმობდა სიერცე,
სანამ გარს მეკრა ზღვა ნეტარების,
შენ ჩამინერგე გულში იმედი,
და ტრფობის ცეცხლით მენთო თვალები.
როდესაც მივხვდი რაა ცხოვრება
გაიძვერობა, სიფლიდე დიდი,
დავკარგე ტრფობა, გაქრა იმედი,
მაშინ პირველად მე ავქვითინდი.

შემდეგ წამოდგა, უფროსი გადამწერი ვანეკის მაგიდასთან მივიდა და ქაღალდის ფურცელზე მსხვილი ასოებით დააწერა: „ამით უმორჩილესად გთხოვთ დამნიშნოთ ბატალიონის მებუჯედ.“

ტელეგრაფისტი ხოლო უნსკი“.

კაპიტან საგნერს უფროს გადამწერ ვანექთან ხანმოკლე საუბარი ჰქონდა. კაპიტანმა მხოლოდ გააფრთხილა იგი, რომ ბატალიონის ისტორიოგრაფი, ნებითგანწყობული მარეკი, დროებით შვეიცარიასთან ერთად იქნებოდა ვაგონში.

— შემძლია გითხრათ მხოლოდ ერთი: მარეკი, ასე მგონია, სა-

ეჭვო პიროვნებაა, politisch verdächtig; ღმერთო ჩემო! ახლა ეს არავის გააკვირვებს. ვისზე არ ამბობენ ამას! მაგრამ, ეს მხოლოდ ვარაუდია. ხომ გესმით ჩემი? ამრიგად, გაფრთხილებთ, რომ თუ რაიმე ისეთი დაიწყო, მაშინ მას... ხომ გესმით? უმაღლეს ხმას გააქმენდინებთ, რომ რაიმე უსიამოვნება არ შემხედდეს. უბრალოდ უთხარით, რომ ლაყბობას თავი გაანებოს, მორჩა და გათავდა! რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმწამს ჩემთან გამოიქცეთ. მეგობრულად ესაუბრეთ. ასეთი საუბარი გაცილებით უკეთესია. ვიდრე სულელური დასმენა. ერთი სიტყვით, არაფრის მოსმენა არა მსურს იმიტომ, რომ... ხომ გესმით? ასეთი რამეები ჩრდილს აყენებს მთელ ბატალიონს.

როცა ვანეკი ვაგონში დაბრუნდა, ნებითგანწყობილი მარეკი კუთხეში გაიხმო და უთხრა: — გამიგონეთ, თქვენ საეჭვო პიროვნებად ხართ მიჩნეული, არა? თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს! ოღონდ ეცადეთ ზედმეტი არ ილაპარაკოთ ტელეგრაფისტ ხუდოუნსკის თანდასწრებით.

ამის თქმა და ხუდოუნსკის გამოჩენა ერთი იყო. იგი მიუახლოვდა უფროს გადაამწერს, გულში ჩაეკრა და სლუკუნის მორთო. მისი აზრით, ეს ნამთვრალევი ლულულული სიმღერას ნიშნავდა:

მიტოვებული ყველასგან ობლად,
უიმედო და სევდით აღვსილი,
ცხარე ცრემლების წვიმას ვაწვიმებ,
და ჩემი სატრფოს ნაზ მკერდზე ესტერი.
თითქოს ზეციურ გამოჯანუბებით
თვალებს მანათებს მე მტრელი ჩემი,
და მარჯნისფერი ბაგე ჩურჩულებს
სამარადისოდ შენთან დავრჩები.

— ჩვენ სამუდამოდ ერთად ვართ, — ღრიალებდა ხოდოუნსკი, — ყველაფერს, რასაც ტელეფონში გავიგონებ, აქვე მოგიყვებით. მიმიფურთხებია ფიცისათვის!

ბალონი კუთხეში იდგა, თავზარდაცემული პირჯვარს იწერდა და ლოცულობდა:

— დედაო ღვთისაჲ, ისმინე ჩემი ვედრება! წყალობის თვალით გადმომხედე! მანუგეშე, ჩემო მწყალობელო! დამეხმარე მე საცოდავს! მოგმართავ მხურვალე რწმენით, დიდი იმედითა და მგზნებარე სიყვარულით. გვედრები, თანამიგრძნო მწუხარების ეამს! ზეციერო დედოფალო! გამოემეჭომაგე, რათა ღვთის წყალობით სიცოცხლის ბოლომდე შენი მფარველობის ქვეშ ვიმყოფებოდე!

კურთხეული ქალწული მარიამი მართლაც მფარველობდა მას

მიტომ, რომ ხეითგახსყესებულმა თავისი ბევრის ძხანველი ზურგ-ჩანთიდან ამოიღო რამდენიმე ცალი სარდინის კოლოფი და ყველას სათითაოდ დაურია.

ბალოუნმა გაბედულად გახსნა პორუჩიკი ლუკაშის ჩემოდანი და ჩაღო შიგ ციდან ჩამოვარდნილი სარდინები.

მაგრამ, როცა გახსნეს კოლოფები და მადიანად დაიწყეს ჭამა, ბალოუნმა ვეღარ გაუძლო ცთუნებას. მან ჯერ ჩემოდანი გახსნა, მერე კოლოფი და ხარბად გადაყლაპა სარდინები.

აქ კი კურთხეულმა და ნეტარმა ქალწულმა მარიამმა პირი იბრუნა მისგან. ის-ის იყო თუნუქიდან ქონი შესვა, რომ ვაგონთან ბატალიონის ორდინარეცი მატუშიცი მოვარდა და იღრიალა:

— ბალოუნ, სასწრაფოდ მიუტანე სარდინები შენს ობერ-ლეიტენანტს!

— ეხლა კი გაგასილაქებენ! — თქვა გადამწერმა ვანეკმა. ჯობია ცარიელი ხელით არ მიხვიდე, ყოველ შემთხვევისათვის ხუთი ცალი ცარიელი თუნუქი მაინც წაიღე თან, — ურჩია შვეიკმა.

— რა დააშავეთ, რისთვის გსჯით ასე ღმერთი? — თანაგრძნობით იკითხა ნებითგანწესებულმა. — ეჭვსგარეშეა, წარსულში რაღაც დიდი ცოდვა ჩაიდინეთ. ხომ არ მკრეხელობდით? ან თქვენი სამრევლოს მღვდლისათვის, შემთხვევით, ღუმელის მიღში გაბოლილი შაშხი ხომ არ მოგიაპარავთ? იქნებ მის მარანში შეიპარეთ და ზედამე დალიეთ? ან შეიძლება ბავშვობაში, პატარა ბიჭი რომ იყავით, ბაღში მსხლებსა ჰპარავდით?

ბალოუნმა გულსაკლავად გაასავსავა ხელები. მისი სახე სრულ სასოწარკვეთილებას გამოხატავდა. ამ დევნით დატანჯული ადამიანის გულგამგმირავი სახე თითქოს ლალადებდა: როდის მოვა ჩემი ტანჯვის აღსასრულიო?

— მესმის, — მიხვდა ნებითგანწესებული, თითქოს უბედური ბალოუნის გოდება გაიგონაო. — თქვენ, მეგობარო, კავშირი დაკარგეთ ღმერთთან. ღმერთმა არ ისმინა თქვენი ვედრება, გაესტუმრებინეთ საიჭიოსკენ.

შვეიკმა დაუბატა:

— ბალოუნს აქამდე ვერ გადაუწყვეტია მიანდოს თუ არა თავისი სალდათური ცხოვრება, სალდათური მრწამსი და სალდათური სიკვდილი „უზენაესი ღმერთის დედობრივი გულის“ წყალობას, — ასე იცოდა თქმა ჩემმა ფელდფებელმა, როცა გამოთვრებოდა და ქუჩაში ვინმე ჯარისკაცს დაეტაკებოდა ხოლმე.

ბალოუნი აღრიალდა, რომ ღმერთი აღარ სწამს. რამდენჯერ

ვთხოვე, ხალა თოცა ოთხ თოთმთხეა ძეხოხოდა და კუჭი ძეძეჟო-
შეოდაო.

— ეს გაუმადლოება ომის დროიდან არ დაწყებულა. ეს ჩემი
ძველი ავადმყოფობაა, — აწუწუნდა ბალოუნი. — ამ ავადმყოფობის
გამო ჩემი ცოლი ბავშვებთან ერთად კლოკოტაში სალოცავად და-
დიოდა ხოლმე.

— ვიცი, — თავი დაიქნია შვეიკმა, — კლოკოტა ტაბორის მახ-
ლობლად იმყოფება. იქ მათ ყალბი ბრილიანტებით შემკული, ქალ-
წული მარიამის მდიდრული ხატი აქვთ... ერთხელ მისი გაქურდვა
მოინდომა ერთმა ეკლესიის დარაჯმა. იგი წარმოშობით სლოვაკიის
რომელიღაც კუთხიდან იყო. ძალიან ღვთისმორწმუნე კაცი გახლ-
დათ. ჩამოვიდა კლოკოტაში და იფიქრა, რომ საქმე უკეთესად წა-
უვიდოდა თუ ჯერ ძველი ცოდვებისაგან განიწმინდებოდა. აღსა-
რების დროს ისიც მოინანია, რომ ხვალ ქალწული მარიამის ხატის
მოპარვას აპირებს. უკან მოხედვა და სამასჯერ „მამაო ჩვენო“-ს
წაიკითხვაც ვერ მოასწრო, რომ პან მოძღვარმა, რომ არ გაქცეული-
ყო საკანონო დაადო და ეკლესიის დარაჯებმა საყანდარმო უბანში
წაიყვანეს.

მზარეულმა — ოკულტისტმა გააბა კამათი ტელეგრაფისტ ხო-
დონსკისთან იმის თაობაზე, არის თუ არა ეს აღსარების საიდუმლო-
ების აღმშოფოთებელი დარღვევა და ღირდა თუ არა ლაპარაკი
ყალბი ბრილიანტების გამო? ბოლოს მან დაუმტკიცა ხოდონსკის,
რომ ეს არის სასჯელი ანუ წინასწარ განსაზღვრული ბედისწერა
შორეულ უხილავ წარსულში, როდესაც ეკლესიის უბედური, სლო-
ვაკელი დარაჯი, შესაძლებელია რომელიღაც სხვა პლანეტაზე თავ-
ფეხიან არსებას წარმოადგენდა. ასევე, დიდიხნის წინ, როცა ეს
კლოკოტელი მოძღვარი ჯერ კიდევ იქედნეს ან რაღაც სხვა ჩანთო-
სანს, ამჟამად უკვე გადაშენებულ ძუძუმწოვართა სახეობას წარმო-
ადგენდა, განგების მიხედვით განსაზღვრული იყო, რომ მას უნდო-
და დაერღვია აღსარების საიდუმლოება; თუმცა იურიდიული
თვალსაზრისით საეკლესიო სამართლის მიხედვით განსაზღვრული
იყო, რომ მას უნდა დაერღვია აღსარების საიდუმლოება; თუმცა
იურიდიული თვალსაზრისით საეკლესიო სამართლის მიხედვით
ცოდვების მონანიება შეიძლება სამონასტრო ქონებაზე ხელყოფის
შემთხვევაშიც კი.

ყოველივე ამის შემდეგ შვეიკმა ბრძნულად შენიშნა:

— რალა თქმა უნდა! არავინ არ იცის რას იზამს მილიონი წლე-
ბის შემდეგ და ამიტომ არაფერზე არ უნდა სთქვას უარი. როცა
კარლინიში სათადარიგო, დამატებით რაზმში ვმსახურობდით, ობერ-

ლეიტენანტი კვასნიჩიკი სწავლების დროს ყოველთვის ამბობდა ხოლმე:

ნუ ფიქრობთ იმას, თქვე ზარმაცო ძროხებო, თქვე მადიარელო ტახებო, რომ თქვენი სამხედრო სამსახური ამ ქვეყნად დამთავრდება. ჩვენ სიკვდილის შემდეგაც შეევხვებით ერთმანეთს და ისეთ სალხინებელს გაგიმზადებთ, რომ სულ გადაირევით, თქვე ლორის ნაშიერნო, თქვენა!

ამ დროს კი სასომხნდილი ბალოუნი, დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ მასზე ლაპარაკობენ, განაგრძობდა თავის საჯარო აღსარებას: „კლოკოტამაც არ უშველა ჩემს გაუმაძღრობას. დაბრუნდებოდა ჩემი ცოლი ბავშვებთან ერთად სალოცავიდან, დაიწყებდა ქათმების დათვლას; ერთი ან ორი ყოველთვის აკლდა. ვერ ვითმენდი. ვიცოდი რომ ქათმები საჭიროა ოჯახში. მაგრამ, როგორც კი ეზოში გავიდოდი, იმწამს უფსკრულს ვიგრძნობდი მუცელში. ერთი საათის შემდეგ მე კარგად ვხდებოდი, მაგრამ ქათამიც ქრებოდა. ერთხელ, როცა ჩვენები კლოკოტაში იყვნენ წასულეები სალოცავად, რათა მათ მამიკოს ისევ არ შეესანსლა რამე და ოჯახისათვის ზარალი არ მიეყენებინა, ეზოში გამოვედი, გავიარ-გამოვიარე; უცებ ინდაურს მოვკარი თვალი. ეს შემთხვევა კინალამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. ინდაურის ფეხი ყელში გამეჩხირა და რომ პატარა ბიჭი, ჩემი მოწაფე არა, რომელიც იმ დროს წისქვილში ჩემთან ერთად იყო და ძვალი ამომაძრო, — მაშინ ვერც თქვენთან ვიჯდებოდი და ვერც ამ მსოფლიო ომს მოვესწრებოდი. ის ჩემი მოწაფე ისეთი მკვირცხლი, ბუთხუზა ბიჭი იყო, ისეთი მკვირივი, ჩასუქებული და ფუნჩულა...

შვეიკი ბალოუნს მიუახლოვდა:

— მანახე შენი ენა!

ბალოუნმა ენა გამოყო, შვეიკმა კი დამსწრე საზოგადოებას მიმართა: — ასეც ვიცოდი, თავისი მოწაფე შეუსანსლავს! გამოტყდი ის ბიჭი მაშინ შეხეთქე, როცა თქვენები ხელმეორედ წავიდნენ კლოკოტაში, არა? ხომ მართალს ვამბობ?

სასოწარკვეთილმა ბალოუნმა გულ-ხელი დაიკრიფა, თითქოს სალოცავად გაემზადაო და წამოიყვირა: — ძმანო, თავი გამანებეთ! როგორი საქმეა ამის მოსმენა საკუთარი ამხანაგებისაგან!

— ჩვენ ამისთვის არ გძრახავთ, — სთქვა ნებიზგანწესებულმა, პირიქით. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ თქვენგან კარგი ჯარისკაცი დადგება. ნაპოლეონის ომების დროს, როცა ფრანგებმა ალყა შემოარტყეს მადრიდს, შიმშილის გამო მტერს რომ არ დანებებოდნენ და ციხე-სიმაგრე არ დაეკარგათ, ქალაქის კომენდანტმა, ეროვ-

ნებით ესპანელმა, დაუმარილებლად შექამა თავისი ადიუტანტი. აშკარაა, ეს მისი მხრიდან მსხვერპლი იყო, რადგან დამარილებული ადიუტანტი, რა თქმა უნდა, უფრო გემრიელი იქნებოდა. პანე უფროსო გადამწერო, რა გვარია ჩვენი ბატალიონის ადიუტანტი? ციგლერი? სწორედ ძალიან გამხდარია. ასეთი კაცით ერთ სამარშო ასეულსაც კი ვერ დააპურებ.

— ერთი უყურეთ, — სთქვა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა, — ბალოუნს კრიალოსანი უქირავს ხელში.

მართლაც, ბალოუნი უდიდესი მწუხარებისაგან თავის ხსნას ვენის ფირმის მორიც-ლევენშტაინის წარმოების ღია მწვანე ფერის მძივებში ეძიებდა.

— ესეც კლოკოტიდანაა ჩამოტანილი, — სევდიანად წაილაპარაკა ბალოუნმა. ამათ მოტანამდე ორი ბატი ატირდა. აი, მესმის ხორცი! სულ რბილი იყო!

მალე მთელ ეშელონზე მოვიდა ბრძანება — თხუთმეტი წუთის შემდეგ გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ ამას არავინ დაუჯერა, როცა მატარებელი დაიძრა, თვრამეტი კაცი აკლდა და მათ შორის სამარშო ასეულის ოცეულის მეთაური — ნასაკლო.

მატარებელი უკვე დიდხნის გასული იყო იშტარჩიდან, ოცეულის მეთაური კი სადგურის უკან მდებარე აკაციის ქალაში, ხევში ჩასულიყო და ვიღაც მეძავს ევაჭრებოდა. ქალი ხუთ კრონას სთხოვდა, ის კი უკვე შესრულებული სამსახურისათვის მას ჯილდოდ ან ერთ კრონას, ანდა რამდენიმე სილაქს სთავაზობდა.

ბოლოს მან კახპას სილაქებით გაუსწორა ანგარიში და თან ისეთი ძალით, რომ მის კივილზე სადგურიდან ხალხი მოცვივდა.



თაზი III

ხატვანიდან პალიციის საზღვრამდე

მთელ გზაზე, ლაბორცამდე *, ბატალიონში არ შემწყდარა უცნაური მითქმა-მოთქმა, რომელსაც ხანდახან სახელმწიფო ლალატის სუნიც დაჰკრავდა ხოლმე. ეს ის ბატალიონი გახლდათ, ფეხით რომ უნდა ევლო გამარჯვების ველამდე, რათა იქ სამხედრო დიდება მოეპოვებინა. ასეთივე განწყობა იყო იმ ვაგონშიც, რომლითაც ნებითგანწყესებულები და შვეიკი მგზავრობდნენ და ყველგან, მხოლოდ შედარებით უფრო მცირე მასშტაბით. უკმაყოფილება საშტაბო ვაგონშიც კი სუფევდა, რადგან ფიუზეშაბონში * „პოლკიდან“ ბრძანება მოსულიყო, ოფიცრებისათვის ღვინის ულუფა ლიტრის მერვედ ნაწილამდე შეემცირებინათ; ბუნებრივია, არც რიგით შემადგენლობას დაივიწყებდნენ: მათი ულუფა — საგო ათი გრამით შეამცირეს. ეს ამბავი განსაკუთრებული საიდუმლოებით იყო მოცული იმის გამოც, რომ სამხედრო სამსახურში ჯერ არავის არ ენახა საგო თვალთ.

მიუხედავად ამისა, ბრძანება მაინც უნდა გადაეცათ უფროსი. გადამწერი ბაუმტანცელისათვის. ბაუმტანცელი სასტიკად იყო შე-

ურაცხყოფილი და თავს გაძარცვეულად გრძნობდა, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — საგო ამჟამად დეფიციტური პროდუქტია და ერთ კილოში იგი სულ ცოტა რვა კრონას მინც აიღებდა.

ფიუზეშაბონში აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ასეულში დიკარგა სალაშქრო სამზარეულო. ეს სწორედ ის სადგური იყო, სადაც უნდა მოეხარშათ გულიაში კარტოფილით, რომელზედაც ასეთ იმედებს ამყარებდა „ფეხისადგილების გენერალი“.

გამოძიების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ეს ბედუკუღმართი სალაშქრო სამზარეულო, საერთოდ, არ გამოსულა ბრუკიდან და ალბათ აქამდის დგას იქ № 186 ფარდულის უკან.

როგორც შემდგომ გამოირკვა, ამ სალაშქრო სამზარეულოს პერსონალი წინა დღეს საპატიმროში ჩაუსვამთ ქალაქში დებოშის ატეხისათვის; და როგორდაც მოუხერხებიათ იქ დარჩენა მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე სალაშქრო ასეულმა უნგრეთი არ მოიარა.

სამზარეულოს გარეშე დარჩენილი სამარშო ასეული საზრდოს მისაღებად მეორე სალაშქრო სამზარეულოს მიამაგრეს, მაგრამ უჩხუბრად ამ ამბავს არ ჩაუვლია. კარტოფილის საწმენდად გამოყოფილ ორივე ასეულის ჯარისკაცებს შორის სადავო საკითხები წამოიჭრა. ორივე მხარე აცხადებდა: არც ისეთი სულელები ვართ, რომ სხვებისათვის ვიმუშაოთ. ამ დავის დროს გამოირკვა, რომ გულიაშისა და კარტოფილის გამო შექმნილი მთელი ეს ისტორია, მხოლოდ მოხერხებული მანევრი იყო. ჯარისკაცებს ამზადებდნენ მომენტისათვის, თუ ვინცობაა მოწინავე ხაზზე გულიაშის ხარშვის დროს მოვიდოდა ბრძანება Alles zurück! გულიაშს გადაღვრიდნენ; და ჯარისკაცები კი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებოდნენ.

მაგრამ ამ მომზადებას ტრაგიკული შედეგები არ მოჰყოლია, ამჟამად იგი მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. საქმე რომ გულიაშის განაწილებაზე მიდგა, მოულოდნელად გაისმა ბრძანება: „ვაგონებში“ და ეშელონმაც მიშკოლცისაკენ * განაგრძო გზა. მაგრამ გულიაში არც მიშკოლცში დარიგებულა; რადგან მეორე ხაზზე რუსის ტყვეებით სავსე მატარებელი იდგა და ჯარისკაცები ვაგონებიდან აღარ გაუშვიათ. სამაგიეროდ, მათ საშუალება მიეცათ ეოცნებათ გულიაშზე, რომელსაც ჰალიციაში დაარიგებდნენ და რომელიც ამ დროისათვის ისე გაფუჭდებოდა, რომ მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე გადაღვრიდნენ.

გულიაში გაგზავნეს ტისალიოკში, ზომბორში * და როცა ჯარისკაცებმა სულ დაკარგეს მისი მიღების იმედი, ამ დროს მატარებელი გაჩერდა ახალ ადგილას, შიატორის * მახლობლად. აქ ხელახ-

ლა გააჩაღეს კოტონი, შედგეს ქვაბები, გააცხელეს გულიაში და ბოლოს და ბოლოს დაარიგეს.

სადგური ზომაზე მეტად იყო გადატვირთული. ჯერ უნდა გაემგზავრებინათ ორი მატარებელი სამხედრო საქურველით, შემდეგ არტილერიის ორი ეშელონი და მატარებელი პონტონის რაზმეულით. აქ თავი მოეყარა არმიის ყველა ჯურის ნაწილების მატარებლებს.

სადგურის უკან პონვედ-ჰუსარებს ორი პოლონელი ებრაელი დაეჭირათ. წაერთმიათ მათთვის არცთუ საღებო კალათა და ხასიათზე მოსულნი ფულის გადახდის ნაცვლად სახეში სცემდნენ. როგორც ჩანს, ამას ისინი უფროსის ნებართვით აკეთებდნენ, რადგან შორიახლოს მდგომი როტმისტრი კმაყოფილი ღიმილით შესცქეროდა ამ სცენას. ამ დროს საწყობის უკან დანარჩენი პონვედი-ჰუსარები გალახულ ებრაელთა შავთვალა ქალიშვილებს კაბის ქვეშ ხელებს უფათურებდნენ.

სადგურში ამ მატარებლის გარდა იდგა კიდევ ერთი, რომელსაც ფრონტზე მიჰქონდა თვითმფრინავები. გვერდით, მეორე ხაზზე უკან გასამგზავრებლად გამზადებული იყო მეორე მატარებელი, დატვირთული მწყობრიდან გამოსული იარაღითა და თვითმფრინავებით. აქ გროვად ეყარა ჩამოგდებული თვითმფრინავები და დაშლილი გაუბიკები. ყველაფერი ახალი და გამძლე ფრონტზე იგზავნებოდა, ძველი დიდების ნაშთები კი უბრუნდებოდა ზურგს — შესაკეთებლად და გასაახლებლად.

პოდპორუჩიკი დუბი არწმუნებდა დამტკრეული იარაღებისა და თვითმფრინავების გარშემო შეგროვილ ჯარისკაცებს, რომ ეს სამხედრო ნაალაფევეა; უცებ მან შეამჩნია, რომ შორიახლოს, მეორე ჯგუფის ცენტრში დგას შვეიკი და რაღაცას უხსნის მსმენელებს. პოდპორუჩიკი ახლოს მივიდა მათთან და შვეიკის დამაჯერებელი ლაპარაკი შემოესმა:

— „რაც გინდათ იფიქრეთ და ეს მაინც დავლაა. პირველი შეხედვით იგი მართლაც დიდ ექვს იწვევს. განსაკუთრებით, როცა ზარბაზნის ზედადგარის წარწერას კითხულობთ: „k. u. k. Artilleriedivision“¹ როგორც ჩანს, საქმე შემდეგში იყო: იარაღი ხელში ჩაუვარდათ რუსებს, ხოლო ჩვენ დაგეჰქირდა მისი გამოხსნა; ასეთ დავლას კი გაცილებით მეტი ფასი აქვს, რადგან... რადგან, — აღფრთოვანებით წამოიყვირა შვეიკმა პოდპორუჩიკი დუბის დანახვაზე, — მტრისათვის არაფრის დატოვება არ შეიძლება. ეს იმას ჰგავს

¹ სამეფო საიმპერატორო არტილერიის დივიზია (გერმ.).

პერემიშლთან * რომ მოხდა, ან იმ ჯარისკაცს რომ დაემართა, რომელსაც ბრძოლის დროს მოწინააღმდეგემ ხელიდან სალაშქრო მათარა გამოსტაცა. ეს ჯერ კიდევ ნაპოლეონის ბრძოლების დროს მოხდა. ღამით ჯარისკაცი წავიდა მოწინააღმდეგის ბანაკში და უკან დაიბრუნა თავისი მათარა; თანაც მოგებაში დარჩა, რადგან დამღამობით მოწინააღმდეგეებთან არაყს არიგებდნენ ხოლმე.

სიბრაზისაგან ხმაჩახლეჩილმა პოდპორუჩიკმა დუბმა ესლა ამოღერდა: თვალთ არ დამენახთო! გამეცალეთ აქედან!

— მესმის, პანე ლეიტენანტ! — სთქვა შვეიკმა და სხვა ვაგონებისაკენ გაემართა, თან ისეთი რამ დაამატა თავის სიტყვას, პოდპორუჩიკ დუბს რომ გაეგონა სიბრაზისაგან გონს დაჰკარგავდა; სინამდვილეში ეს სრულიად უწყინარი ბიბლიური თქმა იყო:

— ხედვით ხედვიდნენ და არა იხილონ.

პოდპორუჩიკი დუბი იმდენად სულელი იყო, რომ შვეიკის წასვლის შემდეგ ჯარისკაცების ყურადღება ისევ ჩამოგდებულ ავსტრიულ თვითმფრინავზე გადაიტანა, რომლის ლიონის ბორბალზე მკვეთრად ჩანდა წარწერა: „Wiener Neustadt“¹.

— ეს რუსული თვითმფრინავი ლვოვთან ჩამოვადგეთ, — ამეორებდა იგი ჯიუტად. ამ დროს გამოიარა პორუჩიკმა ლუკაშმა და გაიგონა რა ეს სიტყვები, მიუახლოვდა თავმოყრილ ხალხს და ყველას გასაგონად დაუმატა:

— „ამასთანავე დაიწვა ორივე რუსი მფრინავი“.

და უსიტყვოდ განაგრძო გზა; გუნებაში კი ლანძღავდა პოდპორუჩიკ დუბს.

როცა ლუკაშმა რამდენიმე ვაგონი მოიტოვა უკან; შვეიკი დაინახა და შეეცადა თავი აერიდებია, რადგან სახეზე შეატყო მას, რომ სათქმელი ბევრი დაეგროვებინა და ერთი სული ჰქონდა როდის უამბობდა ყველაფერს თავის უფროსს. შვეიკი პირდაპირ მისკენ გაემართა.

— Ich melde gehorsam, kompanienordonanz² შვეიკი ითხოვს მისცენ შემდგომი განკარგულებანი. — მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ მე თქვენ საშტაბო ვაგონში გეძებდით...

— ყური მიგდეთ, შვეიკ, — გაბრაზებით ეცა ქვეშევრდომს პორუჩიკი ლუკაში, — იცით თუ არა თქვენ ვინა ხართ? ან შეიძლება დაგავიწყდათ, რა გიწოდეთ?

¹ ვინერ-ნოიშტატი (ქალაქი ავსტრიაში).

² მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ასეულის ორდინარეცი... (გერმ.).

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ ამის დავიწყება არ შეიძლება. მე ვილაც ნებითგანწყობილი რკინისებური ხომ არა ვარ! — ეს ჯერ კიდევ ომამდე მოხდა. ჩვენ მაშინ კარლინის ყაზარმებში ვიმყოფებოდით. ჩვენი პოლკოვნიკი იყო ვინ-მე ფლიდლერი ფონ ბუმერანგი, თუ რაღაც სხვა „რანგი“.

პორუჩიკ ლუკაშს „რანგის“ ხსენებაზე უნებლიედ ჩაეცინა, შვეიცი კი განაგრძობდა მოყოლას:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ ჩვენი პოლკოვნიკი თქვენზე ორჯერ დაბალი იყო და თავად ლობკოვიცივით ბაკებს ატარებდა. ერთი სიტყვით, მაიმუნს გავდა. გაბრაზების დროს ისე შეხტებოდა ხოლმე, რომ საკუთარ სიმაღლეს აჭარბებდა. ჩვენ მას „რეზინის ბაბუა“ შევარქვით. ეს მოხდა ერთ-ერთი პირველი მაისის წინა დღეებში. ჩვენ სრულ სამხედრო მზადყოფნაში ვიმყოფებოდით. წინაღობით, საღამოს ეზოში მან მოგვმართა დიდი სიტყვით და გვითხრა, რომ ხვალ ჩვენ ყველანი დავრჩებით ყაზარმაში და არსად არ გავალთ, რათა საჭიროების შემთხვევაში უზენაესი ბრძანების შესატყვისად მთელი სოციალისტური ბანდა დავხვრიტოთ. ის, ვინც დაიგვიანებს და დღეს ყაზარმაში არ დაბრუნდება, ანდა მხოლოდ მეორე დღეს მოვა — მოღალატედ გამოცხადდება, რადგან მთვრალი ვერ შესძლებს კაცის მოკვლას და კიდევ, ვინ იცის, ჰაერში დაიწყებს სროლას. მოხალისე რკინისებური მოვიდა ყაზარმაში და თქვა: — „რეზინის ბაბუამ მართლაც და კარგად მოიფიქრა. ეს ხომ ნამდვილად ასეა. თუ ხვალ ყაზარმაში არავის შეუშვებენ. მაშინ აჯობებს სულ არ დაბრუნდეს კაცი“. — მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ მან შეასრულა თავისი სიტყვა ისე, როგორც ახლა მე თქვენ მხედავთ.

ხოლო პოლკოვნიკი ფლიდლერი კი, ღმერთმა აცხონოს, დიდი მხეცი იყო. მთელი მეორე დღის განმავლობაში დაძრწოდა პრალაში და იკვლევდა, ხომ არავინ გაბედა ჩვენი პოლკის ხალხთაგან ყაზარმიდან გაპარვა. მართლაც, ბედმა გაუღიმა, პრაშნოი ბრანის მახლობლად წააწყდა რკინისებურს და ეცა: — „მე შენ გიჩვენებ სეირს. მე შენ გასწაველი ჰქუას, დედას გიტყობ!“ საშინელი სიტყვებით გალანძლა და ყაზარმაში წაათრია. გზაში კიდევ ბევრი ილაქლაქა ათასგვარი საზიზღრობა. მთელი გზა იმუქრებოდა და თან წამდაუწყმ გვარს ეკითხებოდა: „რკინისებურო, შენ წააქე. მე მიხარია. რომ შენ დაგიჰირა, მე შენ გიშვენებ „den ersten Mai!“ რკინისებურო, რკინისებურო, შენ ეხლა მე მეკუთვნი, მე შენ დაკეტვა,

¹ პირველი მაისს (გერმ.).

მაგრად დაკეტვა! რკინისებური მაინც არათერს კარგავდა, ამიტომ როცა პორეჩიზე * გაიარეს როზვარჯილის * ახლოს ჭიშკარში გაძვრა, გასასვლელ ეზოში მიიშალა და „რეზინის ბაბუა“ თავისი დაქვრით ვერ ასიამოვნა. პოლკოვნიკი ისე განრისხდა, რომ სიბრაზისაგან ისევ დაავიწყდა დამნაშავეის გვარი. იგი დაბრუნდა ყაზარმაში და მოჰყვა ჭერამდე ხტუნვას (ჭერი დაბალი იყო). მორიგეს ძალიან უყვირდა, რატომ ლაპარაკობდა „ბაბუა“ დამტკრეული ჩეხურით. ბაბუა კი გაჰკიოდა: „სპილენძისებური დაკეტვა“, „სპილენძისებური არ დაკეტვა!“ „ტყვისებური დაკეტვა!“ „კალისებური დაკეტვა!“ აქედან დაიწყო „ბაბუას“ ტანჯვა-წამება. იგი ყოველდღე კითხულობდა დაიპირეს თუ არა სპილენძისებური, ტყვისებური და კალისებური. მან ბრძანა მთელი პოლკი დაერაზმათ, მაგრამ რკინისებური, რომლის ისტორია უკვე ყველამ იცოდა, ჰოსპიტალში გადაეყვანათ, — იგი პროფესიით კბილის ტექნიკი იყო. ამით თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ჩვენი პოლკის ერთ-ერთ ჯარისკაცს წილად ხვდა ბედნიერება „ბუცეკების“ სამიკიტნოში მოეკლა ღრავუნი, რომელიც მის სატრფოს გაეარშიყა.

ჩვენ კარეში დაგვრანხმეს. ყველანი უნდა გამოსულიყვნენ, ავადმყოფებიც კი; ვისაც ფეხზე დგომა არ შეეძლო, ორივე მხრიდან ხელჩაკიდებული მოყავდათ. რაღა გაეწყობოდა, რკინისებური იძულებული გახდა გამოსულიყო ეზოში. წაგვიკითხეს პოლკის ბრძანება, რაც დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ დრაგუნებიც ჯარისკაცებია. და რომ მათი მოკვლა აკრძალულია, რადგან ისინი ჩვენი თანამებრძოლები არიან. ბრძანებას ვილაც ნებითგანწყესებული თარგმნიდა, ხოლო პოლკოვნიკი ვეფხვივით აბრიალებდა თვლებს და აქეთ-იქით იუჟრებოდა. მან ჯერ ფრონტის წინ ჩაიარა, შემდეგ კარეს მოუარა და უცებ რკინისებური იცნო.—პანე ობერ-ლეიტენანტ, მას ერთი საყენი სიმაღლე ჰქონდა და ამიტომ ძალიან სასაცილო იყო, როცა იგი პოლკოვნიკმა წრის შუაგულში გამოათრია. ნებითგანწყესებული წამსვე ჩაჩუმდა, ჩვენი პოლკოვნიკი კი მოჰყვა ხტუნვას რკინისებურის ირგვლივ, როგორც ძალი ძვლის დანახვაზე, თან გაჰკიოდა: „შენ მე არ წახვალ, შენ მე არსად არ წახვალ, არ გაქცევა. შენ ისევ თქმა, რომ რკინისებურიო, მე კი სულ ვამბობდი ტყვისებური, სპილენძისებური, Mistvieh ¹, du Schwein ², შე რკინისებურო“. მერე ერთი თვის პატიმრობა მიუსაჯა. ორი კვირის შემდეგ პოლკოვნიკს კბილი ასტკივდა და გაახსენდა, რომ რკინისებური კბილია

¹ შე ბინძურო პირუტყვო (გ ვ რ მ).

² შე ლორო (გ ვ რ მ).



ტექნიკა. განკარგულება გასცა რკინისებური ჰოსპიტალში მოყვანათ და უბრძანა მისთვის კბილუ ამოედო. რკინისებური ნახევარი საათის განმავლობაში აძრობდა მას კბილს, ისე რომ „ბაბუა“ სამჯერ მოაბრუნეს წყლით. სამაგიეროდ, პოლკოვნიკი მოტყდა და რკინისებურს დარჩენილი ორი კვირა აპატია. — აი, პანე ობერ-ლეიტენანტ, რა მოჰყვება იმას, როცა უფროსს თავისი ქვეშევრდომის გვარი დაავიწყდება ხოლმე. ქვეშევრდომს კი უფლება არა აქვს. დაივიწყოს თავისი უფროსის გვარი; ასე გვასწავლიდა ბატონი პოლკოვნიკი. ჩვენ დიდხანს გვემახსოვრება, რომ ფლიდლერი ოდესღაც ჩვენი პოლკოვნიკი იყო. ძალიან ხომ არ შეგაწყინეთ თავი ჩემი ნამშობით, პანე ობერ-ლეიტენანტ?

— იცით, შვეიკ, — უპასუხა მას პორუჩიკმა ლუკაშმა, — რაც უფრო ხშირად გისმენთ, მით უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ თქვენ პატივს არ სცემთ თქვენს უფროსებს. ჯარისკაცმა დიდი ხნის შემდეგაც კი მხოლოდ პატივისცემით უნდა მოიხსენიოს თავისი უფროსები.

პორუჩიკ ლუკაშს ეტყობოდა, რომ ეს საუბარი ართობდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — შეა-

წყვეტინა მას ლაპარაკი შევიკმა, თითქოს თავის გამართლება სურდაო, — პოლკოვნიკი ფლიდლერი ხომ დიდი ხანია გარდაიცვალა, მაგრამ თუ თქვენ გსურთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე მასზე მხოლოდ კარგს ვილაპარაკებ. პანე ლეიტენანტ, იგი ჯარისკაცებისათვის ხორცშესხმული ანგელოზი გახლდათ. იგი იმ წმინდა მარტინივით კეთილი იყო, მშიერსა და მწყურვალთ ბატებს რომ ურიგებდა. * თავის ოფიცრის სადილს პირველ შემხვედრ ჯარისკაცს უყოფდა, — ხოლო პავიდლოიანი კნედლიკები ყელში რომ ამოგვივიდა, ბრძანება გასცა ჩვენთვის სადილად მოემზადებინათ ღორის ხორცი მოშუშული კარტოფილით. მაგრამ თავისი ნამდვილი სიკეთე მან მანევრების დროს გამოამჟღავნა. როდესაც ქვემო კარლოვიცში ჩავედით, ბრძანება გასცა ქვემო კარლოვიცის არყის სახდელ ქარხანაში მის ხარჯზე ჩვენთვის მთელი აბაყი დაეღვეინებინათ. თავის დღეობის და დაბადების დღის აღსანიშნავად პოლკოვნიკი განკარგულებას იძლეოდა მთელი პოლკისათვის მოემზადებინათ კურდღლები სმეტანაში ორცხოზობილას კნედლიკებითურთ. იგი ისეთი კეთილი იყო თავისი ჯარისკაცების მიმართ, პანე ლეიტენანტ, რომ ერთხელ...

პორუჩიკმა ლუკაშმა შევიკს ყურზე ნაზად მოუთათუნა ხელო და მეგობრულად უთხრა:

— გასწი ახლა, შე არამზადავ, მოეშვი იმ კაცს!

— Zum Befehl, Herr Oberleutnant! ¹ შევიკი თავისი ვაგონისაკენ გაემართა. ამ დროს ეშელონის ერთ-ერთ ვაგონთან, რომელშიც ტელეფონის აპარატები და მავთულები იყო ჩაკეტილი, შემდეგი სცენა გათამაშდა.

ყველაფერი რომ ისე ყოფილიყო, როგორც ფრონტს შეეფერება, კაპიტანი საგნერის ბრძანებით ვაგონთან გუშავი იდგა. გაითვალისწინეს ტელეფონის აპარატებისა და ხაზების მნიშვნელობა და ვაგონების ორივე მხარეს გუშავები დააყენეს, გააცნეს მათ პაროლი და პასუხი.

იმ დღის პაროლი იყო „Kappe“ ². ხოლო პასუხი „ხატვან“. ვაგონთან მდგომი კოლომიელი პოლონელი რაღაც გაუგებრობის გამო მოხვედრილიყო ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში *.

ცხადია, მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა „Kappe“-ზე, მაგრამ ვინაიდან მაინც გააჩნდა ცოტაოდენი ნიჭი მნემოტექნიკისადმი, ამიტომ დაიმახსოვრა, რომ სიტყვა „K“ — ასოზე იწყებოდა. როდესაც ბატალიონის მორიგე პოდპორუჩიკი დღები შეეკითხა პაროლს,

¹ არის, პანე ობერ-ლეიტენანტ! (გ ე რ მ.).

² ქული (გ ე რ მ.).

მან აუღელვებლად უპასუხა „Kaffee“. ეს სავსებით ბუნებრივა იყო. კოლომიელ პოლონელს დღემდე ახსოვდა ბრუკის ბანაკის დილისა და საღამოს ყავა.

პოლონელმა რამდენიმეჯერ წამოიყვინა თავისი „Kaffee“, მაგრამ პოდპორუჩიკი დუბი შეუჩერებლივ მიაბიჯებდა მისკენ. გუშაგმა, რომელსაც კარგად ახსოვდა თავისი ფიცი და ის, რომ სადარაჯოზე დგას, მრისხანედ შესძახა: „Hall!“. ხოლო როცა პოდპორუჩიკმა დუბმა კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა მისკენ და კვლავ პაროლი მოკითხა, თოფი დაუმიზნა და რადგან გერმანული ხეირიანად არ იცოდა, შერეული პოლონურ-გერმანულით დაუყვირა: „Bęze szajsn, bęze szajsn“¹

პოდპორუჩიკი დუბი მიხვდა და ყვირილით უკან დაიხია: „Wachkommandant, Wachkommandant“².

გამოჩნდა პოლონელი გუშაგის განმჩინებელი, ათეულის მეთაური ელინეკი და ჰკითხა მას პაროლი. იგივე გაიმეორა პოდპორუჩიკმა დუბმაც. სასომიხილი კოლომიელი პოლონელი ყველა კითხვაზე „Kaffee! Kaffee!“-ს დაჰკიოდა და თანაც ისე ხმაშაღლა, რომ მთელ სადგურში ისმოდა.

ვაგონებიდან გამოცვივდნენ ჯარისკაცები, ხელში ქვაბები ეჭარათ. ატყდა აურზაური. ყოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ განიარაღებული პატროსანი ჯარისკაცი პატიმართა ვაგონში წაიყვანეს.

შუალამე გადასული იყო, როცა მატარებელი ლადოვცე-ტრებიშოვის * მიმართულებით დაიძრა; იქ მათ დილაადრიან ვეტერანთა ჯგუფი მიესალმა. ეს ბატალიონი მათ მეთოთხმეტე უნგრელ პონვედთა პოლკის სამარშო ბატალიონი ეგონათ, რომელმაც სადგურა უკვე ღამით გაიარა. როგორც ჩანს, ვეტერანები მთვრალეები იყვნენ და თავისი ღრიალით: „Jsten áld meg a királyt!“³ მთელი ეშოლონი გააღვიძეს. შედარებით უფრო შეგნებულმა ჯარისკაცებმა ვაგონებიდან თავი გამოჰყვეს და ასე უპასუხეს: „საჯდომზე გვაკოცეთო!“ Eljen!⁴ ამ დროს ვეტერანებმა ისე დაიღრიალეს, რომ სადგურის ფანჯრის მინებმა ზანზარი დაიწყო: „Eljen! Eljen a tizenegyedik regiment!“⁵

¹ ა-ს-ი-რ-ი! — პოლონელი ჯარისკაცი გერმანულად ცუდად ლაპარაკობს და „schießen“-ის მ: გივრ: დ „scheißen“-ს წ: რმოთქვ: მს.

² ყარაულის მეთაურო, ყარაულის მეთაურო! (გ ე რ მ.).

³ ღმერთო, დაიცავი ჩვენი მეფე (უ ნ გ რ.).

⁴ ო ი დ ე ბ ა! (უ ნ გ რ.).

⁵ დიდება! დიდება მეთოთხმეტე პოლკს! (უ ნ გ რ.).

ხუთი წუთის შემდეგ მატარებელი გუმენეს * მიმართულებით მიდიოდა. ეხლა ყველგან ნათლად ჩანდა იმ ბრძოლების ნაკვალევი, რუსებმა ტისის ველისაკენ მიმავალი გზის გაკაფვის დროს რომ აწარმოეს. შორ მანძილზე გადაქიმულიყო ღრმად ამოთხრილი სანგრები. აქა-იქ მოჩანდა გლეხთა გადამწვარი კარმიდამოები და აბლომახლო სახელდახელოდ აშენებული ნაგებობები; ჩანს მათი პატრონები დაბრუნებულიყვნენ.

შუადღისას მატარებელი გუმენეს სადგურს მიაღწა. აქაც კარგად ჩანდა ბრძოლების ნაკვალევი. დაიწყეს სადილისათვის მზადება. ახლა ჯარისკაცებმა თავისი თვალით ნახეს და დარწმუნდნენ. რა ცუდად ექცეოდა მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობას რუსების წასვლის შემდეგ, იმის გამო, რომ უქანასკნელნი ენათესავებოდნენ მათ ეხითა და რელიგიით.

ბაქანზე იღვა რუსინების პატიმართა ჯგუფი, გარშემორტყმული უნგრელი ჟანდარმებით. მათ შორის იყო რამდენიმე მართლმორწმუნე მღვდელი, მასწავლებელი და გლეხები სხვადასხვა რაიონებიდან. პატიმრებს ზურგს უკან შეუკრეს ხელები და წყვილ-წყვილად მიაბეს ერთმანეთს. ბევრ მათგანს ცხვირპირი ჰქონდა გატეხილი და თავზეც კოპები ასხდათ. — ეს ჟანდარმების დამსახურება იყო.

შორიახლოს უნგრელი ჟანდარმი ერთობოდა. მან მართლმორწმუნე მღვდელს მარცხენა ფეხზე თოკი გამოაბა, მისი ბოლო კი ხელში დაიჭირა და იარაღის საშუალებით აიძულებდა ამ უბედურს ჩარდაში ეცეკვა. ჟანდარმი დრო და დრო თოკს მოსწევდა ხოლმე თავისკენ და მღვდელი ეცემოდა. იგი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ზურგზე გადაბრუნებულიყო და ისე ამდგარიყო. რადგან ხელები შეკრული ჰქონდა და ადგომის საშუალებას არ აძლევდა. ჟანდარმს სიცილისაგან თვალელებზე ცრემლები მოადგა. როგორც კი მღვდელი წამოდგომას დააპირებდა, ჟანდარმი ხელახლა მოსწევდა თოკს და ის უბედური ისევ ენარცხებოდა მიწას.

ამას ბოლო მოუღო ჟანდარმერიის ოფიცერმა, რომელმაც ბრძანება გასცა დაპატიმრებულები მატარებლის მოსვლამდე წაეყვანათ სადგურის უკან მყოფ ცარიელ ფარდულში, რათა არავის არ დაენახა, როგორ სცემდნენ მათ.

ამ ეპიზოდმა დიდი შელაპარაკება გამოიწვია საშტაბო ვაგონში და სამართლიანობა მოითხოვეს ვალიაროთ, რომ ოფიცერთა უმრავლესობამ გაკიცხა ასეთი სიმკაცრე.

— თუ ისინი ნამდვილად მოღალატეები არიან, — თქვა პროკორშიჩიკმა კრაუსმა, საჭიროა მათი ჩამოხრჩობა და არა წამება.

პოდპორუჩიკი დუბი, პირიქით, ამართლებდა ამგვარ მოპყრობას. მან ყოველივე ეს სარაევოში მომხდარ თავდასხმას დაუკავშირა და ყველაფერი იმ გარემოებით ახსნა, რომ გუმენეს სადგურის უნგრელი ჟანდარმები შურს იძიებდნენ ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდისა და მისი მეუღლის სიკვდილის გამო.

თავისი მტკიცების დასასაბუთებლად მან განაცხადა, რომ ჯერ კიდევ შიმაჩეკის მიერ ომამდე გამოცემულ ჟურნალ „ოთხფურცელას“ ივნისის ნომერში წაიკითხა ერცჰერცოგზე თავდასხმის ამბავი, სადაც ეწერა, რომ სარაევოს უმაგალითო ბოროტმოქმედებამ ხალხს შიგ გულში ჩასცა ლახვარი. ეს ლახვარი მით უფრო მწვავე და მტკივნეული იყო, რომ ბოროტმოქმედებამ სიცოცხლეს გამოასალმა არა მარტო სახელმწიფო აღმასრულებელი ძალაუფლების წარმომადგენელი, არამედ მისი ერთგული და დიდად მოსიყვარულე მეუღლეც. ამ ორი სიცოცხლის მოსპობის შედეგად დაინგრა ბედნიერი, სამაგალითო ოჯახი, ხოლო მათი საყვარელი შვილები კი დაობლდნენ.

პორუჩიკმა ლუკაშმა თავისთვის წაიბურტყუნა — ალბათ აქ, გუმენეშიც მიიღეს ჟანდარმებმა შიმაჩეკის „ოთხფურცელა“, რომელშიც ამაღლელებელი სტატია იყო მოთავსებული. უცებ იგი ისეთ გუნებაზე დადგა, რომ ქვეყნად ყველაფერი საზიზღარი და აუტანელი მოეჩვენა და ძალიან მოუნდა დათრობა, რათა მსოფლიო სევდა გაექარებინა. მერე ვაგონიდან გამოვიდა და შვეიკის საძებრად გაემართა.

— ყური მიგდეთ, შვეიკ, ხომ არ იცით სად შეიძლება კონიაკის შოვნა. რაღაც უგუნებოდ შევიქენი, — მიმართა მან შვეიკს.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ყოველივე ეს ჰავის გამოცვლის ბრალია. შესაძლოა ბრძოლის ველზე უარესად გახდეთ. რაც უფრო შორდება ადამიანი თავის პირვანდელ სამხედრო ბაზას, მით უფრო მძიმე ასატანია ეს მისთვის. სტრაშნიცკელი მეზალე იოზეფ კალენდაც მოშორდა ერთდროს თავის მშობლიურ კერას. იგი სტრაშნიცკიდან ვინოგრადებისაკენ * მიემართებოდა და გზად სამიკიტნო „გაჩერებასთან“ ჩამოხტა. თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, ხოლო როცა კორუნის ქუჩაზე წყალსატუმბს მიუახლოვდა, წინ და უკან სირბილი აუტყდა. ერთი სამიკიტნოდან მეორეში გარბოდა. ბოლოს წმიდა ლიუდმილას ეკლესიამდე რომ მივიდა, ძალ-ღონე გამოელა. მაგრამ არც ამას შეუშინდა, — რადგან იმ საღამოს სტრაშნიცკეებში, სამიკიტნო „რემიზასთან“ ერთ ვატმანს დაენიძლავა, რომ სამ კვირაში ფეხით შემოივლიდა მთელ დედამიწას.

იგი სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავის მშობლიურ კერას. ბოლოს შეისვენა კარლოვის მოედანზე „შავ ლუდისმხდელთან“. იქედან გაემართა მალაია სტრანაში, ლუდხანა „წმინდა თომას“ ეწვია, მერე „მონტაგებთან“ შეისვენა და განაგრძო გზა. კვლავ შეჩერდა „ბრაზანტის ხელმწიფესთან“, მერე გაემართა „მშვენიერი ხედისაკენ“, იქიდან კი სალუდეში — სტრაგოვის მონასტრისაკენ, მაგრამ აქ პავის შეცვლამ თავისი გააკეთა. როგორც კი ლორეტანის მოედნამდე მიაღწია, უცებ ისე მოენატრა სამშობლო და ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, რომ ძირს რეხვა გაადინა, ტროტუარზე გორაობა დაიწყო და მორთო ყვირილი: „ხალხნო, მეტს ნაბიჯს აღარ გადავდგამ! მიმიფურთხებია (მაპატიეთ ეს უხეში გამოთქმა, პანე ობერ-ლეიტენანტ,) დედამიწის გარშემო მოგზაურობისათვის!

— მაინც, თუ გნებავთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, კონიაკს გიშოვნით, ოღონდ მეშინია მატარებელი არ წავიდეს.

პორუჩიკმა ლუკაშმა დაარწმუნა იგი, რომ მატარებელი კიდევ ორ საათს არ დაიძვრებოდა ადგილიდან. კონიაკს ბოთლებში ჰყიდიან აქვე, სადგურის უკან, მალულადო. კაპიტან საგნერს უკვე გაუგზავნია მატუშჩი და მას თხუთმეტ კრონად უშოვნია ერთი ბოთლი კარგი კონიაკი. ლუკაშმა შეეიკს თხუთმეტი კრონი მისცა და უბრძანა ეხლავე შესდგომოდა ამ საქმეს. ოღონდ არავისთვის არ უნდა ეთქვა, რომ მან გაგზავნა მოსატანად, რადგან ასეთი რამ აკრძალული იყო.

— ნუ წუხდებით, პანე ობერ-ლეიტენანტ, შესანიშნავად მოვაგვარებ ამ საქმეს. ყველაფერი ის რაც აკრძალულია მიყვარს; წავალ-წამოვალ და რაიმე აკრძალულს მაინც გავაკეთებ, ჩემდა უნებურად. ერთხელ კარლინის ყაზარმაში აგვიკრძალეს...

— Kehrt euch — marschieren — marsch! — უბრძანა პორუჩიკმა ლუკაშმა.

შვეიცი სადგურისაკენ გაემართა, თან გზაში იმეორებდა თავისი ექსპედიციის ყველა დავალებას: კონიაკი კარგი უნდა იყოს, ამიტომ ჯერ უნდა გავსინჯო; კონიაკი აკრძალულია, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყო.

როგორც კი ბაქანს გასცილდა, იმწამს პოდპორუჩიკ ღუბს შეეჩხება:

— აქ რას დაეხეტები? — მივარდა იგი შვეიკს. — მცნობ თუ არა?



— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — უპასუხა შვეიკმა და თან სალა-
ში მისცა, — არ მსურს გიცნობდეთ ცუდის მხრივ.

პოდპორუჩიკი დუბი შეაძრწუნა ამ პასუხმა, შვეიკი კი წყნა-
რად იდგა, თან მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელი ქუდთან ეჭირა
და ისე განაგრძობდა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, რომ მსურს
გიცნობდეთ მხოლოდ კარგის მხრივ, რათა სატირლად არ გამიხადოთ
საქმე, როგორც ამას წინათ ინებეთ თქმა.

პოდპორუჩიკ დუბს რეტი დაესხა ასეთი თავხედობისაგან, სიბ-
რაზისაგან ძლივსლა მოახერხა დაყვირება:

— დამეკარგე აქედან, შე არამზადავ! მე შენ გვიჩვენებ სეირს!

შვეიკი წავიდა თავისი გზით; გონს მოსული პოდპორუჩიკი დუ-
ბიც უკან გაჰყვა. სადგურის უკან, იქვე, გზის პირად ფსკერით
ეწყო დიდი კალათების მთელი წყება, რომლებზედაც ყოველნაირი
ტკბილეულით სავსე ბრტყელი წნულები ელაგა. ისინი ისე გულუბ-
რყვილოდ გამოიყურებოდნენ, თითქოს მთელი ეს ავლადიდება ქა-
ლაქ გარეთ გასასეირნებლად გამზადებულ სკოლის ახალგაზრდობი-
სათვის იყო გათვალისწინებული. აქ იყო წვეულა, ვაფლის მილაკე-
ბი, მჟავე პასტილას გროვა; აქა-იქ ეყარა შავი პურისა და ძხვების
ნაჭრები, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ცხენისა იყო. დიდი
კალათების ქვეშ ინახებოდა სხვადასხვანაირი სანამელები: კო-
ნიაკის, არყის, რომის, ღვინის, ლიქიორებისა და ნაყენის ბოთლები.
სინამდვილეში, აკრძალული საქონლით ვაჭრობა წარმოებდა გზის-
პირა არხის უკან მდგარ ფარდულში. ჯარისკაცები ჯერ კალა-
თებთან მიდიოდნენ, შემდეგ გულუბრყვილოდ მდგარი კალათის
ქვეშოდან კიკინებიანი ებრაელი ამოაცოცებდა არაყს, ხიფთანის
ქვეშ ამოიღებდა და ისე წაიღებდა ხის ფარდულისაკენ, სადაც ჯა-
რისკაცები შეუშინველად დამალავდნენ შარვალში ან უბეში.

შვეიკიც იქითკენ გაემართა. ამ დროს პოდპორუჩიკი დუბი კარ-
გად გაწაფული მამებარივით ადევნებდა თვალყურს სადგურიდან.

შვეიკმა უკვე მოასწრო ყველაფრის მოგროვება პირველ
კალათასთან. ჯერ კამფეტები აიღო, გადაიხადა ფული და ჩა-
იღო ჯიბეში; კიკინებიანმა ებრაელმა წასჩურჩულა: „Schnaps
hab' ich auch, gnädiger Herr Soldat“¹.

მოლაპარაკება სწრაფად დამთავრდა. შვეიკი შევიდა ფარდულ-
ში, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ გადაიხადა ფული, როცა კიკინე-
ბიანმა მამაკაცმა გახსნა ბოთლი და გაასინჯა გემო. შვეიკი კონია-

¹ არაყიცა მაქვს, პატივცემულო პანე სალდათო (გ ე რ მ.).

კით კმაყოფილი დარჩა, ბოთლი უბეში ჩაიდო და სადგურისაკენ გასწია.

— სად იყავი, შე არამზადავ? — გზა გადაუღობა პოდპორუჩიკმა დუბმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, კამფეტების საყიდლად გახლდით. შევიკმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და მთელი მუქა ქუჭყიანი, დამტვერილი კამფეტები ამოიღო.

— თუ პანე ლეიტენანტს გული მიუვა... მე უკვე გავსინჯე, არც ისე ცუდია; რაღაც განსაკუთრებული, ხილფაფის მსგავსი სასიამოვნო გემო აქვს.

მუნდირის ქვეშ მკვეთრად გამოინახა ბოთლის მრგვალი მოხაზულობა.

პოდპორუჩიკმა დუბმა შევიკს მკერდზე დაარტყა ხელი.

— რას მიედ-მოედები, არამზადავ! მოიტა აქ ბოთლი!

შევიკმა ამოიღო ყვითელი სითხით ავსებული ბოთლი, რომლის ეტიკეტზე შავზე თეთრით ეწერა: „Cognac“¹.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — თქვა შევიკმა აულელვებლად, კონიაკის ბოთლში ცოტაოდენი სასმელი წყალი ჩავასხი. გუშინდელი გულიაშისაგან საშინელი წყურვილი მკლავს. როგორც ხედავთ, პანე ლეიტენანტ, იქაური ჰის წყალი რაღაც მოყვითალო ფერისაა; როგორც ჩანს, რკინა ურევია შიგ. ასეთი წყალი ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლოა.

— რადგან ასე ძალიან გწყურია, შევიკ, — ეშმაკურად ჩაიცინა პოდპორუჩიკმა დუბმა, — მაშ, დალიე, ოღონდ რიგიანად. მოდი, ერთბაშად გადაჰკარი! დუბს ძალიან უნდოდა რაც შეიძლება დიდხანს გაეგრძელებია ეს სცენა, რომელიც მისი აზრით შევიკის სრული კრახით უნდა დამთავრებულიყო.

მან წინასწარ წარმოიდგინა, როგორ გააკეთებდა შევიკი რამდენიმე ყლუპს და ბოლომდე გამოსაცლელად ძალა აღარ ეყოფოდა: გამარჯვებული პოდპორუჩიკი დუბი კი იტყოდა: „მოიტა ერთი, მეც დავლიო ცოტა, მომწყურდა“ და როგორი სახის გამომეტყველება ექნებოდა გაიძვერა შევიკს ამ მძიმე წუთებში. მერე პატაკს მისცემდა და ა. შ.

შევიკმა გნხსნა ბოთლი, პირზე მიიღო და ნელ-ნელა გამოსცალა.

პოდპორუჩიკი დუბი ადგილზე გაშეშდა. შევიკმა მის თვალწინ თვალის დაუხამხამებლად გამოსცალა მთელი ბოთლი; მერე ცარიელი

¹ კონიაკი.

გუბეში მოისროლა, გადააფურთხა და თითქოს ერთი ჭიქა მინერალური წყალი დაელიოსო, ისე წარმოსთქვა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, ამ წყალს ნამდვილად რკინის გემო დაჰკრავს. კამიკაში, ვლტავეზე ზაფხულში ერთი მიკიტანი თავის მომსვლელთათვის ძალიან ადვილად აკეთებდა ხოლმე რკინის წყალს. იგი ჭაში ყრიდა ძველ ნალებს...

— მე შენ გიჩვენებ ძველ ნალებს! აბა მანახე ის ჭა, საიდანაც ეს წყალი ამოიღე!

— აქედან არც ისე შორსაა, პანე ლეიტენანტ, აი იმ ხის ფარდულის უკან გახლავთ...

— წინ გასწი, არამზადავ, უნდა გიყურო როგორ აბიჯებ!

„ნამდვილად საოცრებაა, — გაიფიქრა პოდპორუჩიკმა დუბმა. ამ არამზადას ვერაფერს გაუგებ!“

შვეიცი მიდიოდა ბედს მინდობილი; რალაც უკარნახებდა ქვეცნობიერად, რომ ჭა წინ უნდა ყოფილიყო; ამიტომ სულ არ გაჰკვირვებია, როცა ნამდვილად ჭას მიადგა. ეს რაა! ტუმბოც კი მთელი იყო. ისინი ჭას მიუახლოვდნენ. შვეიკმა ჭაჩვა დაიწყო და ტუმბოდან მოყვითალო ფერის წყალი წამოვიდა.

— აი, სწორედ ეს რკინის წყალია, პანე ლეიტენანტ, — განაცხადა გამარჯვებულმა შვეიკმა.

მათთან მოვიდა დამფრთხალი კიკინებიანი მამაკაცი; შვეიკმა გერმანულად უთხრა ჭიქა მოეტანა პანე ლეიტენანტისათვის, წყლის დაღევა უნდაო.

პოდპორუჩიკი დუბი ისე დაიბნა. რომ მთელი ჭიქა წყალი დალია, რომლისგანაც პირში ცხენის შარდისა და წუნწუხის გემო დარჩა. ყოველივე განცდილისაგან სავსებით გაოგნებულმა მან კიკინებიან ებრაელს ჭიქა წყალში ხუთი კრონა მისცა; მერე შვეიკს მიუბრუნდა და უთხრა:

— რას დაგიჰყვითია თვალები? გასწი შინისაკენ!

ხუთი წუთის შემდეგ შვეიცი უკვე საშტაბო ვაგონში იყო პორუჩიკ ლუკაშთან. მან ჩუმად გამოიხმო ლუკაში ვაგონიდან და აცნობა შემდეგი:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ ხუთი, ან არა უგვიანეს ათი წუთის შემდეგ უგონოდ მთვრალი ვიქნები და ძილად მივეგდები. ამიტომ თავს ნებას ვაძლევ გთხოვოთ, პანე ლეიტენანტ, დაახლოებით სამი საათის განმავლობაში, სანამ არ გამოვიძინებ, არ დამიძახოთ და არც არაფერი დამავალოთ. ყველაფერი კარგად მიდიოდა, პანე ლეიტენანტ, მაგრამ დუბმა დამიჭირა. მაშინ მე ვუთხარი, რომ ეს წყალია და არა კონიაკი-მეთქი და იძუ-



ლებული ვიყავი მთელი ბოთლი დამელია მის თვალწინ, რომ და-
მემტკიცებინა ჩემი სიმართლე. ყველაფერი რიგზეა. როგორც
მთხოვეთ არაფერი მითქვამს და ფრთხილადც ვიყავი, მაგრამ ეს-
ლან, პანე ობერ-ლეიტენანტ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, ფეხები
მერთმევა. თუმცა, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტე-
ნანტ, რომ ამ ამბებს შეჩვეული ვარ, რადგან პან ფელდკურატ
კაცთან...

— დაგლახვროს ეშმაკმა, ნადირო!, — იყვირა პორუჩიკმა ლუ-
კაშმა, თუმცა ხმაში გაბრაზება არ ეტყობოდა. სამაგიეროდ პოდ-
პორუჩიკი დუბი მის თვალში ორმოცდაათი პროცენტით ნაკლებ
სიმპატიური გახდა, ვიდრე მანამდე იყო.

შვეიკი ფრთხილად შეძვრა ვაგონში და თავის ზურგჩანთასა და მა-
ზარაზე გაიშოტა, მერე მიუბრუნდა უფროს გადამწერსა და დანარ-
ჩენებს: — იყო და არა იყო რა, იყო ქვეყანაზე ერთი კაცი. ერთხელ
იგი მაგრად გამოთვრა და ითხოვა არ გაეღვიძებიათ... სთქვა ეს,
მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა.

ცოტა ხნის შემდეგ მთელ შენობაში ღვინის სუნი დატრიალდა.
მზარეულმა — ოკულტისტმა იურაილამ დაყნოსა პაერი და წამოი-
ძახა:

— დასწყევლოს ეშმაკმა კონიაკის სუნია!

საკეც მაგიდასთან ნებითგანწყნებულნი მარეკი იჯდა. მან როგორც იქნა მიაღწია ბატალიონის ისტორიოგრაფის თანამდებობას.

ახლა იგი ბატალიონის საგმირო ამბებს თხზავდა და როგორც ჩანს, მომავლის წინასწარ ჰვერტა დიდ სიამოვნებას ჰგვირიადა.

უფროსი ვადამწერი ვანეკი ერთხანს ინტერესით ადევნებდა თვალყურს, როგორ გულდასმით წერდა მარეკი და გულიანად ხარხარებდა. იგი წამოდგა და ნებითგანწყნებულსაკენ გადაიხარა. მარეკმა განუმარტა:

საოცრად სახალისოა ბატალიონის ისტორიის წინასწარ წერა. მთავარია, ყველაფერი სისტემატურად ვითარდებოდეს. სისტემა ყველაფერში საჭიროა.

სისტემატური სისტემა, — აღნიშნა უფროსმა ვადამწერმა ვანეკმა და თან სკეპტიკურად გაიღიმა.

— დიახ, — სხვათაშორის წამოისროლა ნებითგანწყნებულმა, — ბატალიონის ისტორიის წერის დროს საჭიროა სისტემატური სისტემატური სისტემა. ჩვენ არ შეგვიძლია ერთბაშად მოვიპოვოთ დიდი გამარჯვება. ყველაფერი უნდა ვითარდებოდეს თანდათანობით, გარკვეული გეგმის მიხედვით. ჩვენს ბატალიონს არ შეუძლია უცებ მოიგოს მსოფლიო ომი. *Nihil nisi bene*¹ ისეთი სერიოზული ისტორიოგრაფისათვის, როგორც მე ვარ, მთავარია, უპირველესად ყოვლისა. ჩვენი გამარჯვებების გეგმის შედგენა. ამ ადგილას. მაგალითად, აღწერ, რომ ჩვენმა ბატალიონმა (ეს მოხდება დაახლოებით ორი თვის შემდეგ) კინალამ გადალახა რუსების საზღვარი, რომელიც მოწინააღმდეგის ძლიერმა რაზმმა (ვთქვათ) დონის კაზაკებმა დაიკავეს. მოწინააღმდეგის რამდენიმე დივიზია ალყას არტყამს ჩვენს პოზიციებს. ერთი შეხედვით, ისე გეგონებათ, თითქოს, ჩვენი დივიზია დაიღუპა და მტერი ცოტაც და აგვეუწავს. ამ დროს გაიანძის კაპიტანი საგნერის ბრძანება: „ღმერთს არ უნდა ჩვენი დაღუპვა, გავიქცეთ!“. ჩვენი ბატალიონი გარბის. მოწინააღმდეგე კი, რომელმაც ზურგიდან მოგვიარა, ხელავს, რომ მისკენ მივქრებართ. ისინი თავზარდაცემულნი გარბიან ჩვენგან და სროლის გარეშე უვარდებიან ხელში ჩვენი არმიის სარეზერვო ნაწილებს. კაცმა რომ თქვას. სწორედ აქედან იწყება ჩვენი არმიის ისტორია. უბრალო შემთხვევას, პან ვანეკ. შემოიძლია წინასწარმეტყველურად ვთქვა. თან მოჰყვება ხოლმე დიდი შედეგები. ჩვენი ბატალიონი გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობს. საინტერესოა ეპიზოდი, რომ-

¹ არაფერი, კარგის მეტი (ლ ა თ.).

ლის დროს ჩვენები თავს ესხმიან დაძინებულ მოწინააღმდეგეს. ამისათვის მათ დასჭირდებათ დაეუფლონ „ილუსტრირებული სამხედრო კორესპონდენტის“ ენას, რომელსაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს უშვებდა ვილემეის გამომცემლობა.

ჩვენი ბატალიონი თავს ესხმის მძინარე მოწინააღმდეგის ბანაკს. ყოველი ჯარისკაცი ირჩევს თავისთვის თითო მოწინააღმდეგეს და რაც ძალი და ღონე აქვს ხიშტს სცემს გულში. შესანიშნავად გაღესილი ხიშტი გულში ისე ერჭობა, როგორც კარაქში. დროდადრო გაისმის ნეკნების ლაწანი. მძინარე მტერი ბორგავს. მომაკვდავი ერთი წამით გაოცებისაგან თვალებს გადმოკარკლავს, მაგრამ უკვე დაბრმავებული ხროტინებს და იჭიმება. მძინარე მტრის ბაგეზე სისხლიანი ღუეი გადმოდის. ამით ამბავი მთავრდება. გამარჯვება ჩვენი ბატალიონის მხარეზეა. გნებავთ, უკეთესს გეტყვით!

ეს მოხდება დაახლოებით სამი თვის შემდეგ. ჩვენი ბატალიონი ტყვედ ჩაიგდება რუსების მეფეს... მაგრამ ამას, პანე ვანეკ, მერე ვიამბობთ, ჯერჯერობით კი უნდა მოვიმარაგოთ პატარა ეპიზოდები, რომლებიც ჩვენს უმაგალითო გმირობაზე იმეტყველებს. ამისათვის მე დამჭირდება სრულიად ახალი სამხედრო ტერმინების მოგონება. ერთი კიდეც მოვიგონე. ეს ყუმბარის ნატეხებით დატენილი — ჩვენი ჯარისკაცების თავგანწირვის უნარზე მიუთითებს. მოწინააღმდეგე აფეთქებს ფუგასს, რომელიც ჩვენი მეთორმეტე ან, ვთქვათ, მეცამეტე ასეულის ოცეულის მეთაურს თავს წააცლის.

— A propos ¹, — სთქვა ნებითგანწესებულმა და შუბლზე ხელი შემოირტყა, — კინაღამ დამაფიწყდა, პანე უფროსო გადამწერო, ან სამოქალაქოდ რომ ვთქვათ, პანე ვანეკ. თქვენ უნდა მოგვამარაგოთ უნტერ-ოფიცერთა სიებით. აბა ერთი დამისახელეთ რომელიმე გადამწერი მეთორმეტე ასეულიდან. გოუსკე? კარგით, მაშასადამე. ეს ფუგასი აფეთქებისას თავს წააცლის გოუსკეს. მას თავი წაძვრება, სხეული კი კიდეც გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, დაუმიზნებს და გასროლით ჩამოაგდება მოწინააღმდეგის თვითმფრინავს. თავისთავად ცხადია, რომ ეს გამარჯვებები საზეიმოდ იქნება აღნიშნული შენბრუნში — ოჯახურ წრეში. ავსტრიას ძალიან ბევრი ბატალიონი ჰყავს, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი და სწორედ ჩვენი, ისე გამოიჩინა თავს, რომ განსაკუთრებით მის საპატივცემულოდ მეფის სახლში მოეწყობა პატარა საოჯახო ზეიმი. ყველაფერი ისეა, რო-

¹ გახსენებაზე (ფ რ ა ნ გ.).

გორც ჩემი ჩანაწერებიდან ჩანს. ერცპერცოგინია მარია ვალერის
 ოჯახს თავისი რეზიდენცია ვალზეედან შენბრუნში გადაუტანია.
 ზეიმს ექნება მკაცრი ინტიმური ხასიათი. იგი მოეწყობა მონარქის
 საწოლი ოთახის მეზობელ დარბაზში, რომელიც თავლის თეთრი
 სანთლებითაა განათებული. მეფის კარზე ელექტრონათურები არ
 უყვართ, ისინი ხშირად იწვება ხოლმე მოკლე ჩართვის გამო, ამისი
 კი მოხუც მონარქს ეშინია. საღამოს ექვს საათზე დაიწყება ზეიმი
 ჩვენი ასეულის საპატივცემულოდ და სადიდებლად. ამ დროისა-
 თვის, დარბაზში. რომელიც არსებითად ბოზაში განსვენებული დე-
 დოფლის ოთახებს ეკუთვნის, შემოპყავთ მისი უდიდებულესობის
 შვილიშვილები. ესლა საკითხავია. მეფის ოჯახის წევრების გარდა
 ვინ დაესწრება ამ ზეიმს? მას უნდა ესწრებოდეს და დაესწრება კი-
 დევაც მონარქის გენერალ-ადიუტანტი, გრაფი პაარი, რადგან
 მსგავსი საოჯახო ზეიმების დროს მოსალოდნელია ვინმე ცუდად
 გახდეს, (მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ გრაფი პაარი წაარ-
 წყვეს), ამიტომ სასურველია მისი უდიდებულესობის კარის მრჩე-
 კელის ლეიბ-მედიკ კერცელის დასწრება. წესრიგის დაცვის მიზნით,
 რათა კამერ-ლაქიებმა არაფერი გაუბედონ ზეიმზე დამსწრე ფრკი-
 ლინებს, მობრძანდება ბარონი ლედერერი, კამერაპერი გრაფი ბელე-
 გარდე და სტატსდამა გრაფინია ბომბელი. უკანასკნელი ფრედლო-
 ნებს შორის იგივე როლს ასრულებს, რასაც „მალამი“ სამასხარო
 პორდელში. მას შემდეგ, რაც ეს მალალი საზოგადოება შეიკრიბება.
 მოახსენებენ იმპერატორს. იგი გამოცხადდება თავისი შვილიშვი-
 ლების თანხლებით, მაგიდასთან თავის ადგილს იკავებს და წარმოს-
 თქვამს სადღეგრძელოს ჩვენი სამარშო ბატალიონის საპატივცე-
 მულოდ. შემდეგ სიტყვას იღებს ერცპერცოგინია მარია ვალერი,
 რომელიც განსაკუთრებული ქებით მოგიხსენიებთ თქვენ. უფროსო
 გადამწერო. მართალია, ჩემი ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ბატალი-
 ონი მძიმე დანაკლისს განიცდის. მაგრამ ასეული დაღუპულთა გა-
 რეშე, რაღა ასეულია. აუცილებელია ასევე სტატიის მომზადება
 ჩვენი დაღუპულების შესახებ. ბატალიონის ისტორია არ უნდა შედ-
 გებოდეს მხოლოდ გამარჯვებების მაუწყებელი მშრალი ფაქტები-
 საგან, რომელიც მე წინასწარ დავგეგმე დაახლოებით ორმოცდა-
 ორამდე. თქვენ, მაგალითად, პანე ვანეკ, დაიღუპებით პატარა მდი-
 ნარესთან, ბალოუნი კი, რომელიც ასე გაბრაზებით შემოგვცქერის,
 უცნაური სიკვდილით მოკვდება. მას არც ტყვია მოჰკლავს, არც
 ყუმბარა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავიდან გადმოსროლილი ქა-
 მანდი სწორედ იმ მომენტში მოახრჩობს მას, როდესაც იგი თავის
 ობერ-ლეიტენანტ ლუკაშის სადილის შესაქმელად მოემზადება.

დამწუხრებულმა ბალოუნმა ხელები გაასაყავა და ნაღვლიანად წაიხურჩულა:

— რას იზამ. ასეთი გავჩნდი! ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამხედრო სამსახურში ვიყავი, ხანდახან სამჯერ მივდიოდი ხოლმე სადილად. სანამ არ დამიპყრდნენ. ერთხელ ვკამე ზედიზედ მკერდი, მერე მთელი თვე საპატიმროში ვიჯექი... ღმერთო! იყოს ნება შენი!

— ნუ გეშინიათ, ბალოუნ, — დაამშვიდა იგი მარეკმა. — ბატალიონის ისტორიაში არ იქნება მითითებული, რომ თქვენ ოფიცერთა სამზარეულოდან სანგრებისაკენ მიმავალ გზაზე დაიღუპეთ. როდესაც ოფიცერთა სადილს ანადგურებდით. თქვენ მოხსენიებულ იქნებით ბატალიონის ყველა ჯარისკაცთან ერთად. რომლებიც ჩვენი იმპერიის დიდებისათვის დაეცნენ, ისეთებთან, როგორიც ვთქვით; უფროსი გადამწერი ვანეკია.

— ჩემთვის როგორ სიკვდილს ამზადებთ, მარეკ?

— ოღონდ ნუ ჩქარობთ, ბატონო ფელდფებლო, ეს არც ისე ჩქარა მოხდება.

ნებითგანწესებული ჩაფიქრდა.

— თქვენ კრალუჰიდან ხართ მგონი, არა? მაშ, მისწერეთ სახლში. რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგებით, ოღონდ მისწერეთ ისე, რომ არ შეაშფოთოთ ისინი, ან იქნებ გირჩევნიათ, რომ მძიმედ დაიჭრათ და მავთულის ლობურს გადაღმა იწვეთ? ასე იწოლებით კოხტად მოტეხილი ფეხით მთელი დღის განმავლობაში. ღამით მოწინააღმდეგე შექმტყორცნით გაანათებს ჩვენს პოზიციებს და აღმოგაჩენთ. ისინი იფიქრებენ. რომ თქვენ სადაზვერვო მუშაობას ეწე-
ვით და დაგიწყებენ ყუმბარების სროლას. ამით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ არმიას. მოწინააღმდეგის ჯარმა თქვენზე იმდენი საომარი მასალა დახარჯა, რომ მთელ ბატალიონს ეყოფოდა. ასეთი აფეთქების შემდეგ თქვენი სხეულის ნაწილები თავისუფლად გაიფანტებიან ატმოსფეროში და ტრიალით შეარღვევენ ჰაერს. ისინი მღერიან გამარჯვების დიდებულ სიმღერას. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა თავისას მიიზღვევს. ჩვენი ბატალიონიდან ყველანი ისახელებენ თავს; ასე რომ, ჩვენი ისტორიის დიდებული ფურცლები გავსებული იქნება გამარჯვებებით, თუმცა მე სრულიად არ მინდოდა მისი გადატვირთვა, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი გულდასმით უნდა შესრულდეს, რომ ჩვენს შემდგომ ჩვენი ხსოვნა დარჩეს. ყოველივე უნდა დასრულდეს მანამდე, ვთქვათ სექტემბერში, სანამ ჩვენი ბატალიონისაგან არაფერი არ დარჩება — გარდა ისტორიის დიდებული ფურცლებისა, რომელიც გზას გაიკვლევს ყველა ავსტრიელი ქვეშევრდომის გულისაკენ და აუწყებს მათ იმ ადამიანთა ბედს,

მამაცურად რომ იბრძოდნენ. ისინი ვერასოდეს ველარ იხილავენ მშობლიურ კერას. პან ვანეკ, ამ ნეკროლოგის ბოლო მე უკვე შევადგინე. სამარადისო ხსოვნა დაღუპულთ! მათი სიყვარული მონარქისადმი წმიდათა წმიდაა, რადგან მისთვის სიკოცხლე გასწირეს! მათი სახელები, დაე. წარმოსთქვან პატივისცემით, იანე როგორც ვთქვათ ვანეკის სახელი, ხოლო ვისაც განსაკუთრებით მძიმე თავზარი დასცა მარჩენალის სიკვდილმა, ამაყად შეიმშრალონ ცრემლები, რადგან დაღუპულები ჩვენი ბატალიონის გმირები იყვნენ!

ტელეფონისტი ხოდოუნსკი და მზარეული იურაიდა დიდი ინტერესით ისმენდნენ ნებიოვანწესებულის მომზადებულ ცნობებს ბატალიონის ისტორიიდან.

— ახლოს მოდით, ბატონებო! — სთხოვა მათ ნებიოვანწესებულმა, თან ხელნაწერს ფურცლავდა, — მეტხუთმეტე ფურცელი „ტელეფონისტი ხოდოუნსკი დაიღუპა 3 სექტემბერს ბატალიონის მზარეულ იურაიდასთან ერთად“. ეხლა მოიხმინეთ ჩემი დამატებანი: „უმაგალითო გმირობა. პირველი, სამი დღის განმავლობაში შეუცვლელად მორიგეობს ტელეფონთან და, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკოცხლე საფრთხეშია მაინც იცავს ტელეფონის ხაზს. მეორე, ხედავს რომ მტრის მხრიდან მოსალოდნელია ფლანგიდან შემოვლის საშიშროება, თავს ესხმის მოწინააღმდეგეს ცხელი წვენიით სავსე ქვებით ხელში, რითაც მტრის რიგებში პანიკა შეაქვს. ორივეს სიკვდილი მშვენიერია. პირველი ფუგასზე ფეთქდება, მეორე კი კვდება მახრჩობელა აირისაგან. რომელიც ზედ ცხვირთან მიუშვირეს, როცა თავდაცვის საშუალება აღარ ჰქონდა. ორივე იღუპება შეძახილებით: „Es lebe unser Batalionskommandant!“ უმაღლეს სარდლობას აღარაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ ყოველდღე ბრძანების სახით მაღლობა გამოგვიცხადოს, რათა ჩვენი არმიის დანარჩენმა ნაწილებმაც გაიგონ ჩვენი ბატალიონის გულადობის ამბავი და მაგალითი აიღონ მისგან. შემეძლია წაგიკითხოთ ნაწყვეტი ამ ბრძანებიდან, რომელიც ჯარის ყველა ნაწილებში წაიკითხეს. იგი ძალიან ჰგავს. ერკებერცოგ კარლოსის ბრძანებას, რომელიც მან 1805 წელს გამოსცა თავის ჯართან ერთად პადუასთან რომ იღვა, და სადაც ის კარგადაც მიბერტყეს... მაშ მოიხმინეთ, რას წაიკითხავენ ჩვენი ბატალიონის შესახებ, როგორც ჩვენი ჯარის ყველაზე გულად და სამაგალითო სამხედრო ნაწილზე: „ვიმედოვნებ, მთელი არმია აიღებს მაგალითს ზემოთხსენებული ბატალიონისაგან და შეითვისებს მისგან იმ რწმენას საკუთარ ძალებისა და გულადობისაღ-

¹ გაუმარჯოს ჩვენი ბატალიონის მეთაურს! (გ ე რ მ.)

მი, იმ სიმტკიცეს საფრთხეში, უმაგალითო გმირობას. სიყვარულსა და ნდობას უფროსებისადმი, ერთი სიტყვით, ყველა იმ ღირსებებს, რომლითაც ეს ბატალიონი გამოირჩევა და რომელსაც მიჰყავს იგი საოცარ მიღწევებამდე ჩვენი იმპერიის საკეთილდღეოდ. დაე, ყველამ მიბაძოს მის მაგალითს!“

იმ კუთხიდან, სადაც შვეიკი იწვა, მოისმა ხმამაღალი მთქნარება და სიტყვები, რომელსაც იგი სიზმარში აზრობდა: „მართალი ბრძანდებით, პანი მიულერ! ქვეყნად საოცრად მსგავს შემთხვევებს აქვს ადგილი. კრალუშაში, პან იაროში ჭისათვის ტუმბოებს დგამდა. იგი ორი წვეთი წყალივით გავდა პარდუბელ მესაათე ლეიგანცს. უკანასკნელი თავის მხრივ ძალიან გავდა იიჩინელ პისკორს, ოთხივენი კი — ვილაც უცნობ თვითმკვლელს, რომელიც ქალაქ ინდრჟიხოვი გრადცას მახლობად სადღაც გუბურაში ჩამხრჩვალა და მთლიანად გახრწნილი იპოვეს რკინიგზის ყრილქვეშ; როგორც ჩანს, იგი მატარებლის ქვეშ ჩავარდა“... მერე გემრიელად დაამთქნარა და ყველამ გაიგონა: „დანარჩენებს დიდი ჯარიმა მიუსაჯეს, ხვალ კი, პანი მიულერ, ატრია მოხარშეთ“... შვეიკი მეორე გვერდზე გადაბრუნდა და კვლავ ხვრინვა ამოუშვა. მზარეულ-ოკულტისტი იურაიდასა და ნებითგანწესებულს შორის დაიწყო დებატები მომავლის წინასწარმეტყველების შესახებ. ოკულტისტი იურაიდა სთვლიდა, რომ ერთი შეხედვით თითქოს უაზროა იხუმრო და წერო ის. რაც მომავალში უნდა მოხდეს. თუმცა ექვს არ იწვევს ის გარემოება. რომ ხშირად ასეთი ხუმრობა შეიცავს წინასწარმეტყველურ ფაქტებს, თუ ადამიანის სულიერი თვალთახილვა იდუმალი ძალების გავლენით როგორ შეაღწევს ბნელით მოცული მომავლის ბინდში. იურაიდას მთელი შემდგომი სიტყვა გაურკვეველი ბურუსით იყო მოცული. ყოველი ფრაზის შემდეგ იგი მოიხსენიებდა მომავლის ბინდს, სანამ, ბოლოს, არ გადავიდა რეგენერაციაზე, ანუ ადამიანის სხეულის აღდგენაზე: ამას წააბა ინფუზორების უნარი სხეულის ნაწილებს აღდგენის შესახებ და დაასრულა განცხადებით, რომ ყველას შეუძლია წააძროს ხელიკს კუდი. რადგან ის მას ისევ გაეზრდება: —

ტელეფონისტმა ხოდოუნსკიმ ამას ესეც დაუმატა: ადამიანები რომ ისეთივე უნარს მქონენი იყვნენ, როგორც ხვლიკები, მაშინ ცხოვრება კი არა ყველიერი იქნებოდაო. ვთქვათ, ომში ვინმეს წაწყვიტეს თავი ან სხეულის რომელიმე სხვა ნაწილი. სამხედრო უწყება ფრიად მიესალმება ამ ამბავს, მაშინ ხომ ჯარში არ იქნებიან ინვალიდები. ერთი ისეთი ავსტრიელი ჯარისკაცი. რომელსაც განუწყვეტლივ გამოეზრდება ფეხები, ხელები, თავი. ნამდვილად მთელ ბრიგადაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა. ნებითგანწესე-

ბულმა განაცხადა, რომ დღევანდელ პირობებში საომარი ტექნიკის მიღწევების შედეგად წარმატებით შეიძლება მოწინააღმდეგე შუაზე გაიპოს, თუნდაც სამ ნაწილად. არსებობს ზოგიერთი ინფუზორის ცალკეული სხეულის ნაწილების აღდგენის კანონი; ინფუზორის ყოველი ნაწილი აღდგება და დამოუკიდებელ ორგანიზმად იზრდება. ასე რომ იყოს, მაშინ ყოველი ბრძოლის შემდეგ ომში მონაწილე ავსტრიის ჯარი გასამდებოდა, გაათკეცდებოდა, ხოლო ყოველი ფენიდან განვითარდებოდა ახალი ქვეითი ჯარისკაცი.

— შეეიკი რომ გისმენდეთ, — აღნიშნა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა, — იგი აუცილებლად რაიმე მაგალითს მოიგონებდა.

თავისი გვარის გაგონებაზე შეეიკმა სასწრაფოდ ცქვიტა ყურება და წაიბუტბუტა:

— Hier! — ამით მან თავისი წესიერება დაამტკიცა; და ისევ ხერხნვა ამოუშვა. ვაგონის ნახევრად ღია კარებში პოდპოლკოვნიკ დუბის თავი გამოჩნდა.

— შეეიკი აქაა? — იკითხა მან.

— დიახ. პანე ლეიტენანტ, სძინავს, — უპასუხა ნებიოგანწესებულმა.

— ნებიოგანწესებულო, როცა მე შეეიკს ვკითხულობ, თქვენ დაუყონებლივ უნდა წამოხტეთ და დაუძახოთ მას.

— არ შეიძლება. პანე ლეიტენანტ. სძინავს.

— აბა, ერთი გააღვიძეთ! მიკვირს, ნებიოგანწესებულო, უცებ როგორ ვერ მიხვდით ამას. თქვენ მეტი თავაზიანობა გმართებთ უფროსების მიმართ! მართალია, მე ჯერ კიდევ ვერ მიცნობთ, მაგრამ როდესაც გამიცნობთ...

ნებიოგანწესებული შეეიკის გაღვიძებას შეუდგა.

— შეეიკ, ხანძარია! ადექი მალე!

— როცა ოდკოლეკას წინაქველში ხანძარი გაჩნდა, ვისოჩანიდანაც კი მოვიდა სახანძრო რაზმი... — წაიბუტბუტუნა შეეიკმა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

— ხომ ხედავთ, ვაღვიძებ, მაგრამ ამაოდ, — მოახსენა ნებიოგანწესებულმა პოდპორუჩიკ დუბს.

პოდპორუჩიკი დუბი განრისხდა:

— ზა გვარი ხართ, ნებიოგანწესებულო?

— მარეკი.

— აჰა, ეს ის ნებიოგანწესებული მარეკია, რომელიც სულ საპატიმროში იჯდა. არა?

— დიახ. ნამდვილად ასეა, პანე ლეიტენანტ. მე, როგორც იტყვიან, ერთწლიანი კურსი გავიარე ციხეში და რეაბილიტაცია მივიღე, სახელდობრ კი: როცა დივიზიის სასამართლოში გამასამართლეს.

დამტკიცეს, რომ უდანაშაულო ვარ, დამინიშნეს ისტორიოგრაფად და ნებიოგანწესებულის წოდებაც დამიტოვეს.

— დიღხანს არ შეგრჩებათ ეს წოდება! — იღრიალა პოდპორუჩიკმა ღუბმა და სულმთლანე წამოქარხლდა, — ამაზე მე თვითონ ვიზრუნებ!

მას ისე სწრაფად ეცვლებოდა სახის ფერი, გეგონებოდათ, ვილაყ ურტყამს სახეშიო.

— ინებეთ. პანე ლეიტენანტ, ინსტანციის მიხედვით ჩემი საპატაკოდ გაგზავნა, — სერიოზული სახით წარმოსთქვა ნებიოგანწესებულმა.

— ჩემთან ხუმრობას თავი ანებეთ! — არ ცხრებოდა პოდპორუჩიკი ღუბი, — მე თქვენ გიჩვენებთ პატაკს! ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს: მაგრამ ამ შეხვედრებისაგან თქვენ კარგ სიმწარეს იგემებთ! და მაშინ გამიცნობთ თუ აქამდე არ მიცნობდით!

გაბრაზებული ღუბი წავიდა. მას აღელვებისაგან მთლად გადაავიწყდა შვეიკი, მიუხედავად იმისა, რომ სულ ერთი წუთის წინ გადაწყვეტილი ჰქონდა ებრძანებინა მისთვის: „აბა ერთი. ამოისუნთქე!“. ეს იყო შვეიკის მიერ ალკოჰოლის არაკანონიერი ხმარების გამოაშკარავების უკანასკნელი საშუალება.

ნახევარი საათის შემდეგ პოდპორუჩიკი ღუბი გონს მოვიდა და ვაგონთან დაბრუნდა, მაგრამ გვიანდა იყო — ჯარისკაცებს უკვე რომი და შავი ყავა დაუბრუნეს.

შვეიკი წამომდგარი იყო და პოდპორუჩიკი ღუბის დაძახებაზე ნორჩი არჩვის სისწრაფით გადმოხტა ვაგონიდან.

— აბა ამოისუნთქე! დაიღრიალა პოდპორუჩიკმა ღუბმა. შვეიკმა შეასუნთქა მას თავისი ფილტვების ჰაერის მთელი მარაგი. თითქოს ცხელმა ქარმა გადაატარა ველზე ღვინის სახდელი ქარხნის სურნელება.

— რითი ყარხარ ასე, ვაებატონო?

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, რომის სუნი მდის.

— ჩამივარდი ხელში, ძვირფასო? — ნიშნისმოგებით თქვა პოდპორუჩიკმა ღუბმა, — როგორც იქნა, ხომ დაგიჭირე!

— სწორედ ასეა, პანე ლეიტენანტ. — სავსებით მშვილად დაეთანხმა შვეიკი, — ეს წამია მივიღეთ რომი ყავასთან ერთად და მე ჯერ რომი დავლიე. მაგრამ თუ ახალი ბრძანებაა. რომ ჯერ ყავის დაღვევა საჭირო, მერე კი რომისა, გთხოვთ, მაპატიოთ. მომავალში აღარ გავიმეორებ.

— რატომ ხვრინავდი ასე? ნახევარი საათის წინ ვიყავი აქ და ვერაფრით ვერ გაგალვიძეს.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ. მთელი ღამე არ მიძინია. იმ დროს ვიხსენებდი, ვესპერემის * მახლობლად მანევრებზე რომ ვიმყოფებოდი. პირველი და მეორე არმიის კორპუსებმა, რომლებიც მოწინააღმდეგის როლს ასრულებდნენ შტირიაში და დასავლეთ უნგრეთის გავლით მიემართებოდნენ, ალყა შემოარტყეს ჩვენს მეოთხე კორპუსს, რომელიც ვენასა და მის გარეუბნებში იყო დაბინავებული. იქ ყველგან სიმაგრეები იყო გაშენებული. მათ ზურგიდან მოგვიარეს და მიუახლოვდნენ საპერების მიერ დუნაის მარჯვენა მხრიდან გადებულ ხილს. შეტევისათვის ვემზადებოდი; ჩვენს დასახმარებლად ჯერ ჩრდილოეთიდან უნდა მოსულიყო ჯარები, მერე კი სამხრეთის მხრიდან — ოსეკიდან. მაშინ წაგვიკითხებ ბრძანება, რომ დასახმარებლად მოდის მესამე არმიის კორპუსი. რათა მეორე არმიის კორპუსზე შეტევის დაწყებისას არ დავმარცხებულ იყავით ტბა ბალატონსა და პრესბურგს შორის. ამოდ! ჩვენ უკვე უნდა მოგვეგო ომი, მაგრამ ამ დროს გაისმა საყვირის ხმა, რათა უკან დაგვეხია და გაიძარჯვეს თეთრსახვევიანებმა.

პოლპორუჩიკმა დუბმა ველარაფერი უთხრა. თავი გადააქნია და დაბნეული წავიდა. მერე ისევ მალე მობრუნდა და შევიკს მიაძახა:


— ყველამ დაიმახსოვრეთ! მოვა დრო. ცხარე ცრემლებით გატირებთ!

მეტე ველარაფერი მოახერხა და საშტაბო ვაგონისკენ გასწია. სადაც კაპიტანი საგნერი ფელდფებელ სტრანდის მიერ მოყვანილ მეთორმეტე ასეულის ერთი საწყალი ჯარისკაცის დაკითხვას აწარმოებდა. ჯარისკაცი ზომებს იღებდა სანგრებში თავის დასაცავად. მას საღვურიდან სალორეს მორკინული კარები მოეთრია.

ეხლა იგი შიშისაგან თვალბდაჭყეტელი იდგა და თავს იმით იმართლებდა, რომ კარები შრანელისაგან თავის დასაცავად მოიტანა. მას უნდოდა უზრუნველყო თავისი უშიშროება.

პოლპორუჩიკმა დუბმა ისარგებლა შემთხვევით და მოჰყვა ქადაგებას იმ-ს შესახებ. თუ როგორ უნდა მოიქცეს ჯარისკაცი და რაში მდგომარეობს მისი მოვალეობა სამშობლოსა და მონარქის წინაშე. რომელიც უზენაეს მთავარსარდალსა და უმაღლეს სამხედრო მბრძანებელს წარმოადგენს. თუ ბატალიონში გაჩნდნენ მსგავსი ელემენტები, საჭიროა მათი გაძევება, დასჯა და დაპატიმრება. ეს ყბედობა იმდენად მომამბეზრებელი იყო, რომ კაპიტანმა დამნაშავეს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— თუ თქვენ სინამდვილეში ცუდი აზრი არ გქონიათ, მომავალ-



ში ნუ გაიმეორებთ ამას. ეს ხომ სისულელეა. კარები ისევ იქ წაიღეთ. საიდანაც მოიტანეთ და ჯანდაბამდე გზა გქონიათ!

პოდპორუჩიკმა დუბმა ტუჩ- შოიკვნიტა და წარმოიდგინა, რომ ფაქტიურად მხოლოდ მასზეა დამოკიდებული ბატალიონში დისციპლინის დამყარება. ამიტომ, ხელმეორედ შემოუარა სადგურს და მის ახლოს მყოფი ფარდულის მთელ ტერიტორიას, რომელზედაც დიდი ასობებით უნგრულად და გერმანულად ეწერა: „მოწევა აკრძალულია“, შეამჩნია ვიღაც ჯარისკაცი, რომელიც იჯდა და გაზეთს კითხულობდა. სალდათმა ისე აიფარა გაზეთი, რომ პაგონები არ უჩანდა. „Habtacht!“ დაუყვირა დუბმა. იგი გუმენეში მდგომი სარეზერვო უნგრული პოლკის ჯარისკაცი იყო. პოდპორუჩიკმა შეანჯღრია ის. უნგრელი ჯარისკაცი წამოდგა და მისთვის სალაშის მიცემაც კი არ სცნო საჭიროდ; გაზეთი, ჯიბეში ჩაიღო და შარავზას გაჰყვა. დუბი მოჯადოებულებით აედევნა მას. უნგრელმა ჯარისკაცმა ნაბიჯს აუჩქარა; მერე მობრუნდა და დამცინავად ასწია ხელები მაღლა, რათა დუბს არცერთი წუთით არ შეჰპაროდა ეჭვი იმაში, რომ ჯარისკაცმა წამსვე შეიცნო მასში ჩეხური პოლკის წარმომადგენელი. შემდგომ უნგრელი გაიქცა და გზატკეცილის მეორე მხარეს, შორიახლო მდებარე სახლებს შორის გაუჩინარდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ამბავთან მას არაერთად კავშირი არ ჰქონდა, პოდპორუჩიკი დუბი ამაყად შევიდა გზისპირა დუქანში. დაბნეულმა კოქის ძაფი მოითხოვა, ფული გადაიხადა, კოქი ჯიბეში ჩაიტენა და საშტაბო ვაგონში დაბრუნდა. მან უბრძანა ბატალიონის ორდინარეც მისი დენშჩიკი კუნერტნათვის დაეძახა. დუბმა მსახურს ძაფი გადასცა და უთხრა: — „მე თვითონ მიხდება ყველაფერზე ზრუნვა, კარგად ვიცი, რომ თქვენ დაგავიწყდებოდით ძაფის ყიდვა“.

— სრულიადაც არა. პანე ლეიტენანტ, მთელი დუქანი ძაფი გვაქვს.

— აბა მაჩვენეთ! დაუყოვნებლივ! ეხლავე მოიტანეთ! გგონიათ, მჯერა თქვენი?

როცა კუნერტი თეთრი და შავი კოქის ძაფებით საესე კოლოფით დაბრუნდა, პოდპორუჩიკმა დუბმა თქვა:

— აბა, ჩემო ძმაო, კარგად დახედე შენს მიერ მოტანილ ძაფს და მერე ჩემს დიდ კოქს. ხედავ, რა წერილია შენი ძაფი, რა ადვილად წყდება; ახლა ჩემსას უყურე, რამდენ შრომას დახარჯავ, სანამ გასწყვეტ. ფრონტზე ხარახურა არაა საპირო. აქ ყველაფერი მტკიცე და მაგარი უნდა იყოს. წაილე თან ყველა კოქი და უტადე ჩემს ბრძანებას. დაიმახსოვრე, სხვა დროს ჩემს დაუქითხავად არაფერი გააკეთო. როცა რაიმეს ყიდვას დაპირებ, მოდი ჩემთან და შემეკითხე. არ გისურვებ ჩემს ახლო გაცნობას! შენ ჯერ კიდევ არ მიცნობ ცუდის მხრივ!

როცა კუნერტი წავიდა, პოდპორუჩიკმა დუბმა პორუჩიკ ლუკაშს მიმართა:

— ჩემი დენშჩიკი არ არის უჭკუო ყმაწვილი. მართალია. ხანდახან შეცდომებს უშვებს, მაგრამ საერთოდ, ძალიან გონიერია. მისი მთავარი. ღირსებაა — უმწიკვლო პატიოსნება. ბრუქში ყოფნის დროს სოფლიდან ჩემი ცოლისძმისაგან ამანათი მივიღე: რამდენიმე შემწვარი ბატი. დაიჯერებთ. თითოც კი არ დაუკარებია, ხოლო, რადგან სულ ვერ გავათავე, მან შექმას ის არჩია, რომ ბატები ამყრალებულყო. — აი რას ნიშნავს დისციპლინა! ოფიცერის მოვალეობაა — აღზარდოს ჯარისკაცები.

პორუჩიკი ლუკაში იმის დასამტკიცებლად, რომ არ უსმენს ამ იდიოტის ყბედობას, ფანჯრისაქენ მიბრუნდა და თქვა:

— პო, დღეს ოთხშაბათია.

პოდპორუჩიკი დუბი, რომელსაც ისევ წამოუარა ლაპარაკის სურვილმა, მიუბრუნდა კაპიტან საგნერს და ინტიმური, მეგობრული ტონით დაიწყო:

— ყური მიგდეთ. კაპიტან საგნერ. რასა ფიქრობთ, თქვენ...

— პარღონ, ერთი წუთით, — ბოღიში მოუხადა კაპიტანმა საგნერმა და ვაგონიდან გავიდა.

ამ დროს შვეიკი მისი უფროსის შესახებ ესაუბრებოდა კუნერტს.

— სად დაიკარგე ამდენ ხანს? რატომ არ ჩანდი? — იკითხა შვეიკმა.

— ალბათ იცი, — უპასუხა კუნერტმა. — რომ ჩემს სულელ ბებერთან უსაქმოდ არ დარჩება კაცი. ყოველ წუთს მიძახებს და ისეთ რამეებს მეკითხება, რაც სრულიად არ მეხება; მაგალითად, შემეკითხა, ვმეგობრობ თუ არა შენტან. მე ვუპასუხე, რომ ძალიან იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ მეკითხულობს. მე ხომ შენი პანლეიტენანტი ძალიან მიყვარს. ის ისეთი კარგი და გულისხმიერი. ჯარისკაცებისათვის ნამდვილი ღვიძლი მამაა, — სერჩობულად თქვა შვეიკმა.

— შენ ასე გგონია? — შეეპასუხა კუნერტი. — დიდი ღორია, მტკნარი სულელი. გული გამიწყალა, სუყველაფერზე შარსა მდებს.

— კარგი ერთი! — გაიკვირვა შვეიკმა, — მე კი ყოველთვის. პატროსან ადამიანად ვთვლიდი მას. შენ რალაც უცნაური აზრისა ყოფილხარ შენს ლეიტენანტზე. რას იზამ. ასეთებად გაგაჩინათ დენშჩიკები ღმერთმა. ავიღოთ თუნდაც მაიორ ვენცლის დენშჩიკი. იგი თავის უფროსს სხვას არას უწოდებს. თუ არა „შეჩვენებულ ყეყის“. პოლკოვნიკ შრედერის დენშჩიკი კი თავის უფროსს ასეთი საღანძღავი სიტყვებით მოიხსენიებს: „მყარალი ურჩხული“ ან „აყროლებული მყარალა“. ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ დენშჩიკი ამას თავისი უფროსისაგან სწავლობს! თვითონ უფროსი რომ არ იღანძღებოდეს. მაშინ დენშჩიკი ასე არ გათამამდებოდა. ბუღეიოვიცეში, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს. ერთი ლეიტენანტი პროხაჩკა გყავდა. ის მაინცადამაინც არ იგინებოდა. ხანდახან თუ ეტყოდა მხოლოდ დენშჩიკს: „ეი, შენ, მომხიბვლელი ძროხავ!“ სხვა გინება დენშჩიკ გიბმანს მისგან არ სმენია. იგივე გიბმანი, როცა სამხედრო სამსახურიდან გაანთავისუფლეს, ისევე მიმართავდა თავის დედ-მამასა და დას „ეი შენ, მომხიბვლელი ძროხავ!“ რომელიც ცუკვის საღამოზე მან ყველას გასაგონად იგივე უწოდა თავის საცოლეს, მის დედ-მამასა და დებს. საცოლემ უარი უთხრა გა-

ყოლაზე, და სასამართლოში უჩივლა პიროვნების შეურაცხყოფისათვის. მან არც სასამართლოზე აპატია გიბმანს დანაშაული და განაცხადა: მას რომ ხალხის თანდასწრებით არ ეწოდებინა მისთვის „ძროხა“, შეიძლებოდა შერიგებოდა, ეხლა კი — საქვეყნოდ გაილანძღა. — ჩვენს შორის დარჩეს. კუნერტ. და ამას შენს ლეიტენანტზე ვერასდროს ვერ ვიფიქრებ. პირველად რომ გავისაუბრეთ, ძალიან სიმპატიურად მეჩვენა, ისევე. როგორც საბოლოველიდან ეხლახან ამოღებული ძეხვი, ხოლო მეორეჯერ რომ დაველაპარაკე, მეტად ნაკითხად და ზეშთაგონებულად მომეჩვენა... შენ თვითონ საიდან ხარ? პირდაპირ ბუდეიოვიცედან? მომწონს, როცა ვინმე პირდაპირ საიდანმეა. იქ სადა ცხოვრობ? შუშაბანდის ქვეშ? ეს კარგია. ზაფხულში მაინც იქნება სიგრილე. ცოლშვილიანი ხარ? ცოლი და სამი ბავშვი გყავს? მაშ ბედნიერი ყოფილხარ, მეგობარო, დამტირებელი მაინც გეყოლება, როგორც ჩვენი ფელდკურატი კუცი იტყოდა ხოლმე თავის ქადაგებაში. ეს ნამდვილია. მე თვითონ მოვისმინე ბრუქში ყოფნისას ერთი პოლკოვნიკის საუბარი სათადარიგო ჯარისკაცთან. ორივენი სერბისაკენ მიემართებოდნენ. პოლკოვნიკი ამბობდა, რომ ჯარისკაცი, რომელიც შინ ოჯახს სტოვებს და ბრძოლის ველზე იღუპება, ყოველგვარ ოჯახურ კავშირს არღვევს. მან ეს ასე გამოხატა: „როცა იგი გვამია, იგი გვამია ოჯახისათვის, ოჯახური კავშირი უკვე არაა, ის მეტია ვიდრე „ain helt“¹, იმიტომ რომ თავისი სიცოცხლე „hat geopfert“² და იგი ოჯახისათვის „za Vaterland“³. შენ მეხუთე სართულზე ცხოვრობ?

— პირველზე.

— მართალია, ახლა გამახსენდა, რომ ბუდეიოვიცეში მოედანზე არცერთი ხუთსართულიანი სახლი არაა. უკვე მიღიხარ? გასაგებია! შენი ოფიცერი დგას საშტაბო ვაგონთან და აქეთ იყურება. თუ გკითხოს, ხომ არაფერი უთქვამს შვეიცს ჩემს შესახებო, პირდაპირ უთხარი, რაც ვილაპარაკე, თანაც არ დაგავიწყდეს გადასცე, რა კარგი აზრისა ვარ მასზე. ხომ იშვიათად შეხვდები ოფიცერს, რომელიც ასე მეგობრულად, ასე მამაშვილურად ექცეოდეს. ჯარისკაცს. როგორც ის. არ დაგავიწყდეს შენტყობინო. რომ მე მას ძალიან წაკითხ კაცად ვთვლი. უთხარი, რომ დიდი ინტელიცენტია⁴. ისიც მოუწყვეი როგორ გასწავლიდი თავის დაჭერას, მის სახეზე ყო-

¹ გმირი (გერმ.).

² შესწირა (გერმ.).

³ სამშობლო (გერმ.).

⁴ შვეიცია შეგნებულად წარმოსთქვამს ამ სიტყვას. არასწორად.

ველგვარი სურვილის ამოკითხვას და ყოველივე ამის შესრულებას. — იკოდე არ დაგავიწყდეს!

შვეიცი შეძერა თავის ვაგონში, კუნერტმა კი ძაფით ხელში თავისი ბუნაგისაკენ გასწია.

ხუთმეტი წუთის შემდეგ განაგრძეს გზა გადამწვარი სოფლების: ბრესტოვის, დიდი რადვანის და ახალი ჩაბინას გასწვრივ. ეტუობოდა აქ შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა. კარპატების ფერდობები სანგრებს დაეფარა, რომლებიც ერთი ველიდან მეორემდე იყო გადაქიმული, ახალშპალებიანი რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით. გზის ორივე მხარეს ხშირად დაინახავდით დიდი ყუმბარისაგან ამოთხრილ ორმოებს, ზოგჯერ, ლაბორატორიაში ჩამდინარე მდინარეების ზემოთ (გზა ლაბორატორიის შესართავის გასწვრივ მიდიოდა) ჩანდა ახალი ხიდეები და ძველის გადამწვარი ბურჯები.

მთელი მეძილაბორატორიის ველი ისე იყო გადათხრილი, თითქოს აქ თხუნელების გიგანტურ ჯარებს უმუშავიათო. მდინარის უკან გზატკეცილი აყრილი და ამოთხრილი იყო, ხოლო მის გასწვრივ მდებარე ველები მასზე გადავლილ ჯარების ნაქადს გადაფეთდა.

კოკისპირული წვიმების შემდეგ ორმოების ნაპირებზე ავსტრიული მუნდირების ძონძები ეკიდა.

ახალი ჩაბინას უკან. ძველ გადამწვარ ფიჭვის ხეზე, ტოტებში განხვეულიყო ავსტრიული ქვეითი ჯარისკაცის ფენსაცემელი წვივის ნაწილითურთ.

როგორც ჩანს, არტილერიის ცეცხლს აქაც უნავარდია: იღგნენ ფოთლებგაცვენილი, წვეროებწაცლილი ხეები, დაბები მთლად დანგრეულიყო.

მატარებელი მიდიოდა ნელა, სახელდახელოდ გაკეთებულ მიწაყრილის პირას, ისე რომ მთელ ბატალიონს შეეძლო დაწვრილებით გაცნობოდა ომის სიმშვენიერეს. ისინი გასცქეროდნენ დაბლობებსა და მოტიტვლებულ ფერდობებზე თეორად მოელვარე ჯვრებით შემკულ სამხედრო საფლავებს. ეს მათ საშუალებას აძლევდა თანდათანობით, მაგრამ საფუძვლიანად მოემზადებიათ თავი საომარი დიდებისათვის, რომელსაც დაავგირგვინებდა თეთრ ჯვარზე ჩამოკიდებული, ტალახში ამოსვრილი ავსტრიული ქულდი.

უკანა ვაგონში მჯდომი გერმანელები, რომლებიც * კაშპერის მთებიდან იყვნენ, ჯერ კიდევ მილოვიცეში შესვლამდე გაპკიოდნენ: „Wann ich kum, wann ich wieda kum“¹, უცებ მიჩუმდნენ, რადგან მიხვდნენ, ამ ჯვრებზე ჩამოკიდებულ ქულდა პატრონებიც

¹ როცა შინ დაბრუნდები, როცა ისევ დაბრუნდები (გ ე რ მ.).

მღეროდნენ შინ დაბრუნებაზე, იმაზე, თუ როგორ დარჩებიან სამუ-
დამოდ თავის სატრფოსთან...

მედილაბორცეში მატარებელმა ჩაუარა გადამწვარ სადგურს,
რომლის გამურული კედლებიდან გამოშვერილი იყო სვეტები. და
გაჩერდა.

სადგურის მაგივრად საჩქაროდ აშენებულ გრძელ ფარულზე
ყველა ენაზე იყო გამოკრული პლაკატები: „ხელი მოაწერეთ ავს-
ტრიის სამხედრო სესხზე“.

მეორე ასეთივე ფარულში მოთავსებული იყო წითელი ჯვრის
პუნქტი. იქიდან გამოვიდნენ მსუქანი სამხედრო ექიმი და ორი მო-
წყალეების და. მოწყალეების დები განუწყვეტლივ კისკისებდნენ სამ-
ხედრო ექიმის ხუმრობაზე, რომელიც მათ გასამხიარულებლად სხვა-
დასხვა ცხოველის ხმას ბაძავდა და უნიჭოდ ღრუტუნებდა.

რკინიგზის მიწაყრილის ქვეშ, მდინარის ქალაში დამტვრეული
საველე სამზარეულო ეგდო.

შვეიცი ბალოუნს მიუბრუნდა და თან სამზარეულოზე ანიშნა:

— ერთი ამას შეხედე, ბალოუნ, რა გველის ახლო მომავალში.
ეს-ესაა სადილი უნდა დაერიგებინათ, რომ ამ ღროს მოფრინდა
ყუმბარა და აი, რა დღეში ჩააგდო აქაურობა.

— პირდაპირ შიში მიპყრობს! — ამოიოხრა ბალოუნმა, — სიზ-
მარშიც ვერ ვნახავდი, რომ ასეთ დღეში ჩავეარდებოდი. ყველაფე-
რი ჩემი ამპარტავენობის ბრალი კია. შარშან ზამთარში, ბუდეოვი-
ცეში. მე ოხერმა ტყავის ხელთათმანები ვიყიდე. სირცხვილად მი-
მაჩნდა ჩემს მუჟიკურ თათებზე ჩემი განსვენებული მამის ნაქონი
ძველი ნაქსოვი ხელთათმანების ჩაცმა. ღმერთო კი მომკალი, იმას
ვიკადრებდი?! ქალაქური, ტყავის ხელთათმანების ჯავრი მკლავდა...
მამაჩემი სიამოვნებით მიასკდებოდა ხოლმე მუხუღოს. მე კი მისი
დანახვაც არ შემეძლო. ინებეთ და მომართვით ფრინველი. უბრალო
ღორის ხორცზეც კი ცხვირს ვიწვევდი. ცოლს იგი ლუღზე უნდა
გაემზადებია; მაპატიე. ღმერთო, ჩემი შეცოდება!

სასოწარკვეთილმა ბალოუნმა ისე გულახდილად დაიწყო ლაპა-
რაკი, თითქოს აღსარებას ამბობდა.

— მალშეს სამიციტროში ყოვლად წმიდას და ღვთის წმიდანებს
ვაძაგებდი; ქვემო ზაგაეში კი კაპელანს ვცემე. ღმერთის კილევ
მწამდა, ამაზე უარს ვერ ვიტყვი, მაგრამ იოსების სიწმიდეში ეჭვი
მეპარებოდა. ყველა წმიდანის ატანა შემეძლო ჩემს სახლში, გარდა
წმ. იოსებისა, რომლის ხატი გავაძევე. ახლა კი ღმერთმა დამსაჯა
ყველა ჩემი ცოდვებისა და უსაქციელობის გამო. ვინ იცის, რამდე-
ნი ასეთი უზნეობა ჩამიდენია წისქვილში! რამდენჯერ გამიღანძ-

ღავს ჩემი მამიკო, მისი წილი ფული მიმითვისებია, ან საბრალო ცოლი გამიტანჯავს.

შვეიცი ჩაფიქრდა.

— თქვენ მეწისქვილე ხართ, არა? მაშ არ გაწყენთ იცოლეთ, რომ ღვთის წისქვილები ფქვავენ ნელა, მაგრამ ზუსტად; სწორედ თქვენს გამო ატყდა მსოფლიო ომი.

საუბარში ჩაერია ნებითგანწყნებულნი:

— ღვთის გმობითა და იმის გამო. რომ წმიდანები არ გწამდათ, უდაოდ ძალიან ავნეთ თქვენს თავს. თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს ის ამბავი. რომ ჩვენი ავსტრიული არმია ძველთაგანვე კათოლიკურ არმიას წარმოადგენს, ხოლო ჩვენი უზენაესი მთავარსარდალი მას ბრწყინვალე მაგალითს უჩვენებს. საერთოდ, როგორც გაბედვით ომში წამოსვლა, როცა გულში ასეთ სიძულვილს ინახავდით ზოგიერთი წმიდანისა და ღვთის მოწამეთა მიმართ. მაშინ, როდესაც სამხედრო სამინისტრომ საგარნიზონო სამმართველოებში ბატონი ოფიცრებისათვის იეზუიტების ქადაგებანი შეიტანა, ხოლო სააღდგომოდ საზეიმო სამხედრო ჯვაროსნული ლაშქრობა ვინილეთ? გესმით, ბალოუნ! თუ გაქვთ შეგნებულნი ის ამბავი, რომ სინამდვილეში თქვენ ჩვენი სახელოვანი არმიის სულსკვეთების წინააღმდეგ გამოდიხართ. ავიღოთ, მაგალითად, წმ. იოსები, რომლის ხატის დაკიდების უფლებას არ აძლევდით თქვენს ოთახში. ბალოუნ! ის ხომ სინამდვილეში ყველა იმათი მფარველია, ვისაც სამხედრო სამსახურისგან თავის დაღწევა სურს. იოსები ხურო იყო. ხომ იცით ანდაზა: „მოვძებნოთ სად დარჩა ხუროს ნახვრეტიო“. ვინ იცის. ამ დღეიზით რამდენი კაცი ჩაუარდა ტყვედ, რადგან სხვა გამოსავალი ვერ ნახა. ყოველი მხრიდან გარშემორტყმულნი ისინი ეგოისტური ზრახვების გამო კი არ ცდილობდნენ თავის გადარჩენას, არამედ როგორც არმიის წევრები. რომ ტყვეობიდან დაბრუნებულებს ჰქონოდათ საშუალება ხელმწიფე იმპერატორისათვის ეთქვათ: „ჩვენ აქა ვართ და ველით შემდგომ ბრძანებებს“. ახლა გესმით რაშია საქმე, ბალოუნ?

— არ მესმის. — ამოიოხრა ბალოუნმა, — შტერი ვარ, ათჯერ უნდა გამიმეორონ, რომ გავიგო.

— თუ უფრო ნაკლებჯერ, კიდევ ერთხელ აგისხნი, — უთხრა შვეიცმა. — ესე იგი შენ გაიგე, რომ უნდა მოიქცე იმ სულსკვეთების შესაფერისად, რომელიც ბატონობს არმიაში; რომ უნდა იწამო წმიდა იოსები, ხოლო როცა მოწინააღმდეგე ალყას შემოგარტყამს უნდა ეძებო, სად დასტოვა ხურომ ნახვრეტი, რათა თავი შემოინახო ხელმწიფე-იმპერატორისათვის ახალი ომის შემთხვევაში. ეხლა

ალბათ გაიგე რაც გითხარი და კარგს იზამ. თუ უფრო დაწვრილებით მოჰყვები აღსარებას: რა უზნეო საქმეები ჩაიღინე იმ წისქვილში ყოფნისას; ოღონდ იცოდე, ისე არ მოგვიყვე. როგორც მოჯამაგირე ქალის შესახებ ანეკდოტშია, მღვდელთან რომ წავიდა აღსარებისათვის და როცა სხვადასხვა ცოდვები მოინანია, შერცხვა და თქვა. ყოველ ღამე უზნეოდ ვიქცეოდი... ცხადია, მღვდელმა, რომ ეს გაიგო, პირზე ნერწყვი მოადგა და უთხრა გოგოს: „ნუ გრცხვენია, საყვარელო შვილო, მე ხომ ღვთის მსახური ვარ, დაწვრილებით მომიყევი შენი ცოდვების შესახებ. ქალი ატირდა: ერცხვინებოდა, რომ ასეთი უზნეობა ჩაიღინა; მღვდელი ისევ იმას უჩიჩინებდა, რომ იგი მისი სულიერი მამაა. ბოლოს, სულ მთლად აქანკალებული ქალი უყვება. რომ ყოველ საღამოს იხდიდა ტანს და ლოგინში წვებოდა; და ისევ ვერაფრით ვერ ათქმევინა ვერცერთი სიტყვა. ქალი უარესად ატირდა. მღვდელი კი ისევ მოჰყვა: ნუ გრცხვენია, ადამიანი დაბადებულანვე ცოდვის ჭურჭელია, მაგრამ ღმერთის წყალობა უსაზღვროაო! ბოლოს და ბოლოს ქალმა ძალღონე მოიკრიბა და წაილაპარაკა: „როცა გავიხდიდი და ლოგინში ჩავწვებოდი, თითებს შორის ჭუჭყს გამოვიჩიჩქნიდი და მერე ვყნოსავდი ხოლმე“. აი, მთელი მისი უზნეობა. იმედია, შენ. ბალოუნ, ასეთი საქმეებით არ იყავი წისქვილში გართული, და რაიმე უფრო სერიოზულს მოგვიყვები ნამდვილი უზნეობის შესახებ.

ბალოუნი, მისი საკუთარი სიტყვებით რომ ვთქვათ, უზნეოდ იქცეოდა გლეხის ქალებთან. უზნეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ცუდ ფქვილს შეურევდა ხოლმე მათ საფქვაავში. ამას ბალოუნი თავისი გულუბრყვილობით უზნეობას ეძახდა. ყველაზე უფრო იმედგაცრუებული ტელეგრაფისტი ხოდოუნსკი იყო, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა გამოეტეხა ბალოუნი, თუ რას აკეთებდა იგი ფქვილის ტომრებზე გლეხის ქალებთან ერთად. ბალოუნმა ხელი გაიქნია და უპასუხა: „ამდენი ჭკუა აღარ მეყო!“

ჯარისკაცებს გამოუცხადეს, რომ საღილს ისინი პალოტს რომ გასცდებიან ლუჰკოვსკის უღელტეხილზე მიიღებდნენ. ამიტომ ბატალიონს უფროსი გადამწერი ყველა ასეულის მზარეულებთან და ბატალიონის სამეურნეო ნაწილის უფროს პოდპორუჩიკ ცაიტამლთან ერთად სოფელ მეძილაბორეცისაკენ გაემართა. პატარულებად ოთხი ჯარისკაცი გაგზავნეს.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ისინი უკან დაბრუნდნენ: ხელში ფეხებშეკრული სამი გოჭი ეჭირათ. უკან კი რუსინის ატირებული ოჯახი მოსდევდა, რომელსაც ეს გოჭები ჩამოართვეს. მათ თან ახლდათ წითელი ჯვრის ფარდულის ჩასუქებული ექიმი.

ექიმი აღელებით უხსნიდა რადაცაა პოდპორუჟიკ ცაიტჰამლს, რომელიც წამლაუწუმ მხრებს იჩეჩავდა.

კამათმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია საშტაბო ვაგონთან, როცა სამხედრო ექიმმა მტკიცება დაუწყო კაპიტან საგნერს, რომ ეს გოჭები გაპირობებული იყო წითელი ჯვრის ჰოსპიტალისათვის. გლენს კი არაფრის ვაგონება არ სურდა და მოითხოვდა დაებრუნებინათ მისთვის გოჭები. როგორც თვითონ ამბობდა, გოჭები მისი უკანასკნელი ქონება იყო და არაფრით არ შეეძლო იმ ფასად დაეთმო, რასაც სთავაზობდნენ.

იგი ხელში აჩეჩებდა კაპიტან საგნერს გოჭებში აღებულ ფულს, მის ცოლს კაპიტანის მეორე ხელი ეჭირა და ისეთი მონური მორჩილებით ჰკოცნიდა, როგორც იყო დამახასიათებელი დასაბამიდან ამ მხარისთვის.

მთელი ამ ამბით დაშინებულმა კაპიტანმა საგნერმა ძლივს შესძლო ამ მოხუცი გლენს ქალის თავიდან მოშორება. მაგრამ ყოველივე ამით იყო. იგი ახალგაზრდებმა შესცვალეს, რომელნიც თავის მხრივ შეუდგნენ მისი ხელების ლოკვას.

პოდპორუჟიკმა ცაიტჰამლმა კომერსანტის ტონით განაცხადა: ამ გლენსკაცს დარჩა კიდევ თორმეტი გოჭი და მას სავსებით საკმარისი თანხა გადაუხადეს თანახმად დივიზიის უკანასკნელი ბრძანებისა — თორმეტი ათას ოთხასოცი ნომრით, სამეურნეო ნაწილი. ამ ბრძანების მეთექვსმეტე პარაგრაფის თანახმად, ღორების ყიდვა იმ ადგილებში, რომელსაც ომი არ შეხებია. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი კილოგრამი ცოცხალი საქონლის წონის ღირებულება არ აღემატება ორ კრონასა და თექვსმეტ ჰელერს. ხოლო იმ ადგილებში, სადაც ომი იყო, ერთ კილოგრამ ცოცხალი საქონლის წონას უნდა დაემატოს ოცდათექვსმეტი ჰელერი, რაც ერთ კილოგრამზე შეადგენს ორ კრონასა და ოცდათორმეტ ჰელერს. დამატება: იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ იქნა.. რომ ადგილებში, სადაც ომი იყო, მეურნეობა გადაარჩა ღორის სულადობის მთელი შემადგენლობით, მაშინ შესაძლებელი გახდება ღორების გაგზავნა მიმდინარე ჯარის ნაწილების მოსამარაგებლად. ჩამორთმეულ ღორის ხორცში ფულის გადახდა ისევეა საჭირო, როგორც იმ ადგილებში, რომელსაც ომი არ შეხებია, განსაკუთრებული ფასიანი ღანამატით — თითო კილო ცოცხალ ხორცზე თორმეტი ჰელერის რაოდენობით. თუ სიტუაცია სავსებით ნათელი არ არის, მაშინ საჭიროა გადაუდებლად, ადგილზევე შეიქმნას კომისია დანტრეესებული პირის. სამხედრო ნაწილის მეთაურისა და იმ ოფიცრის ან უფროსი გადამწერის — (თუ საქმე ეხება შედარებით პატარა

ქვედანაყოფს) შემადგენლობით, რომელსაც სამეურნეო ნაწილი აბარია.

ყოველივე ეს პოდპორუჩიკმა ცაიტჰამლმა წაიკითხა დივიზიის ბრძანების იმ კოპიის მიხედვით, რომელიც სულ თან დაჰქონდა და უკვე თითქმის ზეპირად იცოდა. ფრონტისპირა ზონაში სტაფილოზე ფასი ხუთმეტ მთელსა და ათ მეათედ ჰელერამდე იზრდება, ხოლო „Offiziersmenagelkücheabteilung“¹-ის ერთი კილოგრამი კალნაბის ფასი ერთ კრონასა და სამოცდახუთმეტ ჰელერამდე იწევს.

იმას, ვინც ვენაში ეს ბრძანება დაწერა, როგორც ჩანს, ფრონტისპირა ზონა სტაფილოთი და კალნაბით გავსებული წარმოედგინა. პოდპორუჩიკმა ცაიტჰამლმა ეს ბრძანება აღელვებულ გლეხს ცხადია გერმანულად წაუკითხა. მერე იმავე ენაზე ჰკითხა, გაიგო თუ არა მან რა წაუკითხეს და როცა უარის ნიშნად გლეხმა თავი გააქნია, დაუყვირა: — „ესე იგი კომისია გინდა?“

გლეხმა გაიგო სიტყვა „კომისია“ და დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. ამასობაში გლეხის გოჭები უკვე წაათრიეს საწამებლად საველე სამზარეულოსაკენ. რეკვიზიციისათვის მივლინებული ხიმტებიანი ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ გლეხს და კომისია გაემართა დაბისაკენ, რათა ადგილზე გამოერკვიათ ორი კრონა და ორმოცდათორმეტი ჰელერი უნდა მიეღო გლეხს, თუ ორი კრონა და ოცდარვა.

ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსულები სოფლისაკენ მიმავალ გზაზე, რომ საველე სამზარეულოდან სამგზის გაისმა სასიკვდილოდ განწირული გოჭების ჰყვირილი. გლეხი მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა და საშინელი ყვირილი მორთო:

— თითველ ღორში ორი ოქრო მომეცით!

ოთხი ჯარისკაცი კიდევ უფრო მკიდროდ შემოეხვია გლეხს, ხოლო მთელი ოჯახი წინ გადაეღობა კაპიტან საგნერსა და პოდპორუჩიკ ცაიტჰამლს და შუა გზაზე, იმ მტვერში ფეხებში ჩაუვარდა. დედა და ორი ქალიშვილი მუხლებზე ეხვეოდნენ და თან მწყალობლებს ეძახდნენ, სანამ გლეხმა არ დაუყვირა თავის ცოლშვილს და რუსინების დიალექტზე არ უთხრა, ფეხზე წამოდექით, ჯანდაბას, გადაჰყვენენ სალდათები ამ გოჭებსო...

ამით დაასრულა კომისიამ თავისი მოღვაწეობა. უცებ გლეხი გაშმაგდა და მუშტების ქნევა დაიწყო. მაშინ ერთმა ჯარისკაცმა ისეთი ჩაარტყა კონდახი თავში, რომ გლეხს თვალთ დაუბნელდა.

¹ ოფიცერთა სამზარეულოს ერთ-ერთი განყოფილება (გერმ.).

მთელმა ოჯახმა პირველი გადაიწერა და ოჯახის თავთან ერთად მოკურცხლა შინისაკენ.

ათი წუთის შემდეგ ბატალიონის უფროსი გადამწერი ბატალიონის ორდინარეც მატუშჩიხთან ერთად თავის ვაგონში მაღიანად შეექცეოდა ღორის ტვინს. ჭამისაგან გამსკდარი უფროსი გადამწერი დრო და დრო გესლიანად მიმართავდა ხოლმე უმცროს გადამწერს:

— არც თქვენა ხართ მგონი უარზე შესანსლოთ ეს საკმელი, ხომ ასეა? არა, ბიჭებო, ეს მხოლოდ უნტეროფიცრებისათვისაა განკუთვნილი. მზარეულებისათვის — ღვიძლი და თირკმელებია. ბატონი ფელდფებლებებისათვის — ტვინი და თავი, ხოლო უმცროს გადამწერთათვის ჯარისკაცის ორმაგი პორცია ხორცი.

კაპიტანმა საგნებმა უკვე გასცა ბრძანება ოფიცერთა სამზარეულოსათვის: „შეწვან ღორის ხორცი და შეაზავონ კვლიავით; ამისათვის შერჩეულ იქნას საუკეთესო ხორცი, ოღონდ ძალიან მსუქანი ნუ იქნება“. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ლუპკოვის უღელტეხილზე სადილის დარიგებისას ჯარისკაცებმა თავის კარდალაში ხორცის ორი პატარა ნაჭერი აღმოაჩინეს. უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილებს კი მხოლოდ კანის ნაჭერი შეხვდათ.

სამზარეულოში ჩვეულებრივი, არმიისეული ნათლიაობა იყო გამეფებული. უპირატესობით სარგებლობდნენ ის პირები, რომელნიც უფრო ახლოს იყვნენ გაბატონებულ დამქაშებთან. დენშჩიკები გაქონილი დრუნჩებით დაიარებოდნენ. ორდინარეცებს მთულები დოლებივით დაჰბეროდათ. აღმამფოთებელი უწესრიგობა სუფევდა ირგვლივ.

სამართლიანობის დაცვის მიზნით ნებითგანწესებულმა მარეკმა სამზარეულოსთან ჩხუბი ატეხა. მზარეულმა მას კარდალაში წვენიდან ერთად მოხარშული სუკის საკმაოდ მოზრდილი ნაჭერი ჩაუგდო და თან დააყოლა: „ეს ჩვენს ისტორიოგრაფს“. მარეკმა განაცხადა, რომ ომში ყველა ჯარისკაცი ერთიაო. ამან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, მზარეულს კი გალანძღეს.

ნებითგანწესებულმა უკანვე ჩააგდო ხორცის ნაჭერი და ამით ყველას დაანახა, რომ უარს ამბობს ყოველგვარ პრივილეგიებზე. სამზარეულოში ვერ გაიგეს რაში იყო საქმე და გადასწყვეტეს. რომ ბატალიონის ისტორიოგრაფი მირთმეული ნაჭერის უკმაყოფილო დარჩა, ამიტომ მზარეულმა წასჩურჩულა, სადილის შემდეგ მოდიოდა და ბარკლის ნაჭერს მოგიჭრითო.

გადამწერებსაც უპირილებდათ დრუნჩები. სანიტრები ღვიოდნენ მეტისმეტი კეთილდღეობისაგან. მთელი ამ სიუხვის გვერდით

კი, არც ისე დიდი ხნის წინ წარმოებული ბრძოლების მიულაგებელი ნარჩენები ეყარა; აქა-იქ გაფანტული იყო ვაზნების მკიდევები, კონსერვის ცარიელი კოლოფები. რუსული. ავსტრიული და გერმანული მუნდირის ძონძები, გატეხილი ორთვალა ეტლების ნაწილები, დოლბანდის სახვევების გრძელი ბაფთები. ყოფილი სადგურის გვერდით, რომლისგანაც მხოლოდ ნანგრევების გროვალა იყო, ძველ ფიჭვის ხეში, აუფეთქებელი ყუმბარა ჩარჩენილიყო, ყველგან ეყარა ჭურვის ნატეხები; საშინელი მძორის სუნი მოდიოდა. როგორც ჩანს, შორიანლოს ჯარისკაცთა საფლავები იყო.

ჩვეულებრივ ამ ადგილას უნდა გაეგლო და დაბანაკებულიყო ჯარი; სწორედ ამიტომ ყველგან მოსჩანდა ადამიანის განავალის გროვა. იგი საერთაშორისო წარმოშობისა იყო და ეკუთვნოდა როგორც ავსტრიის ყველა ხალხების, ისე გერმანიისა და რუსეთის წარმომადგენლებს. სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის მქონე ჯარისკაცების განავალი ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული, ხან კი შრე-შრედ ეწყობოდა ერთმანეთზე. ყოველგვარი დავისა და ჩხუბის გარეშე.

ნახევრად დანგრეული წყალსაწნევი კოშკი, რკინიგზის დარაჯის ხის ჯიხური და ყველაფერი, რასაც კედლები გააჩნდა, ტყვიისაგან იყო დაცხრილული. ომის მშვენიერებებს, გორაკს უკან ამოსული კვამლის სვეტები აგვირგვინებდა: გეგონებოდათ მთელი სოფელი იწვის ან მახვილი საომარი ოპერაციები ტარდებაო. სინამდვილეში სწევადნენ ხოლერისა და დიზენტერიის ფარდულებს იმ ბატონების გულის გასახარებლად. რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ჰოსპიტლებში მოწყობაში, ქურდობდნენ, ჯიბეებს იტენიდნენ და თან არარსებული ხოლერისა და დიზენტერიის ფარდულების ასაშენებლად დახარჯულ თანხის ანგარიშს ადგენდნენ.

ამჟამად ფარდულების ერთი ჯგუფი პასუხს აგებდა ყველა დანარჩენის ნაცვლად და დამწვარი ჩალის ლებების სიმყარაღეში ცისაკენ აღიმართებოდა ერცჰერცოგინიას მფარველობის ქვეშ ჩადენილი მთელი ნაძარცვი.

სადგურის უკან, საწყობში, გერმანელებმა საჩქაროდ დაუდგეს დალუპულ ბრანდენბურგელებს ძეგლი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული დიდი არწივითა და წარწერით: „Den Helden von Lupkapass“¹. ცოკოლის წარწერაში აღნიშნული იყო, რომ ეს ემბლემა ჩამოსხმულია რუსული ზარბაზნებისაგან, რომელიც გერმანულმა პოლკმა ჩაიგდო ხელთ კარპატების განთავისუფლების დროს. -

¹ ლუპკოვსკის უღელტეხილის გმირებს (გ ვ რ მ).

ასეთ უცნაურსა და მისთვის აქამდე შეჩვეულ ბტმოსფეროში ისვენებდა ბატალიონი ნასადილევს ვაგონებში, კაპიტანი საგნერი კი თავის ადიუტანტებთან ერთად იყო და დაშიფრულ ტელეგრამებს არჩევდა. მათ ვერაფრით ვერ მოელაპარაკებინათ ბრიგადის ბაზასთან, ბატალიონის შემდგომდ მარშრუტის შესახებ.

ცნობები იმდენად არეული იყო, რომ იქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა — ისინი ლუპკოვის უღელტეხილზე კი არ უნდა წასულიყვნენ, არამედ შიატორის მახლობლად მდებარე ახალი ადგილიდან სულ სხვა მიმართულებით უნდა გამგზავრებულყვნენ; ტელეგრამებში ხომ ლაპარაკი იყო ისეთ ქალაქებზე, როგორცაა ჩოპ-უნგვარი¹ — კიშ-ბერეზნა* — უჟოკი*.

ათი წუთის შემდეგ გამოიჩვენა, რომ ბრიგადაში მყოფი შტაბის ოფიცერი — ნამდვილი ყეყეჩია: აგზავნის დაშიფრულ ტელეგრამას შეკითხვით, ლაპარაკობს თუ არა სამოცდამეხუთმეტე პოლკის მერვე სამარშო ბატალიონი (სამხედრო შიფრი C 3). ხოლო როცა პასუხობენ, რომ მავთულზე ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მეშვიდე სამარშო ბატალიონია. ბრიგადის ყეყეჩი გაოცებული რჩება. იგი კითხულობს, ვინ გასცა ბრძანება მუჟაჩევოდან სამხედრო რკინიგზით გამგზავრებულყვნენ სტრიში. როდესაც მათი მარშრუტი მიემართება ლუპკოვის უღელტეხილის გავლით სანოკამდე, იქიდან კი ჰალიციაში.

ბრიგადის ყეყეჩი საშინლად გაოცებულია ლუპკოვის უღელტეხილიდან მიღებული ტელეგრამის გამო და კვლავ აგზავნის დაშიფრულ ტელეგრამას: „მარშრუტი უცვლელი რჩება; ლუპკოვის უღელტეხილი — სანოკი, სადაც უნდა დაელოდონ მოგად ბრძანებას“.

კაპიტან საგნერის საშტაბო ვაგონში დაბრუნების შემდეგ მსჯელობა მიმდინარეობს აშკარა უთაურობაზე; გადაკვრით იმასაც ამბობენ: გერმანელები რომ არა, აღმოსავლეთის სამხედრო ჯგუფი სულ დაკარგავდა თავსაო.

პოლპორუჩიკი დუბი ცდილობდა გაემართლებინა ავსტრიული შტაბის უთაურობა და რალაკეებს ჩმახავდა იმის შესახებ, რომ აქაური მხარე გაპარტახებულია ამასწინანდელი ბრძოლებით და რომ რკინიგზის ხაზი ამის გამო ჯერ კიდევ ვერ მოიყვანეს წესრიგში.

ყველა ოფიცერი სიბრალულით უმზერდა მას. თითქოს იმის თქმა უნდოდათ: „რა ამ კაცის ბრალია, რომ ასეთი შტერი დაიბადა“. პორუჩიკი დუბი, რაკი არავინ გამოელაპარაკა, დიდხანს საუბ-

¹ უეგოროდის უნგრული სახელწოდება.

რობდა იმის შესახებ. რა შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ გავერანებულმა მხარემ, რომელიც წარმოადგენს ჩვენი არმიის რკინის მუშტის ძალის ილუსტრაციასო. მას არაფერ გამოეპასუხა და დუმდა კვლავ განაგრძო: „ჰო, სავსებით ცხადია, რომ რუსებმა საშინელ პანიკაში უკუიქცნენ აქედან“.

კაპიტანმა საგნერმა გადაწყვიტა: როცა სანგრებში იქნებიან და განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნება, იგი პირველ შემთხვევისთანავე გაგზავნის პოდპოლკოვნიკ დუმბს ოფიცერ-მზვერავად მავთულღობურას გადალმა. მოწინააღმდეგის პოზიციების რეკოგნოსტიროვკისათვის. კაპიტან საგნერს ლუკაშივით გამოუყვია თავი ფანჯრიდან და ეჩურჩულება:

— რა ეშმაკად გამოგზავნეს ჩვენ თავს სატეხად ეს სამოქალაქოები, რაც მეტი განათლება აქვთ. მით უფრო შტერები არიან!

პოდპორუჩიკი დუმბის გაჩუმების იმედი აღარ ჰქონდათ. მან ოფიცრებს უამბო ყველაფერი, რაც გაზეთში ამოიკითხა კარპატებზე ბრძოლების შესახებ ავსტრო-გერმანიის მდინარე სანზე * იერიშის დროს.

იგი ისე ყვებოდა, თითქოს, ამ ბრძოლების მართო მონაწილე ყი არა, ამ ოპერაციების მეთაურიც ყოფილიყო.

განსაკუთრებული ზიზღი გამოიწვია მისმა სიტყვებმა: „შემდეგ ბუკოვისაკენ გავემართეთ, რათა ბუკოვ-დინუვის ხაზი უზრუნველგვეყო; ამასთანავე არ ვწყვეტდით კავშირს დიდ მინდორთან მყოფ ბარდევეის ჯგუფთან, სადაც მოწინააღმდეგის სამარსკის დივიზია გავანადგურეთ“.

პორუჩიკ ლუკაშს მოთმინება გამოელა, დუმბს სიტყვა გააწყვეტინა და დააყოლა: „ამას შენ ალბათ ჯერ კიდევ ომამდე ეუბნებოდი ოლქის მეთაურს“.

პოდპორუჩიკმა დუმბმა მტრულად შეხედა პორუჩიკ ლუკაშს და ვაგონიდან გავიდა.

სამხედრო მატარებელი მიწაყრილზე იდგა. ხოლო ქვემოთ, რამოდენიმე მეტრის დაშორებით, ფერდობთან, რაღაც ნივთები ეყარა. ისინი იმ რუსის ჯარისკაცებს მიეტოვებიათ, რომლებმაც. როგორც ჩანს. უკან დახვევის დროს ამ თხრილზე გადაიარეს. აქ ეყარა დაქანგული ჩაიდნები, ქოთნები და ფალასკები; მათ შორის ერთი ეკლიანი მავთულხლართები, გასისხლიანებული მარლის სახვევები და ბამბა. ერთგან, თხრილის პირას იდგა ჯარისკაცების ჯგუფი; პოდპორუჩიკმა დუმბმა იმწამსვე შეამჩნია, რომ მათ შორის შევიკაც იყო და რაღაცას ყვებოდა.

იქით გასწია.

— რა მოხდა? — მკაცრად შესძახა პოდპორუჩიკმა დუბმა. იგი შვეიკის პირდაპირ იდგა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — ყველას მაგვირად უპასუხა შვეიკმა, — ვუყურებთ.

— რას უყურებთ? — დაიყვირა პოდპორუჩიკმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, ქვემოთ, თხრილში ვიყურებით.

— კი მაგრამ, ვინ მოგცათ ამის უფლება?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ. ასეთია ჩვენი ბრუკელი ბატონი პოლკოვნიკ შლაგრის ნება-სურვილი. ფრონტზე რომ მოვდიოდით, მან თავის გამოსათხოვარ სიტყვაში გვითხრა, როცა ბრძოლის ადგილებს გაივლით, თქვენი ყურადღება გააორკვეეთ იმაზე, როგორ ვითარდებოდა ბრძოლა, რომ აქედან თქვენთვის რაიმე სასარგებლო გამოიტანოთ. და აი აქ, ამ თხრილში, ჩვენ გხედავთ, რას ყრის ჯარისკაცი გაქცევის დროს. მაქვს პატივი მოგახსენოთ. პანე ლეიტენანტ, რომ ეხლა გავიგეთ, რა სისულელეა, როცა ჯარისკაცი ამდენ ზედმეტ ნივთს ატარებს. ამით იგი ტყუილუბრალოდ იტვირთება და იღლის თავს. როცა ჯარისკაცი ასეთ სიმძიმეს ათრევს თან, მისთვის ძნელია ბრძოლა.

პოდპორუჩიკ დუბს იმედი მიეცა, რომ ბოლოს და ბოლოს შესძლებს შვეიკი სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს ანტიმილიტარისტული, მტრული პროპაგანდისათვის. ამიტომ იგი სასწრაფოდ შეეკითხა შვეიკს:

— ესე იგი თქვენ ფიქრობთ, რომ ჯარისკაცმა უნდა გადაავდოს ვაზნები ან ხიშტი, რომ ისინი ისე ეყაროს თხრილში, როგორც აქაა?

— არავითარ შემთხვევაში, პანე ლეიტენანტ, — მიუგო შვეიკმა სასამართლო ღიმილით ბაგეზე, — ინებეთ და შეხედეთ აი იქ, ქვემოთ დაგდებულ რკინის ღამის ჭურჭელს.

მართლაც, მიწაყრილის ქვეშ, ნატეხებს შორის გამომწვევად ეგდო მომტვრეულ მინანქრიანი ღამის ჭურჭელი. ყველა ეს საშინაო საქმისათვის გამოუსადეგარი საგნები სადგურის უფროსს დაეწყო აქ, რათა მომავალი საუკუნეების არქეოლოგებს ჰქონოდათ სალაპარაკო მასალა — ამ ადგილის პოვნისას ისინი სავსებით გამოყვეჩდებიან, ხოლო სკოლის ბავშვებს შეასწავლიან მინანქრიანი ღამის ჭურჭლების საუკუნეს.

დუბმა შეხედა ამ საგანს და სხვა აღარაფერი დარჩენოდა უნდა აღენიშნა: ეს ჭურჭელი ნამდვილად იმ ინვალიდების რიცხვს ეკუთ-



ენის, რომლებმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა ლოგინის ქვეშ გაატარეს.

ამ ამბავმა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რადგან პოდპორუჩიკი დუბი სღუმდა. შევეიკმა წამოიწყო:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ. პანე ლეიტენანტ, რომ ასეთი დამის ჭურჭლის გამო კურორტ პოდებრადზე * ძალიან სასაცილო ამბავი მოხდა. ამის შესახებ ჩვენ მოგვითხრეს ვინოგრადეს სამიკიტნოში. იმ ხანებში პოდებრადში პატარა ეურნალი „დამოუკიდებლობის“ გამოცემა დაიწყო. მას სათავეში ჩაუდგა პოდებრადის მეაფეთიაქე. ხოლო რედაქტორად დანიშნეს დომაქლიცელი ვლადისლავ გაეკი.

მეაფეთიაქე დიდი უცნაური კაცი იყო. იგი ძველ ჭურჭელსა და ყოველგვარ ძველმანს აგროვებდა; თითქმის მთელი მუზეუმი შექმნა. იმ დომაქლიცელმა გაეკმა, კი, ერთხელ სტუმრად მიიწვია თავისი მეგობარი, რომელიც მასავით გაზეთში მუშაობდა. მათ მთელი კვირა არ ენახათ ერთმანეთი და, რა თქმა უნდა, კარგადაც გამოთვრენ. სამაგიეროდ მეგობარი დაპირდა, რომ „ფილიტონს“ დაწერდეს წორედ იმ გაზეთში, რომელსაც „დამოუკიდებლობა“ ერქვა. იმ და-

მოუკიდებელ გაზეთში, რომელზეც იგი დამოკიდებული იყო. პო-
ლა, დაწერა მისმა მეგობარმა „ფილიტონი“ ერთი კოლექციონერის
შესახებ, რომელმაც ლაბას ნაპირებზე, ქვიშაში იპოვა ძველი რკინის
ლამის ქურჭელი. ეს ქურჭელი მას წმიდა ვაცლავის მუზარადი ეგო-
ნა და ისეთი აურზაური ატეხა, რომ ამ მუზარადის სანახავად გრა-
დაცელი ეპისკოპოსი ბრინიხიც კი ჩამოვიდა პროცესიითა და დრო-
შებით. პოდებრადელმა მეთაფთიაქემ გადაწყვიტა, რომ დამცინიანო
და გაექს სასამართლოში უჩივლა.

პოდპორუჩიკი დიდი სიამოვნებით გადაუშვებდა შვეიკს
თხრილში, მაგრამ თავი შეიკავა და ყველას დაუყვირა:

— გელაპარაკებით ტყუილებრალოდ ნუ დაგიჟყეტიათ თვალე-
ბი და ნუ იცქირებით; თქვენ ჯერ კიდევ არ მიცნობთ, მაგრამ მალე
გამიცნობთ! შვეიკ, თქვენ დარჩით, — დაიყვირა მან მრისხანედ,
როცა შვეიკი სხვებთან ერთად ვაგონისაკენ გაემართა.

ისინი პირისპირ დარჩნენ. პოდპორუჩიკი დუბი იმის ფიქრში
იყო, რა ეთქვა ისეთი, რომ ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა, მაგ-
რამ შვეიკმა დაასწრო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, კარგი იქნება,
თუ ასეთ ამინდს დაიჭერს. დღისით მაინცდამაინც არ ცხელა, ლა-
მეები კი ძალიან სასიამოვნოა. ყველაზე უფრო ხელსაყრელი დროა
სამხედრო მოქმედებისათვის.

პოდპორუჩიკმა დუბმა ამოიღო რევოლვერი და შეეკითხა:

— იცი ეს რა არის?

— დიახ, პანე ლეიტენანტ, ვიცი. ჩვენს ობერ-ლეიტენანტ ლუ-
კაშს ზუსტად ასეთივე რევოლვერი აქვს.

— მაშ დამახსოვრე, შე არამზადავ. — მკაცრად და თავმომწო-
ნედ სთქვა დუბმა და რევოლვერი უკანვე ჩადო, — იცოდე, რომ
შენი საქმე ცუდად დამთავრდება, თუ მომავალშიც განაგრძობ ამ-
გვარ პროპაგანდას.

პოდპორუჩიკი დუბი წავიდა და თან კმაყოფილებით იმეორებდა
თავისთვის: „ეს კარგად ვუთხარი: „პროპა-გან-დას, დიახ. პრო-
პა-გან-დას!..“

ვაგონში შესვლამდე შვეიკმა ცოტა გაისეირნა, თან თავისთვის
ბუტბუტებდა:

— კი მაგრამ, რა შევარქვა ამ კაცს? — და რაც მეტს ფიქრობდა.
მით უფრო მკაფიოდ ისახებოდა შვეიკის გონებაში მეტსახელი „ნა-
ხევრადკუანა“.

სამხედრო ლექსიკონში სიტყვა „კუანამ“ დიდი ხანია განსაკუთ-
რებული სიყვარული დაიმსახურა. ეს საპატიო წოდება უმთავრესად
184

ეხებოდა პოლკოვნიკებს და ხნიერ კაპიტნებს ან მაიორებს: მეტსახელი კუანა „საძაგელი ბებრუცუნას“ შემდგომი საფეხური იყო... ამ ეპითეტის გარეშე „ბებრუცუნა“ საალერსო სიტყვაა ნიშნავდა მოხუცი პოლკოვნიკისა და მაიორისათვის, რომელიც ბევრს ყვიროდა, მაგრამ თავისი ჯარისკაცები უყვარდა და სხვა პოლკებს არ მისცემდა უფლებას მათთვის ეწყენინებიათ; განსაკუთრებით, თუ საქმე უცხო პატრულებს ეხებოდა. პატრულები მისი ნაწილის ჯარისკაცებს გამოათრევდნენ ხოლმე სამიკიტნოდან, თუ ისინი დროზე მეტხანს დააყოვნებდნენ იქ. „ბებრუცუნა“ ზრუნავდა თავის ჯარისკაცებზე; თვალყურს ადევნებდა, რომ სადილი კარგი ყოფილიყო, მაგრამ რაიმე ყოველთვის ჰქონდა აჩემებული. თუ ახიარებდა რამეს, მერე ნახვამდის! სწორედ ამიტომ შეარქვეს „ბებრუცუნა“.

მაგრამ, თუ „ბებრუცუნა“ ტყუილუბრალოდ გადაეკიდებოდა ჯარისკაცს ან უნტერს. მოიგონებდა რაიმე ღამის მეცადინეობას და სხვა ამგვარ ოინებს, მაშინ იგი უბრალო „ბებრუცუნადან“ „საზიზღარ“ ან „საძაგელ ბებრუცუნად“ გადაიქცეოდა.

ლუწისობის, გადაკიდებისა და სისულელის უმაღლესი საფეხური აღნიშნებოდა სიტყვით „კუანა“. ეს სიტყვა ყოვლისშემცველი იყო. სამოქალაქო კუანასა და სამხედრო კუანას შორის დიდი განსხვავება იყო.

პირველი, ანუ სამოქალაქოც, უფროსთავანია და მას ჩვეულებრივ ასე უძახიან დაწესებულებებში შიკრიკები და მოხელეები. ეს არის ფილისტერი-ბიუროკრატი, რომელიც ტუქსავეს, მაგალითად, იმისათვის, რომ შავად დაწერილი სამუშაო კარგად არ არის საშრობით გამშრალი, და ა. შ. იგი საოცარი იდიოტია, ნამდვილი ცხოველი; ვირია, რომელსაც ჰკვიანად მოაქვს თავი; ისეთ სახეს იკეთებს, თითქოს ყველაფერი ესმის, ყველაფრის ახსნა შეუძლია და ამავე დროს ყველაფერი სწყინს.

ვინც სამხედრო სამსახურში ყოფილა. რა თქმა უნდა, ესმის განსხვავება ამ ტიპსა და სამხედრო მუნდირში გამოწყობილ „კუანას“ შორის. აქ ეს სიტყვა ნიშნავდა „ბებრუცუნას“. რომელიც ნამდვილად საძაგელ ბებრუცუნას წარმოადგენდა. იგი ყოველთვის ხიფათში იგდებდა თავს და ამავე დროს ყოველგვარი დაბრკოლება აშინებდა. ჯარისკაცები არ უყვარდა; უშედეგოდ ებრძოდა მათ და არც ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც „ბებრუცუნები“ სარგებლობდნენ, და არც ისეთი, რომლითაც ნაწილობრივ „საძაგელი ბებრუცუნებიც“ სარგებლობდნენ.

ზოგიერთ გარნიზონებში, მაგალითად, ტრენტოში, სიტყვა „კუანას“ მაგივრად „ჩვენ ძველ ფეხისადგილს“ ხმარობდნენ ხოლმე.

ასეთ შემთხვევებში ლაპარაკი იყო ხნიერ კაცზე და თუ შეეიკმა გუნებაში პოდპორუჩიკ დუბს „ნახევრადკუანა“ უწოდა, იგი სავსებით ლოგიკურად მოიქცა, რადგან როგორც ასაკის, ისე სამხედრო ხარისხისა და საერთო მონაცემების მიხედვით, დუბს „კუანამდე“ კიდევ ორმოცდაათი პროცენტი აკლდა.

ამ აზრებით ბრუნდებოდა შეეიკი თავის ვაგონში, როდესაც გზაში დენშიჩიკი კუნერტი შემოხვდა. კუნერტს ლოყა გასიებოდა. მან გაუგებრად წაიბურტყუნა, რომ დიდიხანი არ არის რაც შეჯახება მოუხდა ბატონ პოდპორუჩიკთან, რომელმაც სრულიად უმიზეზოდ გააწნა სილა, რადგან, მისივე თქმით, გარკვეული საბუთი ჰქონდა იმისათვის, რომ კუნერტი შეეიკთან შეკრული იყო.

— რადგან ასეა, — განსაჯა შეეიკმა, — წავიდეთ პატაკის მისაცემად. ავსტრიელი ჯარისკაცი მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაშია მოვალე აიტანოს გასილაქება. შენს უფროსს ძალიან თავს გაუვიდა; მოხუცი ევგენ სავოიელი იტყოდა ხოლმე: „აქედან აქობამდო“. ეხლა შენ მოვალე ხარ პატაკი მისცე და თუ არ წახვალ, მე თვითონ გაგასილაქებ. მაშინ გაიგებ რას ნიშნავს სამხედრო დისციპლინა. კარლინის ყაზარმაში ერთი ლეიტენანტი იყო, გვარად გაუსნერი. მას ჰყავდა დენშიჩიკი. რომელსაც ხან სახეში ურტყამდა, ხან წიხლებს დაუშენდა ხოლმე. ერთხელ ისე გაასილაქა, რომ დენშიჩიკი სულ გამომტერდა და პატაკი მისცა. მაგრამ პატაკის მიცემის დროს ყველაფერი აურია და განაცხადა, რომ წიხლები ურტყეს. ლეიტენანტმა დაამტკიცა, რომ ჯარისკაცი ტყუის: იმ დღეს წიხლი არ ჩაურტყამს, მხოლოდ ცხვირ-პირში ჩასცხო. ცხადია თავაზიანი დენშიჩიკი ცრუ ჩვენებისათვის სამი კვირით ჩასვეს.

— მაგრამ, ეს საქმეს არა სცვლის, — განაგრძო შეეიკმა. — ეს ხომ სწორედ ისაა, რისი გამეორებაც ხშირად უყვარდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ გოუბიჩკას. მისი თქმით, სულ ერთი იყო ვის გვამს გაჭრიდნენ პათოლოგიის ინსტიტუტში: იმ ადამიანისას, თავი რომ ჩამოიხრჩო, თუ იმისას, რომ მოიწამლა. მე წამოგყვები; წყვილი სილა ომში ბევრს ნიშნავს.

კუნერტი სულ გამოთაყვანდა და ძლივს წალასლასდა შეეიკთან ერთად საშტაბო ვაგონისაკენ.

პოდპორუჩიკმა დუბმა ვაგონიდან თავი გამოყო და დაიღრიალა:

— რა გინდათ აქ, თქვე არამზადებო?

— თავი ღირსეულად დაიჭირე, — ურჩია. შეეიკმა კუნერტს და ვაგონში ჯიკავ-ჯიკავით. შეაგლო.

ვაგონის დერეფანში გამოჩნდა პორუჩიკი ლუკაში; მას გამოჰყვა კაპიტანი საგნერი.

პორუჩიკი ლუკაში, რომელსაც ამდენი უსიამოვნება შეხვდა შვეიკის გამო. ძალიან გაკვირვებული დარჩა მისი დანახვით. შვეიკს სახეზე ჩვეულებრივი კეთილი გამომეტყველება აღარ ჰქონდა; ეტყობოდა ახალი უსიამოვნებანი. შეემთხვა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — თქვა შვეიკმა, — საქმე პატაკის მიცემას ეხება.

— ძალიან გთხოვთ, მაიმუნობას თავი გაანებეთ, შვეიკ! მე უკვე მომწყინდა ეს ამბები.

— მომეცით ნება მოგახსენოთ, რომ მე თქვენი სამარშო ასეულის ორდინარეცი გახლავართ, თქვენ კი მეთერთმეტე ასეულის მეთაური ბრძანდებით. ვიცი, რომ ეს ცოტა უცნაურად გამოიყურება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ბატონი ლეიტენანტი დუბი თქვენი ქვეშევრდომია.

— შვეიკ, თქვენ მთლად გადაირიეთ! — გააწყვეტინა სიტყვა ლუკაშმა, — თქვენ მთვრალი ხართ და კარგს იზამთ თუ გაეცლებით აქაურობას. გესმის, შე, რეგვენო, პირუტყვი?!

— მაქვს პატივი მოგახსენოთ პანე ობერ-ლეიტენანტ, და ხელი წაჰკრა კუნერტს, — ეს ზუსტად იგივე ამბავია. რაც ერთხელ პრალაში მოხდა: ცლას აწარმოებდნენ საცავ გისოსზე, რომ ტრამვაის არავინ გაეტანა. ამ ცლას თავი შესწირა თვით გამომგონებელმა, შემდეგ ქალაქი ქვრივს პენსიას აძლევდა.

კაპიტანი საგნერი, რომელმაც აღარ იცოდა რა ეთქვა. თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა, იმ დროს, როცა პორუჩიკ ლუკაშის სახე სასოწარკვეთას გამოხატავდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყველაფერზე უნდა გიპატაკოთ, — მკაცრად განაგრძობდა შვეიკი. — თქვენ უკვე ბრუქშივე მითხარით, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ ასეულის ორდინარეცად გახდომასთან დაკავშირებით, ყოველგვარი ბრძანების შესრულების გარდა, კიდევ სხვა მოვალეობაც მაქისრია. ყველაფერი უნდა ვიცოდე რაც ასეულში ხდება. ამ ბრძანების საფუძველზე, პანე ობერ-ლეიტენანტ. თავს უფლებას ვაძლევ მოგახსენოთ, რომ ბატონმა ლეიტენანტმა დუბმა სულ ტყუილუბრალოდ გაასილაქა თავისი დენშჩიკი. მაქვს პატივი მოგახსენოთ. პანე ობერ-ლეიტენანტ, ამაზე ლაპარაკს არ დაგიწყებდი, რომ ლეიტენანტი დუბი თქვენა ქვეშევრდომი არ იყოს. რადგან ასეა, გადაწყვიტე გიპატაკოთ.

— საკვირველი ამბავია, — ჩაფიქრდა კაპიტანი საგნერი, — ჯიკავ-ჯიკავით რატომ მოგყავთ კუნერტი ჩვენთან?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ბატალიონის მეთაურო, —



პატაკის მიცემა ყველაფერზეა საჭირო. ეს სულელია; პანე ლეიტენანტმა ცხვირ-პირი ჩაუღუნა, ამას კი ერიდება პატაკისათვის მართო მოსვლა. ინებეთ და ნახეთ, პანე კაპიტან, როგორ უკანკალებს მუხლები, შიშისაგან ლამის გული გაუსკდეს. მე რომ არა ვერასდროს ვერ გადაწყვეტდა პატაკის მოცემას. ბიტოუხოველი კუდელისა არ იყოს: სამხედრო სამსახურში ყოფნისას იქამდე იარა საპატაკოდ, ვიდრე ფლოტში არ გადაიყვანეს, სადაც კორნეტის წოდების მიღებამდე დარჩა, და ბოლოს. წყნარი ოკეანის რომელიღაც კუნძულზე დეზერტირად არ გამოაცხადეს. მერე იქვე ითხოვა ცოლი. ერთხელ ვიღაც მოგზაურ გავლასს გამოელაპარაკა; უკანასკნელმა ვერაფრით ვერ შესძლო მისი აღგილობრივ მცხოვრებთაგან გამოჩევა. საერთოდ, ძალიან სამწუხაროა, რაღაც იდიოტური რამდენიმე სილაქის გულისათვის საპატაკოდ წასვლა რომ დაგჭირდება კაცს. კუნერტს არც კი უნდოდა წამოსვლა, ამბობდა, არ წავალ. იმდენჯერ მიუღია ასეთი სილაქები, რომ აღარც კი იცის რომელ მათგანზეა ლაპარაკი. მას არაერთხელ სურვილი არ ჰქონია აქ მოსვლისა და განსაკუთრებით პატაკის მოცემის. იგი კვლავაც მისცემს ცემის უფლებას, თუ კი უფროსს ექნება ამის სურვილი. მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე კაპიტან, აბა შეხედეთ: შიშისაგან ჩაისვარა. მეორეს მხრივ, მას მაშინვე უნდა განეცხადებია, რომ გაასილაქეს, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან იცოდა, რომ როგორც ვიღაც პოეტი სწერდა სჯობს „მორცხვი ია“ იყო; ის ხომ ბატონ ლეიტენანტ ღუბის დენშჩიკია.

შვეიკმა კიდევ უჯიკავა კუნერტს და უთხრა:

— გეყო, ნულარ თრთი ვერხვის ფოთოლივით!

კაპიტანმა საგნერმა გამოკითხა კუნერტს საქმის ვითარება. კუნერტი მთელი სხეულით თრთოდა და ითხოვდა, ყოველივე თვითონ ლეიტენანტისათვის ეკითხათ. საერთოდ, ბატონ ლეიტენანტ ღუბის მისთვის სახეში არ გაურტყამს.

იუდა კუნერტმა კანკალით ისიც კი განაცხადა, რომ ყველაფერი შვეიკის მოგონილიაო. ამ სამწუხარო შემთხვევას ბოლო მოუღო თვითონ პოდპორუჩიკმა ღუბმა, რომელიც უცებ გაჩნდა იქ საიდანღაც და დაუყვირა კუნერტს:

„ — ახალი სილაქი გინდა მიიღო? "

ყველაფერი ცხადი გახდა და კაპიტანმა საგნერმა პირდაპირ განუცხადა პოდპორუჩიკ ღუბს:

დღეიდან კუნერტი მივიღინებულ იქნება ბატალიონის სამზარეულოში, ზოლო ახალი დენშჩიკისათვის მიმართეთ უფროს გადამწერ ვანეკს.

პოდპორუჩიკმა დუბმა სალამი მისცა კაპიტანს და წავიდა, თან შვეიკს მიაძახა:

— ნიძლავს ვლებ, რომ სახრჩობელა არ ავცდებით!

როცა დუბი წავიდა, გულაჩუყებულმა შვეიკმა მეგობრულად მიმართა პორუჩიკ ლუკაშს:

— ქალაქ მნიხოვში დუბისნაირი კაცი ცხოვრობდა, მანაც ასევე მიმართა მეორეს, როგორც დუბმა. მეორემ კი ამაზე შემდეგნაირად უპასუხა: „სახრჩობელასთან შევხვდებით“.

— ღმერთო, რა იდიოტი ხართ, შვეიკ! — გულიანად წარმოსთქვა პორუჩიკმა ლუკაშმა, — არ გაბედოთ და როგორც ჩვეულებრივ იცით ხოლმე, არ მიძასუხოთ: „სწორედ ასეა — იდიოტი ვარ“.

— Frappant! ¹ — წამოიძახა კაპიტანმა საგნერმა, როცა ფანჯარაში გაყო თავი. სიამოვნებით დაიძალეობდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ გვიანდა იყო. ფანჯარასთან პოდპორუჩიკი დუბი იდგა.

პოდპორუჩიკმა დუბმა სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ კაპიტანი საგნერი ისე წავიდა, რომ არ მოისმინა მისი დასკვნები აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებულ იერიშის შესახებ.

— ამ გრანდოზული შეტევის კარგად გასაგებად. — ყვიროდა პოდპორუჩიკი დუბი ფანჯარაში, — ჩვენ ის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ განვითარდა იერიში აპრილის ბოლო რიცხვებში. საჭირო იყო რუსეთის ფრონტის გარკვევა, ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილად ამისათვის მიიჩნიეს კარპატებსა და ვისლას შორის არსებული ფრონტი.

— ამაზე არ გეკამათები, — ცივად უპასუხა კაპიტანმა საგნერმა, და ფანჯარას მოშორდა.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა მატარებელმა გზა კვლავ სანოკის მიმართულებით განაგრძო, კაპიტანი საგნერი სკამზე გაიჭიმა და თავი მოიმძინარა პოდპორუჩიკ დუბს რომ არ შეეწუხებია თავისი სისულელეების როშვით იერიშის თაობაზე.

იმ ვაგონს. რომელშიც შვეიკი იმყოფებოდა, ბალოუნი აკლდა. ბალოუნი ითხოვა უფლება პურით გამოეწმინდა ის ქვაბი, რომელშიც გულიაში მოხარშეს. მატარებლის გამგზავრებისას ბალოუნი პლატფორმაზე იდგა საველე სამზარეულოს გვერდით. როცა მატარებელი დაიძრა, იგი თავით ქვაბში ჩავარდა და ძალიან სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა; ქვაბიდან მისი თეხებიდა მოჩანდა. მაგრამ თავის მდგომარეობას მალე შეეგუა და ქვაბიდან კვლავ გაისმა

¹ გასოცარია (ფ რ ა ნ გ.).

წკლაპუნი, ზღარბი რომ გამოსცემს ხოლმე ტარაკანებზე ნაღირობის დროს. შემდეგ ბალოუნის მუდარის ხმა გაისმა:

— ძმანო, ღვთის გულისათვის, ქენით სიკეთე, გადმომიგდეთ კიდევ ერთი ნაჭერი ზური. აქ ბევრი საწებელია.

ეს იდილია მახლობელ სადგურამდე გრძელდებოდა, სადაც მეთერთმეტე ასეული უკვე გამოწმენდილ-გაპრიალებული ქვაბით ჩავიდა.

ღმერთმა მოგიზღოთ სამაგიერო, ამხანაგებო, — გულითადი მადლობა გადაუხადა მათ ბალოუნმა, — რაც სამხედრო სამსახურში ვარ, პირველად მეწვია ასეთი ბედნიერება.

იგი არ სტყუოდა. ლუპკოვის ულელტეხილზე ბალოუნმა გულიაშის ორი პორცია მიიღო. ამის გარდა, პორუჩიკმა ლუკაშმა, რომელსაც ბალოუნმა ოფიცერთა სამზარეულოდან ისე მოუტანა სადილი, რომ ხელიც არ დაუკარებია, სიხარულისაგან კარგა მოდილო ნაწილი დაუტოვა. ბალოუნი უსაზღვროდ ბედნიერი იყო; ვაგონიდან ფეხები გადმოიკიდა და აქნევდა. უცებ რაღაც მშობლიური და თბილი გრძნობა დაეუფლა; სამხედრო სამსახური საკუთარ კერად მოეჩვენა.

მზარეულმა მისი გასულელება სცადა: უთხრა, რომ სანოკში მათ კიდევ ერთ ვახშამსა და სადილს მოუშაღებენ იმის სამაგიეროდ, რაც გზაში დააკლეს. ბალოუნი მოწონების ნიშნად თავს იქნევდა და ჩურჩულებდა: „აი ნახავთ, მეგობრებო, ღმერთი არ მიგვატოვებს“.

ყველამ გულიანად გაიცინა, მზარეული კი საველე სამზარეულოზე ჩამომჯდარიყო და მღეროდა:

ჟუპაილია, ჟუპაილა,
არ გაგწირავს ღმერთი და
ჯერ წუმბეში გადაგადებს,
მერე უკან ამოგადებს;
თუ შეგადებს ულრან ტყეში,
გზას გინათებს სანთლით ხელში,
არ გაგწირავს ღმერთი და
ჟუპაილია, ჟუპაილა.

სადგურ შავნეს უკან, მინდორში, კვლავ გამოჩნდა სამხედრო სასაფლაოები. მატარებლიდან მოსჩანდა ქვისაგან გაკეთებული ჯვარი თავწაცლილი ქრისტეს გამოსახულებით. ქრისტესათვის თავი მაშინ წაეგლიჯათ, როცა სადგურს ტყვიები დაუშინეს.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა. იგი სანოკისაკენ მიჰქროდა. გზად სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა დანგრეული სოფ-



ლები, რომლებიც რკინიგზის ორივე მხარეს გადაჭიმულიყო ჰორი-
ზონტამდე.

კულაშნისთან, ქვემოთ, მდინარეში წითელი ჯვრის დამტკრე-
ული მატარებელი ეგდო.

ბალოუნმა თვალები დააქყიტა. იგი განსაკუთრებით გააოცა
ძირს გაფანტულმა ორთქლმავლის ნაწილებმა. რკინიგზის ყრილში
საკვამლე მილი გაჩხერილიყო და ოცდარვასანტიმეტრიანი ქვემეხი-
ვით იყო იქიდან ამოშვერილი.

ამ სურათმა მთელი ვაგონის ყურადღება მიიპყრო. ყველაზე მე-
ტად მზარეული იურაიდა იყო აღშფოთებული.

— განა მისაღებია, რომ წითელი ჯვრის ვაგონებს ესროდნენ?

— მისაღები არაა, მაგრამ დასაშვები კია, — უპასუხა შვეიკმა.
ზუსტად მოახვედრეს მიზანში. ყველას შეეძლო გაემართლებია თა-
ვი, რომ ეს ამბავი ღამით მოხდა და წითელი ჯვარი ვერ შენიშნეს.
ქვეყნად ბევრი რამ არაა მისაღები, მაგრამ ხდება ხოლმე. მთავარია
გააკეთო ის, რაც აკრძალულია. პისეკთან. საიმპერატორო მანევრე-
ზის დროს, მოვიდა ბრძანება, რომ ჯარისკაცების ერთმანეთზე გა-
დაბმა აკრძალულია. მაგრამ, ჩვენმა კაპიტანმა მოისაზრა ამის სხვა-

ნაირად გაკეთება. ბრძანებაზე მხოლოდ გაეცინა. ცხადია, რომ შე-
ბოჭილი ჯარისკაცი ვერ შესძლებს სიარულს. ფაქტურად მას ბრძა-
ნება არ დაუბრუნებია; უბრალოდ, შებოჭილ ჯარისკაცებს აღალის
ოთხთვალაში ყრიდა და განაგრძობდა გზას. ან, მაგალითად, ავიღოთ
ასეთი შემთხვევა, რომელიც მოს.და ჩვენს ქუჩაზე — ექვსი წლის
წინ. ერთი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა პან კარლიკი, მე-
სამეზე კი ძალიან წესიერი კაცი. კონსერვატორიის სტუდენტი —
მიკეში. იგი ქალების დიდი მოყვარული იყო და სხვათაშორის პან
კარლიკის ქალიშვილსაც ეარშიყებოდა. პან კარლიკი სატრანსპორ-
ტო კანტორისა და საკონდიტროს მფლობელი იყო, და კიდევ სად-
ღაც, მორაგებაში საამკინძაო სახელოსნოც ჰქონდა სხვის სახელზე
გაფორმებული. როცა პან კარლიკმა გაიგო, რომ მის ქალიშვილს
კონსერვატორიის სტუდენტი ეარშიყებდა, მივიდა მასთან სახლში და
განუცხადა: „მე თქვენ გიკრძალავთ ჩემი ქალიშვილის ცოლად შერ-
თვას. თქვე მანწანწალავ; მე თქვენ შეილს არ გამოგაყოლებთ!“ —
„კარგი, — უპასუხა პან მიკეშმა. — რას იზამ, რადგან არ შეიძლე-
ბა — არ შეიძლება! თავს ხომ ვერ მოვიკლავ!“.

ორი კვირის შემდეგ პან კარლიკი ისევ მივიდა სტუდენტთან
სახლში და თავისი ცოლიც მიიყვანა. ორივემ ერთხმად წამოიყვირეს:
„არამზადავ! თქვენ ჩვენს შეილს ნამუხი ახადეთ!“ — „სავესებით
მართალია, — დაეთანხმა სტუდენტი, — მე ჰატიციემულო ქალბა-
ტონო, გავაფუქე თქვენი გოგო!“ პან კარლიკმა მას ყვირილი და-
უწყო, თუმცა ეს საქმეს სულ არ შეელოდა. ის ხომ თვითონ ამბობ-
და, რომ არ მისცემს შეილს მათხოვარს. ამაზე სტუდენტმა სავესებით
მართებულად უპასუხა, ასეთ ქალს მე თვითონ არ ვითხოვო. რისი
გაკეთება შეეძლო სტუდენტს ქალისათვის, ამაზე ლაპარაკი არ ყო-
ფილა. იგი თავის სიტყვას შეასრულებს; ნუ შესწუხდებიან. მათი
ქალის ცოლად მოყვანას არ აპირებს. ქარაფშუტა ხომ არ არის;
იგი მტკიცე ხასიათის აღამიანია და სიტყვას შეასრულებს. ხოლო
თუ დევნას დაუწყებენ, დაე დაუწყონ. მას სინდისი სუფთა აქვს.
სიკვდილის სარეცელზე მყოფმა დედამ დააფიქრა, რომ თავის სი-
ცოცხლეში ტყუილს არ იტყოდა. სტუდენტმა პირობა მისცა დედას.
ხოლო ასეთი ფიცის დარღვევა შეუძლებელია. მის ოჯახში არავინ
არ იცოდა ტყუილები, სკოლაშიც მას ყოფაქცევაში ყოველთვის
ფრიადი ჰქონდა. აი, ხომ ხედავთ — ზოგიერთი რამ იმათგან. რაც
მიუღებელია, დასაშვებია, ერთი მიზნის მისაღწევად შეიძლება სსვა-
დასხვა გზები არსებობდეს.

— ძვირფასო მეგობრებო, — წამოიძახა ნებითგანწყნებულმა.
რომელიც გულდასმით ინიშნავდა თავისთვის რაღაცას, — ზოგი ქი-

რი მარგებელიაო! ეს აფეთქებული, ნახევრად დამწვარი და რკინი-გზის ყრილიდან ჩამოგდებული წითელი ჯვრის მატარებელი ახალი გმირული მიღწევებით გაამდიდრებს მომავალში ჩვენი ბატალიონის დიდებულ ისტორიას. წარმოვიდგინოთ, რომ დაახლოებით თექვსმეტ სექტემბერს, ჩვენი ბატალიონის ყველა ასეულიდან რამდენიმე უბრალო ჯარისკაცი კაპრალის ბრძანებით სურვილს გამოსთქვამს აფეთქოს მტრის ჯავშნოსანი, რომელიც ჩვენ ტყვიებს გვიშენს და მდინარეზე გადასვლის საშუალებას არ გვაძლევს. გლეხის ტანსაცმელში გადაცმული ჯარისკაცები გმირულად ასრულებენ თავის დავალებას.

— ამას რას ვხედავ! — გაიკვირვა ნებითგანწესებულმა, როცა თავის რვეულში ჩაიხედა, — ნეტა როგორ მოხვდა აქ ჩვენი პან ე-აიეი?

— ყური მიგდეთ, პანე უფროსო გადამწერო, — მიმართა მან ვანეკს, — რა შესანიშნავი თავი მოგეძღვნათ თქვენ, ჩვენი ბატალიონის ჯტორიიდან. თქვენ მგონი სადღაც უკვე ხართ ადრე მოხსენებუ-ლი; მაგრამ აქ გაცილებით უფრო კარგად და გამოკვეთილად ეს ჩამოყალიბებული.

ნებითგანწესებულმა პათეტური ტონით წაიკითხა:

— „უფროსი გადამწერი ვანეკის გმირული სიკვდილი. უფროსმა გადამწერმა ვანეკმა სხვებთან ერთად სურვილი გამოსთქვა მონაწი-ლეობა მიეღო მოწინააღმდეგის ჯავშნოსანის აფეთქებაში. მან სხვა ჯარისკაცებივით გადაიკვა გლეხის ტანსაცმელი. როდესაც აფეთქე-ბისაგან დაურუებული ვანეკი გონს მოვიდა, დაინახა, რომ მტრებით გარშემორტყმული იყო. იგი მაშინვე მოწინააღმდეგის დივიზიის შტაბში წაიყვანეს. სადაც სიკვდილის პირისპირ მან უბრი სთქვა მიეცა მათთვის რაიმე ჩვენება ჩვენი ჯარების ძალებისა და განაწი-ლების შესახებ. რახან გადაცმული იყო, მას როგორც ჯაშუშს, ჩა-მოხრჩობა მიუსაჯეს; მაგრამ მხედველობაში მიიღეს მისი მაღალი ჩინი და დახვრეტით შეუცვალეს.

განაჩენი მაშინვე სისრულეში იქნა მოყვანილი სასაფლაოს კე-დელთან. გულადმა ვანეკმა მოითხოვა, რომ მისთვის თვალები არ აეხვიათ. კითხვაზე, როგორია მისი უკანასკნელი სურვილი, მან უპასუხა: „პარლამენტარის მეშვეობით გადაეცით ჩემს ბატალიონს ჩემი უკანასკნელი სალამი. გადაეცით, რომ სიკვდილის წინ მტკი-ცედ მწამდა ჩვენი ბატალიონის შეუფერხებელი სვლა გამარჯვები-საკენ... გარდა ამისა, გთხოვთ მოახსენოთ კაპიტან საგნერს, რომ ბრიგადის უკანასკნელი ბრძანების მიხედვით კონსერვების ყოველ-დღიური ულუფა ორნახევარი ქილით იმატებს“.

ასე მოკვდა ჩვენი უფროსი გადამწერი ვანეკი, რომელმაც თავისი უკანასკნელი ფრაზით მოწინააღმდეგის ბანაკში პანიკური შიში გამოიწვია. ისინი კი ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მდინარეზე გადასვლის ს. - შუალებას თუ მოგვიპოვებენ, ამით მომარაგების ბაზას მოგვიქრიან და შიმშილსა და დემორალიზაციას შეიტანენ ჩვენს რიგებშიო. როგორ მშვიდად შეხვდა ვანეკი თავისი სიკვდილის ამბავს, ამაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სიკვდილის წინ იგი მოწინააღმდეგის შტაბის ოფიცრებთან ერთად ბანქოს თამაშობდა: „ჩემი მოგება გადაეცით რუსების წითელი ჯვრის საზოგადოებას“, — თქვა მან და უშიშრად გაუსწორა თვალი მისკენ დამფხნებულ თოფის ლულას. ამ კეთილშობილებამ და დიდსულოვნებამ გააოცა და ააცრემლა წამებაზე დამსწრე სამხედრო ჩინის მქონე პირები.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო ვანეკ, — განაგრძო ნებითანწყნებულმა, — რომ თავს უფლება მივეცი თქვენს მოგებას ჩემს ნებაზე მოქცეოდი. ჯერ ვიფიქრე იგი ავსტრიის წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის გადამეცა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, ჰუმანიურობის თვალსაზრისით ეს ხომ ერთი და იგივეა; მთავარია, ფული საკველმოქმედო საზოგადოებას მოხმარდეს.

— ჩვენს მიცვალებულს, — თქვა შეეიკმა, — შეეძლო ეს მოგება ქალაქ პრალის „წინანის დაწესებულებისათვის“* გადაეცა, მაგრამ მგონია ასე სჯობია, რადგან ქალაქის თავი იმ ფულით საუბზე ჯიგრის ძეხვს იყიდდა.

— სულერთია, ყველგან იპარავენ, — თქვა ტელეფონისტმა ხოლოუნსკიმ.

— ყველაზე მეტად წითელ ჯვარში იპარავენ, — გაბრაზებით წარმოსთქვა მზარეულმა იურაიდამ. — ბრუკში ერთი ნაცნობი მზარეული მყავდა. იგი ლაზარეთში მოწყალეების დებს უმზადებდა საკმელს. ის მომიყვებოდა. თუ როგორ გზავნიდნენ მალაგისა და შოკოლადით სავსე ყუთებს თავიანთ სახლებში ლაზარეთის გამგე და უფროსი დები. ყველაფრის მიზეზია შემთხვევა ანუ ბედისწერა. ყოველი ადამიანი თავის უსასრულო ცხოვრების მანძილზე ურიცხვ მეტამორფოზებს განიცდის და ამ ქვეყანაზე თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში ქურდი უნდა გახდეს. პირადად მე უკვე გავიარე ეს პერიოდი...

მზარეულ-ოკულტისტმა იურაიდამ თავისი ტომრიდან კონიაკის ბოთლი ამოათრია.

— თქვენ აქ ხედავთ, — თქვა მან და ბოთლის გახსნა დაიწყო, — ჩემი მეტყიების უცილობელ საბუთს. მე ეს ბოთლი გამომგზავრების წინ ოფიცერთა სამზარეულოდან ავიღე. საუკეთესო მარკის კონია-

კია. იგი გასცეს როგორც შაქრის სარკალა ლინცის ტორტის დასამზადებლად. მაგრამ მისი ბედი იყო. რომ მე მომეპარა, ისევე როგორც მე მეწერა ქურდი გავმხდარიყავი.

— არ იქნებოდა ურიგო, — შეეპასუხა შვეიცი. — რომ ჩვენს თქვენი თანამონაწილენი გავმხდარიყავით; ყოველ შემთხვევაში. მე ასეთი წინათგარძნობა მაქვს.

მართლაც ბედისწერა ასრულდა. უფროსი გადამწერი ვანეის პროტესტის მიუხედავად, ბოთლი ხელიდან ხელში გადადიოდა. ვანეი ამტკიცებდა: კონიაკი რომ თანასწორად განაწილდეს ქვაბიდან უნდა შეისვას, რადგან ამ ერთ ბოთლზე ხუთი კაცი მოდის, ე. ი. კენტრი რიცხვია და ადვილი შესაძლებელია, რომ რომელიმე ჩვენგანმა ერთი ყლუპით მეტი დალიოს. შვეიკმა მხარი დაუჭირა ვანეის და აღნიშნა:

— „სავსებით სწორია, და თუ პან ვანეის სურს, რომ დავლუწდეთ, გამოვიდეს კომპანიიდან, რათა გაუგებრობისა და კამათისათვის საბაზი აღარ იქნეს“.

მაშინ ვანეკმა უარი თქვა თავის პროექტზე და სხვა უფრო დიდსულოვანი წინადადება შეიტანა: ისეთი წესით დაილიოს კონიაკი, რომ იურაიდას. ე. ი. მასპინძელს საშუალება მიეცეს ორჯერ დალიოს. ამან მღელვარე პროტესტი გამოიწვია, რადგან ვანეკმა ერთხელ უკვე გადაკრა, როდესაც ბოთლს ხსნიდნენ.

საბოლოო ანგარიშში ნებითგანწყესებულის პროექტი მიიღეს — დაელიათ ანბანის მიხედვით. ნებითგანწყესებულმა თავისი პროექტი იმით დაასაბუთა. რომ ამა თუ იმ გვარის ტარებაც განგებითაა გათვალისწინებულიო.

ბოთლს ბოლო მოუღო ანბანის მიხედვით პირველმა — ხოდოუნსკიმ, და თან მრისხანედ გააყოლა თვალი ვანეის, რომელმაც გამოთვალა, რომ ერთი ყლუპით მეტი ერგებოდა, რადგან ანბანის მიხედვით ყველაზე ბოლოში იყო¹. მაგრამ ეს იყო უხეში მათემატიკური შეცდომა, რადგან სულ ოცდაერთი ყლუპი გამოვიდა.

ამას მოაყოლეს ბანქოს თამაში — სამი კარტისაგან შემდგარი „უბრალო ცვიკი“. გამოირკვა, რომ კოზირის ადებისას ვანეის ცალკეული ადგილების ციტატები მოყავდა საღმრთო წერილიდან. ამრიგად, აიღო რა კოზირის ვალეტი ვანეკმა განაცხადა:

— უფალო, დამიტოვე მე ვალეტი და მას ზაფხულსა ვიდრემდის მოუთხოვნო და ჩირქი მოვუყარო: რამეთუ კიდევ გამოიღოს ნა-

¹ X (ch) — ერთ-ერთი პირველი ასოა ჩეხურ ალფაბეტში.

B (v) — ერთ-ერთი უკანასკნელი ასოა.

ყოფი... როცა უსაყვედურეს კოზირის რვიანის აღებაც კი გაბედ-
დევ, მან სასწაულთმოქმედის ხმით შეკვივლა:

— გინა დედაკაცსა, რომელსა აქვსა დრახმაი ათი, კიდეც წარ-
წყმიდოს დრახმაი ერთი, არა აღანთოსა ლამპარი და მოაგოს სახლი,
და გულმოდგინედ ეძიებდეს, ვიდრემდის პოვებს მასა; და პოის
რაი, მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემთანა გიხაროდენ,
რამეთუ ვპოვე რვიანი და მისამატით მივიღე კოზირის მეფე და
ტუზი.

— მოიტათ აქ კარტები, ყველანი ჩაგსვით.

ნებითგანწყესებულ ვანეკს ნამდვილად გაუმართლა. მაშინ, როცა
დნარჩენები ერთმანეთს უჭრიდნენ კოზირებით, ვანეკი მათ კოზირ-
ებს უფრო დიდი კოზირით ჰკრიდა. მისი პარტნიორები აგებდნენ
და აგებდნენ. ის კი მოგებას მოგებაზე იღებდა. თან დამარცხებუ-
ლებს მოუწოდებდა:

— რამეთუ დადგება დიდებული მხდალი ქალაქსა შინა, სიყ-
მილნი და წყუედანი მთელ ქვეყანაზე ღა იქნება სასწაულნი ზეცი-
სანი.

ბოლოს, როცა ხოდოუნსკიმ თავისი ნახევარი წლის ჯამაგირი
წინასწარ წააგო. კარტი მობეზრდათ და თამაში შეწყვიტეს. ხოდო-
უნსკი საშინლად დამწუხრებული იყო, ნებითგანწყესებული კი და-
ეინებით მოითხოვდა მისგან ხელწერილს. რომ ჯამაგირს გაცემისას
უფროს გადამწერს ვანეკს ხოდოუნსკის ხელფასი მისთვის მიეცა.

— ნუ გეშინია, ხოდოუნსკი, — გაამხნევა შვეიცმა უბედური. —
კიდეც გაგილიმებს ბელი. თუ პირველი შეტაკების დროს მოგკლავენ,
მარეკი სახეს მოგწმენდს შენი ხელწერილით; მოაწერე ხელი!

ხოდოუნსკიმ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მტკიცედ წარ-
მოსთქვა:

— მე ვერ მომკლავენ: ტელეფონისტი ვარ; ტელეფონისტები
კი სულ ბლინდაჟში იმყოფებიან, მავთულების დაჭიმვას ან შეკე-
თებას კი მხოლოდ ბრძღლის შემდეგ ახდენენ.

ნებითგანწყესებული შეეპასუხა. რომ პირიქით, სწორედ ტელე-
ფონისტებს მოელით დიდი საშიშროება, რადგან მტრის არტილერია
უმათვრესად ტელეფონისტებს წინააღმდეგ ილესავს კბილებს. არც
ერთი ტელეფონისტი არ არის დაზღვეული საშიშროებისაგან თავის
ბლინდაჟში; ათი მეტრის სიღრმეზეც რომ ჩაძვრეს ტელეფონისტი.
მოწინააღმდეგის არტილერია იქაც მიაგნებს. ტელეფონისტები ისე
ქრებიან, როგორც ზაფხულის სეტყვა წვიმისაგან. ამის ყველაზე
უკეთესი დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ როცა იგი-ბრუეს სტო-

ვებდა ტელეფონისტების კურსებზე ოცდამერვე შეესება იყო გამოცხადებული.

ხოდოუნსკის ძალიან შეეცოდა თავისი თავი და მზად იყო ტირილი დაეწყო. შეეიკი იძულებული გახდა მისთვის ორიოდ თბილი სიტყვა ეთქვა დასამშვიდებლად:

— მაგრად გაგფცქენეს, არა?!

ხოდოუნსკი ღიმილით გამოეხმაურა:

— აბა, ჩემად, მშვენიერო!

— მოდი ერთი ვნახოთ ბატალიონის ისტორიის შენიშვნებში ასო „ხ“. ხოდოუნსკი...ჰმ... ხოდოუნსკი. აი აქაა: „ტელეფონისტი ხოდოუნსკი ფუგასის აფეთქების დროს ცოცხლად ჩაიმარხა. თავისი საფლავიდან იგი შტაბში რეკავს: „გკვდები; ვულოცავ ჩვენს ბატალიონს გამარჯვებას!“

— კმარა ეს შენთვის? — იკითხა შვეიკმა. — იქნებ რაიმეს დამატება გასურს? გახსოვს „ტიტანიკის“ * ტელეფონისტი? გემი უკვე იძირებოდა, ის კი ჩაძირულ სამზარეულოში რეკავდა: „როდის იქნება ბოლოს და ბოლოს სადილი?“.

— ეს ჩემთვის ძნელი არ არის, — დაარწმუნა იგი ნებივრანწესებულმა, — თუ გნებავთ ხოდოუნსკის სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვებს კიდევ დაემატებ რაიმეს.

სულის ამოსვლამდე ხოდოუნსკი დაიყვირებს ტელეფონში: „გადაეციოთ ჩემი სალამი ჩვენს რკინის ბრიგადას!“.



თ ა ზ ი IV

ნაზიჯით იარი

აღმოჩნდა, რომ ვაგონში, რომელშიც მეთერთმეტე სამარშო ასე-
 ულის სამზარეულო იმყოფებოდა და ქამისაგან გახეთქილი ბალო-
 უნი კვნესოდა, არ სტყუოლენ, როცა ამტკიცებდნენ — სანოკში ბა-
 ტალიონი ყველა გაცდენილი ღლეების ვახშამსა და პურის ულუ-
 ფას მიიღებსო. თურმე სწორედ სანოკში იმყოფებოდა „რკინის
 ბრიგადა“, რომელსაც თავისი მეტრეიკული ამონაწერის მიხედვით
 ეკუთვნოდა ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი. რაღვან რკინჩგზის ხა-
 ზი აქედან ლვოვამდე და უფრო ჩრდილოეთითაც — დიდ ხიღებამ-
 დე არ იყო გაწყვეტილი. ამიტომ გამოცანას წარმოადგენდა ის გა-
 რემოება, რატომ მიიღო აღმოსავლეთის უზნის შტაბმა ისეთი დის-
 პოზიცია, რომლის მიხედვითაც „რკინის ბრიგადას“ თავი უნდა მო-
 ეყარა სამარშო ბატალიონებისათვის ფრონტის ხაზიდან ას ორმოც-
 დაათი კილომეტრის დაშორებით. იმ დროისათვის ფრონტის ხაზი

ქალაქ ბროდიდან იწყებოდა. მდინარე ბუგზე გადადიოდა და მიემართებოდა მის გასწვრივ. ჩრდილოეთისაკენ, სოკალის მიმართულებით.

ეს უაღრესად საინტერესო სტრატეგიული საკითხი სავსებით მარტივად იქნა ახსნილი, როდესაც სანოკში ჩამოსვლისას, კაპიტანმა საგნერმა შტაბის ბრიგადას სამარშო ბატალიონის ჩამოსვლის ამბავი მოახსენა.

იმ დღეს მორიგედ ბრიგადის აღიუტანტი კაპიტანი ტაირლე იყო.

— ძალიან მიყვირს, — სთქვა კაპიტანმა ტაირლემ, — რატომ არ მიიღეთ ზუსტი ცნობები. მარშრუტი სავსებით გარკვეულია. რა თქმა უნდა, თქვენი გადაადგილების გრაფიკი წინასწარ უნდა შეგეტყობინებიათ ჩვენთვის. მთავარი შტაბის დისპოზიციის საწინააღმდეგოდ თქვენი ბატალიონი ორი დღით ადრე ჩამოვიდა.

კაპიტანი საგნერი გაწითლდა. მან ვერ მოიწაზრა გაემურობია გზაში მიღებული ყველა დაშიფრული ტელეგრამის შინაარსი.

— თქვენი საქციელი მარცხს, — უთხრა მას კაპიტანმა ტაირლემ.

— რამდენადაც ვიცი, — სასწრაფოდ დაუმატა კაპიტანმა საგნერმა, — ჩვენ, ოფიცრები ერთმანეთს შენობით მივმართავთ.

— ასე იყოს, — სთქვა კაპიტანმა ტაირლემ, — ერთი მითხარი, სამოქალაქო ხარ, თუ კადრის ოფიცერი? კადრისა ხარ? ეს სხვა საქმეა... შუბლზე ხომ არ გაწერია! აქ იმდენმა სათადარიგოს ლეიტენანტმა ჩაიარა! ლიმანოვსა და კრასნიკისაგან რომ ვიხვედით, ყაზახების პატრულის დანახვაზე ამ „ვითომ ლეიტენანტებსაც“ ებნეოდა თავგზა. შტაბში ნაკლებად ვცემთ პატრეს ასეთ პარაზიტებს. რომელიმე იდიოტი, „ინტელიგენტკას“ ჩაბარების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს კადრის ოფიცერი ხდება ხოლმე. ხშირად სამოქალაქო პირი ჩააბარებს ოფიცრის გამოცდას და ისევ განაგრძობს სამოქალაქო სამსახურს, მაგრამ როგორი შტერიც იყო, ისევ ისეთი რჩება; ვინცობაა ატყდეს. ომი, ოფიცერი კი არა ნამდვილი ქვეშაფსია ხდება.

კაპიტანმა ტაირლემ გადააფურთხა და მეგობრულად დაჰკრა ხელი მხარზე კაპიტან საგნერს:

— ერთი ორი დღით მოიცადეთ აქ. ყველაფერს განახებთ. ვიცეკვით, სანდომიანი სახის გოგონებიც მოიძებნებიან, Engelhuren¹.

¹ ანგელოზივით კახები (გერმ.).

აქამად აქ იმყოფება ერთი გენერლის ქალიშვილი, რომელიც უწიხ
ლესბიურ სიყვარულს ეწეოდა. ჩვენ, ყველანი ქალის ტანსაცმელში
გამოვეწყობით და თვითონ ნახავ რაებს სჩადის ეს ქალბატონი. ვერც
კი წარმოიდგენ: რომ ამ გაჩხიკულს ამდენის თავი აქვს! თავისი
საქმე იცის, ძამიკო. ისეთი ურცხვია, რომ! მოკლედ, თვითონ ნახავ..

— პარღონ, — მოიბოღიშა მან, — წავალ წავარწყვე; დღეს უკ-
ვე შესამედ მერევა გული.

კიდევ ერთხელ რომ დაემტკიცებია საგნერისათვის, რა კარგად
ატარებენ აქ დროს. ტაირლემ დაბრუნებისთანავე შეატყობინა მას.
რომ ეს გულის რევაც გუშინდელი წვეულების შედეგია. ლხინში
ოფიცერი-მესანგრეებიც იღებდნენ მონაწილეობას.

საგნერი სულ მალე გაეცნო მესანგრეთა ქვედანაყოფის მეთა-
ურს. ისიც კაპიტანი იყო. კანცელარიაში შემოვიდა ოფიცრის
ფორმაში გამოწყობილი ახმახი. მას სამი ოქროს ვარსკვლავი უმშვე-
ნებლა მსრებს. ისე იყო გამოშტერებული, რომ უცხო კაპიტანიც კი
ვერ შეამჩნია და ძმაბიჭურად მიმართა ტაირლეს: — „როგორა
ხარ, გოჭო? არა უშავს რა, კარგად დაამუშავე გუშინ ჩვენი გრაფი-
ნია!“ შემდეგ სავარძელში ჩაჯდა, წვივზე წკეპლა დაირტყა და
გადაიხარხარა:

— ოჰ. სიცილით ვკვდები, როცა გამახსენდება, როგორ წაარ-
წყიე მის მუხლებთან...

— ჰო, — სიამოვნებით გააწყლახუნა ენა ტაირლემ, — ნამდვი-
ლად გემოზე გავატარეთ გუშინ დრო.

ტაირლეს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ კაპიტანი საგნერი უნ-
და გაეცნო ახალი ოფიცრისათვის. ისინი შტაბის ბრიგადის კანცე-
ლარიიდან გამოვიდნენ და ძველ სალუდესაგან ეხლახან გადაკეთე-
ბულ კაფეს მიაშურეს.

კანცელარიაში რომ გაიჭრეს, კაპიტანმა ტაირლემ მესანგრეთა:
ქვედანაყოფის მეთაურს წკეპლა გამოართვა და გრძელ მაგიდას
დაჰკრა. ბრძანების გაგონებაზე მაგიდის გარშემო სმენაზე გაიქიმა
თორმეტი ექსტრა — ფორმაში * გამოწყობილი. ფუნჩულა ლიბიანი
სამხედრო გადამწერი, რომლებიც არმიის ზურგში ერთგულად ეწე-
ოდნენ წყნარ. უშიშარ საქმიანობას.

კაპიტან ტაირლეს საგნერისა და მეორე კაპიტანის წინაშე თავის
გამოჩენის სურვილმა სძლია და ასე მიმართა „ფრონტიდან თავის
არიდების“ ამ თორმეტ მსუქან მოციქულს:

— არ გეგონოთ, თქვე ღორებო, რომ აქ გასასუქებლად ჩამო-
გიყვანეთ! ნაკლებად გამოსკდით და გამოთვერით — მეტი ირბინეთ!

ეხლა, კიდევ ერთ ნომერს გიჩვენებთ, — განუცხადა ტაირლემ თავის კომპანიონებს. მან ისევ დაარტყა სტეკი მაგიდაზე და შეეკითხა თორმეტ გადამწერს: — როდის გასკდებით, გოკებო?

თორმეტივემ ერთხმად უპასუხა:

— როდესაც გვიბრძანებთ. პანე კაპიტანი!

ტაირლე გავიდა კანცელარიიდან, თან ეცინებოდა თავის საკუთარ სისულულესა და იდიოტობაზე.

როცა კაფეში შევიდნენ და მაგიდას მოუსხდნენ, ტაირლემ მოითხოვა მოეტანათ ერთი ბოთლი ქნავზე დაყენებული არაყი და თან თავისუფალი გოგოებიც მიეყოლებიათ. თურმე კაფე საროსკიპო ყოფილა. თავისუფალი გოგოები არ აღმოჩნდა. ტაირლე საშინლად გააბრაზა ამ ამბავმა. მან უწმაწური სიტყვებით დაუწყო ლანძღვა ღერეფანში მყოფ მადამს, თან ყვიროდა:

— ვინ იმყოფება მადმუაზელ ელასთან? და როდესაც უპასუხეს, რომ ვილაც პოდპორუჩიკით არის დაკავებულიო, უფრო მეტად მოკყვა ლანძღვა-გინებას.

მადმუაზელ ელასთან პოდპორუჩიკი ღუბი იყო. სამარშო ბატალიონის გიმნაზიის შენობაში დაბინავების შემდეგ, ღუბმა თავი მოუყარა თავის ჯარისკაცებს და გრძელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ ჯარისკაცებს საროსკიპოში არ ევლოთ. რადგან რუსებმა უკან დახევის დროს ბევრგან გახსნეს საროსკიპოები და ვენერული სნეულებით დაავადებული პერსონალი დატოვეს, რათა მათი საშუალებით ავსტრიის არმიისათვის ზარალი მიეყენებინათ. ღუბი შეპირდა ჯარისკაცებს, რომ პირადად დაივლიდა საროსკიპოებს, შეამოწმებდა, ხომ არავენ დაარღვია მისი ბრძანება, და რადგან ისინი ფრონტის ზოლში იმყოფებოდნენ, ვისაც წაასწრებდა ასეთ სახლში, საველე სასამართლოს გადასცემდა.

პოდპორუჩიკი ღუბი თვითონ წავიდა იმის შესამოწმებლად, დაარღვია თუ არა ვინმემ მისი ბრძანება და, როგორც ჩანს, თავისი რევიზიის საწყის პუნქტად ეგრეთწოდებული „ქალაქის კაფეს“ მეორე სართულზე, ელას ოთახში მდებარე ტახტი აირჩია. — აქ იგი საამუხრად ატარებდა დროს.

ამასობაში კაპიტანი საგნერი დაბრუნდა თავის ბატალიონში. ტაირლეს კომპანია დაიშალა: კაპიტანი ტაირლე ბრიგადაში გამოიძახეს, იმის გამო, რომ ბრიგადის მეთაური უკვე ერთი საათია დაეძებდა თავის ადიუტანტს.

ღივიზიიდან ახალი ბრძანებები მოვიდა და აუცილებელი იყო ჩამოსული ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მარშრუტის გარკვევა, ვინაიდან ახალი დისპოზიციის თანახმად პირვანდელი მარშრუტის მი-

იედვით ასშეორე პოლკის სამარშო ბატალიონი უნდა გამგზავრებულყო.

ყველაფერი აირღაირია. რუსები სასწრაფოდ იხევედენ უკან ჩრდილო-აღმოსავლეთ პალიციიდან. ამიტომ ავსტრიის ჯარების ზოგიერთი ნაწილები აქ ერთმანეთს შეერივნენ. ავსტრიის ჯარების განლაგებაში აქა-იქ სოლივიტ შექრილიყო გერმანიის არმიის ნაწილები. ამ ქაოსს უფრო მეტად ზრდიდა ფრონტზე ჩამოსული ახალი ბატალიონები და სხვა სამხედრო ნაწილები. ასეთივე მდგომარეობა იყო ფრონტისპირა ზოლში. მაგალითად აქ. სანოკში, რომელსაც უეცრად დაესხა თავს გერმანიის ჰანოვერის დივიზიის რეზერვი. რეზერვის პოლკოვნიკს ისეთი საზიზღარი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ბრიგადის მეთაური მთლად დაიბნა. ჰანოვერის დივიზიის რეზერვის პოლკოვნიკმა თავისი შტაბის დისპოზიცია წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც მისი ჯარისკაცები იმ გიმნაზიის შენობაში უნდა მოეთავსებიათ, რომელშიც ის-ის იყო დაბინავდა ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის ბატალიონი. თავისი შტაბის დასაბინავებლად იგი მოითხოვდა კრაკოვის ბანკის განთავისუფლებას, რომელშიაც ბრიგადის შტაბი იყო მოთავსებული.

ბრიგადის მეთაური დაუკავშირდა დივიზიის და ზუსტად გააცნო სიტუაცია; მის შემდეგ დივიზიის ელაპარაკა აეთვალა ჰანოვერელი; ამ ლაპარაკის შედეგად ბრიგადამ მიიღო შემდეგი ბრძანება: ბრიგადამ უნდა დასტოვოს ქალაქი საღამოს ექვს საათზე და გაემართოს შემდეგი მიმართულებით: ტიროვი-ვოლსკი-ლისკოვეცი-სტარაია სოლი-სამბორი, იქ კი დაელოდოს შემდგომ განკარგულებებს. მასთან ერთად უნდა გაეშუროს აგრეთვე ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკიც, რომელსაც საფარად გამოიყენებენ. ბრიგადის მიერ შემუშავებულია გალაშქრების გეგმა შემდეგი სქემის მიხედვით: ავანგარდი სალაშქროდ წავა ტუროვზე ექვსის ნახევარზე. დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფრთების საფარებს შორის მანძილი — სამნახევარი კილომეტრია. დამცველი არიერგარდი სალაშქროდ გაშლის შვიდის თხუთმეტ წუთზე“.

გიმნაზიაში აურზაური ატყდა. ბატალიონის ოფიცერთა თათბირს არ ესწრებოდა მხოლოდ პოდპორუჩიკი ღუბი. მისი მოძებნა შეეიქა დაავალეს.

— იმედია, — უთხრა პორუჩიკმა ლუკაშმა შეეიქს, — არ გაგიკირდებათ მისი ნახვა, თქვენს შორის ხომ მუდამ რალაც ხდება ხოლმე.

— მაქვს პარტივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, იმის გა-

მო, რომ ჩვენს შორის მუდამ რაღაც ხდება, მომცეთ წერილობითი ბრძანება ასეულისაგან.

პორუჩიკმა ლუკაშმა ბლოკნოტის ფურცელზე დაუწერა პოდპორუჩიკ დუბს ბრძანება: დაუყოვნებლივ გამოცხადდეს თათბირზე გამნაზიაში. შვეიკმა დააიმედა:

— დიახ. პანე ობერ-ლეიტენანტ. ესლა თქვენ, როგორც ყოველთვის, შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ. მე მას ვიპოვი. ჯარისკაცებს აკრძალული აქვთ ბორდელში სიარული, ამიტომ იგი უთუოდ იქ იქნება. დუბი ხომ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი ოცეულის ჯარისკაცებიდან, არავის არ სურს საველე სასამართლოში მოხვედრა. რომლითაც იგი ჩვეულებრივ აშინებს ხოლმე მათ. მან თვითონ განუცხადა ჯარისკაცებს, რომ ყველა ბორდელს დაივლის და გააცნობს მათ თავის თავს ცუდის მხრივ. თუმცა, მე ვიცი სადაცაა. აი, ამ კაფეშია, ჩვენს პირდაპირ. ჯარისკაცები თვალყურს ადევნებდნენ საღ წავიდოდა პირველად.

გაერთიანებული გასართობი ადგილი და ქალაქის კაფე, რომელიც შვეიკმა ასსენა, ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ვისაც კაფეში გავლა არ სურდა, უკანა შესასვლელიდან შედიოდა. იქ მზეზე თებობდა მოხუცი ქალბატონი, რომელიც გერმანულ, პოლონურ და უნგრულ ენებზე წარმოსთქვამდა ხოლმე დაახლოებით ასეთ მისალმებას: „მობრძანდით, მობრძანდით, ჯარისკაცო, ჩვენთან ლამაზი გოგონებია!“

როდესაც ჯარისკაცი შევიდოდა, ქალს მიჰყავდა იგი რაღაც მისაღების მსგავს ოთახში. მერე გამოიძახებდა ერთ-ერთ გოგონას, რომელიც პერანგისამარა სასწრაფოდ მოიბრუნდა ხოლმე; უპირველეს ყოვლისა გოგონა ითხოვდა ფულს; სანამ ჯარისკაცი ხიშტს მოიხსნიდა, ფულებს იქვე ჩაიჯიბებდა „მადამი“.

ოფიცრობა კაფედან ახერხებდა შეპარვას; ეს გზა უფრო რთული იყო და დერეფნით მიემართებოდა უკანა ოთახებისაკენ, რომელშიც ოფიცრებისათვის განკუთვნილი გოგონები ცხოვრობდნენ. აქ გოგონებს არშიებიან პერანგებში რთავდნენ და ღვინოსა და ლიკიორს ასმევდნენ. მაგრამ ამ ოთახებში „მადამი“ არაფრის გაკეთების უფლებას არ იძლეოდა. ყველაფერი ზემოთა ოთახებში ხდებოდა.

სწორედ ასეთ სამოთხეში იყო პოდპორუჩიკი დუბი და საცვლების ამარა ბალნინჯოებით დატენილ ტახტზე გორაობდა. როგორც ასეთ შემთხვევაში იციან ხოლმე, მადმუაზელი ელა უყვებოდა დუბს მის მიერვე შეთხზულ, საკუთარი ცხოვრების ტრაგედიას: მამამისი ფაბრიკანტი იყო, თვითონ ბუდაპეშტის გამნაზიაში მასწავ-

ლებლად მუშაობდა; და აი, უბედურმა სიყვარულმა ამ გზაზე დააყენა.

დუბის მახლობლად, ისე რომ ხელითაც კი მიწვდებოდა, მაგიდაზე იდგა ერთი ბოთლი კნავეზე დაყენებული არაყი და ჭიქები ბოთლი მხოლოდ ნახევრამდე იყო გამოცლილი, ხოლო ელა და პოდპორუჩიკი დუბი ენას ველარ ატრიალებდნენ. როგორც ჩანს, დუბმა სმა არ იცოდა. მან ყველაფერი აზრდაურია და ელა თავის დესშჩიკ კუნერტად მიიჩნია. იგი ჩვეულებისამებრ ემუქრებოდა კუნერტს: „კუნერტ, შე ნადირო! მოიცა, ჯერ კიდევ გაგაცნობ ჩემს თავს ცუდის მხრიდან!“

შვეიკს ისეთივე პროცედურა უნდა გაეგლო, როგორც ჯარისკაცებს, რომლებიც უკანა კარებიდან შედიოდნენ. მაგრამ მან მოახერხა თავაზიანად გასხლტომოდა ხელიდან ნახევრად შიშველ ქალიშვილს, რომლის კივილზეც პოლონელმა „მადამმა“ მოიბრინა; იგი ურცხვად ატყუებდა შვეიკს, რომ მათ სტუმრებს შორის არავითარი პოდპორუჩიკი დუბი არ იმყოფებოდა.

— ასე ნუ ღრიალებთ, მოწყალეო ქალბატონო, — თავაზიანად მიმართა შვეიკმა მას, თან ტკბილად გაუღიმა, — თორემ ცხვირპირში ჩაგაფარებთ. ერთხელ, ჩვენთან. პლატენერჯის ქუჩაზე ისე სტუმეს ერთი „მადამი“, რომ დიდხანს გონზე ველარ მოდიოდა. ერთი ბიჭი იქ თავის მამას ეძებდა, პნევმატური კალტეებით მოვაჭრე ვონდრაჩეკას. იმ „მადამის“ გვარი კრყოვანოვა იყო. სასწრაფო დახმარების სადგურში გონს მოიყვანეს და ჰკითხეს, რა გვარი ხარო. იმან რაღაც სიტყვა წარმოსთქვა ასო „ხ“-ზე. ნება მიბოძეთ გავიგო თქვენ რა გვარი ხართ?

მალე შვეიკმა „მადამი“ თავიდან მოიშორა და სერიოზული სახით აპყვა მეორე სართულზე მიმავალ ხის კიბეს. პატივცემულმა „მადამმა“ საშინელი კივილი მორთო.

ქვემო სართულიდან გამოვიდა თვითონ საროსკიპოს მეპატრონე, გაღარიბებული პოლონელი აზნაური. იგი გამოეყიდა შვეიკს. ხელი სტაცა, თან გერმანულად უყვიროდა, ჯარისკაცებს ეკრძალებათ ზემოთ: ასვლა, ზემო სართული ბატონი ოფიცრებისათვისაა განკუთვნილი, ქვემო კი ჯარისკაცებისათვისო.

შვეიკმა განუმარტა მას, რომ მისი აქ მოსვლა მთელი არმიის საჭიროებითაა გამოწვეული და რომ იგი ეძებს ერთ ბატონ პოდპორუჩიკს, რომლის გარეშეც არმიას არ შეუძლია ბრძოლის ველზე გასვლა. შვეიკმა ვერაფრით ვერ მოიშორა თავიდან მეპატრონე, სანამ კიბიდან არ დააგორა. და მერე ზემო სართულის დათვალვიერებას შეუდგა. ოთახები ცარიელი იყო. მხოლოდ ერთი ოთახი იყო



დაკეტილი დერეფნის ბოლოში. შევიკმა რომ დააკუნა, კარების სახეურს მოკიდა ხელი და შეაღო, ელამ წიკვინა ხმით შეჰკვივლა: „Besetzt“¹. პოდპორუჩიკმა დუბმა კი, რომელსაც ეგონა, რომ ბანაკშია და საკუთარ ოთახში იმყოფება, ბოხი ხმით ნება დართო: „Herein!“².

შვეიკი ოთახში შევიდა. ტახტს მიუახლოვდა, პოდპორუჩიკ დუბს ბლოკნოტის ფურცელი მიაწოდა და პატაკი მისცა, თან აღმაცერად გადახედა ლოგინის კუთხეში მიგდებულ ფორმის ტანსაცმელს.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, რომ თქვენ, იმ ბრძანების თანახმად, რომელიც ეხლა გადმოგეცით, დაუყოვნებლოდ უნდა გამოეწყოთ და გამოცხადდეთ გიმნაზიაში, ჩვენს ყაზარმაში. იქ დიდი სამხედრო თათბირია.

პოდპორუჩიკმა დუბმა დააჰყიტა თავისი ამღვრეული, პატარა თვალები. მაგრამ ისეთი მთვრალი არ იყო, შვეიკი ვერ ეცნო. იმწამსვე მოისაზრა, რომ შვეიკი მასთან საპატაკოდ გამოაგზავნეს და სთქვა:

— ახლავე გაგისწორდები, შვეიკ! დაინახე — რაც მოგივა...

— კუნერტ, — დაუყვირა მან ელას, — დამისხი კიდეე ერთი!

მან ჯერ გადაჰკრა, მერე წერილობითი ბრძანება დახია და გადაიხარხარა:

— ამით ბოდიშს მიხდით? ჩვენთან — ბოდიშის მოხდას — ძალა არა აქვს! ჩვენ — სამხედრო სამსახურში ვართ. — და არა სკოლაში, ესე იგი — ბორდელში დაგიჰირეს — არა? მომიახლოვდი, შვეიკ, უფრო ახლო — ცხვირპირში უნდა ჩაგაფარო. რომელ წელს დაამარცხა ფილიპე მაკედონელმა რომაელები, არ იცი, შე ვირო შენა?!

— მაქვს პატივი, მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — არ იშლიდა თავისას შვეიკი, — ეს ბრიგადის ძალიან მკაცრი ბრძანება გახლავთ, ბატონი ოფიცრები უნდა გამოეწყონ და გაემართონ ბატალიონის თათბირზე. ჩვენ ხომ უკვე სალაშქროდ მივდივართ. ახლა უნდა გადაწყვიტონ, რომელი ასეული წავა ავანგარდში, რომელი ფლანგების დასაცავად და რომელი არიერგარდში. ამას ახლა გადაწყვეტენ, და მე მგონია, პანე ლეიტენანტ. რომ თქვენც გმართებთ ამ საკითხზე აზრის გამოთქმა.

ასეთი დიპლომატიური საუბრის გავლენის ქვეშ პოდპორუჩიკ

¹ დაკეტილია (გერმ.).

² შემობრძანდით (გერმ.).

დუბი ნაწილობრივ მოვიდა გონს და მიხვდა, რომ ყაზარმაში არ იმყოფება, მაგრამ სიფრთხილის გამო მაინც იკითხა:

— სად ვიმყოფები?

— ბარდაკში ბრძანდებით. პანე ლეიტენანტ. შეუცნობელ არიან გზანი უფლისანნი!

პოდპორუჩიკმა დუბმა მძიმედ ამოიოხრა, ტახტიდან ჩამოძვრა და ჩაცმა დაიწყო. შვეიკი ეხმარებოდა. ბოლოს, დუბმა, როგორც იქნა, ჩაიცვა. ორივენი წამოვიდნენ, მაგრამ შვეიკი ისევ მიბრუნდა ოთახში. ელამ მისი დაბრუნების მიზეზი არასწორად გაიგო და უბედური სიყვარულის გამო, ისევ ლოგინში ჩაწვა. შვეიკს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მან სასწრაფოდ გადაჰკრა დარჩენილი არაყი და პოდპორუჩის დაედევნა.

გარეთ ძალიან ჩახუთული ჰაერი იყო და პოდპორუჩიკ დუბს ისევ მოერია ღვინო. იგი მოჰყვა უაზრო როშვას. დუბი მოუყვა შვეიკს, რომ მას სახლში აქვს პელპოლანდის საფოსტო მარკა და რომ ისინი, როგორც კი სიმწიფის ატესტატი მიიღეს, მაშინვე ბილიარდის სათამაშოდ გაემართნენ. კლასის დამრიგებელს აღარ მიე-სალმენ. იგი ყოველ ფრაზას დააყოლებდა ხოლმე:

— იმედია, თქვენ სწორად გამიგეთ?!

— სავსებით სწორად. — იმეორებდა შვეიკი, — თქვენ ისე ლაპარაკობთ, როგორც ბუდეიოვიცელი მეთუნეუქე ხელოსანი პოკორნი. იგი, როცა მას შეეკითხებოდნენ: „იბანავეთ თუ არა წელს მალ-შეში?“ — პასუხობდა: „არ მიბანავია. მაგრამ სამაგიეროდ წელს ქლიავის კარგი მოსავალი იქნება“. ხოლო როცა შეეკითხებოდნენ: „წელს თუ მიირთვით უკვე სოკოები?“ — იგი პასუხობდა: „არ მიკამია, მაგრამ სამაგიეროდ ამბობენ, რომ მაროკოს ახალი სულთანი ძალიან საპატიო ადამიანი ყოფილა“.

პოდპორუჩიკი დუბი შეჩერდა და კიდევ ერთხელ გამოსთქვა თავისი აზრი: „მაროკოს სულთანი — უბედური ფიგურაა“, შემდეგ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, შეხედა შვეიკს თავისი ამღვრეული თვალებით და წაიბუზღუნა:

— ასე ძალიან ზამთარშიც კი არ გავოფლიანებულვარ. მეთანხმებით? გესმით ჩემი?

— სავსებით, პანე ლეიტენანტ. ჩვენთან სამიკიტნოში „ფილას-თან“ დადიოდა ერთი მოხუცი კაცი, სამხარეო სამმართველოს გადამღგარი მრჩეველი. რომელიც იგივეს ადასტურებდა. იგი ყოველთვის ამბობდა, რომ აკვირვებს ზამთარსა და ზაფხულს შორის ტემპერატურის ასეთი განსხვავება და გაოცებულა, როგორ ვერ ამჩნევენ ამას ადამიანები.

გადასაწყობი კაოეითაი ფევიკა მიატოვა აოდორუჩიკი დუბი. იგი ბარბაკით ავიდა კიბეზე, სამასწავლებლოში, სადაც სამხედრო თათბირი მიმდინარეობდა. და იმწამსვე მოახსენა კაპიტან საგნერს, რომ მთვრალია.

მოხსენების დროს დუბი თავჩაქინდრული იჯდა, ხოლო კამათის დროს ხანდახან წამოხტებოდა ხოლმე და ყვიროდა:

— თქვენი მოსაზრება სამართლიანია, ბატონებო, მაგრამ მე სულმთლად მთვრალი ვარ!

დისპოზიციის გეგმა შეიმუშავეს. პორუჩიკ ლუკაშის ასეული ავანგარდში დანიშნეს. უეცრად პოდპორუჩიკი დუბი შეკრთა, წამოდგა და სთქვა:

— არასდროს არ დამავიწყდება, ბატონებო, ჩვენი კლასის დამრიგებელი. მრავალყამიერ სიცოცხლე მისცეს ღმერთმა! მრავალყამიერ, მრავალყამიერ, მრავალყამიერ!

პორუჩიკმა ლუკაშმა გაიფიქრა, რომ ყველაფერს აჯობებს, უთხრას დენშჩიკ კუნერტს პოდპორუჩიკი დუბი მეზობელ ოთახში, ფიზიკის კაბინეტში დააწვინოს. ოთახის კარებში გუშაგი იდგა, რათა ორავის არ მოეპარა უკვე ნახევრად განიაგებული მინერალების კოლექცია. ბრიგადა განუწყვეტლივ ამახვილებდა აქ გამვლელი სამხედრო ნაწილების ყურადღებას ამაზე.

ასეთი სახის ღონისძიებების მიღებას მას შემდეგ მიჰყვეს ხელი, რაც გიმნაზიაში დაბინავებული პონვედების ერთ-ერთმა ბატალიონმა სცადა კაბინეტის გაძარცვა. პონვედებს განსაკუთრებით მოეწონათ მინერალების კოლექცია — ჭრელი კრისტალებისა და ალმადანის. და თავის ზურგჩანთებში ჩაილაგეს.

სამხედრო სასაფლაოზე, ერთ-ერთ თეთრ ჯვარზე ასეთი წარწერაა გაკეთებული: „ლასლო გარგანი“. აქ განიხვენებს სამუდამო ძილით შეპყრობილი პონვედი, რომელმაც გიმნაზიის კოლექციის გაქურდვისას დალია დენატურატი ქილიდან, რომელშიც სხვადასხვა ქვეწარმავლები იყო დასპირტული.

მსოფლიო ომი აღამიანთა მოდგმას გველის ნაყენითაც კი სპობდა.

როცა ყველანი დაიშალნენ, პორუჩიკმა ლუკაშმა ბრძანა მოეყვანათ დენშჩიკი კუნერტი, რომელმაც წაიყვანა პოდპორუჩიკი დუბი და ტახტზე დააწვინა.

პოდპორუჩიკი დუბი უცებ ბაღად იქცა: მან აიღო კუნერტის ხელი. დიდხანს ათვალიერა მისი ხელის გული, თან უმტიციებდა, რომ მისი მომავალი მეუღლის. გვარს გამოიცნობს.

— რა გვარი ხართ? ამოიღეთ ჩემი ფორძის გულისჯიბიდან უბის წიგნაკი და ფანქარი. თქვენი გვარი, ესე იგი, კუნერტია. მოდით ნახევარი საათის შემდეგ. აქ დაგიტოვებთ ქალაქის ფურცელს თქვენი მომავალი მეუღლის გვარით.

ესა სთქვა და ხვრინვა ამოუშვა. უცებ გაიღვიძა და რაღაცის წერა დაიწყო თავის უბის წიგნაკში. შემდეგ ამოხია დაწერილი ფურცლები და იატაკზე დაყარა. მან მრავალმნიშვნელოვნად მიიღო თითები ტუჩებზე და ენისბორძიკით წაიჩურჩულა:

— ჯერ კიდევ არა, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ... ყველაფერს აჯობებს თუ ქალაქს ახვეული თვალებით მოვძებნით.

კუნერტი იმდენად შტერი იყო, რომ მართლა მოვიდა თხუთმეტი წუთის შემდეგ, გახსნა ქალაქი და წაიკითხა პოლიცორუჩიკი დუბის ნაჯღაბნი: „თქვენი მომავალი მეუღლის გვარია: პანი კუნერტოვა“.

როდესაც კუნერტმა აჩვენა შვეიკს ეს ქალაქი, მან ურჩია კარგად შეენახა იგი. უფროსების მიერ მოცემული ასეთი საბუთები მეტად დასაფასებელია; მშვიდობიანობის დროს სამხედრო სამსახურში არ ყოფილა შემთხვევა. რომ ოფიცერს თავის დენშიკთან მიწერ-მოწერა ჰქონოდა და თან პანს უწოდებდეს მას.

როდესაც დისპოზიციის მონაცემების თანახმად სალაშქრო სამზადისი დაამთავრეს, ბრიგადის გენერალმა, რომელიც ისე მშვენიერად გამოაბრძანა შენობიდან პანოვერელმა პოლკოვნიკმა, მთელი ბატალიონი შეკრიბა, ჩვეულებისამებრ კარეში დარაზმა და სიტყვა წარმოსთქვა. გენერალს ძალიან უყვარდა ორატორობა. იგი მოჰყვა გაუთავებელ როშვას, ერთი საგნიდან ხტებოდა მეორეზე. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიწურა მისი მკვერმეტყველების წყარო და გაიხსენა საველე ფოსტა.

— ჯარისკაცებო. — დასვექა მან, თან კარეში დაწყობილ ჯარისკაცებს მიმართა, — ჩვენ ვუახლოვდებით მოწინააღმდეგის ფრონტს. სულ ორი დღის სავალი გვაშორებს მათგან. აქამდის არ გქონდათ საშუალება მახლობელთათვის თქვენი მისამართი შეგეტყობინებინათ, რათა მათ სცოდნოდათ სად მოეწერათ თქვენთვის, რომ თქვენს მიერ მიტოვებულ, ძვირფასი ადამიანების ბარათებს თქვენი გული გაეხარებია...

იგი მალად დაიბნა და ერთიღაიმავეს იმეორებდა: „საყვარელი, შორეული ნათესავები — საყვარელი, მიტოვებული“ და ა. შ.



სანამ, თავი არ დააღწია ამ მოჯადოებულ წრეს ძლიერი შეძახილით: „სწორედ ამისთვის არაებობს ფრონტზე საველე ფოსტა“.

შემდგომი მისი სიტყვა დაახლოვებით იმას გამოხატავდა, რომ ყველა რუხ ფარაჯიანი დიდი სიხარულით უნდა მიემართებოდეს სასაკლაოზე მხოლოდ იმიტომ, რომ ფრონტზე საველე ფოსტა არსებობს. და თუ ვინმეს ყუმბარა წააგლეჯს ორივე ფეხს, მისთვის სასიამოვნო იქნება სიკვდილი, როცა გაიხანებებს, რომ მისი საველე ფოსტის ნომერია — 72, და რომ იქ შესაძლოა დევეს მისი საყვარელი მახლობლების წერილი და ამანათი, რომელშიც დაშაშხული ხორცის ნაჭერი. ქონი და შინაური ორცხობილა.

ამ სიტყვის შემდეგ ბრიგადის ორკესტრმა ჰიმნი დაუკრა და საჯაროდ წარმოსთქვეს — დიდება იმპერატორსო. ადამიანთა — ნახირის ცალკეულმა ჯგუფებმა, რომლებსაც სადმე, ბუგის გადაღმა სასაკლაო მოელოდათ, ბრძანების შესატყვისად რიგრიგობით გასწიეს სალაშქროდ.

მეთერთმეტე ასეული ექვსის ნახევარზე გაემართა სალაშქროდ ტუროვო-ვოლსკის მიმართულებით. შვეიცი უკან მოჩანჩალებდა ასეულის შტაბთან და სანიტარულ ნაწილთან ერთად. პორუჩიკი

ლუკაში მთელ მწყობრს უვლიდა გარს, და დროდადრო ბრუნდებოდა იმის სანახავად, როგორ მიჰყავდათ სანიტრებს პოდპორუჩიკი ღუბი ბრეზენტგადახურულა ფორნით მომავალში ახალი საგმრო საჭმეების ჩასაღენად. მას უნდოდა დრო მოეკლა შვეიკთან საუბარში.

შვეიკს მოთმინებით მოჰქონდა თავისი ჩანთა და შაშხანა. თან ფელდფებელ ვანეკს უყვებოდა რა სიამოვნებით ვარჯიშობდა მარშით სიარულში რამოდენიმე წლის წინათ ველკოვო-მეზირიჩის * მახლობლად მანევრების დროს.

— ადგილმდებარეობა ზუსტად ასეთი იყო, მხოლოდ ჩვენ დავდიოდით არაქათგამოცლილნი, იმიტომ რომ მაშინ წარმოღვენაც არ გვექონდა სამარაგო კონსერვებზე.

თუ ვინცობაა მივიღებდით ხოლმე კონსერვებს, უახლოეს სადგურშივე შევსანსლავდით, ჩანთაში კი მათ მაგივრად აგურებს ჩავალაგებდით. ერთ-ერთ სოფელში ინსპექტორი მოვიდა და მთელი აგურები ამოჰყარა ჩანთებიდან. იმდენი აგურები მოგროვდა, რომ ვიღაცამ სახლი აიშენა თავისთვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ შვეიკი ენერგიულად მიაბიჯებდა პორუჩიკი ლუკაშის ცხენის გვერდით და უყვებოდა საველე ფოსტის შესახებ:

— მშვენიერი სიტყვა იყო! რა თქმა უნდა ყველასათვის ძალიან სასიამოვნოა ომში ყოფნისას სახლიდან გულთბილი წერილის მიღება. მე კი რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ბუდეიოვიცეში ვმსახურობდი, ერთადერთი წერილი მივიღე მთელი იმ ხნის განმავლობაში და აქამდის მაქვს იგი შენახული.

შვეიკმა ჰუჭყიანი ტყავის ჩანთიდან ამოიღო გაქონილი წერილი და კითხვას შეუდგა, თან ცდილობდა პორუჩიკი ლუკაშის ცხენისათვის ფეხი შეეწყო; ცხენი ზომიერი ჩორთით მიდიოდა:

„შე ყოვლად უნამუსო, ხეპრე და კაცისმკვლელო! პან კაპრალი კრშიში შევებულეების დროს პრალაში ჩამოვიდა, ჩვენ ვცეკავდით „კოცანებთან“ და მან მიაგმო რომ შენ, თითქოს, ბუდეიოვიცეში „მწვანე ბაყაყთან“ ვიღაც იდიოტ კახპასთან ერთად ცეკვავ და რომ მე სულ მიმატოვე. იცოდე, ამ წერილს ფებსადგილიდან გწერ. ნახვრეტის გვერდით რომ ფიცარია, იმაზე; ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულა. შენი ყოფილი ბოენა.

რომ არ დამავიწყდეს. ის კაპრალი სულს ამოგხდის; იგი ამის ოსტატია და მე მას ვთხოვე. და კიდევ, რომ არ დამავიწყდეს, როდესაც შევებულებაში ჩამოხვალ, მე უკვე ველარ მნახავ ცოცხლებს შორის“.

— რასაკვირველია, — განაგრძო შვეიკმა, თან პორუჩიკის ცხენის გვერდით მიჩანჩალადა, — როდესაც შევებულემათ სახლში ჩავედი, იგი „ცოცხლებს შორის“ დამხვდა და თანაც როგორც ცოცხლებს შორის! ისევე „კოცანებთან“ ვიპოვე. მას სხვა პოლკის ორი ჯარისკაცი ახლდა. ერთ-ერთი მათგანი ისეთი მარჯვე იყო, რომ ყველას წინ ჩაუძვრა ლიფში ჩემ ცოლს. თითქოს სურდა, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, იქედან უმანკოების ყვაილი ამოედო, როგორც იტყოდა ხოლმე ვენცესლაეა ლუციკაია *. ამდაგვარი რამ გაუკეთეს ერთ თექვსმეტი წლის ახალგაზრდა გოგონას ცეკვების გაკვეთილზე. იმ გიმნაზისტს მხარზე რომ უბწინა, გოგონამ ტირილით უთხრა: „პანე, თქვენ მოსწყევტეთ ჩემი ქალწულობის ყვაილი!“ ცხადია. ყველას გაეცინა, ხოლო დედის კომ, თვალყურს რომ ადევნებდა, „ბესედას“ * დერეფანში გაიყვანა ბრიყვი გოგონა და მიტყუა. მე იმ დასკვნამდე მივედი, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ სოფლელი გოგონები უფრო გულახდილები არიან. ვიდრე არაქათგამოცილი ქალაქელები, ცეკვებზე რომ დადიან ხოლმე. რამდენიმე წლის უკან, როდესაც მნიშეკში ბანაკად ვიდექით. საცეკვაოდ „სტარი კინში“ დავდიოდი და ვეარშიყებოდი კარლა ვეკლოვას. თუმცა მას მაინცდამაინც არ მოეწონდი. ერთხელ კვირა საღამოს ერთად გავემართეთ სააეირნოდ და რუს პარას ჩამოვჯექით. მზის ჩასვლისას შევეკითხე, თუ გიყვარვარ-თქო. მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, პაერი ისეთი თბილი იყო. ჩიტებიც ისე საამურად გალობდნენ, მან კი საზარლად გადაიხარხარა და მიპასუხა: „ისე მიყვარხარ, როგორც ჩალა უკანალში, შე სულელი!“ მართლაცდა ისეთი სულელი ვიყავი, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ როცა მასთან ერთად ვსეირნობდი ხოლმე მაღალი პურის ყანაში, სადაც არავინ არ გვხვდავდა, ერთხელაც კი არ ჩამოვმჯდარვართ; მე ვუჩვენებდი მას ამ ღვთის მაღლით მოსილ ადგილს და შტერივით ვუხსნიდი სოფლელ ქალს. თუ რა არის — ჭევეი, ხორბალი და ქერი.

თითქოს შვეიკის სიტყვების დასაახუთებლად ქერის ხსენებაზე. საღდაც წინ მოისმა-მისი ასეულის ჯარისკაცებმა ხმა. ისინი იმ რაძღერას მღეროდნენ, რომლითაც ჩეხური პოლკები მიემართებოდნენ სოლფერიწოში, რათა ავსტრიისათვის სისხლი დაეღვარათ:

როცა ღამე გადავიდა.
ქერი ტომრით გაღმოკვივდა,
ეუპაიდა, ეუპაიდა,
მოგვემს უველა გოგო და

დანარჩენები აპყენენ:

მოგვიმს. მოგვემს, როგორ არა,
ნუ გგონიათ რომ არ მოგვეცა;
მოგვეცა ორი მწველი კოსნა,
არც იპრანჭა, არც იოსა,
მოგვეცემს ყველა გოგო და
ეუპაილია, ეუპაილა.

შემდეგ გერმანელებმა იგივე სიმღერა გერმანულად წამოიწყეს. ეს ძველი სალდათური სიმღერა იყო, რომელსაც, ალბათ უკვე ნაპოლეონის ომების დროიდან მღეროდნენ ჯარისკაცები ყველა ენაზე. ახლა იგი ლაღად ეფინებოდა პალიციის დაბლობსა და ტუროვო-ვოლსკისაკენ მიმავალ დამტვერილ გზატკეცილს, რომლის ორივე მხარეზე თვით სამხრეთისაკენ მდებარე მწვეანე გორაკებამდე ჯეჯილი გადაჯეგილი იყო ცხენის ჩლიქებითა და ათიათასობით ჯარისკაცის ფეხსაცმლის ძირებით.

— ჩვენც ასე დავამუშავეთ ერთხელ მანევრების დროს. პიეკის ახლოს მდებარე მინდორი, — წამოსცდა შვეიკს, თან აქეთ-იქით იყურებოდა. — იქ ჩვენთან ერთი ერცჰერცოგი იყო — ისეთი სამართლიანი კაცი, რომ, როცა თავის შტაბთან ერთად სტრატეგიული მოსაზრებების გამო პურის ყანა გადაიარა, მისი აღიუტანტი ადგილზევე ანგარიშობდა მათ მიერ მიყენებულ ზარალს. ერთმა გლეხკაცმა, გვარად პიხამ, რომელიც სულ არ გაუხარებია ამ ვიზიტს, უარი სთქვა იმ თვრამეტ კრონაზე. გადაჯეგილ ხუთ მეტრ მინდორში რომ მისცა ხაზინამ. მან, პანე ობერ-ლეიტენანტ, სასამართლოს დანიშნა მოითხოვა და ამაში თვრამეტი თვე მიიღო.

— ჩემის აზრით, პანე ობერ-ლეიტენანტ, იგი ბედნიერი უნდა ყოფილიყო, რომ მას სამეფო სახლის წევრი ეწვია საკუთარ მიწაზე. სხვა უფრო შეგნებული გლეხკაცი, მის ადგილზე. აიღებდა და თავის ქალიშვილებს თეთრ კაბაში გამოაწყობდა, თითქოს ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიემართებინაო. ხელში ყვავილებს დააკაებინებდა, ველზე დააყენებდა და უბრძანებდა, ისე მისალმებოდნენ მაღალი თანამდებობის პანს, როგორც ამას ინდოეთში აკეთებენ ხოლმე. იქ მბრძანებლის ქვეშევრდომები ფეხქვეშ უვარდებიან სპილოს, რათა უკანასკნელმა იხინი გასთელოს.

— რას მიედმოედებით მანდ, შვეიკ? — დაუძახა ორდინარეცს პორუჩიკმა ლუკაშმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე მხედველობაში მყავდა ის სპილო, რომელსაც თავის ზურგზე მოჰყავდა მბრძანებელი, რომლის შესახებაც მე წავიკითხე ერთ წიგნში.

— ყველაფერს რომ სწორად განმარტავდეთ... — სთქვა პორუჩიკმა ლუკაშმა და იქითკენ გაქუსლა, სადაც მწყობრი გარღვეულიყო. მატარებელში შესვენების შემდეგ, მთლიან სამხედრო აღჭურვილობაში ყოფნას შეუჩვეველმა ლაშქრობამ ყველანი დალაღა; ჯარისკაცებს ბეჭებში სტეხდა და თვითთული ცდილობდა, როგორც შეეძლო შეემსუბუქებინა ლაშქრობის სიმძიმე. მათ ერთი მხრიდან მეორეზე გადაჰქონდათ შაშხანა; ბევრ მათგანს ის ღვედზე ეკიდა, ანდა ფოცხვიით მხარზე ჰქონდა გადადებული. ზოგს ეგონა, რომ უფრო ადვილი იქნებოდა თხრილით ან გზის პირას თუ ივლიდნენ, რადგან, მათი აზრით, იქ უფრო რბილი ნიადაგი იყო, ვიდრე მტკრიან გზატკეცილზე.

ყველას თავი ჩაექნდრა, თან წყურვილი კლავდათ; მიუხედავად იმისა, რომ მზე უკვე ჩავიდა, მაინც ისე ცხელოდა როგორც შუადღისას, წყალი კი არავის ერთი წვეთიც არ დარჩა მათარაში. ლაშქრობის პირველი დღე იყო და შეუჩვეველი გარემოცვა, რომელიც თითქოს მომავალი. უფრო დიდი ტანჯვა-წამების პროლოგი იყო, და რაც მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო დამღლევი და აუტანელი ხდებოდა. ჯარისკაცებმა სიმღერაც კი მიატოვეს და სულ იმას ანგარიშობდნენ, რამდენი დარჩა ტუროვო-ვოლსკამდე, სადაც, მათი ვარაუდით, ღამის სათვევი ადგილი ელოდებოდათ. ზოგიერთი თხრილს პირას ჩამოჯდებოდა დასასვენებლად, თან ფეხსაცმლის ზონჩებს იხსნიდა, რომ არავის ეფიქრა ისვენებო. გეგონებოდათ ჯარისკაცს ცუდად აქვს ფეხები წვივისახვევით შეხვეული და ეხლა ხელახლა გადახვევას ცდილობს, რომ ლაშქრობის დროს ფეხები არ ატკინოსო. დანარჩენები ან აგრძელებდნენ ან ამოკლებდნენ შაშხანის ღვედს; ზოგიერთები ხსნიდნენ ჩანთას და მასში მყოფ საგნებს ადგილს უნაცვლებდნენ, თან თავის თავს არწმუნებდნენ, რომ ამას ტვირთის თანასწორად განაწილებისათვის აკეთებდნენ, რათა ჩანთის თასმებს არ გადაეხარა რომელიმე მხარეს. როდესაც პორუჩიკი ლუკაში უახლოვდებოდა მათ, ისინი ფეხზე დგებოდნენ და მოახსენებდნენ, რომ სადაც. რაღაც უქერთ ანდა რაიმე მისი მსგავსი, სანამ რომელიმე კადეტი ან ოცეულის მეთაური მოჰკრავდნენ თუ არა შორიდანვე პორუჩიკ ლუკაშის ცხენს თვალს, წინ არ გააგდებდა მათ.

პორუჩიკი ლუკაში ასეულს გარს უვლიდა და თან ამხნევებდა ჯარისკაცებს — ამდგარიყვენ, რადგან ტუროვო-ვოლსკამდე სულ სამი კილომეტრი დარჩა, იქ კი შეისვენებენ.

ამასობაში, სანიტარულ ორთვალაზე გამუდმებით ჯაყჯაყისაგან, პოდპორუჩიკი დუბი იმდენად მოვიდა გონს, რომ წამოღვომა შეეძლო. მან თავი გამოყო საზიდრიდან და დაუძახა ასეულის შტაბის

ხალხს, რომლებიც ყოჩაღად მიაბიჯებდნენ მის გვერდით, რადგან ყველამ, ბალოუნინდან დაწყებული დამთავრებული ხოლოუნსკით — თავიანთი ჩანთები ორთვალაზე დააწყვეს. მხოლოდ შვეიცი მიაბიჯებდა მხნედ ზურგზე ჩანთითა და დრაგუნსავით — შაშხანით მკერდზე. იგი ყალიონს ეწეოდა და თან მღეროდა:

გზას ვადექით იარომარის,
სწორედ ვახშამს მივუსწარით;
თუ არ გინდა, ნუ გჯერა...

პოდპორუჩიკი დუბისაგან ხუთასი მეტრის დაშორებით, მტერის კორიანტელში ჯარისკაცების ფიგურები ლანღებად მოჩანდნენ. პოდპორუჩიკ დუბს კვლავ დაუბრუნდა თავისი ენთუზიაზმი. მან თავი გამოყო ორთვალადან და ყვირილი მოართო:

— ჯარისკაცებო, თქვენ მძიმე და საპატიო მოვალეობა გაკისრიათ; თქვენ გელით ძნელი ლაშქრობანი, ყველანაირი გაჭირვება და ტანჯვა-წამება. მაგრამ მე მტყიცედ მწამს თქვენი გამძლეობისა და ნებისყოფის.

— მე მგონი ამ მტერის, გაჩუმება ჯობნის. — გართმა შევიკმა.

პოდპორუჩიკი დუბი განაგრძობდა:

— თქვენთვის, ჯარისკაცებო, არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, მისი გადალახვა რომ ვერ შესძლოთ. კიდევ გიმეორებთ. ჯარისკაცებო, არც ისე ადვილი იქნება გამარჯვება, რომლისკენაც მე მიმყავხართ. მაგარი კაკალი გელით, მაგრამ თქვენ შესძლებთ გაართვათ თავი! ისტორია თქვენს სახელებს ოქროს წიგნში ჩააწერს!

— თუ დუბი არ არწყევს, — ისევ გართმა შევიკმა.

თითქოს შვეიკს დაუჯერაო, პოდპორუჩიკმა დუბმა თავი ჩაპკიდა და პირის ღებინება დაიწყო. შემდეგ, კიდევ ერთხელ იყვირა: „წინ ჯარისკაცებო!“, ტელეფონისტ ხოლოუნსკის ჩანთაზე დაეცა და ტუროვო-ვოლსკამდე არ გაუღვიძია. იქ იგი კვლავ ფეხზე წამოაყენეს და პორუჩიკ ლუკაშის ბრძანებით ფორანიდან ჩამოაგდეს. პორუჩიკ ლუკაშს მასთან საკმაოდ ხანგრძლივი და უსიამოვნო საუბარი ჰქონდა. ბოლოს პოდპორუჩიკი დუბი იმდენად მოვიდა გონს, რომ განაცხადა: „თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, მე სისულელე ჩავიღინე და ვეცდები ჩემი დანაშაული მოწინააღმდეგესთან პირაპირ შეყრისას გამოვისყიდო“.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ დუბი სავსებით ვერ გამოფხიზლდა. რადგან თავისი ოცეულისაკენ მიმავალი, ასე დაემუქრა პორუჩიკ ლუკაშს:

— თქვენ კიდევ არ მიცნობთ, მაგრამ არაფერია, გამიყნობთ!..

— რაც ჩაიღინეთ. ის შეგიძლიათ შევიცისაგან გაიგოთ, — მშვიდად უპასუხა მას პორუჩიკმა ლუკანმა.

ამიტომ, ოცეულში წასვლამდე, პოდპორუჩიკი დუბი შევიცისაკენ გაემართა. მან იგი ბალოუნისა და უფროსი გადამწერი ვანციკის საზოგადოებაში იპოვა.

ბალოუნი ყვებოდა, რომ წისქვილში ყოველთვის პქონდა ერთი ბოთლი ლუდი ქაში შემონახული. ლუდი ისეთი ცივი იყო, რომ კბილებს გეტეხავდაო. საღამოობით წისქვილში ამ ლუდს დააყოლებდნენ ხოლმე სმეტახით მოსხმულ ხაქოს. იგი ისეთი მსუნაგი იყო, რომ ხაქოს შემდეგ, კიდევ ხორცის მოდილო ნაჭერსაც მიირთმევდა. სწორედ ამის გამო დააჯჯა ღმერთმა. ახლა კი ღვთის განგებამ შემარისხა და დასჯის მიზნით ტუროვო-ვოლსკის ქიდან აყროლებული წყალი უნდა ესვაო. თან ჯარისკაცებს. რომლებიც ოცეულებზე მიხედვით იღებდნენ წყალს ქიდან, შიგ ეხლახან დარიგებულ ლიმონის მკეავე უნდა ჩაეყარათ, რათა ხოლერისაგან დაეცვათ თავი.

ბალოუნის აზრით, ამ ლიმონის მკეავას იმიტომ არიგებდნენ, რომ შიმშილით მოეკლათ ხალხი. მართალია, სანოკში იგი ეოტა მოკეთდა, რადგან ობერ-ლეიტენანტმა კვლავ დაუთმო მას ბრგადიდან მოტანილი ხბოს ხორცის ნახევარი ულუფა. მაგრამ, ეს რა საშინელებაა; მას ეგონა, ღამისთვის აღვილას მაინც მოხარშავდნენ რამეს. ბალოუნი ამაში მაშინ დარწმუნდა. როდესაც დაინახა, როგორ აგროვებდნენ მზარეულები ქვაბებით წყალს. იგი იმწამსვე გაემართა საზარეულოში საკითხავად, რაშია საქმეო, მაგრამ მზარეულებმა უპასუხეს ჯერ ასე გვიბრძანეს დააგროვეთ წყალიო და ერთი წუთის შემდეგ შეიძლება მოვიდეს ბრძანება — გადაღვართო.

ამ ღროს პოდპორუჩიკი დუბი მივიდა მათთან და შემკრთალმა იკითხა:

— საუბრობთ?

— ვსაუბრობთ, პანე ლეიტენანტ, — ყველას მაგივრად უპასუხა შევიკმა, — გახურებული სჯა-ბაასი გვაქვს. არაფერი სჯობია კარგ საუბარს. ახლა სწორედ ლიმონის მკეავაზე ვლაპარაკობდით. საუბრის გარეშე არცერთ ჯარისკაცს არ შეუძლია გასძლოს. მაშინ იგი უფრო ადვილად იტანს ყოველგვარ გაკვირებას.

პოდპორუჩიკმა დუბმა გაიხმო შეეიკი. გაეისეირნოთ, შენთან სალაპარაკო მაქვსო. როდესაც გაინაპირეს, ექვნარევი ხმით შეეიკთხა შეეიკს:

— ჩემზე ხომ არ ლაპარაკობდით?

— არა, პანე ლეიტენანტ, არცერთი სიტყვა არ გვითქვამს თქვენზე. ლიმონის მკვასა და დაშაშხულ ხორცზე ვსაუბრობდით.

— შევიკ, ობერ-ლეიტენანტმა ლუკაშმა სიტყვა, თითქოს მე რაღაც დამეშავებინოს და შენ იცოდე ამის შესახებ.

შევიკმა სერიოზული და მრავალმნიშვნელოვანი ტონით უპასუხა:

— არაფერი ისეთი არ ჩავიდინიათ, პანე ლეიტენანტ. ერთი კია, საროსკიპოში ბრძანდებოდით. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, გაუგებრობის შედეგია. მეთუნეუქე პიმპრასაც სულ ასე ეძებდნენ, როცა ქალაქში თუნუქის საყიდლად გაემგზავრებოდა ხოლმე. მასაც, ისეთივე დაწესებულებაში პოულობდნენ, მე რომ გნახეთ თქვენ, ხან „შუგებთან“, ხან კი „დვორუჟაკებთან“. ქვემოთ კაფე იყო. ზემოთ კი — იმჯერად, გოგოები იყვნენ მოთავსებულნი. თქვენ. ალბათ, არც გესმოდათ, პანე ლეიტენანტ. საღ იმყოფებოდით, რადგან ძალიან ცხელოდა და თუ კაცი შეჩვეული არაა სმას, ასეთ სიტყვაში ადვილად დაითრობა ჩვეულებრივი რომისგანაც. თქვენ კი, პანე ლეიტენანტ, ჭნავის ნაყენი გადაგიკრავთ. მიბრძანეს თქვენთვის მოწვევა გადმომეცა იმ წინასწარ თათბირზე დასასწრებად, რომელიც მომავალ ლაშქრობასთან დაკავშირებით უნდა ჩაეტარებიათ და გიპოვეთ ზემო სართულზე გოგონასთან ერთად. თქვენ არაფერი ცუდი არ გავიკეთებიათ და ესეც კი არ გითქვამთ: „მე ჯერ არ მიცნობთო“... ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს ამ სიტყვაში. ზოგიერთი ადამიანი ასეთ რამეს ძალიან განიცდის, ზოგი კი ასეთ მდგომარეობაში შემთხვევით ჩავარდება ხოლმე, როგორც ქათამი შჩიში. თქვენ რომ ვრწოვიცელი ძველი მებრძოლი ათისთავი გენახათ! მან გადაწყვიტა. მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, არასდროს არ დაელია ისეთი სასამელები. რომელიც დაათრობდა. ქიქა გზაში გადაისროლა და უაღკოპოლო სასამელების საძებრად გაემართა. ჯერ გაჩერდა სამიკიტნო „გაჩერებასთან“, შეუკვეთა ორასორმოცდაათი გრამი ვერმუტი და ფრთხილად გამოჰკითხა სამიკიტნოს მეპატრონეს, რასა სვამენ აბსტინენტებიო. მას სავსებით სამართლიანად მიაჩნდა, რომ სუფთა წყალაც სასამელია. მეპატრონემ აუხსნა, რომ აბსტინენტები სვამენ სოლიან წყალს, ლიმონათს, რძეს, უაღკოპოლო ღვინოს, ცივ ნიჯრიან წვესსა და სხვა უაღკოპოლო სასამელებს. ყველა ამ სასამელებიდან ათისთავს მხოლოდ უაღკოპოლო ღვინოზე მიუვიდა გული. მან იკითხა: არსებობს თუ არა უაღკოპოლო არაყი. კიდევ ერთხელ შესვა ორასორმოცდაათი გრამი და ბაასი გაუბა მეპატრონეს იმის თაობაზე, რომ ხშირად დაღვეა ნამდვილად დიდი ცოდვია. მეპატრონემ ამაზე უპასუხა, რომ ყველაფრის

ატანა შეუძლია გარდა მთვრალი კაცისა, რომელიც წაიჩხუბებს სად-მე, მერე გამოსაფხიზლებლად მასთან მოვა, ერთ ბოთლ სოდიან წყალს მიირთმევს და ისევ აურზაურს ატეხავს. „თუ ჩემთან წაიჩხუბებს, ეს სხვა საქმეა, — თქვა მეპატრონემ. — ესე იგი ჩვენი კაცია. თუ არა და მისი სახელის გაგონებაც არა მსურს!“ ძველმა ვეივოდამ განაგრძო გზა. ბოლოს იგი, პანე ლეიტენანტ, კარლოვოს მოედანზე, ძველ ღვინის სარდაფში ჩავიდა, სადაც ადრეც დადიოდა და იკითხა, უაღკოპოლო ღვინოები ხომ არ გაქეთო. უაღკოპოლო ღვინოები არა, ბატონო ვეივოდა. მაგრამ ვერმუტი და შერი გახლავთო, — უპასუხეს მას. ძველ ვეივოდას მოეხატრა უარის თქმა და ორასორმოცდაათი გრამი ვერმუტი და იმღენივე შერი დალია. სანამ იქ იჯდა, ერთი ისეთივე აბსტინენტი გაიცნო, როგორც თვითონ იყო. შეჰყვნენ ლაპარაკს და კიდევ ორასორმოცდაათი გრამი შერი დალიეს. მერე იმ პანმა უთხრა, რომ იცის ადგილი, სადაც უაღკოპოლო ღვინოებს იძლევიან. ბალზანოვის ქუჩაზეა, ქვემოთ კიბითაა ჩასასვლელი და გრამაფონი უკრავსო. ასეთი სასიამოვნო ამბის აღსანიშნავად პან ვეივოდამ კიდევ ერთი ბოთლი ვერმუტი მოატანინა, მერე კი ორივენი ბალზანოვის ქუჩისკენ გაემართნენ.

მართლაც, იქ მხოლოდ ხილის ღვინოები იყო, რომელშიც აბამეც თუ სპირტი, საერთოდ ალკოჰოლის მსგავსი არაფერი ერია. ჯერ ნახევარ-ნახევარი ლიტრა ხურტკმლის ღვინო დალიეს, მერე მოცხარისა მიაყოლეს, ხოლო, როცა კიდევ ნახევარი ლიტრი უაღკოპოლო ხურტკმლისა შესვეს, უცებ ადრე მირთმეული ვერმუტებისა და შერისაგან ფეხები წაერთვათ. მათ ატეხეს ყვირილი და თან იმის დამტკიცებას მოითხოვდნენ, რომ ეს ღვინოები ნამდვილად უაღკოპოლოა. ჩვენ აბსტინენტები ვართ და თუ დაუყოვნებლივ არ მოგვიტანთ ასეთ საბუთს. ყველაფერს დავამტკრევთ და გრამაფონსაც ზედ მივაყოლებთო... პოლიციელებმა, როგორც იქნა, ისინი კიბეზე ამოათრიეს და ბალზანოვის ქუჩაზე გამოიყვანეს. შემდეგ ორივენი კალათაში ჩატენეს. ცალცალკე საკანში ჩააგდეს და, როგორც აბსტინენტები, ლოთობისათვის გაასამართლეს.

პოპოროუჩიკმა დუბმა იგრძნო, რომ საქმე ცუდათაა და იყვირა: — რისთვის მიყვებით ამას?

შვეიკის მონაყოლმა იგი საბოლოოდ გამოაფხიზლა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, რომ თქვენ ეს სრულებით არ გეხებათ, უბრალოდ სიტყვამ მოიტანა და...

უცებ დუბს მოეჩვენა, რომ შვეიკმა მას შეურაცხყოფა მიაყენა, ჩადგან უკვე გონს მოვიდა, და ილრიალა:

— ვერა მცნობ ვინცა ვარ! როგორა დგებარ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ცუდად ვდგევარ, დამავიწყდა. რომ ქუთლები ერთად უნდა მქონდეს, ფეხისწვერები კი ცალცალკე! — შვეიცი წესის მიხედვით გამოიჭიმა.

პოდპორუჩიკი დუბმა ფიქრობდა, კიდევ ეთქვა შვეიციისათვის რაიმე განსაკუთრებული, მაგრამ ბოლოს ეს-ღა მოახერხა:

— იცოდე, ასეთი რამ მეტჯერ არ გაიმეორო! — თან თავისებურად მოსწრებულად. ოღონდ ოღნავ შეცვლილად დაუმატა:

— შენ ჯერ კიდევ არ მიცნობ! სამაგიეროდ მე ვიცი რაცა ხარ! დუბმა წაიღია, თან ნაბახუსევზე ეს გაიფიქრა: „შეიძლება ჯობდა ასე მეთქვა: „მე ჩემო ძამია. უკვე კარგა ხანია რაც ცუდის მხრივ გაგიცანი-მეთქი“. ვინ იცის, შეიძლება ეს უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

შემდეგ პოდპორუჩიკმა დუბმა თავის დენზიკ კუნერტს დაუძახა და უბრძანა მისთვის ერთი დოქი წყალი ეშოვა.

სამართლიანობა მოითხოვს ალენიშნოთ, რომ კუნერტი კარგა ხანს ეძებდა წყალს ტუროვო-ვოლსკში.


ბოლოს, როგორც იქნა მოახერხა და დოქი მოპარა მღვდელს. ხოლო წყალი ფიცრებით მაგრად დაქვილილ ქიდან ამოიღო. ამისათვის რამდენიმე ფიცრის აძრობა დასჭირდა. ჭა იმიტომ დაეჭვდათ. რომ ფიქრობდნენ შიგ ტიფის ბაცილებიანი წყალი უნდა ყოფილიყო.

მართალია პოდპორუჩიკმა დუბმა მთელი დოქი წყალი დალია. მაგრამ ამას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია. ასეთ ღორს, როგორც იტყვიან ხოლმე: „ყველაფერი დეღის რძესავით შეერგება“.

ყველას ეგონა, რომ ტუროვო-ვოლსკში გაათევდნენ ღამეს, მაგრამ სასტიკად შეცდნენ.

პორუჩიკმა ლუკაშმა დაუძახა ტელეფონისტ ხოლოუნსკის, უფროს გადამწერ ვანეკს, ასეულის ორდინარეცს შვეიკს და ბალოუნს. ბრძანება უბრალო იყო: ყველამ უნდა დასტოვოს იარაღი სანიტარულ ნაწილში და დაუყოვნებლივ გაემართოს პოლანეცისაკენ, ხოლო მერე ქვემოთ, მდინარის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით — ლისკოვეცისაკენ.

შვეიცი, ვანეკი და ხოლოუნსკი გამოიყვნენ კვარტირებიდან. მათ უნდა შეერჩიათ ღამისსათუვი ადგილი ასეულისათვის, რომელიც მათ კვალდაკვალ უნდა გაჰყოლოდა ერთი ან მაქსიმუმ ორი საათის შემდეგ. ბალოუნს უნდა გაეცა განკარგულება, რომ ბინაზე. სადაც პორუჩიკი ლუკაში გაათევა ღამეს, შეეწვათ ბატი, ხოლო დანარჩენ სამ კაცს ევალებოდა თვალყურის ეღვენებინა ბალოუნისათვის, რომ ბატის ნახევარი არ შეესანლა. ამას გარდა, ვანეკს და



შვეიკს უნდა ეყობათ ასეულისათვის ღორი, რომლის წონა ასეულზე გათვალისწინებული ხორცის ნორმას უნდა შეესაბამებოდეს. ჯარისკაცებისათვის შერჩეულ უნდა იქნას ხეირიანი ღამისათვის ადგილები. უნდა ეცადონ ტილიანი ქოხები არ შეხვდეთ, რათა ჯარისკაცებმა კარგად დაისვენონ. ასეული უკვე დილის შვიდის ნახევარზე გამოვა ლისკოვეციდან და კროსცენკოს გავლით სტარაია სოლისაკენ გაემართება.

ბატალიონს ფული უკვე აღარ ესაჭიროებოდა. სანოკში ბრიგადის საინტენდანტომ ავანსად გადაუხადა მას მომავალი სასაჯლო-სათვის. ასეულის საღაროში ათი ათას კრონზე მეტი ინახებოდა. უფროს გადამწერ ვანეკს უბრძანეს ადგილზე ჩავლისთანავე (იგულისხმებოდა სანგრები) გამოეანგარიშებია და ასეულისათვის სიკვდილის წინ გადაეხადა მთელი იმ მიუღებელი სადილებისა და პურის ულუფის კომპენსაცია, რომელიც მათ უღაოდ ერგებოდათ.

სანამ ოთხეული გასამგზავრებლად ემზადებოდა, ასეულში ადგილობრივი მღვდელი გამოჩნდა. მან ჯარისკაცებს ეროვნებისა მიხედვით, თვითუფს თავის ენაზე, დაურიგა ფურცლები „ლურდია სიმღერითურთ“. მღვდელს ამ სიმღერის მთელი შეკვრა ჰქონდა; სიმ-

ღერა მას დაუტოვა ერთმა მაღალი სამხედრო-სასულიერო წოდების პირმა, რომელიც ვილაც კახკებთან ერთად ავტომობილით მოგზაურობდა გაპარტახებულ ქალიციაში. მღვდელს იგი უნდა დაერიგებია იმ სამხედრო ნაწილებისათვის, რომლებიც აქ ჩაივლიდნენ:

სადაც მთის ფერდებს ეკერის კალები,
ქვეყანას ამცნობს რეკვა ზარების:
ავე, ავე, ავე მარია! ავე, ავე, ავე მარია!

და წმიდა სული მიჰყვება მცველად,
ქალწულ ბერნარდას, კალად და ველად.
ავე!

ქალწული ხედავს შუქს მოკიაფეს,
სხეულს სხივმოსილს, ღვთაებრივ სახეს.
ავე!

მუხლმოდრეკილი ლოცვას შეუდგა,
ღვთისმშობელმა კი ალერსით უთხრა:
ავე!

ო, შეილო ჩემო, მე უცოდველად
ვშობე და მინდა გყავდე დამცველად!
ავე!

დაე მორწმუნე ეს ხალხი ჩემი,
შეახლოს მარად, თაყვანის ცემით.
ავე!

და იყოს მოწმე ამ ტაძრის ქვები,
რომ მწყალობელი შენი ვიქნები.
ავე!

შენ კი მთის წყაროვ, რაკრაკა, წმინდა,
ჩემ სიყვარულის იყავ საწინდრად.
ავე!

ქალათა შორის — ქალავ, იხარე,
შენთან აყვავდა სამოთხის მხარე!
ავე!

ანსახიერებს მორწმუნე შეილთა,
გამოქეხებული ეგ შენი წმინდა.
ავე!

სახელოვანი დღეც ხომ ეგ არი,
ხალხის დინებას არ უჩანს ზღვარი.
ავე!

მორწმუნეთ დედად შენ დაგისახეთ,
ჩვენ მოგეაპყარი მზრუნველი სახე.
აჲ!

შუქვარსკვლავი ხარ შენ ერთადერთი,
გაგვიძებ ცისკენ, სადაც ზის ღმერთი.
აჲ!

წმიდათა-წმიდავ, ვავედრებ შენს გულს,
მშობლიურ ალერსს და დიდ სიყვარულს.
აჲ!

ტუროვო-ვოლსკში უამრავი ფეხისადგილები იყო და ყველგან
ეყარა ქალღმერთები „ლურდის სიმღერით“.

კაშპერელმა, კაპრალმა ნახტიგალმა დამფრთხალ ებრაელს ერთი
ბოთლი არაყი გამოართვა. ამხანაგები შეაგროვა და მათთან ერთად
„ლურდის სიმღერის“ გერმანული ტექსტის სიმღერა წამოიწყო.
ისინი მისამღერ „აჲ“ -ს არ ამობდნენ და „პრინც ევგენის“ მოტივ-
ზე მღეროდნენ.

როცა დაბნელდა, მოწინავე რაზმმა, რომელსაც მეთერთმეტე
ასეულის ღამისათვე აღგილზე უნდა ეზრუნა, მდინარის პირას მყოფ
პატარა ქალაში ამოჰყო თავი. ამ ქალას ლიხაკოვეცთან უნდა მიეყვან-
ნა ისინი; გზა ჯოჯოხეთურად ძნელი გასაკვლევი გახდა.

ბალოუნი თავის სიცოცხლეში პირველად მოხვდა ისეთ სიტუ-
აციაში, როდესაც არ იცოდა საით მიდიხარ. ყველაფერი არაჩვეულებ-
რივი საიდუმლოებით მოცული ეჩვენებოდა: ისიც, რომ ბნელოდა,
ისიც, რომ ჯერ ისინი გაგზავნეს ბინის საპოვნელად. უყებ საში-
ნელმა ეჭვმა შეიპყრო. ნამდვილად რაღაცაშია საქმეო, გა-
იფიქრა.

— ამხანაგებო, — ჩუმად სთქვა მან და წაბოროძიდა. გზა მდინა-
რის პირს მიჰყვებოდა. — ჩვენ შეგეწირეს მსხვერპლად.

— როგორ თუ მსხვერპლად? — ისევე ჩუმად, მაგრამ მკაცრად
დაუცაცხანა შევიკმა.

— ამხანაგებო, ნუ ვიყვირებთ. — მუდარით წარმოსთქვა ბალო-
უნმა, — მე უკვე მაზრიალებს ტანში; ვგრძნობ, რომ ისინი გაიგონე-
ბენ და სროლას ატეხენ. მე ვიცი, ეს ანე იქნება. ჩვენებმა იმისათ-
ვის გამოგვაგზავნეს, რომ გაგვეგო ხომ არადა ახლომახლოს მოწი-
ნაღმდეგე. როცა ისინი სროლას გაიგონებენ მაშინვე მიხვდებიან,
რომ გზის გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ, ამხანაგებო, მზვერავი
პატრულები ვართ — ასე მასწავლიდა კაპრალი ტერნი.

— მაშინ წინ გასწი, — უთხრა შევიკმა, — ჩვენ კი უკან მოგყე-
ვ-

ბით. დაგვიცავი შენი სხეულით, რადგან ასეთი გოლიათი ხარ. ხოლო როცა გესვრიან, შეგვატყობინე, რომ დროზე ჩავწვეთ საფარში. აბა რა ჯარისკაცი ხარ, თუ ტყვიის გეშინია! სალდათს ყოველივე ეს ნამდვილად უნდა ახარებდეს. ყველა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ რაც მეტს ესვრის მას მოწინააღმდეგე, მით უფრო ნაკლები საბრძოლო იარაღი დარჩება მტერს. მოწინააღმდეგის ჯარისკაცის ყოველი გასროლა, ამცირებს მის ბრძოლისუნარიანობას. თვითონაც კმაყოფილია ალბათ, რომ შეუძლია გესროლოს. ყოველშემთხვევაში ვაზნების თრევა მაინც აღარ დასჭირდება და გაქცევა უფრო ადვილია.

ბალოუნმა ამოიოხრა.

— კი, მაგრამ. თუ სახლში მეურნეობა გაქვს, მაშინ?!

— მიაფურთხე მეურნეობას. — ურჩია შეეიკმა, — სჯობს შენი სიცოცხლე შესწირო ხელმწიფე იმპერატორს. განა ამას არ გასწავლიდნენ სამხედრო სამსახურში?

— ამას ისინი მხოლოდ ოდნავ შეეხნენ, — ვერ მიხვდა სულელი ბალოუნი. — მე ჯერ მოედანზე მერეეკებოდნენ. მერე კი დენშიკი გავხდი და არაფერი მაგდაგვარი აღარ მსმენია. ნეტავი ხელმწიფე იმპერატორი უკეთესად გვაქმევდეს!..

— ოჰ, შე წყეულო, გაუმაძლარო ღორო, შენა! ჯარისკაცი ბრძოლის წინ წესით არაფერს არ უნდა ჰამდეს. ამას ჯერ კიდევ დიდხნის წინათ, სკოლაში გვასწავლიდა კაპიტანი უნტერგრიცი. იგა სულ გვეჩიხინებოდა: „თქვე ხულიგნებო, თქვენა! თუ ვინცობაა ომი ატყდა და სალაშქროდ წასვლა მოგიხდეთ, არ იფიქროთ ბრძოლის წინ გაძლომა. თუ გამოსკდი, და მერე ტყვია მოგხვდა მუცელში. მორჩენილია შენი საქმე. დაჭრილს, ნაწლავებიდან მთელი წვნიანი და პური გადმოგცვივა და მაშინვე ანტონის ცეცხლი დაგეწყება. ხოლო როცა კუჭი ცარიელია, ასეთი ჭრილობა მუცელში მხოლოდ სიამოვნების მომგვრელია! ისეთი გრძნობაა, თითქოს ბზიკმა გიკბინა.

— მე ძალიან სწრაფად ვინელებ საქმელს, — დაამშვიდა მეგობრები ბალოუნმა. — კუჭში არასოდეს არაფერი არ მრჩება. შემოდლია, ძამიკო, მთელი მათლაფა კნედლიკები შევსანსლო ღორისხორცთან და კომბოსტოსთან ერთად, ნახევარი საათის შემდეგ კი, სამი სუფრის კოვზის ოდენასაც ვერ მოვისაქმებ; დანარჩენი შიგ რჩება. სხვამ შეიძლება სოკო მიირთვას, და ის ისე გამოუვიდეს უკან, რომ საკმარისია მარტო გარეცხვა, ხელახლა შეგიძლია მიიტანო სუფრაზე მკავე საწებელასთან ერთად. მე პირიქით მომდის. ისე მივასკდები ხოლმე სოკოს, რომ სხვა ჩემს ადგილზე, გასკდებოდა. მერე კი პა-

ტარა ბავშვივით რალაც ყვითელ ფაფას გავალ ხოლმე; დანარჩენი ყველაფერი შიგ მრჩება.

— ჩემს კუქში, — საიდუმლოდ უთხრა ბალოუნმა შვეიკს, თევზის ძვლები და ქლიავის კურკებიც კი იხსნება. ერთხელ განზრახ დავთვალე. შევქამე სამოცდაათი ქლიავის კნედლიეკი კურკებით, ხოლო როცა დრო მოვიდა, წავედი კალოს უქან; შემდეგ გავჩიქნე ეს კვართი, კურკები ცალკე გადავდევნი და დავითვალე. სამოცდაათი კურკიდან ნახევარზე მეტი კუქში გახსნილიყო.

ბალოუნს ჩუმი, ხანგრძლივი ოხერა აღმოხდა.

— ჩემი ცოლი ქლიავის კნედლიეკებს კარტოფილის ცომისაგან ამზადებდა და ხაჭოს უმატებდა, რომ უფრო ნოყიერი ყოფილიყო. იმას ხაშხაშით მოყრილი კნედლიეკები უფრო უყვარდა, მე კი ყველთ. ერთხელ ამის გამო სილაც კი გავაწიანი... ვერ ვაფასებდი ჩემს ოჯახურ ბედნიერებას!

ბალოუნი შეჩერდა, ტუჩები გააწკლავუნა, პირი მოილოკა და სევდანარევი, ნაზი ხმით თქვა:

— იცი, მეგობარო, ეხლა, როდესაც არავითარი კნედლიეკები აღარა მაქვს, დავრწმუნდი, რომ ჩემი ცოლი მართალი იყო. ხაშხაშ-მოყრილი უკეთესია. მაშინ სულ მეჩვენებოდა, რომ ხაშხაშის თესლი კბილებში გამეჩხირა-მეთქი, ახლა კი საოცნებოდ მაქვს იგი. ეჰ, ნეტა გამეკვებებოდეს! ჩემი ცოლი ბევრს იტანდა ჩემგან! რამდენჯერ უტირია საწყალს, როდესაც მოვითხოვდი უფრო მეტი თავშავა ექნა ჯიგრის ძეხვში... ამის გამო ყოველთვის მაგრად ხვდებოდა ხოლმე ჩემგანი ერთხელ საწყალი ისე ლაზათიანად შევახურე, რომ ორი დღე იწვა: ვახშმად ინდაურის დაკვლა არ უნდოდა, ყვინჩილაც გეყოფათ.

— ეხ, მეგობარო, — აწუწუნდა ბალოუნი, — ნეტავი ახლა ჯიგრის ხორცი მომცა, თუნდაც თავშავასა და ყვინჩილას გარეშე... გიყვარს კამის საწებელა? ეხ, რა ჩხუბს ვტეხდი ხოლმე ამის გამო! ახლა კი რომ მომცა ყავასავით დავლევდი!

ბალოუნს თანდათან ავიწყლებოდა მოსალოდნელი საშიშროება და ღამის სიჩუმეში აღელვებული უყვებოდა შვეიკს იმის შესახებ, თუ რას არ აფასებდა უწინ და რას შექამდა ახლა უდიდესი სიამოვნებით, ოღონდ კი იყოს რამე ჩასახრამუნებელი. ისინი ლისკოვეცისკენ ეშვებოდნენ.

მათ უქან მოჰყვებოდათ ტელეფონისტი ხოდოუნსკი და უფროსი გადამწერი ვანეკი.

ხოდოუნსკიმ აუხსნა ვანეკს, რომ, მისი აზრით, მსოფლიო ომი — სისულელეა. ყველაზე უარესი მასში ისაა, რომ თუ სადმე გაწყდა

ტლევფონის მავთული, ღამით უნდა წახვიდე და გაასწორო. და კიდევ უარესი ის, რომ თუ უწინდელ ომში არ იცოდნენ რა არის შუქმტყორცნი, ახლა პირიქით; როცა ამ დაწყევლილ მავთულებს ასწორებ, მოწინააღმდეგე იმწამსვე გპოულობს შუქმტყორცნით და რაც ძალი და ღონე აქვს დაგცხებს.

ქვემოთ, სოფელში, სადაც მათ ღამისსათევი ადგილი უნდა მოეძებნათ ასეულისათვის, ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ძალებმა ყეფა ატეხეს; ექსპლუზიის წვერები იძულებული იყვნენ გაჩერებულიყვნენ და მოეფიქრებიათ რა ეღონათ მათ წინააღმდეგ.

— შეიძლება აჯობებს, რომ დავბრუნდეთ? — წაიჩურჩულა ბალოუნმა.

— ბალოუნ, ბალოუნ, ეს რომ გავაკეთოთ, მაშინ შენ როგორც ლაჩარს ისე დაგხვრეტენ, — შეახსენა მშვიშარას შვეიკმა.


ძალები თითქოს გაცოფდნენო; ყოველი კუთხიდან გაისმოდა მათი ყეფა. და ბოლოს ხმა მოისმა სამხრეთიდან, მდინარე როპის მხრიდან. ძალები ყეფდნენ კროსცენკოში, და მის გარშემო მდებარე სოფლებში, რადგან შვეიკი გაჰკიოდა ღამის სიჩუმეში.

— კუშ, კუშ, კუშ! — მას გაახსენდა, რომ ასე უყვიროდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ძალებით ვაჭრობდა.

ძალები ვეღარ დაწყნარდნენ და უფროსმა გადამწერმა ვანეკმა სთხოვა შვეიკს:

— ნუ უყვირით მათ, შვეიკ, თორემ მთელი პალიცია აყეფდება.

— მსგავსი რამ მოხდა ტაბორის ოლქში მანევრების დროს, — მოჰყვა შვეიკი, — ერთხელ, ღამით მივედი ერთ სოფელში. ძალებმა საშინელი ყეფა ატეხეს. ამ ადგილას მჭიდრო მოსახლეობა იყო და ამიტომ ძალების ყეფა ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. ის იყო იმ სოფლის ძალები, სადაც ჩვენ ბანაკად ვიყავით, მიჩუმდებოდნენ და უცებ საიდანღაც, შორიდან შემოესმებოდათ ყეფა და ესენიც ისევ აყეფდებოდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ აყეფდებოდა ტაბორის, პელგრეიმოვის, ბუდეიოვიცეს, გუმპოლციის, ტრეებონსკის და იიგლავის ოლქები*. ჩვენი კაპიტანი მეტად ნერვიული ბიძა იყო და ძაღლის ყეფას ვერ იტანდა. მას მთელი ღამე არ ეძინა. სულ დადიოდა და ეკითხებოდა პატრულს: „ვინ ყეფს? რასა ყეფენ?“ სალდათებმა უპატაკეს, რომ ძალები ყეფენო. ამან ისე გააბრაზა კაპიტანი, რომ ყველანი, ვინც მაშინ პატრულში იმყოფებოდა, მანევრებიდან დაბრუნების შემდეგ შვებულების გარეშე დასტოვა.



ამ შემთხვევის შემდეგ კაპიტანი ყოველთვის ირჩევდა ხოლმე „ძაღლების რაზმს“ და წინ გზავნიდა; რაზმს უნდა გაეფრთხილებია სოფლის მოსახლეობა, სად უნდა გაჩერებულიყო მათი ასეული ღამის გასათევად და რომ ძაღლებს ღამით არ უნდა ეყევათ; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოჰკლავდნენ. მეც ვიყავი ასეთ რაზმში და როცა მიღვევის რაიონის ერთ სოფელში მივედი, ყველაფერი ავურ-დავურიე; სოფლის მამასახლისს ვუთხარი, რომ იმ ძაღლის პატრონი, რომელიც ღამით დაიყეფებს, სტრატეგიული მოსაზრების გამო დახვრეტილ იქნება-მეთქი. მამასახლისს შეეშინდა, მაშინვე ცხენი შეაკაზმია და მთავარი შტაბისაკენ გაემართა, რათა მთელი სოფლის სახელით შეწყალება ეთხოვა. მაგრამ ის შტაბში არ შეუშვეს და გუშაგებმა კინალამ მოჰკლეს. მამასახლისის სახლში დაბრუნდა და ყველას ურჩია ჩვენს მოსვლამდე ძაღლებისათვის ჩვარით პირი აეხვიათ. სამი ძაღლი გაცოფდა.

ყველანი დაეთანხმნენ შვეიკს იმაში, რომ ღამით ძაღლებს ანთებული სიგარეტის ცეცხლის ეშინიათ. სამწუხაროდ, არცერთი მათგანი არ წევდა სიგარეტსა და შვეიკის რჩევას დადებითი რეზულტატები არ მოჰყოლია. გამოირკვა, რომ ძაღლები თურმე სიხარულისა-

გან ყველდნენ: ისინი სიყვარულით იხსენებდნენ აქ გავლილ ჯარებს, რომლებიც ყოველთვის უტოვებდნენ ხოლმე მათ საკმელს.

ძაღლებმა უკვე შორიდან იგრძნეს იმ არსებების მოახლოება, რომლებიც წასვლის შემდეგ სტოვებენ ძვლებს ან მკვდარ ცხენებს.

საიდანღაც, შვეიკის გვერდით უცებ გაჩნდა ოთხი ნაგაზი. ისინი სიხარულით შემოესიენ მას და კუდები აბზიკეს.

შვეიკი თავზე ხელს უსვამდა, გვერდებზე უთათუნებდა მათ და თან სიბნელეში ისე ელაპარაკებოდა, როგორც პატარა ბავშვებს.

— აი ჩვენც აქა ვართ. მოვედით თქვენთან ნანას გასაკეთებლად, საკმელსაც შეგვამთ — ამ, ამ! კურკებსა და პურის ქერქსაც მოგცემთ, ჩვენ კი, ხვალ მტერთან საბრძოლველად გავემგზავრებით.

სოფლის ქოხებში სინათლეები აანთეს. კვარტირიერებმა პირველ ქოხში დააკაუნეს, რომ გაეგოთ სად ცხოვრობს მამასახლისი. შიგნიდან მოისმა ქალის ჭყიპინა, უსიამოვნო ხმა, რომელმაც არ ვიცი უკრაინულად, თუ პოლონურად უპასუხა, რომ ქმარი ომშია, ბავშვები ყვავილითა ჰყავს ავად, მოსკალებმა ყველაფერი წაიღეს და რომ ქმარმა ომში წასვლისას უბრძანა ღამით კარი არავის გაუღო. მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ გააძლიერეს იერიში კარებზე, თან ირწმუნებოდნენ, კვარტირიერები ვართო, ვილაცას უჩინარმა ხელმა გააღო კარი. გამოირკვა, რომ ეს ქოხი თვითონ მამასახლისის ეკუთვნის. უკანასკნელი ამაოდ ცდილობდა დაემტკიცებია, ვითომ ის არ იყო ქალის ჭყიპინა ხმით რომ პასუხობდა. თავს იმით იმართლებდა, რომ ყოველთვის სათივეში სძინავს, მისი ცოლი კი უცებ რომ გააღვიძებ, თვითონ არ იცის რას ტლიკინებს: რაც შეეხება ასეულის ღამისსათვე ადგილს, სოფელი ისეთი პატარაა, რომ ერთი ჯარისკაცი კი ვერ დაეტევა. შიგ. დასაძინებელი ადგილი სულ არაა, არც არაფრის ყიდვა შეიძლება, რადგან ყველაფერი მოსკალებმა წაიღეს.

თუ პანე მწყალობლები არ იუკადრისებენ ჩემს რჩევას, კროსცენკოში წაგიყვანთო. იქ დიდი მეურნეობაა: აქედან სულ ორმოცდახუთი წუთის სავალია. ადგილიც საკმაოა. ყოველ ჯარისკაცს შეუძლია ცხვრის ტყაპუჭი გადაიფაროს. იმდენი ძროხაა, თითო ჯარისკაცს თითო ქვაბი რძე ერგება. წყალიც კარგია; პან ოფიცრებს შეუძლიათ კომპში დაიძინონ. ლისკოვეცში — რაღა! გაჭირვება, მუნი და ტილები! თვითონ მე მყავდა ოდესღაც ხუთი ძროხა, მაგრამ მოსკალებმა ყველაფერი წაიღეს და ახლა, როცა ავადმყოფი ბავშვებისათვის რძე დამჭირდება, კროსცენკოში მივდივარო.

თითქოს ამ სიტყვების დასადასტურებლად, გვერდით, გომურ-

ში ძროხების ბლავილი გაისმა, რომელსაც ქალის ყვირილი დაერთო:
„ჭირმა გაგწყვიტო!“

მამასახლისი სულაც არ შემკრთალა, ჩექმებს იცვამდა და თან განაგრძობდა ლაპარაკს:

— ერთადერთი ძროხა, რომელმაც ახლა დაიბლავლა, ჩვენი მეზობელი ბოიციეკისაა, პანე მწყალობლებო, მაგრამ ისიც ავადმყოფია. მოსკალებმა ხბო წაართვეს და დარდობს. მას აქეთ რძეს აღარ იძლევა. პატრონს ეცოდება მისი დაკვლა და სწამს, რომ ჩენსტობოვის ღვთისმშობელი ყველაფერს კარგად მოაგვარებს.

უსა სტქვა და კუნტუში* ჩაიცივა...

— წავიდეთ, პანე მწყალობლებო, კროსცენკოში, საათის სამი მეოთხედიც კი არ გაივლის, რა სისულელესა ვროშავ, მე ცოდვილი, ნახევარი საათიც არ დაგვჭირდება! ერთი გზა ვიცი, მდინარეზე უნდა გადავიდეთ, მერე კი არყის ქალას გავივლით, მუხას ჩაუვლით და... დიდი სოფელია, სამიკიტნოშიც ძალიან კარგი, მაგარი არაყი იშოვება. წავიდეთ, პანე მწყალობლებო! რაღას ვაყოვნებთ? თქვენი დიდებული პოლკის პან სალდათებისათვის აუცილებელია კარგად მოწყობა. პან იმპერატორის მეფის ჯარისკაცებს, რომლებიც მოსკალებს ებრძვიან, თავისთავად ცხადია, რომ სუფთა და მოსახერხებელი ღამისსათევი ადგილი ესაჭიროებათ. ჩვენთან კი? ტილები მუნი! ყვაილი და ხრლერაა! გუშინ ჩვენს დაწყევლილ სოფელში სამი ბიჭი გაშავდა ხოლერისაგან... მოწყალე ღმერთმა დასწყველა დისკოვეცი!

აქ შევიკმა მედიდურად გააქნია ხელი.

— პანე მწყალობლებო! — დაიწყო მან, თან მამასახლისის ხმას ბაძავდა. მახსოვს ერთ წიგნში წავიკითხე, რომ შვედებთან ომის დროს, როცა ბრძანება გასცეს პოლკები ამა და ამ სოფელში დაებინავენბინათ, ხოლო მამასახლისმა კი რაღაც მოიმიზეზა და უარი უთხრა მათ დახმარებაზე, იგი პირველსავე ხეზე ჩამოჰკიდეს. გარდა ამისა, დღეს სანოკში ერთმა პოლონელმა კაპრალმა მითხრა, როცა კვარტირიერები მოვლენ, მამასახლისი მოვალეა დაუძახოს ყველა ათისთავსო. ისინი კვარტირიერებთან ერთად დაივლიან ქობეღს და ასე ეტყვიან: „აქ მოთავსდება სამი კაცი, აქ ოთხი, მღვდლის სახლში დაბინავდებიან ბატონი ოფიცრები“ — და ნახევარი საათის შემდეგ ყველაფერი მზად უნდა იყოს.

— პანე მწყალობლო, — სერიოზული სახით მიმართა შვეიკმა მამასახლისს, — სად არის აქ ახლომახლო ხე?

მამასახლისმა ვერ გაიგო რას ნიშნავდა სიტყვა „ხე“, ამიტომ შვეიკმა აუხსნა მას, რომ არაყი, მუხა, მსხალი, ვაშლი, ყველაფერი



ეს ხეს წარმოადგენს. მოკლედ, რასაც მაგარი ნუჟრები აქვსო. მამასახლისი მაინც ვერ მიხვდა რაშია საქმე, ხოლო ზოგიერთი ხეხილის სახელწოდება რომ გაიგო, შეეშინდა, რადგან ბალი უკვე მწიფე იყო და განაცხადა, რომ არაფერი ასეთი არ იცის, ჩემი სახლის წინ მხოლოდ მუზა დგასო.

— კარგი, — სთქვა შვეიკმა, და თან ხელით აჩვენა ჩამოხრჩობის საერთაშორისო ნიშანი, — ჩვენ საკუთარი ქობის წინ ჩამოგვიდებთ, რათა შეიგნო, რომ ახლა ომია და ჩვენ კი გვიბრძანეს აქ დავიძინოთ და არა სადღაც კროსცენკოში. შენ, ძამია, ან ისე მოიქცევი, როგორც ჩვენი სტრატეგიული გეგმითაა გათვალისწინებული, ან არადა ისე ჩამოგვიდებთ, იმ ძველ, შვედების ომის დროინდელ წიგნში რომ სწერია... სწორედ ასეთი შემთხვევა იყო ერთხელ, მანევრების დროს ველკოვო მუზიჩიჩში...

აქ შვეიკს სიტყვა გააწყვეტინა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა.

— ამას, შვეიკ, მერე მოგვიყვებით. — ვანეკი მამასახლისის მიუბრუნდა და უთხრა: — ერთი სიტყვით, მიეცით ახლა განგაშის ნიშანი და გააჩინეთ ბინები!

მამასახლისი მთლად აკანკალდა და ლულულულით დაიწყო, რომ მას, მხოლოდ მას სურდა თავისი მწყალობლები უკეთესად მოეწყო, მაგრამ რადგან სხვანაირად არ შეიძლება, სოფელშიც მოიძებნება რაიმე და ბატონები კმაყოფილები დარჩებიან. ახლაცე მოვიტან ფარანსო.

როდესაც მამასახლისი გავიდა ოთახიდან, რომელსაც ძლივს ანათებდა ვიღაც ხეიბარივით მოკაკული კაცის ხატის ქვეშ დანთებული პატარა კანდელი, ხოდოუნსკიმ წამოიყვირა:

— სად დაიკარგა ბალოუნი?

მაგრამ გამოხედვაც ვერ მოასწრეს, რომ ღუმელის უკან ჩუმად გაიღო ეზოში გასასვლელი კარი და იქიდან ბალოუნი შემოძვრა. მიინდ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ მამასახლისი არაა ოთახში, თითქოს საშინელი სურდო აქვსო, ისე წაიდუღუნა:

— სსა-კუჭნაოში ვიყავი, რაღაცაში ჩავეყვი ხელი, მთელი პღირი ამოვღივსე, ეხლა კი სასაზე მიმეკრო. არც ტუბილია, არც მარლიანი, უბრალო ცომია.

უფროსმა გადამწერმა ვანეკმა ფარანი მიანათა მას და ყველამ აშკარად აღიარა, რომ არასდროს არ ენახათ თავის ცხოვრებაში ასეთი გათხუპნული ავსტრიელი სალდათი. ჯარისკაცებმა რომ ბალოუნის გამობერილი გიმნასტიორკა შეამჩნიეს, რის გამო იგი ცხრა თვის ორსულსა ჰგავდა, საშინლად შეეშინდათ.

— რა დაგეპართა, ბალოუნ? — თანაგრძნობით იკითხა შვეიკმა, თან ბალოუნს გაბერილ მუცელში თითი ჰკრა.

— ეს კიტლებია, — ხიხინებდა ბალოუნი, თან ცომი ახრჩობდა. ფრთხილად იყავით, დამარილებული კიტლებია, საკუქნაოში შევკვამე სამი ცალი, დანარჩენი თლვენ მოგლიტანეთ.

ბალოუნმა უბიდან ამოათრია კიტრები და ჯარისკაცებს დაუბრია.

კარებში გამოჩნდა მამასახლისი ფარნით ხელში. ამ სცენის დანახვაზე მან პირჯვარი გადაიწერა და აღრიალდა:

— მოსკალებს მიჰქონდათ და ახლა ჩვენებმაც დაიწყეს!

ყველანი გაემართნენ სოფლისაკენ და თან ძაღლების მთელი ზროვა გაჰყვათ უკან. ძაღლები არაფრით არ ცილდებოდნენ ბალოუნს და ცდილობდნენ ჯიბეში ჩაძრომოდნენ: იქ, საკუქნაოში მოპოებული ქონი იდო, რომელიც ბალოუნმა თავისი სიხარბის გამო დაუმალა ამხანაგებს.

— ნეტავი რას ჩაგცივებია ეს ძაღლები? — დაინტერესდა შვეიკი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ბალოუნმა უპასუხა: — იგრძნეს რომ კეთილი კაცი ვარ.

მან არაფრით არ გასცა თავისი თავი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ძაღლი განუწყვეტლივ კბილებით ეჭიდებოდა მის ხელს, რომლითაც ჯიბე ეჭირა.

ბინების ძეგნის დროს გამოირკვა, რომ ლისკოვეცი მართლაც დადი სოფელია. ომმა იგი ძალიან დააუძლურა. მართალია ხანძრისაგან არ დაზარალებულა და რაღაც სასწაულით გადარჩა ბრძოლებს, მაგრამ სამაგიეროდ სწორედ აქ მოთავსდა მთლად განადგურებული სოფლების: ხიროვის, გრაბოვის და გოლუბლის მთელი მოსახლეობა.

ზოგიერთ ქონებში რვა ოჯახი ერთად შეკუჭულიყო. მტაცებლურმა ომმა მათაც გადაუარა როგორც წყალდიდობამ და დიდი ზარალი მიაყენა. ისინი საშინელ გაჭირვებას განიცდიდნენ.

ასეული სოფლის მეორე ბოლოში მდებარე პატარა, დანგრეულ არყის სახდელ ქარხანაში მოათავსეს. ქარხნის დასადუღებელში სულ ნახევარი ასეული დაეტია. დანარჩენები შლიახტიჩების მამულებში გაანაწილეს, თითოეულში — ათ-ათი კაცი. მემამულეები თავისთან არ უშვებდნენ საწყალ ღარიბ-ღატაკებსა და დაბეჩავებულ, უმიწოდ დარჩენილ ლტოლვილებს.

ასეულის შტაბი — ყველა ოფიცრები, უფროსი გადამწერე ვანეკი, დენშჩიკები, ტელეფონისტი, სანიტრები, მზარეული და შვეი-
232

კი მოთავსდნენ სოფლის მღვდლის სახლში; ამ უკანასკნელმაც გარეუბნის არცერთი გაპარტახებული ოჯახი არ შეუშვა სახლში. ამიტომ მას ბევრი თავისუფალი ადგილი ჰქონდა.

კსენდი გახუნებულ, გაქონილ ანაფორაში გამოწყობილი, მალაღობი, გამხდარი მოხუცი იყო. სიძუნწის გამო იგი თითქმის არაფერს არ ჰკამდა. მამამ თავიდანვე ჩაუნერგა რუსებისადმი სიძულვილი, მაგრამ რუსების უკანდახვევის შემდეგ, როდესაც ზოფელში ავსტრიის არმიის ჯარისკაცები მოვიდნენ, ეს სიძულვილი მყისვე გაუქრა. ავსტრიელებმა მთელი მისი ბატები და ქათმები შესანსლეს, მაშინ როდესაც რუსებს ხელიც არ დაუკარებიათ მათთვის, მიუხედავად იმისა, რომ ბაიკალისიქეთელი, გაჩეჩილი ყაზახები იყვნენ.

როცა ლისკოვეცში უნგრელები შემოვიდნენ და მთელი თავლი გამოცალეს საფუტკრედან, მან მაშინ საბოლოოდ შეიძულა ავსტრიის არმია. ამჟამადაც იგი ზიზლით უყურებდა დაუპატიჟებელ, ღამის სტუმრებს; დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მათ გარშემო ტრიალი. მხრებს იჩეჩავდა და ნიშნის მოგებით იმეორებდა: „მე არაფერი არა მაქვს; მათხოვარი ვარ, ერთ ნაჭერ პურსაც ვერ იპოვით ჩემთან, ბატონებო“.

ყველაზე უფრო ბალოუნზე იმოქმედა ამ ამბავმა. ის კინაღამ ატირდა ასეთი გაჭირვების შემხედვარე. მას სულ შებრაწული გოჭის სუნი ელანდებოდა, კანი რომ უტკაცუნობს და წამდაუწუმ ყნოსავდა ჰაერს კსენდის სამზარეულოში. დროდადრო ვიღაც აყლაყუდა ყმაწვილი შემოიხედავდა ხოლმე სამზარეულოში. იგი ერთდროულად მოჯამაგირეც იყო და მზარეული ქალის მოვალეობასაც ასრულებდა. მას ნაბრძანები ჰქონდა თვალყური ეღვენებინა, სამზარეულოში რომ არაფერი მოეპარათ.

ბალოუნმა აქ ვერაფერი იპოვა, გარდა ქალაღში გახვეული კვლიავისა, რომელიც სამაროლეზე იღო და მაშინვე პირში ჩაიყარა. კვლიავის სურნელებამ მასში გოჭის გემოს ჰალუციინაცია გამოიწვია: მღვდლის სახლის უკან, პატარა არყის სახდელი ქარხნის ეზოში, სიველე სამზარეულოს ქვაბებს ქვეშ ცეცხლი გაეჩაღებინათ. წყალს ადუღებდნენ, მაგრამ შიგ არაფერი არ იხარშებოდა.

უფროსმა გადაწყერმა მზარეულთან ერთად მთელი სოფელი შემოირბინა გოჭის ძებნაში, მაგრამ ამაოდ. ყველგან იმას ეუბნებოდნენ, რომ მოსკალებმა ნაწილი შეჭამეს და ნაწილი თან წაიღესო.

სამიკიტნოს ებრაელიც გააღვიძეს, რომელმაც სულ დაიგლიჯა კიკინები, სინანულის ნიშნად, პან სალდათებს რომ ვერ მოემსახურა. ბოლოს ჩააცივდა მათ, გინდათ თუ არა ჩემი ბებერი, გაძვალტყავე-



ბული ასი წლის ძროხა იყიდეთო. ამ ძვალსა და ტყავში ებრაელი ცეცხლის ფასს მოითხოვდა, თან წვერს იგლეჯდა და ფიცულობდა, რომ ასეთ ძროხას ვერ იპოვი მთელი ჰალიცია, ავსტრია, გერმანია, ევროპა და თუნდაც მთელი მსოფლიო რომ შემოიაროო. ბლარდა და ღმერთს ფიცულობდა, რომ ეს ყველაზე მსუქანი ძროხაა, რომელიც კი იელოვას წყალობით ოდესმე გაჩენილა ქვეყანაზე. იგი ყველა წინაპრებს იფიცებდა, რომ ამ ძროხის სანახავად თვით ვოლოჩინსკადანაც კი მოდიოდნენ; მთელ მხარეშია ცნობილიო, — ამბობდა. ძროხა კი არა ზღაპარია, უფრო მეტიც, სულაც მსუქანი კამეჩიაო. ბოლოს იგი დაემხო მათ წინაშე, ეხვეოდა ხან ერთს, ხან მეორეს მუხლებზე და ემუდარებოდა: „სჯობს სულ მოკლათ საწყალი, ბებერი ებრაელი, ოღონდ ძროხა წაიყვანეთ“.

მისმა ღრიალმა სულ დააბნია გადამწერი და მზარეული. ბოლოს მათ მიანც წაათრიეს სამზარეულოში ეს გაძვალტყავებული პირუტყვი, რომელსაც ყოვლად შეუზრალებელი კაციც კი ითაკილებდა. მიუხედავად იმისა, რომ ფული უკვე ჯიბეში ჰქონდა, ებრაელი კიდევ დიდხანს მოსთქვამდა, რომ იგი საბოლოოდ გააჩანაგეს და მოსპეს, რომ თვითონ გაძარცვა თავისი თავი, როცა ასეთი საუცხოო

ძროხა გაიმეტა გასაყიდად. ებრაელი ემუდარებოდა მათ ჩამოეხრჩოთ ასეთი სისულელის ჩადენისათვის. მისი წინაპრები ნამდვილად გადაპრუნდებიან სამარეში.

მან ცოტა ხანს კიდევ იგორავა მტვერში, მერე, უცებ ჩამოიბერტყა თავიდან მთელი ნაღველი, თავის ქოხში დაბრუნდა და ასე მიმართა ცოლს „Elsalebn¹“, ჯარისკაცები სულელები არიან, შენი ნატანი კი ბრძენია!“

ძროხას ბევრი დავიდაარაბა დასჭირდა. ხანდახან გეგონებოდათ, რომ მისი გატყავება საერთოდ შეუძლებელია. როდესაც ტყავის გაძრობა დაიწყეს, უცებ იგი გაიხა და მის ქვეშ გემის ბაგირებივით გამხმარი და დაგრეხილი კუნთები გამოჩნდა.

საიდანღაც კარტოფილით სავსე ტომარა მოათრიეს და ამ მყესებისა და ძვლების ხარშვას შეუდგნენ, თუმცა იმედი არ ჰქონდათ, რომ რაიმე გამოვიდოდა აქედან. გვერდით, პატარა სამზარეულოსთან სასომიხდილი მზარეული ამ ჩონჩხის ნაჭრებისაგან სადილს ამზადებდა.

ეს უბედური ძროხა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ბუნების ამ იშვიათ მოვლენას, დიდხანს დაამახსოვრდა ყველას და შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, სოკალთან ბრძოლის წინ მეთაურებს რომ შეეხსენებიათ მის შესახებ ჯარისკაცებისათვის, მთელი მეთერთმეტე ასეული ხიშტებით ხელში საშინელი ღრიალითა და გააფთრებით ეკვეთებოდა მტერს.

ძროხა ისეთი უსინდისო აღმოჩნდა, რომ მისგან წვნიანიც კი ვერ მოხარშეს: რაც უფრო დიდხანს იხარშებოდა ხორცი, მით უფრო მაგრად ეკვროდა ძვლებს და ქმნიდა რალაც მთლიანაა და გაშეშებულს — იმ ბიუროკრატივით, მთელი თავისი სიცოცხლე კანცელარიის ქალაღდებთან რომ გაატარა და მხოლოდ „საქმეებით“ იკვებება.

შვეიცი შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა და მუდმივი კავშირი ჰქონდა დამყარებული შტაბსა და სამზარეულოს შორის, რათა დაედგინა როდის მოიხარშებოდა ხორცი. ბოლოს მან, როგორც იქნა, მოახსენა პორუჩიკ ლუკაშს:

— პანე ობერ-ლეიტენანტ, ძროხისაგან უკვე დამზადდა ფაიფური. ისეთი მაგარი ხორცია, რომ იმით მინის გავრა შეიძლება. მზარეულმა პავლიჩეკმა წინა კბილი მოიტეხა ხორცის გასინჯვისას, ბალოუნმა კი უკანა, ფესვიანი.

ბალოუნი სერიოზული სახით დადგა პორუჩიკი ლუკაშის წინ და

¹ ელიზა, ჩემო სიცოცხლე (ე ბ რ.).

ენის ბორძიკით მიაწოდა „ლურდის სიმღერაში“ გახვეული თავისი გატეხილი წინა კბილი.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რაც შემძლო ყველაფერი გავაკეთე. ეს კბილი ოფიცერთა სადილის გასინჯვის დროს მოვიტეხე. მე და მზარეული ვსინჯავდით ხორცს, თუ გამოდგებოდა ბიფშტეკისათვის.

ამ სიტყვების გაგონებაზე ფანჯრის ახლო რომ იდგა, იმ სავარძლიდან დაღვრემილი კაცი წამოდგა.

ეს პოდპორუჩიკი დუბი იყო, რომელიც სანიტარულმა საზიდარმა მთლად განადგურებული მოიყვანა.

— გთხოვთ სიჩუმე დაიცვათ, — წარმოსთქვა მან სასოწარკვეთილი ხმით, — ცუდიათა ვაჟ!

მერე ისევ ჩაეშვა ძველ სავარძელში, რომლის ყოველ ნაოჭში უამრავი ბაღლინჯი ბუდობდა.

— მე დაღლილი ვარ, — ტრაგიკული ხმით წარმოსთქვა მან, — ავადა ვარ და გთხოვთ ჩემთან ჩატეხილ კბილებზე ნუ ილაპარაკებთ. ჩემი მისამართია: სმიხოვო, კრალოვის ქუჩა, ნომერი თვრამეტი. თუ ხვალამდე ვერ მივალწიე, ჩემი თხოვნა იქნება შეატყობინოთ ამის შესახებ ჩემს ოჯახს, საფლაგზე კი არ დაგავიწყდეთ დაწერა, რომ ომამდე საიმპერატორო სამეფო გიმნაზიის მასწავლებელი ვიყავი.

მან ფშვინვა ამოუშვა და არ გაუგია, როგორ წაიკითხა შეეიკმა სულის მასახსენებელი ლექსი:

შენ მიუტრევე ცოდვა მარიამს,
და ყველას ვისაც ყაჩაღი ჰქვია,
შენ მჩუქნი იმედს დღესავით მზიანს!

შემდგომ უფროსმა გადამწერმა ვანეკმა დაადგინა, რომ ყბადაღებული ძროხა კიდევ ორი საათის განმავლობაში უნდა იხარშოს. ბიფშტეკსზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი, მის მაგივრად გულიაშს ხარშავდნენ.

გადასწყვიტეს ჯარისკაცები დაესვენებინათ სანამ „ვახშამს“ გაითამაშებდნენ, რადგან დილაამდე იგი მაინც არ მოესწრებოდა.

უფროსმა გადამწერმა ვანეკმა საიდანლაც მოათრია კსენძის სასადილოში ერთი იღლია თივა, ქვეშ დაიგო, უღვაშებს ნერვიულად დაუწყო გრეხა და ჩუმად მიმართა ძველ ტახტზე წამოწოლილ პორუჩიკ ლუკაშს:

— დამიჯერეთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ასეთი ძროხა რაც ომია ჯერ არ მიხეთქავს...

სამზარეულოში, ანთებული საეკლესიო ნამწვის წინ იჯდა ტე-

ლეთონისტი ხოდოუნსკი და წინასწარ სწერდა სახლში წერილს. მას არ სურდა თავის შეწყობება შემდეგში, როდესაც ბატალიონს, ბოლოს და ბოლოს ექნებოდა საველე ფოსტის გარკვეული ნომერი. იგი ასე სწერდა:

„ჩემო ძვირფასო და სანუკვარო ცოლო, უძვირფასესო ბოჟენკა! ახლა ღამეა და მე განუწყვეტლივ ვფიქრობ შენზე, ჩემო ოქრო, ცხადად გხედავ როგორ შესცქერი ცარიელ საწოლს შენს გვერდით და მიგონებ. უნდა მომიტევეო თუ ამ დროს რაღაც აზრი შემიჯდება თავში და მოსვენებას არ მაძლევს. კარგად მოგეხსენება, რომ ომის პირველი დღიდან ფრონტზე ვიმყოფები და ზოგი რამ უკვე მსმენია ჩემი ამხანაგებისაგან, რომლებიც დაქრილები იყვნენ და შევებულე-ბა საკუთარ სახლებში გაატარეს. დარწმუნებული ვარ, ისინი ამჯობინებდნენ შავ მიწაში წოლას, ვიდრე იმის ნახვას, თუ როგორ დაეთრევიან ვიღაც ოხრები მათ ცოლებთან. ძალიან მიჭირს ამაზე წერა, ძვირფასო ბოჟენკა. და შეიძლება არც გამეკეთებია ეს არასოდეს, მაგრამ კარგად იცი რატომაც ვწერ. შენ ხომ თვითონ აღიარე, რომ მე პირველი არ ვიყავი შენთვის და რომ ჩემამდე ეკუთვნოდი პანე კრაუზეს მიკულაშის ქუჩიდან. ახლა, როდესაც ღამით, მოულოდნელად ვიწყებ ამაზე ფიქრს და მახსენდება, რომ იმ მახინჯმა შესაძლოა ჩემს არყოფნაში კვლავ მოინდომოს შენი მისაკუთრება, მგონია, ძვირფასო ბოჟენკა, რომ ადგილზევე მივანახობდი იმ საზიზლარს. დიდხანს ვდუმდი, მაგრამ, რა ვქნა, თუ იმაზე ფიქრი, რომ იგი კვლავ არ გისვენებს, გულს მიკლავს. მე მხოლოდ იმაზე მინდა გავამახვილო შენი ყურადღება, რომ ჩემს გვერდით ვერ ავიტან ისეთ ღორს, რომელიც ყველა ვიგინდარასთან ჩაიდენს გარყვნილებას და შეარცხვენს ჩემს სახელს. მაპატიე უხეშობა, ძვირფასო ბოჟენკა, მაგრამ გაფრთხილებ, არაფერი ცუდი არ გავიგო შენზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები ორივეს მუცლები გამოგფატროთ; რადგანაც შემიძლია ყველაფერი ჩავიდინო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს, გკოცნი ათასჯერ, მოკითხვა მაშინკოსა და დედოქოს.

შ ე ნ ი ტ ო ნ ო უ შ ი .

არ დაივიწყო, რომ ჩემს სახელს ატარებ“.

აქვე მან წინასწარ იმეორე წერილის წერაც დაიწყო:

„ჩემო ძვირფასო ბოჟენკა!

როდესაც მიიღებ ამ სტრიქონებს, იცოდე რომ დასრულდა დიდი შეტაკება, რომელშიც ბედმა ჩვენ გაგვილიმა. სხვათაშორის, გავანა-

დგურეთ მოწინააღმდეგის ათიოდე თვითმფრინავი და ერთი გენერალი ცხვირზე უშველებელი მექვიტით. ყველაზე სასტიკ ბრძოლაში, როდესაც ჩვენს თავზე შრაპნელები სკდებოდა, მე შენზე ვფიქრობდი, ძვირფასო ბოყენკა. როგორ ხარ, რას აკეთებ? რა არის სახლში ახალი? ხშირად მახსენდება, როგორ ვიყავით მე და შენ „ტომასეის“ სალუდში, როგორ მოგყავდი სახლში და როგორ გტყიოდა მეორე დღეს ხელი. დღეს ჩვენ კვლავ შეტევაზე ვართ, ისე რომ დრო არა მაქვს წერილი გავაგრძელო. ვიმედოვნებ არ მალატობ, რადგანაც კარგად იცი მე ვერ ავიტან ორგულობას. დროა სალაშქროდ გავეშურო! გკოცნი ათასჯერ. ძვირფასო ბოყენკა, იმედს ნუ დაჰკარგავ, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდება!

ქემმარიტად შენი მოყვარული
ტონოუში!

ტელეფონისტმა ხოდოუნსკიმ ყვინთვა დაიწყო და მაგიდასთან ჩაეძინა.

ქსენდმა, რომელიც დასაძინებლად არ დაწოლილა და მთელ სახლში დაბორილობდა, სამზარეულოს კარი გამოაღო და ეკონომისათვის ხოდოუნსკის გვერდით მბეუტავი საეკლესიო სანთლის ნამწვი ჩააქრო.

სამზარეულოში პოდპორუჩიკი დუბის გარდა არავის ეძინა. უფროსმა გადამწერმა ვანეკმა, რომელმაც სანოკში საბრიგადო კანცელარიაში შემომართა სურსათით მომარაგების ახალი წესდება მიიღო, გულდასმით შეისწავლა იგი და დაასკვნა, რომ რაც უფრო ახლოა არმია ფრონტთან, მით უფრო ნაკლებია ულუფა. მას უნებურად გაეცინა ერთ-ერთ მუხლზე, რომლის მიხედვითაც ზაფრანისა და ილის ხმარება ჯარისკაცის შეჭამანდის დამზადებისას აკრძალული იყო. ბრძანებას შენიშვნა ჰქონდა დართული: საველე სამზარეულოებმა უნდა შეაგროვონ ძვლები და გადაგზავნონ ისინი ზურგში სადივიზიო საწყობებში. გაურკვეველი რჩებოდა რაზე იყო ლაპარაკი აღამიანთა, თუ სხვა საკლავი საქონლის ძვლებზე.

— მომისმინეთ, შვეიკ, — უთხრა პორუჩიკმა ლუკაშმა, თან მოწყენილობისაგან დაამთქნარა. — სანამ საჭმელს მოგვიტანდნენ შეგძლოთ რაიმე ისტორია გეამბნათ.

— ოჰ! — უპასუხა შვეიკმა. — სანამ საჭმელს ველირსებით მანამ მთელი ჩეხი ხალხის ისტორიის მოყოლას მოვასწრებ, პანეობერ-ლეიტენანტ. ჯერჯერობით კი ერთ ძალიან მოკლე ამბავს გიამბობთ სელჩანის მწარის ერთ-ერთ პოჩტ-მეისტერმას შესახებ, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილზე დანიშნეს.

გავიგონე თუ არა საველე ფოსტის შესახებ ლაპარაკი, მაშინათვე ის ქალი გამახსენდა. თუმცა ამ ისტორიას არავითარი კავშირი არ აქვს საველე ფოსტასთან.

— შეეიკ, — გამაფრთხილებლად გადმოსძახა ტახტზე მჯდომმა პორუჩიკმა ლუკაშმა. თქვენ ისევ იწყებთ სისულელეების როშვას.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, სწორედ ასეა, მეტად სულელური ისტორიაა. თვითონ არ მესმის როგორ მომივიდა თავში ასეთი სისულელის მოყოლა. შესაძლოა ეს თანდაყოლილი სისულელეა, ან ბავშვობის დროინდელი მოგონება. ჩვენს დედამიწაზე, პანე ობერ-ლეიტენანტ, არსებობს სხვადასხვა ხასიათები, ამიტომ მზარეული იურაიდა მაინც მართალი იყო. ერთხელ ბრუქში კარგად რომ გამოთვრა, თხრილში ჩავარდა. ვერაფრით რომ ვერ ამოფოფხდა, ყვირილი დაიწყო: „აღაძიანი მოწოდებულია შეიცნოს ჭეშმარიტება, რათა საშუალება ჰქონდეს წარმართოს თავისი სული, რათა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს და სრულყოფილი ხდებოდეს, და თანდათანობით მიაღწიოს განსჯისა და სიყვარულის უმაღლეს სფეროს“. როდესაც ჩვენ მისი ამოთრევა დავაპირეთ, მან ფრჩხილებით კაწვრა და კბენა დაგვიწყო, რადგანაც თავი თურმე საკუთარ ლოგინში ეგონა. მხოლოდ მას შემდეგ რაც უკან ჩავაგდეთ, შეგვევედრა, ამოგვეთრია თხრილიდან.

— კარგი მაგრამ, პოჩტმეისტერშას რალა დაემართა? — სევდიანად წამოიძახა პორუჩიკმა ლუკაშმა.

— ის ძალიან ღირსეული ქალი იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ოხერი, პანე ობერ-ლეიტენანტ. ფოსტაში ყოველგვარ მოვალეობას კარგად ასრულებდა, მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა: რატომღაც ეჩვენებოდა, რომ ყველა აცივდება და დასდევს მას, და ამის გამო სამუშაოს დამთავრებისთანავე იწყებდა ყველაზე საჩივრის წერას. ამ საჩივრებში იგი დაწვრილებით აღწერდა მომხდარ ამბავს.

ერთხელ დილით იგი ტყეში სოკოზე წავიდა. სკოლას რომ ჩაუარა, შეამჩნია მასწავლებელი კაცი. მასწავლებელი მიესალმა ქალს და შეეკითხა, თუ საით გაუწევია ასე დილაადრიან. ქალმა უთხრა, რომ ტყეში სოკოზე მიდის, ამაზე მასწავლებელმა მიუგო, რომ თვითონაც აპირებს სოკოზე წასვლას. ქალმა იფიქრა, ამ კაცს ნამდვილად რალაც ბინძური აზრები აქვს ჩემს მიმართო. ამიტომ, როდესაც იგი ცოტა ხნის შემდეგ ბუჩქებიდან გამოსული დაინახა, შეშინდა, გაიქცა და დაუყოვნებლივ დაწერა ადგილობრივი სკოლის საბჭოში საჩივარი, ვითომ ამ კაცს მისი გაუპატიურება სდომებოდა. მასწავლებლის საქმის გამო ძიება იქნა დანიშნული, და რომ ამ ამბიდან საჯარო აყალმაყალი არ ამტყდარიყო, გამოძიებაზე

თვით სკოლის ინსპექტორი ჩამოვიდა. მან სთხოვა ჟანდარმთა ვახმისტრს მიეცა დასკვნა, შესწევს თუ არა მასწავლებელს უნარი ამგვარ საქციელზე. ჟანდარმის ვახმისტრმა ჩაიხედა საქმეებში და განაცხადა, რომ ასეთი რამ გამორიცხულია: მასწავლებელს ერთხელ უკვე ჰქონია ასეთი ბრალდება წაყენებული, თითქოს კსენძის ნათესავ გოგონას აცივდებოდა, რომელთანაც თვითონ მღვდელს ცხოვრობდა. მაგრამ მეცნიერებათა ქურუმმა ოლქის ექიმისაგან მოწმობა აიღო, რომ იგი ექვსი წლიდან იმპოტენტია, კერძოდ კი მას შემდეგ, რაც სხვენიდან ჩამოვარდა და ურმის ძელს დაესო. მაშინ ამ გაოხრებულმა ფოჩტმეისტერმა ჟანდარმერიის ვახტმისტრსა, ოლქის ექიმსა და სკოლის ინსპექტორზე ერთად შეიტანა საჩივარი, ვითომდა ისინი სკოლის მასწავლებლისაგან ყოფილიყვნენ მოსყიდულნი. იმათ თავის მხრივ სასამართლოში უჩივლეს ამ ქალს და გაასამართლეს. მერე ისევ ქალმა გაასაჩივრა, აქაოდა, არანორმალური ვარო. მას სასამართლოს ექიმები დაემოწმნენ და დასკვნაში დაწერეს, რომ იგი მართლაც ჰკუანაკლულია, თუმცა ყოველგვარ თანამდებობაზე შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო სამსახურში.

პორუჩიკმა ლუკაშმა წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო!—და დასძინა:—გეტყოდით მე თქვენ ერთ-ორ სიტყვას, მაგრამ ვახშმის გაფუჭება მენანება საკუთარი თავისთვის. ამაზე შევიკმა უპასუხა:

— ხომ გაფრთხილებდით, პანე ობერ-ლეიტენანტ, მეტად სულელურ ისტორიას მოვყვები-თქო.

პორუჩიკმა ლუკაშმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია:

— თქვენგან სისულელები მე საკმაოდ მომისმენია.

— ყველა ხომ ჰკვიანი არ იქნება, პანე ობერ-ლეიტენანტ, დარწმუნებით სთქვა შევიკმა, — გამონაკლისის სახით უნდა არსებობდნენ აგრეთვე სულელებიც; ყველა ჰკვიანი რომ იყოს, მაშინ ქვეყნად იმდენი ჰკუა დაგროვდებოდა, რომ ყოველი მეორე ადამიანი სრულ იდიოტად იქცეოდა: პატივი მჰქვს მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მაგალითისათვის, ყველამ რომ იცოდეს ბუნების კანონები და შეეძლოს ცაში მანძილების გამოთვლა *, ამით იგი მხოლოდ თავს მოაწყენდა ყველას, როგორც პან ჩაპეკი, რომელიც სამიკიტნო — „ფიალასთან“ ხშირი სტუმარი იყო. დამლამობით იგი ყოველთვის გამოდიოდა სალუდედან ქუჩაში, ათვალეირებდა ვარსკვლავებთან ცას; ხოლო სამიკიტნოში დაბრუნების შემდეგ ერთი მაგიდიდან მეორეზე გადადიოდა და ამცნობდა: „დღეს შესანიშნავად ანათებს თუპიტერი; შენ, ხეპრევე, არც კი იცი საკუთარ თავს ზემოთ რა გჰქვს. ეს ისეთი მანძილია, რომ თუ კი შენით დატენიან ზარ-

მილიონობით წლებს იმოძრავებდი“. ამასთან მას ისე უხეშად ეჭირა თავი, რომ თვითონ გავარდებოდა ხოლმე სამიჯიტროდან ჩვეულებრივი ელექტრო-ტრამვაის სისწრაფით, დაახლოებით, პანე-ობერ-ლეიტენანტ, ასე ათიოდე კილომეტრს საათში. ან მაგალითისათვის ჰიანჭველები ავიდოთ, პანე-ობერ-ლეიტენანტ...

პორუჩიკმა ლუკაშმა ტახტიდან წამოიწია, თან გულხელი დაიკრიფა, თითქოს სალოცავად ემზადებო:

— გაოცებას ვარ, რატომ გელაპარაკებით ამდენ ხანს, შვეიკ, მე ხომ თქვენ უკვე დიდიხანია რაც გიცნობთ...

შვეიკმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია:

— ეს უკვე ჩვეულებაა, პანე-ობერ-ლეიტენანტ, საქმე სწორედ იმაშია, რომ ჩვენ კარგა ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ცოტა რაპროდი გადაგვხდენია თავს. ბევრიც განგვიცდია, და ყოველთვის სხვისი მიზეზით. მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე-ობერ-ლეიტენანტ, — ყოველივე ეს ბედისწერაა მხოლოდ. ის რასაც მეფე იმპერატორი აკეთებს, ყველაფერი უკეთესობისკენაა. მან შეგვყარა ჩვენ, და მე საკუთარ თავს მხოლოდ იმას ვუსურვებ, რამეში მაინც გამოვადგეთ. ხომ არ მოგშივდათ, პანე-ობერ-ლეიტენანტ?

პორუჩიკმა ლუკაშმა, რომელიც ამასობაში კვლავ გაიჭიმა ძველ ტახტზე, შენიშნა, რომ შვეიკის უკანასკნელი შეკითხვა იმ მომქანცველი საუბრის კვანძის შესანიშნავი გახსნაა. სჯობს შვეიკი წავიდეს და შეიტყოს რა დღეშია ვახშამი. უდაოდ უმჯობესი იქნება, თუ შვეიკი მას მარტო დასტოვებს, რადგანაც სისულელეები, რომლებიც იძულებული შეიქნა მისგან მოესმინა, გაცილებით მეტად მომქანცველი იყო, ვიდრე სანოკის მთელი ლაშქრობა. ძალიან უნდოდა ცოტა წაეძინებია, მაგრამ არ შეეძლო.

— ეს სულ ბალღინჯოების ბრალია, პანე-ობერ-ლეიტენანტ: ჯერ კიდევ ძველი თქმულება არსებობს, თითქოს მღვდლები ბალღინჯოებს ამრავლებდნენ. ვერსად ვერ ნახავ იმდენ ბალღინჯოს, რამდენსაც მღვდლის სახლში. თავის სახლში, გორნის სტოდულკებში, მღვდელმა ზამასტილმა მთელი წიგნიც კი დასწერა ბალღინჯოების შესახებ. ისინი მის ტანზე დაბობლავდნენ ქადაგების დროსაც კი.

— რა გითხარით, შვეიკ? გეღირსებათ თუ არა სამზარეულოში წასვლა?

შვეიკი წავიდა, ბალოუნი კი კუთხიდან გამოძვრა და თითის წვერებზე, კვალდაკვალ, აჩრდილივით აედევნა მას...

როდესაც გახთიადისას, ბატალიონი ლისკოვეციდახ სტარისო-ლი-სამბორისაკენ გაემართა, საბრალო, ჯერ კიდევ მოუხარშავ ძროხას საველე სამზარეულოში თან მიათრევდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ იგი გზაში მოეხარშათ და შესვენების დროს შეეჭამათ.

ჯარისკაცებს საგზლად შავი ყავა მისცეს.

პოდპორუჩიკი დუბი კვლავ მოათავსეს სანიტარულ ფორანში, რადგანაც გუშინდელს შემდეგ მის ჯანმრთელობას გაუარესება და-ეტყო. ყველაზე გაწამებული საბრალო დენშიკი იყო, რადგანაც მას აუადმყოფის ფორანის გვერდით მოუხდა სირბილი. პოდპორუჩიკი დუბი შეუსვენებლივ ლანძღავდა კუნერტს, ჩემს მიმართ გუშინ არა-ვითარი მზრუნველობა არ გამოიჩინეო და ემუქრებოდა; დანიშნულ ადგილზე მისვლისთანავე გაგისწორდებო. იგი ყოველ წუთს წყალს მოითხოვდა, მაგრამ დალევდა თუ არა მაშინათვე აღებინებდა. —

— რა გაცინებთ, ან ვის დასცინით? — გაპყვიროდა იგი ფორანი-დან. — მე თქვენ გასწავლით ჰკუას, ნუ მეხუმრებით, დამაყადეთ, გამიცნობთ ვინცა ვარ!

პორუჩიკი ლუკაში ცხენზე იჯდა, ხოლო მის გვერდით მხნედ მიაბიჯებდა შეეიკი. თითქოს გული არ უთმენდა მტერთან შებმას. თან ჩვეულებისამებრ ენამპევერობდა:

— შეამჩნიეთ თუ არა თქვენ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ ზო-გიერთი ჩვენი ხალხიდან ბუზივით არის. ზურგზე ოცდაათ კილოზე მეტი არ ჰკიდია და მაინც ვერ უძლებს. კარგი იქნებოდა ერთი წა-გეკითხათ მათთვის, როგორც ამას განსვენებული პანე ობერ-ლეი-ტენანტი ბუხანეკი სჩადიოდა. მან თოფით მოიკლა თავი წინდის გუ-ლისათვის, რომელიც ქორწინების წინ მიიღო თავისი სასიამაო-საგან და მერე კახპებს დაახარჯა. შემდეგ მეორე სასიამაო-საგან აიღო წინდი, მაგრამ ამჯერად უფრო ხელმომჭირნედ მოიქცა. მან გოგოებს სულ მიანება თავი და ეს ფული თანდათანობით წააგო კარტში. მიუხედავად ამისა, ფული მას მაინც არ ეყო დიდხანს და მაშინ იგი იძულებული გახდა მესამე სასიამაო-სათვის მიემართა წინდის ასაღებად. ამჯერად, ამ ფულით ცხენი იყიდა, შერეული სისხლის არაბული კვიცი; პორუჩიკი ლუკაში ცხენიდან ჩამოხტა.

— შეეიკ, — დაიღრიალა მან მუქარით, — თუ კრინტს დასძრავთ მეოთხე წინდის შესახებ, თხრილში გადაგისვრით.

შემდეგ იგი კვლავ მოახტა ცხენს; შეეიკმა კი განაგრძო:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მეოთხე წინდზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან უკვე მესამის შემდეგ მან თავი მოიკლა.

— მაღლობა ღმერთს, — შევბით ამოისუნთქა ლუკაშმა.

— ოთხ ათ დათვიყყდეს, — გააასიხდა ძვეიკს. — იხდაგვა-
რი ლექციები, პანე ობერ-ლეიტენანტი ბუხანეკი რომ გვი-
კითხავდა, როდესაც სალდათები ლაშქრობის დროს ქანცგამო-
ლეულნი ფეხებზე ძლივს იდგნენ, ჩემი მორიდებული წინადადე-
ბა იქნებოდა, წაგვიკითხათ თქვენც ყოველი ჯარისკაცისათვის. იგი
შესვენებას გამოაცხადებდა ხოლმე, მერე შეგვაგროვებდა ყველას,
როგორც კრუხი წიწილებს და დაიწყებდა: „თქვე არამზადებო,
ვერც კი აფასებთ იმას, რომ ქვეყნად დადიხართ. ეს იმიტომ, რომ
გაუნათლებელი ბრბო ხართ. გულის ამრევია თქვენი ყურება. დედა-
მიწის ნაცვლად მზეზე უნდა გატაროთ კაცმა. მაშინ ნახავდით სეირს;
თუ ადამიანი აქ სამოც კილოს იწონის, იქ მისი წონა ათას შვიდასი
კილოგრამი იქნება. ხომ ამოგხდებოდათ სული მაშინ ასე ვეღარ ივ-
ლიდით, როდესაც თქვენი ზურგჩანთა ორას ოთხმოც კილოგრამზე
მეტს აიწონიდა, თითქმის სამ ცენტნერს, ხოლო თოფი ერთნახევარ
ცენტნერამდე, თქვენი ოხვრა ქვეყანას აიკლებდა და დაგეშილი
ძალეებივით ენას გადმოაგდებდით“. ჩვენს შორის ერთი უბედური
მასწავლებელი იყო, მან გაბედა და სიტყვა აიღო: „თუ ნებას მო-
მცემთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მოგახსენებთ, რომ მთვარეზე სამო-
ცი კილოგრამი წონის ადამიანი მხოლოდ ცამეტ კილოს აიწონის;
მთვარეზე უფრო გავვიადვილდებოდა სიარული, რადგანაც ჩვენი
ზურგჩანთა მხოლოდ ოთხ კილოგრამს აიწონიდა. იქ ჩვენ კი არ ვივ-
ლიდით, არამედ ვისრიალებდით ჰაერში“. — ეს საშინელებაა, —
სთქვა განსვენებულმა პანე ობერ-ლეიტენანტმა ბუხანეკმა. — მამა-
ძალლო, მოგენატრა სილა? გიხაროდეს, რომ ჩვეულებრივ, მიწიერ
სილას გაგაწნავ, თორემ მთვარისეულს თუ მიიღებდი, შენი სიმსუ-
ბუქიდან გამომდინარე, სადმე ალპებზე გაფრინდებოდი და აქ შენ-
გან მხოლოდ სველი ადგილი დარჩებოდა... ხოლო მზისეული ერთი
მაგარი რომ მეღეწა, შენი მუნდირი ფაფასავით აიზილებოდა, თავი
კი პირდაპირ აფრიკაში აღმოჩნდებოდა“.

ობერ-ლეიტენანტმა აქვე სტკიცა ამ არამკითხეს მიწიერი სილა
და მასწავლებელმა ღრიალი მორთო. ჩვენ კი განვაგრძეთ გზა. მას-
წავლებელი მთელი გზა ღრიალებდა და იმეორებდა რალაცას ადა-
მინთა ღირსების შელახვის შესახებ, თითქოს მას პირუტყვივით ექ-
ცეოდნენ. შემდეგ პანე ობერ-ლეიტენანტმა ბუხანეკმა იგი საპატაკებ-
ლად გაგზავნა და თოთხმეტი დღით ჩასვა; ამ ამბის შემდეგ იმ ჯა-
რისკაცს მხოლოდ ექვსი კვირა უწევდა სამხედრო სამსახური, მაგრამ
მან ვერ შესძლო ამ ვადის ბოლომდე მიყვანა. საბრალოს თიქარი
ჰქონდა. ყაზარმაში კი თურმე ღერძზე ტრიალს აიძულებდნენ. ვერ
გაუძლო და ჰოსპიტალში გარდაიცვალა, როგორც სიმუღიანტი.

— ეს ჭეშმარიტად უცნაურია, შვეიცია, — უთხრა პორუჩიკმა ლუკაშმა, — თქვენ ჩვეულებად გაქვთ, როგორც ხშირად მითქვამს, რაც შეიძლება დაამციროთ ოფიცრობა.

— არა, მე არა მაქვს ასეთი ჩვეულება, — გულახდილად აღიარა შვეიცია. — მე მხოლოდ ის მინდოდა მომეყოლა, პანე ობერ-ლეიტენანტ, თუ ძველად, სამხედრო სამსახურში როგორ აუბედურებდნენ ადამიანები თავის საკუთარ თავს. ამ ადამიანს ეგონა, რომ იგი ობერ-ლეიტენანტზე უფრო განათლებულია და უნდოდა მთვარით მისი დამცირება ჯარისკაცების თვალში. ხოლო, როდესაც მიწიერი სილა მიიღო, ყველამ შვებით ამოისუნთქა. არავის არ სწყენია ეს, პირიქით, მოეწონათ, თუ როგორ იხუმრა ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა ამ მიწიერი სილის შესახებ. ამას ჰქვია მდგომარეობის გამო-სწორება. საჭიროა მხოლოდ აქვე, ადგილიდან დაუძვრელად მოიგონო რაიმე, და თავი ქუდში გაქვს. პრალაში, კარმელიტის მონასტრის წინ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ბატონ ენომს დახლი ჰქონდა. იგი შინაური კურდღლებითა და სხვა ფრინველებით ვაჭრობდა. მან ამკინძავ ბილეკის ქალიშვილს დაუწყო არშიყობა. პან ბილეკს არ მოსწონდა ეს ამბავი და სამიკიტნოში საჯაროდ გამოაცხადა, „თუკი პან ენომი მივა მასთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად, ისე დააგორებს კიბეზე, რომ ქვეყანა გაოცდებოთ“. მიუხედავად ამისა, პან ენომი დათვრა და გამოცხადდა პან ბილეკთან. იგი ენომს შესასვლელში შეხვდა დიდი დანით ხელში, რომლითაც წიგნებს სჭრიდა, და რომელიც ძალიან გავდა ბაყაყების გასაკვეთ დანას. — „რა გინდა აქ?“ — დაუღრიალა პან ენომს ბილეკმა. მაგრამ ამ დროს პან ენომმა ისე ძლიერად დააძახა, რომ კედლის საათის ქანქარა გაჩერდა. პან ბილეკმა გადაიხარხარა, ხელი გაუწოდა პან ენომს და შეიპატიჟა: „გთხოვთ შემობრძანდეთ, პან ენომ, დაბრძანდით. ვიმედოვნებ შარვალში არ ჩავისვრიათ? მე არც ისეთი ბრაზიანი კაცი ვარ. მართალია, პირველად თქვენი გაძევება მინდოდა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ძალიან სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებით და მეტად ორიგინალურიც. მე ამკინძავი ვარ, ბევრი რომანი და მოთხრობა წამიკითხავს, მაგრამ არცერთ წიგნში არ ყოფილა აღწერილი, სასიძო ასეთი-სახით ცხადდებოდეს ქალის ოჯახში“. პან ბილეკი სიცილისაგან გადაფიჩინდა, თან არწმუნებდა ენომს, რომ მასთან თავს როგორც ძველ-ნაცნობთან და საკუთარ ძმასთან ისე გრძნობს. სიამოვნებით შესთავაზა სტუმარს სიგარა, მოატანინა ლუდი და ძებვეული, დაუძახა ცოლს, წარუდგინა სტუმარი და დაწვრილებით მოუყვა მისი ვიზიტის შესახებ. ცოლმა გადააფურთხა და წავიდა. შემდეგ მან ქალიშვილს დაუძახა და აცნობა: ეს პატივცემული ასეთსა და ასეთ

ვითარებაში გამოცხადდა შენი ხელის სათხოვნელადო. ქალიშვილმა ტირილი მორთო და განუცხადა, რომ არც იცნობს და არც მისი დანახვა სურს. ისე რომ ორივეს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, შექამეს ძეხვეული, დააყოლეს ლუდი და დაიშალნენ. ერთი კია, რომ ამის შემდეგ პან ენომს იმ სამიკიტნოში, სადაც ბილეკი დადიოდა, აღარ შეესვლებოდა. მთელ კვარტალში მას „კუანა ენომს“ ეძახდნენ. ერთმანეთს უყვებოდნენ რაგვარად შეეცადა პან ენომი საკუთარი თავისათვის დახმარება აღმოეჩინა. საერთოდ ადამიანთა ცხოვრება ისეთი რთული რამ არის, რომ ცალკეული ადამიანის ცხოვრება კაპიკი არა ღირს, პანე პორუჩიკო. ჯერ კიდევ ომამდე, ჩვენთან სამიკიტნოში „ფილასთან“, ბოიშჩაზე დადიოდა ერთი პოლიციელი, უფროსი ვახშმისტრი პან გუბიჩკა და რეპორტიორი, რომელიც დასახიჩრებულ, გაჭყლეტილ ადამიანებსა და თვითმკვლელებზე ნადირობდა, რათა შემდეგ გაზეთში დაებეჭდა მათ შესახებ. დიდი ხუმარა ვინმე იყო; მას პოლიციის სამორიგეო ოთახში უფრო ხშირად ნახავდით, ვიდრე თავის საკუთარ რედაქციაში. ერთხელ მან უფროსი ვახშმისტრი გუბიჩკა დაათრო და სამზარეულოში ტანსაცმელი შეუცვალა: ისე, რომ უფროსი ვახშმისტრი აღმოჩნდა სამოქალაქო სამოსში, ხოლო რეპორტიორი დროებით პოლიციის უფროს ვახშმისტრად იქცა. მან მხოლოდ რევოლვერის ნომერი დაფარა და პარალში შემოვლაზე გაემართა. რესლოვის ქუჩაზე, ყოფილ სვანტოვაცლავის ციხის უკან, გვიან დამით იგი ერთ ხანშიშესულ მოქალაქეს შეხვდა, რომელსაც ცილინდრი ეხურა და ქურჭი ეცვა. იგი ბეწვის მანტოში გამოწყობილ ხანშიშესულ მანდილოსანთან ხელმკლავგაყრილი მიაბიჯებდა. ისინი, ეტყობოდათ, სახლში მიიჩქაროდნენ და მდუმარედ მიჰყვებოდნენ გზას. რეპორტიორი მიიჭრა მათთან და შიგ ყურში ჩასძახა მამაკაცს: „ნუ ღრიალებთ ქუჩაში, თორემ წაგაბრძანებთ სადაც საჭიროა!“ ხომ წარმოგიდგენიათ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მათი გულისხმეობა. ამოდ უხსნიდნენ, რომ აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, რომ ისინი ბანკეტიდან ბრუნდებიან, რომელიც გამართული იყო პან მეფის ნაცვალთან. ეკიპაჟმა ისინი ნაციონალურ თეატრამდე მოიყვანა, ახლა კი გადაწყვიტეს ჰაერზე გასეირნება. აქვე ცხოვრობენ, მორანის მახლობლად. თვითონ იგი მეფის ნაცვლის კანცელარიის მრჩეველია, ხოლო ეს ქალბატონი მისი მეუღლე. „თქვენ მე ვერ მომატყუებთ, — განაგრძობდა ღრიალს გადაცმული რეპორტიორი, — მითუმეტეს უფრო უნდა გრცხვენოდეთ, თუ როგორც თქვენ ამბობთ მეფის ნაცვლის კანცელარიის მრჩეველი ხართ, საქციელი კი ცხვირმოუხოცელი ბიჭისა გაქვთ. კარგა ხანია თვალყურს გადევნებთ და დაგინახეთ, როგორ ურტყამ-



დით თქვენ საბიჯგ ჯოხს ყოველი მაღაზიის რკინის ფარდებს, გზა-
დაგზა რომ გხვდებოდათ, ხოლო თქვენი მეუღლე ხელს გიწყობდათ
ამ უღირს საქციელში“. — „მაგრამ, როგორც ხედავთ, საბიჯგი ჯო-
ხი არა მაქვს, ეს, ალბათ, ვინმე ჩვენს წინ მიმავალი იქნებოდა“. —
„საიდანღა გექნებათ ჯოხი, როდესაც იგი თავზე გადაამტკრიეთ სა-
ბრალო მოხუც ქალს, ტრაქტირში რომ დააქვს გასაყიდად შემწვა-
რი კარტოფილი და წაბლი“. მანდილოსანს ტირილის თავიც აღარ
ჰქონდა, ბატონი მრჩეველი კი ისე განრისხდა, რომ რეპორტიორს
დადანაშაულება დაუწყო უხეშ საქციელში; ბოლოს იგი დაატუსა-
დეს და სალმოვის ქუჩის სამხედრო კომისარიატის პატრულს გადას-
ცეს. გადაცემულმა რეპორტიორმა უბრძანა წაეყვანათ ეს წყვილი
კომისარიატში, აქაოდა მე თვითონ სამსახურებრივი საქმის გამო ვი-
ნოგრადეში ვიყავი, ეხლა კი წმიდა იინდრეიხთან* მივდივარო. და მე-
რე მოჰყვა თუ როგორ დაარღვია ამ წყვილმა ღამის მყუდროება,
როგორ იჩხუბეს და შეურაცხყვეს პოლიცია. სამწუხაროდ, მას
ავგიანდება წმინდა იინდრეიხის კომისარიატში, ხოლო ერთი საათის
შემდეგ თვითონაც გამოცხადდება სალმოვის ქუჩაზე.

ამგვარად, ცოლ-ქმარი პატრულმა წაათრია. მათ დილაამდე უცა-
დეს იმ უფროს ვახტანგს, რომელმაც ამასობაში განაპირა ქუჩე-
ბით, როგორც იქნა, მიადწია „ფიალას“ ბოიშჩეზე. გააღვიძა უფრო-
სი ვახტანგის გუბიჩკა, თავაზიანად მოუყვა მას, რაც მოხდა და
გადაკვრით ისიც უთხრა, რომ თუ ვახტანგის ენას კბილს არ და-
აქერს, შეიძლება სერიოზული საქმე აღიძრასო.

პორუჩიკი ლუკაში ჩანდა ლაპარაკმა მოღალა, მას უნდოდა გა-
ესწრო ავანგარდისათვის. ამიტომ სანამ ცხენს გააჭენებდა, შვეიკს
მიუბრუნდა:

— თუკი საღამომდე აპირებთ ლაპარაკს, გარწმუნებთ, რაც მეტი
დრო გაივლის მით უფრო მეტ სისულელეებს იტყვით.

— პანე ობერ-ლეიტენანტ, — მისძახოდა მას კვალდაკვალ შვე-
იკი, — გინდათ გაიგოთ რით დამთავრდა ეს ამბავი?

მაგრამ პორუჩიკმა ლუკაშმა ცხენი გააჭენა.

პოდპორუჩიკი დუბი ისე გამოკეთდა, რომ შესძლო სანიტარული
ფორნიდან გამოძრომა. მან თავის გარშემო შეაგროვა ასეულის მთე-
ლი შტაბი და თავდავიწყებით დაუწყო მათ ჰკუთის დარიგება. დუბმა
შეგროვილებს ისეთი გრძელი სიტყვით მიმართა, რომ ჯარისკაცებს
იგი თოფებსა და სამხედრო საქურველზე უფრო მძიმე ტვირთად
ეჩვენათ.

ეს იყო მოძღვრებათა მთელი კრებული. მან დაიწყო:

— ბატონ ოფიცრებისადმი სიყვარული ჯარისკაცებს შესაძლებ-

ლობას აძლევს გაიღონ წარმოდგენელი მსხვერპლი; მაგრამ სულ არ არის აუცილებელი, რომ ეს სიყვარული თანდაყოლილი იყოს. თუკი ჯარისკაცს არა აქვს თანდაყოლილი სიყვარული, მაშინ იგი უნდა აიძულოს, გამოიმუშაოს იგი სამოქალაქო ცხოვრებაში. ერთი-მეორისადმი იძულებითი სიყვარულის მაგალითია მოწაფის სიყვარული მასწავლებლებისადმი. ეს სიყვარული მანამდის გრძელდება, სანამ არსებობს მისი გამომწვევი გარემოება. სამხედრო სამსახურში ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ. ოფიცერს არავითარი უფლება არა აქვს ცოტაოდენ მაინც შეასუსტოს ეს ურთიერთ გრძნობა საკუთარ თავსა და ჯარისკაცს შორის. ეს ის გრძნობაა, რომელიც სალდათს უფროსთან აკავშირებს. ეს, კერძოდ რომ ვთქვათ, უბრალო სიყვარული კი არ არის, ესაა პატივისცემა, შიში და დისციპლინა.

შვეიცი მთელი ამ ხნის განმავლობაში სანიტარული ფორნის მარცხენა მხარეს მოდიოდა, და სანამ პოლპორუჩიკი დუბი ლაპარაკობდა, მოაბიჯებდა პოლპორუჩიკისაკენ თავმობრუნებული, რომ ამით „მარჯვენა მხარეს სისწორე დაეცვა“.

პოლპორუჩიკი დუბი დასაწყისში ვერ ამჩნევდა ამას და თავის სიტყვას განაგრძობდა:

— ამ დისციპლინისა და დამორჩილების, სალდათის ოფიცრისადმი აუცილებელი სიყვარულის გამომჟღავნება ძნელი არ არის. სალდათის ოფიცერთან დამოკიდებულება რთული სახის არაა. ერთი ემორჩილება, მეორე—ბრძანებს. ჩვენთვის კარგახანია ცნობილია სამხედრო ხელოვნების წიგნებიდან, რომ სამხედრო ლაკონიზმი, სამხედრო სიუბრალოვე არის სწორედ ის საქველმოქმედო საქმე, რომელიც უნდა შეისისხლხორცოს ჯარისკაცმა, თავისდაუნებურად რომ უყვარს თავისი უფროსი. უფროსი მის თვალში უნდა წარმოადგენდეს დიდებულ, დასრულებულ, გამოკრისტალებულ, მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის ნიმუშს.

მხოლოდ ახლა შენიშნა პოლპორუჩიკმა დუბმა, რომ შვეიცი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მას და თან „სწორება მარჯვნივ“ ეჭირა. ეს მას ძალიან არ ესიამოვნა, რადგან სრულიად მოულოდნელად იგრძნო, რომ გაიხლართა თავისი სიტყვების ქსელში და არ ძალუძს სალდათის უფროსისადმი სიყვარულის ჭაობიდან ამოსვლა; ამიტომ დუბმა დაუღრიალა შვეიკს:

რა ცხვარივით შემომჩერებიხარ, ახალ ჭიშკარს რომ დაინახავს?

— თანახმად თქვენი ბრძანებისა, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ. ერთხელ როგორცაა ფქვენ გაამახვილეთ ჩემი ყურადღება სწორედ იმ გარემოებაზე, რომ როდესაც ლაპარაკობთ, მე

თქვენ ბაგეს თვალს არ უნდა ვაშორებდეთ. რადგანაც ყოველმა ჯარისკაცმა წმინდად უნდა დაიცვას თავისი უფროსის განკარგულება და უნდა ახსოვდეს იგი მთელი ჰიცოცხლის მანძილზე, მეც იმულებული ვარ სწორედ ამგვარად მოვიქცე.

— გაიხედეთ, — გააყვიროდა პოლპორუჩიკი დუბი, — მეორე მხარეს გაიხედეთ! ჩემკენ ყურება არ გაბედო, ტუტუტო! ხომ იცი, რომ მე ეს არ მიყვარს, ვერ ვიტან შენს ბრძივულ ცხვირპირს. მოიცა, დედას გიტყობ...

— შევიკმა „მარცხნივ სწორება“ აილო და თითქოს გაქვავდაო ისე განაგრძო სვლა პოლპორუჩიკი დუბის გვერდით.

პოლპორუჩიკმა დუბმა ვერ მოითმინა:

— საით იყურები, როდესაც გელაპარაკები?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, თქვენი ბრძანების თანახმად მე „მარცხენა მხრით“ ავიღე სწორება.

— ოჰჰ! — ამოიოხრა პოლპორუჩიკმა დუბმა, ეს რა უბედურებას გადავეყარე! იყურე პირდაპირ და თან იმეორე გუნებაში: „მე ისეთი ბრძივი ვარ, რომ მეტს ვერაფერს დავკარგავ ცხოვრებაში“, დაიხსომე?

— ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, პანე ლეიტენანტ, საჭიროა თუ არა ამაზე გიპასუხოთ?

— როგორ გაგივიდა თავს?! — დაიღრიალა პოლპორუჩიკმა. — როგორ მიბედდავ ასეთ ლაპარაკს? რისი თქმა გინდოდა ამით?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, მე მხედველობაში მქონდა თქვენი ბრძანება, ერთ-ერთ სადგურზე რომ მომეცით. მისი მიხედვით მე თქვენ მაშინაც კი არ უნდა გიპასუხოთ, როდესაც ლაპარაკს დაამთავრებთ.

— ესე იგი, შენ ჩემი გეშინია, — გაეხარდა პოლპორუჩიკ დუბს. — მაგრამ როგორც საჭიროა ისე მაინც არ მიცნობ! ჩემს წინაშე შენისთანები როდი ცახცახებდნენ და თრთოდნენ, დაიხსომე ეს! მე შენნაირი ვაჟკაცები როდი მომითვინიერებია!.. გაჩუმდი და უკან გამომყევ, რომ თვალში აღარ მეჩხირებოდეთ!

შვეიკი უკან ჩამორჩა და სანიტრებს შეუერთდა. აქ იგი მოხერხებულად მოეწყო ფორანში და ასე იარა შესვენებამდე, სადაც, როგორც იქნა, ეღირსნენ ბედკრული ძროხის წვნიანსა და ხორცს.

— ეს ძროხა ორი კვირა მაინც უნდა დაემუყუყებიათ ძმარში, ხოლო თუ ძროხა არა, მაშინ მისი მყიდველი მაინც, — განაცხადა შვეიკმა.

ბრიგადიდან ორდინარეცმა მოიბრძინა და ახალი ბრძანება მოიტანა მეთერთმეტე ასეულისათვის: მარშრუტი ფელდშტეინზე უნდა

შეცვლილიყო. ვორაღიჩესა და სამბორისათვის გვერდი უნდა აეცლოთ, რადგან სამბორში ასეულის დაბინავება შეუძლებელი იყო. იქ უკვე განლაგებულიყო პოზნანის ორი პოლკი.

პორუჩიკმა ლუკაშმა განკარგულება გასცა: უფროსი გადამწერი ვანეკი შეეიკთან ერთად მოძებნის ასეულისათვის ღამის გასათევ ადგილს ფელდშტეინში.

— შეეიკ, მხოლოდ გზაში კიდევ რაიმე უკუღმართობა არ მოიმოქმედოთ, — გააფრთხილა იგი პორუჩიკმა ლუკაშმა. — მთავარია, რაც შეიძლება თავაზიანად მოეპყარით ადგილობრივ მკვიდრთ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — შევეცდები. დღეს დილით, განთიადისას ჩავთვლიმე და უსიამოვნო სიზმარი ვნახე. მესიზმრა ვარცლი, რომლიდანაც მთელი ღამის განმავლობაში ჩემი ბინის შესასვლელის იატაკზე წყალი უონავდა, სანამ ვარცლი სულმთლად არ დაიცალა. სახლის პატრონს მთელი ჰერი დაუსველდა და იმავე დღეს უარი მითხრა ბინის მოჭირავებაზე. ზუსტად ასეთი შემთხვევა მოხდა, პანე ობერ-ლეიტენანტ, ერთხელ კარლინში, ვიადუკის მახლობლად...

— შეეიკ! შეწყვიტეთ მაგ სულელური ამბები და უმჯობესია ვანეკთან ერთად რუკაზე მონახოთ საით უნდა წახვიდეთ. ზომ ხედავთ. ამ სოფელს? აქედან თქვენ გადაუხვევთ მარჯვნივ მდინარისაკენ და მისი დინების მიმართულებით უახლოეს სოფელს მიადგებით. პირველი ნაკადულიდან, რომელიც მდინარეს ერთვის (იგი თქვენ ხელმარჯვნივ იქნება), თქვენ სოფლის შარავზით მთაზე ახვალთ, პირდაპირ — ჩრდილოეთისაკენ. გზის აბნევა შეუძლებელია. პირდაპირ ფელდშტეინში მოხვდებით და სხვაგან ვერსად. დაიხსომეთ?

შეეიკი უფროს გადამწერ ვანეკთან ერთად მარშრუტის თანახმად გზას გაუდგა.

შუალღე გადახრილი იყო. პაპანაქება იდგა. მიწას ოხშივარი ასდიოდა. ჯარისკაცთა აქა-იქ მიწაწაყრილი საფლავებიდან, გახრწნილი გვამების სუნი მოდიოდა. ისინი იმ ადგილას მივიდნენ, სადაც პერემიშლზე შეტევისას ბრძოლები მიმდინარეობდა. აქ ტყვიამფრქვევებმა ადამიანთა მთელი ბატალიონები მოცელა. ჭალაკები მდინარის პირას არტილერიის საშინელ ცეცხლზე მეტყველებდნენ. ირგვლივ, ვრცელ ველებსა და მთის კალთებზე მიწიდან ხეების ნაცვლად გამოჩრილიყო რაღაც ნაფოტები. მთელი უდაბნო სანგრებით იყო დასერილი.

— აქაური პეიზაჟი სულ არა ჰგავს პრალისას, — შენიშნა შეეიკმა, რომ სიჩუმე დაერღვია.

— ჩვენთან უკვე მკა დამთავრდა, — გაიხსენა უფროსმა გადა-
შწერმა ვანეკმა. — კრალუპსკის რაიონში მკას ყველაზე ადრე იწყე-
ბენ.

— აქ ომის შემდეგ კარგი მოსავალი მოვა, — პატარა პაუზის
შემდეგ სთქვა შევიკმა. — ძვლის ფქვილის ყიდვა არ იქნება საჭი-
რო. გლეხებისათვის მეტად ხელსაყრელია თუკი მათ მინდვრებზე
ერთი პოლკი გაიხრწნება; მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მათთვის პურია.
ერთი მაწუხებს მხოლოდ, რომ როგორმე გლეხები არ გაბრიყვდ-
ნენ და ჯარისკაცების ეს ძვლები ტყუილუბრალოდ შაქრის ქარ-
ხანას არ მიჰყიდონ — ძვლის ნახშირის გამოსაყვანად. კარლინის ყა-
ზარმებში ერთი ობერ-ლეიტენანტი გოლუბი იყო. ისეთი ნასწავლი,
რომ ასეულში სულელად სთვლიდნენ; თავისი განათლების გამო
ჯარისკაცების გინება ვერ ისწავლა და ყველაფერზე მხოლოდ მეც-
ნიერული თვალსაზრისით მსჯელობდა. ერთხელ ჯარისკაცებმა განა-
ცხადეს, რომ დარიგებული პურის ქაშა შეუძლებელია. სხვა ოფი-
ცერს აღაშფოთებდა ასეთი თავხედობა. იგი კი წარბშეუხრელად და
მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. ღორიკ კი, უფრო სწორად ბინძური
ღორიკ კი არავისთვის უწოდებია, არც არავისთვის უხეტქია სახე-
ში. მხოლოდ ჯარისკაცები შეაგროვა და თავისი სასიამოვნო ხმით
აქე განუცხადა: „ჯარისკაცებო, თქვენ, უპირველეს ყოვლისა, უნ-
და შეიგნოთ, რომ ყაზარმა — ეს გასტრონომიული მალაზია როდია,
სადაც შეგიძლიათ აირჩიოთ დაბუყუებული გველთევზა, სარდინე-
ბი და ბუტერბროდები. ყოველი ჯარისკაცი იმდენად ჰკვიანი უნდა
იყოს, რომ უსიტყვოდ შეხეტქოს ყველაფერი, რაც მათთვის გაიცე-
მა, და იმდენად დისციპლინირებული, რომ არ დაფიქრდეს იმ სანო-
ვავის ხარისხზე, რასაც მას აძლევენ. წარმოიდგინეთ, რომ ომია. მი-
წისთვის კი, რომელშიც ჩვენ ბრძოლის შემდეგ ჩაგვმარხავენ, სულ-
ერთია, როგორ პურს ცეცხლავდით თქვენ სიკვდილის წინ. დედამი-
წა გაგხრწნით თქვენ და ფეხსაცმლიანად შეგსანსლავთ. სამყა-
როში არაფერი არ ქრება. თქვენგან, ჯარისკაცებო, პური ამო-
ვა; პური, რომელიც შემდეგ სხვა ახალი ჯარისკაცებისათვის გამო-
ცხვება. შესაძლოა ისინიც თქვენსავით უკმაყოფილონი იქნებიან და
იჩივლებენ ისეთ უფროსთან, რომელიც მათ დაატუსაღებს და ისე
შეახურებს, რომ გვერდები აეწვებათ; მას ხომ ამის უფლება აქვს.
ახლა, ჯარისკაცებო, მე ყველაფერი კარგად აგიხსენით და მეტს
აღარ გაგიმეორებთ. ვინც კიდევ იწუწუნებს, ისე მოხვდება, რომ
ჩემი სიტყვები მოაგონდება, როდესაც ამ ქვეყნად კიდევ მოვა.“
„ერთხელ მაინც შემოეგინებია“, — ლაპარაკობდნენ ერთმანეთში
ჯარისკაცები; ლექციების თავაზიანი ტონი ყველას ყელში ჰქონდა

ამოსული. ერთხელ მე ამირჩიეს მთელი ასეულის წარმომადგენლად. უნდა მეთქვა მისთვის, რომ იგი ყველას უყვარს, მაგრამ სამხედრო სამსახური არაფერია, თუ არ გაგინებენ. ბინაზე მივაკითხე და ვთხოვე არ მოგვრიდებოდა: სამხედრო სამსახური ისეთი რამ არის, რომ ჯარისკაცებს ყოველდღიურად უნდა შეახსენო, რომ ისინი ღორები და ძაღლები არიან, სხვაგვარად უფროსების მიმართ ყოველგვარ პატივისცემას კარგავენ. იგი ჯერ უარზე იდგა; ლაპარაკობდა თავისი ინტელიგენტობის შესახებ, რომ ეხლა როზგის დრო აღარაა; მაგრამ ბოლოსდაბოლოს დავიყოლიე, ერთი სილა მღეწა და რომ თავისი ავტორიტეტი აქმაღლებინა კარში მისროლა. როდესაც ამხანაგებს ვაცნობე ჩემი მოლაპარაკების შედეგების შესახებ, ყველას ძალიან გაეხარდა: მაგრამ მან ეს სიხარული მეორე დღესვე გაგვიწბილა. მოდის ჩემთან და ყველას თანდასწრებით მეუბნება: „შვეიკ, გუშინ დაუფიქრებლად მოვიქეცი. აი ოქრო, აიღეთ და ჩემი სადღეგრძელო დალიეთ. სალდათებთან მოქცევას ცოდნა უნდა“.

შვეიკმა მიიხედ-მოიხედა.

— მე ვფიქრობ სწორად არ მივდივართ. პანე ობერ-ლეიტენანტმა ხომ ისე კარგად აგვიხსნა. ჯერ მთაზე უნდა ავიდეთ, შემდეგ ძირს დავეშვათ, მერე მარცხნივ გაუხვიოთ და ისევე მარჯვნივ წავიდეთ. მერე ისევ მარჯვნივ, მერე მარცხნივ; ჩვენ კი სულ პირდაპირ მივდივართ. შესაძლოა ეს გზა უკვე გავიარეთ და ლაპარაკში ვერ შევნიშნეთ... გარკვევით ვხედავ წინ ორ გზას ფელდშტეინისაკენ. ჩემის აზრით, საჭიროა ამ გზით წასვლა, მარცხნივ.

უფროსმა გადამწერმა დაიწყო მტკიცება, რომ წასვლა სწორედ მარჯვნივაა საჭირო. ასე ხდება ხოლმე ჩვეულებისამებრ, როდესაც ორი კაცი გზაჯვარედინზე აღმოჩნდება.

— ჩემი გზა, — სთქვა შვეიკმა, — თქვენსაზე უფრო მოხერხებულია. მე ნაკადულის გასწვრივ წავალ, სადაც თავისი ყურა იზრდება; თქვენ კი გადამწვარ მიწაზე იჩანჩალებთ. მე მხარს ვუჭერ პან ობერ-ლეიტენანტის ნათქვამს, გზა არ აგვერევა; ხოლო რადგან შეუძლებელია გზა აგვებნეს, მაშ რისთვისღა ავძვრე სალდაც მთაზე; უმჯობესია ჩემთვის მშვიდად მწვანე მდელოზე ვიარო. ერთ ყვავილს ქულში გავირჭობ, პანე ობერ-ლეიტენანტისათვის კი დიდ თაიგულს დავკრეფ. მოკლედ ამას შემდეგ ვნახავთ, ვინაა ჩვენში მართალი. იმედია ერთმანეთს კეთილ მეგობრებად დავშორდებით. აქ ისეთი ადგილია, რომ ყველა გზა ფელდშტეინისკენ უნდა მიდიოდეს.

— ხომ არ შეიშალებთ, შვეიკ, — გააჩერა ყოჩაღი ჯარისკაცი ვანეკმა, — რუქის მიხედვით სწორედ ისე უნდა წავიდეთ, როგორც მე ვთქვი, ე. ი. — მარჯვნივ.



— შესაძლოა რუქაც ცდებოდეს, — მიუგო შვეიკმა და ველისაკენ დაეშვა. — ერთხელ ღამით ძეხვის გამყიდველი ვინოგრადელი კრუენეკი მალაია სტრანაზე მდებარე „მონტეგებიდან“ სახლში ბრუნდებოდა, ვინოგრადებისაკენ; იგი სწორედ იმ გზით მიეშურებოდა, ქალაქ პრადის გეგმაში რომ იყო ნაჩვენები, ხოლო განთიადისას კლანდის ახლოს როზდელოვში ამოჰყო თავი. იგი გათოშილი იპოვეს ჰვავის ყანაში, სადაც დაღლილ-დაქანცული ეგდო. არ გსურთ მომისმინოთ, უფროსო გადამწერო, ეხლავე დავიშალოთ და ფელდშტეინში შევხვდეთ ერთმანეთს. მხოლოდ საათი დავნიშნოთ, ვინ უფრო ადრე მივა დანიშნულ ადგილას. თუ რაიმე ხიფათს გადაეყარეთ, ჰაერში გაისროლეთ, რომ ვიცოდე სადა ხართ.

სალამოს შვეიკი ტბორს მიადგა, სადაც ტყვეობიდან გამოქცეულ მობანავე რუს ტყვეს შეეჩხა. რუსმა შეამჩნია შვეიკი, წყლიდან ამოძვრა და ისევე შიშველი გაიქცა აღმართზე.

შვეიკს მეტად დააინტერესა, მოუხდება თუ არა რუსული სამხედრო ფორმა, რომელიც იქვე ტირიფის ქვეშ ეგდო. მან სწრაფად გაიძრო ტანთ და ჩაიცვა უბედური შიშველი რუსის ფორმა, რომელიც ტყის გადაღმა სოფელში დაბანაკებულ სამხედრო ტყვეების

რებია თავისი ანარეკლი წყალში. იგი იმდენ ხანს დადიოდა ტბორის კაშხალზე, სანამ საველე ჟანდარმერიის პატრულმა არ დაინახა, რომელიც ლტოლვილ რუსს დაეძებდა. ჟანდარმები უნგრელები იყვნენ და შვეიკის პროტესტის მიუხედავად, იგი ხიროვოს საეტაპო სამმართველოში წაიბრის, სადაც რუს ტყვეთა ტრანსპორტში ჩარიცხეს. ისინი პერემიშლზე მიმავალი რკინიგზის შეკეთების სამუშაოზე იყვნენ დანიშნული.

ყველაფერი ეს ისეთი ელვის სისწრაფით მოხდა, რომ შვეიკი მხოლოდ შორე დღეს გამოერკვა და იმ საკლასო ოთახის თეთრ კედელზე, რომელშიც ტყვეების არაერთი ნაწილი იყო მოთავსებული, მუგუზლით შემდეგი დასწერა:

„აქ გაათია ღამე იოზეფ შვეიკმა, პრადიდან 91-ე პოლკის 11-ე ჯამარშო ასეულის ორდინარეცმა, რომელიც კვარტიერიის მოვალეობის შესრულების დროს ფელდშტეინთან, შემთხვევით მოხვდა ავსტრიელთა ტყვეობაში.“

ნაჭირონი ძემთხე

სახეიძო გაჩეუპკლა
გრძელღება





თავი I

შვეიცი რუსი ტყვეების ეშელონში

როდესაც რუსულ მაზარასა და ქუდში გამოწყობილი შვეიცი შეცდომით ფელდშტეინის მახლობელი სოფლიდან გამოქცეულ რუს ტყვედ მიიჩნიეს, მან ნახშირის საშუალებით კედელზე გამოხატა ამოქცეული თავისი სასოწარკვეთილება; მაგრამ ამისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. როდესაც სიმინდის გამხმარი კვერის დარიგებისას მის წინ ოფიცერმა ჩაიარა იგი კვლავ შეეცადა რაც შეიძლება დაწვრილებით აეხსნა მისთვის ყოველივე. მაღიარმა ჯარისკაცმა, ეშელონს რომ ბადრაგობდა, მას მხარში კონდახი უთავაზა და თან დაუმატა „Bazomar élet!“¹ ჩადეჭი მწყობრში, შე რუსულო ღორო!“

ასეთი დამოკიდებულება რუს ტყვეებთან, რომელთა ენაც მადრა-

¹ უხეში მაღიარული გინება.

რებს არ ესმოდათ, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მწყობრში დაბრუნების შემდეგ შვეიცი მიუბრუნდა გვერდით მდგომ რუს ტყვეს:

— ეს კაცი, მართალია, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ დიდ საფრთხეში ავდებს საკუთარ თავს. წარმოიდგინეთ რა მოხდება, თოფი რომ დატენილი იყოს, ჩახმაზი კი ფეხზე შეყენებული? ადვილი შესაძლებელია, რომ იმ დროს, როდესაც იგი სხვას დაარტყამს მხარში კონდახს, თოფი გავარდეს და ტყვია მასვე მოხვდეს პირში. ამაზე იტყვიან ხოლმე თავისი მოვალეობის შესრულების დროს მოკვდაო. ერთხელ შუმავოს ქვის სატეხში მუშები ნაღმს იპარავდნენ, რათა ზამთარში კუნძების ამოთხრა უფრო გაადვილებოდათ. ამ ქვის სატეხის დარაჯმა ბრძანება მიიღო: გამოსასვლელთან ყველა თავით-ფეხებამდე გაეჩხრიკა და ისიც თავგამოდებით შეუდგა თავის საქმეს. მან პირველსავე მუშას სტაცა ხელი და იმდენ ხანს უფათურა ჯიბეებში ხელები, რომ ნაღმი აფეთქდა და ორივენი ჰაერში აისროლა. როცა დარაჯი და ქვისმთლელი ჰაერში მიფრინავდნენ, ასე გვგონებოდათ უკანასკნელ წუთში ერთმანეთს ჩახვევიანო.

ტყვე რუსი, რომელსაც შვეიკმა ეს ამბავი მოუყვა, გაოგნებული მისჩერებოდა მას; ეტყობოდა მონაყოლიდან ერთი სიტყვაც კი ვერ გაეგო.

— არ გესმის, მე ყირიმელი თათარი ხარ, ალაპ ახპერ.

თათარი ფეხმორთხმით დაჯდა მიწაზე, გულხელი დაიკრიფა და მოჰყვა ლოცვას: „ალლაპ ახპერ — ალლაპ ახპერ — ბისმილა — არაჰმან-არაჰიმ — მალიქინ მუსტაფირ“ *.

— მაშ, შენ თათარი ხარ? — თანაგრძნობით წარმოსთქვა შვეიკმა. — ბედმა გაგიღიმა, რადგან თათარი ხარ, მე და შენ ერთმანეთს უკეთ გავუგებთ. ჰმ! იცნობ იაროსლავს შტერნბერგიდან? * ასეთი სახელიც კი არ გაგიგონია, თათრის ნაშვირო? იმან არ გიჩვენათ სეირი გოსტინთან? თქვენ არ იყავით, თათრებო, კუდამოძუებული რომ გარბოდით მორავიიდან? როგორც ჩანს, თქვენთვის ეს არ უსწავლებიათ სკოლაში, ჩვენ კი გვასწავლეს. გაგიგონია გოსტინელი ღვთისმშობელი? * ცხადია, არ იცი. ისიც იყო იქ. თუმცა ეხლა სულერთია, ტყვეობაში თათრებს ყველას მოგნათლავენ.

შვეიკი ახლა მეორე ტყვეს მიუბრუნდა:

— შენც თათარი ხარ?

ტყვე მიხვდა რას ნიშნავდა სიტყვა „თათარი“ და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— თათარი არა, ჩერქეზი, სამშობლო ჩერქეზი, სეკიმ ბაშკა.

შვეიკს ნამდვილად ბედი სწყალობდა. იგი აღმოჩნდა აღმოსავლეთის ხალხების სხვადასხვა წარმომადგენელთა საზოგადოებაში. ეშე-

ლონით მოდიოდნენ: თათრები, ქართველები, ოსები, ჩერქეზები, მორდოველები, ყალჯუხები.

სამწუხაროდ, მან ვერცერთ მათგანთან ვერ გამონახა საერთო ენა. ისიც სხვებთან ერთად წაათრიეს დობრომილში, სადაც ნიჟანკოვიჩი-საკენ¹ მიმავალი გზის შეეკეთება უნდა დაეწყოთ. ეს გზა პერემიშლზე გადიოდა.

დობრომილის საეტაპო სამმართველოში ისინი აღრიცხვაზე აიყვანეს, რაც არც თუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. დობრომილში მორეკილი სამასი ტყვედან, არცერთს არ ესმოდა რუსული ენა, რომელზედაც მაგიდასთან მჯდომი გადამწერი ლაპარაკობდა. ფელდფებელმა-გადამწერმა თავის დროზე განაცხადა, რომ იცის რუსული ენა და ახლა აღმოსავლეთ პალიციაში მთარგმნელის შოვალეობას აპრულებს. დაახლოებით სამი კვირის წინ, მან შეუკვეთა გერმანულ-რუსული ლექსიკონი და სასაუბრო, მაგრამ ისინი აქამდე არ მიუღიათ. ამიტომ იგი რუსულის ნაცვლად, დამტკრეულ სლოვაკურ ენაზე ლაპარაკობდა, რომელიც რის ვაივაგლახით შეისწავლა, როდესაც სლოვაკიაში, როგორც ვენის ფირმის წარმომადგენელი, წმინდა სტეფანეს ხატების სასხურებლებსა და კრიადოსნებს ყიდდა.

ამ უცნაურ სუბიექტებთან საერთო ენის გამონახვა ვერაფრით ვერ შესძლო; სულ დაიბნა. კანცელარიიდან გამოვიდა და დაუყვარა ტყვეებს: „Wer kann deutsch sprechen?“

შვეიცი გამოეყო ბრბოს და გახარებული სახით გაემართა გადამწერისაკენ, რომელმაც უბრძანა დაუყოვნებლივ კანცელარიაში გაჰყოლოდა.

გადამწერი სიებისა და ბლანკების გროვას მიუჯდა. ამ სიებში შექმონდათ ტყვეების გვარები, წარმოშობა, მოქალაქეობა. აქ მათ შორის სასაცილო საუბარი გაიმართა გერმანულ ენაზე:

— ებრაელი ხარ, ხომ? — ჰკითხა მან შვეიკს. შვეიკმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— ნუ უარყოფ! ყოველი ტყვე, რომელმაც გერმანული იცის. ებრაელია, — დარწმუნებით განაგრძო გადამწერმა-თარჯიმანმა. — მორჩა და გათავდა! რა გვარი ხარ? შვეიხი? აი, ხომ ხედავ. რაღას მალავ, როდესაც ნამდვილი ებრაული გვარი გაქვს. აქ ნურაფრის გეშინია. შეგიძლია გულახდილად აღიარო. ჩვენთან, ავსტრიაში, ებრაელებს არ არბევენ. საიდან ხარ? აჰა. პრალა? ვიცი... ვიცი, ეს ვარშავის* მახლობლადაა. ერთი კვირის წინ, ჩემთან უკვე იყო ორი ებრაე-

¹ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ნიჟანკოვიჩზე გამავალი და პერემიშლისაკენ მიმავალი გზა.

² ვინ ლაპარაკობს გერმანულად? (გერმ.).

ლი პრადიდან, ვარშავის მახლობლად რომ მდებარეობს. რა ნოპერია შენი პოლკი? ოთხმოცდამეთერთმეტე?

უფროსმა გადამწერმა სამხედრო ცნობარი აიღო და გადაფურცლა.

— ერეენის ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი, კავკასიიდან, მისი კადრები თბილისშია; გიკვირს, რომ ჩვენ აქ ყველაფერი ვიცით?

შვეიკს მართლაცდა აოცებდა მთელი ეს ისტორია. გადამწერმა გაუწოლა მას სიგარის ნაწმუვი და სერიოზული სახით განაგრძო:

— ეს თამბაქო როგორმე სჯობს თქვენს მახორკას. ებრაელო, მე აქ უმადლესი მთავრობა ვარ და საკმარისია ხმა ამოვიღო, ყველაფერი თრთის და კანკალებს. ჩვენთან არმიაში ისეთი დისციპლინა როდია, როგორც თქვენთან. თქვენი მეფე არამზადაა, ჩვენა კი — ჭკუის კოლოფი. მე შენ ახლა რაღაცას გიჩვენებ, რათა დარწმუნდე როგორი დისციპლინაა ჩვენთან.

მან გვერდით მღებარე ოთახის კარები გააღო და დაიყვირა:

— ჰანს ლეფლერ!

— Hier! — მოისმა პასუხი, და ოთახში ჩიყვიანი შტირიელი შემოვიდა, რომელსაც კრეტინის ჩამომტირალი სახე ჰქონდა. საეტაპო სამმართველოში იგი მსახურის როლს ასრულებდა.

— ჰანს ლეფლერ — ბრძანა გადამწერმა, — აიღე ჩემი ჩიბუხი, ჩაავლე კბილები ძაღლივით და ირბინე მაგიდის გარშემო მანამდის, სანამ არ გეტყვი „Halt!“ თან იყეფე, მაგრამ ისე, რომ ჩიბუხი არ გადმოაგდო პირიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ვბრძანებ, რომ შეგკრან.

ჩიყვიანმა შტირიელმა ოთხით ფორთხვა დაიწყო, თან ყეფდა.

უფროსმა გადამწერმა გამარჯვებულის სახით გადახედა შვეიკს.

— რას გეუბნებოდი? ხედავ, ებრაელო, რა დისციპლინაა ჩვენთან?

გადამწერმა კმაყოფილებით შეათვალიერა შორეული ალპების მწვემის კარავიდან მოვლენილი, სალდათად ქცეული ეს უტყუი ქმნილება.

— Halt! — სთქვა მან ბოლოს. ახლა კი მემსახურე, აპორტ, ჩიბუხი! კარგია; აბა ერთი ტიროლურად დაამღერე!

შენობაში გაისმა ბდავილი: „ჰოლარო, ჰოლარო...“

როდესაც წარმოდგენა დასრულდა, გადამწერმა მაგიდის უჯრიდან გამოიღო „სპორტის“ მარკის ოთხი სიგარეტი და სულგრძელობის გამოსაჩენად აჩუქა ჰანსს.

— აქ შვეიკმა დამტვრეული გერმანული დაიწყო მოყოლა, რომ ერთ-ერთ პოლკში, ვიღაც ოფიცერს ასეთივე დამჯერი დენშჩიკი ყავ-

და. იგი აკეთებდა ყველაფერს, რასაც კი მისი უფროსი მოისურვებდა. როდესაც მას ჰკითხეს შესანსლავს თუ არა იგი თავისი ოფიცრის ერთ კოვზ განავალს, მან უპასუხა: „თუკი ბატონი ლეიტენანტი მიბრძანებს შევსანსლავ, ოღონდაც თმა არ იყოს შიგ. თორემ მე ძალზედ ზიზლიანი ვარ და შესაძლოა აქვე შალეზინოს“.

გადამწერმა გადაიხარხარა: — „თქვენ, ებრაელებს ძალიან გონება მახვილი ანეგლოტები გაქვთ, მაგრამ სანაძლეოს ვღებ, რომ თქვენს არშიაში იხეთი დიაციპლინა არ არის როგორც ჩვენთან. ეხლა გადავიდეთ მთავარზე. მე შენ უფროსად გნიშნავ ეშელონში. სალამომდე გადამიწერ დანარჩენების გვარებს. მიიღებ ხოლმე მათთვის საჭმელს, ათ-ათ კაცად დაანაწილებ. შენ ყოველ მათგანზე საკუთარი თავით აგებ პასუხს, თუკი ვინმე გაიქცევა, ურიავ, დაგხვრეტო!“

— მე თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა, პანე გადამწერო, — სთქვა შვეიკმა.

— მხოლოდ არავითარი გარიგება! — მოუჭრა მოხელემ. — მე ასეთები არ მიყვარს, იცოდე ბანაკში ვაგგზავნი. რალაც ზედმიწევნით სწრაფად შეეჯუე აესტრიულ გარემოს. უკვე ინტიმური საუბარიც მოისურვე ჩემთან... რაც უფრო კარგად გექცევით ტყვეებს, მით უარესია. ახლა კი გაეთრიე; აი შენ ქალაღდი, ფანქარი და შეადგინე სია!.. რალა გინდა კიდევ!

— Ich melde gehorsamst, Herr Feldwebel! ¹

— მომწყდი თავიდან! ხომ ხედავ, რამდენი სამუშაო მაქვს!

— გადამწერის სახეზე უსაზღვრო დაღლილობა აღიბეჭდა.

შვეიკმა სალამი მისცა და ტყვეებისაკენ გაემართა, თან ფიქრობდა: „იმიპერატორის გულისათვის გადატანილი ტანჯვა-წამება ნაყოფს გამოიღებს“.

სიების შედგენის საქმე უფრო ძნელი აღმოჩნდა. ტყვეებს დიდხანს ვერ გაეგოთ, რომ მათგან გვარების დასახელებას მოითხოვდნენ. შვეიკს ბევრი ენახა და გაეგონა თავისი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ეს თათრული, ქართული და მორღოვეული სახელები არ შედიოდა მის თავში: „არავინ დამიჯერებს, — ფიქრობდა შვეიკი, — რომ ქვეყნად შეიძლება არაებობდეს ასეთი გვარები, ამ თათრებს რომ აქვთ: მუგლაგალეი, აბდრახმანოვი, ბეიმურატ ალაგალი—ჯერაჯე ზერდეღჯე-დავლათბალეი, ნურდაგალეევი და ა. შ. ჩვენი გვარები ჰინც უკეთესია. მაგალითად, ყიდოგოუშტის მღვდლის გვარია ვობეიდა²“.

¹ მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდფებელ! (გ ე რ მ.).

² ვობეიდა — რუსულ თარგმანში ხულიგანი.

იგი კვლავ გაჰყვა ტყვეთა რიგებს, რომლებიც რიგის მიხედვით გაიძახოდნენ თავიანთ სახელებსა და გვარებს: ჯიდრალეი ლანემალეი — ბაბამული მირზაალი და სხვ.

— ენას როგორ არ იტებს? — სათნო გულუბრყვილო ღიმილით ეკითხებოდა იგი ყოველ მათგანს. — რამდენად სჯობს ჩვენი სახელები და გვარები: ბოგუსლავ შტეპანეკი, იაროსლავ მატოუშეკი ან რუჟენა სვობოდოვა.

როდესაც დიდი წვალების შემდეგ შევიკმა საბოლოოდ გადაწერა ყველას ეს ბაბულია გალექე, ხუჯი მუჯი, მან გადასწვიტა ერთხელ კიდევ აეხსნა გადამწერი თარჯიმანისთვის, რომ იგი გაუგებრობის მსხვერპლია, რომ გზაში, როდესაც მას ტყვეებთან ერთად მოერეკებოდნენ, უკვე რამოდენიმეჯერ შეეცადა ეპოვნა სამართალი და ამოღო.

გადამწერი თარჯიმანი დილიდანვე შეზარხოშებული იყო, ხოლო ახლა სრულიად დაჰკარგოდა სალი მსჯელობის უნარი. მის წინ იდო რომელიღაც გერმანული გაზეთის განცხადებების გვერდი და რადეცკის მარშის მოტივზე მღეროდა: „ბავშვის აკვანზე ვცვლი გრამოფონს!“, „ვწარმოებ თეთრი და მწვანე ფურცლოვანი შუშის ნამსხვრევების შესყიდვას!“, „ყოველ ადამიანს შეუძლია ისწავლოს ანგარიშის და ბლანსის შედგენა, თუკი გაივლის ბუხჰალტერიის დაუსწრებელ კურსებს“ და ასე შემდეგ.

ზოგიერთ განცხადებებს მარშის მოტივი არ ეწყობოდა, მაგრამ გადამწერი ყოველნაირად ცდილობდა, რომ როგორმე გადაეღახა ეს მოულოდნელი დაბრკოლება, ამიტომ ტაქტში ჩასაყარდნად იგი მუშტს ურტყამდა მაგიდას და თან ფეხებს იატაკს უბაკუნებდა. მისი კონტუშოვიკისაგან დაწებებული ულვაშები სხვადასხვა მხარეს გაფშეკილიყო, თითქოს ვიღაცას მის ლოყებში წებოშეჭხძარი ფუნჯი გაერკო. მართალია მის დასიებულ თვალებს შვეიკის შემოსვლა არ გამოჰარვია, მაგრამ ეს აღმოჩენა არ შეიმჩნია. გადამწერმა მხოლოდ მუშტებისა და ფეხების ბაკუნს დაანება თავი და ახლა მაგიდაზე დაიწყო თითებით კაკუნი. თან ერთ მოტივზე მღეროდა: „Ich weiß nicht was soll es bedeuten“¹. ახალი განცხადება — „კაროლინა ღრეგერი, ბებია ქალი, ღრმად პატივცემულ ქალებს ყოველგვარ შემთხვევებში სთავაზობს თავის დახმარებას...“

მან თანდათან დაუწია ხმას და ბოლოა სულ დაღუმდა. მერე უხმოდ ჩააშტერდა განცხადებების დიდ გვერდს და ამით სრულა-

¹ „მე არ ვიცი რას ნიშნავს ეს“ (გერმ.).



ლება მისცა შვეიკს მოეთხრო საკუთარი თავგადასავალი, თავისი დამტვრეული გერმანულით.

შვეიკმა დაიწყო იქიდან, რომ იგი მაინც მართალი იყო, როცა ფელდშტეინში წასასვლელად ნაკადულის გასწვრივ მიმავალი გზა აირჩია. ან რა მისი ბრალია თუ ვიღაც რუსი სალდათი ტყვეობიდან გარბის და ბანაობს ტბორეში, რომლის მახლობლადაც შვეიკმა უნდა ჩაიაროს, მას როგორც კვარტირიერს ევალეზოდა მოეძებნა უმოკლესი გზა ფელდშტეინისაკენ. რუსმა მისი დანახვისთანავე მიატოვა მთელი თავისი სამხედრო ტანსაცმელი ბუჩქებში და გაიქცა. შვეიკს არაერთხელ სმენია, რომ მოწინავე პოზიციებზეც კი, დაზვერვის მიზნით ხშირად იყენებენ ხოლმე დამარცხებული მოწინააღმდეგის ტანსაცმელს; მანაც ყოველი შემთხვევისათვის მოიზომა - გაქცეულის სამოსი, რათა შეემოწმებინა როგორ ივლიდა სხვის ფორმაში.

ახსნა რა ბოლომდე ეს თავისი შეცდომა, შვეიკი მახვდა, რომ სულ უქმად ილაპარაკა: გადამწერს ჩასძინებოდა, როდესაც შვეიკი ჯერ კიდევ ტბორემდე არ იყო მისული. იგი მიუახლოვდა და ხელით შეეხო მის მხარს, ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისა-

თვის, რომ გადამწერი ფელდფებელი სკაძიდან იატაკზე გადმოვარდნილიყო, სადაც მშვიდად განაგრძობდა ძილს.

— მაპატიეთ, პანე გადამწერო! — სთქვა შვეიკმა, სალამი მისცა და კანცელარიიდან გავიდა.

ღილით ადრე, სამხედრო-საინჟინრო სამმართველომ შესცვალა დისპოზიცია და დაადგინა: ტყვეთა ის ჯგუფი, რომელშიც შვეიკი შედიოდა, პერემიშლში გადაეგზავნათ, პერემიშლი — დიუბაჩოვის გზის აღსაღვენად.

ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. შვეიკი განაგრძობდა თავის ოდისეას რუს ტყვეთა შორის. ბაღრაგი მადიარები სწრაფად მიერეკებოდნენ ყველას და ყველაფერს.

ერთ-ერთ სოფელში ხანმოკლე შეჩერებისას ტყვეები ალაღის განყოფილებას შეეჩვენნენ. ალალთან იღვა ოფიცერი და ტყვეებს ადევნებდა თვალს. შვეიკი გამოვარდა მწყობრიდან, გაიჭიმა ოფიცერის წინ და დაიყვირა: „Herr Leutnant, ich melde gehorsamst!“ მაგრამ სხვა ველარაფრის თქმა მოასწრო, რადგან ორი მადარაი ჯარისკაცი მაშინვე მიიჭრა მასთან, ზურგში მუშტები დაუშინეს და კვლავ ტყვეებთან გააგდეს.

ოფიცერმა მას ზურგში სიგარეტის ანთებული ნამწვი ესროლა, რომელაც მაშინვე აიღო მეორე ტყვემ და დაუწყო მოწვევა. შემდეგ ოფიცერი მოუყვა გვერდით მღგომ კაპარალს, რომ რუსეთში ცხოვრობენ გერმანელი-კოლონისტები, რომლებიც ისევე მოვალენი არიან იბრძოლონ.

ამის შემდეგ, თვით პერემიშლამდე შვეიკს არცერთხელ არ მისცემია შემთხვევა ვინმესთვის შეეჩივლა ან მოეყოლა, რომ ის ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცია. ასეთი შემთხვევა მას მხოლოდ პერემიშლში მრეცა, როცა ისინი სალამოთი ციხე-სიმაგრის შიდა ზონის-დანგრეულ ფორტში შეაგდეს, სადაც ციხე-სიმაგრის საარტილერიო ცხენებისათვის, საჯინიბოები იყო მოთავსებული.

იქ, მიწაზე დაგებული თივაში იმდენი მკბენარი იყო, რომ მათი მოძრაობისაგან თივის მოკლე ღეროები ისე ირხეოდა, გეგონებოდათ, მკბენარი კი არა ჭიანჭველებიაო, მასალას, რომ მიათრევენ ბუღის ასაშენებლად.

აქ ტყვეებს დაურიგეს სუფთა ვარჯაკაჭაქადან დამზადებული თხლე და თითო ნაჭერი გამწმარი სიმიინდის პური.

შემდეგ ისინი მიიღო მაიორმა ვოლფმა — პერემიშლის ციხე-სიმაგრეზე და მის გარეუბნებში გზის აღდგენაზე მომუშავე ყველა ტყვეების იმდროინდელმა მბრძანებელმა. ეს იყო საკმაოდ დარბაი-

სელი ადამიანი, რომელსაც თარჯიმანთა მთელი შტაბი ჰყავდა, ისინი ტყვეებისაგან არჩევდნენ მშენებელ სპეციალისტებს მათი უნარისა და განათლების მიხედვით.

მაიორ ვოლფს მტკიცედ სწამდა, რომ ტყვე რუსები თავს ძალად ისულელებდნენ და მის შეკითხვაზე: „იცი თუ არა რკინიგზის შენება?“ ყველა ტყვე სტერეოტიპულ პასუხს აძლევდა: „არაფერი არ ვიცი, ამდაგვარი რამ არც კი გამიგონია, მულამ პატროსან ცხოვრებას ვეწეოდი“.

როცა ტყვეები მაიორი ვოლფისა და მთელი შტაბის წინ ჩამწკრივეს, მაიორმა გერმანულად იკითხა, ვინ იცის გერმანულიო.

შვეიცი გაბედულად გამოვიდა წინ, მაიორის წინ გამოიქიმა, სალაში მისცა და შოახსენა, გერმანულად ვლაპარაკობო.

მაიორი ვოლფი, როგორც ეტყობოდა, მეტად კმაყოფილი დარჩა, მაშინვე ჰკითხა შვეიქს, ინჟინერი ხომ არა ხარო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე მაიორო, — უპასუხა შვეიქმა, ინჟინერა კი არა ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცი გახლავართ. თქვენთან ტყვედ ჩავვარდი; აი როგორ მოხდა ეს, პანე მაიორო...

— რაო? — იღრიალა ვოლფმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე მაიორო, ეს მოხდა...

— თქვენ ჩეხი ხართ, — არ ცხრებოდა ვოლფი, — თქვენ რუსის ფორმა გადაიკვით?

— სწორედ ასეა, პანე მაიორო, — მე ძალზე მოხარული ვარ, რომ მაიორი მაშინვე შევიდა ჩემს მდგომარეობაში. ალბათ ჩვენები უკვე იბრძვიან საღმე, მე კი შესაძლოა მთელი ომი აქ გავატარო უქმად. ნება მომეცით, პანე მაიორო, ერთხელ კიდევ დალაგებით აგისნათ ყოველივე.

— კმარა, — მოუჭრა მაიორმა ვოლფმა, მერე ორ ჯარისკაცს დაუძახა და უბრძანა დაუყოვნებლივ წაეყვანათ იგი საპატიმროში. თვითონ კი ერთ-ერთი ოფიცრის თანხლებით ნელა გააყვა უკან შვეიქს; ხელებს იქნევდა და გაცხარებნით ელაპარაკებოდა თანამგზავრს. ის ყოველ ფრაზაში მოიხსენიებდა ჩეხ ძალებს. მეორე ოფიცერი გრძნობდა, რომ მაიორი უზომოდ ბედნიერია, მისი გამჭირაზობის წყალობით ერთ-ერთი ასეთი ჩატთავანი რომ გაება მანში. უკანასკნელი რამოდენიმე თვის განმავლობაში სამხედრო ნაწილების მეთაურებს ეგზავნებოდათ საიდუმლო ინსტრუქციები იმის შესახებ, რომ ჩეხური პოლკებიდან გაქცეულები საზღვარგარეთ გამცემლურ საქმიანობას ეწეოდნენ. დადგენილ იქნა, რომ ეს ლტოლვილები ივიწყებდნენ თავიანთ ფიცს, შედიოდნენ რუსე-

თის არმიის რიგებში, და მეტად დიდ სამსახურს უწევდნენ მტერს ჯაშუშობაში.

ლტოლვილთა რომელიმე საბრძოლო ორგანიზაციის ადგილმდებარეობას ავსტრიის საშინაო საქმეთა სამინისტრო ბრძად ეძებდა. მათ ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ გარკვევით საზღვარგარეთ რევოლუციური ორგანიზაციების არსებობის შესახებ და მხოლოდ აგვისტოში, როცა ისინი სოკალი — მილიატინი — ბუბნოვოს ხაზზე იმყოფებოდნენ ბატალიონის მეთაურებმა საიღუმლო ცირკულარები მიიღეს იმის შესახებ, რომ ყოფილი ავსტრიელი პროფესორი მასარიკი საზღვარგარეთ გაიქცა და ავსტრიის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწეოდა. ვიღაც ილიოტმა ღივიზიაში ცირკულარს შემდეგი განკარგულება დაურთო: „შეპყრობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოჰგვარეთ ღივიზიის შტაბს“.

იმ ღროს მაიორმა ვოლფმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რას უშზადებდნენ ავსტრიას ლტოლვილები, რომლებიც უფრო მოგვიანებით კიევში ან სხვა ადგილებში შეხვედრისას, კითხვაზე: „რას აკეთებ აქ?“ — მხიარულად პასუხობდნენ: „მე გავეცი მეფე იმპერატორი“.

ამ ცირკულარებიდან მისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ამ ლტოლვილ-ჯაშუშთა საქმიანობა, რომელთაგანაც ერთ-ერთი, და სახელდობრ ის, რომელიც ახლა საპატიმროში მიჰყავთ, ასე ადვილად გაება მის მიერ დაგებულ მახეში. მაიორი ვოლფი რამდენადმე პატივმოყვარე იყო ზბ მაშინვე წარმოიღვინა, როგორ მიიღებს მადლობას უმაღლესი მმართველობისაგან, და თან ჯილდოს სიფხიზლისა, სიფრთხილისა და ნიჭისათვის.

მთელი გზის მანძილზე, სანამ ისინი ჰაუბტვახტამდე მივიდოდნენ, მან საკუთარი თავი დაარწმუნა იმაში, რომ კითხვა: „ვინ ლაპარაკობს გერმანულად?“ განზრახ დასვა, რადგან პირველი შეხვედრისთანავე, ტყვეთა შორის მას ეს ტაპი საეჭვოდ მოეჩვენა.

ოფიცერი, რომელიც მაიორს მიჰყვებოდა თავს იქნედა და გამოსთქვამდა აზრს, რომ დატუშალების შესახებ, საქმის შემდგომი გამოძიებისათვის და დამნაშავეს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში გადასაცემად უსათუოდ უნდა აცნობონ გარნიზონის უფროსობას. ხოლო ბოროტმოქმედის ჰაუბტვახტზე დაკითხვა და შემდეგ მისი სასწრაფოდ ჩამოხრჩობა ჰაუბტვახტის უკან, როგორც ამას ბატონი მაიორი აპირებს, სავსებით დაუშვებელია. იგი უნდა ჩამოხრჩონ, მაგრამ კანონიერად, სასამართლო წესდების თანახმად. ჩამოხრჩობის წინ დაწვრილებით დაკითხვის შედეგად გამოვლინდება მისი ურთიერთობა სხვა მის მსგავს ბოროტმოქმედებთან. და ვინ იცის, კიდევ რას აეხლება ფარდა?

მაიორი ვოლფი უეცრად სასტიკად გაჯიუტდა. იგი მთლად მო-
იყვანა მისი სულის კუნჭულში აქამდე მიმალულმა მხეცურმა სისას-
ტიკემ და განაცხადა, რომ დაკითხვის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩა-
მოახრჩობს გადმოპარულ ჯაშუშს, პასუხისმგებლობას კი საკუთარ
თავზე იღებს. მას შეუძლია მისცეს თავს ამის ნება, რადგანაც მა-
ღალ წრეებში ნაცნობობა საკმაოდ ჰყავს. აქაც იგივეა რაც ფრონტ-
ზე. უშუალოდ ბრძოლის ველის მაზლობლად რომ ჯაშუშისათვის
მიესწროთ და დაეჭირათ, იგი დაუყოვნებლივ დაკითხულ და ჩა-
მოახრჩობილ იქნებოდა. მას არ დაუწყებდნენ ლოლიაჟა. სხვა რომ
არ იყოს, ალბათ -- პანე კაპიტანისათვის ცნობილია, რომ ცეცხლის
ხაზთან ყოველ მეთაურს, დაწყებული კაპიტანიდან და უფრო მა-
ღალ ჩინამდე, აქვს უფლება ჩამოახრჩოს ყველა საექვო პიროვნება.

მაგრამ სამხედრო ჩინთა სრულუფლებიანობის საკითხი ჩამოხ-
რჩობის თაობაზე მაიორმა ვოლფმა ნაწილობრივ აურია.

აღმოსავლეთ ჰალიციაში ფრონტთან მიახლოვების შესაბამისად
ეს უფლებამოსილება უფრო დაბალ ჩინებზე გადადიოდა და იყო
შემთხვევები, როდესაც კაპრალს, ბაღრაგთა უფროსს, უბრძანებია
თორმეტი წლის ბიჭის ჩამოხრჩობა, რომელიც მას საექვოდ მოჩვე-
ნებია, მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის მიერ მიტოვებულ და
მტრებისაგან გაპარტახებულ სოფელში, იგი თავისთვის კარტო-
ფილის ნაფცქვენებს ხარშავდა დანგრეულ ქოხში.

კაპიტანსა და მაიორს შორის კამათი სულ უფრო მწვევდებოდა.

— თქვენ ამის უფლება არა გაქვთ! — ყვიროდა გაგულისებულ
კაპიტანი. იგი მხოლოდ სამხედრო სასამართლოს განაჩენის საფუძ-
ველზე იქნება ჩამოხრჩობილი.

— განაჩენის გარეშე იქნება ჩამოხრჩობილი! — სისინებლა მაი-
ორი ვოლფი.

შვეიკმა, რომელიც რამდენადმე მოშორებით მოჰყავდათ, ეს
საინტერესო საუბარი თავიდან ბოლომდე მოისმინა და მხოლოდ
ეს უთხრა თავის გამცილებელ მებაღრაგეებს:

— შეაყარე ცერცვი კედელს; ერთხელ ერთ-ერთ სამიკიტნოში
ლიბნიცი ჩვენ ვერ გადაგვეწყვიტა, მექუდე ვაშაკი, რომელიც ცეკ-
ვების დროს მუდამ ხულიგნობდა, მაშინათვე გაგვეძევებინა რო-
გორც კი კარებში გამოჩნდებოდა, თუ მოგვეცადა სანამ იგი შეუკ-
ვეთავდა ლუფს, გადაიხდიდა საფასურს და დაღევდა; თუ გაჟვეძ-
რო მისთვის ფეხსაცმელები, მას შემდეგ რაც იგი პირველ შემოვ-
ლას იცეკვებდა. მედუქნემ წინადადება შემოიტანა ცეკვების და-
საწყისში კი არ გაგვეგდო, არამედ მას შემდეგ, როცა იგი შესჰამს,
დაღევს და ყველაფრისათვის გადაიხდის. მაგრამ იცით იმ არამზა-

დამ რა მოგვიწყობ? სულ არ მოვიდა იმ დღეს. აბა რას იტყვით ამაზე?

ორივე ჯარისკაცმა, რომლებიც ტიროლის რომელიღაც კუთხიდან იყვნენ, ერთხმად უპასუხეს: Nix böhmisch¹.

— Verstehen sie deutsch?² — მშვიდად ჰკითხა მათ შვეიკმა.

— Jawohl!³ — მიუგო ორივემ. ამაზე შვეიკმა შენიშნა:

— ეს კარგია, თქვენიანებს შორის მაინც არ დაკარგებით.

ასე მეგობრული ბაასით მიაღვინნ პაუბტვახტს, სადაც მაიორმა ვოლფმა განაგრძო კამათი შვეიკის ბელზე, შვეიკი კი მორიდებით იჯდა მათ უკან სკამზე.

მაიორი ვოლფი ბოლოსდაბოლოს დაეთანხმა კაპიტანს იმაში, რომ ეს კაცი ჩამოხრჩობილ უნდა იქნას მხოლოდ ხანგრძლივი პროკედურის შემდეგ, რომელსაც ძალიან სათნო სახელი ჰქვია — „კანონიერი გზა“.

თვით შვეიკისათვის რომ ეკითხათ, თუ რას ფიქრობს იგი ამაზე, ასე იტყოდა: „ძალიან გული მწყდება, პანე მაიორო, მაგრამ რა გაეწყობა. მართალია ჩინით თქვენ პანე კაპიტანზე მალლა დგებართ, მაგრამ სიმაართლე მაინც პან კაპიტანის მხარეზეა. ყოველგვარი აჩქარება მავნეა. ერთხელ ასეთა რამ მოხდა, პრალის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე ჰკუაზე შეცდა. კარგა ხანს მას ვერაფერს ამჩნევდნენ, ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გამომქლავნდა, როდესაც სასამართლოში პიროვნების შეურაცხყოფისათვის საქმეს არ ჩევდნენ. ვინმე ზნამენაჩეკი, როცა შეხვდა ქუჩაში კაპელან გორტიკს, რომელიც საღვთო კანონის გაქვეთილზე მის ბაქუნას სილებს ულაწუნებდა, ასე უთხრა: „ოჰ, შე ვირო, შე შავო ჯოჯო, ღვთისმოსავო ილიოტო, შავო ღორო, მღვდლის თხავ, ქრისტეს სწავლების წამბილწველო, პირფერო და სულარაში გახვეულო ვიგანდარავ! მოსამართლე კი მეტად ღვთისმოსავი კაცი იყო. მისი სამივე და მღვდლებთან მუშაობდა მზარეულებად, თვითონ კი მათი შვილები ჰყავდა მონათლული, იგი ისე აღელდა, რომ უეცრად განსჯის უნარი დაჰკარგა და დაუყვირა ბრალდებულს: „მისი უღიღებულესობის იმპერატორისა და მეფის სახელით სიკვდილით ჩამოხრჩობით უნდა დაისაჯოთ. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება აკრძალულია. პანე გორაჩეკ, — მიუბრუნდა იგი სასამართლოს ზუღამხეღველს, — წაიყვანეთ ეს ვაჟბატონი და ჩამოახრჩვეთ იქ.“

¹ არც ერთი სიტყვა ჩეხურად (გ ე რ მ.).

² გესმით გერმანული (გ ე რ მ.).

³ დიახ! (გ ე რ მ.).

სადაც ნონებს ბერტყავენ, შემდეგ კი დაბრუნდით და მიიღეთ გასამრჯელო — ერთი ქიქა ლუდისათვის. თავისთავად ცხალია, პანი ზნამენაჩეკი და ზედამხედველი გაქვავდნენ, მაგრამ მოსამართლემ ფეხები დააბაჯუნა და დაიღრიალა: „დაემორჩილებით თუ არა?“.

ზედამხედველს ისე შეეშინდა, რომ პანი ზნამენაჩეკი ძირა ჩამოათრია. აღვოკატი რომ არა, რომელიც მაშინვე ჩაერია საქმეში და სასწრაფო დახმარებას გამოუძახა, არ ვიცი რით ღამთაურღებოდა ეს საქმე ზნამენაჩეკისათვის. მოსამართლეს უკვე სეძდნენ სასწრაფო დახმარების მანქანაში, ის კი გაჰყვიროდა: „თუ თოქს ვერ იშვოვით, ზეწარზე ჩამოჰკიდეთ; საფაურს შემდეგში გავითვალისწინებთ, ნახევარი წლის ანგარიშში“.

შევიკა მებადრავთა ზედამხედველობის ქვეშ, გარნიზონის კომენდატურაში წაიყვანეს. მან ხელი მოაწერა მაიორ ვოლფის მიერ შედგენილ ოქმს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ავსტრიელთა არმიის ჯარისკაცია და შეგნებულად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გადაიკვა რუსული ფორმა; რუსების უკანდახვევის შემდეგ იგი შეჰყრობილ იქნა საველე ეანდარმერიის საფრონტო ხაზის გადაღმა.

ყოველივე ეს ქვეშარატი სინამდვილე იყო, ჯა შევიკს, როგორც პატიოსან ადამიანს არ შეეძლო ამის უარყოფა, ოქმის შედგენის დროს იგი არაერთხელ შეეცადა შეეტანა დამატება, რაც შესაძლოა უფრო დააზუსტებდა სიტუაციას. ბატონი მაიორი კი გაიძახოდა: „ჩუმად, მე თქვენ არაფერს გეკითხებით. საქმის ვითარება სავსებით ნათელია“.

შევიკს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა საღმისა და თანხმობის მიცემა: „დიახ, ჩუმად ვარ, სწორედ ასეა, საქმე სრულიად ნათელია“.

ამის შემდეგ გარნიზონის კომენდატურაში მიიყვანეს და რომელიღაც სოროში ჩააგდეს, სადაც აღრე — ერთდროულად ბრინჯის საწყობიც იყო და თავების პანსიონიც. გარშემო ბრინჯი იყო მიმოფანტული. თავებს სულ არ ეშინოდათ შევიკის. ისინი მხიარულად დახტოდნ გარშემო ჯა ახრამუნებდნ მარცვლებს. შევიკი ლეიბის მოსატანად წავიდა. როცა ცოტათი შეეჩვია სიბნელეს, დაინახა, რომ მის ლეიბში თავების მთელი ოჯახი მოკალათებულიყო. მათ, როგორც ჩანს, უნდოდათ თავისი ბუდე გაეკეთებიათ ამ დაფერფლილი ავსტრიული ლეიბის ღიდების ნანგრევებზე. შევიკმა ბრახუნი ატეხა ჩაკეტილ კარებზე. ხმაურზე პოლონელი კაპრალი შემოვიდა. შევიკმა სთხოვა მას სხვა შენობაში გალაყვანაო.

რათა ძილში თავებში არ გაესრისა და ამით სახელმწიფო ხაზინისათვის ზარალი არ მიეყენებია. ყველაფერი რაც საწყობშია, ხომ სახელმწიფო ქონებას წარმოადგენსო.

პოლონელმა ნაწილობრივ გაუგო. ჩაკეტილი კარებიდან დაემუქრა მუშტით, მოიხსენია მისი „აყროლებული ღუპა“.¹ და უკანვე გაბრუნდა; თან გულმოსულად წაიბუტბუტა რაღაც შავი ქირის შესახებ, თითქოს შვეიკმა, ღმერთმა უწყის, როგორი შეურაცხყოფა მიაყენა მას.

ღამე შვეიკმა მშვიდად გაატარა, ვინაიდან თავები მას დიდ პრეტენზიებს არ უყენებდნენ. ეტყობოდა, მათ თავისი პროგრამა ჰქონდათ შემუშავებული ღამისათვის, რომელსაც ფარაჯებისა და სამხედრო ქულებისათვის განკუთვნილ მეზობელ საწყობში ასრულებდნენ. თავები ხრავდნენ აუჩქარებლად, რადგან სრულიად უშიშრად გრძნობდნენ თავს; საინტენდანტო მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოფხიზლდა და სამხედრო საწყობებისათვის სახელმწიფო კატები შეიძინა. პენსიაზე გასვლის უფლების გარეშე: „K. u. Militärmagazinkatze“² კატის ეს ჩინი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ძველი ინსტიტუტის აღდგენა იყო, სამოცდაექვსი წლის ომის შემდეგ რომ გააუქმეს.

ოდესღაც, მარია ტერეზას დროსაც ომიანობისას, სამხედრო საწყობებში კატები ჰყავდათ. ხოლო ვაებატონებმა საინტენდანტოდან მთელი თავისი შავნელი საქმეები სამხედრო ტანსაცმლის ხაზით, საბრალო კატებს გადააბრალეს.

ფაქტი ფაქტად რჩებოდა. სამეფო კატები ხშირად თავის ძოვალეობას არ ასრულებდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ იმპერატორ ლეოპოლდის * მეფობის დროს, პოგორეელის სამხედრო საწყობებში, სამხედრო სასამართლოს განაჩენით ჩამოხრჩობილ იქნა სამხედრო საწყობისათვის გადარიცხული ექვსი კატა. წარმომიდგენია როგორ ელიმებოდათ ულვაშებში მათ, ვინც რამდენადღე მაინც იყო დაკავშირებული ამ საწყობთან.

დილის ყავასთან ერთად შვეიკის სოროში რუსულ ფარაჯაში გამოხვეული კაცი შეაგდეს, რომელსაც რუსული ქუდი ეხურა. კაცი ჩეხურად პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა. იგი სამხედრო კორპუსის დაზვერვის ერთ-ერთი არამზადა იყო, მისი შტაბი პერე-

¹ საჯდომი (პოლონურად).

² სამხედრო საწყობების საიმპერატორო სამეფო კატები (გერმ.).

მიწლში იმყოფებოდა. სამხედრო საიღუმლო პოლიციის აგენტმა თავი არ შეიწუხა, რომ რამდენადმე დახვეწილი ფორმით მაინც დაეტყუებია შვეიციისათვის საიღუმლო.

მან პირდაპირ დაიწყო:

ყოველივე ჩემი გაუფრთხილებლობით მომივიდა. ოცდამერვე პოლკში ვმსახურობდი. იქიდან მაშინვე რუსებთან გადავედი და აი ასე სულელურად ჩავეარდი. რუსებს ვთხოვე დახვეწაზე გავემვით... კიევის მეექვსე დივიზიაში ვმსახურობდი. შენ კი, ამხანაგო, რომელ რუსულ პოლკში მსახურობდი? თუ არ ვცდები ჩვენ სალდაც შევხვედრავართ ერთმანეთს. კიევში შე ვიცნობდი ჩეხებს, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ ფრონტზე, მერე კი რუსების მხარეზე გადავადნენ. უკვე დამავიწყდა მათი გვარები, ვინ არიან ან საიდან, შენ ალბათ გეხსოვება, ვისთან ერთად მსახურობდი იქ? მაინტერესებს ვინ დარჩა ოცდამერვე პოლკიდან?

პასუხის ნაცვლად შვეიკმა მზრუნველად დაადო ხელი შუბლზე უცნობს, შემდეგ მაჯისცემა გაუსინჯა. ბოლოს მიიყვანა ფანჯარასთან და სთხოვა ენა გამოეყო. მთელი ამ პროცედურის განმავლობაში არამზადას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მას ეგონა, შვეიკი ნიშნების საშუალებით უხსნიდა რაღაცას შეთქმულების საიდუმლო ენაზე. შემდეგ შვეიკმა კარებს დაუშინა მუჯლუგუნები, ხმაურზე ზედამხედველი მოვიდა და იკითხა, რატომ ხმაურობთო, შვეიკმა ჩეხურ და გერმანულ ენაზე მოითხოვა მოეყვანათ ექიმი ამ კაცისათვის, რადგან, როგორც ჩანს, აბოლებსო.

ამ განცხადებამ, როგორც ჩანს, შესაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა; ავადმყოფთან არავინ მოსულა. იგი მშვიდად განაგრძობდა საკანში ჯდომასა და უაზრო ლაპარაკს იმის შესახებ, თუ როგორ იყო კიევში და როგორ ნახა შვეიკი რუს ჯარისკაცთა მწყობარში.

— თქვენ უთუოდ ჭაობის წყალი გაქვთ დალეული, — უთხრა შვეიკმა, — ახალგაზრდა ტინეცისა არ იყოს, იგი საერთოდ არ არის ბრიყვი. ერთხელ სამოგზაუროდ წავიდა და თვით იტალიამდე იარა. სხვაზე არაფერზე ლაპარაკობდა, თუ არა იტალიაზე. ამბობდა, რომ იქ მხოლოდ ჭაობის წყლებია და სხვა არაფერიო. მასაც სწორედ ამ ჭაობის წყლიდან შეეყარა ისეთი ციებცხელება, რომ წელიწადში ოთხჯერ ახტუნავენბდა, ყველა წმიდანის: წმიდა იოსების, პეტრეს, პავლეს და ღვთისმშობლის მიძინების დღეებში. როგორც კი ციებცხელება აუტყდებოდა, იმწამს თქვენსავით იწყებდა მისთვის უცნობი ადამიანების გამოცნაურებას. აი, მაგალითად, ტრამვაიში ეტყოდა უცნობ ადამიანს, რომ უნახავს იგი ვენის სალ-



გურზე. ვისაც შეხვდებოდა ქუჩაში, — ყველა მათგანი თითქოს ან მილანის სადგურში უნახავს, ან მასთან ერთად ქალაქ შტირის რატუშასთან ლეინის სარდაფში ლეინო უსვამს. როცა-ქაობის ციებ-ციხელება სამიკიტნოში ჯდომის დროს მოუვლიდა, მაშინათვე გამოეცნაურებოდა მომსვლელებს და ეუბნებოდა, რომ ისინი მასთან ერთად მოგზაურობდნენ ვენეციაში. ამ ავადმყოფობის განსაკურნავად მხოლოდ ერთი წამალი არსებობს, რომელიც კატერჩინის ახალმა სანიტარმა გამოიგონა.

ამ სანიტარს უბრძანეს ერთი შეშლილი პროფესორის მოვლა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ერთ კუთხეში იჯდა და ითვლიდა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი“. სანიტარი ბრაზისაგან გულზე სკდებოდა, რომ გიყი ექვსიანს ვერაფრით ვერ გასცდა. ჯერ დაყუავებით სთხოვდა დაეთვალა: „შვიდი, რვა, ცხრა, ათი“. შენც არ მომიკედე! პროფესორი ყურსაც არ იბერტყავდა. არხეინად იჯდა კუთხეში და ითვლიდა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი“. სანიტარს მოთმინება აღარ ეყო, მიიჭრა თავის ქვეშევრდომთან, და სწორედ იმ დროს, როდესაც მან წარმოსთქვა „ექვსი“, კეფაში წაუთაქა, თან უთხრა: „აი თქვენ შვიდი, ეს კი რვა, ცხრა და ათი“. რამდენ ციფრსაც იტყოდა, იმდენ ჭიმუნჯს მოსდებდა ხოლმე. ავადმყოფმა თავზე იტაცა ხელი და ჰკითხა: თუ სად იმყოფება იგი. როგორც კი სანიტარმა უპასუხა, პროფესორს მაშინვე გაახსენდა, როგორ მოხვდა საგიჟეთში რომელიღაც კომეტის გამო. მან გამოითვალა, რომ ეს კომეტა გამოჩნდება ერთი წლის შემდეგ, თვრამეტ ივლისს, დილის ექვს საათზე. მაგრამ მას დაუმტკიცეს, რომ ეს კომეტა უკვე რამდენიმე მილიონი წლის წინათ დაიწვა. მე ვიცნობდი ამ სანიტარს. როდესაც პროფესორი საბოლოოდ გამოკეთდა და გაეწერა, მან ეს სანიტარი მსახურად წაიყვანა, მისი მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ ყოველ დღით ბატონი პროფესორისთვის ოთხჯერ წაეთაქებინა კეფაში, და ისიც კეთილსინდისიერად და მუყაითად ასრულებდა ამ მოვალეობას.

— მე ვიცნობდი ყველა თქვენს კიეველ ნაცნობს, — დაულალავად განაგრძობდა დაზვერვის აგენტი. — თქვენთან არ იყო განა ერთი სქელი კაცი, და მეორე კი გამხდარი? ვერაფრით ვერ გამიხსენებია რა ერქვათ და რომელი პოლკიდან იქნენ.

— ეს თქვენ ნუ გაწუხებთ, — დაამშვიდა იგი შევიკმა, — ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს. განა შეიძლება ყველა გამხდარისა და მსუქანის გვარის დამახსოვრება? გამხდარი ადამიანების გვარების დამახსოვრება რა თქმა უნდა უფრო ძნელია, მათი რაოდენობა.

დენობა უფრო მეტია ქვეყნად. ისინი, როგორც ამბობენ ხოლმე, უმრავლესობას წარმოადგენენ.

— ამხანაგო, — წუწუნებდა საიმპერატორო სამეფო არამზადა, — შენ არ გჯერა ჩემი. ჩვენ ხომ ერთ ბედ ქვეშ ვართ.

— მიტომაც ვართ ჯარისკაცები, — აულელებლად მიუგო შვეიცმა, — სწორედ იმისთვის გაგვაჩინეს დედებმა, რომ ომის დროს როცა მუნდირებს ჩავიცვამთ, ღდინი გაგვძვრეს და ჩვენც ეს გვახარებს, რადგან ვიცით, რომ ჩვენი ძვლები ტყუილუბრალოდ არ გაიხრწნება მიწაში; ჩვენ თავს დავდებთ მეფე-იმპერატორისა და მისი უავგუსტოესი ოჯახისათვის; სწორედ მათი გულისთვის დავიპყართ გერცოგოვინა. ჩვენი ჩონჩხიდან გადაამუშავებენ ძვლების ნახშირს შაქრის ქარხნებისათვის. ამას ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გვიხსნიდა პან ლეიტენანტი ციმერი. „თქვენ ღორების ბრბო ხართ, — გვეუბნებოდა იგი. — გაუნათლებელი ტახები ხართ. ყოვლად გამოუსადეგარო, ზარმაცო მაიმუნებო, თქვენ ფეხებს არ უფრთხილდებით, თითქოს ისინი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ. როდესაც ბრძოლის ველზე განგმირული დაეცემით, ყოველი თქვენი ფეხიდან დაამზადებენ ნახევარ კილო ძვლის ნახშირს, ხოლო მთელი ჯარისკაცისაგან, მისი ფეხებისა და ხელების ძვლებითურთ — ორ კილოზე მეტი გამოვა. თქვენში, იდიოტებო, შაქრის გამომხარშველ ქარხნებში შაქარს ფილტრავენ. ვერც კი წარმოიდგენთ რა სასარგებლო იქნებით შთამომავლობისათვის სრკვდილის შემდეგ. თქვენი შვილები, რეგვენებო, დალევენ თქვენს ძვლებში გაფილტრული შაქრით დამტკბარ ყავას;“ მე ჩავფიქრდი, იგი კი მომიბრუნდა: „რაზე ფიქრობ?“ „მაქვს პატივი მოგახსენოდე, — მე მგონია, რომ ბატონი ოფიცრების ძვლების ნახშირი, გაცილებით უფრო ძვირი უნდა ღირდეს ვიდრე უბრალო ჯარისკაცების“. ამ სიტყვებისათვის სამი დღე საქანში ჩამსვეს.

შვეიკის კომპანიონმა კარებზე დააკაკუნა და რაღაც მოლაპარაკება დაიწყო მცველთან, მან კი თავის მხრივ კანცელარიას მოახსენა.

სულ მალე კომპანიონის წასაყვანად მოვიდა შტაბის გადამწერი და შვეიკი ისევ მარტო დარჩა.

წასვლისას ამ პირუტყვმა შვეიკზე მიუთითა და ყველას გასაგონად უთხრა შტაბის გადამწერს:

— ეს ჩემი ძველი კიეველი ამხანაგია.

შვეიკმა მთელი ოცდაოთხი საათი მარტოღმარტომ გაატარა. თუ არ ჩავთვლდთ იმ რამდენიმე წუთს, როდესაც მასთან საკმელი მიჰქონდათ.

ლამით იგი დარწმუნდა, რომ რუსული მანარა ავსტრიულზე უფრო დიდი და თბილია, და რომ არაფერია იმაზე უსიამოვნო, როდესაც ლამით მძინარე კაცის ყურს თავი ენოსავს. შეეიკი ამას აღიქვამდა, როგორც ნაზ ჩურჩულს. განთიადზე ტუსალის წასაყვანად მოსულმა გუშაგებმა მას ეს ნეტარებაც წაართვის.

შეეიკს დღემდე არ შეეძლო ზუსტად განესაზღვრა, თუ რა სასამართლო იყო, იმ სავალალო დილას რომ მიიყვანეს. მაგრამ ყოველ ექვს გარეშე — ეს იყო სამხედრო სასამართლო. სასამართლოს ესწრებოდა გენერალი, პოლკოვნიკი, მაიორი, პორუჩიკი, პოდპორუჩიკი, გადამწერი და ვილაყა ქვეითი ჯარისკაცი, რომელიც მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ასანთს აწვდიდა მწეველებს.

შეეიკისათვის ბევრი არაფერი უკითხავთ.

ჩეხურად მოლაპარაკე მაიორმა, შედარებით მეტი ინტერესი გამოიჩინა მის მიმართ.

— თქვენ უღალატეთ იმპერატორს, — დაიღრიალა მან.

— ლმერთო ჩემო! როდის? — წამოიძახა შეეიკმა. განა შე ვუღალატებ ჩვენს მეფე-იმპერატორს, ჩვენს უბრწყინვალეს მონარქს, რომლის გამო ამდენი რამ გადავიტანე?!

— სისულელეებს თავი დაანებეთ, — სთქვა მაიორმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო მაიორო, იმპერატორის ღალატი — სისულელე როდია. ჩვენ სამხედრო ხალხი ვართ, მეფე-იმპერატორს ერთგულება შევფიცეთ, ხოლო ამ ფიცს როგორც თეატრში მღერიან: „მე როგორც ერთგული რაინდი“ — ისე ვასრულებდი *.

— აი, — სთქვა მაიორმა, — აქ არის მთელი საბუთები თქვენი დანაშაულისა თუ უღანაშაულობის შესახებ. — მან მიუთითა ქაღალდების სქელ გროვასზე.

ძირითადი მასალა სასამართლოსათვის იმ კაცს მიუცია, რომელიც შეეიკთან საკანში მოათავსეს.

— არც ახლა გსურთ გამოტყდეთ? — იკითხა მაიორმა. თქვენ ხომ თვითონვე აღიარეთ, რომ როცა ავსტრიის არმიის რიგებში იმყოფებოდით ნებაყოფლობით გადაიცვით რუსული ფორმა. უკანასკნელად გეკითხებით: გაიძულებდით ამას ვინმე?

— შე ეს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გავაკეთე.

— ნებაყოფლობით?

— ნებაყოფლობით.

— ძალდატანების გარეშე?

— ძალდატანების გარეშე.

— გესმით რომ დალუპული ხართ?



— ვიცე; მე ალბათ მელოდებიან ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში, მაგრამ თუ შეიძლება ნება მომეცით ერთი-ორი სიტყვით მოგახსენოთ, როგორ გადაიცვამენ ხოლმე ადამიანები უცხო ტანსაცმელს ნებაყოფლობით. ათას ცხრაას რვა წელს, იელისში, მდინარე ბეროუნკის ძველ შესართავთან, ბრასლავში ბანაობდა ერთი ამკინძავი ბოეეტები. იგი პრადაში პრშიჩნის ქუჩაზე ცხოვრობდა, ტანისამოსი ტირიფზე დაჰკიდა და ძალიან გაეხარა, როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ წყალში კიდევ ერთი ვაჟბატონი ჩავიდა... შეყვანენ ლაპარაკს, სადამომდის ითამაშეს და იჭყუშპალავეს წყალში: ჭეცობი პირველი ამოვიდა წყლიდან: აქაოდა ვახშობობის დრო მოვიდაო. პანი ბოეეტები ერთხანს კიდევ დარჩა წყალში, ხოლო როდესაც ამოვიდა და ტირიფისკენ გაემართა ჩასაცემლად თავისი ტანსაცმლის ნაცვლად მაწანწალას ძონძები და ბარათი დახვდა: „ღიდხანს ვიფიქრე: წამელო თუ არა თქვენი ტანსაცმელი, ჩვენ ხომ ასე კარგად გავატარეთ ერთად დრო წყალში, თვითონ რომ ველარ გადავწყვიტე, გვირილა მოვგლიჯე, რომლის უკანასკნელ ფოთოლს მოუწია: „წაღება“. ამიტომ თქვენი და ჩემი ჭინჭები შევცვალე. არ შეგეშინდეთ მათი ჩაცმა: სულ ერთი კვირაა, რაც ტილებსაგან გაშმინდეს დობრეილის საოლქო ციხეში. მეორედ, უფრო ყურად-

ღებით დაუკვირდით თქვენთან ერთად მობანავე აღამიანს: წყალში ყველა ერთია, იქ კაცის მკვლელიც კი დეპუტატსა ჰგავს. თქვენ არც კი იცით ვისთან ბანაობდით. მაგრამ ბანაობა ღირდა ამაღ. საღამოს წყალი ყველაზე საამოა. ერთხელ კიდევ ჩადით წყალში, რომ გრძნობაზე მოხვიდეთ“.

პან ბოჟეტებს სხვა არაფერი დარჩენოდა უნდა დაეცა და დაღმებამდის. შემდეგ მაწანწალას ძონძებში გაეხვია და პრალისაკენ გაეშურა. იგი ცდილობდა გვერდი აეგლო შარაგზისათვის და მიწდგრებითა და შემოსავლელი ბილიკებით მიდიოდა. მიუხედავად ამისა მაინც შეეფეთა ეანდარმერიის პატრულს ხუხლიდან*. ეანდარმმა დააპატიმრა მაწანწალა და მეორე დღით ზბრასლავის რაიონულ სასამართლოში მიიყვანა. ასე ყველას შეუძლია გამოაცხადოს თავისი თავი ქალაქ პრალაში არშიის ქუჩა № 16 სახლში მცხოვრებ ამკინძავ — იოზეფ ბოჟეტებსად.

მღივანმა, რომელმაც არც თუ ისე ბრწყინვალედ იცოდა ჩეხური ენა, გადასწყვიტა რომ ბრალდებული თავისი თანამონაწილის ვისამართს ეუბნება და ჩაეკითხა:

— Ist das genau Prag, № 16. Josef Bozetéč?¹

— ცხოვრობს თუ არა იგი დღესაც იქ, მე არ ვიცი, — უპასუხა შეეიკმა, — მაგრამ მაშინ, - ათას ცხრაას რვა წელს ცხოვრობდა. იგი ძალიან ლამაზად ჰკინძავდა წიგნებს, მაგრამ დიდხანს უნდებოდა, რადგანაც ჯერ თვითონ კითხულობდა, მერე კი შინაარსის შესაბამისად ჰკინძავდა. როცა წიგნზე შავ გამოსახულებას აღნიშნავდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი წაკითხვა არ ღირს: ყველა ხვდებოდა, რომ რომანს ცუდი დასასრული აქვს. ეგებ თქვენ გსურთ უფრო დაწერილებითი ცნობების მიღება? დიახ, რომ არ დამავიწყდეს: იგი ყოველ დღე იჯდა „ფლეკებთან“ და უყვებოდა მათ ყველა ასაკინძი წიგნის შინაარსს.

მაიორი მივიდა მღივანთან და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. მან წაშალა ოქმში ახალი, ვითომდა სახიფათო სამხედრო შეთქმულ დამნაშავეს — ბოჟეტების მისამართი.

ეს უცნაური სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა გენერალ ფინკ ფონ ფინკელშტეინის თავმჯდომარეობით; უკანასკნელმა მას საველე სასამართლოს სახე მისცა.

ზოგიერთ აღამიანს ასანთის კოლოფების შეგროვების მანია აქვს. ამ ვაჟბატონს კი საველე სასამართლოების მოწყობის

¹ ეს ნაშეილია: „პრალა № 16, იოზეფ ბოჟეტები? გერმანულ ენაში ბგერა „ე“ არ არის, ამიტომ მღივანი წერს ბოჟეტების ნაცვლად „ბოზეტებს“.

მანია სჭირდა. მათი მოწყობა კი უმრავლეს შემთხვევაში, ეწინააღმდეგებოდა სამხედრო წესდებას.

გენერალმა გამოაცხადა, რომ აუდიტორიები არ ესაჭიროება, და რომ იგი თვითონ მოიწვევს სასამართლოს; სამი საათის შემდეგ ბრალდებული ჩამოხრჩობილ უნდა იქნესო. სანამ ეს გენერალი ფრონტზე იმყოფებოდა, საველე სასამართლოების ნაკლებობა არ იგრძნობოდა.

არის ხალხი, რომლებმაც, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ ყოველ დღე უნდა ითამაშონ ერთი ხელი ჭადრაკი, ბილიარდი ან მარიაჟი; ამ გენერალსაც ყოველდღიურად უნდა მოეწვია საველე სასამართლოების სასწრაფო სხდომები. იგი სასამართლოს თავმჯდომარეობდა და უდიდესი სერიოზულობითა და სიხარულით უცხადებდა მსჯავრდადებულს შამათს.

სენტიმენტალური ადამიანი დასწერდა ალბათ, რომ ამ გენერლის სინდისზე ათობით ადამიანის სიცოცხლეა. განსაკუთრებით აღმოსავლეთში ყოფნის შემდეგ, სადაც, მისი სიტყვებითვე რომ ვთქვათ, იგი იბრძოდა ველიკორუსული აგიტაციის წინააღმდეგ ჰალიციელ უკრაინელთა შორის. თუმცა თუ გავითვალისწინებთ მის თვალსაზრისს არ გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ ერთი ვინმეს სიცოცხლე მაინც იყოს მის სინდისზე.

სინდისი არ ქენჯნოდა, რადგან ეს გრძნობა საერთოდ არ გააჩნდა. მას შეეძლო სრულიად დამშვიდებით გაეცა ბრძანება, საველე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე ჩამოეხრჩოთ ვინმე მასწავლებელი ქალი ან კაცი, მართლმადიდებელი მღვდელი ან მთელი ოჯახი; მერე კი ისე დაბრუნებულიყო სახლში, აზარტული მოთამაშე რომ ბრუნდება ხოლმე სამიკიტნოდან და თან სიამოვნებით იხსენებს როგორ მისცეს მას „ფლეკი“, მან კი, რე-თი უპასუხა, მათ მისცეს „სუპრე“, მან კი „ტუტი“, მერე ისევ მათ მისცეს „ბოტი“, მან კი მოიგო და ასშვიდი * დააგროვა.

მას ჩამოხრჩობა სრულიად უბრალო და ბუნებრივ საქმედ მიაჩნდა, იგი ისევე ესაჭიროებოდა, როგორც პური არსობისა. ამიტომ განაჩენის გამოტანისას მას ხშირად ავიწყლებოდა მეფე-იმპერატორის მოხსენება და იმის მაგივრად რომ ეთქვა: „მისი იმპერატორული უდიდებულესობის სახელით თქვენ მოგესაჯათ სიკვდილი — ჩამოხრჩობით“, უბრალოდ აცხადებდა: „მე თქვენ მოგისჯით სიკვდილს“.

ხანდახან იგი ჩამოხრჩობაში რაღაც კომიკურ მხარეს გამონახავდა ხოლმე. აი რა მისწერა ერთხელ თავის მეუღლეს ვენაში: „ჩემო ძვირფასო, ვერ წარმოიდგენ, რამდენი ვიცინე ამას წინათ. რამდენ-

ნიმე დღის წინ ჯამუშობისათვის გავასამართლე ერთი მასწავლებელი. ერთი გადამწერი მყავს. მას დიდი გამოცდილება აქვს ჩამოხრჩობის დარგში. მისთვის ეს თავისებური სპორტია. ერთხელ განაჩენის გამოტანის შემდეგ კარავში ვიყავი, როცა გადამწერი გამოცხადდა ჩემთან და მკითხა: „რა აღგილას მიბრძანებ ჩამოვახრჩო მასწავლებელი?“ მე ვუპასუხე: „უახლოეს ხეზე“ და აი, წარმოიდგინე, რა კომედია გათამაშდა; გარშემო ველი იყო, რომელზედაც გარდა ბალახისა არაფერი იზრდებოდა. ერთი მილის მანძილზე არცერთი ხე არ მოჩანდა. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და ამიტომ გადამწერი მასწავლებელთან და მცველებთან ერთად გაემგზავრა ხის საძებნელად. ისინი მხოლოდ საღამოოქამს დაბრუნდნენ და მასწავლებელიც თან მოიყვანეს. გადამწერი ისევ შოვიდა ჩემთან და მკითხა: „სად ჩამოვახრჩო ეს ლაწირაკი?“ მე გამოვლანძღე და შევახსენე, რომ უკვე გაცემული მაქვს ბრძანება — უახლოეს ხეზე ჩამოხრჩობის შესახებ. მან მიასახა, რომ დილით შეეცდება ბრძანების შესრულებას. მეორე დღეს იგი ფერდაკარგული დაბრუნდა უკან. ღამის განმავლობაში მასწავლებელი საღდაც გამქრალიყო. ეს ამბავი ისე სასაცილოდ მომეჩვენა, რომ ყველას ვაპატიე, ვინც კი იმ ღამით ყარაულში იყო, და თან ვიხუმრე მასწავლებელი უთუოდ თვითონ წავიდა ხის საძებნელად-თქო. როგორც ხედავ, ჩემო ძვირფასო, ჩვენ აქ მოწყენილები როდი ვართ. გადაეცი პატარა ვილის, რომ მამიკო ჰკოცნის და სულ მალე ცოცხალ რუსს გამოუგზავნის. ვილი მოაჯღდება მას როგორც ცხენს და ისეირნებს. კიდეც, ჩემო ძვირფასო, ერთი სასაცილო შემთხვევა მაგონდება. ერთხელ ერთი ებრაელი ჩამოვახრჩვეთ ჯამუშობისთვის. ის ყმაწვილი გზაში შემოგვხვდა, და თავს იმით იმართლებდა — სიგარეტებს ვყიდდიო. ჩვენი აზრით კი, მას გზაზე არაფერი საქმე არ უნდა ჰქონოდა. და აი, რამდენიმე წამიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩამოკიდეს, რომ უეცრად თოკი გაწყდა და ჩამოხრჩობილი ძირს ჩამოვარდა. ებრაელი სწრაფად მოვიდა გონს და დამიყვირა: „ბატონო გენერალო, სახლში მივლივარ! თქვენ მე უკვე ჩამომახრჩვეთ, ხოლო კანონის მიხედვით, ერთი და იგივე საქმისათვის ორჯერ ჩამოხრჩობის უფლება არ გაქვთ. მე გადავიხარხარე, ებრაელი კი გაუფშვით. ჩვენთან, ჩემო ძვირფასო მხიარულებაა!..“

როცა გენერალი ფინკი პერემიშლის ციხე-სიმაგრის კომენდანტად დანიშნეს მას ასე ხშირად არ ეძლეოდა საშუალება ამდაგვარი საცირკო წარმოდგენები გაემართა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ასე ხარბად დაეწაფა შვეიკის საქმეს.

ახლა შევიკი იღვა ამ ვეფხვის წინაშე, რომელიც გრძელ მაგი-
დას მოჯღომოდა პირველ რიგში და სიგარეტს სიგარეტზე ექაჩე-
ბოდა. მან ბრძანა, გადაეთარგმნათ მისთვის შევიკის პასუხები და
მოწონების ნიშნად თავს იქნევდა.

მაიორმა წინადადება შეიტანა, ბრიგადაში სატელეგრაფო მო-
თხოვნა გაეგზავნათ იმის გამოსარკვევად, თუ სად იმყოფება ამჟა-
მად ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მეთერთმეტე სამარშო ასე-
ული, რომელსაც ჩვენების მიხედვით ბრალდებული ეკუთვნოდა.

გენერალი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ ეს დაყოვნებს
განაჩენის გამოტანას, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება ღონის-
ძიების მიზანს. სახეზეა ბრალდებულის სრული აღიარება, რომ მან
გადაიცვა რუსული ფორმა. გარდა ამისა, არის ერთი მოწმის მნიშ-
ვნელოვანი ჩვენება, რომლის თანახმად ბრალდებულმა აღიარა, რომ
იგი ქიევში იყო. გენერალი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ
გავიდნენ მოსათათბირებლად, რათა გამოიტანონ განაჩენი და მო-
იყვანონ იგი სისრულეში.

მაიორი მაინც დაჟინებით მოითხოვდა ბრალდებულის ვინაო-
ბის დადგენას, რადგან ეს საქმე განსაკუთრებული პოლიტიკური
მნიშვნელობისა ჩანდა, დაადგენენ რა ამ ჯარისკაცის ვინაობას,
შესაძლებელი გახდება იმის დაზუსტებაც თუ ვისთან ჰქონდა ბრალ-
დებულს კავშირი თავის სამხედრო ნაწილში.

მაიორი რომანტიკოსი-მეოცნებე იყო. იგი ამბობდა, რომ სა-
ჭიროა რაღაც ქსელის პოვნა, რომ არ არის საკმარისი ერთი ალა-
მიანის დასჯა. განაჩენი ეს არის მხოლოდ შედეგი გარკვეული ძიე-
ბისა, რომელიც შეიტყავს ქსელს, რომელი ქსელიც... იგი საბოლო-
ოდ გაიხლართა საკუთარ ქსელში, მაგრამ მას მაინც ყველამ გაუგო
და მოწონების ნიშნად თავები დაუქნიეს, და თვითონ გენერალმაც,
რომელსაც ქსელი ძალიან მოეწონა, რადგან წარმოიდგინა, თუ რო-
გარ ჰკიდია მაიორის ქსელში ახალი საველე სასამართლოები. ამდე-
ნად იგი აღარ ეწინააღმდეგებოდა იმ მოსაზრებას, რომ შეეტყოთ
და დაედგინათ ბრიგადაში მართლა ეკუთვნის თუ არა შევიკი ოთხ-
მოცდამეთერთმეტე პოლკს, და კერძოდ როდის, მეთერთმეტე სა-
მარშო ასეულის რომელი საბრძოლო ოპერაციების დროს გადავიდა
იგი რუსების მხარეზე.

ამ პაექრობის დროს შევიკი დერეფანში იმყოფებოდა ორი ბაღ-
რაგის მეთვალყურეობის ქვეშ. მერე იგი ისევ შეიყვანეს სასამარ-
თლოს დარბაზში, წარუდგინეს მოსამართლეებს და კიდევ ერთხელ
შეეკითხენ, რომელი პოლკიდან ხარო. შემდეგ კი გარნიზონის ციხე-
ში გადაიყვანეს.



გენერალი ფინკი ფუჰად ჩავლილი საველე სასამართლოდან სახლში დაბრუნების შემდეგ, ტახტზე წამოწვა და შეეცადა მოეფიჭრებინა როგორ დაეჩქარებინა ეს პროცედურა.

გენერალს მტკიცედ სწამდა, რომ პასუხს ჩქარა მიიღებდნენ. მაგრამ ეს მაინც არ იყო ის სისწრაფე, რომლითაც მისი სასამართლოები გამოირჩეოდნენ. ბრალდებული უნდა აზიარონ კიდევ, რაც ერთი-ორი საათით დააგვიანებს განაჩენის სისრულეში მოყვანას.

— ეჰ, სულერთია, — გადასწყვიტა გენერალმა ფინკმა. — ჩვენ შეგვიძლია იგი განაჩენის გამოტანამდეც ვაზიაროთ. ბრიგადიდან ცნობების მიღების შემდეგ ხომ მაინც ჩამოსახარობი იქნება.

გენერალმა ფინკმა ბრძანა მოეყვანათ ფელდკურატი მარტინეცი. ეს გახლდათ ერთი საცოდავი საღვთო სჯულის მასწავლებელი, კაპელანი მორავიის რომელიღაც კუთხიდან. წინათ იგი ისეთ ზნედაცემულ მოძღვართან მსახურობდა, რომ ჯარში წასვლა ამჯობინა. ახალი ფელდკურატი ნამდვილი ღვთისმოსავი აღამიანი იყო. იგი გულისტკივილით იგონებდა თავის სოფლის მოძღვარს, რომელიც ნელა, მაგრამ უტყუარად ეშეებოდა დალუპვის ფსკერზე. დრო-

დადრო ახსენდებოდა, როგორ გაიღეშებოდა ხოლმე მისი მოძღვარი ქლიავის არყით. ერთხელ ღამით კი რაღაც არ უნდა დაჯდომოდა ცდილობდა მისთვის ლოგინში მოხეტიალე ბოშა ქალი ჩაეგორებია. ეს ქალი მან სოფლის ბოლოს იპოვა არყის სახდელი ქარხნიდან დაბრუნებისას.

ბრძოლის ველზე ფელდჟურატ მარტინეცს იმედი ჰქონდა, რომ აზიარებდა დაპრილებსა და მომაკვდავებს და ამ გზით გამოისყიდდა თავისი ზნედაცემული პატრონის ცოდვებს. გვიან, ღამით სახლში დაბრუნებულ მოძღვარს არაერთხელ გაუღვიძებია იგი, თან ეუბნებოდა:

— ენიჩეკ, ენიჩეკ! სქელი გოგო ჩემი სიცოცხლეა!

მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. მას ერთი გარნიზონიდან მეორეში აგზავნიდნენ, სადაც ორ კვირაში ერთხელ, გარნიზონის საყდარში, წირვის წინ უნდა ექადაგა და ებრძოლა ოფიცერთა ცდუნებების წინააღმდეგ. აქ კი ისეთი საუბარი იმართებოდა, რომ მასთან შედარებით მოძღვარის „სქელი გოგონები“ მფარველი ანგელოზისადმი მიმართული უცოდველი ლოცვა გეგონებოდათ.

ჩვეულებრივ მას მაშინ იძახებდნენ ფინკთან, როცა ფრონტზე დიდი ოპერაციები წარმოებდა და უნდოდათ ავსტრიის ჯარების შორიგი გამარჯვება საზეიმოდ აღენიშნათ. გენერალი ფინკი ისეთივე სიამოვნებით აწყობდა საზეიმო საველე წირვას, როგორც საველეს სასამართლოს.

ეშმაკის კერძი ფინკი ავსტრიის ისეთი მგზნებარე პატრიოტი იყო, რომ გერმანული ან თურქული იარაღის გამარჯვებისათვის არც კი ლოცულობდა. როდესაც გერმანელები იმარჯვებდნენ ფრანგებზე ან ინგლისელებზე საკურთხეველთან სრული სიჩუმე სუფევდა.

სამაგიეროდ ავსტრიის დაზვერვის პატრულის სრულიად უმნიშვნელო წარმატებას რუსულ ავანპოსტთან, შტაბი ისე ბერავდა, როგორც უშველებელ საპნის ბუშტს, თითქოს მთელი რუსთა კორპუსი დაემარცხებოთ. ეს ამბავი გენერალი ფინკისათვის საღღესასწაულო ღვთისმსახურების მიზეზად გადაიქცეოდა ხოლმე. ბეჩავ ფელდჟურატ მარტინეცს ისეთი შთაბეჭდილება შეექნა, თითქოს გენერალ-კომენდანტი ფინკი ერთდროულად პერეშიშლის კათოლიკური ეკლესიის მეთაურიც ყოფილიყო.

გენერალი ფინკი თვითონ განაგებდა წირვის ცერემონიას და ცდილობდა რომ ასეთი ღვთისმსახურება ყოველთვის უფლისხორცის დღესასწაულის* დროს ექვსხმიანი გალობით ჩატარებულიყო.

ამას გარდა, გენერალ ფინკს ჩვეულებად ჰქონდა წმიდანებთან

შეწირულების მირთმევისას ამხედრებული მიჭრილიყო საკურთხე-
ველთან და სამჯერ დაეძახნა: „ვაშა! ვაშა! ვაშა!“.

ფელდკურატ მარტინეს ღვთისმოსავესა და უმწიკვლო არსე-
ბას, ამ იშვიათ გამონაკლისს, რომელსაც ჯერ კიდევ სწამს ღმერ-
თი, არ უყვარდა გენერალ ფინკთან სიარული.

გენერალი ფინკი, ჯერ მისცემდა ფელდკურატს საჭირო ინსტ-
რუქციებს, ხოლო შემდეგ უბრძანებდა დაესხა მისთვის რაიმე მა-
გარი სასმელი და დაუწყებდა ღვთის მონა მარტინეს უახლოესი
ანეგდოტების მოყოლას, მეტად სულელური კრებულებიდან, რომ-
ლებსაც სპეციალურად არმიისათვის სცემდა ჟურნალი „Lustige
Blätter“.*.

გენერალმა შეაგროვა სულელური წიგნების მთელი ბიბლიო-
თეკა; ისეთი ბრიყვეული სათაურებით, როგორიცაა: „ჰუმორი სმე-
ნისა და მხედველობისათვის ჯარისკაცის ზურგჩანთაში“, „ჰინ-
დერბურგის ანეგდოტები“, „ჰინდენბურგი ჰუმორის საჩკეში“,
„ჰუმორის მეორე ზურგჩანთა, შეკვებული ფელიკს შლემპერის მი-
ერ“, „ჩვენი გულიაშის ზარბაზნიდან“, „ხელყუმბარის ნოყიერი
ნამსხვრევები ჩვენი სანგრებიდან“. ანდა ასეთი სისულელე: რო-
გორც „ორთავა არწივის ქვეშ“, „ვენური შნიცელი საიმპერატორო
სამეფო საველე სამზარეულოდან შეათბო არტურ ლოკეშმა“. ხან
ჯარისკაცების მხიარულ სიმღერებს მღეროდა კრებულიდან „wir
müssen siegen“¹, თან ასხამდა და ასხამდა რაიმე მაგარ სასმელს
და აძულებდა ფელდკურატსაც დაეღია და ებღავლა მასთან ერ-
თად. მერე იწყებდა უწმაწურ ლაპარაკს, ამ დროს ფელდკურატი
მარტინეცი, გულში სინანულის გრძნობით იგონებდა თავის მოძლ-
ვარს, რომელიც უწმაწურობის დარგში არაფრით არ ჩამორჩებო-
და გენერალ ფინკს.

ფელდკურატ მარტინეს თავზარი ეცემოდა და ამჩნევდა, რომ
რაც უფრო ხშირად დადის სტუმრად გენერალ ფინკთან, მით უფ-
რო დაბლა ეშვება მისი ზნეობრივი დონე.

უბედურს სულ უფრო და უფრო მოსწონდა ლიქიორები, რო-
მელსაც გენერალთან სვამდა. გენერლის ნალაპარაკევიც უფრო ეს-
მოდა და მოსწონდა. მის წარმოდგენაში იხატებოდა ყოვლად უზ-
ნეო სურათები და კონტრუშოვიკისა, რიაბინოვიკისა და ობობის ქსე-
ლით დაფარულ ბოთლში მოთავსებული ძველი ღვინისათვის, რო-
მელსაც მას გენერალი ფინკი ასმევდა, ფელდკურატს ღმერთიც კი

¹ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ (გერმ.).

ავიწყდებოდა. ახლა კურთხევანის სტრიქონებს შორის გოგობები ელანდებოდა გენერლის ანეგდოტებიდან. გენერლისადმი ზიზლი თანდათან ქრებოდა.

გენერალმა შეიყვარა ფელდკურატი მარტინეცი, რომელიც თავდაპირველად წმიდა ეგნატეს ლოიოლად მოეწვინა. მერე კი შეეწყო გენერლის სახლში არსებულ გარემოს.

ერთხელ გენერალმა მოიხმო თავისთან ორი მოწყალეების და საველე ჰოსპიტლიდან. უფრო სწორად, ისინი ჰოსპიტალში არც კი მუშაობდნენ, უბრალოდ იყვნენ მასში ჩაირიცხული, რათა ხელფასი მიეღოთ. დამატებით ფულს კი ისინი აკეთებდნენ, როგორც იმ მძიმე დროს შეეფერებოდა, შეძავობით. გენერალმა ბრძანა დაეძახნათ ფელდკურატ მარტინეცისათვის, რომელიც უკვე ისე გაება სატანის ასმანაკში, რომ ნახევარი საათის ფლირტის შემდეგ ორივე ქალი გამოირცვალა, თან ისეთი ვნება მოერიო, რომ ტახტზე მთელი ბალიში დადობდა. შემდეგ კარგახანს უსაყვედურებდა თავის თავს, ასეთი გარყვნილი საქციელის გამო, თავისი ცოდვა იმითაც ვერ გამოსყიდა, რომ იმავე ღამით, სახლში დაბრუნებისას, პარკში შეცდომით დაემხო მუხლებზე არქიტექტორისა და ქალაქის თავის — მეცენატ პან გრაბოვსკის ქანდაკების წინ, რომელსაც ოთხმოციან წლებში დიდი დამსახურება მიუძღოდა პერემიშლის წინაშე.

სამხედრო პატრულის ჩექმების ბრავუნს, მისი მხურვალე ლოცვა შეერია:

— „ნუ განსჯი სამართლიანად შენს მონას. არ არს კაცი უცოდველი შენი სამსჯავროს წინაშე, შეუძნდე მას ყველა ცოდვები და ნუ იქნება შენი განაჩენი უწყალო. შენ გავედრებ ჩემ სულს უფალო და შენგან მოვითხოვ დახმარებას“.

მას შემდეგ, რაც მას გენერალ ფინკთან პატიყებდნენ, იგი რამდენიმეჯერ შეეცადა აეღო ხელი ყოველგვარ მიწიერ განცხრომაზე, ამისთვის იგონებდა კუჭის ტკივილს. მას სწამდა, რომ ეს იყო ტყუილი მისი სულის ხსნისათვის, რაც გაანთავისუფლებდა მას ჯოჯოხეთში წამებისაგან. მაგრამ ამასთან ერთად მიაჩნდა, რომ სამხედრო დისციპლინა თავის მხრივ მას ვალდებულს ხდიდა ვალეშილიყო. თუკი გენერალი უბრძანებს: „გამობრუედი, ამხანაგო!“ — ამის გაკეთება აუცილებელია, თუნდაც მხოლოდ უფროსის პატივსაცემად.

მაგრამ ყოველთვის როდი ეძლეოდა მას საშუალება ასე დაემშვიდებინა თავი, განსაკუთრებით საზეიმო საველე წირვა-ლოცვის შემდეგ. როდესაც გენერალი კიდევ უფრო სადღესასწაულო დროობას აწყობდა ხოლმე გარნიზონის სალაროს ხარჯზე. შემდეგ კი

საფინანსო ნაწილში ყველა ანგარიშს ერთმანეთში ურევდა, რათა თვითონაც გამორჩენოდა რაიმეს. ასეთი დღესასწაულების შემდეგ ფელდკურატს ეჩვენებოდა, რომ იგი მორალურად დასამარებელია და, უფლის წინაშე შიშის ცახცახი აიტანდა ხოლმე.

დარეტიანებული დაიარებოდა და ამ ქაოსშიც კი არ კარგავდა ღვთისადმი რწმენას. იგი სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, რომ სისტემატურად გაემართახებინა საკუთარი თავი, სწორედ ასეთი განწყობით გამოცხადდა იგი გენერალთან.

სახეგაბრწყინებული გენერალი მხიარულად შეეგება მას.

— გაიგეთ, — ალტაცებით წამოიძახა მან, — ჩემი საველე სასამართლოს შესახებ? ერთი თქვენი თანამემამულე უნდა ჩამოვახრჩოთ.

სიტყვა „თანამემამულეს“ გაგონებაზე ფელდკურატმა ტანჯული მზერა მიაპყრო გენერალს. იგი უარყოფდა მისთვის შეურაცხყოფელ დასაბუთებას, თითქოს ჩეხი იყო და არაერთხელ აუხსნია გენერლისათვის, რომ მათ, მორავიის მრევლში ორი სოფელი შედის: ერთი ჩეხური, ხოლო მეორე გერმანული — და რომ მას ხშირად ერთ კვირას თუ ჩეხებისათვის უწევდა ხოლმე ქადაგების კითხვა, მეორე კვირას გერმანელებისათვის უნდა ეკითხა; რადგან ჩეხურ სოფელში არ არის ჩეხური სკოლა, და მხოლოდ გერმანულია, ამიტომ იგი იძულებული იყო საღვთო კანონი ორივე სოფელში გერმანულ ენაზე ესწავლებინა. ხოლო აქედან გამომდინარე იგი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩეხი. ერთხელ ეს დამაჯერებელი დასაბუთება იმის მიზეზი გახდა, რომ სუფრასთან მჯდომმა მაიორმა შენიშნა, — ეს ფელდკურატი მორავიიდან სხვა არაფერია თუ არა წვრილმანი ჩარჩო.

— პარღონ, — მოიბოდიშა გენერალმა, — სულ დამავიწყდა, რომ ის თქვენი თანამემამულე არ არის, ის ჩეხია — გაქეული, მოღალატე, მსახურობდა რუსებთან, და ჩამოხრჩობილ იქნება. ჯერჯერობით, პროფორმის დასაცავად; ეადგენთ მის ვინაობას. მაგრამ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, მას დაუყოვნებლივ ჩამოახრჩობენ, როგორც კი ტელეგრაფით პასუხს მივიღებთ.

მერე ფელდკურატი გვერდით მოისვა ტახტზე და ხალისიანად განაგრძო:

— თუ საველე სასამართლოა, ყველაფერი სწრაფად უნდა კეთდებოდეს, როგორც ამას საველე სასამართლო მოითხოვს; სისწრაფე — აი ჩემი პრინციპი. ომის დასაწყისში ღვთთან ვიყავი და სწორედ იქ მივალწიე ასეთ სისწრაფეს. ერთი ყმაწვილი, განაჩენი გამოვეტანეთ თუ არა, ზუსტად სამი წუთის შემდეგ ჩამოვახრჩოთ.

თუმცა ის ებრაელი იყო, მაგრამ ერთი რუსიც, მოთათბირების შემდეგ, ხუთ წუთში ჩამოვახრჩეთ.

გენერალმა გულიანად გაიცინა:


— შემთხვევით იმ ორთაგანს არცერთს არ ესაჭიროებოდა ზიარება. ერთი მათგანი ებრაელი რაბინი იყო, ხოლო მეორე რუსინი მღვდელი. აქ ჩვენს წინაშე სხვა შემთხვევას აქვს ადგილი. ახლა ჩვენ კათოლიკი უნდა ჩამოვახრჩოთ. ერთი შესანიშნავი იდეა მომივიდა თავში: შემდეგ რომ არ დავეყოვნდეთ, თქვენ მას წინასწარ აზიარებთ. გიმეორებთ, რათა შემდეგ არ დავეყოვნდეთ.

გენერალმა დარეკა და უბრძანა დენშჩიკს: „მოიტანე ორი ცალი გუშინდელი ბატარეიდან“.

ერთი წუთის შემდეგ მან ღვინით შეავსო ფელდკურატის ფიალა და ალერსიანად მიმართა: „დალიეთ, გზა მშვიდობისა ზიარების წინ“.

ამ მრისხანე უამს სატუსალოს ფანჯრის გისოსს გადაღმა მოისმოდა საწოლზე მჯდომი შვეიკის სიმღერა:

ყოჩაღ ჩვენი ჯარისკაცი,
ტურფებთან აქვს კარგი ფასი,
ფულები აქვს თავსაყრელი,
ყველა ხედება გაშლილ ხელით,
ცა — რა — რა... ein-zwei



თ ა ვ ი 11

ზ ი ა რ ე ბ ა

ფელდკურატი მარტინეცი ისე შეგოგმანდა შვეიკის საკანში, როგორც მოცეკვავე ქალი სცენაზე. ზეციურ ნეტარებათა წყურვილმა და ძველი „გუმპოლდსკირხენის“ ერთმა ბოთლმა იგი ამ გულისამაჩუყებელ წუთებში აამჩატა. ფელდკურატს ეჩვენებოდა, რომ შვეიკთან მიახლოების ნაცვლად, იგი ღმერთს უახლოვდებოდა.

კარი გადაარაზეს, ისინი პირისპირ დატოვეს. ფელდკურატი აღფრთოვანებით მიუბრუნდა საწოლზე მჯდომ შვეიკს:

— შვილო ჩემო უსაყვარლესო, მე ფელდკურატი მარტინეცი გახლავარ.

ასეთი მიმართვა მას ყველაზე უფრო მამობრივად და შექმნილი მდგომარეობის შესაფერისად ეჩვენებოდა.

შვეიკი წამოდგა თავისი საწოლიდან, მაგრად ჩამოართვა ხელი ფელდკურატს და გაეცნო:

— ძალიან სასიამოვნოა, მე შეეიკი გახლავართ, ოთხმოცდამეტერთმეტე პოლკის, მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორღინარეცი. ჩვენი ნაწილი სულ ახლახანს გადაიყვანეს ბრუკში, ლეიტზე. ჩამოჯექით, პანე ფელდკურატო, და მომიყვებით რისთვის დაგიჭირეს. თქვენ ხომ რაც არ უნდა იყოს ოფიცრის ჩინი გაქვთ და აქ კი არა საგარნიზონო ციხეში შეგფერით ყოფნა. ეს საწოლი ტილებითაა საესე. თუმცა ზოგმა თვითონ არ იცის სად არის მისი ადგილი. ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე, ან კანცელარიაში აურევენ საქმეს — შემთხვევით რამე მოხდება. ვიჯექი ერთხელ, პანე ფელდკურატო, აუდეიო-ვიცეში, პოლკის სატუსალოში. მოიყვანეს ჩემთან ზაურიად-კადეტი; ზაურიად-კადეტები ფელდკურატებივით იყვნენ. არც იქით და არც აქეთ; უღრიალებს ჯარისკაცს ოფიცერივით, მაგრამ შეემთხვევა თუ არა რაიმე, — მაშინვე უბრალო ჯარისკაცებთან ჩასვამენ. პანე ფელდკურატო, ისინი, გულახდილად რომ ვითხრათ ნახიჭვრებივით იყვნენ. სასაღილოდ უნტერ-ოფიცერთა სამზარეულოში არ უშვებდნენ და ჯარისკაცის სამზარეულოში ჭამის უფლებაც მათ არ ჰქონდათ, რადგანაც ჩინით უფრო მაღლა იდგნენ. მაშინ ისინი ხუთნი იყვნენ. პირველ ხანებში ჯარისკაცთა კანტინაში ისინი მხოლოდ ხაჭომცხვარს ხეთქავდნენ, რადგანაც მათთვის საჭმელს არ ღებულობდნენ. მაგრამ შემდეგ საქმეში ობერ-ლეიტენანტი ვურში ჩაერია და აუკრძალა მათ ჯარისკაცთა კანტინაში სიარული: ვითომდა ეს, არ შეეფერებოდა ზაურიად-კადეტის ღირსებას. რა უნდა ექნათ საწყლებს: არც ოფიცრების კანტინაში უშვებდნენ მათ. ასე დარჩნენ ისინი ჩამოკიდებულნი ცასა და დედამიწის შორის და რამოდენიმე დღეში ისე გაწვალდნენ, რომ ერთერთი მათგანი მალშაში გადავარდა. ხოლო მეორე პოლკიდან გაიქცა, და რამდენიმე თვის შემდეგ გამოგზავნა ყაზარმაში წერილი, რომლითაც იტყობინებოდა, რომ გახდა მაროკოს სამხედრო მინისტრი. ამრიგად, ისინი ოთხნი დარჩნენ: ის, რომელიც მალშაში იხრობდა თავს, გადაარჩინეს. როდესაც წყალში ვარდებოდა, მღელვარებისაგან სრულიად დაავიწყდა, რომ ცურვა იცის და გამოცდა ფრიალზე აქვს ჩაბარებული. დააწვინეს იგი საავადმყოფოში და აი უბედურება: იქ კვლავ არ იცოდნენ როგორ მოქცეოდნენ, ოფიცრის საბანი დაეფარებინათ მისთვის თუ უბრალო; ბოლოს ასეთი გამოსავალი იპოვეს: არტერთი საბანი არ მისცეს და სველ ზეწარში გაახვიეს, ისე რომ ნახევარი საათის შემდეგ მან თვითონ მოითხოვა — ნება მიეცათ ყაზარმაში დაბრუნებულაყო. და სწორედ ეს კაცი ჯერ კიდევ მთლად გალუმპული ჩასვეს ჩემთან. იგი ოთხი დღე იჯდა და ნებივრობდა, რადგან საჭმელიც კი მიიღო, მართალია

ტუსაღის, მაგრამ მაინც რაღაც საქმელი და როგორც ამბობენ ხოლმე ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო, მეხუთე დღეს მას მოაქითხეს, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ იგი მოვიდა ქუდის წასადებად და სინარულისაგან ატირებული მეუბნება: „ბოლოსდაბოლოს მოვრდა გადაწყვეტილება ჩვენს შესახებ. დღეის იქით ჩვენ ზაურიალ-კადეტებს ჰაუპტვახტში ოფიცრებთან ერთად ჩავგვსამენ. კვებისათვის ოფიცრების სამზარეულოში ზედმეტ ფულს გადავიხდით. ხოლო საქმელს მოგვეცემენ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ოფიცრები გამოძღებიან. დავიძინებთ დაბალი ჩინის ხალხთან ერთად. ყავასა და თუთუნსაც ჯარისკაცების სამზარეულოდან მივიღებთ“.

ფელდკურატი მარტინეცი მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა და შეაწყვეტინა შვეიკს ლაპარაკი ისეთი ფრაზით, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა წინა საუბართან:

— დიახ, დიახ, ჩემო უსაყვარლესო შვილო, ცასა და დედამიწას შორის არსებობენ საგნები, რომელთა შესახებაც საქირთა მგზნებარე გულით ვიფიქროთ და ღვთის უსახღვრო მოწყალებაში სრული რწმენა ვიქონიოთ. მოვდივარ შენთან, შვილო ჩემო, რათა გაზიარო.

იგი დადუმდა, რადგანაც ზიარება რაღაც ვერ გამოდიოდა. გზაში მან კარგად დააწყო თავისი სიტყვის გეგმა, რომელსაც უნდა აეძულებინა ბოროტმოქმედი დაფიქრებულყო თავის ცხოვრებაზე და ამავე დროს ჩაენერგა მისთვის, რომ ცაზე ყოველგვარ ცოდვებს შეუწოდებენ, თუკი იგი მათ აღიარებს და გულწრფელად მოინანიებს.

როდესაც ფელდკურატი ჩაფიქრდა, თუ როგორ აჯობებდა გადასულიყო ძირითად თემაზე, შვეიკმა დაასწრო და ჰკითხა, ხომ არ ექნება მას სიგარეტები.

ფელდკურატმა მარტინეცმა აქამდის ვერ ისწავლა მოწვევა. ეს იყო უკანასკნელი, რაც მან შეინარჩუნა თავისი წინანდელი ცხოვრებიდან. ერთხელ გენერალ ფინკთან სტუმრად ყოფნისას, როცა მას ღვინო შეუჯდა, სცადა სიგარეტი მოეწია, მაგრამ იქვე აღებინა. მაშინ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მისმა მფარველმა ანგელოზმა ხიფათის თავიდან აააცილებლად მას ყელში შეუღიტირა.

— მე არ ვეწევი, უსაყვარლესო შვილო ჩემო, — წარმოუდგენელი სიამაყით უპასუხა მან შვეიკს.

— გაოცებას ვარ, — სთქვა შვეიკმა, — მე ვიცნობდი ფელდკურატებს, რომლებიც გიყვარდეს, ისე აბოლებდნენ, როგორც ის შენი ღვინისსახდელი ქარხნები ზლიხოვოში! მე, საერთოდ, ვერ

წარმომიდგენია ფელდკურატი, რომელიც არ სვამდეს და არ ეწეოდა. ისე კი ვიცნობდი ერთს, რომელიც არ ეწეოდა, მაგრამ სამაგიეროდ თუთუნს ღეჭავდა. ქადაგების დროს იგი იღვა კათედრაზე და იფურთხებოდა. თქვენ საიდან ბრძანდებით, ბატონო ფელდკურატო?

— ახალი იიჩინიდან, — ჩამწყდარი ხმით მიუგო საიმპერატორო სამეფო მალაღირსებამ მარტინემა.

— პანე ფელდკურატო, ეგებ თქვენ იცნობდით რეყენა გაუდრსოვას, იგი შარშანწინ მუშაობდა პრალის ერთ-ერთ ღვინის სარდაფში, პლატნერის ქუჩაზე. მან სასამართლოში საჩივარი შეიტანა ერთდროულად თვრამეტ მამაკაცზე. იგი მათგან ალიმენტებს მოითხოვდა, რადგანაც გაუჩნდნენ ტყუპები, რომელთაგან ერთს ცალი თვალი ცისფერი ჰქონდა, ცალი კი — თაფლისფერი, ხოლო მეორეს ერთი თვალი ნაცრისფერი, — მეორე — შავი. აქედან გამომდინარე იგი ასკვნოდა, რომ საქმეში ჩარეულია მსგავსი თვალებიანი ოთხი მამაკაცი. ისინი დადიოდნენ აღნიშნულ ღვინის სარდაფში და მასთან გარკვეული ანგარიში ჰქონდათ. ამას გარდა, ერთ-ერთ ტყუპისცალს ცალი ფეხი მოღრეცილი ჰქონდა, როგორც ქალაქის გამგეობის მრჩეველს. ეს ვაებატონიც შეისუიჩნებდა ხოლმე სარდაფში. ხოლო მეორეს ექვსი თითი ჰქონდა ფეხზე, როგორც ერთ-ერთ დეპუტატს, ღვინის სარდაფის მუდმივ სტუმარს. ახლა წარმოიდგინეთ, ბატონო ფელდკურატო, სასტუმროებში და კერძო სახლებში მასთან გაუვლია თვრამეტ ამგვარ მომსვლელს და ყოველი მათგანისაგან ამ ტყუპებს რაღაც ნიშანი დარჩენია. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამისთანა არეულობაში მამის დადგენა შეუძლებელია. მაშინ ქალმა ყველაფერი ღვინის სარდაფის პატრონს გადააბრალა. რომელთანაც თვითონ მუშაობდა და მისი საქმე ძიებაში გადასცა. მაგრამ სარდაფის პატრონმა დაამტკიცა, რომ აგერ უკვე ეყოცა წელია, რაც იმპოტენცია, ოპერაციის შემდეგ, რომელიც მას გაუკეთეს ქვედა კიდურების ანთების გამო, ბოლოს და ბოლოს ეს ქალი გააძევეს თქვენს სამშობლოში, ბატონო ფელდკურატო, ახალი იიჩინში. აქედან ბრძნული დასკვნა: ვინც ზედმეტს მოინდომებს, ის ვირის თავფეხს მიიღებს. იგი ერთ რომელიმე საბუთს უნდა ჩასჭიდებოდა და არ უნდა ემტკიცებია სასამართლოზე, რომ ერთი ტყუპის ცალი დეპუტატისაგანაა, ხოლო მეორე ქალაქის გამგეობის მრჩეველისაგან. უნდა ეთქვა ერთისაგანაა და მორჩა. ბავშვის დაბადების დრო ადვილი გამოსათვლელია: ამა და ამ რიცხვში ვიყავი მე მასთან ნომერში, ხოლო ამა და ამ დღეს ამა და ამ თვეში შეყოლა ბავშვი. რა თქმა უნდა, თუკი მშობიარობა ნორმალურია, ბა-

ტონო ფელდკურატო. ასეთი ნომრებისათვის ყოველთვის შეიძლება ზუთიოდ მოწმის მოძებნა. მაგალითად, მეეზოვის, ან მოახლე ქალის, რომლებიც დაიფიცებენ, რომ იმ დამეს მასთან მართლა იყო სწორედ ის კაცი, ხოლო როდესაც კიბეებზე ჩამოდიოდნენ, ქალმა ისიც კი უთხრა: „რომ მოხდეს რამე მაშინ?“ კაცმა ამაზე უპასუხა: „ნუ გეშინია, ჩემო კანიშურა,* ბავშვზე მე ვიზრუნებ“.

ფელდკურატი დაფიქრდა. ზიარება მას ახლა არც თუ ისე იოლ საქმედ ეჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ჰქონდა დაწყობილი გეგმები, თუ რა და როგორ ელაპარაკა უსაყვარლეს შვილთან: უსაზღვრო მოწყალებაზე განკითხვის დღეს, როდესაც ყველა სამხედრო დამნაშავე ადგება თავის საფლავიდან თოკებით ყელზე. თუკი მათ მოინანიეს, ყველანი შენდობილ იქნებიან, მსგავსად „გონიერი ყაჩაღისა“ ახალი აღთქმიდან.

შესაძლოა, მან მოამზადა ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი ზიარება, რომელიც უნდა შემდგარიყო სამი ნაწილისაგან: თავდაპირველად მას უნდოდა ეთქვა იმის შესახებ, რომ ჩამოხრჩობის გზით სიკვდილი აღვილია, თუკი აღამიანი საცხებით დამორჩილებდა ბედს. სამხედრო წესით უნდა დაისაჯოს მეფე-იმპერატორის ყველა მოღალატე, მეფე-იმპერატორი ხომ ყველა სამხედროს მამა, აქედან გამომდინარე მეომრის ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულის კი საჭიროა განიხილებოდეს როგორც მამის მკვლელობა, მამის სახელის წაბილწვა. შემდეგ მას სურდა იმ თეორიის განვითარება, რომ მეფე-იმპერატორი ღვთისაგან კურთხეულია და რომ იგი თვით ღმერთის მიერ არის დანიშნული საერო საქმეთა მმართველად, ისევე როგორც პაპია სასულიერო საქმეთა განმგებელი. ამრიგად, სამხედრო მოღალატე ღვთის მოღალატეცაა და ამიტომაც, გარდა სახრჩობელისა, მას ელის მარადიული წამება, მარადიული წყევლა. მაგრამ თუკი საერო მართლმსაჯულება სამხედრო დისციპლინის გამო შესცვლის განაჩენს და იძულებულია ჩამოახრჩოს ბოროტმოქმედი; რაც შეეხება მეორე სასჯელს, კერძოდ მარადიულ წამებას, — აქ ჯერ კიდევ ყოველივე როდია დაკარგული. ამ შემთხვევაში აღამიანს სასჯელის თავიდან აცილება შეუძლია მონანიების გზით.

ფელდკურატს წარმოდგენილი ჰქონდა გულის ამაჩუყებელი სცენა, რის შემდეგაც ზეცაში ამოშლიან ყველა ჩანაწერს მისი ქცევისა და მოღვაწეობის შესახებ — პერემიშლში გენერალი ფინკის სახლში.

და ბოლოს, როგორ დაულრიალებს მისჯილს: „მოინანიე, შვილო ჩემო, ერთად მოვიყაროთ მუხლი! და გაიმეორე ჩემს შემდეგ, შვილო ჩემო!“

მერე კი აქოთებულ, ტრილიან საკანში გაისმება ლოცვა „უფალო ღმერთო! შეგფერის ცოდვილის პატიება და შეწყნარება. გულმხურვალედ გავედრებ მეომრის (ამისა და ამის) სულს, რომელსაც შენ უბრძანე დაეტოვებინა ეს სოფელი პერემამლის საველე სამხედრო სასამართლოს განაჩენის მიხედვით. ქვეითს, შენს ფერხთით მოსანანიებლად გართხმულს შეუენდე, აშორე მას ჯოჯოხეთის ტანჯვას და ნება მიეც იგემოს შენი მარადიული სიხარული“.

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, პანე ფელდკურატო, უკვე ხუთი წუთია ისე სდუმხართ თითქოსდა ენა გადაგეყლაპოთ. თუმცა, როგორც გეტყობათ, ლაპარაკის თავი არცა გაქვთ. ცხადია, პირველად მოხვდით სატუსალოში.

— მოვედი, რათა გაზიაროთ, — სერიოზულად განაცხადა ფელდკურატმა.

— საოცარია, პანე ფელდკურატო, რომ თქვენ განუწყვეტლივ ლაპარაკობთ ზიარებაზე. მე, პანე ფელდკურატო, უნარი არ შემწევს, რომ გაზიაროთ. თქვენ არა ხარა პირველი და უკანასკნელი ფელდკურატი, რომელიც საკანში მოხვდა. ამასთან, უნდა გამოგიტყდეთ, პანე ფელდკურატო, რომ მე არა ვარ იმდენად ენამწვევრი, რომ შემეძლოს უბედურების უამს ვინმე ვაზიარო. ერთხელ კიდევ შევეცადე, მაგრამ არ გამომივიდა. მომიჯექით უფრო ახლოს, მე თქვენ ზოგიერთ რამეს მოგიყვებით. როცა ოპატოვიცკის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ერთი მეგობარი მყავდა, სახელად ფაუსტინი, სასტუმროს კარისკაცი, ძალიან ღირსეული ადამიანი. მართალი და გულმოდგინე ყველა ქუჩის ქალებს თითებზე ჩამოსათვლელად იცნობდა. რა დროსაც არ უნდა მისულიყავი მასთან. სასტუმროში დღისით თუ ღამით, პანე ფელდკურატო, საკმარისი იყო გეთქვათ: „პანე ფაუსტინ, ქალიშვილი მჭირდება“. იგი დაწვრილებით გამოგკითხავდათ, როგორი გნებაეთ: ქერა თუ შავგვრემანი, პატარა, მაღალი, გამხდარი, სქელი, გერმანელი, ჩეხი თუ ებრაელი, გაუთხოვარი, ქმარს გაყრილი თუ გათხოვილი ქალი, განათლებული თუ გაუნათლებელი.

შვეიკი მეგობრულად მიეკრო ფელდკურატს, წელზე ხელი მოხვია და განაგრძო:

— დავუშვათ, ბატონო ფელდკურატო, თქვენ უპასუხეთ, — მჭირდება ქერა, გრძელფეხებიანი, ქვრივი, გაუნათლებელი. ხუთი წუთის შემდეგ იგი თქვენს ლოგინში აღმოჩნდება. თავისი მეტრიკული ამონაწერით ხელში.

ფელდკურატს ცეცხლი მოეკიდა, შვეიკი კი განაგრძობდა თხრობას და თან დედობრივი სინაზით იკრავდა მას გულში:

— თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, პანე ფელდკურატო, რა ღრმა გაგება ჰქონდა იმ ფიქსტინს შოალის და პატროსნებისა. იმ ქალებისაგან, რომლებსაც იგი მაქანკლობდა და ნომრებში ანაწილებდა ერთ კრეიციერსაც არ იღებდა გასამრჯელოდ. ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე ამ გახრწნილ ქალთაგანს დაავიწყდებოდა და შეაჩჩებდა ხელში ხურდა ფულს. აი, მაშინ უნდა გენახათ როგორ ბრაზობდა იგი და როგორ უყვიროდა მას: „ნამდვილად ღორი ხარ! თუკი შენ ჰყიდი საკუთარ სხეულს, და სჩადიხარ სასიკვდილო ცოდვას, ხომ არ ფიქრობ რომ შენი ათი ჰელერი გამომადგება. შენი მაქანკალი კი არ გეგონო, შე ურცხვო კახპა, შენა! მე ამას მხოლოდ სიბრალულით ვაკეთებ, თუკი შენ ასე დაეცი, საჯაროდ მაინც ნუ იჭრი თავს, რომ ღამით პატრულმა არ დაგიჭიროს და შემდეგ სამი დღე პოლიციაში არ გაატარო. აქ, ყოველ შემთხვევაში, სითბოში ხარ და ვერავინ ხედავს თუ სადამდე მიხვედი“. იგი მათგან არაფერს იღებდა, სამაგიეროდ ამ დანაკლისს კლიენტების ხარჯზე ინაზღაურებდა. მას თავისი ნიხრი ჰქონდა დაწესებული: ცისფერი თვალები — ათი კრეიციერი, შავი — თხუთმეტი. იგი ყველა წვრილმანს ქალადის ფურცელზე ითვლიდა და ანგარიშის სახით წარუდგენდა კლიენტს. შუამავლობისათვის ეს საკმაოდ ხელმისაწვდომი ფასები იყო. გაუნათლებელი ქალისათვის იგი ათ კრეიციერს უმატებდა, რადგანაც გამოდიოდა იმ პრინციპიდან, რომ უბრალო დედაკაცი მეტი სიამოვნების მიმნიჭებელია, ვიდრე ვიღაც განათლებული ქალი. ერთხელ სადამოხანს პანი ფაუსტინი მოვიდა ჩემთან ოპატოვიცის ქუჩაზე, ისეთი აღელვებული, თითქოს იგი ეს ეს არის გადაარჩინეს ტრამვაის ბორბლების ქვეშ ჩაფარდნას და ამასთან კიდევ საათიც მოპარესო. ჯერ გაჩუმებული იყო, მხოლოდ ჯიბიდან ერთი ბოთლი რომი ამოაძრო, დალია, მერე გადმომცა და სთქვა: „დალიე!“ ასე ვლუმდით მე და ის სანამ მთელი ბოთლი არ დაეცალეთ, შემდეგ უეცრად წამოიძახა: „მეგობარო, ნუ დამზარდები, გამიწიე სამსახური. გამოალე ქუჩის ფანჯარა, მე რაფაზე ჩამოვჯდები, შენ კი მტაცე ხელები ფეხებში და გადამაგდე მეოთხე სართულიდან ძირს. ცხოვრებაში აღარაფერი დამრჩენია. ერთადერთი ნუგეში ის-ღა იქნება ჩემთვის, რომ აღმომაჩნდა ერთგული მეგობარი, რომელმაც ამ სოფლიდან გამისტუმრა. მე აღარ შემიძლია ამ ქვეყანაზე ცხოვრება. ჩემზე, ასეთ პატროსან ადამიანზე სასამართლოში შეიტანეს საჩივარი, როგორც უკანასკნელ მაქანკალზე ევროპული კვარტალიდან. ჩვენი პოტელი პირველი კლასისაა. ჩვენს სამ მოახლე ქალს და ჩემს ცოლს ყვითელი ბილეთები აქვთ და ექიმს არ უხდინან არც ერთ კრეიციერს ვიზიტში. თუ ოდნავ მაინც გიყვარ-

ვაჟი, გადამაგდე მეოთხე სართულიდან, მაჩუქე უკანასკნელი ზიარება, მანუგეში“. მე მას ვანიშნე ამძვრალიყო ფანჯარაზე და გადავუძახე ქუჩაში. არ შეგეშინდეთ, ბატონო ფელდკურატი.

შვეიცი შედგა ტახტზე და ზედვე აათრია ფელდკურატი.

— ნახეთ, პანე ფელდკურატი, მე მას სწორედ ასე ვტაცე ხელი და გადავუძახე ძირს.

შვეიკმა წამოსწია ფელდკურატი და ჩამოაგდო იატაკზე. სანამ დამფრთხალი ფელდკურატი წელში გაიმართებოდა, შვეიკმა თავისი მოთხრობაც დაამთავრა: „ხომ ხედავთ, პანე ფელდკურატი, თქვენ არაფერი დაგმართნიათ, ასევე არაფერი მოსვლია პან ფაუსტინსაც. ოღონდ ის ფანჯარა სამჯერ უფრო მაღალი იყო ამ საწოლზე. პანი ფაუსტინი ხომ გაღეშილი მთვრალი იყო, მას დაავიწყდა, რომ მე ოპატოვიცის ქუჩაზე პირველ სართულზე ვცხოვრობდი და არა მეოთხეზე. მეოთხე სართულზე ერთი წლით ადრე ვცხოვრობდი კრშემენცევის ქუჩაზე. იგი იქაც დადიოდა ჩემთან სტუმრად.

ფელდკურატი შეძრწუნებული შეჰყურებდა იატაკიდან შვეიკს, რომელიც მას თავზე წამოდგომოდა და გამალეებით იქნევდა ხელებს

მან გადაწყვიტა, რომ საქმე აქვს გიჟთან და ენისბორძიკით დაიწყო: „ღიახ, ღიახ, ჩემო უსაყვარლესო შვილო, სამჯერ დაბალიც კი“. იგი ნელნელა მიმოჩნდა კართან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტები დაუშინა. თან ისე შემზარავად ღრიალებდა, რომ მაშინათვე გაუღეს კარი.

შვეიცი ფანჯრის გისოსიდან ხედავდა, როგორ სწრაფად მიაბიჯებდა ფელდკურატი ყარაულების თანხლებით ეზოში და თან ენერგიულად იქნევდა ხელებს.

— ალბად საგიჟეთში წაიყვანენ, — დაასკვნა შვეიკმა. იგი ტახტიდან ჩამოხტა, ჯარისკაცის ნაბიჯით სიარული დაიწყო და თან ამღერდა:

შენ რომ ბეჭედი მაჩუქე,
მისი ტარება მივირს,
რა საოხრედ, რისთვის?
დაეუწყებ იმ ბეჭდით,
მე დატენვას თოფებს.

სულ მალე ამ ამბის შემდეგ, გენერალ ფინკს მოახსენეს ფელდკურატის მოსვლის შესახებ.

გენერალთან უკვე შეკრებილიყო დიდძალი საზოგადოება, სადაც მთავარ როლს ასრულებდნენ ორი სასიამოვნო შესახედაობის ქალი, ღვინო და ლიქიორები.

საველე სასამართლოს მსაჯული ოფიცრები სრული შემადგენ-

ლობით იყვნენ. არ ესწრებოდა მხოლოდ ქვეითი ჯარისკაცი, რომელიც დილით თამბაქოს მწვეველ ანთებულ ასანთს აწვდიდა.

ფელდკურატი ზღაპრულ ჩვენებასავით გამოჩნდა შეკრებილ საზოგადოებაში. იგი მთლად ფერწასული იყო, ალექვებული, ღირსებით აღსავსე, როგორც ადამიანი, რომელსაც დაუმსახურებლად გააწნეს სილა.

გენერალმა ფინკმა, რომელიც ბოლო ხანებში ფელდკურატს საკმაოდ მოუერიდებლად ექცეოდა, მიიზიდა იგი თავისკენ დივანზე და მთვრალის ხმით ჰკითხა: „რა დავგემართა, ჩემო სულის ზიარებავ?“ ამასთან, მხიარულ ქალთაგან ერთ-ერთმა ფელდკურატს დაუმიზნა და მოარტყა სიგარეტი „მემფისი“.

— დალიეთ, სულის ზიარებავ, — შესთავაზა გენერალმა ფინკმა და თან მწვანე ფიალაში დაუსხა ფელდკურატს ღვინო. ხოლო ვინაიდან მან სასწრაფოდ არ შესვა, გენერალმა ძალით ჩაასხა პირში. და რომ ფელდკურატს მორჩილად არ ჩაეყლაპა იგი თავით ფეხებამდე გაიწუწუებოდა.

შემდეგ მას დაუწყეს გამოკითხვა, თუ როგორ ეჭირა თავი ზიარების დროს მსჯავრდადებულს. ფელდკურატი წამოდგა და ტრაგიკული ხმით წარმოსთქვა:

-- იგი გაგიჟდა.

— ესე იგი ზიარება შესანიშნავი იყო, — გადაიხარხარა გახარებულმა გენერალმა, და მთელმა დამსწრე საზოგადოებამაც ბანი მისცა, ქალებმა კი კვლავ დაუწყეს ფელდკურატს სიგარეტების სროლა.

მაიორი, რომელმაც ზომამზე მეტი გადაჰკრა, მაგიდის ბოლოს ყვინთავდა. ანალი ადამიანის შემოსვლამ ის გამოაცოცხლა, სასწრაფოდ შეავსო ლიქიტორით ორი ფიალა, გაიკვლია გზა სკამებს შორის და აიძულა გამოყეყეჩებული სულიერი მამა მასთან ერთად ბრუდერშაფტი დაეღია. შემდეგ კვლავ ჩაეშვა სავარძელში და განაგრძო ყვინთვა.

ბრუდერშაფტის დროს შესულმა ფიალამ ფელდკურატი ეშმაკის მახეში გააბა. ეშმაკი უხმობდა მას მაგიდაზე მდგარი ყოველი ბოთლიდან. იგი ბუდობდა მხიარული ქალების მზერასა და ღიმილშიც; მათ ისე მალა შეეწყობთ ფეხები მაგიდაზე, რომ არშიებიდან ბელზებელი გამოიყურებოდა.

უკანასკნელ წუთამდე ფელდკურატი დარწმუნებული იყო, რომ საქმე მისი სულის ხსნას ეხებოდა და, რომ თვითონ ის წამებულა.

მან ეს მოსაზრება გენერლის ორ დენშჩიკს გაუზიარა, როდესაც ამ უკანასკნელთ იგი მეზობელ ოთახში გაჰყავდათ ტახტზე დასაწყენად:



— სევდიანი, მაგრამ ამავე დროს ამაღლებული სანახაობა გადაიშლება თქვენს თვალწინ. როდესაც უწინაზრახვო და წმიდა აზრით გაიხსენებთ ამდენ სახელმძღვანელო წამებულს, რომლებმაც თავი გასწირეს რწმენისათვის და მიეთვალნენ წამებულ წმიდანთა რიცხვს. ჩემს მაგალითზე ხედავთ, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა არაად ჩაადლოს ყოველგვარი ტანჯვა, თუკი მის გულში ჭეშმარიტება და სიკეთე ბუდობს, რომლებიც მას ძალას მატებენ დასძლიოს ყველაზე საშინელი წამება.

აქ ღვთის მსახური პირით კედლისაკენ მიაბრუნეს და მასაც მაშინათვე ჩაეძინა.

ფელდკურატი ძილში შფოთავდა.

მას ესიზმრა, რომ დღისით იგი ფელდკურატის მოვალეობის შემსრულებელია, ხოლო საღამოთი შევიცრად მუშაობს სასტუმროში, კარისკაც ფაუსტინის ნაცვლად, რომელსაც შევიკმა მეოთხე სართულიდან გადაუძახა.

გენერალთან ყოველი მხრიდან მიდიოდა მასზე საჩივარი, იმის გამო, რომ ქერა ქალის ნაცვლად მან კლიენტს შავგვრემანი მიჰგვარა, ხოლო ქმარგაყრილი განათლებული ქალის მაგიერ, გაუნათლებელი ქვრივი.

ღილით მას ოფლში გაწუწულს გამოედვიდა. კუჭი აშლოდა, ხოლო ტვინს ის აზრი უხრავდა, რომ მორავიის მოძღვარი მასთან შედარებით ანგელოზი იყო.



თ ა ვ ი III

შვეიცი კვლავ თავის სამარხო ასეულში

მაიორი, რომელიც გუშინ დილით შვეიციის საქმის გამო გამართულ სასამართლო სხდომაზე აუდიტორის მოვალეობას ასრულებდა, სწორედ ის მაიორი იყო, რომელიც სადამოთი გენერალისას ფელდკურატთან ერთად სვამდა ბრუდერშაფტს და სურასთან ყვინთავდა.

არავინ იცოდა, თუ როდის და როგორ წავიდა მაიორი გენერალის სახლიდან. სტუმრები იმ მდგომარეობაში იყვნენ, რომ მისი არყოფნა ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩა, ხოლო თვითონ გენერალს იმის გარჩევაც კი აღარ შეეძლო, თუ რომელი სტუმარი ლაპარაკობდა. მაიორი უკვე ორი საათი იქნებოდა რაც სტუმრებს შორის აღარ იყო, მაგრამ გენერალი უღვაშებს იგრებდა, სულელურად იღიმებოდა და ყვიროდა:

— ეს თქვენ შესანიშნავად თქვით, პანე მაიორო!

დილით მაიორი ვერსად ვერ მონახეს. მისი მანქანა შემოსასვლელში ეკიდა საკიდზე, ასევე ხმალიც, მხოლოდ ოფიცრის ქული აღარსად იყო. ეგონათ, რომ მას ჩაეძინა რომელიმე საჭირო ოთახში. დაჩხრიკეს ყველა საჭირო ოთახი, მაგრამ მაიორი ვერსად ნახეს. მის ნაცვლად მესამე სართულზე მძინარე პორუჩიკი იპოვნეს; გენერალის სტუმართაგანი; მუხლებზე დაჩოქილს, უნიტასზე დახრილს, დასძინებოდა. ჩანდა, პირღებინების დროს მოესწრო.

ერთი შეხედვით მაიორი თითქოს მიწამ შთანთქა. მაგრამ ვინმეს რომ შეეხედა იმ საკანის გისოსიანი ფანჯრის მიღმა, სადაც შევიკი იყო ჩამწყვდეული, დაინახავდა რომ ერთ საწოლზე რუსული მანქანის ქვეშ ორ ადამიანს ეძინა. მანქანის ქვემოდან ორი წყვილი ჩექმა მოსჩანდა: ღებებიანი ჩექმა მაიორს ეკუთვნოდა, უღებებო კი — შევიკს.

ისინი ჩაპკვროდნენ ერთმანეთს, როგორც ორი კატის კნუტი. შევიკს ხელი მაიორის თავექვეშ ამოედო, ხოლო მაიორს მისთვის წელზე მოეხვია ხელი და ისე მიპკვროდა, როგორც ლეკვი ძუქნას. ამაში არც არაფერი იყო უცნაური, ხოლო მაიორის მხრივ ეს იყო მხოლოდ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შეცნობა.

ალბათ თქვენ ვინმესთან ერთად მთელი ღამე გიქეიფიათ. ალბათ ასეც მომხდარა. თქვენი თანამესუფრე უეცრად წამოხტება, თავში იტაცებს ხელს და დაიყვირებს: „ღმერთო ჩემო! რვა საათზე მე უნდა ვყოფილიყავი სამსახურში!“ ეს ე. წ. შეტევაა სამსახურებრივი მოვალეობის შეგრძნებისა, რომელიც ადამიანს ეწყება სინდისის ქენჯნის გრძნობის დაქუცმაცებასთან ერთად. ამ კეთილშობილი შეტევით შეპყრობილი ადამიანის გადარწმუნება იმ წმიდათაწმიდა შთაგონებიდან, რომ მან უსათუოდ უნდა აინახლაუროს ის დრო, რომელიც სამსახურს დააკლო, ყოვლად შეუძლებელია. ეს ადამიანებია სწორედ ის უქუდო მოჩვენებანი, რომლებსაც დაწესებულების შევიცრები ღერეფებში იჭერენ ხოლმე და აწვენენ ტახტზე თავიანთ ბუნაგებში, რათა კარგად გამოაძინონ.

სწორედ ასეთი შეტევა ჰქონდა ამ ღამით მაიორს.

როდესაც მას სავარძელში გამოედვიძა, უეცრად თავში გაუეღვა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაკითხოს შევიკი. ეს სამსახურებრივი მოვალეობის შეგრძნება ისეთი უეცარი იყო, ხოლო მაიორი ისე სწრაფად და უყოყმანოდ დამორჩილდა მას, რომ მისი გაუჩინარება ვერავინ შენიშნა.

სამაგიეროდ საგრძნობი იყო მაიორის გამოცხადება სამხედრო ციხის საყარაულო შენობაში. იგი ყუმბარასავით შევარდა შიგ.

მორიგე ფელდფებელს მაგიდასთან ეძინა, ხოლო მის გარშემო სრულიად სხვადასხვა პოზაში თვლემდნენ მცველები.

მაიორი გვერდზე მოქცეული ქუდით ისეთ გინებას მოჰყვა, რომ ყველანი, მის გარშემო როგორც ამოქნარებდნენ, ისევე პირდაღებულნი დარჩნენ; სახე ყველას დამანჭოდა. ისეთი სანახაობა იყო, იოთქოს მაიორს სასოწარკვეთილ და დაღრეჯილ ჯარისკაცთა რაზმი კი არა, კბილებდაკრეჭილი მაიმუნების ჯოგი შეჰყურებდა.

მაიორი მუშტს ურტყამდა მაგიდას და თან უყვიროდა ფელდფებელს.

თქვენ გაუთლელი ხეპრე ხართ, რამდენჯერ მითქვამს, რომ თქვენი ხალხი აყროლებული ღორების ბანდაა. — შემდეგ მიბრუნდა ჯარისკაცებისაკენ და აყვირდა: ჯარისკაცებო! თქვენი თვალებიდან სიტუტუცე გამოსჭვივის, მაშინაც კი როდესაც გძინავთ! ხოლო გალვიძებისას კი, მუტრუქებო, ისე იღრიჯებით, თითქოს ყოველ თქვენთაგანს თითო ვაგონი დინამიტი ჩაუხეთქდა.

ამას მოჰყვა დაუმთავრებელი, ყოვლისმომცველი მოძღვრება მცველის მოვალეობის შესახებ და ბოლოს მოითხოვა დაუყოვნებლივ გაეღოთ მისთვის იმ საკანის კარები, სადაც იმყოფებოდა შვეიკი: მას სურს ბოროტმოქმედი ხელმეორედ დაკითხოს.

ასე და ამრიგად მოხვდა მაიორი ღამით შვეიკთან.

იგი მაშინ მივიდა საკანში, როდესაც იქ, როგორც იტყვიან ხოლმე, ყველაფერი თავდაყირა იდგა. მისი უკანასკნელი ბრძანება იყო: მიეცათ მისთვის ციხის გასაღები.

მაიორის მოთხოვნამ ფელდფებელი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მაგრამ მან კარგად იცოდა თავისი მოვალეობა და გასაღების გაცემაზე უარი განაცხადა. ამან მაიორზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა.

— თქვენ აყროლებული ღორების ბანდა ხართ! — ყვიროდა იგი ეზოში. — აბა გაგებდათ და მოგეცათ ჩემთვის გასაღები, მაშინ გაჩვენებდით სეირს!

— შაქვს პატივი მოგახსენოთ, — უპასუხა ფელდფებელმა, — იძულებული ვარ ჩაგკეტოთ და თქვენივე უშიშროების უზრუნველსაყოფად, ტუსაღს მცველი მივუჩინო. თუკი გამოსვლა მოგესურვებთ, მაშინ, პანე მაიორო, ინებეთ და დააკაუნეთ კარზე.

— ბრიყვი ხარ შენ, — უთხრა მაიორმა, — პავიანი, აქლემი! შენ გგონია, რომ მე ვილაც ტუსაღის მეშინია, და ამიტომ აპირებ მცველი დამიყენო მისი დაკითხვის დროს? ეშმაკმა წაგიღოთ! ჩამკეტეთ და აქედან მოშორდით!

კარის თავზე ფანჯარაზე მდგარი გისოსიანი ფარნის ნავთის ლამ-

პა, ჩაწეული ფითილით იმდენად მკრთალად აშუქებდა, რომ მაიორმა დიდი გაკირვებით მონახა გამოღვიძებული შეეიკი. ეს უკანასკნელი გამოკიშულიყო თავის ტახტთან და მოთმინებით ელოდა თუ რით დამთავრდებოდა ეს ვიზიტი.

მან გადასწყვიტა, რომ ყველაზე სწორი იქნებოდა წარსდგომოდა ბატონ მაიორს და ამიტომ ენერგიულად უპატაკა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე მაიორო, ტუსალი ერთია, სხვა შემთხვევები არ ყოფილა.

მაიორს უცბად დაავიწყდა კიდევ თუ რისთვის მოვიდა აქ და სთქვა:

— Ruhe! სადა გყავს ის ტუსალი?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, თვითონ გახლავართ, — ამყად უპასუხა შეეიკმა.

მაგრამ მაიორმა ყურადღება არ მიაქცია ამ პასუხს, რადგანაც გენერლის ღვინომ და ლიქიორმა მის ტვინში უკანასკნელი ალკოჰოლური რეაქცია გამოიწვია. მან ისე საშინლად დაამთქნარა, რომ ყველა სამოქალაქო პირი მის ადგილზე ყბას ამოივდებდა. მაიორს კი ამ დამთქნარებამ ტვინის ის ნაოკები გაუღიზიანა, რომელშიაც ადამიანს სიმღერის ნიჭი აქვს მოთავსებული. იგი ლალად დაგორდა ლეიბზე, შეეიკს რომ ეგო ტახტზე და დასაქლავად განწირული გოჭივით დაიჭყვირა:

Oh! Tannenbaum! Oh Tannenbaum
Wie schön sind deine Blätter!

იგი განუწყვეტლივ იმეორებდა ამ ფრაზას, თან მელოდიას დაუნაწევრებელ ზმუილს აყოლებდა. შემდეგ დათვის ბელივით გადაკოტრიალდა ზურგზე, მოიკუნტა და ხვრინვა ამოუშვა.

— პანე მაიორო, — აღვიძებდა მას შეეიკი, — მაქვს პატივი მოგახსენოთ, — აქ ტილები შეგესევათ!

მაგრამ ეს გაფრთხილება უსარგებლო იყო. მაიორს მკვდარივით ეძინა.

შეეიკმა ნაზად შეხედა მას და სთქვა: „მაშინ დაიძინე, შე ლოთო-შლოთო, ნანინა“. — და მაზარა გადააფარა. შემდეგ თვითონაც შეძვრა მაზარის ქვეშ. დილით კი ისინი ერთმანეთთან ჩახუტებულები ნახეს.

ცხრა საათისათვის, დაკარგული მაიორის ყველაზე გაცხარებული ძებნის დროს, შეეიკი ჩამოცოცდა ტახტიდან და საჭიროდ მიიჩნია ბატონი უფროსის გაღვიძება. გადახადა რუსული მაზარა და ენერ-

1 ო, ნაძვისხე. ო, ნაძვისხე, რა ლამაზია შენი წიწვი (გ ვ რ მ.).

გიულად დაუწყო ნჯღრევა, სანამ ბოლოსდაბოლოს მათორი არ წამოჯდა ტახტზე. იგი მიაშტერდა შვეიკს, თითქოს მისგან უნდოდა შეეტყო თუ რა შეემთხვა მას.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე მათორო, — უთხრა შვეიკმა, — აქ რამდენჯერმე იყვნენ საყარაულო შენობიდან, რათა დარწმუნებულიყვნენ ცოცხალი ხართ თუ არა. სწორედ ამის გამო გავბედე თქვენი გაღვიძება, თორემ ისე არ ვიცი როდის დგებით. ლუდის გამოსახდელ ქარხანაში უგრეინევესთან მუშაობდა ერთი მეკასრე. მას ჩვეულებრივად დილის ექვს საათამდე ეძინა, მაგრამ თუ თხუთმეტ წუთს გადააცდენდა, და შვილის თხუთმეტ წუთამდე იძინებდა, მერე შეეძლო შუა ღღემდეც გუდურასავით სძინებოდა. იგი ასე იქცეოდა, ვიდრე ქარხნიდან არ გამოაგდეს; გაბოროტებულმა შეურაცხყოფა მიაყენა ეკლესიას და სამეფო გვარის ერთერთ წევრს.

— გამოსულელი? ასეა ხომ? — დაუყვირა საკმაოდ გულმოსულმა მათორმა, რადგანაც გუშინდელის შემდეგ მას თავი გატეხილი ქოთანითა ჰქონდა, ვერაფრით ვერ გაერკვია, საიდან მოხვდა აქ, ონთვის მოდიოდნენ საყარაულო შენობიდან, ან რატომ რომავს ეს ყმაწვილი ამდენ სისულელეს, რომელსაც ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს. მას ყველაფერი ეს უცნაურად ეჩვენებოდა. ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ამ საკანში ჯერ კიდევ ღამით იყო. მაგრამ რატომ?

— შე ერთხელ უკვე ვიყავი აქ ღამით? — იკითხა მან ყოყმანით.

— თანახმად ბრძანებისა, პანე მათორო, — უპასუხა შვეიკმა, — რამდენადაც მე პანე მათორის სიტყვებიდან შევიტყე, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე მათორი მობრძანდა ჩემს დასაკითხად.

აქ კი მათორს ყველაფერი გაახსენდა, დახედა ჯერ თავის თავს, მერე მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებდა.

— ნურაფერზე ნუ იწუხებთ, პანე მათორო, თქვენ ზუსტად ისე გაგეღვიძათ, როგორც მობრძანდით, — დაამშვიდა იგი შვეიკმა. — თქვენ აქ მობრძანდით უმაზაროდ და უხმლოდ, მაგრამ ქუდი კი გეხურათ. თქვენი ქუდი იქ არის. მე იძულებული ვიყავი გამომერთმია იგი თქვენთვის, რადგან მის თავქვეშ ამოდებას აპირებდით. ოფიცრის საპარადო ქუდი იგივეა, რაც ცილინდრი. ცილინდრზე გამოძინება კი მხოლოდ პანე კარდერაზს ეხერხებოდა ლოდენიცში. იგი ხშირად გაიშობებოდა ხოლმე ტრაქტირში სკამზე, ამოიღებდა თავქვეშ ცილინდრს (ის ხომ ქუდით დადიოდა დასაფლავებებზე და ქუდშივე მღეროდა). და შთააგონებდა საკუთარ თავს, რომ არ უნდა დაქმუქნოს იგი. მთელი ღამის განმავლობაში იგი დაფრინავდა თა-

ვის ცილინდრზე თავისი წონის უმნიშვნელო რაოდენობით, ისე რომ ცილინდრს იგი არავითარ ზიანს არ აყენებდა, პირიქით, ამას მისთვის გარკვეული სარგებლობაც მოჰქონდა. გვერდიდან გვერდზე გადაბრუნებისას იგი ისე აკრიალებდა მას თავისი თმებით, რომ ცილინდრი მუდამ კარგად გაუთოებელი გეგონებოდათ.

მაიორი, რომელიც უკვე გაერკვა რაშიც იყო საქმე, გაშტერებულ მხერკას ვერ ამორებდა შვეიკს და თან იმეორებდა.

— შენ სულელი? ხო? მე — აქ ყოფნა. — მე აქედან წასვლა... — შემდეგ წამოდგა, მივიდა კართან და მაგრად დააკაკუნა.

ვიდრე კარს გაუღებდნენ, მოასწრო შვეიკისათვის შეეტყობინებია:

— თუ დებეშა არ მოსგლა, რომ შენ არის შენ, მაშინ შენ დაკიდებული იყავი.

— გულითადი მადლობა, — უპასუხა შვეიკმა, — მე ვიცი, პანე მაიორო, თქვენ დიდად ზრუნავთ ჩემზე, მაგრამ თუკი, პანე მაიორო, ლეიბიდან ერთი ცალიც შეგაღოლდათ, დარწმუნებული იყავით, თუ პატარაა, მოწითალო ზურგით, ესე იგი მამალია; თუკი ის მარტო აღმოჩნდება და თქვენ ვერ იპოვით ისეთს, გრძელს მონაცრისფროს მუცელზე მოწითალო ზოლებით, მაშინ ხომ ძალიან კარგი, თორემ წყვილი თუ იქნება, მტრისას — ეს მხეცები ბაჭიებზე უფრო სწრაფად მრავლდებიან.

— Lassen Sie das! — უთხრა მაიორმა შვეიკს ჩაეარდნილი ხმით, როდესაც მას კარს უღებდნენ.

საყარაულო შენობაში მაიორს არავითარი სცენები აღარ მოუწყვია. მან თავშეკავებულად გასცა განკარგულება ეტლი მოეყვანათ. მერე ჩაჯდა ამ ეტლში და პერემიშლის ორმოებიან ქვაფენილზე ჯაყჯაყში სულ იმას ფიქრობდა, რომ ბოროტმოქმედი, როგორც ჩანს პირველი კატეგორიის იდიოტია, მაგრამ მიუხედავად ამისა უდანაშაულო პირუტყვია, ხოლო მას, მაიორს სხვა ალარაფერი დარჩენია, ორში ერთი აირჩიოს: ან დაუყოვნებლივ, სახლში დაბრუნებისთანავე საყოთარი ტყვიით უნდა მოიკლას თავი? ანდა უნდა გაგზავნოს კაცი გენერალთან მაზარისა და ხმლის მოსატანად, რის შემდეგ უნდა წავიდეს ქალაქის აბანოში, ხოლო აბანოს შემდეგ შევიდეს ღვინის სარდაფში ფოლგრუბერთან; იქ როგორც წესია მომაგრდეს, ხოლო შემდეგ ტელეფონით შეუკვეთოს ქალაქის თეატრში ერთი ბილეთი.

1 გეკოთ (გ ე რ მ.).

ჯერ არც კი იყო საკუთარ ბინამდე მისული, რომ უკანასკნელი აირჩია.

ბინაზე პატარა სიურპრიზი ელოდებოდა, რომელსაც მან დროზე მოუხსწრო.

დერეფანში იდგა გენერალი ფინკი. მას დენშჩიკისათვის ჩაველო საყელოში ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ანჯღრევდა და თან ყვიროდა: „სად არის შენი მაიორი, მხეცო, მიპასუხე პირუტყვო!“

მაგრამ პირუტყვი არ პასუხობდა. გენერალს ისე მაგრა ჩაველო ყელში ხელი, რომ დენშჩიკს სახე მთლად გალურჯებოდა.

მაიორმა, რომელმაც ამ სცენას შემოუხსწრო, შენიშნა რომ უბედურ დენშჩიკს მაგრად უჭირავს ილლიის ქვეშ მისი მაზარა და ხმალი, რომლებიც, როგორც სჩანს, გენერლის შესასვლელიდან წამოიღო.

ეს სცენა მაიორს გასართობად მოეჩვენა, ამიტომ შეჩერდა გამოღებული კარების წინ და უხმოდ დაუწყო ყურება თავის ერთგული მსახურის წამებას. კარგა ხანია ამ დენშჩიკმა თავი მოაბეზრა, რადგან გამუდმებით ქურდობდა.

გენერალმა რამდენიმე ხნით ხელიდან გაუშვა გალურჯებული დენშჩიკი, მხოლოდ იმისათვის, რომ ჯიბიდან დეპეშა ამოეღო, რომლითაც შემდეგ დაუწყო სახესა და ტუჩებში ცემა და მასთან ერთად უყვიროდა: „სად არის შენი მაიორი, მხეცო? სად არის შენი მაიორ-ა უ დ ი ტ ო რ ი, მხეცო? შემძლია თუ არა გადაეცე მას სამსახურებრივი დეპეშა?..“

— აჰ გახლავართ, — გაისმა მაიორ დერვოტას ხმა, რომელსაც სიტყვათშეთანხმებამ „მაიორი, აუდიტორი“ და „დეპეშა“, კვლავ მოაგონა მისი უშუალო მოვალეობა.

— ა-ა! — წამოიძახა გენერალმა ფინკმა. — დაბრუნდი?

მის ხმაში იმდენი შხამი იყო, რომ მაიორმა არაფერი უპასუხა და გაუბედავად განაგრძო კარებში დგომა.

გენერალმა უბრძანა შეპყოლოდა ოთახში; როდესაც ისინი დასხდნენ, დენშჩიკის ცემით გაცვეთილი დეპეშა მაგიდაზე დააგდო და ტრაგიკული ხმით სთქვა:

— წაიკითხე, შენი მუშაობის შედეგია.

სანამ მაიორი დეპეშას კითხულობდა, გენერალი დარბოდა ოთახში, აყირავებდა სკამებს და თან ღრიალებდა:

— მაგრამ სულერთია, მე მას ჩამოვანჩრობ!

დეპეშა შემდეგს იტყობინებოდა:

„ქვეითი იოზეფ შვეიკი, მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცი, უკვალოდ დაიკარგა ამა თვის 16-ს, ხიროვ-ფელდშტეინის



გადასასვლელზე, როდესაც იგი მივლინებული იყო, როგორც კვარტირიერი. დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ქვეითი შვეიცი ვოიალიჩში, ბრიგადის „სტაბში“.

მაიორმა მაგიდის უჯრა გამოსწია, ამოიღო იქიდან რუკა და ჩაფიქრდა: ფელდშტეინი ორმოცი კილომეტრითაა დაშორებული პერემიშლიდან სამხრეთ აღმოსავლეთის მხრით. თუ რა გზით ჩაუვარდა შვეიკს ხელთ რუსული ფორმა, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ასორმოცდაათი კილომეტრის მანძილითაა დაშორებული ფრონტიდან, გამოცანად რჩებოდა. სანგრები ხომ სოკოლი — ტურზე — კოზლოვის ხაზის გასწვრივია განლაგებული.

როდესაც მაიორმა ამის შესახებ გენერალს შეატყობინა და რუკაზე აჩვენა ის ადგილი, სადაც ტელეგრაფის თანახმად რამდენიმე დღის წინ შვეიცი დაიკარგა, გენერალმა დაიღრიალა, რადვანაც იგრძნო, რომ მთელი მისი იმედები, დამყარებული სავლელ სასამართლოზე, მთლიანად გაცამტვერდა. იგი მივიდა ტელეფონთან, გამოიძახა საყარაულო ნაწილი და გასცა ბრძანება — ტუსადი შვეიცი დაუყოვნებლივ მოეგვარათ მაიორის ბინაზე.

ბრძანების შესრულების მოლოდინში, გენერალი წყველა-კრულ-
ვით გამოსთქვამდა სინანულს, რომ არ გასცა განკარგულება შვეიკის,
ყოველგვარი გამოძიების გარეშე, დაუყოვნებლივ ჩამოხრჩობის
შესახებ.

მაიორი კი ეწინააღმდეგებოდა და სულ რაღაცას იმეორებდა,
კანონისა და სამართლიანობის შესახებ, რომლებიც განუყრელნი
არიან. ზოგჯერ იგი იწყებდა ორატორობას სამართლიან მსჯავრ-
ზე, სასამართლოს საბედისწერო შეცდომათა შესახებ და საერთოდ
ყველაფერზე, რაც მას თავში მოსდიოდა, რადგანაც ნაბაზუსეც მას
ყოველთვის თავის ტკივილი აწუხებდა და უჩნდებოდა მოთხოვნი-
ლება ლაპარაკით გადაეყოლებინა გული.

როდესაც შვეიკი მოიყვანეს, მაიორმა უბრძანა, აეხსნა ყოველი-
ვე, რაც მოხდა ფელდშტეინთან და საერთოდ საიდან გაუჩნდა მას
ეს რუსული ფორმა.

შვეიკმა ყველაფერი აუხსნა, თან თავისი დებულებები დაასაბუთა
მაგალითებით წამებულ ადამიანთა ისტორიიდან. როდესაც მაიორმა
ჰკითხა რატომ ყოველივე ეს დაკითხვის დროს არ მოახსენეთო, შვე-
იკმა უბასუხა, რომ მისთვის ეს არავის არ უკითხავს. ყველაფერი
ერთ შეკითხვამდის დადიოდა: აღიარებთ თუ არა თქვენ, რომ ნება-
ყოფლობითა და ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე ჩაიცივით მოწი-
ნააღმდეგის ფორმა? — ხოლო რადგანაც ეს სიმართლე იყო, იგი
ერთ პასუხს იძლეოდა:

„ღიახ, რა თქმა უნდა, ჰეშმარიტად, უეჭველად“. ხოლო მეორეს
მხრივ, მან დიდის გულისწყრომით უარყო მისთვის სასამართლოზე
წაყენებული ბრალდება იმის შესახებ, რომ მან უღალატა უფალ
იმპერატორს.

→ ეს კაცი ნამდვილი იდიოტია, — უთხრა გენერალმა მაი-
ორს. — გადაიცვას რუსი ტყვეს ტანსაცმელი, წყალსაცავზე, ღმერთ-
მა უწყის, ვის მიერ დატოვებული, დაუშვას, ჩარიცხონ იგი ტყვე
რუსების რიგებში, — ამის გაკეთება მხოლოდ იდიოტს თუ შე-
უძლია.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — გამოეპასუხა შვეიკი, — მე თვი-
თონაც ვამჩნევ, რომ ცოტა არ იყოს არასრული ჰქუისა ვარ, გან-
საკუთრებით სადამოხანს...

— ციცი, ვირო! — დაუყვირა მაიორმა და გენერალს შეეკითხა,
თუ რა უნდა უყონ ახლა შვეიკს.

— ჩამოახრჩონ ბრიგადაში, — გადასწყვიტა გენერალმა. ერთი
საათის შემდეგ შვეიკი ბადრაგების თანხლებით სადგურზე მიჰყავ-
დათ, რათა მიეგვარათ იგი ვოიალიჩში ბრიგადის შტაბში.

ციხეში შევიკმა თავის შესახებ პატარა სახსოვარი დასტოვა. მან კედელზე ნაფოტის საშუალებით სამ სვეტად ამოაწერა ყველა წვნიანებისა და იმ საკმელების სია, რომლებიც ომამდე უქპია. ეს იყო ერთგვარი პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ოცდათხუთი საათის მანძილზე მას პირში ერთი ნამცეცხვ არ ჩაუდევს.

შვეიციის კვალდაკვალ ბრიგადის შტაბში გაიგზავნა შემდეგი ქალაქი: „№ 469 ტელეგრამის საფუძველზე ქვეითი იოზეფ შვეიცი, გამოქცეული მეთერთმეტე სამარშო ასეულიდან, გადაეცემა ბრიგადის შტაბს შემდგომი გამოძიებისათვის“.

ბაღრაგი შემდგარი ოთხ კაცისაგან, სხვადასხვა ნაციონალიზმის ნარევს წარმოადგენდა. მათ შორის იყვნენ პოლონელი, უნგრელი, გერმანელი და ჩეხი; ეს უკანასკნელი მებაღრაგეთა უფროსად დანიშნეს: მას ეფრეიტორის ჩინი ჰქონდა. იგი იბლინძებოდა თანამემამულე ჩეხი ტუსაღის წინაშე და ამით თავის განუსაზღვრელ უფლებებს ავლენდა. როდესაც შვეიკმა სადგურზე ნება ითხოვა მოეშარდა, ეფრეიტორმა ძალიან უხეშად უპასუხა, რომ მოშარდავს იგი მხოლოდ ბრიგადაში.

— კეთილი, — დაეთანხმა შვეიკი, — მხოლოდ მომეცით ეს ბრძანება წერილობითი ფორმით, რათა როდესაც საშარდე ბუშტი გამისკდება, ყველამ იცოდეს თუ ვინ იყო ამაში დამნაშავე. ყველაფერს თავისი კანონი აქვს, პანე ეფრეიტორო.

ეფრეიტორი, სოფლელი კაცი იყო, შეეშინდა ამ საშარდე ბუშტის. ამიტომ ბაღრაგების მთელმა რაზმმა შვეიკი საზეიმოდ წაიყვანა სადგურის გასწვრივ, ფეხისადგილში. საერთოდ, ეფრეიტორი გზაში სტოვებდა მრისხანე ადამიანის შთაბეჭდილებას და ცდილობდა ისეთი გაბერილი ყოფილიყო, თითქოს ხვალ სულ ცოტა კორპუსის მეთაურის წოდება უნდა მიეღო.

როდესაც ისინი მატარებელში ისხდნენ პერემიშლი — ხიროვის მიმართულებით, შვეიკი ეფრეიტორს მიუბრუნდა და უთხრა:

— პანე ეფრეიტორო, გიყურებთ თქვენ და მახსენდება ეფრეიტორი ბოზბა, რომელიც ტრენტოში მსახურობდა. იმ დღიდან რაც ეფრეიტორი გახდა, მოცულობაში მატება იწყო: ლოყები დაუსივდა, ხოლო ფაშვი ისე გაებერა, რომ მეორე დღეს სახელმწიფო შარვალზე კი აღარ ეკვრებოდა. მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ყურებმა დაუწყო ზრდა. გაგზავნეს ლაზარეთში, სადაც პოლკის ექიმმა სთქვა, რომ ასე ემართება ყველა ეფრეიტორს. ჯერ გაბერვას იწყებენ. ზოგი მათგანი სწრაფად იკურნება, ხოლო ეს მძიმე ავადმყოფია და შეიძლება კიდევ გასკდეს, რადგანაც ავადმყოფობა ვარსკვლავიდან ჭიპზე გადასვლია. რათა ეშვე-



ლათ ავადმყოფისათვის, იძულებული გახდნენ მოექცათ მისთვის ვარსკვლავი და იგი მაშინათვე დაცხრა.

ამ წუთიდან ამაოდ ცდილობდა შვეიკი გაება საუბარი ეფრეიტორთან და მეგობრულად აეხსნა მისთვის, რატომ ამბობენ რომ ეფრეიტორი ასეულის სასჯელია.

ეფრეიტორმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ დაემუქრა, რომ ჯერ კიდევ სანახავია, რომელი მათგანი იქნება სიცილის გუნებაზე ბრიგადაში დაბრუნების შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ, თანამემამულემ იმედები ვერ გაამართლა. ხოლო როდესაც შვეიკმა იკითხა, საიდან არის იგი, პასუხად მიიღო: „ეს შენი საქმე არაა“.

შვეიკი ყოველი საშუალებით ცდილობდა დალაპარაკებოდა ეფრეიტორს. მოუყვა, რომ პირველი შემთხვევა როდია, რომ იგი ბადრაგებს მიჰყავთ, რომ იგი ყოველთვის ჩინებულად ატარებდა დროს ყველა თავის გამცილებელთა შორის.

ეფრეიტორი განაგრძობდა ღუმილს, ხოლო შვეიკი არ ცხრებოდა:

— მე მგონია, პანე ეფრეიტორო, თქვენ დიღა უბედურება შემთხვევით, რადგან მეტყველების უნარი დაგიკარგავთ. ბევრი ღალა-

რეზონი ეფრეიტორი მინახავს, მაგრამ უბედურებისაგან ასე გულ-
მოკლული, პანე ეფრეიტორო, მაპატიეთ და არ გამიჩინებდეთ, რო-
გორც თქვენ ბრძანდებით, მე ჯერ არ შემხვედრია. მომენდეთ და
მითხარით, რა გაწვალებთ ასე. ეგებ შემიძლია დაგეგმაროთ რჩე-
ვით, რადგანაც ჯარისკაცს, რომელიც ბაღრაგებს მიჰყავთ, ყოველ-
თვის მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე იმას, ვინც მას ყარაულობს.
ანდა, იცით რა, პანე ეფრეიტორო, მოყევით რამე, რათა დრო მოვ-
კლათ. მოყევით, მაგალითად, როგორი გარეუბნებია თქვენ მშობლი-
ურ მხარეში, არის თუ არა იქ რუები, ან ძველი ცხე-კოშკის ნანგ-
რეგები. ან შევიძლიათ მოგვიყვეთ არსებობს თუ არა რაიმე თქმუ-
ლება ამ ხანგრეგების შესახებ.

— საკმარისია! — დაიყვირა უცებ ეფრეიტორმა.

— აი ბედნიერი აღამიანი, — გაეხარდა შვეიკს. — სხვებს ყო-
ველთვის რაიმე არ ყოფნის.

— არაუშავს, ბრიგადაში მოგარჯულებენ, მე შენზე ხელს არ
გავისვრი, — ეს იყო ეფრეიტორის უკანასკნელი სიტყვები, რის
შემდეგაც იგი სრულმა ღუმელმა მოიცვა.

ბაღრაგები საერთოდ ცოტას ერთობოდნენ, უნგრელი ესაუბრე-
ბოდა გერმანელს, განსაკუთრებული საშუალებით, რადგანაც, გერ-
მანულად მან მხოლოდ „Jawohl“¹ და „was“² იცოდა. როდესაც
გერმანელი რაიმეს თხრობას იწყებდა იგი თავს უქნევდა და გაი-
ძახოდა „Jawohl“, ხოლო როდესაც ჩუმდებოდა, ამბობდა „was“
და გერმანელი იწყებდა მოყოლას თავიდან. ბაღრაგ პოლონელს
არისტოკრატულად ეჭირა თავი: იგი ყურადღებას არავის არ აქცევ-
და და ერთობოდა იმით, რომ ცხვირს იხოცავდა პირდაპირ იატაკზე.
რისთვისაც ძალიან მარჯვედ იყენებდა მარჯვენა ხელის ცერს.
შემდეგ ჩაფიქრებული სჩესდა ელვინტს თოფის კონდახით, ხოლო
ამოსვრილ კონდახს ზრდილობიანად წმენდდა საკუთარ შარვალზე,
ამასთან დაუღალავად ბუტბუტებდა: „წმიდა ქალწულო“.

— შენ რაღაც ვერ გამოგდის კარგად, — უთხრა შვეიკმა.

— ბოიშჩე სარდაფში ცხოვრობდა ერთი მეეზოვე მიხაჩეკი.
აი ის, როცა ცხვირს იხოცდა, პირდაპირ ფანჯრის მიწას ახვედრებდა
ხოლმე, შემდეგ კი ისე ოსტატურად წაუსვამდა ზედ თითს, რომ გა-
მოდირდა სურათი, როგორ უწინასწარმეტყველებდა ლიბუშა პრა-
ლას დიდებას. * ყოველი სურათისათვის იგი ცოლისაგან ისეთ სა-
ხელმწიფო სტიპენდიას ღებულობდა, რომ გამუდმებით გასიებული

¹ დიახ (გერმ.).

² რა? (გერმ.).

სიფათით დადიოდა. მაგრამ ეს საქმე, მაინც არ მიატოვა და განაგრძობდა დახელოვნებას. უნდა ითქვას, რომ ეს მისთვის ერთადერთი გასართობი იყო.

პოლონელმა არაფერი უპასუხა, და ბოლოს მთელი ბადრაგთა რაზმი ღრმა ღუმელმა მოიცვა, თითქოს ისინი დასაფლავებიაზე მიდიოდნენ და მოკრძალებით ფიქრობდნენ მიცვალებულზე.

ასე მიუახლოვდნენ ისინი ვოიალიჩს, სადაც იდგა შტაბის ბრიგადა.

ამ დროისათვის ბრიგადის შტაბში არსებითი ცვლილებები მოხდა.

შტაბის უფროსად დანიშნეს პოლკოვნიკი ჰერბინი. ეს იყო დიდი სამხედრო ნიჭის მქონე კაცი. ამ ნიჭმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ნეკრესის სახით, მაგრამ მას სამინისტროში ჰყავდა გავლენიანი ნაცნობები, რომელთა წყალობითაც იგი პენსიაში არ გავიდა და დაუყოლობდა სხვადასხვა მსხვილ სამხედრო გაერთიანებათა შტაბებში, იღებდა ყველაზე მაღალ ხელფასს, სამხედრო დროისათვის დამახასიათებელი ყველაზე მრავალფეროვანი დამატებებით და რჩებოდა პოსტზე მანამ, სანამ ნეკრესის მორიგი შეტევისას რაიმე სისულელეს ჩაიდენდა. ამის შემდეგ, იგი გადაჰყავდათ სხვა ადგილზე და ჩვეულებრივად აწინაურებდნენ. სადილობისას, ოფიცრებს იგი მხოლოდ და მხოლოდ თავის შესიებულ ცერზე ელაპარაკებოდა, რომელიც ხანდახან იმდენად სივდებოდა, რომ პოლკოვნიკს სპეციალური ჩექმის ტარებაც კი უხდებოდა.

ჰამის დროს მისი ყველაზე დიდი გასართობი იმის აღწერა იყო, თუ როგორ უსველდება და უოფლიანდება ეს თითი, როგორ ახვევს მას ბამბით და რომ მის დასველებულ თითს ამჟავებელი ხორცის შეჭამანდის სუნი სდის.

ამდენად გასაგებია, რატომ ემშვიდობებოდა ხოლმე ოფიცერთა მთელი შემადგენლობა ჰერბინს ასეთი გულწრფელი სიხარულით მისი სხვა ადგილზე გადაყვანისას. მაგრამ საბოლოო ჯამში იგი მაინც თავაზიანი კაცი იყო. უმცროს ოფიცრებს მეგობრულად ეპყრობოდა და უყვებოდა, თუ რამდენი გემრიელი რამ შეუჭამია და დაუღვევია მას თავის დროზე, სანამ ავადმყოფობა არ მოერია.

როდესაც შევიკი მოიყვანეს ბრიგადაში და მორიგე ოფიცრის ბრძანების თანახმად, საჭირო ქაღალდებთან ერთად პოლკოვნიკ ჰერბინს გადასცეს, მასთან პოლპორუჩიკი ღუბი იჯდა.

სანოკ — სამბორის გადალახვიდან რამდენიმე დღის შემდეგ,

პოდპორუჩიკ დუბს ახალი უბედურება დაატყდა თავს. ფელდშტეინიდან გამოსვლის შემდეგ, მეთერთმეტე სამარშო ასეული შეხვდა ცხენების ტრანსპორტს, რომელსაც სუდოვაია ვიშნიაში, დრაგუნების პოლკში მიერეკებოდნენ.

პოდპორუჩიკმა დუბმა თვითონაც არ იცოდა, თუ როგორ მოხდა ეს, მაგრამ მას უცებ მოუნდა პორუჩიკი ლუკაშისათვის ეჩვენებინა თავისი ცხენოსნური ხელოვნება. მას აღარც კი ახსოვდა, როგორ მოახტა ცხენს და როგორ გაჰქრა მდინარის კალაში. უფრო მოგვიანებით პოდპორუჩიკი იპოვეს პატარა კაობში მაგრად ჩაფლული. შეიძლება ითქვას ყველაზე ხელმარჯვე მებაღეც კი ვერ შეძლებდა ასე კარგად შემოებარა მიწა-ნერგის გარშემო. როდესაც პოდპორუჩიკი ამოათრიეს იქედან თოკის საშუალებით, იგი არაფერს არ უჩიოდა, მხოლოდ ჩუმად კვნესოდა. ამ მდგომარეობაში მოიყვანეს იგი ბრიგადის შტაბში და პატარა ლაზარეთში მოათავსეს.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი გრძნობაზე მოვიდა და ექიმმა გამოაცხადა, რომ კიდევ ორჯერ-სამჯერ წაუცხებენ ზურგსა და მუცელზე იოდს, ხოლო შემდეგ თამამად შეუძლია დაეწიოს თავის ასეულს.

ამჟამად პოდპორუჩიკი დუბი იჯდა პოლკოვნიკ ჰერბინთან და მასთან სხვადასხვა ავადმყოფობაზე საუბრობდა.

დუბმა, რომლისთვისაც ორდინარეც შვეიციის ფელდშტეინთან ფარული გაქრობა ცნობილი იყო, მისი დანახვისთანავე ხმამალა დაიყვირა:

— როგორ, შენ კიდევ აქ ხარ, ღმერთმა უწყის, სად რამდენი არამზადა დაეთრევა, მაგრამ ისინი კიდევ უფრო გაოხრებულები ბრუნდებიან უკან და შენც — ერთერთი მათგანი ხარ.

სურათის სრულყოფისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ ცხენთან დაკავშირებული თავგადასავლის შედეგად პოდპორუჩიკმა დუბმა ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შვეიკზე თავდასხმისას, იგი ღმერთს მოუწოდებდა მასთან საბრძოლველად და ლექსად გაჰყვიროდა:

— ო, ცის მეუფე, შენ მოგიხმობი კვამლითაა ჩემგან დაფარული მგრგვინავი ზარბაზნები. გაშმაგებით ზუზუნებენ ტყვიები. უძლეველო მებრძოლთა ვოევიდა, შენ მოგიხმობ, რათა, ხელი მომიმართო ყაჩაღის დაძლევაში... სად დაიკარგე ამდენ ხანს, მამაძაღლო? ან ვის მუნდირში გამოწყობილხარ?

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეკრესიანი პოლკოვნიკის კანცელარიაში მეტად დემოკრატიული წესები სუფევდა, თუმცა მხოლოდ ნეკრესის შეტევიდან შეტევამდე. აქ იკრიბებოდა ყველა ჩინის წარ-

მომადგენელი, რათა მოესმინათ საუბარი შეშუპებული თითის შესახებ, რომელსაც ამჟავებული ხორცის სუპის სუნი ჰქონდა.

როდესაც პოლკოვნიკ ჰერბინს შეტევა არ ჰქონდა, მისი კანცელარია სხვადასხვა ჩინის წარმომადგენლებით აივსებოდა ხოლმე. ასეთ იშვიათ წუთებში იგი განსაკუთრებით მზიარული და ენაწყლიანი ხდებოდა. უყვარდა თავის გარშემო მსმენელთა შემოკრება, რომლებსაც უყვებოდა უწმაწურ ანეგდოტებს, რაც საკუთრივ მასზე შესანიშნავად მოქმედობდა, ხოლო დანარჩენებს ანიჭებდა სიამოვნებას ძალდატანებით ეცინათ, გენერალ ლაუდონის * დროინდელ ძველ ანეგდოტებზე.

ასეთ პერიოდებში პოლკოვნიკ ჰერბინთან სამსახური ძალიან ადვილი იყო. ყველა იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა, და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი შტაბს პოლკოვნიკი ჰერბინი მეთაურობდა, ქურდობდნენ და ყოველგვარ სისულელეს სჩადიოდნენ.

ასევე იყო დღესაც. შვეიკთან ერთად პოლკოვნიკის კანცელარიაში თავი მოიყარა სხვადასხვა სამხედრო ჩინის წარმომადგენლებმა. სანამ პოლკოვნიკი ბრიგადის შტაბის მისამართით გამოგზავნილ მიმართვას კითხულობდა, რომელიც პერემიშლის მაიორმა შეადგინა, ისინი სდუმდნენ და ელოდებოდნენ რა მოხდებოდა შემდეგ.

პოდპორუჩიკი დუბი კი მისთვის ჩვეული სათნოებით განაგრძობდა შვეიკთან დაწყებულ საუბარს.

— შენ მე კიდევ არ მიცნობ! მაგრამ როცა გამაცნობ, შიშით გული გაგისკდება!

პოლკოვნიკი გააშტერა მაიორის წერილმა, რადგანაც უკანასკნელი ამ წერილს ჯერ კიდევ ალკოჰოლის მომწამლავი გავლენის ქვეშ მყოფი კარნახობდა.

ამისდა მიუხედავად, პოლკოვნიკი ჰერბინი, მაინც კარგ გუნებაზე იყო, რადგან ჯუშინდლიდან ტკივილები შეუჩერდა და მის ცერს თავი ისე მშვიდად ეკავა, როგორც ბატკანს.

— მაშ ასე, რა მოიმოქმედეთ? — ჰკითხა მან შვეიკს ისე ალერსიანად, რომ პოდპორუჩიკ დუბს შურით გული შეეკუმშა და სასწრაფოდ გასცა შვეიკის ნაცვლად პასუხი:

— ეს ჯარისკაცი, პანე პოლკოვნიკო, თავს ბრიყვად გვაჩვენებს, რათა ილიოტობის საბაბით მიჩქმალოს საკუთარი ბოროტმოქმედებანი. მართალია მე არ გავცნობივარ მასთან ერთად გამოგზავნილი ქალაქის შინაარსს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვხვდები, რომ ამ არამზადამ კვლავ რაღაც ჩაიდინა, თანაც დიდი მასშტაბით. თუკი თქვენ, პანე პოლკოვნიკო, ნებას დამრთავთ გავეცნო ამ ქალაქის

შინაარსს, მე უსათუოდ შევძლებ მოგცეთ გარკვეული მითითებანი როგორ მოეპყრათ მას.

— შემდეგ მიუბრუნდა შვეიკს და ჩეხურად უთხრა:

— შენ ჩემს სისხლს სვამ, გრძნობ ამას?

— ვსვამ, — ამაყად მიუგო შვეიკმა.

— აი, ხომ ხედავთ რა კაცია, პანე პოლკოვნიკო, — უკვე გერმანულად განაგრძო პოლბორუჩიკმა დუბმა. — თქვენ არაფერი არ შეგიძლიათ მას ჰკითხოთ, მასთან საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ ოდესმე კისერს მოიტეხს. კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს. მისი დასჯა აუცილებელია. ნება მიბოძეთ, ბატონო პოლკოვნიკო...

პოლბორუჩიკი დუბი იმ ქალღმერთის კითხვაში გაერთო, რომლებიც პოლკოვნიკმა გამოგზავნა პერემიშლიდან და ჩაიკითხა რა ბოლომდე გამარჯვებული სახით წამოიძახა:

— ახლა კი, შვეიკ, დადგა შენი აღსასრულის დღე! სად წაიღე სახელმწიფოს მიერ მოცემული მუნდირი?

— წყალსაცავის ჯებირზე დაეტოვე, როდესაც ამ ძონძებს ვიზომებდი, რათა შემეტყო თუ როგორ გრძნობენ მასში თავს რუსი ჯარისკაცები, — მიუგო შვეიკმა. — ეს უბრალო გაუგებრობაა.

შემდეგ შვეიკმა დაწვრილებით უამბო პოლბორუჩიკ დუბს, თუ რამდენი წვალზეა გადახდა თავს ამ გაუგებრობის გამო. როდესაც დაამთავრა, პოლბორუჩიკმა დაუღრიალა:

— ახლა კი გამიცნობ! გესმის თუ არა რა არის სახელმწიფო ქონების განიავება? გესმის თუ არა, შე უქნარავ, რას ნიშნავს ფრონტზე მუნდირის დაკარგვა?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტო, — უპასუხა შვეიკმა, — ვიცი, როდესაც ჯარისკაცი კარგავს ფრონტზე მუნდირს. მან ახალი უნდა მიიღოს.

— ღმერთო ჩემო, — დაიყვირა პოლბორუჩიკმა დუბმა, — ვირო. ოთხფეხა ცხოველო, თუ კიდევ გამიბედავ ასეთ ხუმრობას, ომის შემდეგ კიდევ ას წელს იძულებით იმუშავებ.

პოლკოვნიკი ჰერბინი აქამდე მაგიდასთან მშვიდად და საქმიანად მჯდომი. უეცრად ისე დაიმანჯა, თითქოს მისი თითი, რომელსაც თავი აქამდე მშვიდად ეჭირა, უცოდველი ბატკნიდან გააფთრებულ ვეფხვად გადაიქცა, ან 600 ვოლტის მქონე ელექტრულ დენად, რომელიც თითში ყოველ ძვალს ჩაქურჩის მაგვარად პატარ-პატარა ნამსხვრევებად აქცევს. პოლკოვნიკმა ჰერბინმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია და ისეთი ველური ხმით დაიღრიალა, თითქოს შამფურზე სწვავენ:

— გაეთრიე! მომეცით რევოლვერი!



ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და ამიტომ ოთახიდან ყველა გავარდა, მათთან ერთად შვეიციც, რომელიც ბალრავებმა კინწის კვრით გამოაგდეს დერეფანში. დარჩა მხოლოდ პოდპორუჩიკი დუბი, მას ეჩვენებოდა, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი და უნდოდა ის შვეიციის საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა. მან სატირლად მომზადებულ პოლკოვნიკს უთხრა:

— პანე პოლკოვნიკო, მომეცით ნება გავამახვილო თქვენი ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ეს ჯარისკაცი...

პოლკოვნიკმა დაიკნავლა, და პოდპორუჩიკს სამელნე გაუქანა, პოდპორუჩიკმა კი სამხედრო სალაში მისცა და წაიბურტყუნა: „რათქმა უნდა, პანე პოლკოვნიკო“ და ოთახიდან გავარდა.

შემდეგ კიდევ კარგა ხანს მოისმოდა პოლკოვნიკის კანცელარიიდან ბლავილი და ყმული. ბოლოსდაბოლოს ეს ხმები მიწყდა, პოლკოვნიკის თითი კვლავ ბატკნად იქცა. ნეკრესის შეტევამ გაუარა და პოლკოვნიკმა კვლავ მოითხოვა. მიეყვანათ მასთან შვეიცი.

— მაშ ასე, ბოლოსდაბოლოს რა შეგემთხვა? — ძველებურად სათნოდ შეეკითხა ის შვეიკს. მას ყველა უსიამოვნება დაავიწყდა. კარგად გახდა და ისეთი ნეტარება იგრძნო, თითქოს ზღვის ნაპირას ნებიერობდა.

შვეიციეც მეგობრულად უღიმოდა პოლკოვნიკს და უამბობდა მთელ თავის ოდისეას, მოახსენა, რომ იგი ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცია და არ იცის როგორ არიან უმისოდ.

პოლკოვნიციც ღიმილით უსმენდა, შემდეგ კი ასეთი ბრძანება გასცა: „გამოეწეროს შვეიკს სამხედრო ლიტერი ზოლტანეცის სადგურამდე, ლვოვზე გავლით, სადაც მისი სამარშო ასეული ხვალ უნდა ჩავიდეს, აგრეთვე მიეცეს მას საწყობიდან ახალი სამხედრო მუნდირი, ექვსი კრონა და 82 ჰელერი სურსათის სანაცვლოდ“.

როდესაც შვეიკი ახალ ავსტრიულ მუნდირში გამოწყობილი ბრიგადის შტაბს სტოვებდა, იგი პოდპორუჩიკ ღუმს შეეფეთა. ღუმბი საკმაოდ შეცბა, როდესაც შვეიკმა როგორც წესი მოითხოვს ისე უპატაკა, აჩვენა საბუთები და მზრუნველობით ჰკითხა, რა გადაეცა ბატონი პორუჩიკი ლუკაშისათვის.

პოდპორუჩიკმა სხვა ველარაფერი უპასუხა, გარდა „Abtreten“ ხოლო შეძდეგ გააყოლა თვალი მიმავალ შვეიკს და თავისთვის წაიბუტბუტა: „შენ კიდევ გამოცნობ, ღმერთო ჩემო, შენ კიდევ გამოცნობ!“

ზოლტანეცის სადგურზე კაპიტან საგნერის მთელი ბატალიონი შეიკრიბა, გარდა მეთერთმეტე ასეულის არიერგარდისა, რომელიც სადღაც ლვოვთან დაიკარგა, შემოვლის დროს.

როდესაც შვეიკი დაბაში შევიდა, სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა. საერთო გამოცოცხლების მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფრონტი და ჩეხა-კეპა შორს არ უნდა ყოფილიყო. ყველგან იდგა ზარბაზნები და აღლები. ყოველი სახლიდან სხვადასხვა პოლკის ჯარისკაცები გამოდიოდნენ, მათ შორის გამოირჩეოდნენ გერმანელები. ისინი არისტოკრატულად ურიგებდნენ ავსტრიელებს სიგარეტებს თავისი უხვი მარაგიდან. გერმანულ სამზარეულოებთან მოედანზე ლუდით სავსე კასრებიც კი იდგა. გერმანელ ჯარისკაცებს ლუდს ურიგებდნენ სადილად და ვახშმად. ხოლო მათ გარშემო მშვიერი კატებივით დახეტილობდნენ უპატრონოდ მიგდებული ავსტრიელი ჯარისკაცები, რომლებსაც ჰუჭყიანი ოდნავ შემტკბარი ვარდკაჭაჭას ნახარშისაგან მუცლები გააპბეროდათ.

გრძელ ხიფთანებში გამოწყობილი კიკინებიანი ებრაელები ჯგუფჯგუფად შეგროვილიყვნენ, ხელებს იქნევდნენ და ერთმანეთს ანიშნებდნენ კვამლის ღრუბლებზე, რომელიც დასავლეთის მხარეს მოსჩანდა. ყველგან გაიძახოდნენ, რომ ეს უტიშკუვი ბუსკი და დერევიანი იწვის მდინარე ბუგზეო.

გარკვევით ოსმოდა ზარბაზნების გუგუნი. კვლავ აყვირდნენ, რომ რუსები ყუმბარებს უშენენ გრაბოვას მხრიდან კამიონკა სტრემილოვუს და რომ ბრძოლები მიდის მთელი ბუგის გასწვრივ, ხოლო ჯარისკაცები აკავებენ ლტოლვილებს, რომლებიც უკვე აპირებენ ბუგის გადაღმა საკუთარ სახლებში დაბრუნებასო.

დაბის მთავარ კომენდატურაში, საველე უანდარმერიის პატრულებს განუწყვეტლივ შემოჰყავდათ ხან ერთი, ხან მეორე დამფრთხალი ებრაელი. არასწორი ცნობების გავრცლებისათვის უბედურ ებრაელებს ცემით ცხვირ-პირს უსისხლიანებდნენ და უკან გამოსეული შარვლებით უშვებდნენ სახლებში.

ასე და ამრიგად, შვეიკი მოხვდა ამ ორომტრიალში და შეეცადა მოენახა თავისი სამარშო ასეული. ჯერ კიდევ სადგურზე საეტაპო სამმართველოში მას კინაღამ უთანხმოება მოუვიდა. როდესაც ის მიუახლოვდა მაგიდას, სადაც თავიანთი ნაწილების მძებნელ ჯარისკაცებს ინფორმაცია ეძლეოდათ: კაბრალი აუყვირდა: ხომ არ სურს შვეიკს, კაბრალმა მოუნახოს საკუთარი ასეული? შვეიკმა მიუგო, რომ მას მხოლოდ აინტერესებს შეიტყოს, თუ ამ დაბაში, სად არის განლაგებული ამა და ამ სამარშო ბატალიონის ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მეთერთმეტე სამარშო ასეული.

— ჩემთვის მეტად საჭიროა, — აღნიშნა შვეიკმა ვიცოდე სად მოინახება მეთერთმეტე სამარშო ასეული, მე ხომ მისი ორდინარეცი ვარ.

საუბედუროდ, მეზობელ მაგიდასთან ვიღაც შტაბის გადამწერი იჯდა, იგი აფთარივით წამოიჭრა და დაუღრიალა შვეიკს:

— წყეულო ღორო, ორდინარეცი ხარ და არც კი იცი სად არის შენი ასეული?

შვეიკმა ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, რადგან შტაბის გადამწერი კანცელარიაში მიიმალა, და იმავე წუთს დაბრუნდა ჩასუქებულ პორუჩიკთან ერთად. პორუჩიკს ისეთი მედიდური შეხედულება ჰქონდა, თითქოს ხორცის რომელიმე მსხვილი ფირმის პატრონი ყოფილიყოს. საეტაპო სამმართველოები ერთდროულად უსაქმურად მოყიალე ჯარისკაცების მახედაც იყო გამოყენებული, ეს ჯარისკაცები ალბათ წინააღმდეგნი როდი იქნებოდნენ მთელი ომის განმავლობაში, ეძებნათ თავისი ნაწილები, ხოლო უფრო მეტი სიამოვნებით ისინი საეტაპო სამმართველოებში იდგნენ მაგიდებთან, რომლის თავზე დაფა იყო გამოკიდებული წარწერით: „Minagegeld“¹.

¹ საკვების ფული (გერმ.).



როდესაც ჩასუქებული პორუჩიკი შემოვიდა, უფროსმა გადამწერმა დაიყვირა:

— Habtacht! ¹ — ხოლო პორუჩიკმა შვეიკს ჰკითხა:

— სად არის შენი საბუთები?

შვეიკმა საბუთები წარუდგინა. პორუჩიკი დარწმუნდა შვეიკის მარშრუტის სისწორეში შტაბიდან ასეულისაკენ, დაუბრუნა მას ქაღალდები და კეთილგანწყობილად უთხრა კაპრალს, რომელიც მაგიდასთან იჯდა: „აცნობეთ“, — შემდეგ კვლავ ჩაიკეტა თავის კანცელარიაში.

როგორც კი კარი მოიხურა, შტაბის გადამწერმა ფელდფებელმა სტაცა შვეიკს მხარში ხელი, მიათრია გასასვლელთან და ასეთი სახის ინფორმაცია მისცა მას:

— შენი ფენი აღარ იყოს აქ, შე მყრალო!

და შვეიკი კვლავ იმ ორომტრიალში აღმოჩნდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ვინმე ნაცნობს მაინც მოჰკრავდა თვალს ბატალიონიდან. დიდხანს დადიოდა ქუჩა-ქუჩა; ბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ ვი-

¹ სმენა (გერმ.).

დაც პოლკოვნიკი გააჩერა და დამტკრეული გერმანულით ჰკითხა, ხომ არ იცით, პანე პოლკოვნიკო, სად იმყოფება ჩემი ბატალიონი და სამარშო ასეულიო.

— შეგიძლია მელაპარაკო ჩეხურად, — უთხრა პოლკოვნიკმა, — მეც ჩეხი ვარ. შენი ბატალიონი განლაგებულია აქვე, სოფელ კლიმონტოვოში, რომელიც რკინიგზის გადაღმაა, მაგრამ უმჯობესია იქ არ წახვიდეთ, რადგან კლიმონტოვოში შესვლისას, ერთერთი თქვენი ასეულის ჯარისკაცებმა მოედანზე ბავარიელებს ჩხუბი აუტეხეს.

შვეიცი კლიმონტოვოსაკენ გაემართა.

პოლკოვნიკმა დაუძახა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და მისცა მას ხუთი კრონა სიგარეტებისათვის. შემდეგ კიდევ ერთხელ ალერსიანად გამოეთხოვა შვეიკს და გზას გაუდგა, თან გზადაგზა ფიქრობდა: „რა სიმპათიური ჯარისკაცია“.

შვეიკმაც განაგრძო გზა სოფლისაკენ. თან პოლკოვნიკზე ფიქრად თაფიდან არ შორდებოდა. მას ანალოგიური შემთხვევა გაახსენდა: ოცი წლის წინათ, ტრენტოში იყო ერთი პოლკოვნიკი გებერმაიერი, რომელიც აგრეთვე ალერსიანად ეპყრობოდა ჯარისკაცებს, ხოლო ბოლოსდაბოლოს აღმოჩნდა, რომ იგი ჰომოსექსუალისტია. კურორტ ადიჯეში ერთი კადეტი კინალამ გახრწნა; მას დისციპლინარული სასჯელით ემუქრებოდა.

ასეთ საშინელ ფიქრებში მიაღწია შვეიკმა უახლოეს სოფელს. მან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იპოვა ბატალიონის შტაბი. თუმცა სოფელი დიდი იყო, მასში მხოლოდ ერთი რიგიანი შენობა აღმოჩნდა — სოფლის დიდი სკოლა, რომელიც ამ წმინდა უკრაინულ მხარეში ჰალიციის სამხარეო სამმართველომ ააშენა, სოფლის პოლონიზაციის გაძლიერების მიზნით.

ომის დროს ამ სკოლამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. აქ იყო განლაგებული რუსული და ავსტრიული შტაბები. დიდი ბრძოლების დროს კი, რომლებსაც ლოვის ბედი უნდა გადაეწყვიტა, ფიზკულტურის დარბაზი საოპერაციო ოთახად აქციეს. აქ კვეთავდნენ ხელებს და ფეხებს; ახდენდნენ თავის ქალის ტრეპანაციებს.

სკოლის უკან, ბაღში მსხვილკალიბრიანი ქუროვის აფეთქების შედეგად დიდი, ძაბრისებური ორმო დარჩა. ბაღის კუთხეში იდგა მაგარი ჯიშის მსხალი; ერთ-ერთ მის ტოტზე ეკიდა გადაპრილი თოკის ნაჭერი, რომელზედაც სულ ცოტა ხნის წინათ ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ქანაობდა. იგი ჩამოახრჩვეს ადგილობრივი სკოლის დირექტორის, ეროვნებით პოლონელის დასმენით. ბრალი დასდეს თითქოს ძველი რუსული პარტიის წევრი იყო და რუსული ოკუპაციის დროს წირავდა რუსთა მართლმადიდებელი მე-

ფის გამარჯვებისათვის. ეს არ შეეფერებოდა სიმართლეს, რადგანაც სწორედ იმ დროს, დამნაშავე პატარა კურორტზე ბოხსნე ზამპუროვანეში იმყოფებოდა, რომელსაც ომი საერთოდ არ შეეხებია; აქ იგი ნაღვლის ბუშტის კენჭოვან დაავადებას მკურნალობდა.

ბერძნულ-კათოლიკური მღვდლის ჩამოხრჩობაში როლი ითამაშა რამდენიმე ფაქტმა: ნაციონალიზმამ, რელიგიურმა შუღლმა და ქათამმა. საქმე იმაშია, რომ უბედურმა მღვდელმა ზუსტად ომის დაწყების წინ თავის ბოსტანში სკოლის დირექტორის ქათამი მოჰკლა, რომელიც მის მიერ დათესილი ნესვის თესლს ჰკენკავდა.

ბერძნულ-კათოლიკური მღვდლის სახლი დაცარიელებული იყო, რადგან ყველამ რაღაც წამოიღო მღვდლის სამახსოვროდ თავისთვის.

ერთმა პოლონელმა გლეხკაცმა ძველი როიალიც კი წაიღო სახლში, რომლის სახურავიც მან საღორის კარების შესაკეთებლად გამოიყენა. ავეჯის ნაწილი, როგორც წესია, ჯარისკაცებმა შეშად დააპეს და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ გადაარჩა დიდი ღუმელი სახელმწიფოებრივი პლიტით, რადგანაც ბერძნულ-კათოლიკური მღვდელი არაფრით არ გამოირჩეოდა თავის რომაულ-კათოლიკური კოლეგებისაგან, უყვარდა ქამა და უყვარდა, რომ პლიტაზე და ღუბოვკაში მდგარიყო ბევრი ქოთნები და ტაფები.

ტრადიციად იქცა ამ სამზარეულოში ყველა გამვლელი ნაწილების ოფიცერთათვის საჭმლის მზადება. ზემოთ დიდ ოთახში ეწყობოდა რაღაც ოფიცერთა კრების მსგავსი. მაგიდებსა და სკამებს აგროვებდნენ ხოლმე მთელ სოფელში.

სწორედ დღეს ბატალიონის ოფიცრებმა საზეიმო ვახშამი გამართეს. იყიდეს ღორი შეგროვილი ფულით, ხოლო მზარეულმა იურაიდამ ამ შემთხვევის გამო მოუწყო ოფიცრებს შესანიშნავი ქეიფი.

იურაიდა გარშემორტყმული იყო აუარება მუქთახორით დენშიქითა რიგებიდან, რომელთა შორის უფროსი ვადამწერი ვანეკი გამოირჩეოდა. იგი ურჩევდა იურაიდას, ისე გაეჩეხა ღორის თავი, რომ მისთვის დინგის ნაჭერი დარჩენილიყო.

ყველაზე მეტად გაუმაძღარი ბალოუნი ყვლებდა თვალებს. ალბათ, ასეთივე სიხარბითა და სასოებით უმზერენ კაციქამიები შამფურზე წამოცმულ მისიონერს, რომელიც ცეცხლზე იწვის, ქონი მოსდის და ამასთან ჰაერში აყენებს ხოხოზიკის საამურ სუნს. ბალოუნი თავს ურიკაში გაბმული მეძებვის ძაღლივით გრძნობდა, როდესაც მის გვერდით ძებვების დამტარებელი შეგირდი თავზე დადგმულ სავსე კალათას ჩაატარებს ხოლმე. ეს საძაგელი ღვედები

და ალიკაპი რომ არ უშლიდეს შეხტებოდა და კარგადაც გაჰკრავდა ბილს ამ ძეხვებს.

ხოლო ჯიგრის საჩურთი, ჯიგრის ძეხვის ეს უშველებელი ჩანასახი ფიცარზე იღო და პილპილის, ჯიგრისა და ქონის სურნელი ასდიოდა.

იურაიდა აკაპიწებული სახელოებით ისეთი კარგი შესახედავი იყო, რომ მის შემხედავს შეეძლო ტილოს დაწერა როგორ ქმნის ღმერთი მიწას ქაოსიდან.

ბალოუნმა თავი ველარ შეიმაგრა და აზლუქუნდა. ზლუქუნი თანდათან ქვეთინში გადავიდა.

— რა ხარივით ბლავი?! — ჰკითხა მას მზარეულმა იურაიდამ.

— მშობლიური სახლი გამახსენდა, — ქვეთინით უპასუხა ბალოუნმა, — მე, არც ერთი წუთით არ გავდიოდი ხოლმე სახლიდან, როდესაც ძეხვს ამზადებდნენ. არასოდეს არ მიმირთმევეია ძღვენი არცერთი ჩემი საუკეთესო მეზობლისათვის, ყველაფერი მარტო მინდოდა შემესანსლა... და ვსანსლავდი კიდევც. ერთხელ ისე გამოვსკიდი ჯიგრის ძეხვით, სისხლის ძეხვით, და მუჟუჟით, რომ ყველას ეგონა მუცელზე გავსკდებოდი. ერთხელ ეზოს გარშემოც კი მარბენინეს სამყურასაგან მუცელგაბერილი მოზვერივით.

— პან იურაიდა, ნება მომეცით გავსინჯო ეს საჩურთი და მერე თუნდაც შემეკრან, თორემ ამ ტანჯვას ველარ გავუძლებ.

ბალოუნი წამოდგა სკამიდან, მთვრალივით ბარბაციით მივიდა მაგიდასთან და გაიწვდინა თათი საჩურთისაკენ.

გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. დამსწრეთ ძლივს შესძლეს ბალოუნის გაკავება, რომ იგი არ სძგერებოდა საჩურთს. მაგრამ როდესაც სამზარეულოდან აგდებდნენ, თავდავიწყებაში მყოფმა ნაწლავები დაითრია, რომლებიც წყლიან ქოთანში ეწყო დასალბობად ჯიგრის ძეხვისათვის. ამ საქმეში კი ხელის შეშლა ველარავინ მოასწრო.

მზარეული იურაიდა ისე გაბრაზდა, რომ გაქცეულ ბალოუნს პატარ-პატარა კვარის შეეკრა ესროლა და თან მიადახა:

— ხეთქე ხის სამაგრები, უნამუსო *.

ამასობაში ზემოთ ბატალიონის ოფიცრები შეგროვილიყვნენ და იმის საზეიმო მოლოდინში, რაც ქვემოთ, სამზარეულოში მზადდებოდა, სხვა ალკოპოლის უქონლობის გამო სვამდნენ უბრალო პურის არაყს, ყვითლად შეფერილს ხახვის ნახარშით. დახლიდარი ებრაელი ირწმუნებოდა, რომ ეს საუკეთესო და ნამდვილზე უნამდვილესი ფრანგული კონიაკია, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო მამისაგან, ხოლო მამამისმა მემკვიდრეობით მიიღო ბაბუამისისაგან.

— შენ, ეი, მომისმინე, — უხეშად შეაწყვეტინა მას კაპიტანმა საგნერმა, — თუკი შენ იმასაც დაუმატებ, რომ შენმა პაპიპაპამ ეს კონიაკი ფრანგებისაგან იყიდა, როცა ისინი მოსკოვიდან გარბოდნენ, ვუბრძანებ ჩაგსვან სატუსალოში და გამყოფონ მანამ, სანამ შენი ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი ყველაზე უფროსი არ გახდება.

როდესაც ისინი ყოველი ყლუპის შემდეგ წყველა-კრულვას უგზავნიდნენ გაქნილ ებრაელს, შვეიკი იჯდა ბატალიონის კანცელარიაში, სადაც მოხალისე მარეკის გარდა არავინ იყო. მარეკმა ისარგებლა ზოლტანეტთან ბატალიონის შეჩერებით, რათა რიგიანად აეწერა რამდენიმე გამარჯვებით დაგვირგვინებული ბრძოლა, რომლებიც ექვგარეშეა მომავალში უნდა მომხდარიყო.

ჯერჯერობით მას მხოლოდ მონახაზები გადაჰქონდა ფურცელზე. შვეიკის მოსვლამდე მან მოასწრო მხოლოდ შემდეგი სიტყვების დაწერა: „თუკი ჩვენი სულიერი თვალთახედვის წინაშე წარსდგება სოფელ №-თან ბრძოლებში მონაწილე ყველა გმირი, სადაც ჩვენ ბატალიონთან მხარდამხარ იბრძოდა №-ის პოლკის ერთი ბატალიონი და აგრეთვე № პოლკის სხვა ბატალიონიც, ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენმა №-ის ბატალიონმა გამოამყდარა ბრწყინვალე სტრატეგიული ნიჭი და უექველად ხელს უწყობდა №-ის დივიზიის გამარჯვებას, რომლის ამოცანას შეადგენდა ჩვენი პოზიციის საბოლოო განმტკიცება №-ის მონაკვეთზე“.

— აი, ხედავ, — უთხრა შვეიკმა ნებითგანწესებულს, მე კვლავ აქა ვარ.

— ნება მომეცი დაგყნოსო, — უთხრა გულაჩუყებულმა ნებითგანწესებულმა მარეკმა. — ჰმ, შენ მართლაც ციხის სუნი გიდის.

— ჩვეულებრივი ამბავია, — უპასუხა შვეიკმა, ეს პატარა გაუგებრობა იყო. შენ რასა იქმ?

— როგორც ხედავ, — უპასუხა მარეკმა, — მინდა აღვბეჭდო ქაღალდზე ავსტრიის გმირი-დამცველები, მაგრამ არაფრით არ გამომდის. გამომდის მხოლოდ „ი“¹. ხაზგასმით აღვნიშნავ, ამ ასომ არაჩვეულებრივ სრულყოფას მიაღწია აწმყოში და მომავალში კიდევ მეტ სრულყოფას მიაღწევს. გარდა ყველასთვის უკვე ცნობილი ნიჭისა, კაპიტანმა საგნერმა ჩემში აღმოაჩინა არაჩვეულებრივი მათემატიკური ტალანტი. ახლა მე უნდა შევამოწმო ხოლმე ბატალი-

¹ ორიგინალში აქ სიტყვათა თამაშია: „ი“-ს ჩეხურად ორი მნიშვნელობა აქვს: ინიო-1/№ და არაფერი.



ონის ანგარიშები და ამჟამად მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბატალიონი სრულიად პასიურია და მხოლოდ შემთხვევას უცდის, მიაღწიოს თავის რუს კრედიტორებთან რაიმე შეთანხმებას, რადგანაც როვორც დამარცხების, ისევე გამარჯვების შემდეგაც რაც ძალი და ღონე აქვთ იპარავენ. თუმცა ეს სულერთია, თუნდაც თავები დაგვიხეთქონ. — აი ჩვენი გამარჯვების საბუთი, ვინაიდან მე როგორც ჩვენი ბატალიონის ისტორიოგრაფს მოცემული მაქვს საპატიო დავალება დავწერო: „ბატალიონი კვლავ მტერთან შეტევაზე გადავიდა, რომელიც უკვე სთვლიდა, რომ გამარჯვება მის მხარეზეა. ჩვენი ჯარისკაცების თავდასხმა და ხიშტების იერიში ერთი იყო. მოწინააღმდეგე თავზარდაცემული გარბის, ცვივა საკუთარ სანგრებში, ჩვენ ვჩხელეტ მას იმდენად შეუწყნარებლად, რომ იგი უწესრიგო მდგომარეობაში სტოვებს მათ, შეგვატოვებს რა ხელში დაჭრილ და დაუპრელ ტყვეებს: ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მშვენიერი მომენტია. ის, ვინც ომის შემდეგ ცოცხალი დარჩება, საველე ფოსტით წერილს გაგზავნის: ძვირფასო ცოლო, კარგად მოსცხეს საჯდომზე. მე ჯანმრთელად ვარ. მოსწყვიტე თუ არა ძუძუს ჩვენი კუდრაჭა ბიჭი? ოღონდ ნუ ასწავლი მას დაუძახოს „მამა“ უცნობ მამაკაცებს, ჩემთვის ეს ძალზე არასასიამოვნო იქნებოდა“. შემდეგ ცენზურა ამოშლის „კარგად მოსცხეს საჯდომზე“—ს, რადგანაც გაუგებარია თუ ვის მოსცხეს, ეს სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული, აზრი ბუნდოვნად არის გადმოცემული.

— მთავარია ნათლად გამოხატო აზრი, — წარმოსთქვა შევიკმა, — 1912 წელს პრალაში, წმიდა ეგნატესთან მისიონერები მსახურობდნენ, იყო მათ შორის ერთი მოქალაქე, რომელიც ამვონიდან ამბობდა, რომ ზეცაში იგი ალბათ ვერავის ვერ შეხვდება. იმ საღამოს წირვას ესწრებოდა ერთი მეთუნე კულიშეკი. ღვთის მსახურების შემდეგ იგი ღუქანში მოვიდა და აზრი გამოსთქვა, რომ მისიონერს, დიდი სისულელე ჩაუდენია, თუკი ეკლესიაში საჯარო აღსარების დროს, ასე ღიად განაცხადა, რომ ცაზე არავის შეხვდებაო. აბა ერთი ეს მითხარით, რისთვის უშვებენ ასეთ ადამიანებს ამვონზე?! საჭიროა ყოველთვის ნათლად, მკაფიოდ და მიუკიბ-მოუკიბავად ილაპარაკო. „ბრეიშკებთან“ მრავალი წლის წინათ მუშაობდა ერთი მმართველი. მას ცუდი ჩვეულება ჰქონდა: როდესაც სამუშაოდან შეზარხოშებული ბრუნდებოდა აუცილებლად უნდა შეეხვია ღამის კაფეში. აქ ის ჭიქას უჭახუნებდა ხოლმე უცხოებს და ეუბნებოდა: „ჩვენ თქვენზე, თქვენ ჩვენზე...“ ამის გამო მას ერთხელ კიდევ მიიღო ყბაში ერთი საკმაოდ წესიერი იიგლაველი კაცი საგან. როდესაც დილით მის კბილებს ხვეტდნენ, კაფეს პატ-

რონმა დაუძახა თავის ქალიშვილს, მეხუთე კლასის მოწაფეს და ჰკითხა, რამდენი კბილი აქვს მოზრდილ ადამიანს. ხოლო, რადგან მან ეს არ იცოდა, მამამისმა ორი კბილი ჩაუმტვრია. მედუქნემ მესამე დღეს მმართველისაგან წერილი მიიღო. იგი ბოლიშს იხდიდა მიყენებული უსიამოვნების გამო: მას თურმე ფიქრადაც არ ჰქონია არავითარი უხეშობის თქმა. ხოლო ხალხმა მას ვერ გაუგო, იმიტომ რომ: „ჩვენ თქვენზე, თქვენ ჩვენზე“ სხვას არაფერს ნიშნავს გარდა: „ჩვენ თქვენზე, თქვენ ჩვენზე რა გვაქვს გასაბრაზებელი“: მან ვინც ორაზროვნად ლაპარაკობს, ჯერ კარგად უნდა მოიფიქროს, რაც სათქმელი აქვს. გულახდილი ადამიანი, რომელსაც რაც გულში აქვს, ის აკერია ენაზეც, სილას იშვიათად იმსახურებს. ხოლო თუ მიიღებს რამდენიმეჯერ, მერე ამჯობინებს ენას კბილი დააჭიროს. მართალია ასეთ ადამიანზე ფიქრობენ, რომ ის ცბიერია და, ღმერთმა იცის, კიდევ როგორი. ერთხელ ამის გამოც შეიძლება ის მიტყუპონ, მაგრამ ყოველივე ეს დამოკიდებულია მის გონიერებასა და თავშეკავების უნარზე, მან თვითონ უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი ერთია, ხოლო მისი მოწინააღმდეგე — ბევრი. ისინი კი საკუთარ თავს შეუტრაცხყოფილად გრძნობენ და თუკი ის ერთი დაიწყებს მათთან ჩხუბს, მაშინ ორჯერ და სამჯერ მეტს მიიღებს. ასეთი ადამიანი მორიდებულად უნდა იყოს და მომთმენიც. ნუსლებში ცხოვრობს პან გაუბერი. ერთხელ, კვირადღეს იგი ქალაქგარეთ გასეირნებიდან ბრუნდებოდა. ბარტუნსკის წისქვილის მახლობლად მარაზე კუნრატიცში მას შეცდომით დანა გაუყარეს ზურგში. იგი ამ დანით მოვიდა სახლში. როცა ცოლი პიჯაკს ხდიდა, მან ფრთხილად ამოაძრო ქმარს დანა. ხოლო დღისით იგი გულიაშისათვის ხორცს კეპავდა ამ დანით. შესანიშნავი დანა იყო ბოლინგენის ფოლადისაგან, საუცხოოდ გაღესილი, სახლში კი მათ არცერთი დანა არაფრად არ უვარგოდათ, ყველა დაკბილული და დაბლაგვებული იყო. შემდეგ მას მოუნდა სამზარეულოში ასეთი დანების მთელი კომპლექტი ჰქონოდა, და თავის ქმარს ყოველ კვირაობით უშვებდა ხოლმე სასეირნოდ კუნრატიცში. მაგრამ იგი ისეთი მორიდებული იყო, რომ დადიოდა მხოლოდ ბანზეტებთან ნუსლში. კარგად იცოდა, რომ ბანზეტებთან სამზარეულოში მას უფრო ადრე თვითონ ბანზეტი გამოფატრავდა მუცელს, ვიდრე ვინმე სხვა გაბედავდა მისი ხელის ხლებას.

— შენ სულ არ შეცვლილხარ; — უთხრა შვეიკს ნებითგანწყობულმა.

— არ შევცვლილვარ, — უბრალოდ მიუგო შვეიკმა. — ამისათვის მე დრო არ მქონდა. მათ ჩემი დახვრეტაც უნდოდათ, მაგ-

რამ ყველაზე საშინელი ეს კი არ არის, რაც მთავარია, მე თორმეტი რიცხვიდან ხელფასი აღარსად მიმიღია.

ჩვენთან მისი მიღების იმედი ნუ გექნება, რადგანაც სოკალზე მივდივართ და ხელფასს მხოლოდ ბრძოლის შემდეგ დაარიგებენ. საჭიროა ეკონომია. თუ გავითვალისწინებთ, რომ იქ ორი კვირის განმავლობაში რაღაც მოხდება, მაშინ ჩვენ ყოველ გარდაცვლილ ჯარისკაცზე ოცდაოთხი კრონისა და სამოცდათორმეტი ჰელერის ეკონომიას გავაკეთებთ.

— კიდეც რა არის თქვენთან ახალი?

— ჯერ ერთი, დაიკარგა ჩვენი არიერგარდი, შემდეგ, ღორი დაკლეს, რის გამოც ოფიცრებმა მღვდლის სახლში ღრეობა მოაწყვეს; ხოლო ჯარისკაცები სოფელში დაიფანტნენ და ადგილობრივ მცხოვრებ ქალებთან ეწვევიან გარყვნილებას. სადილის წინ თქვენი ასეულიდან ერთი ჯარისკაცი დაიჭირეს, იმის გამო, რომ იგი ერთ სამოცდაათი წლის დედაბერს დაედევნა სხვენზე. ჩემი აზრით, იგი არ არის დამნაშავე, რადგან დღევანდელ ბრძანებაში არ სწერია, რომელ ასაკამდეა ეს ნებადართული.

— მეც ასე მიმაჩნია, — ჩაურთო შევიკმა, — რომ იგი დამნაშავე არაა, როცა დედაბერი მიძვრება მალლა კიბეზე, ადამიანი მის სახეს ხომ ვერ ხედავს. ზუსტად ასეთი შემთხვევა მოხდა სამხედრო მანევრების დროს ტაბორთან. ერთ-ერთი ჩვენი ოცეული დააბინავეს დუქანში. აქ ვიღაც ქალი შესასვლელში იატაკს რეცხდა. ჯარისკაცი ხრამოსტა მიეპარა და მიარტყა ქვედაწელ კაბაზე, კაბა კი ძალიან მალლა ჰქონდა ქალს აკეცილი. მან ერთხელ მოარტყა, — ქალმა არაფერი უთხრა, მეორედაც გაიმეორა, მესამედაც, — კვლავ არაფერი, თითქოს ეს მას არ ეხებოდა, მაშინ ხრამოსტამ გახედა ნამდვილ მოქმედებაზე გადასვლა; ქალი მშვიდად განაგრძობდა იატაკის რეცხვას; მერე კი შემოუტრიალდა და უთხრა: „აი, როგორ გამოგოჭირეთ ჯარისკაცუნავ“. ეს ბებია სამოცდაათ წელს მიღწეული იყო, შემდეგში იგი ამ ამბავს მთელ სოფელს უამბობდა. ახლა კი ნება მიბოძეთ ერთი შეკითხვა მოგცეთ. ჩემი აქ არ ყოფნის დროს შენც ხომ არ ყოფილხარ დატუსაღებული?

— არა, როგორღაც საშუალება არ მომეცა, — თავს იმართლებდა მარეკი, — მაგრამ, უნდა გაცნობო, რომ ბატალიონში უკვე გაცემულია ბრძანება შენი დატუსაღების შესახებ.

— ეს არაფერი, — მშვიდად სთქვა შევიკმა, — ისინი სავსებით სწორად მოიქცნენ. ბატალიონს ეს უნდა გაეკეთებია, მას უნდა გაეცა ბრძანება ჩემი დატუსაღების შესახებ, ეს მათი მოვალეობაა, მათ ხომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩემს შესახებ არავითარი ცნობა

არ მიუღიათ. ბატალიონი წინდაუხედავად არ მოქცეულა. მაშ ასე, შენ თქვი, თითქოს ყველა ოფიცერი მღვდლის სახლში იმყოფება ღორის დაკვლის მიზეზით გამართულ ღრეობაზე? მაშ, მე უნდა გამოვცხადდე მათთან და მოგახსენო, რომ კვლავ აქა ვარ. ბატონ ობერ-ლეიტენანტ ლუკაშს ისედაც უამრავი თავსატეხი გავუჩინე.

შვეიკი ჯარისკაცის მტკიცე ნაბიჯით გაემართა მღვდლის სახლისკენ და თან მიიმღეროდა:

დასტები ჩემი ყურებით,
ჩემო მშვენიერო!
დასტები ჩემი ყურებით:
ნახე ღღეს როგორი ვარ,
ბატონივით დავდივარ.

შვეიკი მღვდლის სახლში ზემოთ ავიდა, საიდანაც ოფიცერთა ხმები მოისმოდა.

ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, რაზედაც მოხვდებოდათ, ამ წუთში კი პატივს სდებდნენ ბრიგადასა და იმ უწესრიგობას, რომელიც იქაურ შტაბში სუფევდა. ბრიგადის ადიუტანტმა, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთი გადაასხა, როდესაც შენიშნა:

— ჩვენ მაინც ვუღებეშეთ იმ შვეიკის შესახებ: შვეიკ... — Hier! — გამოეხმაურა გამოღებული კარიდან შვეიკი და ოთახში შესვლის შემდეგ კვლავ გაიმეორა — Hier! Melde gehorsam. Infanterist Svejik, kumpanieordonanz 11. Marsch kumpanie!¹

მან დაინახა როდენი სასოწარკვეთილება და განცვიფრება იხატებოდა კაპიტან საგნერისა და პორუჩიკ ლუკაშის სახეებზე და შეკითხვას არც კი დაელოდა, ისე განმარტა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, დახვრეტას მიპირებდნენ იმის გამო, რომ მეფე-იმპერატორს ვუღალატე.

— ღმერთო ჩემო, რას ლაპარაკობთ, შვეიკ? — გამწარებით წამოიყვირა გაფითრებულმა პორუჩიკმა ლუკაშმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, საქმე შემდეგში იყო, პანე ობერ-ლეიტენანტ...

და შვეიკი საფუძვლიანად შეუდგა ყოველივე იმის აღწერას, თუ რა შეემთხვა.

¹ აქ ვარი მაქვს პატივი მოგახსენოთ, ქვეთი შვეიკი მე-11 სამარშო ასეულის ორდინარეცი (გ ე რ მ.).



ყველა მისჩერებოდა და საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ. ის კი ყვებოდა დაწვრილებით ყველაფრის შესახებ, იმისაღნიშვნაჲკი არ დავიწყებია, რომ წყალსაცავის ჯებირზე. სადაც მას უბედურება შეემთხვა, თავვისყურა იზრდებოდა. ხოლო როდესაც იგი იმ თათართა გვარების ჩამოთვლას შეუდგა, რომლებიც თავისი მოგზაურობის დროს გაიცნო, და დაასახელა რადაც ვალიმულაბალიების მსგავსი, ხოლო შემდეგ მიუმატა მთელი რიგი მისსავე მიერ მოგონილი გვარებისა: ვალივოლაველივეი, მალიმულამალიმეი, პორუჩაჲმა ლუქაშმა თავი ველარ შეიკავა და დაემუქრა:

— გისვრით აქედან, პირუტყვო. განაგრძეთ მოკლედ, მაგრამ დაწყობილად.

შვეიცოც განაგრძობდა მისთვის დამახასიათებელი თანამიმდევრობით. როდესაც სავლემ სასამართლომდე მიადღწია, დაწვრილებით აღწერა გენერალი და მაიორი. მან შენიშნა, რომ გენერალი მარცხენა თვალით ელამი იყო, ხოლო მაიორს ჰქონდა ცისფერი თვალი.

— რომ არ გაძღვევენ სიმშვიდეს ღამით! — გართმა მან.

აქ მეთორმეტე ასეულის მეთაურმა ციმერმანმა შვეიცის ესროლა თიხის ტოლჩა, რომლიდანაც იგი მაგარ, ებრაულ არაყს სვამდა.

შვეიკი მშვიდად განაგრძობდა თხრობას ზიარების შესახებ, მაიორის შესახებ, რომელსაც მასთან ჩახვეულს ეძინა. შემდეგ იგი გამოვიდა ბრიგადის ბრწყინვალე დაცვით, სადაც იგი გადაგზავნეს. როდესაც ბატალიონმა მოითხოვა მისი, როგორც უკვალოდ დაკარგულის, დაბრუნება. და ბოლოს, როდესაც იგი კაპიტან საგნერს უდგენდა საბუთებს, რომელთა მიხედვითაც ნათელი ხდებოდა, რომ უმაღლესმა ინსტანციამ მას ყოველგვარი ექვი მოხსნა, გაასიგნა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, დუბი ბრიგადა-შია. მას ტვინის შერყევა აქვს. მთხოვა ყველა თქვენთაგანისთვის მოკითხვა გადმომეცა. გთხოვთ გასცეთ ჩემთვის ხელფასი და ფული თუთუნისათვის.

კაპიტანმა საგნერმა და პორუჩიკმა ლუკაშმა შეკითხვის ნიშნად ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ. ამ დროს კარი გაიღო და ხის გეჯით შემოიტანეს ღორის შიგნეულობისაგან დამზადებული წვნიანი. მას ოხშივარი ასდიოდა.

ეს იყო იმ ნეტარების დასაწყისი, რომელსაც ყველა ასე მოუთმენლად ელოდა.

— უბედური, — წაიბუტბუტა მოახლოვებული ნეტარების განცდით კარგ ხასიათზე მოსულმა კაპიტანმა საგნერმა, — თქვენ მხოლოდ ღორის დაკვლის აღსანიშნავად მოწყობილმა ღრებამ გიხსნათ.

— შვეიკ, — დასძინა პორუჩიკმა ლუკაშმა, — თუკი კვლავაც შეგემთხვევათ ამის მსგავსი რამ, ცუდად იქნება თქვენი საქმე.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, მე უნდა დამატყდეს კიდეც რაიმე თავს, — საღმის მიცემით დაემოწმა შვეიკი, — როდესაც აღამიანი სამხედრო სამსახურშია, იგი მოვალეა იცოდეს და ეს-მოდეს...

— დაიკარგეთ! — იღრიალა კაპიტანმა საგნერმა.

შვეიკმა მოუსვა და სამზარეულოში ჩავიდა.

იქვე დაბრუნდა დაჩაგრული ბალოუნი და ნებართვა ითხოვა, ქეიფში მომსახურებოდა პორუჩიკ ლუკაშს.

შვეიკი მოვიდა სწორედ მზარეული იურაიდასა და ბალოუნის გაცხარებული კამათის დროს.

იურაიდა რაღაც გაუგებარ გამოთქმებს ხმარობდა:

— შე ღორმუცელა პორუტყვო, — ეუბნებოდა ის ბალოუნს, — შე უძირო კასრო. ნახავდი რა ჯოჯოხეთურ ტანჯვას იგრძნობდი შენთვის ჯიგრის ძეხვის ზემოთ წაღება რომ მებრძანებინა.

სამზარეულო ახლა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ბატალიო-

ნებისა და ასეულების უფროსი გადამწერები პირს იტყბარუნებდნენ მზარეულ იურაიდას მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ბატალიონის გადამწერები, ასეულების ტელეფონისტები და რამდენიმე უნტერ-ოფიცერი ხარბად ჰამდნენ ჟანგიანი პირსაბანი ტაშტიდან ღორის შიგნეულობისაგან დამზადებულ წვნიანს, რომლისთვისაც მდულარე წყალი დაემატებინათ, რომ ყველას რგებოდა.

— გამარჯობა შენი, — მიესალმა შვეიკს უფროსი გადამწერ ვანეკი, იგი ღორის ფეხს ხრავდა, — ეს წუთია ჩვენთან იყო ნებით განწესებული მარეკი და გვაცნობა შენი ასეულში დაბრუნება. ისიც გვითხრა, რომ ახალი მუნდირი გაცვია. სწორედ კარგ ხათაბალაში გავები შენი გულისათვის. მარეკი მაშინებს, მეუბნება რომ შენი მუნდირის მიზეზით აწი ვერაფრით ვერ გავასწორებთ ანგარიშს ბრიგადასთან, შენი საკუთარი მუნდირი წყალსაცავის ჯებირზე იპოვეს, და ჩვენც ბატალიონის კანცელარიის საშუალებით შევატყობინეთ ამის შესახებ ბრიგადას. თქვენ ჩვენთან ირიცხებით, როგორც ბანაობის დროს წყალში დამხრჩვალი. თქვენი დაბრუნება საერთოდ არ იყო საჭირო და არ უნდა მოგეყენებინათ ჩვენთვის უსიამოვნება ერთ კაცზე გაცემული ორი მუნდირის გამო. თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორ გააწბილეთ ბატალიონი. თქვენი მუნდირის ყოველი ნაწილი ჩვენს შემოსავალშია გატარებული, ასეულის მუნდირთა ჩემ სიაში ამ მუნდირის ქონება აღინიშნება როგორც ზედმეტობა. მე უკვე ვაცნობე ბატალიონს, რომ ჩვენს ასეულში ერთი მუნდირი ზედმეტია. ახლა გამოგვიგზავნიან ბრიგადიდან იმ უწყებასაც, რომ თქვენ ახალი მუნდირი მიიღეთ. კარგად ვიცი, რითაც შეიძლება დამთავრდეს ეს, ამის გამო შეუძლიათ რევიზია დაგვინიშნონ. ყოველთვის ასეა, როდესაც საქმე ასეთ წვრილმანს ეხება, სწორედ მაშინ ჩამოვლენ საინტენდანტოდან, აი, როცა ორიათასი წყვილი ჩექმა იკარგება, ეს არავის აინტერესებს.

— მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ჩვენ თქვენი მუნდირი დაგვეკარგა, — ტრაგიკულად აცნობა ვანეკმა და გამოწოვა ტვინი ძვლიდან, რომელიც მას შემთხვევით ზედა წილად, ნარჩენები კი ამოწმინდა ასანთის ღერით, რომელსაც ამავე დროს კბილის საჩიჩქნადაც იყენებდა. — ასეთი წვრილმანის გამო უსათუოდ გამოცხადდება ინსპექცია. როცა მე კარპატებზე ვმსახურობდი, იქ ინსპექცია ჩამოვიდა იმის გამო, რომ ჩვენ ცუდად ვასრულებდით ბრძანებას — გავვეძრო გაყინული ჯარისკაცებისათვის ჩექმები, ისე რომ არ დაგვეზიანებინა ისინი. ვხდიდით, ვხდიდით და ორ ჯარისკაცზე გადაგვისკდა.

მართალია ერთ-ერთ მათგანს ისინი ჯერ კიდევ სიცოცხლეში დახეთქვოდა. ჩვენ კი უბედურება ზეავივით დაგვატყდა თავზე. ჩამოვიდა საინტენდანტოდან პოლკოვნიკი და, რომ მას ჩამოსვლისთანავე შემთხვევით რუსების ტყვია არ მოხვედროდა თავში, არც კი ვიცი რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

— მასაც გააძრეს ჩექმები? — დაინტერესდა შვეიკი.

— გააძრეს, — დაფიქრებით უპასუხა ვანექმა, — მაგრამ არ იციან ვინ, ისე რომ პოლკოვნიკის ჩექმების ანგარიშში მითითება ჩვენ ვერ შევძელით.

მზარეული იურაიდა კვლავ დაბრუნდა ზემოდან, და მიაშტერდა თავზარდაცემულ ბალოუნს, იგი სევდიანი და განადგურებული იჯდა ღუმელთან და ნაღვლიანად დაჰყურებდა თავის ჩავარდნილ მუცელს.

— შენი ადგილი გეზიხასტების * სექტაშია, — თანაგრძნობით უთხრა განსწავლულმა მზარეულმა იურაიდამ, — ისინი მთელი დღეების განმავლობაში დაჰყურებდნენ თავიანთ ჭიპს, სანამ არ მოეჩვენებოდათ, რომ მის გარშემო შარავანდელი გაჩნდა. ამის შედეგად ისინი სთვლიდნენ, რომ მესამე ხარისხის სრულყოფას მიაღწიეს.

იურაიდამ გამოალო ჰაერღუმელი და ამოიღო იქიდან ერთი სისხლის ძეხვი.

— ხეტქე, ბალოუნ, — უთხრა მან ალერსიანად, ხეტქე, გასკდა შენი მუცელი, შე ღორმუცელა.

ბალოუნს თვალში ცრემლი მოერიო.

— როდესაც სახლში ღორს ვკლავდით, — საწყლად ყვებოდა იგი, და თან შეექცეოდა პატარა სისხლის ძეხვს, — მე ჯერ ბუჟუჟს ვუპამდი, შემდეგ მთელ დინგს, გულს, ყურს, ღვიძლის ნაჭერს, თირკმელებს, ელენთას, გვერდის ნაჭერს, ენას, მერე კი... — და ჩუმი ხმით, თითქოს ზღაპარს ყვებოდა, დასძინა: — მერე კი მოდიოდა ჯიგრის ძეხვები. ექვსი, ათი ცალი, გატიჟნული სახსლის ძეხვები, ბურღულისა და ორცხობილის, ისე რომ, არც კი იცი საიდან დაიწყო ორცხობილისა თუ ბურღულისაგან. სულყველა პირში დნება, ყველა მათგანს საამო სურნელი ასდის და ჭამ, ჭამ დაუსრულებლად...

— მე ვფიქრობ, — განაგრძობდა ბალოუნი, — ტყვია კი დამინჯობს, მაგრამ შიმშილი გამათავებს, და ვერასოდეს ჩემ ცხოვრებაში ვეღარ ვნახავ ტაფას ისეთი სისხლის საჩურთით, როგორიც სახლში მქონდა. აი, ლაბა მე ისე არ მიყვარდა, ის თანთალებს მხოლოდ, სახეირო კი შიგ არაფერია, ჩემი ცოლი პირიქით იყო, სულს დაფავდა მისთვის. მე ლაბაში ყურის ერთი ნაჭრის გაცვლაჲ

კი დამენახებოდა. სულ თვითონ მინდოდა ყველაფერი შემესანსლა. არ ვაფასებდი მაშინ ამას, ყველა ამ კეთილდღეობასა და სიამოვნებას. ჩემს სიმამრს, რომელიც შვილების კმაყოფაზე იყო, ღორი ბოვუგე, დავკალი და სულ მარტო შევსანსლე, ხოლო იმ საბრალო მოხუცისათვის პატარა ძღვენის გაგზავნაც კი დამენანა. შემდეგ მან მიწინასწარმეტყველა, რომ ჩემი ბოლო შემშლით სიკვდილია. მე მომკლავს ის, რომ საქმელი არ მექნება.

— როგორც ხედავთ, ასეც ხდება, — სთქვა შვეიკმა, რომელსაც რითმები დღეს თავისთავად მოსდიოდა.

მზარეულმა იურაიდამ, რომელმაც ახლახანს შეიბრალა ბალოუნი, კვლავ დაკარგა მის მიმართ ყოველგვარი თანაგრძნობა, რადგანაც ბალოუნი სწრაფად მიიპარა ღუმელთან, ამოიძრო ჯიბიდან მთელი პურის ყუა, და შეეცადა ამოეწო იგი სოუსში, რომელშიც დიდ ტაფაზე შემწვარი ღორის ხორცის მთელი გროვა იღო.

იურაიდამ ისე მძლავრად დაჰკრა მას ხელზე, რომ პურის ყუა სოუსში ჩაეარდა, როგორც მოცურავე მდინარეში. იურაიდამ არ დაანება ბალოუნს ეს გემრიელი. ნაჭერი ტაფიდან ამოეღო, კინწის კვრით გაავდო კარში.

დაჩაგრულმა ბალოუნმა ფანჯრიდან დაინახა, როგორ ამოიღო იურაიდამ ჩანგლით მისი ყუა, რომელიც ისე გაჟღენთილიყო სოუსით, რომ სულ გაყავისფერებულიყო, დაუმატა მას შემწვარი ხორციდან მოჭრილი სულ ზედა ნაჭერი და მიაწოდა შვეიკს შემდეგი სიტყვებით:

— მიირთვით, ჩემო მორიდებულო მეგობარო!

— დედაო ღვთისავ! — დაიგმინა ფანჯრის იქით ბალოუნმა. — ჩემი პური ფეხისადგილში მოხვდა! — ხელების ქნევით იგი სოფლისკენ გაემართა, რათა იქ მაინც ჩაეგდო ხელთ რაიმე საქმელი.

შვეიკი შეექცეოდა იურაიდას გულუბნე ძღვენს და თან პირგამოტენილი ლაპარაკობდა:

— სიმართლე გითხრათ, მიხარია, რომ კვლავ ჩემიანებში ვარ. ძალიან დამწყდებოდა გული, შემდეგშიც რომ არ მომცემოდა საშუალება სარგებლობა მომეტანა ჩემი ასეულისათვის. — შემდეგ მოიწმინდა ნიკაპიდან სოუსი, ქონი და ასე დაასრულა: არ ვიცი, არ ვიცი რა გეშველებოდათ, მე რომ სადმე დავეკავებინეთ და ომი კი რამდენიმე წლით კიდევ გაგრძელებულიყო.

უფროსმა გადამწერმა ვანეკმა ინტერესით ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, შვეიკ, ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება?

— თხუთმეტ წელიწადს, — უპასუხა შვეიკმა. საქმე ნათელია.



ხომ იყო უკვე ოცდაათწლიანი ომი, ახლა ჩვენ ნახევრად ჰკვიანებო
ვართ, ხოლო ოცდაათი გაყოფილი ორზე იქნება თხუთმეტი.

— ჩვენი კაპიტნის დენშჩიკი, — გამოეხმაურა იურაიდა, —
ყვებოდა, თითქოს მან თავის ყურით გაიგონა: რომ როგორც კი
ჩვენ გალიციის საზღვარს დავიკავებთ, რუსები მაშინვე დაიწყებენ
მოლაპარაკებას ზავზე.

— მაშინ ბრძოლაც არ ღირდა, — დარწმუნებით სთქვა შვეიც-
მა. — თუ ომია, ომი უნდა იყოს. მე მტკიცე უარს ვაცხადებ ვი-
ლაპარაკო ზავზე მანამ, სანამ მოსკოვსა და პეტროგრადში არ ვიქ-
ნებით. რაკი ეს მსოფლიო ომია, ნუთუ ჩვენ მხოლოდ საზღვრების
გასწვრივ უნდა ვიაროთ და ბუზები ვთვალოთ. ავიღოთ, მაგალითად,
შვედები ოცდაათწლიან ომში, ისინი ხომ, აჸ, საიდან მოვიდნენ.
მაგრამ მიაღწიეს თვით ნემეცი ბროდს ლიპნიკამდე, სადაც ისეთი
ხოცვა-ქლეტა მოაწყვეს, რომ ახლაც კი იქაურ დუქნებში შუალა-
მის შემდეგ შვედურად ლაპარაკობენ, მაგრამ ერთმანეთისა არაფე-
რი ესმით. ანდა პრუსიელები, ისინიც მეზობელი სოფლიდან როდრ
მოვიდნენ, მაგრამ ლიპნიკში მას შემდეგ იმდენი პრუსიელია, რომ
ვერ დაითვლი. მათ ეღოუხოვომდეც მიაღწიეს და ამერიკამდეც,
მერე კი უკან დაბრუნდნენ.

— ერთი სიტყვით, — სთქვა იურაიდამ, რომელიც დღევანდელ-
მა ღრეობამ სრულიად ამოაგდო კალაპოტიდან და აზრი სულ დაუ-
ფანტა, — ადამიანები წარმოიშვნენ ჭანრებიდან. ავიღოთ, მეგობ-
რებო, დარვინის ევოლუციური თეორია...

შემდგომში მსჯელობა მას ნებითგანწყობულმა მარეკმა შეა-
წყვეტინა, რომელიც სასწრაფოდ შემოიჭრა.

— თავს უშველეთ ვისაც შეგიძლიათ! — დაიღრიალა მან. — ეს
წუთია ბატალიონის შტაბთან მანქანით ჩამოვიდა პოდპორუჩიკი
დუბი და თან მყრალი კადეტი ბიგლერი ჩამოიყვანა.

— დუბს რაღაც საშინელება ემართება, — გააგრძელა მარეკმა. —
როდესაც ისინი ბიგლერთან ერთად გადმოძვრნენ მანქანიდან, იგი
კანცელარიაში შემოიჭრა, გახსოვთ, აქედან რომ მივიღოდი ვთქვი,
ცოტას წავიძინებ-მეთქი. გავიჭიმე კანცელარიაში სკამზე და ის-ის
იყო ჩავყვინთე, რომ სწორედ ამ დროს დამეცა თავზე. კადეტმა
ბიგლერმა დამიღრიალა „Habt ächt!“¹ პოდპორუჩიკმა დუბმა ამაყენ-
და დამაცხრა თავს: „აჰა! გაცეცხლი ხართ, რომ შეგისწარით სამ-
ხედრო მოვალეობის დარღვევის დროს? ძილი მხოლოდ ომისგან
შესვენების დროსაა ნებადართული“. ხოლო ბიგლერმა განსაზღვრა:

¹ სმენა (გ ვ რ მ).



„ყაზარმის წესდების მეცხრე პარაგრაფის მეთექვსმეტე განყოფილება“. აქ, ღუბმა მუშტი დაჰკრა მაგიდას და დაიღრიალა: „ეტიცობა ბატალიონში უნდოდათ ჩემი თავიდან მოშორება, არ იფიქროთ, რომ ეს ტვინის შერყევა იყო, ჩემი თავის ქალა გაუძლებს ასეთებს“. კადეტი ბიგლერი. ამ დროს მაგიდაზე დაწყობილ ფურცლებს შლიდა და თავისთვის ხმამაღლა ამოიკითხა ამონაწერი ერთ-ერთი საბუთიდან: „ბრძანება ნომერ ორას ოთხმოცი დივიზიის შესახებ“. პოდპორუჩიკმა ღუბმა ყოველივე. ეს, მაგარი თავის ქალის შესახებ თავისი ნათქვამის დაცინვად მიიღო და დაუწყო კადეტს საყვედური ჩინით უფროსი ოფიცრის მიმართ უხეში და უღირსი მოაყრობის გამო. ახლა აქ მოჰყავს, რათა კაპიტანთან უჩივლოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ღუბი და ბიგლერი სამზარეულოში შემოვიდნენ, რომელზეც უნდა გაეგლოთ, რათა მოხვედრილიყვნენ ზემოთ, სადაც ოფიცერთა მთელი შემადგენლობა იმყოფებოდა და სადაც შემწვარი ღორის ხორციით გამძღარი პრაპორშჩიკი მალი მღეროდა არიებს ოპერიდან „ტრაფიატა“, და თან კომპოსტოსა და მსუყე სადილის შემდეგ ხმამაღლა აბოყინებდა.

როდესაც პოდპორუჩიკი ღუბი შემოვიდა, შვეიკმა დაიძახა:

— Habacht! ¹ ადექით ყველა!

პოდპორუჩიკი დუბი სულ ახლოს მივიდა შვეიკთან და სახეწო მიახალა:

— გაიხარე, დადგა შენი აღსასრულის დღე! ებრძანებ შენგან ფიტული გააკეთონ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის სამახსოვროდ.

— Zum Befehl! ², პანე ლეიტენანტ, — სთქვა შვეიკმა და სალამი მისცა. ერთხელ წავიკითხე, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ როდესაც შვედების მეფე თავის ცხენთან ერთად დაეცა დიდი ბრძოლის დროს, ისინი ორივე შვეიციაში გაგზავნეს, და ორსავე მათი ცხედრებიდან ფიტულები გააკეთეს. ისინი ახლაც სტოკჰოლმის მუზეუმში დგან.

— საიდან გაქვს ეს ცოდნა, ხეპრევე? — დაიჭყივლა პოდპორუჩიკმა დუბმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, ჩემი ძმისაგან, იგი გიმნაზიის მასწავლებელი იყო.

პოდპორუჩიკი დუბი შემოტრიალდა, გადააფურთხა, წინ გაიგდო კადეტი ბიგლერი და ზემო დარბაზში ავიდა. თუმცა კარებში მან მაინც არ დაჰკარგა შემთხვევა შემობრუნებულიყო შვეიკისაკენ. მან რომის კეისრის ულმობელი სიმკაცრით, რომელიც ცირკში დაჰკრილი გლადიატორის * ბედს სწყვეტს მარჯვენა ხელის ცერით რალაც მოძრაობა გააკეთა და დაიყვირა:

— დაუშვი ცერი!

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — მიაძახა შვეიკმა, — ყველა თითები დაშვებული მაქვს!

კადეტი ბიგლერი შემოდგომის ბუზივით დასუსტებულიყო. ამ დროისათვის მას უკვე მოესწრო რამდენიმე ხოლერიანთა პუნქტში ყოფნა. ყველა იმ მანიპულაციის შემდეგ, რომლებიც მას ჩაუტარეს, როგორც ბაცილის მატარებელს, ბუნებრივია იგი შარვალში თავისდაუნებურად ჩასვრას მიეჩვია, სანამ ბოლოსდაბოლოს ერთ-ერთ ასეთ პუნქტში სპეციალისტის ხელში არ მოხვდა. ექიმმა მის განავალში ხოლერის ბაცილები ვერ იპოვა, კუჭი ტანინით შეუტკრა, თითქოს მეწალემ გაფისული ძაფით დახეული წაღები ამოკერაო და სცნო ბუმბულივით მსუბუქი კადეტი ბიგლერი „Frontdienststation“ ³-ად, მიავლინა იგი უახლოეს საეტაპო სამმართველოში.

¹ სმენა (გ ე რ მ.).

² არის (გ ე რ მ.).

³ ვარჯისია სამხედრო სამსახურისათვის (გ ე რ მ.).

იგი გულითადი აღამიანი იყო.

როდესაც კადეტი ბიგლერი ექიმის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თავს მეტად სუსტად გრძობდა, მან ღიმილით უპასუხა: „მამაცობისათვის ოქროს მედლის წასაღებად თქვენ კიდევ გეყოფათ ძალ-ღონე. თქვენ ხომ ნებაყოფლობით წახვედით ჯარში“.

ამრიგად, კადეტი ბიგლერი გაეშურა ოქროს მედლის მისაღებად.

მისი გამაგრებული კუჭი შარვალში სითხეს უკვე აღარ გამოჰყოფდა, მაგრამ ხშირი ჰინთვები მაინც აწვალებდა. სწორედ ამის გამო მთელი გზა, უკანასკნელი საეტაპო პუნქტიდან ბრიგადის შტაბამდე, კადეტი ბიგლერისათვის ერთი საჭირო ოთახიდან მეორეში აირბილი საზეიმო სვლას წარმოადგენდა. მან რამდენიმეჯერ დააკვირნა მატარებელზე, სადგურის კლოზეტებში ხანგრძლივად ჯდომის გამო, რამდენიმეჯერ მატარებლიდან მატარებელში გადაჯდომაც ვერ მოახერხა, რადგანაც ვაგონის საჭირო ოთახიდან გამოსვლა ვერ მოასწრო.

მაგრამ, მიუხედავად ამ ფეხისადგილებთან დაკავშირებული დაბრკოლებებისა, იგი მაინც უახლოვდებოდა ბრიგადას.

პოდპორუჩიკი დუბი კიდევ ცოტა ხანს უნდა დარჩენილიყო ბრიგადაში ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ შეეიკის ბატალიონში გამგზავრების დღეს შტაბის ექიმმა გადაიფიქრა, რადგანაც გაიგო სადილის შემდეგ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის ბატალიონის მხარეს სანიტარული ავტომანქანა მიემგზავრებოდა.

ექიმს ძალიან უხაროდა, რომ თავი დააღწია პოდპორუჩიკ დუბს, რომელსაც თავისი სხვადასხვა სახის მტკიცებების საუკეთესო საბუთად მუდამ ერთი არგუმენტი მოჰყავდა: ამის შესახებ ჯერ კიდევ ომამდე ვლახარაკობდით მე და პან ოლქის მეთაური.

„Mit deinem Bezirkshauptmann Kannst du mir am Arsch lecken“¹, — ფიქრობდა თავისთვის შტაბის ექიმი და ბედს მადლობას სწირავდა იმის გამო, რომ სანიტარული ავტომანქანა მიემგზავრება კამიონკუ-სტრუმილოვუში ზოლტანეცზე გავლით.

შეეიკს კადეტი ბიგლერი არ უნახავს ბრიგადაში, იმის გამო, რომ იგი ორ საათზე მეტ ხანს ოფიცრების ვატერკლოზეტში იჯდა. შეიძლება ითქვას, რომ კადეტი ბიგლერი ასეთ ადგილებში დროს უქმად არ ჰკარგავდა. იგი გონებაში იმეორებდა ავსტრო-უნგრეთის

¹ შენ საოლქო მეთაურთან ერთად შეგიძლია საჯდომი ამილოკო. (გ ე რ მ).

ჯარების ყველა ღირსშესანიშნავ ბრძოლებს. მოყოლებული 1634 წ. ი სექტემბრის ნორდლინგენის ბრძოლიდან და დამთავრებული სარაევოთი — 1888 წ. 19 აგვისტოს. ამ საბრალომ ერთხელ, როდესაც ჯაჭვი მოსწია ვატერკლოზეტში და ყური მიუგდო, თუ როგორი ხმაურით მიისწრაფის წყალი ქვემოთ, უნიტაზში, თვალები დახუჭა და წარმოიდგინა ბრძოლის ღრიალცელი, კავალერიის იერიში და ხარბაზნების გრიალი.

პოდპორუჩიკი ღუბის კადეტ ბიგლერთან შეხვედრა არც თუ ძალიან სასიამოვნო იყო და უდავოა, რომ 'შემდეგში' მათი ურთიერთ მტრული დამოკიდებულების მიზეზად იქცა სამსახურში და მის გარეთ.

ღუბმა, რომელიც მეოთხედ ამაოდ შეეცადა საჭირო ოთახში მოხვედრას, გაბრაზებით დაიყვირა:

— რომელი ხარ მანდ?

— 91 პოლკის №-ის ბატალიონის, მეთერთმეტე სამარშო ასეულის კადეტი ბიგლერი, — გამოსძახა ხმამ ამაყად.

— აქ კი, — გასძახა ღუბმა, — ამავე ასეულის პოდპორუჩიკი ღუბია.

— ახლავე. პან, პოდპორუჩიკ.

— ვიცდი.

პოდპორუჩიკი ღუბი მოთმინებით დაჰყურებდა საათს. არავინ არ დაიჯერებს, რამდენი ენერჯია და გულმოდგინებაა საჭირო, აიტანო ასეთ მდგომარეობაში კარებთან თხუთმეტი წუთი დგომა, შემდეგ კიდევ ხუთი, შემდეგ მომდევნო ხუთი და კაკუნსა, ხელებითა და ფეხებით კარების ბრაზუნზე სულ ერთი და იგივე პასუხი მიიღო: „ახლავე, პანე პოდპორუჩიკ“.

პოდპორუჩიკი ღუბი ცახცახმა აიტანა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმედის მომგვრელი ქალაღის შრიალის შემდეგ კიდევ შეიდი წუთი გავიდა, კარი კი კვლავ არ იღებოდა.

კიდევ კარგი კადეტ ბიგლერს იმდენი ტაქტი აღმოაჩნდა, რომ წყალს მაინც არ უშვებდა ხშირ-ხშირად.

მსუბუქი ციებცხელებით შეპყრობილი პოდპორუჩიკი ღუბი იმაზე ფიქრობდა, ხომ არ ეჩივლა ბრიგადის მეთაურთან. ეგებ მან გასცეს ბრძანება შეანჯირონ კარი და გამოიტანონ იქიდან კადეტი ბიგლერი. ისიც კი იფიქრა ეს სუბორდინაციის დარღვევააო.

ხუთი წუთის შემდეგ პოდპორუჩიკმა ღუბმა იგარძნო, რომ კარს იქით საქმე აღარ აქვს, რომ დიდი ხანია სურვილმა გადაუარა. მაგრამ იგი პრინციპულად არ სცილდებოდა საჭირო ოთახს და კვლავ

აბრახუნებდა კარებზე. პასუხიც უცვლელი რჩებოდა: „In einer Minute fertig, Herr Leutnant“¹.

ბოლოსდაბოლოს პოდპორუჩიკმა გაიგონა, როგორ ჩამოუშვა წყალი ბიგლერმა და ერთი წუთის შემდეგ პირისპირ იდგნენ.

— კაღეტო ბიგლერ, — დაიგრვეინა პოდპორუჩიკმა ღუბმა. არ იფიქროთ, რომ მეც იმავე მიზნით ვარ აქ მოსული, რა მიზნითაც თქვენ. აქ იმიტომ მოვედი, რომ ბრიგადის შტაბში დაბრუნების შემდეგ არ გამოცხადდით ჩემთან საპატაქებლად. არ იცით წესები, თუ რაშია საქმე? ვის მიანიჭეთ თუ იცით უპირატესობა?

კაღეტი ბიგლერი ცდილობდა გაეხსენებინა, ხომ არ დაუშვა რაიმე შეცდომა საწინააღმდეგოდ დისციპლინისა და ინსტრუქციებისა, რომლებიც ეხებოდნენ დაბალი ჩინის ოფიცერთა უფრო მაღალი ჩინის ოფიცრებთან დამოკიდებულებას.

მას ცოდნის ამ სფეროში დიდი ხარვეზები ჰქონდა.

სკოლაში მათთვის არ წაუკითხავთ ლექციები იმის შესახებ, თუ დაბალი ჩინის ოფიცერი როგორ უნდა მოეპყრას ასეთ შემთხვევაში უფროსს. შეიძლება თუ არა დაამთავროს რასაც აკეთებს, თუ არ უნდა დაამთავროს და ისე გამოვარდეს საჭირო ოთახიდან, თან ერთი ხელით შარვალს იჭერდეს, მეორით კი სალამს ძღვევდეს.

— აბა, მიპასუხეთ, კაღეტო ბიგლერი — გამომწვევად დაიყვირა პოდპორუჩიკმა ღუბმა.

აქ კი კაღეტ ბიგლერს თავში მოუვიდა ყველაზე უბრალო პასუხი:

— პანე პოდპორუჩიკ, ბრიგადის შტაბში ჩამოსვლისას, მე არ მქონია ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენ აქ იმყოფებით. დაგამთავრე თუ არა ჩემი საქმეები კანცელარიაში, საჭირო ოთახში გამოვეშურე, სადაც ვიმყოფებოდი თქვენ აქ მობრძანებამდე. — და მან საზეიმოდ დაუმატა: — კაღეტი ბიგლერი მოახსენებს თავის შესახებ პოდპორუჩიკ ღუბს!

— მაგრამ იცით, რომ ეს წვრილმანი საქმე არ არის, — გაცხარებით უთხრა პოდპორუჩიკმა ღუბმა, — ჩემი აზრით, კაღეტო ბიგლერ, თქვენ, ბრიგადის შტაბში ჩამოსვლისთანავე კანცელარიაში უნდა გეკითხათ, ხომ არ არის აქ შემთხვევით თქვენი ბატალიონის ან ასეულის ოფიცერი. თქვენი მოქმედების შესახებ ჩვენ გადაწყვეტილებას ბატალიონში გამოვიტანთ. მე იქით მივემგზავრები ავტო-

¹ ამ წუთში, ბატონო ლეიტენანტო (გ. რ. მ.)

მოზილით და თქვენც წამოხვალთ ჩემთან ერთად. არავითარი „მაგრამ“!

კადეტ ბიგლერს ძალიან უნდოდა ეთქვა, რომ მას აქვს ბრიგადის შტაბის მიერ შედგენილი სარკინიგზო მარშრუტი. ტრანსპორტის ეს სახე კი მისთვის ბევრად უფრო მოსახერხებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი სწორი ნაწლავის სისუსტეს. ბავშვმაც კი იცის, რომ მანქანები ამისთანა შემთხვევისათვის მოუწყობელია და სანამ ასოთხმოც კილომეტრს გაივლი, შარვალში ჩაისვრი.

მაგრამ ყოველივე პირიქით მოხდა: დასაწყისში, როდესაც ისინი გამოვიდნენ, მანქანის ნჯღრევამ სულ არ იმოქმედა ბიგლერზე.

პოდპორუჩიკი დუბი გულშემოყრილი იყო იმის გამო, რომ მას არ მიეცა შურისძიების გეგმის სისრულეში მოყვანის საშუალება.

საქმე იმაშია, რომ როდესაც ისინი გამოდიოდნენ, პოდპორუჩიკმა დუბმა თავისთვის გაიფიქრა: „მოიცა, კადეტო ბიგლერ, ხომ არ გგონია გაგიჩერებ მანქანას, როდესაც ჭრას დაგიწყებს მუცელში“.

გათვალისწინებული გეგმის მიხედვით, დუბმა, რამდენადაც ამის საშუალებას მანქანის სისწრაფე იძლეოდა, რომელიც კილომეტრებს თვალის დახამხამებაში გადიოდა, დაიწყო სასიამოვნო საუბარი იმის შესახებ, რომ სამხედრო მანქანები, რომლებსაც გარკვეული მარშრუტი აქვთ აღებული, არ უნდა ჩერდებოდნენ და უქმად არ უნდა ხარჯავდნენ ბენზინს.

კადეტმა ბიგლერმა სრულიად სამარფლიანად შენიშნა, რომ გაჩერებაზე ბენზინი საერთოდ არ იხარჯება, იმდენად რამდენადაც ძძლოლი მოტორს გამორთავს. ხოლმე.

რამდენადაც, — ჩაიციებით განაგრძობდა მტკიცებას პოდპორუჩიკი დუბი, მანქანა ადგილზე უნდა იყოს დანიშნულ დროს, არავითარი გაჩერება ნებადართული არაა.

ამას კადეტი ბიგლერის მხრიდან არავითარი რეპლიკა არ მოჰყოლია.

ასე მიჰქროდნენ ისინი თხუთმეტი წუთის განმავლობაში. უცერად პოდპორუჩიკმა დუბმა იგრძნო, რომ მუცელი შეებერა და მანქანის შეჩერების სურვილმა შეიპყრო. მას საშინლად მოუნდა მანქანიდან ჩამოსვლა, თხრილში ჩასვლა, შარვლის ჩახდა და განთავისუფლება.

ას ოცდაექვს კილომეტრამდე მას გმირულად ეჭირა თავი, მაგრამ მეტი ვეღარ აიტანა და ენერგიულად მოქაჩა მძღოლს მაზარაში, თან ყურში ჩასძახა: „Halt!“

— კადეტო ბიგლერ, — თავაზიანად მიმართა პოდპორუჩიკმა ლუბმა, — ასლა თქვენცა გაქვთ საშუალება... — თან სწრაფად ჩამოხტა მანქანიდან და თხრილში მიიშალა.

— გმადლობთ, მიუგო კადეტმა ბიგლერმა, — მე არ მინდა ტყუილუბრალოდ მანქანის დაყოვნება.

კადეტმა ბიგლერმა, რომელიც აგრეთვე უკიდურეს მოთხოვნისას გრძნობდა, თავისთვის გადაწყვიტა, რომ უმჯობესია შარვალში ჩაისვაროს, ვიდრე ხელიდან გაუშვას პოდპორუჩიკი ღუბის შერცხვენის შესანიშნავი შემთხვევა.

ზოლტანეცამდე პოდპორუჩიკმა ღუბმა კიდევ ორჯერ გააჩერებინა მანქანა და უქანასკნელ გაჩერებაზე პირქუშად წაიბუტბუტა:

— სადილად პოლონურად დამზადებული ბიკოში * მომართვეს. ბატალიონიდან საჩივრის ტელეგრამას გვეგზავნი ბრიგადაში. გაფუჭებული მჟავე კომბოსტოს და უვარგისი ღორის ხორცის ბრალია. მზარეულთა თავაშვებულობამ ყველა საზღვარს გადააცილა. ვინც მე ჯერ არ მიცნობს ისიც გამიცნობს.

— ფელდმარშალმა ნოსტიც-რინეკმა, სათადარიგო კავალერიის თვალმა, — უპასუხა ბიგლერმა, — გამოსცა თხზულება „Was schadet dem Magen im Kriege“¹, რომელშიც იგი საერთოდ არ თვლის მიზანშეწონილად ღორის ხორცის ჭამას ომის დროს. ლაშქრობისას ყოველგვარი გადაჭარბება მავნეა.

პოდპორუჩიკ ღუბს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თავისთვის გაიფიქრა: „მე შენ გიჩვენებ განსწავლულობას, ლაწირაკო“, — ცოტახნის ფიქრის შემდეგ კი ბიგლერს ძალზე სულელური შეკითხვა დაუსვა:

— ამრიგად, კადეტო ბიგლერ, თქვენ ფიქრობთ, რომ ოფიცერი, რომლის მიმართაც თავი უნდა გეპიროთ როგორც ქვეშევრდომს, უზომოდ ჭამს? ხომ არ აპირებდით, კადეტო ბიგლერ, ამის თქმასაც, რომ მე ჭამით გავსკდი? გმადლობთ უხეშობისათვის. დარწმუნებულნი იყავით, გაგისწორდებით, თქვენ მე ჯერ კიდევ არ მიცნობთ, მაგრამ როდესაც გამიცნობთ, გაიხსენებთ პოდპორუჩიკ ღუბს.

უქანასკნელი სიტყვის დროს მან კინაღამ ენა მოიკვნია, რადგანაც მანქანამ თხრილს გადაუარა.

კადეტმა ბიგლერმა კვლავ არ უპასუხა, რამაც ისევ შეურაცხყო პოდპორუჩიკი ღუბი. მან უხეშად ჰკითხა:

— მომისმინეთ, კადეტო ბიგლერ, მე ვფიქრობ, თქვენ გასწავლიდნენ პასუხი გაგეცათ თქვენი უფროსების შეკითხვებზე?

¹ „რა ენებს კუქს ოში“ (გვ. 3.).

— რა თქმა უნდა, — თქვა კადეტმა ბიგლერმა, — წესდებაში არის ასეთი მუხლი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მე ჯერჯერობით არავისთან არ ვარ მივლინებული, ისე რომ ჩემი თქვენდამი უშუალო ქვეშევრდომობის საკითხი, პანე პოდპორუჩიკო, სრულიად გამორიცხულია. ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანი მანც ისაა, რომ ოფიცერთა წრეებში ქვეშევრდომი მოვალეა უფროსთა შეკითხვებზე პასუხი გასცეს მხოლოდ სამსახურებრივი საკითხების ირგვლივ; ხოლო რამდენადაც ჩვენ ორნი ვზივართ მანქანაში, ჩვენ არ წარმოვადგენთ არავითარ სამხედრო ერთეულს, რომელიც მონაწილეობას იღებს რაიმე სამხედრო ოპერაციაში. ჩვენა შორის არ არის არავითარი სამსახურებრივი დამოკიდებულება. ჩვენ ორივე მივემართებით ჩვენ-ჩვენი ქვედანაყოფისაკენ, და ჩემი პასუხი თქვენს შეკითხვაზე, ვაპირებდი თუ არა მეთქვა, რომ გამოსკდით, პანე პოდპორუჩიკ, არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სამსახურებრივი აზრის გამოთქმა.

— დაამთავრეთ? — დაუღრიალა პოდპორუჩიკმა ღუბმა, — თქვე...

— დიახ, — წარმოსთქვა ცივად კადეტმა ბიგლერმა, — ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ოფიცერთა ღირსების სასამართლო გაგვასამართლებს.

პოდპორუჩიკი ღუბი საბოლოოდ გამოვიდა მოთმინებიდან. ჩვეულებრივ, როდესაც იგი დელავდა უფრო მეტ სისულელეს რომავედა, ვიდრე მშვიდ მდგომარეობაში, ამიტომ მან ჩაიბუტბუტა:

— თქვენს საკითხს სამხედრო სასამართლო გააჩევეს.

კადეტმა ბიგლერმა გამოიყენა ეს შემთხვევა იმისთვის, რათა საბოლოოდ გაენადგურებია ღუბი. სწორედ ამიტომ იყო, რომ რაც შეიძლება მეგობრული ტონით უთხრა:

— შენ ხუმრობ, ამხანაგო.

პოდპორუჩიკმა ღუბმა დაუყვირა მძლოლს გაეჩერებია მანქანა.

— ჩვენს შორის ერთ-ერთი ფეხით უნდა წავიდეს, — წარმოსთქვა მან ენის ბორძიკით.

— მე მანქანით მივდივარ, — მშვიდად უპასუხა კადეტმა ბიგლერმა, — შენ კი, ამხანაგო, ისე მოიქეცი, როგორც გინდოდეს.

— დავიძრათ, — თითქოს აბოდებსო ისე დაუყვირა მძლოლს პოდპორუჩიკმა ღუბმა და თან მთელი მისი არსება მედიდურმა დუმილმა მოიცვა. ამ წუთებში იგი იულიუს კეისარს მოგაგონებდათ. როდესაც მას დანაგაშიშვლებული შეთქმულნი მიუახლოვდნენ მოსაკლავად.

ასე ჩამოვიდნენ ისინი ზოლტანეცამდე, სადაც თავიანთი ბატალიონის კვალს წააწყდნენ.

იმ დროს, როდესაც პოდპორუჩიკი დუბი და კადეტი ბიგლერი კიბეზე კამათობდნენ იმის შესახებ, აქვს თუ არა კადეტს, რომელიც არსად არ არის ჩარიცხული, უფლება მიიღოს ჯიგრის ძეხვი, გათვალისწინებული სხვადასხვა ასეულების ოფიცერთათვის, ქვემოთ სამხარეულოში უკვე კარგად გამოძღნენ, წამოწნენ განიერ სკამებზე და დაიწყეს ლაპარაკი ყოველგვარ სისულელეზე, თან ჩიბუხებს აბოლებდნენ.

მზარეულმა იურაილამ განაცხადა:

— ამრიგად, დღეს შენანიშნავი რამ გამოვიგონე და ვფიქრობ ეს მოახდენს მთელ გადატრიალებას საკულინარო ხელოვნებაში. ვანეკ, შენ ხომ იცი, რომ ამ დაწყებულ სოფელში ვერსად ვერ შევძელი მაიორანის შოვნა ჯიგრისათვის.

„Herba majoranae“¹, — წამოილაპარაკა უფროსმა გადამწერმა და გაახსენდა, რომ იგი საათუთაქო ბალახით მოვაქრეა.

იურაილა განაგრძობდა:

— ჯერ კიდევ არ არის ჭამოკვლეული, რაგვარად ახერხებს ადამიანის გონება გასაჭირის დროს სხვადასხვა მრავალფეროვანი საშუალებების პოვნას. როგორ იხსნება მის წინ ახალი ჰორიზონტები, როგორ იწყებს იგი ყოველგვარი არაჩვეულებრივი რამის შეთხზვას, რომელიც კაცობრიობას ჯერ არც კი დასიზმრებია... ვეძებ ყოველ სახლში მაიორანს, დავრბივარ, ყველგან ვეძებ, ვუხსნი. რისთვის მინდა და როგორია იგი შესახებ...

— შენ მისი სუნი უნდა აგეწერა, — გამოეხმაურა სკამზე მჯდარი შვეიკი, — შენ უნდა გეთქვა, რომ მაიორანს ისეთი სუნი აქვს, როგორც მელნიან ბოთლს, თუ მას აყვავებული აკაციის ხეივანში დაყნოსავ. პრალაში ბოგდალაციის გორაკზე...

— რა იქნება, შვეიკ, — გააწყვეტინა მას ნებითგანწესებულმა მარეკმა მუდარის ხმით, — ჯერ დაამთავრებინე იურაილას.

იურაილამ განაგრძო თხრობა:

— ერთ სახლში მოხუც, ბოსნიისა და გერცოგოვინის ოკუპაციის დროინდელ გადაყენებულ ჯარისკაცს შევეჩიხე, რომელიც ულანად იმყოფებოდა პარდუბიციში* და ჩეხური ენა ჯერ არ დავიწყებოდა. მან კამათი დამიწყო თითქოს ჩეხეთში ჯიგრის ძეხვში მაიორანს კი არა გვირილას დებენო. მე სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი რა

¹ მაიორანის ლათინური დასახელება.



მექნა, იმიტომ რომ ყველა გონიერი და ობიექტური ადამიანი მაიორანს იმ სუნნელთა მეფედ უნდა სთვლიდეს, რომლებიც ჯიგრის ძეხვში შეიძლება ჩაიდოს.

გარდაუვალი იყო ისეთი შემცვლელის მონახვა, რომელიც ძეხვს დამახასიათებელ ცხარე-სურნელოვან გემოს მისცემდა, და აი ერთ სახლში ტვიის საქორწილო გვირგვინი ვიპოვე, რომელიდაც წმიდანის ხატის ქვეშ რომ ეკიდა, იქ ახლად დაქორწინებულნი ცხოვრობდნენ და ტვიის გვირგვინის ტოტები საკმაოდ ცოცხალი იყო. სწორედ ამ ტვიის ფოთლები ჩავდე ჯიგრის ძეხვში, მართალია ფოთლების დამღულვრა სამჯერ მომიხდა, რათა ისინი უფრო რბილი გამხდარიყვნენ და თან ძალიან მკვეთრი გემო და სუნი დაეკარგათ. გასაგებია, როდესაც მე ეს ტვიის გვირგვინი მომქონდა ცოტა ცრემლი როდი დაიდვარა... მემშვიდობებოდნენ ახლად ჯვარდაწერილები და მარწმუნებდნენ, რომ ამისთანა წამბილწველი საქციელის გამო, პირველივე ტყვია მომკლავს. თქვენ მიირთვით ჩემი წვნიანი, შიგნეულობისაგან დამზადებული, მაგრამ ვერცერთმა თქვენგანმა ვერ შეამჩნია, რომ მას ტვიის სუნი ჰქონდა და არა მაიორანის.

— ინდრეიხოვის გრაცში — გამოეხმაურა შვეიცი, — მრავალი

წლის უკან იყო ერთი მეძებვე იოზეფ ლინეკი. მას თაროზე ორი ყუთი ედგა. ერთში ჰქონდა სუნელთა ნარევი, რომელსაც სდებდა სისხლის ჯიგრის ძეხვებში, ხოლო მეორეში კი მწერების გასანადგურებელი ფხვნილი, რადგანაც იგი არა ერთხელ გამხდარა მოწმე, რომ მის მყიდველებს ძეხვში ხშირად ბაღლინჯოს და ფურნის ჭია ჩაუტეხიათ. იგი ყოველთვის ამბობდა, რომ ბაღლინჯოებს აქვთ მწარე ნუშისათვის დამახასიათებელი ცხარე-სურნელოვანი გემო მაგრამ პრუსიელების ძეხვეულობა ყარს, როგორც ძველი ბიბლია. ამის გამო იყო, რომ იგი გულმოდგინედ აღევნებდა თვალყურს სისუფთავეს და თავის სახელოსნოში ყველგან მწერების საწინააღმდეგო ფხვნილს აბნევდა.

ერთხელ მას სისხლის ძეხვის დამზადებისას სურდო ჰქონდა. სტაცა ხელი კოლოფს მწერების საწინააღმდეგო ფხვნილით და სისხლის ძეხვისათვის დამზადებულ საჩურთში ჩაჰყარა. ამის შემდეგ ინდრეინოვის გრაცში სისხლის ძეხვს მხოლოდ ლინეკთან ყიდულობდნენ. ხალხი, შეიძლება ითქვას, თავპირს ამტვრევიან ერთმანეთს მისი დახლის წინ. იგი სულელი როდი იყო და მიხვდა. რომ ამის მიზეზს — მწერების საწინააღმდეგო ფხვნილი წარმოადგენდა. ამის შემდეგ მან დაიწყო ამ ფხვნილის მთელი ყუთებით გამოწერა ფასდადებით. ხოლო ფერმა, რომლისაგანაც მას ყიდულობდა, გააფრთხილა, რომ ყუთზე „ინდური სუნელი“ დაეწერათ. ეს მისი საიდუმლო იყო და მან სამარეში თან წაიღო. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ იმ ოჯახებიდან, რომლებიც მის სისხლის ძეხვს ყიდულობდნენ, ყველა ფურნის ჭიები და ბაღლინჯოები გაქრნენ. ამის შემდეგ ინდრეინოს გრაცი ჩეხეთის ყველაზე სუფთა ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება.

— დაამთავრე? — ჰკითხა ნებიფანწესებულმა მარეკმა, რომელსაც ეტყობოდა აგრეთვე გული არ უთმენდა მიეღო მონაწილეობა საუბარში.

— ამის შესახებ დავამთავრე, — უპასუხა შვეიკმა, — მაგრამ ანალოგიური შემთხვევა მოხდა ბესკიდში *; მის შესახებ მე თქვენ მოგიყვებით მაშინ, როდესაც საბრძოლველად წავალთ.

ნებიფანწესებულმა მარეკმა დაიწყო:

— მზარეულთა ხელოვნება ყველაზე უკეთ ომის დროს იცნობა, განსაკუთრებით ფრონტზე. თავს ნებას მივცემ მოვიტანო პატარა შედარება. მშვიდობიან დროს ყველა ჩვენგანი კითხულობდა ანდა ისმენდა ეგრეთწოდებული ყინულიანი სუფების შესახებ, რომლებშიც ყინულს დებენ. ეს ყველაზე საყვარელი კერძია ჩრდილო გერმანიის, დანიის და შვეციისათვის. მაგრამ აი დაიწყო ომი და ამ

ზამთარს კარპატებზე ჯარისკაცებს იმდენი გაყინული სუპი ჰქონდათ, რომ ყინულიან სუპს პირს აღარ აკარებდნენ, — ამასთან კი ის რჩეული კერძია.

— გაყინული გულიაშის ჰამა შესაძლებელია, — შეეკამათა უფროსი გადამწერი ვანეკი, — მაგრამ დიდხანს არა, ყველაზე მეტი ერთი კვირა. მის გამო ჩვენმა მეცხრე ასეულმა სანჯერები დატოვა.

— ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს—არაჩვეულებრივად სერიოზულად შენიშნა შვეიცია,—მთელი სამხედრო სამსახური რაიონებდა სამზარეულოსა და ნაირსახეობრივი საქმელის გარშემო. გვყავდა ბუღეიოვიცეში ობერ-ლეიტენანტი ზაკრეისი, იგი მუდამ ჩვენი ოფიცერთა სამზარეულოს წინ დაეხეტებოდა და, თუკი ჯარისკაცი რაიმეს დააშავებდა, გასცემდა განკარგულებას: „სმენა“ და დააცხრებოდა თავს: „მამაძალო, თუკი ეს კვლავაც განმეორდება, შენი ცხვირ-პირისაგან ნამდვილ დაბეგვილ კატლეტს დაეამზადებ; კართოცილის პიურესავით დაგსრეს და შემდეგ შენვე ჩაგაცეცხლებ ყოველივე ამას. გამოგადენ ბატის შიგნეულობას ბრინჯით; დაგამსგავსებ ტაფაზე შემწვარ დაჩურთულ კურდღელს. აი ხომ ხედავ, უნდა გამოაწორდე, რათა ხალხმა არ მიგიჩინოს კომბოსტოსთან ერთად დამზადებულ საჩურთით გამოტენილ მწვადად.

ახრთა გაცვლა-გამოცვლა და გაცხოველებული საუბარი ომისწინა წლებში ჯარისკაცთა აღზრდის მიზნით საქმლის მენიუს გამოყენების შესახებ შეწყვეტილ იქნა ომის გამო, რომ ზემოდან საშინელი ყვირილი მოისმა. აქ საზეიმო სადილი უკვე დამთავრებულიყო.

ხმების უწყესრიგო ღრიანცელში განსაკუთრებით კადეტი ბიგლერის მკვეთრი ხმა გამოირჩეოდა:


— ჯარისკაცმა ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს უნდა იცოდეს, რას მოითხოვს მისგან ომი, ხოლო ბრძოლაში არ უნდა დაივიწყოს ის, რაც სავარჯიშო მოედანზე ისწავლა.

შემდეგ პოდპორუჩიკი დუბი აღრიპლდა: გთხოვთ შენიშნოთ, მე უკვე მესამედ მაყენებენ შეურაცხყოფას.

ზემოთ უდიდესი საქმეები წყდებოდა...

პოდპორუჩიკ დუბს, რომელსაც კადეტ ბიგლერის წინააღმდეგ ბოროტი ზრახვები ჰქონდა და რომელსაც სწყუროდა გადაეშალა თავისი გული მეთაურისათვის, ოფიცრები საოცარი ღრიალით შეხვდნენ. სჩანდა ებრაელის არაყს უკვე ემოქმედნა.

ერთი ცდილობდა მეორისათვის გადაექარბებია ყვირილში. დასცინოდნენ პოდპორუჩიკი დუბის ოსტატობას ცხენოსნობაში: „გამცილებლის გარეშე ვერ წავა“, „დამფრთხალი მუსტანგი“, „რამდენ ხანს დაჰყავი, მეგობარო, დასავლეთში კოვბოებს შორის?“ „ცირკის მოთამაშე“.



კაპიტანმა საგნერმა სასწრაფოდ მიაჩეჩა ღუბს ხელში ერთი თლაში იმ დაწყველილი არყით და შეურაცხყოფილი პოდპორუჩიკი ღუბი სუფრას მიუჯდა. მან ძველი დამტკრეული სკამი მიიღგა პორუჩიკ ლუკაშთან, რომელიც მას თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვებით შეეგება: „ჩვენ უკვე ყველაფერი შევქამეთ, ამხანაგო“.

კადეტმა ბიგლერმა მკაცრად, ინსტრუქციის მიხედვით მოახსენა თავის შესახებ კაპიტან საგნერს და სხვა ოფიცრებს, თან იმეორებდა: „კადეტი ბიგლერი გამოცხადდა ბატალიონის შტაბში“. თუმცა ეს ყველამ დაინახა და იცოდა, მისი მოხრილი ტანი მაინც როგორღაც შეუმჩნეველი რჩებოდა.

ბიგლერმა სავესე კიქა აიღო, მორიდებულად დაჯდა ფანჯარასთან და ელოდებოდა მოხერხებულ მომენტს, რათა ქარისთვის გაეტანებია სკოლის სახელმძღვანელოებიდან ამოკრებილი ცოდნა.

პოდპორუჩიკი ღუბი, რომელსაც ცხარე რახმა თავში აარტყა, მაგიდაზე თითის კაკუნით, ყოვლად უადგილოდ მიუბრუნდა კაპიტან საგნერს.

— მე და ოლქის უფროსი მუდამ ვამბობდით ხოლმე: პატრიოტიზმი. საკუთარი მოვალეობისადმი ერთგულება, თვითსრულქმნა —

აი ნამდვილი იარაღი ბრძოლაში. მე მინდა შეგახსენოთ ამის შესახებ სწორედ დღეს, როდესაც ჩვენი ჯარები უმოკლეს დროში საზღვარს გადალახავენ.

ამ სიტყვებამდე კარნახობდა უკვე ავადმყოფი იაროსლავ ჰაშეკი თავის ნაწარმოებს „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიცია და მისი თავგადასავალი მეორე მსოფლიო ომში“. სიკვდილმა 1923 წლის 3 იანვარს სამუდამოდ დაადუმა იგი და შეუშალა ხელი დაემთავრებია ერთ-ერთი ყველაზე სახელმთხვეჭილი და ყველაზე მეტად საკითხავი რომანი, შექმნილი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

დამატებანი

გვ. 9. ბრძოლა კუსტოცესთან. კუსტოცე — ჩრდილოეთ იტალიის სოფელია. აქ ავსტრიელებმა 1848 წლის 24 ივლისს ფელდმარშალ რადეცის სარდლობით დაამარცხეს სარდინიის მეფის კარლოს ალბერტის ჯარები, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ლომბარდია.

ფელდკურატი უმატებს წლოვანებას რადეცის. კუსტოცესთან პრაგის დროს რადეცი იყო 82 წლის და არა 84-ის, როგორც იგი ამბობს.

გვ. 10. ასპერნა — დუნაის მარცხენა ნაპირთან მდებარე სოფელია.

იქვე. ვიბრძლი ლაიპციგთანაც და შივილე ზარბაზნის ჯვარი... — 1813 წლის 16—19 ოქტომბერს ნაპოლეონი დამარცხებულ იქნა ლაიპციგთან. ამ ჯვრით აჯილდოებდნენ ავსტრიელ მებრძოლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1813 წლის ბრძოლებში ნაპოლეონის წინააღმდეგ.

გვ. 13. კაპოშვარი — ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ უნგრეთში.

გვ. 18. სეგედინის გულიაში — დაბულული ღორის ხორცი, ან ცხვრის ხორცი, ცხარე საკაზმითა და მკაფე კომბოსტოთი.

გვ. 20. ათი ქელერი — ხურდა ფული ავსტრო-უნგრეთში.

გვ. 21. მუზეუმის ბიბლიოთეკა — ნაციონალური მუზეუმის ბიბლიოთეკა; ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკაა პრაღაში.

იქვე. „ОКО“ როგორც წმიდა სამებას. — ხოლოუნსკის კერძო სამძებრო ბიუროს მარკა. გამოსახული იყო სამკუთხედში ჩასმული შავი თელით; თვალი შექს ასხივებდა. ეს მარკა კათოლიკური ეკლესიის ემბლემის ასლი იყო, რომელიც ასახავს წმიდა სულს ღვთიურ სამებაში.

გვ. 26. ლუდვიგ ჰანგჰოფერი (1855—1920) — ავსტრიელი მწერალი. ნრაველი სამიჯნურო რომანის ავტორი.

გვ. 31. სარდინიისა და სავოიისათვის ომის დროს.. ჩინეთში ბოქსიორთა აჯანყების დროს... ლაპარაკია 1848—1849 წლების აგრეთვე 1859—1861 წლების ომებზე სარდინიისა და სავოიისათვის; ბოქსიორთა აჯანყება ჩინეთში — 1859—1861 წლების ანტიიმპერიალისტური აჯანყება, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი რვა სახელმწიფოს გაერთიანებული ძალების მიერ.

გვ. 35. სამოცდაექვსი წლის ომი — ლაპარაკია ავსტრო-პრუსიის ომზე, რომლითაც ბოლო მოედო ავსტრიასა და პრუსიას შორის წარმოებულ ბრძოლას პრიორიტეტისათვის გერმანიის კავშირში. ამასთანავე ეს ომი მნიშვნე-

ლოვანი ეტაპი იყო ვიენის გაერთიანების სქემის პრუსიის ქვეყნის სქემის ავსტრო-უნგრეთის ომში პრუსიასთან სსხე(როცა შემოიჭრა) ა. ე. ე. გვ. 54. ედუარდ გრეი (1862-1941) — სკოლის საგარეო საქმეთა მინისტრი — სანაწილიდან 1916 წლამდე.

გვ. 55. სადგური რაბი (დოერი) უნგრეთში მცხდრებდა; ბელაპეტის აღმოსავლეთით 110 კმ-ის დაშორებით. სიკალი კი — დასავლეთ უკრაინაში, ლოვინა ჩრდილოეთით. ე. ი. პარდაბირი გზით, დაახლოებით 500 კმ-თა დაშორებული სადგურ რაბიდან.

გვ. 56. ნერდლინგენთან ბრძოლა. — 1624 წლის 6 სექტემბერს ნერდლინგენის მასობრივად დასავლეთ ბავარიაში, კათოლიკე ავსტრიელების ჯარმა დაამარცხა პროტესტანტ შედეგების არმია.

იქვე. ხენტა — 1697 წლის 11 სექტემბერს ავსტრიელების ჯარმა პრინც ევგენი სავოელის სარდლობით მდ. ტისაზე მდებარე ქალაქ ზენტასთან დაამარცხა თურქეთის არმია.

იქვე. კალდერო (იტალია) — აქ, 1805 წელს ავსტრიის ჯარებმა ერც-ჰერცოგ კარლოსის მთავარსარდლობით სამლიან ლაშქრობაში 29-დან 31-ოქტომბრამდე დაამარცხეს ნაპოლეონის მარშალი მასენა.

იქვე. სანტალ-დ-ი. — 1848 წლის 6 მაისს იტალიის სოფლის სანტალ-დ-იას მასობრივად (ერონას ოლქი) ავსტრიელების ჯარმა მარშალ რადეცის სარდლობით დაამარცხა. პიემონტის მეფე კარლოს ალბერტი.

იქვე. ტრუტნოვი... 1866 წლის 27 ივნისს ამ ქალაქის მახლობლად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ჩეხიაში ავსტრიის არმიამ გენერალ გაბლენცის სარდლობით დაამარცხა პრუსიის ჯარები.

იქვე. სარაევო — ბოსნიის დედაქალაქი. 1878 წლის 18 აგვისტოს ავსტრიის ჯარმა გენერალ ფილიპოვიჩის სარდლობით დაიკავა ქალაქი სარაევო.

გვ. 60. ბენედეკი — ლუდიგ ავგუსტინი ფონ ბენედეკი (1804-1881), ავსტრიელი გენერალი. 1846 წელს მან პალიციაში (პოლონეთი) სისხლში ჩაახშო გლეხთა აჯანყება. 1848 წელს ჩაახშო რევოლუცია იტალიაში, ხოლო 1849 წელს — უნგრეთში. 1866 წელს იგი დანიშნული იყო ავსტრიის არმიის სარდლად პრუსიის წინააღმდეგ ომში. ომი წაგებულ იქნა, ხოლო ბენედეკი სამარცხინოდ გადაყენეს.

გვ. 65. ჯერჯერობით უფრო დიდს არ ამხადებენ... კრუპის გერმანული სამხედრო ქარხანა უშვებდა ოცდამეორე სანტიმეტრიან ქურევებს, ხოლო პლუნენის (ჩეხია) შკოდის სამხედრო ქარხნები კი ორმოცდარსანტიმეტრიან ქურევებს.

გვ. 67. ტახტის მემკვიდრე კარლ ფრანც იოსებ — ფრანც იოსების სიკვდილის შემდეგ კარლ ფრანც იოსები გახდა ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი — კარლოს პირველის სახელწოდებით.

იქვე. გენერალი ვიქტორ დანკელი — ჯვალერიის გენერალი და პალიციაში მეთორი ავსტრო-უნგრეთის ერთ-ერთი არმიის სარდალი იყო. სახელი გაითქვა იმით, რომ პალიციის, აქამდე დასავლეთ უკრაინის მოსახლეობას მსიუხრად სიკვდილით სჯიდა.

იქვე. ერცჰერცოგი ფრიდრიხ — პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრო-უნგრეთის ჯარების მთავარსარდალი იყო. იგი სასტიკად სდევნიდა სლავებს, რის გამოც პოეტმა ბერუჩმა ერცჰერცოგ ფრიდრიხს „მარკო გერო-უწოდა. „მარკო გერო“ მე-10 საუკუნეში სპობდა პოლაბელ სლავებს.

გვ. 67. კონრად ფონ პეტენდორფი. პარკელი მსოფლიო ომის დროს ავსტრო-უნგრეთის მონარქიის გენერალური შტაის უფროსი.

გვ. 71. კორპორანტი — სტუდენტური, კორპორაციული წრის წევრი. ეს სტუდენტური წრეები ნაპოლეონის ომების დროს ჩამოყალიბდა. დასაწყისში ისინი პროგრესულ ხასიათს ატარებდნენ. ამ წრეებს გერმანიაში და ავსტრიაში სდევნიდნენ. 1848 წლის შემდეგ კი ამ სტუდენტურმა წრეებმა დაკარგეს თავისი პროგრესულობა და გერმანული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მებრძოლი ცენტრები გახდნენ.

იქვე. „Simplicissimus“ — პროგრესული, გერმანული ილუსტრირებული იუმორისტული და სატირული ჟურნალის სათაური. ჟურნალი შეაკრად აკრიტიკებდა დინასტიას, კლერიკალიზმს და აზნაურულ, ოფიცრულ და ბურჟუაზიულ ცრუ რწმენებს. მისი თანამშრომლები იყვნენ გამოჩენილი გერმანელი მწერლები და მხატვრები. ფაშისმის დროს ჟურნალმა შესწყვიტა თავისი არსებობა. ამჟამად ჟურნალი ისევ გამოდის.

გვ. 72. დაჩეხილი ჰყავდა უამრავი ოფიცერი... იგულისხმება დუელის დროს დაშვებით მიყენებული კრილობები.

გვ. 79. გიოდოლიო — ნაკრძალი, სამეფო კოშკი და რკინიგზის სადგურა. იგი მდებარეობს ბუდაპეშტის მახლობლად.

გვ. 84. ვიჩენცე — 1848 წელს იტალიის ეს ქალაქი აღსდგა ავსტრიელების წინააღმდეგ, მაგრამ იძულებული გახდა დანებებოდა რადეციის.

იქვე. ნოვარა — 1849 წლის 23 მარტს აქ მოხდა ბრძოლა სარდინიისა და ავსტრიის არმიებს შორის. სარდინიის არმია დამარცხდა.

გვ. 89. იმპერატორი მაქსიმილიანე I (1493—1519) — წმიდარომის იმპერიის იმპერატორი; ავსტრიის სკოლების ქრესტომათიაში იგი ასახული იყო, როგორც შევლებზე დახელოვნებული მონადირე; იოსებ II (1741—1790) მარია-ტერეზას თანამმართველი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, ავსტრიის იმპერატორი; სასკოლო ქრესტომათიებში ხობტას ასახმდნენ როგორც ხალხის მეგობარს, რომელიც თვითონ ხნავდა მიწას; ფერდინანდ I — ავსტრიის იმპერატორი. მართადა 1835 წლიდან — 1848 წლამდე. გარდაიცვალა 1875 წელს.

იქვე. იმპერატორ იოსებ I-ის ხიდი პრალაში — ანუ ფრანც იოსების სახელობის ხიდი. ამ ხიდის მშენებლობასთან ფრანც იოსებს არაერთი კავშირი აქ ქონია.

გვ. 91. ირედენტისტული მოძრაობა სამხრეთ ნაწილში — ავსტრიის სამხრეთ ოლქებში, რომელიც იტალიელებით იყო დასახლებული, სწარმოებდა იტალიასთან შეერთების მოძრაობა.

გვ. 92. თავადი შვარცენბერგი — ჩეხიის ერთ-ერთი დიდი მემამულე იქვე. პოლენტა — იტალიური, ნაციონალური საკმელი; სიმინდის ფაფა.

გვ. 103. პრეშოვი (პრიაშოვი) — ქალაქი აღმოსავლეთ სლოვაკიაში.

გვ. 105. ხატვანი — ქალაქი უნგრეთში.

გვ. 110. ვატიანე — ქალაქი უნგრეთში, რაბ-ბუდა — პეშტის გზაზე.

გვ. 111. „ოპერასი“ — ძვირფასი სივარების მარკა.

გვ. 113. რუჟენა ესენსკაჟა (1863—1910) — ჩეხი პოეტი და მწერალი კ.ლი.

გვ. 118. რაკოშპალატა — ქალაქი უნგრეთში; ბუდაპეშტის მახლობლად, ამჟამად ბუდაპეშტის გარეუბანი.

გვ. 119. გუმპოლდსკირხენი — პატარა ქალაქი ქვემო ავსტრიაში; განთქმულია თავისი ღვინით.

გვ. 123. პორიზონტალური სიხარული — შეეცი არასწორად ხმა-
რობს მისთვის გაუგებარ, უცხო სიტყვას.

გვ. 127. ფილიპთან შევხვდებით — ფილიპი — ქალაქი თრაკიაში,
სადაც ჩ. წ. ა. 42 წელს ანტონინუსისა და ოქტავიანუსს ჯარებმა დაამარცხეს ბრუ-
ტოსი და კასიუსი. ფრაზა „ფილიპთან შევხვდებით“ ანდაზად გადაიქცა და ნიშ-
ნავს: „განჯიფის დრო დადგება“. შეეციმა სიტყვა „ფილიპი“ გაიგო, როგორც
რომელიღაც საროსიკოს დასახელება.

გვ. 142. ლაბორცი — მდინარე აღმოსავლეთ სლოვაკიაში. სათავეს იღებს
ბესკიდის მთებში, დუეკლსკისა და ლუპოვსკის უღელტეხილების მახლობლად.

გვ. 142. ფიუზეშაბონი — უნგრეთის პატარა ქალაქი, რომელიც იმყო-
ვება ხატვანის რკინიგზის ხაზზე კოშიცას მიმართულებით.

გვ. 143. მიშკოლი — სამხრეთ უნგრეთის ქალაქი; რკინიგზის კვანძი.
იქვე. ტისალიოკი და ზომბორი — ჩრდილოეთ უნგრეთის ქალაქებია.
იქვე. ახალ ადგილას შიატორის მახლობლად (შიატორი
უბნის მადიარული დასახელება) — რკინიგზის კვანძი.

გვ. 145. ... მტრისათვის არაფრის დატოვება არ შეიძლე-
ბა. ეს იმას კვავს პერემიშლთან რომ მოხდა... — პერემიშ-
ლი ხელიდან ხელში გადადიოდა.

1915 წლის 2 მარტს რუსეთის ჯარებმა ხელთ იგდეს ავსტრო-უნგრეთის ეს
დიდი, პირველხარისხოვანი სიმაგრე. ტყვედ წაიყვანეს ას ოც ათასზე მეტი ჯა-
რისკაცი და ხელთ იგდეს ცხრასზე მეტი სამხედრო საჭურველი.

გვ. 147. პორეჩი — ქუჩა პრაღის ცენტრში.
იქვე. როზვარკილი — ძველებური ჩეხური სამიკიტრო.

გვ. 149. ... წმ. მარტინივით, მშვიერსა და მწყურვალთ
მარტინის ბატებს რომ ურიგებდა... შეეცი ურევს: მარტინის
ბატებს ეძახიან სპეციალურად გასუქებულ ბატებს, რომლებსაც ნოემბერში და-
ლავენ ხოლმე წმ. მარტინის ღღესასწაულზე.

იქვე. პოლონელი რაღაც გაუგებრობის გამო მოხვედ-
რილიყო ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში. ოთხმოცდამეთერთ-
მეტე პოლკი ჩეხოსლოვაკიაში ჩამოაყალიბეს.

გვ. 150. ლადოვეტ-რებიშოვი — აღმოსავლეთ სლოვაკიის ქალაქი.

გვ. 151. გუმენე — აღმოსავლეთ სლოვაკიის ქალაქი.

გვ. 192. სტრაშნიცკი და ვინოგრადები — ქალაქ პრაღის რაი-
ონები. ერთი მდებარეობს ქალაქის თავში, მეორე კი ბოლოში.

გვ. 167. ვესპრემი — უნგრეთის ძველი ქალაქი, ბალატონის ტბის მახ-
ლობლად.

გვ. 180. კიშ-ბერენა (მცირე ბერენა) — უკრაინის სოფელი, რომე-
ლიც იმყოფება იმიერ-კარპატების უკრაინის რაიონში.

იქვე. უჟოკი — იმიერ კარპატების უკრაინის რაიონის დიდი სოფელი;
იმ დროისათვის იმყოფებოდა უნგრეთისა და ავსტრიის (პალიციის) საზღვარზე.

გვ. 181. ავსტრო-უნგრეთის იერიში სანზე; დასავლეთ ფრონტ-
ზე საომარი მოქმედების მიწყნარებასთან დაკავშირებით გერმანულ ჯარებს მიე-
ცათ პალიციაზე იერიშის საშუალება, რის შედეგადაც 1915 წლის მაის-ივნისში
რუსებმა დაიხიეს მდინარე სანის უკან.

გვ. 183. პოდებრადე — ჩეხოსლოვაკიის კურორტი.

გვ. 195. „წვნიანის დაწესებულება“ — ქალაქ პრაღის საქველ-
მოქმედო დაწესებულება; აქ მათხოვრები უფასოდ იღებენ წვნიანს.

გვ. 198. ტ ი ტ ა ნ ი კ ი — დიდი. საოკეანო ინგლისური გემი, რომელიც 1912 წელს ჩაიძირა აისბერგთან შეჯახების დროს. იგი მიემართებოდა ევროპიდან ამერიკაში.

გვ. 200. „ინტელიგენტკა“ — გამოცდა სიმწიფის ატესტატზე, რომელსაც ექსტერნად აბარებენ.

გვ. 201. ექსტრა-ფორმა — საუკეთესო მატერიისაგან და ზომაზე შეე-რილი სამხედრო ტანსაცმელი.

გვ. 212. ვ ე ლ კ ო ვ ო მ ე ზ ი რ ე ი ჩ ი — ქალაქი მორავიაში.

გვ. 213. ვენესელაეა ლუეიკაია (1835—1920) — ქალთა რუსული უერნა-ლის „ლადა“-ს რედაქტორი და სამიჯნურო რომანების ავტორი.

იქვე. „ბესედა“ — პრალის ერთერთი რესტორანი, სადაც ახალგაზრდობა ცეკვებსა და საზოგადოებაში ქცევის წესებს სწავლობდა.

გვ. 226. ტ ა ბ ო რ ი ს, პ ე ლ გ რ ე ი მ ო ვ ი ს, ბ უ დ ე ი ო ვ ი ც ე ს, გ უ მ - პ ო ლ ე ი ს, ტ რ ე ვ ბ ო ნ ი ს, ი ი გ ლ ა ვ ი ს ო ლ ქ ე ბ ი — ჩეხოსლოვაკიის რაიონები.

გვ. 229. კ უ ნ ტ უ შ ი — მამაკაცის პოლონური, ხალხური ზედა ტანსაცმელი.

გვ. 240. ც ა შ ი მ ა ნ ძ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ო თ ე ლ ა... როგორც ჩანს შევიქს მხედველობაში აქვს ციურ სხეულთა შორის არსებული მანძილები.

გვ. 247. „წმიდა იინდრეიხი“ — იინდრეიხოვის ქუჩაზე მდებარე ავსტრიის პოლიციის კომისარიატი.

გვ. 258. მუსულმანური ლოცვა არაბულ ენაზე. თარგმანი „დიდება ალლას, დიდება ალლას“. ალლასის სახელით.

იქვე. ი ა რ ო ს ლ ა ე ი შ ტ ე რ ნ ბ ე რ გ ი დ ა ნ — დაახლოებით 1241 წელს დაამარცხა გოსტინთან მორავიაში ბათუ უპენი.

იქვე. გ ა გ ი გ ო ნ ი ა გ ო ს ტ ი ნ ე ლ ი ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ? — ძველი თქმულება გაღმოგვემს, რომ მთავარსარდალ იაროსლავს შტერნბერგიდან ბრძო-ლის წინ სიზმარში ქალწული მარიაში გამოეცხადა და სასწაულებრივად დაეხმარა მას გამარჯვების მოპოვებაში. გოსტინში აშენებულ იქნა ეკლესია და მო-ნასტერი, სადაც ამჟამადაც დადიან მლოცველები.

გვ. 259. პ რ ა ლ ა, ვ ი ც ი... ვ ი ც ი. ეს ვარშავის მახლობლადაა. მართლაც ვარ-შავის ერთერთ გარეუბანს პრალა ჰქვია.

გვ. 270. . ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ლ ე ო პ ო ლ დ II — იმპერატორ იოსებ II-ის შემდეგ მხოლოდ ორი წელი მართავდა (1790—1792) საიფეოს.

გვ. 275. „მე როგორც ერთგული რაინდი“ ისე ვ ა ს რ უ ლ ე ბ ი — დალიბორის სიტყვები ბედრეიხ სმეტანას ოპერიდან „დალიბორი“.

გვ. 277. ხ უ ხ ლ ი — პრალის გარეუბანი.

გვ. 278. როგორ მისცეს „ფლეკა“, ამან კი „რე“ უ პ ა ს უ ხ ა, მათ მისცეს „სუპრე“, მან კი „ტუტი“, მერე ისევ მათ მისცეს „ბოტი“; მან კი მოიგო და დააგროვა ასშვიდი — ბანქოს თა-მაშის ტერმინები.

გვ. 282. უ ფ ლ ი ს ხ ო რ ც ი ს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ზ ე არსებული ღვთისმსახურების მსგავსად — ექსკმზიანი გალობით — უფლის ხორცის დღესასწაულს რვა დღის შემდეგ წირვის დროს მოიხსენიებოდა ხოლმე ეს დღესასწაული.

გვ. 283. „Lustige Blätter“ (სიხარული ფურცლები) — გერმანული იუმორისტული ყოველკვირეული ჟურნალი, რომელიც უმთავრესად წერილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს შორის იყო გავრცელებული.

გვ. 291. კ ა ნ ი მ უ რ ა — იაპონელი გენერლის გვარიდან (კამიმურა). წარმოებული ზედმეტი სახელი; იგი მოქმედებდა 1904—1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

გვ. 309. ... თ ი თ ქ ო ს ლ ი ბ უ შ ა უ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ე ე ლ ე ბ ს დ ი დ ე ბ ა ს პ რ ა ლ ა ს ო . — ქალწული ლიბუშა, ჩეხების მეუღლე, ძველი ჩეხური თქმულებების მიხედვით ლიბუშა წინასწარმეტყველური ნიქით იყო დაჯილდოებული და პრალას დიდება უწინასწარმეტყველა.

გვ. 312. გ ე ნ ე რ ა ლ ი ლ ა უ დ ო ნ ი (1717—1790) — ცნობილი ავსტრიელი მთაწარსარდალი. იგი ჯერ რუსეთის არმიის მსახურობდა, მერე კი, 1742 წლიდან ავსტრიის არმიის იყო; 1759 წელს დაამარცხა პრუსიის ხელმწიფე ფრიდრიხ 11, უფრო გვიან კი — თურქები. მის გულადობას ხობტას ასხამდნენ ჯარისკაცების საბრძოლო სიმღერებში ავსტრიის ხალხების ყველა ენაზე.

გვ. 320. შ ე ტ ე ე ც ხ ლ ე მ ა გ ხ ი ს ს ა მ ა გ რ ე ბ ი , შ ე უ ნ ა მ უ ს ო ვ ... ჯერის სხევი ერთ ბოლოში ხის სარკის ჩხირებით იყო დამაგრებული.

გვ. 330. გ ე ზ ი ხ ა ს ტ ე ბ ი ს ს ე ქ ტ ა — მე-14 საუკუნეში, ათონის ბერება შორის არსებული რელიგიური ფანატიკოსების სექტა, რომელთაც სწამდათ, რომ თუ საკუთარ ქიპს უმზერდნენ, ღვთიურ სინათლეს დაინახავდნენ.

გვ. 335. რ ო შ ი ს კ ე ი ს რ ი ს უ ლ მ ო ბ ე ლ ი ს ი მ ქ ა ც რ ი თ , რ ო მ ე ლ ი ც ც ი რ კ შ ი დ ა კ რ ი ლ ი გ ლ ა დ ი ა ტ ო რ ი ს ბ ე დ ს ს წ ყ ვ ე ტ ს . იუკეისარი თავისი მარჯვენა ხელის დიდ თითს ქვემოთ დასწევდა, ეს იმან ნიშნავდა, რომ დამარცხებული გლადიატორი უნდა მოეკლათ, ხოლო თუ თითს ზემოთ ასწევდა, მაშინ დამარცხებულ გლადიატორს სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ.

გვ. 340. ბ ი კ ო შ ი პ ო ლ ო ნ უ რ ა დ — ღორის ხორცისა და მკავე კომბოსტოსაგან მომზადებული გულიაში.

გვ. 342. პ ა რ დ უ ბ ი ც ი — ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში.

გვ. 344. ბ ე ს კ ი დ ე ბ ი — დასავლეთ უკრაინის მთები.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი მესამე

საზეიმო გაწვევა

თ ა ე ი I	უნგრეთის მიწა-წყალზე	7
თ ა ე ი II	ბუღაპეშტი	74
თ ა ე ი III	ხატვანიდან პალიციის საზღვრამდე	142
თ ა ე ი IV	ნაბიჯით იარ!	193

ნაწილი მეოთხე

საზეიმო გაწვევა გრძელდება

თ ა ე ი I	შვეიცი რუსი ტყვეების ეშელონში	257
თ ა ე ი II	ზიარება	287
თ ა ე ი III	შვეიცი კვლავ თავის სამარშო ასეულში	296
დამატებანი		348

რედაქტორი ც. ბუაჩიძე
მხატვრული რედაქტორი დ. ღუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი პ. ლელუყვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-64 წ. ქალაქის
ზომა 60x90 1/16. ნაბეჭდი თაბახი 22,25 სააღრ.-საგა-
მომც. თაბახი 19,42

ტირაჟი. 10 000.

შეკვ. № 532.

ფასი 1 მან. 84 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Ярослав Гашек

**Похождения бравого солдата
Швейка**

(На грузинском языке)

————

Издательство

«Сабчота Сакартвело»

Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

1964

რედაქტორი ც. ბუაჩიძე
მხატვრული რედაქტორი დ. ღუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი პ. ლელუყვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-64 წ. ქალაქის
ზომა 60X90 1/16. ნაბეჭდი ფაბრიკის 22,25 საათრ.-საგა-
მომც. თაბახი 19,42

ტირაჟი. 10 000.

შეკვ. № 532.

ფაბრიკა 1 მან. 84 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Ярослав Гашек

Похождения храброго солдата

Швейка

(На грузинском языке)



Издательство

«Сабчота Сакартвело»

Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

1964